

მთარ ჭურღულია

ნარკვევები ქართულ-აუხაზური
კულტურულ-ლიგერაგურული
ურთიერტობის ისტორიიდან

ნოვნი I



გამომცემლობა „ალაშარა“

სოხუმი

1074

სოხუმის ა. შ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე ფალოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ჭურღულა კრიტიკული წერილებისა და ნარკვევების რამდენიმე კრებულის ავტორია. წინამდებარე შრომა ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის მნიშვნელოვანი მონაკვეთის (XIX ს.) საფუძვლიანი შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენს. მასში გაშუქებულია მთელი რაგი მოვლენა, რომლებიც აქამდე ან სულ არ იყო გამოვლინებული, ან ცალმხრივად იყო შეფასებული.

„ნარკვევებში“ პირველად არის შესწავლილი და გაშუქებული XIX ს. გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ი. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, გ. წერეთლის, ს. მესხის ამაგი აფხაზი ხალხის ისტორიასა და კულტურულ ცხოვრებასთან მიმართებაში. ასევე, ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის შუქზე პირველად არის შეხვეწილილი აფხაზი მოღვაწეების გრ. შარვაშიძის, კ. შარვაშიძის, დ. ანჩაბაძის, გ. დ. შარვაშიძის, გ. შ. შარვაშიძის, დ. გულიას ცხოვრება და საქმიანობა. მასში ნაჩვენებია აფხაზეთში მოღვაწე ქართველებს თ. სახოკას, პ. ჭარაიას, ნ. ჭანაშიას, ანთ. ჭულელის, შ. დადიანი-ანჩაბაძის, რუსი პრაგრესული მოღვაწეებისა და ქართული თეატრის წვლილი აფხაზურ-ქართული კულტურული ურთიერთობის განვითარებაში.

რედაქტორი
დოც. ბ. გურბულია

შსსპალი

გ. ი. ლენინის თავის ცნობილ სიტყვაში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობაზე ხაზგასმით მიუთითებდა ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და გაშუქების აუცილებლობაზე, იმ დიდ როლზე, რომელიც ამ მემკვიდრეობის კრიტიკულ ათვისებას უნდა ეთამაშა ახალი — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული საბჭოთა კულტურის შექმნასა და განვითარებაში.

ხალხთა მეგობრობის, კულტურული და ლიტერატურული თანამშრომლობის, წარსული სულიერი და მატერიალური მემკვიდრეობის ძიება, შესწავლა და მეცნიერული გაშუქება საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ ძირითად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

განსაკუთრებით ეს შეეხება ერთ ძმურ ოჯახად შეკავშირებული საბჭოთა ხალხების წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებას, იმ ლიტერატურული და კულტურული ურთიერთობის ტრადიციების გამოვლენას, რომლებიც განაპირობებდა ამ ხალხების სულიერ თავისებურებასა და თვითმყოფადობას, აახლოებდა მათ ერთმანეთთან და ქმნიდა მეგობრობის მტკიცე, მყარ საფუძველს.

მომქმე ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ ურთიერთობას შორეული და მდიდარი ტრადიციები გააჩნია.

ეს ხალხები საუკუნეების მანძილზე საერთო ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რამაც განაპირობა მათი სულიერი სამყაროს თავისებურება. აფხაზური კულტურა ვითარდებოდა ქართულ კულტურასთან მჭიდრო კავშირში, მისი ცხოველმყოფელი ზეგავლენით. ქართული და აფხაზური კულტურის ურთიერთდამოკიდებულება თავს იჩენდა ეთნიკურ, საყოფაცხოვრებო, პოლიტიკურ, ეკონომიურ, მხატვრულ და სხვა სფეროებში.

მეცნიერებაში აღიარებული ფაქტია, რომ ქართველებისა და აფხაზების წინაარება ჯერ კიდევ უხსოვარ დროში შექმნეს დიდი საერთო კულტურა, რომლის განვითარების უმაღლეს საფეხურს „კოლხური კულტურა“ წარმოადგენდა და რომელიც მაშინდელი მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი მონაპოვარი იყო.

საეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ქართველებისა და აფხაზების ისტორიული თანაცხოვრების შედეგად IX საუკუნიდან მოყოლებული, თუ უფრო ადრე არა, ვიდრე უშუალოდ აფხაზურ ენაზე შეიქმნებოდა დამწერლობა, აფხაზთათვის საეკლესიო ღვთისმსახურების, სახელმწიფო საქმისწარმოებისა და სამწერლობო ენას ქართული ენა წარმოადგენდა, ხოლო XIX საუკუნიდან დიდ როლს თამაშობს რუსული ენაც.

მაგრამ მხოლოდ მეზობლობა და მეგობრობა, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა როდი განაპირობებდა ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობას საუკუნეების მანძილზე. ცნობილია, ქართველები და აფხაზები იბერიულ-კავკასიურ ეთნიკურ ოჯახს მიეკუთვნებიან. ამ ხალხების წარმოშობის საწყისები ვლინდება მათი როგორც ენების ნათესაურ დამოკიდებულებაში, ისე მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკური ელემენტების თავისებურებაში.

ქართულ საისტორიო წყაროებში, მწერლობასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აფხაზეთი მოხსენებულია როგორც სიმშვენიერისა და სილამაზის განსახიერება, ხოლო აფხაზი — სიმართლისა და მოქნილობის, სტუმართმოყვარეობისა და ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლო. •

ეთნიკურ ნათესაობასთან ერთად „ისტორიის ერთობამ“ მტკიცედ შეამსკვალა ერთმანეთთან ქართველი და აფხაზი ხალხების ბედი, სამარადქამოდ შეადლდა ერთმანეთს მათი სასიცოცხლო ინტერესები.

პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებამ გასული საუკუნის დასაწყისიდან ქართველი და აფხაზი ხალხების ბედი რუსეთს დაუკავშირა. ამ ისტორიულმა აქტმა დიდი როლი ითამაშა ორივე ხალხის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ბუნებრივია, XIX საუკუნეში ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა წარმოადგენდა იმ ტრადიციების ლოგიკურ განვითარებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ამ ხალხებს შორის.

ამ დროიდან მოყოლებული ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობა ახალი გზით წარიმართა. როგორც მიუთითებდა ი. ჭავჭავაძე, რუსულმა ლიტერატურამ, სკოლამ, კულტურამ ცხოველმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი ეროვნული სულიერი ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე.

თუ მეფის მთავრობას თავისი დიდმპყრობელური პოლიტიკით ხალხებისათვის მოჰქონდა სოციალური და ეროვნული ჩავკრა, პუშკინისა და ჩერნიშევსკის რუსეთი თვით ებრძოდა თვითმპყრობელობას, როგორც საკუთარი, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრებისათვის.

ეს გარემოება ჩინებულად ესმოდათ გასული საუკუნის ქართველ და აფხაზ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს. ისინი ერთობლივი ძალით ებრძოდნენ თვითმპყრობელობას, ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და ასევე ერთობლივად თავიანთი ქვეყნის ბედ-იღბალს უკავშირებდნენ დიდი რუსი ხალხის მომავალს.

ჩვენს შრომაში პირველად არის განხილული ქართველი კლასიკოსების: ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის წვლილი აფხაზეთის, აფხაზი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურის, განათლების განვითარების საქმეში, მათი როლი აფხაზეთის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლაში, მათი თავდადებული ბრძოლა აფხაზი ხალხის ეროვნული უფლებების დასაცავად.

შრომაში გაანალიზებულია აფხაზეთში მცხოვრები და აქ მოღვაწე ქართველი პედაგოგებისა და მწერლების: თედო სახოკიას, პეტრე ჭარაი-

მს, ნიკო ჯანაშიას, კონსტანტინე მაქავარიანის, ანთიმოზ ჯულელის, მარიამ დადიანი-ანჩაბაძის მოღვაწეობა, მათი დამსახურება აფხაზი ხალხის კულტურისა და განათლების საქმეში, ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის, ქართველებისა და აფხაზების მეგობრობის განმტკიცებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ პირველად არის მიკვლეული მეტად საინტერესო მასალები აფხაზეთში მცხოვრები ისეთი ქართველი პედაგოგებისა და მოღვაწეების შესახებ, როგორიც იყვნენ: ბესარიონ ჩიქოვანი, სიმონ ნოღია, ევანე ნაჭყებია, ალექსანდრე თოფურიძე, სიმონ კვაქანტირაძე, ბესარიონ გობეჩია, — რომლებიც აფხაზეთის სოფლებში აფხაზი ბავშვებისათვის აარსებდნენ სკოლებს, ახალგაზრდებს უსასყიდლოდ ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ამით დიდ მეგობრულ-კულტურულ მისიას ასრულებდნენ მოძმე ხალხის წინაშე.

„ნარკვევებში“ საკმაოდ ვრცლად არის საუბარი XIX საუკუნის მიწურულში აფხაზეთის დაბებსა — ოქჟუმი, ოჩამჩირე, გულაუთა — და ქ. სოხუმში ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ დაარსებული დრამატული წრეების მუშაობაზე, მათ როლზე ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანაში.

შრომაში ასევე მითითებულია ქართული თეატრალური ხელოვნების კორიფეების — ვასო აბაშიძის, მარიამ საფაროვა-აბაშიძის, ლადო მესხიშვილის. კოტე მესხის, ვალერიან გუნიას, ნატალია გაბუნია-ცაგარლის, ნუცა ჩხეიძის, შალვა დადიანის წვლილზე აფხაზური თეატრალური კულტურის საწყისების წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებაში.

XIX საუკუნის მანძილზე ქართველი გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების გვერდით ფართო საზოგადოებრივ სარბიელზე გამოდის მოწინავე აფხაზი ინტელიგენცია — საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პედაგოგები, სწავლულები. ისინი უმთავრესად ქართულად წერდნენ, არაიშვიათად რუსულად, მაგრამ ყოველთვის ერთმანეთთან კავშირში გამოხატავდნენ მშობლიური და მოძმე ქართველი ხალხების ინტერესებს, მათ საერთო საზრუნავსა და მისწრაფებებს. ასეთი მოღვაწეები იყვნენ: გრიგოლ შარვაშიძე, კონსტანტინე შარვაშიძე, გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე, დავით ანჩაბაძე, სოლომონ ზვანბა, დავით ჩქორტუა, ალექსანდრე შარვაშიძე, თომა ეშბა, დიმიტრი მარღანია, დიმიტრი გულია და სხვ.

მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ქართული კულტურის, მწერლობის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრის ცნობილ მოღვაწეებთან ი. ჭავჭავაძესთან, გრ. ორბელიანთან, აკ. წერეთელთან, ი. გოგებაშვილთან, გ. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებთან, დ. ყიფიანთან, ი. მეუნარგიასთან, რ. ერისთავთან, ვ. აბაშიძესთან, შ. დადიანთან, ლ. მესხიშვილთან და სხვ.

ქართული მწერლობისა და კულტურის, მოწინავე რუსული აზროვნების წიაღში გამოიშუშდა და მომწიფდა მათი შეხედულებები, ლიტერატურული მრწამსი, ეროვნული და სოციალური იდეები. ისინი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილეები იყვნენ, ქართველ თანამოემებთან ერთად იბრძოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, ემსახურებოდნენ

ნენ სახალხო განათლებისა და პროგრესის საქმეს, თანამშრომლობდნენ ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოხატავდნენ ორივე ხალხის ინტერესებს, აქტიურად მონაწილეობდნენ მწერლობაში.

ჩვენს შრომაში პირველად არის გაშუქებული აფხაზი მოღვაწეების გრიგოლ შარვაშიძის, კონსტანტინე შარვაშიძის, დავით ანჩაბაძის, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის საქმიანობა საზოგადოებრივ სარბიელზე, მათი მკიდრო კავშირი ქართულ სამყაროსთან, ქართულ კულტურასთან.

უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი და აფხაზი მოღვაწეები მარტონი როდი იყვნენ. მათ გვერდით ედგნენ რუსეთის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი აქ, კავკასიაში, მუშაობდა სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე. ასეთები იყვნენ: დ. სტაროსელსკი, ჟურნალისტი ე. ა. ბონდარენკო, ექიმები: ოსტროუმოვი და დიმიტრიევი, მოსამართლე ფ. უსტიანოვიჩი, პროვიზორი ი. კაცინსკი, საზღვაო სააგენტოს თანამშრომელი პ. ზაიცევი, მხატვარი ვ. ვერეშჩაგინი, მწერალი ნ. დურნოვო და სხვ.

მათი კეთილი საქმიანობაც აფხაზეთში საკმაო სიცხადით აისახა ჩვენს შრომაში.

ქართული პროგრესული პერიოდული პრესა — „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „აქაიის კრებული“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“ და სხვ. საგანგებოდ აშუქებდა მოძმე აფხაზი ხალხის წარსულ და თანადროულ ცხოვრებას, გულდასმით სწავლობდა მის სულიერ სამყაროს, პროპაგანდას უწყვედ ხალხურ შემოქმედებას, მხარში ედგა ქართველების ისტორიულ თანამომეებს ეროვნული კულტურის აღორძინებაში.

ჩვენს მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია დიდძალი მასალა, დაცული არქივებში, მუზეუმებში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, კერძო კოლექციონერებთან, მიმოფანტული XIX ს. მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში: „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „ივერია“, „კვალი“, „აქაიის კრებული“, „მოამბე“, „განათლება“, „სამშობლო“, „კავკაზი“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“ და სხვ.

ამ რთული საკითხების გაშუქებაში ჩვენთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენდა მოწინავე ქართველი და აფხაზი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების შეხედულებები და საქმიანობა. კერძოდ, ქართველი პროგრესული ინტელიგენციის აზრი ამ საკითხზე მკაფიოდ არის გამოხატული ჟურნალ „განათლების“ შემდეგ სიტყვებში:

„ყოველი პატიოსანი მოღვაწე ქართველი ვალდებულია ამ მოძმე სიმპატიურ ხალხს (აფხაზებს — ო. ჭ.), რომელსაც მთელი თავისი წარსული გადაუსკვნ-გადაუხლართავს ქართველების ისტორიასთან, ყოველთვის ძმური ხელი გაუწოდოს და უთხრას: ჩემო ძმავ აფხაზო, მე შენთან ვარ ლხინსა თუ გასაჭირში, უშველე თავს, ფეხზე წაშოდექი და ამომიდექი გვერდში, ვიაროთ ცხოვრების ასპარეზზე ერთად, როგორც ერთად უვლიათ ჩვენს წინაპრებს რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში. ამას მოითხოვს ორივე ერის ინტერესი, ამას მოითხოვს მთელი ჩვენი წარსული ორივე ერისა.“¹

¹ „განათლება“, № 4, 1914 წ., გვ. 294.

კეთილშობილ ადამიანთა ასეთი ფხიზელი გონება, ნათელი აზრები და შეხედულებები გვიშუქებდა გზას, გვიმსუბუქებდა რთულ და მომქანცველ შრომას, რომელსაც ამ წიგნის დაწერა მოითხოვდა.

წინამდებარე შრომაში არ არის შესული ადრე ჩვენ მიერ გამოკვეყნებული გამოკვლევები ქართველი და აფხაზი მოღვაწეების (თ. ხუსკივაძე, ივ. გეგია, დ. ჩქოტუა, თ. ეშბა, პ. შაყრილი) შესახებ, რომელთაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვით ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებაში.²

ბოლოს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ ყველა იმ პირთ, რომლებმაც დახმარება გაგვიწიეს ამ შრომისათვის საჭირო მასალებზე მუშაობის დროს. განსაკუთრებით დიდი მადლიერების გრძნობა გვინდა გამოვხატოთ ცნობილი ბიბლიოგრაფებისა და მეცნიერების, ღვაწლმოსილი ადამიანების თამარ და მარიამ მაჭავარიანების მიმართ.

ქართულ-აფხაზურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაზე ასეთი ხასიათის ნაშრომი პირველად ქვეყნდება და, ბუნებრივია, მას ნაკლიც ექნება.

სამართლიანი მკითხველის ყოველ შენიშვნას დიდი კმაყოფილებითა და მადლიერების გრძნობით მივიღებთ.

² იხ. ჩვენი, „ნარკვევები“, სოხუმი, 1966 წ., ასევე მონოგრაფიული გამოკვლევა „დავით ჩქოტუა“, სოხუმი, 1969 წ.

XIX ს. გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ

გრიგოლ ორაბლიანი

აფხაზი ხალხის უთანასწორო ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული უფლებების დასაცავად გულწრფელად თანაუგრძნობდა XIX საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. მათ შორის ამ ისტორიულ ძვრებს აფხაზი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული გულისყურით აღევნებდა თვალს გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გრ. ორბელიანი. იგი თავის კერძო წერილებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში მეტად გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა აფხაზი, ჩერქეზი და ყაზარდოელი ხალხებისადმი, მათი მედგარი ბრძოლისადმი თავისუფლებისა და ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართველი პოეტის დამოკიდებულება მთიელ ხალხთა იმ დიდი ტრაგედიისადმი, რომელიც მათ და, განსაკუთრებით, აფხაზებს დაატყდა თავს 1866-1878 წწ. მოსახლეობის თურქეთში იძულებით გადასახლების დროს.

ამ საკითხის და საერთოდ გასული საუკუნის მანძილზე კავკასიელ ხალხთა მდგომარეობის შესასწავლად, ამ რთული ეპოქის მთელი რიგი ჯგრაფ დაუდგენელი, დაუზუსტებელი მოვლენების გასარკვევად, აფხაზი ხალხის ამ დიდი ტრაგედიისადმი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის დამოკიდებულების გასაშუქებლად მეტად მნიშვნელოვანი ლირებულების დოკუმენტებია გრ. ორბელიანის კერძო წერილები, პოეტის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა, სადაც, როგორც სამართლიანად მიუთითებდა მკვლევარი სოლომონ ცაიშვილი, „გრ. ორბელიანი უთუოდ უფრო გულწრფელად ამჟღავნებდა თავის ზრახვებსა და საზოგადოებრივი ცხოვრების გეგმებსაც. იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე, თავის პრაქტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამდა გავლენიან პირებთან მიწერ-მოწერაში, ცხადია, არა დროის მოსაკლავად და სალალოზოდ, არამედ ამ „გავლენიან პირთა“ ზედა გავლენის მოსახდენად“.¹

გრ. ორბელიანი გულდასმით აღევნებდა თვალყურს პატარა ერების ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, დიდი ქართველი პოეტი ამ ხალხების მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი, თანაუგრძნობდა მათს თავდადებას თავისუფლების, მშობლიური მიწა-წყლისა და ეროვნული კულტურის დასაცავად. მისთვის, როგორც მაშინ ჩაგრული ერის წარმომადგენლისათვის, სრულიად ნათელი იყო იმ ხალხების ბედი, რომელთაც იგემეს მჩაგვრელი ძალის სუსხი. ცნობილია, როგორი გულისტკივილით განიცდიდა გრ. ორბელიანი მშობლიური ქვეყნის დაცემას, ეროვნული კულტურისა და ენის დაქვეითებას.

ერთი შეხედვით ცოტა უცნაურად მოეჩვენება მკითხველს გრ. ორბელიანის — მეფის გენერლის — ასეთი დამოკიდებულება ჩაგრული ერე-

¹ იხ. ლიტერატურის მატრიანე, წიგნი 1-2. თბ., 1940 წ., გვ. 296, სოლ. ცაიშვილს წინასიტყვაობა ო. მეუნარგიას გამოკვლევაზე „ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა“.

ბისადმი, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ პოეტი თავისი დიდი მდგომარეობითა და სამსახურითაც არ იყო კმაყოფილი. მეფის სამსახური, სამხედრო კარიერა, იმ ეპოქის მეომრის მაწაფალი ცხოვრება მას სამშობლოსა და ერის დამღუპველ მოვლენად მიაჩნდა. ქვეყნის სამსახურსა და ზრუნვაში სასომიხილი გენერალი არაერთგზის წერდა თავის ძმებს, ანლო ნათესაებს, მეგობრებს, რომ თავი დაენებებინათ ფუქსავატური ცხოვრებისათვის და მამაპაპული კერისათვის მოეცლოთ, რომ ოჯახი არ გაციებულიყო, ხალხსა და ქვეყანას მამულიშვილი და პატრონი ჰყოლოდა. ამასვე ურჩევდა იგი ყველას, ვისთვისაც კარგი და კეთილი სურდა.

პოეტი 1879 წ. 16 ივნისს თავის ახლო მეგობარს ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს სწერდა:

„სამეგრელო და თქვენ ეკუთვნით ერთმანეთს და ხართ განუყრელი. კნიაზმა ნიკომ (ე.ე. ჭავჭავაძის ვაჟი — ო. ჭ.) ახლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყვევლად აღაშენოს ოჯახი თავისი... თორემ, როცა ჩემსავით მოხუცდება, მაშინ ველარა აშენდება რა. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურგსა. მანდ დათესოს ყოველივე კეთილი და მით დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა.“²

ხოლო მეორე წერილში ეკატერინე ჭავჭავაძეს სთხოვს, „ნიკო ზუგდიდში დაბრუნდეს, პეტერბურგს რად უნდა დადიანო“.³

როგორც ამ წერილიდან ჩანს, გრ. ორბელიანი ადამიანის, მოქალაქის მთავარ მოვალეობას მშობლიური მიწის, ხალხის სამსახურში ხედავდა. ამიტომ იგი როგორც თანამემამულეების, ისე ყოველი ერის შვილის ღირსებას მშობლიურ მიწასთან, ეროვნულ კულტურასთან, ხალხთან მიმართებაში განიხილავდა.

მსგავსადვე უყურებდა მწერალი ეროვნული ენისადმი დამოკიდებულების საკითხსაც. ენა მას მიაჩნდა ხალხის წმიდათაწმიდა ნაწილად, იმ ბურჯად, რომელიც ერის სიცოცხლეს, მის თავისებურებას განაპირობებს. რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო, ამბობდა პოეტი. დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ასულ სალომე მიურატისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში გრ. ორბელიანი ამ საკითხში თავის პოზიციას ასე გამოხატავს:

„ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო ენა, მას, უეჭველია, არ უყვარს თავისი მშობელნიცა, თავისი წინაპრებიცა, თავისი მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი, თვით ისტორია. თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა, მაშ, როგორ უნდა იცოდეს, ვინ იყვნენ მისი მამა-პაპანი, რას ლაპარაკობდნენ, რას იმღეროდნენ, რა უხაროდათ, რას ჰსწუხდნენ?“⁴

აი, როგორც ესმოდა მამულიშვილობა გრ. ორბელიანს, აი, როგორ სიბრტყეზე სვამდა იგი პატრიოტიზმსა და პატრიოტიზმის ცნებას. ენა მისთვის ადამიანთა მხოლოდ ურთიერთობის, აზრის მხოლოდ უშუალო სინამდვილე როდია, არამედ იგი ერის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი

² დოკუმენტი მოტანილია ე. მაღრაძის წიგნიდან „გრიგოლ ორბელიანი“, თბ., 1967 წ., გვ. 350.

³ იქვე, გვ. 351.

⁴ იქვე, გვ. 343.

ხორცთაგანია. ერის ისტორიის მუდამ ცოცხალი, ორგანული ნაწილია, რომელშიც, როგორც სარკეში, ჩანს ერის ჭირ-ვარამი, წარსული, აწმყო და მომავალიც. ენა ერის ის მასულდგმულელებელი წყაროა, რომლის დაშრეტასთან ერთად ერიც კვდება.

სამშობლო ორბელიანს მიაჩნდა იმ პრიზმად, საიდანაც მთელი სამყაროს თავისებურება ორიგინალურ ელფერში გარდატყდება და გამოისახება. მისი დევიზი: ვისაც მშობლიური არა სწამს, ის ვერც სხვას იწამებს, — დღესაც ცხოველმოსილია.

გრ. ორბელიანი ყველა ხალხს, ყველა ერს გულისხმიერებითა და პატივისცემით ეპყრობოდა. მაგრამ მას განსაკუთრებით თბილი მიმართება ჰქონდა კავკასიელ ხალხებთან. მათ შორის კი, როგორც აღვნიშნეთ, დიდი სიყვარულით ეკიდებოდა აფხაზებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს. ერის შესაიდუმლე პოეტი ამ ხალხებს თანაუგრძნობდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, გამოდიოდა მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი უფლებების დამცველად.

მის მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ კერძო წერილებში, სადაც კი ამ მოძვე ხალხებზეა საუბარი, ყველგან იგრძნობა დიდი სითბო და გულისყუერი მათ მიმართ.

გრ. ორბელიანი 1835 წლის 10 ივნისს ალ. ჰავცავაძის მეუღლეს სალომე ორბელიანს რიგიდან წერდა იმის შესახებ, თუ როგორი შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე სამი სახელმწიფოს — რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის ჭარბების აღლუმს პოლონეთში, ქ. კალიჩში. აქ რუსეთის კავალერიას სარდლობდა გენერალი დიმიტრი ბაგრატიონი-იმერეტინსკი, რომელსაც დიდი მოწონება დაუქმსახურებია. პარადში მონაწილეობა მიუღიათ კავკასიელ მთიელ ცხენოსნებსაც. კერძოდ, ჩერქეზებს, აი, რას მოგვითხრობს პოეტი: „დღესაც გააიარეს ჩერქეზებმა თავისი ნაბდებით და ქუდებით, თავისებურად ყიყინით, ქენებით და, სწორედ მოგეხსენებათ, რომ მიაბა მათი ხილვა“.⁵

მეორე წერილში თავის ძმა ილიასადმი ასევე დიდ გულისხმიერებას იჩენს აფხაზი ხალხისადმი, მისი ყოფისა და კულტურისადმი. 1835 წელს პოეტის ძმა ილია გაამწესეს გენერალ-მაიორ დიმ. ახლესტიშევის ნაწილში, რომელსაც დავალებული ჰქონდა აფხაზეთში გზის გაყვანა. თავის უმცროს ძმას, 18 წლის ილიას, დამრიგებლობითი ხასიათის წერილს სწერს პოეტი და ურჩევს აღწეროს იქაურ მკვიდრთა (ე. ი. აფხაზების) „ზნეჩეულებები, ყოფა-ცხოვრება, რამდენადაც ამის საშუალებას შენი მათთან ურთიერთობა გაძლევსო“.⁶

გრ. ორბელიანი „მგზავრობაში...“ გულისტკივილით აღწერს ყაბარდოელთა გაჭირვებას ცარიზმის უღელქვეშ. აი, რას მოგვითხრობს პოეტი ამ თავისუფლებისმოყვარე და მებრძოლი ხალხის შესახებ:

„ყაბარდოელები უწინ ძლიერი ხალხი იყო, გარნა საშინელმან ჭირმან გაწყვიტა და შემდეგ ბრძოლამან. უმეტესი ნაწილი ხალხისა, წინააღმდეგ ყოვლისა მორჩილებისა, გაიქცა ყუბანს იქით, — ყაბარდოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი. ესენი არიან მხნენი და ყოველთვის საომ-

⁵ გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. 1. თბ., 1936 წ., გვ. 33.

⁶ იქვე, გვ. 36.

რად გამზადებულნი და მანამდის ეძებენ შემთხვევას, რათა დაიხსნან მა-
მული თავისი“.⁷

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ყაბარდოელთა სტუმართმოყვარეო-
ბის, პურადობის, ძმადნაფიცობის შესახებ, რაც მალალ ზნეობად იყო მიჩ-
ნეული მთელს კავკასიაში. თუ ერთხელ ძმობა შეგფიცა ყაბარდოელმა,
წერდა გრ. ორბელიანი, მაშინ „სიკვდილამდე ექმნება ესე გრძნობა განუ-
წყვეტლად და მეგობრისათვის არცა სიმდიდრესა და არცა სიკოცხლესა
თვისსა არა დაზოგავს“.⁸

ყაბარდოელები ადრე მდიდრები იყვნენ, მაგრამ, განაგრძობს პოეტი,
„აწ ბრძოლამან გააღარიბა ესრეთ, რომელ დიახ ძვირადლა იპოება ყაბარ-
დოში კარგი დარჩეული ცხენის ჯოგი“.⁹ პოეტის თქმით, „ყაბარდოელებს
ყოველთვის ტყვეობასა ერჩივნათ სიკვდილი“.

ანალოგიური აზრი გამოთქვა კავკასიის საოლქო შტაბის სამხედრო-
ისტორიული განყოფილების რედაქტორმა, ისტორიკოსმა სიმონ ესაძემ
თავის წიგნში „Историческая записка об управлении Кавказом“
სადაც წერდა:

„Военная власть здесь тем более была необходима, что
пограничные с Абхазией племена, с большим упорством отстаи-
вая свою свободу, самостоятельность, вели еще ожесточенную
борьбу...“

აქ საუბარია ყაბარდოელებზე, რომლებიც გააფთრებით იცავდნენ თა-
ვიანთ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. ავტორის სიმპათიები მათ
მხარეზეა.

ქართველი მწერლების ცნობილი ბიოგრაფი ი. მეუნარგია, ეხება რა.
გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო დეტალებს,
ერთან ხაზგასმით მიუთითებს პოეტის დამოკიდებულებაზე როგორც სა-
ერთოდ ჩავრული ხალხებისადმი, ისე თურქეთის მიერ დროებით მიტაცე-
ბული რაიონების სამშობლოსათვის — საქართველოსათვის შემოერთები-
სადმი. ი. მეუნარგიას თქმით, „ორბელიანის თითოეულ აზრს ხალხის
მმართველობაზე, სამხედრო მსახურებაზე, ეროვნებაზე, მის ეკონომიკაზე,
სწავლაზე, ზნეობაზე, ჩვეულებაზე ზურგი ჰქონია გამაგრებული სამოცი-
წლის მისის სამსახურითა, სწავლით და გამოცდილებით. ამის გამო, რო-
დესაც ყური უგდებდით იმის ლაპარაკს, უნებლიეთ განიმსჯელებოდით
მისდაძი პატივისცემითა და ნდობით“.¹⁰

ხოლო მეორეგან იგივე ი. მეუნარგია მიუთითებდა: „დიდი ხანია და-
ვეხეტები ქვეყნად. ბევრი შესანიშნავი ქართველი კაცი გამიცნია, ბევრს
კი არა, თითქმის ყველა ჩვენი საჩინო მწერლის თუ არ მეგობარი, ახლო
ნაცნობი მაინც ვარ და გულზე ხელდადებით შემიძლია ვთქვა: გრიგოლ-
ორბელიანისებრ გონიერი ქართველის მნახველი არა ვარ“.¹¹

7 გრ. ორბელიანი, თხზ., თბ., 1959 წ., გვ. 164.

8 იქვე, გვ. 165.

9 იქვე.

10 ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, წიგნი 1, თბ., 1954 წ., გვ. 152.

11 იქვე, გვ. 151.

ასეთი დახასიათება ბევრ ქართველ მოღვაწეს არ ღირსებია. ეს პოეტმა დაიშასხურა თავისი დიდი ინტელექტისა და ცხოვრების მეტად რთული და მტკივნეული მოვლენების ობიექტური შეფასების წყალობით.

როგორც ცნობილია, 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად 1878 წელს ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე რუსეთის იმპერიას შემოუერთდა არდავანი, ყარსი, ბათუმი, ისტორიული ქართველების წყალობით ჩამოცილებული შვილები თავიანთ სამშობლოს დაუბრუნდნენ. ამ სამახსოვრო მოვლენის გამო აღფრთოვანებული გრ. ორბელიანი სოფიო ორბელიანს შემდეგს სწერდა:

„ასე, ჩემო სოფიო, უკეთილ-მსახურების დიდის იმპერატორის ძლიერებამ დაჰსცა საუკუნოდ მაჰმადიანობა, დაუძინებელი მტერი ქრისტიანობისა და ჩვენი ძმანი, ძველნი ქართველნი, აჰარა, ლივანა, ქობულეთი ბათუმით განათავისუფლა ოთხასის წლის ტყვეობიდან და შეუერთდა დედსაქართველოს, და აღსრულდა იგი სასწაული, რაცა არა გვეზრუნა! აღსრულდა დიდი საისტორიო საქმე სახსოვრად საუკუნეთათვის, რომლისა შედეგსა ეხლა ვერ მიხვდება გონება კაცისა“.¹²

ი. მეუნარგიას გადმოცემით, როდესაც ეგრეთწოდებული „ოპმალის საქართველოდან“ მოვიდა თბილისში დიდი დეპუტაცია ხიმშიაშვილების, აბაშიძეების, ბეჟანიშვილების შემადგენლობით, ქართველ ინტელიგენციას ხელახლად შეძენილი ძმებისათვის სადილი გაუმართავს, სადაც მგზნებარე სიტყვით გამოსულა გრ. ორბელიანი. პოეტს ასე მიუმართავს სადილზე მყოფი საზოგადოებისათვის:

„ბატონებო! რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარია? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზღვეულად, მოულოდნელად შეხვდნენ, იცნეს და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა“.¹³

როგორც ჩანს, პოეტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა იმის გამო, რომ საქართველოს შვილნი, „დაკარგულნი ერთმანეთისათვის“, კვლავ ერთმანეთს „გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა“, რომ ამოვიდა „მზე ჩვენი შეერთებისა“.

მაგრამ პოეტსა და მოქალაქეს ის აწუხებდა, რომ თვითმპყრობელობას უსაფუძვლო მკაცრი ზომები არ მიეღო ამ უდანაშაულო ხალხის წინააღმდეგ და ამით არ გამოეწვია მოსახლეობის მღელვარება. გრ. ორბელიანი ნიმუშად ასახელებს აფხაზეთს, სადაც მთავრობის „წყალობით“ ხალხი აჯანყებამდე მიიყვანეს.

ამ საკითხის გამო გრ. ორბელიანი ლევან მელიქიშვილს სწერდა: „დიდად მეშინია, რომ აჰარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოის სულები და არ აღმოჩნდეს ახალს შეუჩვეველის ხალხში მეუფება ჩინოვნიკებისა, როგორც აფხაზეთში, სადაც დაამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელ იქ შესულს ხაზინას და არა ხალხს, რომელიცა აქა მკვიდრობს ნოეს დაბადებიდან!“¹⁴

12 ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, წიგნი I, თბ., 1954 წ.

13 იქვე.

14 იქვე, გვ. 113.

გრ. ორბელიანს სჯეროდა, რომ საქართველოს, რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფს, ვერაინ ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ შიშობდა დასრულებით სამართლიანად, როგორც წერდა ი. მეუნარგია, რომ „ახალი პროვინციის მმართველებს ვერ ეპატრონათ კარგად ხალხისათვის და ამის გამო ხალხი თვითონ არ აყრილიყო და არ წასულიყო ოსმალებს, რაზედაც იმას ჰქონდა უფლება ბერლინის ტრაქტატის ძალით“. ¹⁵ ეს კი მომავდინებელი ფაქტი იქნებოდა ერისა და ქვეყნისათვის.

როგორც ცნობილია, პირველად ი. მეუნარგიამ აღწერა ვრცლად გრ. ორბელიანის ცხოვრება და მანვე მიუთითა იმ გარემოებაზე, თუ რა ზემოქმედება მოახდინა პოეტზე მკვიდრი კავკასიელების აყრამ თავიანთი მამაპაპული ადგილებიდან და თურქეთში გადახვეწამ.

მოხუცი პატრიოტის, უანგარო მამულიშვილის შიში, საუბედუროდ, მალე გამართლდა. თითქმის მთელი ყარსის მოსახლეობა აიყარა და წავიდა ოსმალეთში, რამაც პოეტის დიდი დამწუხრება გამოიწვია. ამ საკითხთან დაკავშირებით დ. ი. მირსკისადმი 1879 წ. გაგზავნილ წერილში გრ. ორბელიანი გულისტკივილით აღნიშნავდა:

„ამჟამად ყარსის ოლქი წარმოადგენს სამწუხარო სურათს მოხრებისას. 200 ათას სულზე მეტი ოსმალეთში გადასახლდა. სირცხვილია ჩვენთვის, რომ, ვით კირიანებს, გაგვირბის ხალხი! მაშ, ამდენ სისხლს რაღასთვისა ვღვრით, რად ვიმორჩილებთ! უდაბნოებს, აბა, რაში გამოადგებათ და ხალხს კი ველოვებით! აჭარაშიაც დიდი უკმაყოფილებდა და ყოველსავე ამას ფანატიზმს ამიზღვებენ, რა სიბეცეა, მიზღვი თვალით სჩანს კარგათა. სტარიაკა ერისთავი იტყოდა ხოლმე: არ ცოდნა და უნდობლობაა ერთად შეერთებულიო“. ¹⁶

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა გრ. ორბელიანის მეორე წერილიც ბარბარე ორბელიანის მისამართით, სადაც აგრეთვე მითითებულია:

„გაურბიან ჩვენს მართვა-გამგეობას ყველანი: ყირიმი დიდი ხანია დაცარიელდა, აფხაზეთიც აგრეთვე, დაცარიელდა და გატიელდა ყარსის ოლქი; რიგი ახლა აჭარაზე მიდგა, ამ უძველეს საქართველოს ნაწილზე, რომელშიაც დღემდე არის წმინდად ქართული ენა შემონახული... სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი კი უტყუარია“. ¹⁷

ხოლო 1880 წელს ნიკო ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ ბარათში გრ. ორბელიანი წერდა:

„... რუსეთის მოხელეები ხალხთა სიძულვილის მოხვეჭის შეუდარებელი ოსტატები არიან“.

ცხადია, მუშა „ბოქულაძისა“ და „მუხამბაზის“, „იარალისა“ და „მოგზაურობის...“ ავტორი, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, მაშინ სოციალურად და პოლიტიკურად, მატერიალურად და კულტურულად დაჩაგრული საქართველოს ქვეშეობრივი შვილი, პოეტი და მოქალაქე გულგრილი ვერ იქნებოდა მოძმე აფხაზი, ჩერქეზი, ყაბარდოელი ხალხების ბედისადმი,

15 ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, წიგნი I, თბ., 1954 წ., გვ. 113.

16 იქვე.

17 იქვე.

მათი ბრძოლისადმი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. გრ. ორბელიანი იყო საუკეთესო წარმომადგენელი იმ ქართველი ინტელიგენციისა, რომელსაც, პროფ. გ. ძიძარას თქმით, „გარკვეული წვლილი მიუძღოდა აფხაზი ხალხის კულტურისა და განათლების საქმეში XIX საუკუნის მანძილზე“.¹⁸

გრ. ორბელიანი ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწეა, რომელმაც მიუღდომლად შეაფასა აფხაზი ხალხის მღელვარება გასული საუკუნის 60-70-იან წლებში და მოვლენებსა და საგნებს თავიანთი სახელი უწოდა.

აფხაზეთში 1866 წლის აჯანყების მიზეზს იგი ხედავდა მშრომელი ხალხის ძიძმე სოციალურ ცხოვრებასა და იმ ეროვნულ ჩაგვრაში, რომელსაც ამ მზიანი მხარის მკვიდრნი განიცდიდნენ ცარიზმისაგან. პოეტმა ამ ცნობილ ისტორიულ აჯანყებას, რომელიც მიმართული იყო როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მეტად დიდი ადამიანური გულით შეხედა და საკმაო სიმართლით აგვისასა იგი.

ცნობილია, 1866 წლის აჯანყებას მოჰყვა ის სამწუხარო შედეგი, რომ აფხაზეთის მოსახლეობა აიძულეს აყრილიყო თავისი სისხლბორცეული ადგილებიდან და თურქეთში გადახვეწილიყო. ამ მოვლენას გამოეხმაურა მთელი მაშინდელი პროგრესული საზოგადოებრიობა.

აფხაზი ხალხის ისტორიაში ამ ყველაზე მეტი ტრაგიზმით აღსავსე ფაქტს დიდი გულისტკივილითა და აღშფოთებით შეხვდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, პერიოდული პრესა. მათ ხმა აღიმოდღეს ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ.

გრ. ორბელიანი განსაკუთრებული სიმპათიით ეპყრობოდა აფხაზ ხალხს, თანაუგრძნობდა მას დიდ მწუხარებაში და გამოთქვამდა აღშფოთებას უდანაშაულო მოსახლეობის აწიოკებისა და აყრის გამო. თავის შეხედულებებს იგი დაუფარავად უზიარებდა ახლო ნათესავებს, მეგობრებს, მსახურეულ პირთ და ცდილობდა ამ ეპოქალური ძვრების ანალიზი მოეცა.

მართალია, ქართველი პოეტის შეხედულებები ცხოვრების მიერ წამოჭრილ საკითხებზე ყოველთვის ვერ შეესაბამებოდა ახალი თაობის ინტერესებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ გრ. ორბელიანი იყო უანგარო პატრიოტი, ხალხისა და მამულის მოსიყვარულე, თავისი სამშობლოს ტანჯულ წარსულსა და აწმყოში ღრმად ჩახედული და სწორედ ეს გრძნობა კარნახობდა მას გულისხმიერება გამოეჩინა მოძმე ერების ტანჯული ცხოვრების მიმართაც, აეხსნა მათი ეროვნული ტრაგედიის მიზეზები და ეძია ის სოციალური და პოლიტიკური საწყისები, რომლებმაც ხალხები კატასტროფის წინაშე დააყენა.

გრ. ორბელიანს ვერ მოვთხოვთ ამ ცნობილი ისტორიული მოვლენების ყოველმხრივ ამომწურავ ანალიზს, მაგრამ ის საზომი, ის კრიტიკიუმი, რომლითაც იგი მიუღდა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში კავკასიაში, კერძოდ აფხაზეთში მომხდარ მოვლენებს, იმ დროისათვის მეტად პროგრესულს წარმოადგენდა. სახელდობრ, საკითხი ენება ქართველების (აჭარლების), აფხაზების, ჩერქეზებისა და სხვა კავკასიელ ხალხთა გადასახლება მშობლიური მიწიდან თურქეთში. პოეტი სრულიად სამართლი-

¹⁸ იხ. ნარკვევები აფხაზეთის ასრ ისტორიიდან, წიგნი I (რუსულ ენაზე), სოაზომი, 1960 წ., გვ. 276.

ანად სვამს კითხვას: ძალდატანებითი თუ ნებაყოფლობითი იყო ეს გადასახლება, რას უნდა აეძულებინა ადგილობრივი მოსახლეობა, რომ მშობლიური მიწა-წყალი, სადაც მათი აკვანი დაირწა, მათი წინაპრების ძვლები იყო ჩაფლული, მიეტოვებინა და უცხო, შორეულ, მისთვის უცნობ მხარეში გადასახლებულიყო?

ამ მიზეზად მხოლოდ რელიგიური ფანატიზმის აღიარება, გულუბრყვილობა იქნებოდაო, მიუთითებდა იგი.

„ნათუ, — წერდა პოეტი, — ყველაფერი ეს აიხსნება ფანატიზმით? მართალია, ნაწილობრივ ზემოქმედებას ახდენს ფანატიზმიც, მაგრამ არსებობენ სხვა არანაკლებ საყურადღებო მიზეზებიც. ჩემის რწმენით, სადაც მმართველები ილწვიან მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, იქ არ მეღავენდება ფანატიკური გრძნობა მთავრობის წინააღმდეგ, თუმცა გამონაკლისი აქაც შეიძლება არსებობდეს. ადამიანს, რომელ რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, პირველ ყოვლისა სურს და ეძებს მშვიდობიან, უშფოთველ, უწყინარ ცხოვრებას. ასეთი ადამიანი ძალდატანების გარეშე, უდრტივნიველად ემორჩილება სამართლიან კანონებს, რომელ ენაზეც არ უნდა იყვნენ ისინი დაწერილი“.¹⁹

როგორც ამონაწერიდან ჩანს, გრ. ორბელიანი ცდილობს მონახოს ამ ძვრების ობიექტური მიზეზები. რელიგიური ფანატიზმი, მისი აზრით, მხოლოდ საბაბია, რომლის მიღმა უნდა არსებობდეს ნამდვილი საფუძველი და ეს მან მეფის მთავრობის უსამართლო კანონებში პოვა. მისი სიტყვები: „ადამიანი ძალდატანების გარეშე, უდრტივნიველად ემორჩილება სამართლიან კანონებს“ იმ კონტექსტში სხვა არაფერია, თუ არა იმის აღიარება, რომ აფხაზი და ჩერქეზი თავის სამშობლოდან უსამართლობას, უკანონობას, ეროვნულ ჩაგვრას გაექცა. ამ აზრს შემდეგ გრ. ორბელიანი აშკარადაც იტყვის. მაგრამ ორბელიანის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ მას სჯერა, თითქოს მეფემ და მისმა კამარითმა არ იცოდნენ რუსეთის განაპირა მხარეებში, კერძოდ აფხაზეთში, ხალხის ასეთი ეროვნული ჩაგვრის ამბავი. მისი აზრით, ეს ტრაგედია უმთავრესად ცუდად შერჩეული, მოუშაადებელი, გაუნათლებელი ადგილობრივი მოხელეების, მმართველების თვითნებური მოქმედების მიზეზია და არა თვითმპყრობელური სისტემისა. ამიტომ გრ. ორბელიანი გულწრფელად აცხადებდა, რომ განათლებული ჩინოვნიკობა ჩაეყენებინათ ხალხის მმართველობის სათავეში და უძეყოფილება თავიდან იქნებოდა აცილებული. პოეტი ასე მსჯელობდა:

დივიზიის (რომელშიც 16 ათასამდე მეომარია) მეთაური რომ გახდეს კაცი, მას უნდა ჰქონდეს 30 წლის ნამსახურების სტაჟი, გამოვლენილი პატიოსანი შრომით და ნათელი გონებით. ასეთი პირები უკვე ადრევე ცნობილი არიან მთავრობისა და საზოგადოებისათვის. ისმის კითხვა, რით ან რა დამსახურებით არიან ცნობილი უბნის მოსამართლეები, რომელთაც ანდობენ 20 ათასიან მოსახლეობას, რატომ არ არიან ისინი შესწავლილი. 20 ათასი სულის ბედი მათ ხელშია. პატარა ხელფასი ვერ მოიპყრობდა მათს ყურადღებას, რომ არ იყოს რწმენა, რამდენიმე წელში მათ ექნებოდათ დიდი ქონება. ამიტომ ისინი თავს არ იწუხებენ ხელქვეითი ხალხის კეთილდღეობაზე; ისინი მხოლოდ ფულისა და ქონების მოხვეჭაზე

¹⁹ ი. მეუნარაია, ქართველი მწერლები, წიგნი I, თბ., 1954 წ., გვ. 113.

ფიქრობენ და მთავრობის ყველაზე კეთილშობილურ განზრახვასაც კი მხამავენ ანგარების მიზნით.

ასე ფიქრობდა ხალხის ბედით შეწუხებული მამულიშვილი და ხსნას რეფორმებში, განათლებაში ხელდავდა, ვერ ამჩნევდა რა ბიუროკრატიული მთავრობის მართვის სიღამპლეს.

ამიტომ გრ. ორბელიანი განათლებული ჩინოვნიკების საშუალებით ფიქრობდა ხალხსა და მთავრობას შორის საერთო სიტყვის გამონახვას. იგი მოუწოდებდა მთავრობას, რომ უმაღლესი განათლების მქონე კულტურული ჩინოვნიკები ჩაება სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

სხვათა შორის, ასეთივე აზრის იყო ზოგიერთი რუსი ოფიცერი და მათ შორის დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკიც.²⁰

ინტერესს არ იქნება მოკლებული აქვე მივუთითოთ, რომ აფხაზი ხალხის ღვიძლი შვილი, ამ ამბების უშუალო მონაწილე, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გ. შარვაშიძე დაახლოებით ანალოგიური შესედულებისა იყო დასმულ საკითხზე.²¹

გრ. ორბელიანს გულწრფელად სჯეროდა, რომ „განათლებული ახალგაზრდა მოღვაწენი (ჩინოვნიკები — ო. ჯ.), რომლებიც ახლოს გაეცნობიან მოსახლეობას და შეისწავლიან მისი აზრების, შეხედულებების, ადათ-წესების, ზნეობის, რელიგიის თავისებურებას, მის მოთხოვნებს, იმ არსობას, რაც შეადგენს ადამიანის და ერის ცხოვრებას, ბევრ სიკეთეს მოუტანენ მთავრობასა და ხალხს“.²²

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანის მიერ მთელი პროგრამაა ჩამოყალიბებული, რომლის შესრულება, მისი აზრით, დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხსა და მმართველობას, აღკვეთდა შემოერთებული ხალხების მღელვარებას, გამოსვლებს.

დღეს საყოველთაოდ ნათელია ამ პოზიციის არსი. ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად წერს პროფ. კ. მეძველია:

„მართალია, გრ. ორბელიანი ვერ ხედავს ხალხის ჩაგვრის ნამდვილ მიზეზს და ყოველივე ამას ჩინოვნიკების უხეშობით ხსნის, მაგრამ ეს კი ფაქტია, რომ იგი დაინტერესებულია ხალხის ღუხჭირი ცხოვრების გაუმჯობესებით და თანაუგრძობს მას“.²³

ზედმეტი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ ასეთი შეხედულება ჭეცხო არ იყო XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართველი ინტელიგენციისათვის — კერძოდ, ისეთი რადიკალური მოაზროვნისათვისაც კი, როგორიც იყო სერგეი მესხი. ეს უკანასკნელი შემართებით იბრძოდა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის, მისი ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ, ამავე დროს, ხალხის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, არაიშვიათად მიმართავდა ლიბერალიზმის ასეთ საშუალებებსაც. ს. მესხის ცხოვრებისა და შემოქმედების ცნობილი მკვლევარი პროფ. ი. ბოცვაძე წერს:

„სერგეი მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ მთიელთა უკმაყოფილები-

²⁰ გ. ძიძარია, 1866 წლის აჯანყება აფხაზეთში (რუსულ ენაზე), სოხუმი, 1955 წ., გვ. 101.

²¹ გ. შარვაშიძე, ასე იწერება ისტორია (რუსულად). ვაზ. „ზაკავკაზი“, № 25, 126, 1910 წ.

²² ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, წ. 1, თბ., 1954 წ., გვ. 153.

²³ კ. მეძველია, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1967 წ., გვ. 132.

სა და ამბოხების მიზეზი იქ წარგზავნილი ბიუროკრატი და დესპოტი მოხელეები არიან, რომლებიც უხეშად თელავენ მათ რწმენას, თავმოყვარეობას და სარწმუნოებას; არავინ ზრუნავს მთიელთა განათლებაზე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ნაცვლად დახმარების ხელის გაწოდებისა, მათ როზგი უპყრიათ და მით უსწორდებიან ხშირად სრულიად უდანაშაულო ხალხს“.²⁴

ს. მესხი მთავრობას მოუწოდებდა, რომ მას მთიელთა სოფლებში განათლებული ჩინოვნიკები გაემწესებინა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები გაეხსნა და ამით იგი ხალხის გულს მოიგებდა.

გრ. ორბელიანი დაუნდობელი იყო კემმარტიტებისათვის ბრძოლაში სწორედ მან მეფის რუსეთის მთავრობა, ცარიზმის მოხელეები, მთელი ბიუროკრატიული სისტემა დაადანაშაულა აფხაზი ხალხის აჯანყებაში 1866 წელს. რომ უფრო ნათელი იყოს გრ. ორბელიანის დამოკიდებულება ან მოვლენისადმი და საერთოდ აფხაზი ხალხისადმი, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს პოეტის ერთი წერილიდან 1866 წლის 6 სექტემბრის თარიღით გრ. ორბელიანი თავისი დისწულის, დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის, სიყრმის მეგობარს, მალალი რანგის ჩინოვნიკს ლ. მელიქიშვილს აი რას სწერდა:

„აქამდის მიიყვანეს იქაურმა (აბხაზეთის) ნაჩაღნიკებმა ხალხის შეწუხება, უგუნურის ქცევითა, ლანძღვა-თრევეითა, ყოველგვარი შევიწროებითა, უსამართლოებითა, რომ ხალხმა ვეღარ გაუძლო და მოჰკლეს კონიარის, ჩერპოვი, იზმაილოვი და მათთან ყაზახებიცა, დასწვეს ტრაპეცი და ნახევარი სოხუმი, სადაც ოთხი თვე იყო ომი. ახლა გავუზავნეს 24 მგონია ბატალიონი, მილიცია, იმერეთიდან, გურიიდან, მინგრელიიდან და ეძებენ მიზეზსა აღმფოთებისა. მიზეზი რა შორს არის? ჩვენ ვართ მიზეზნი! ყურს არ ვუგდებთ და არ ვიცით ვინ სად გავუზავნოთ ხალხის მოსავლელად. ამასთან წარმოიდგინე გუშინ აფხაზეთიდან გამოიყვანეს მთაჯარ და დღეს გავუზავნეს კომისია სტატისტიკურის აღწერისათვის მხარისა კომისია განთავისუფლებისათვის ყმებისა... კომისია აღწერისათვის მთავრის მამულებისა და იფიქრეთ ახლა ამოდენი კომისიები ერთს დროს ერთს ქვეყანაში შესულნი ვის არ ააბუნტებენ და მიზეზსა სადღა ეძებენ და აი, ერთის დაუდევნელის განკარგულებისაგან რაოდენი უბედურებ წარმოსდგა, რაოდენნი დაიხოცნენ, რაოდენნი გაოხრდნენ და ახლა რაოდენნი დაიხევიან. რაოდენთა მიადგებათ უსამართლობა... ახლა მოგვიტანეს ამბავი, რომ იარალსა ართმევენ ხალხსა. დიახ, კარგი, მაგრამ ვან იარალი იყო მიზეზი ხალხის აშლისა? ეგ იარალი ხომ შარშანაც ჰქონდა და უფრო აღრეცა, მაშინ, როდესაც აფხაზეთის გარშემო იყო სამინელობრძოლა? მამასადამე, ჩემის ფიქრით, იარალს ართმევენ მხოლოდ იმისათვის, რომ შემდგეში რაც უნდა მწუხარება მიადგესთ, ხალხმა ვეღარ სთქვას რა... მსურთ ხალხის უიარალობა? შეიყვარონ ხალხი და ზრუნავდნენ მისთვის კეთილსა“.²⁵

ეს წერილი (და საერთოდ გრ. ორბელიანის მეტად მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა) დიდი ისტორიული ღირებულების დოკუმენ-

²⁴ ი. ზოცვაძე. ს. მესხი და 70-80-იანი წლებს ქართული პრესა, თბ., 1958 წ. გვ. 120.

ტია, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სათანადოდ არ არის შესწავლილი. მას არაერთგზის დაუბრუნდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მკვლევარი.

ორველად მას შეეხო ი. მეუნარგია და აქედან გახდა იგი ხელმისაწვდომი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ამ წერილის მიხედვით გრ. ორბელიანი მოჩანს მეტად საღად, ობიექტურად მოაზროვნე მოღვაწედ. რომლისთვის სულ ერთი არ იყო ხალხის უმწეო მდგომარეობა. პოეტს გული შესტიოდა სხვა ერის შვილებისადმი და ეძებდა გზებს მათი უბედურების თავიდან ასაცილებლად. ამ წერილში გრ. ორბელიანი აღშფოთებულია მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკით, იმ დამოკიდებულებით, რომელსაც იგი იჩენდა დამორჩილებული თუ შემოერთებული ხალხების მიმართ. პოეტი სასტიკად გმობდა „ინოროდცების“ ენის, კულტურის, ყოფის, ტრადიციების აბუჩად აგლებას. ამაში იგი თვითმპყრობელობის ძალმომრეობას ხედავდა.

კავკასიაში მომხდარი ფაქტების საღი ანალიზი, ხალხის დუხჭირ ყოფაში ღრმად ჩახედვა, მოვლენის არსობის ძიება იმთავითვე ახასიათებდა გრ. ორბელიანს.

როგორც ცნობილია, სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადეშქელიანმა თავხედური მიღებისა და ძალმომრეობისათვის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ა. ი. გაგარინი 1857 წელს ხანჯლით მოკლა, რისთვისაც იგი იმავე წელს სიკვდილით დასაჯეს. ამ ფაქტის გაჰო გრ. ორბელიანი დაღესტნის სამოქალაქო საქმეთა მმართველს დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა:

„აი, ჩემო დემეტრე, სულ ამას ვამბობდი და ვამბობდი, რომ ეგრე ერთბაშად, სხარტულად ახლის რჯულის შეტანა და ძველისა დარღვევა, აი, რას მოასწავებს? იმდენი დღეგრძელობა მე მქონდეს რამდენი ამ გვაირი საქმე მოხდეს მენგრელიაშიაცა!

აბა ერთი ვსთქვათ, დადეშქელიანის ოჯახის ამოფხვრა რას სარგებლობას მისცემს ჩვენს მმართველობას...“²⁵

ხოლო მეორე წერილში იმავე მისამართით 1858 წლის 28 ივნისის თარიღით იგი წერდა: „სულ ომი, სულ აღრეულობა, სულ სისხლი და ყოველივე ამას ვაბრალებთ საწყაალს ხალხსა, რომელისა არც ჩვეულებასა და არც ისტორიასა აქამოდის არ მიმხვდარავართ“.²⁷

სხვათა შორის, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ კავკასიელი ხალხების (ქართველების, აფხაზების, ყაბარდოელების და სხვ.) ხშირი აჯანყების მიზეზი იყო სწორედ მძიმე სოციალური და ეროვნული მდგომარეობა.

თითქოს ახდლო გრ. ორბელიანის წინასწარმეტყველება. 1857 წელს აჯანყდა სამეგრელო, ხოლო 1866 წელს — აფხაზეთი. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ აჯანყებებს გრ. ორბელიანმა მისცა საკმაოდ ობიექტური შეფასება, გაამართლა ისინი პოლიტიკურად და მორალურად.

25 იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1954 წ., გვ. 154.

26 გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, თბ., 1937 წ., გვ. 230.

27 იქვე, გვ. 245.

მან, როგორც კერძო წერილებიდან ჩანს, აჯანყებულ ხალხებს დაუჭირა მხარი. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ მოვიტანთ გრ. ორბელიანის ერთი წერილის ნაწყვეტს, 1882 წ. მიწერილს დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკისადმი:

„მინისტრების მიერ კავკასიის მხარის თავისებურებათა უგულვებელყოფა არის უდიდესი ბოროტება მშვიდობიანობის დამყარებისათვის აქაურ მოსახლეობაში, რომელიც ხასიათდება რელიგიის, ენის, ადათ-წესების, შეხედულებათა ნაირსახეობით. ამიტომ მათთვის ნიშანდობლივი თავისებურების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გავიგოთ მოსახლეობის გასაჭირი და მოთხოვნილებები და, ბუნებრივია, თავიანთ კეთილშობილურ მიზანს ვერ მიაღწევენ მთაწარმის თუნდაც ყველაზე ბრძნული, ღვთისნიერი განკარგულებები მხარის კეთილდღეობისათვის.“²⁸

პოეტის ბიოგრაფის ი. მეუნარგიას ცნობით, „გრ. ორბელიანი სულ ამას ჩიოდა, რომ ჩვენში სასამართლოები ხალხისათვის უცნობ ენაზე აწარმოებენ საქმეს“.²⁹

ასე მოუხრიდებლად, პირდაპირ, გაბედულად იბრძოდა გრ. ორბელიანი თვითმპყრობელობის ძალმომრეობის წინააღმდეგ ჩაგრული ხალხების ეროვნული და სოციალური უფლებების დასაცავად.

ილია ჭავჭავაძე

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ი. ჭავჭავაძე მონღოებით, მისთვის ჩვეული გულისყურით ადევნებდა თვალს კავკასიელი ხალხების ცხოვრებას გასული საუკუნის მეორე ნახევრის მანძილზე, მეტად დაინტერესებული იყო აფხაზეთით, აფხაზი და ქართველი ხალხების ურთიერთობით, მათი წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

სწორადაა აღნიშნული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „ი. ჭავჭავაძე უბრწყინვალესი ქართველი სოციოლოგია, რომელმაც საზოგადოებრივი კანონზომიერების ღრმა ჩაწვდომის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა“.³⁰

მისი ინტერესი აფხაზეთისა და აფხაზებისადმი, ამ მოძმე ხალხის ყოფა-ცხოვრების, კულტურის, ადათ-წესების, სარწმუნოების, ზეპირხსიტყვიერებისა და ტრადიციებისადმი გაიზარდა მას შემდეგ, რაც საკუთარი პერიოდული ორგანო „ივერია“ დააარსა (1877 წ.).

„ივერია“ ადამიანური თანაგრძნობით, მაგრამ ობიექტურად ასახავდა აფხაზეთის ცხოვრებას, მისი კულტურის, სოციალური ურთიერთობის, პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის, ეროვნული ყოფის რთულ საკითხებს. იგი თავის გარშემო შემოკრებილი პროგრესული მოღვაწეების საშუალებით თანმიმდევრულად იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, თანაბარი ძალით ეხმარებ-

²⁸ ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. I, თბ., 1955 წ., გვ. 156.

²⁹ იქვე.

³⁰ გ. აბუაინიძე, ნარკვევები XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959 წ., გვ. 33-34.

ბოდა საერთოდ კავკასიის მკვიდრთ და, კერძოდ, მოძმე აფხაზი ხალხის თავგამოდებას ეროვნული უფლებების გარკვევისა და მოპოვებისათვის.

როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. გ. ჭიბლაძე, „ილია ჭავჭავაძე ერთი იყო შემოქმედებაში, აზროვნებაში, პრაქტიკულ მოღვაწეობაში“.³¹

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ ქვეყნდებოდა მეტად საყურადღებო ინფორმაციები, საინტერესო მასალები აფხაზეთის შესახებ. გაზეთს ჰქონდა საგანგებო რუბრიკა: „აფხაზეთი“, „ქ. სოხუმი“, „დ. გუდაუთა“, „დ. ოჩამჩირე“, „სამურზაყანო“, „აბუჯა“, „აფხაზეთ-სამურზაყანო“, „დ. ოქუმი“.

ი. ჭავჭავაძეს თავისი პერიოდული ორგანოს — „ივერიის“ ერთ-ერთ რედაქტორად აფხაზეთის ღვიძლი შვილი, ცნობილი ჟურნალისტი და მკვლევარი დ. ჩქოტუა უნდოდა, რომ ამ უკანასკნელს ბედი არ მოცაროდა და ციმბირში არ გადაესახლებინათ.³² ი. ჭავჭავაძეს ასევე მოწვეული ჰყავდა თანამშრომლად აფხაზი იურისტი და სწავლული დავით გრიგოლის ძე ანჩაბაძე. წლების მანძილზე „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი იყო აფხაზი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე. „ივერიაში“ აგრეთვე თანამშრომლობდნენ ცნობილი მასწავლებლები და საზოგადო მოღვაწეები აფხაზეთიდან: თ. სახოკია, პ. ჭარაია, ნ. ჭანაშია, ანთ. ჭულელი, ივ. გეგია, ალ. გოგოზია, დ. და კ. მაქავარიანები. ამთ გარდა „ივერიის“ აქტიური კორესპონდენტები იყვნენ აფხაზეთიდან: კ. გვასალია, თ. გოგიტიძე, პ. გაბისონია, გრ. დადიანი, მ. ხონიანი („მეჭი“), გ. ლომთათიძე („გეო“), სპ. ნორაიძე, პ. ასათიანი, ნ. კალანდაძე („კოლო“), „აბუჯინო“ (?), „აფსუა“ (?) და სხვა მრავალი, რომლებიც აქვეყნებდნენ მეტად საყურადღებო კორესპონდენციებს, ინფორმაციებს, სტატიებს, ეთნოგრაფიულ წერილებს, ფოლკლორულ მასალებს აფხაზეთის შესახებ. აფხაზეთის წარსული და აწმყო, კულტურა და სახალხო განათლება, სოფლის მეურნეობა და კაპიტალიზმის განვითარება, მეფის მთაერობის კოლონიური პოლიტიკა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, საქველმოქმედო საზოგადოებები და ქართულ-აფხაზური ურთიერთობა — აი. წყება საკითხებისა, რომლებიც აფხაზეთიდან „ივერიის“ თანამშრომლების განხილვის საგანს წარმოადგენდა.

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ აღძრა ცხოველი ინტერესი აფხაზი ხალხის მდიდარი ფოლკლორისადმი. პირველად სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა აფხაზური ანდაზები ქართული ტრანსკრიპციით აფხაზურ და ქართულ ენებზე პ. ჭარაიას (გიორგიძის) პუბლიკაციით.³³ ამავე გაზეთში დაიბეჭდა თ. სახოკიას, პ. ჭარაიას, ნ. ჭანაშიას, თ. ხუსკივაძის, კ. მაქავარიანის, ანთ. ჭულელის, გრ. დადიანის, კ. გვასალიას, პ. გაბისონიას და სხვ. მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული წერილები აფხაზი და ქართველი ხალხების შესახებ. „ივერია“ „დროებასთან“ ერთად იყო ის ორგანო, რომელმაც ფართოდ გააცნო ქართველ მკითხველს მოძმე აფხაზი ხალხი, მისი გმირული წარსული, სულიერი და მატერიალური კულტუ-

³¹ გ. ჭიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1966 წ., გვ. 100.

³² დაწვრილებით იხ. ჩვენს ნაშრომში „დავით ჩქოტუა“, სოხუმი, 1969 წ., გვ. 13-19.

³³ „ივერია“, № 198, 203, 206, 208, 1888 წ.

რა, ეთნოგრაფია, ფოლკლორი, მანვე გასწია დიდი პროპაგანდა აფხაზური დამწერლობის დაარსებისათვის.

სხვათა შორის, 1888 წლის „ივერიაში“ (№ 46) არის გამოქვეყნებული ასეთი შინაარსის მეტად საინტერესო ინფორმაცია:

„ერთს ახალგაზრდა განათლებულს აფხაზს განუზრახავს აფხაზურის მწერლობის დაარსება და კიდევ შეუდგენია აფხაზური ანბანი“.

ეს ცნობა მეტად საყურადღებოა მეცნიერებისათვის. ყოველ შემთხვევაში ჭერჭერობით უცნობია ამ პერიოდში (1888 წლისათვის) რაიმე აფხაზური ანბანის შედგენის ფაქტი. როგორც ცნობილია, პირველი აფხაზური ანბანი გამოიცა 1865 წელს, მეორე 1892 წელს. შეიძლება შუალედში კიდევ იყო ცდა ახალი აფხაზური ანბანის შედგენისა? აფხაზი სწავლულებისათვის (გ. ძიძარია, შ. ინალ-იფა, ხ. ბლაქვა) უცნობია ასეთი ფაქტის არსებობა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ივერიას“ ჰქონდა საფუძველი ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძის, როგორც ეურნალისტი, კერძოდ რედაქტორის, ერთი მეტად საყურადღებო თავისებურება, რაზედაც მისი თანამედროვე მოღვაწეები მიუთითებდნენ. იგი განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა პერიოდურებში მოღვაწე ადამიანებს, მათ შორის თავისი პერიოდული ორგანოს თანამშრომლებს. ზრუნავდა მათზე, ხელს უშარბავდა. „ილია მეტად აფასებდა პროვინციებიდან შემოსულ მასალებს, — მოგვიტხრობს ს. მგალობლიშვილი, — „პროვინციაში ცოტა მუშაობები გვყავს. ყველა ქალაქში გამოიბის. არ გამოექცეთ პროვინციას... იმუშავეთ ხალხში, ცნობიერება შეიტანეთ. ჩვენი ხალხი ნიჭიერი და „ჭკუის კოლოფია“, ყოველივე კარგს მალე მიიღებს. მისი გული თვისისათვის კარგ ნიადაგს წარმოადგენსო“.³⁴

ასე მამობრივი მზრუნველობით ეპყრობოდა ი. ჭავჭავაძე ერის სამსახურისათვის თავგამოდებულ ადამიანებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე იპ. ვართაგავა სამართლიანად მიუთითებდა:

„ვინ იცის, მზრუნველი რედაქტორის ამგვარმა მოქმედებამ რამდენი ჰეშმარტი კალმოსანი შესძინა ქართულ ეურნალისტიკას? რამდენ დამწყებ მწერალს იმედის ნაპერწკალი აუნთო გულში და ფართო შემოქმედებით სარბიელზე გამოიყვანა“.³⁵

ი. ჭავჭავაძემ სწორედ პრესის საშუალებით შემოიკრიბა თავის გარშემო პერიოდურებში მცხოვრები პროგრესულად განწყობილი ადამიანები და მათი საქმიანობა ხალხის, სამშობლოს საკეთილდღეოდ წარმართა.

გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელნი, XIX საუკუნის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი და თვით ი. ჭავჭავაძე, მხარში ედგნენ მოძმე აფხაზ ხალხს მისთვის ყველაზე მძიმე წუთებში და იმადლებდნენ ხმას მამინ აფხაზეთში გამეფებული უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ თავისუფლებისა და მეგობრობის სადიდებლად.

34 ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938 წ., გვ. 165.

35 იპ. ვართაგავა, XIX ს. ქართული ეურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბ., 1957 წ., გვ. 127.

ი. ჭავჭავაძის, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეს, საქართველო და აფხაზეთი ისტორიულად ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ჰქონდა წარმოდგენილი, რომლის დაქუცმაცება, მისი მართებული აზრით, დამლუპველი იყო ორივე მხარისათვის. ეს მიწა-წყალი ამ ორივე ხალხის წინაპართა სისხლითა და ოფლით იყო გაპოხიერებული, მამა-პაპათა ძვლებითა და სამარხებით მოფენილი.³⁶

ქართველი და აფხაზი ხალხების წინააღმდეგ ყოველგვარი ეროვნულად შემბლაღვი, დამამიკრებელი გამოსვლის მიმართ ი. ჭავჭავაძე შეურიგებელი იყო და მუდამეამ საკადრის პასუხს აძლევდა „ვაი მეცნიერებს“, გადამთიელ საქმოსნებს, პირწავარდნილ ნაციონალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ ისტორიის ქურაში გამობრძმედილ ძმებს შორის შუღლი და მტრობა ჩამოეგდოთ და ამით თავიანთი ბნელი ზრახვები განეხორციელებინათ.

ასე მოუვიდა „ორპირი და მლიქვნელი უტრნალისტის“ (იხილეთ ვ. კოროსტიშვილის პიესა „დონ-კიხოტი იბრძვის“) სუვორინის გაზეთ „ნოვოე ვრემიას“, რომელმაც ყალბი, ხალხებს შორის შურისა და უთანხმოების ჩამომგდები ინფორმაცია მიაწოდა თავის მკითხველებს. გაზეთის რედაქტორს ი. ჭავჭავაძემ სასტიკი პასუხი გასცა და დაუსაბუთა, რომ მის მიერ შეთითხნილი სტატია მხოლოდ სიყალბეა და ხალხთა შორის ურთიერთობის ხელოვნურად გამწვავების საფუძველი.

✓ 1895 წლის „ივერია“ № 181-ში დაბეჭდა ხელმოთწერელი სტატია სათაურით: „ნარკვევი (უტრნალ-გაზეთებიდან)“, რომელშიც განხილულია პეტერბურგის გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ერთი წერილი აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების შესახებ აფხაზეთის არამოკიდრი მოსახლეობისადმი. ქართული ლიტერატურის ცნობილი ბიბლიოგრაფისა და მკვლევარის თამარ მაჭავარიანის აზრით, ეს მეტად საყურადღებო სტატია ი. ჭავჭავაძის ეკუთვნის.³⁷

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ამ სტატიას და დავინახავთ, თუ როგორი იყო ი. ჭავჭავაძის პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხზე.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, მეტად გამწვავდა ეროვნული საკითხი. მეფის მთავრობა ხელოვნურად აღვივებდა შუღლს ხალხებს შორის, განსაკუთრებით ავიწროებდა მოსახლეობას, კრძალავდა აფხაზურ და ქართულ ენებზე სკოლებში სწავლებას, ეკლესიებიდან დევნიდა ქართულ ენას, ერთმანეთზე სამტროდ აქეზებდა რუსებს, ქართველებსა და აფხაზებს. მეფის აგენტები მთავრობასთან აბეზლებდნენ უდანაშაულო ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო წარმომადგენლებს, თითხნიდნენ მათ შესახებ ყალბ საქმეებს და ერის ერთგულ მსახურებს, საუკეთესო შვილებს ნათლავდნენ ხალხის მოლაღატეებად.

ერთ ასეთ დაბეზლებდა სოხუმელ შავრანშვილ მოხელეებს გაუგზავნიათ გაზეთ „ნოვოე ვრემიასათვის“, რომელშიც შემდეგი ეწერა:

„ქართველები განგებ ავრტყლებენ ხმებს, ვითომც სოხუმის ოლქში ციებ-ცხელება იცის მუდამ, რათა ამით დააშინონ რუსები, რომელთაც სურთ აქ მამულების შექენა. ბოლო დროს მეტად მტრულად უყურებენ

³⁶ „ივერია“, № 118, 1903 წ.

³⁷ ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. IV, თბ., 1965 წ., გვ. 231.

რუსებს ადგილობრივი მკვიდრნი... მათ ძალიან ეშინიათ — რუსებმა არ დაიპყრონ ადგილები ამ მშვენიერ ქვეყანაში. ამგვარს შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სოხუმში არსდება საზოგადოება ქართველების, აფხაზებისა და ბერძენთა, რომელთაც განუზრახავთ — თვალყური ადევნონ მამულებს და თუ სადმე ან სოხუმში, ან სოხუმის მიდამოებში გამოჩნდება გასაყიდი მამული, მაშინვე შეიძინონ ისინი“.

ეს არაფერი. კორესპონდენციის ავტორები უფრო შორს წასულან და, რომ გაელევიებინათ შური და მტრობა ხალხებს შორის, შემდეგიც დაუმატებიათ:

„საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განზრახულს საზოგადოებას, გარდა აღნიშნული საგნისა, აზრად აქვს ეცადოს, რომ უმიწაყლო მკვიდრთა და რუსებს შორის სიძულვილი არ მოისპოს“.³⁸

არც ამას დაჯერებულა შავრანმელთა ჯგუფი, და, რადგან ერთხელ იმიშვლა სასიკვდილ მახვილი, ცდილა, დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. კორესპონდენციის ავტორებს არ აწყობდათ აფხაზეთში ხალხთა დამეგობრება, არც ის აფხაზურ-ქართულ-ბერძნული ამხანაგობა. ეს მათ ხელს უშლიდა ბნელი საქმეების განხორციელებაში, ამიტომ ისიც კი განუზრახავთ, რომ აფხაზები და ქართველები და მათ შორის ბერძნებიც დაესახელებინათ ხელისშემშლელებად. ეს შოვინისტური ჩანაფიქრი მათ ასე ჩამოუყალიბებიათ:

„რასაკვირველია, მეტია იმის განმარტება, თუ რა მავნებელია ეს საზოგადოება რუსების დასახლებისათვის ამ მდიდარს ქვეყანაში, სადაც ლიმონისა და ზეთისხილის ხე ქუჩაში ყვავის, სადაც ოლეანდრებითა და წნორით არის მოფენილი მდინარეთა და წყაროთა ნაპირები“.³⁹

„ივერიის“ მიმომხილველი — ი. ჰავჭავაძე, მოაქვს რა ეს ცნობები გაზეთ „ნოვოე ვრემიდან“, ირონიით დასძენს:

„სწორედ არ მოველოდით „ნოვ. ვრ.“-ში ამგვარ წერილს! ამისთანა შემთხვევის გამო „ნოვ. ვრ.“-მ ისეთი მოხერხებულის წერილების შეთხზვა იცის, რომ ძნელია კაცმა გაარჩიოს — სად თავდება სიმართლე და სად იწყება სიცრუე, ცილის წამება, ჭორი და ინსინუაცია“.⁴⁰

ი. ჰავჭავაძემ იმთავითვე ამხილა „ნოვოე ვრემიას“ გარშემო შემოკრებილი ვაი კალმონები, რომლებიც სხვა ხალხების უბედურების საფუძველზე საკუთარ ნივთიერ კეთილდღეობას იხვეჭდნენ. ყველაზე საეგალლო ის იყო, რომ ყოველივე ეს კანონიერების ფარგალში იყო მოქცეული. „ივერიის“ რედაქტორი თანდათან, სტრიქონიდან სტრიქონამდე არკვევს ამ განცხადების შინაარსს, მის ფარულ აზრს, ავტორთა სულისკვეთებას, მიზანს, ავლენს სიმართლეს, ააშკარავებს იმ სულძაბულურ ზრახვებს, რომლებიც გამოსკვივის პეტერბურგის გაზეთის კორესპონდენციისაგან. „ივერიის“ მიმომხილველი განაგრძობს:

„თუ სოხუმის მიდამოების ციების ამბავი სიცრუეა, ეს ისევე სუვორინის თანამემამულეთა მოკოროილი გახლავს, რადგან მათ, არ ვინ იცის რა მიზეზებისა გამო, ხშირად უყვართ ხოლმე უსაფუძვლო ძაგება მისი

38 „ივერია“, № 181, 1895 წ.

39 იქვე.

40 იქვე.

მცხოვრებლებისა. მაგრამ ვიცი თხოთ ერთი, როდის შეიქმნა სოხუმის ცი-
ების ამბავი სიცრუვეთ? განა რუსებისავე ექიმებს, სწავლულებს და მწერ-
ლებს ბევრჯერ არ შეუმოწმებიათ, რომ იმ ადგილების ჰავა მავნებელია
უცხოთათვის?! განა მართლა არ ამოუწყვეტია აქაურს ციებ-ცხელებას
უცხო ახალშენები?! დიად, სოხუმის მხარის ჰავის ცუდი გავლენა უცხო-
ელეზზედ დღემდის სიმართლე იყო, მაგრამ დღეს — რა კი ქართველებს
განუზრახავთ იქ ადგილ-მამულის შექმნა, ციებ-ცხელების ამბავი სიცრუ-
ელ უნდა იქნას აღიარებული? ⁴¹

თუ სოხუმელები — აფხაზები. ქართველები, ბერძნები მიწებს იძე-
ნენ. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ეს სასიხარულო მოვლენა უნდა იყოს,
ქვეყანა აღორძინდება, დოვლათი დახვავდებაო.

ამას მოსდევს, მართლაც, ი. ჭავჭავაძისეული რკინისებური ლოგიკუ-
რი მსჯელობა, რომლის შემდეგ მოწინააღმდეგე ბანაკის ცილისმწამებლუ-
რი ბრალდებისაგან ქვა ქვაზე არ რჩება. აი, რას წერდა ი. ჭავჭავაძე:

„განა დამტკიცება საჭიროა, რომ ეს სრულიად მტკნარი სიცრუვეა
და ნამდვილი ცილის წამება? ეს რომ მართალი იყოს, განა კორესპონდენ-
ტი აგრე ყრუდ მოიხსენებდა რაღაც საიდუმლო „საბუთს?“ განა „ნოვოვ
ვრ“. ბუქსა და ნალარას არ დასცემდა, მართლა რომ გამოჩენილიყო რუ-
სეთში ამგვარი მავნე საზოგადოება?..

ეს ცილისწამება გაზეთს დასჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ სასარგებ-
ლო საზოგადოება, რომელსაც ადგილ-მამულების შექმნა განუზრახავს,
მავნედ ჩაეთვალა, „რადგანაც საზოგადოება მკვიდრთაგან შესდგება, მა-
შასადამე, მავნებელიაო“, — აი, „ნოვ. ვრ“-ს ლოგიკა!“

ბოლოს ავტორი მწარე სარკაზმით დასძენს:

„ნოვ. ვრ.“ წინაღ უფრო ზერხიანად (ხაზგასმა ავტორისაა — ო. ჭ.)
ავრცელებდა ხოლმე ცილისწამებასა და სიცრუეს, დღეს რა მოუვიდა, ნე-
ტავი? ⁴²

ასე კალამმომარჯვებული იღვა ი. ჭავჭავაძე ეროვნული უფლებების
სადარაჯოზე, ასე იკავდა ეს სულმნათი მოამაგე აფხაზი ხალხის წმიდა-
თაწმიდა მიწა-წყალს.

სხვათა შორის, ინტერესს არ იქნება მოკლებული აქვე მოვიტანოთ
რუსი ექიმის ი. ი. პანტიუხოვის ერთი მეტად საყურადღებო
ცნობა იმ დროის აფხაზეთში მალარიის ზემოქმედების შესახებ
ხალხთა ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით არამკვიდრ მოსახლეობაზე.

ი. ი. პანტიუხოვმა 1898 წელს გაზ. „კავკაზში“ გამოაქვეყნა
ვრცელი სტატია: „Влияние малярии на колонизацию Кавказа“,
რომელიც 1899 წლის „კავკაზსკი კალენდარშიც“ მოათავსა, ხოლო იმა-
ვე წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა. პანტიუხოვის ეს წიგნი ანტიხალხუ-
რი, ანტიკავკასიური სულისკვეთებით არის გაქლენთილი. მის ნაწერებში
საშინელი მიზანტროპი ჩანს.

41 „ივერია“, № 181, 1895 წ.

42 იქვე.

ამ საქმოსანს მიაჩნდა, რომ კავკასიელები არ იყვნენ სრულყოფილი ადამიანები, მათ არ შეეძლოთ ამოდგომოდნენ გვერდით ცივილიზებულ ხალხებს და ერებს.⁴³ პანტიუხოვი ცარიზმის პირწაყარდნილი აგენტი იყო კავკასიაში.

პანტიუხოვს თავის წიგნში მოაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო მალარიის ზემოქმედება აფხაზეთის ახალმოსახლეებზე, განსაკუთრებით კი იმ ხალხებზე, რომლებსაც შეფის მთავრობა ასახლებდა კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე (ბულგარელები, გერმანელები, რუსები, სერბები, ესტონელები და სხვ.). მან გამოიკვლია მოახალშენეთა შორის გამრავლებისა და სიკვდილიანობის პროცენტული შეფარდებაც და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მალარია სპობდა აქ ჩამოსულ ხალხებს. ისინი ფეხს ვერ იკიდებდნენ ახალ მიწებზე. იგი წერდა:

„Первые земледельческие поселения русских и других колонистов на пространство от р. Бзыба до Кодора также дают неблагоприятные результаты. По сведениям, хотя и не совершенно точным, собранным А. Розовым в первые годы поселений на 100 жителей рождалось в русском селении Баклановке 5 %, умерло 7 %, в Эстонке родилось 2.9 %, умерло 7 %. В среднем в 8-ми селениях родилось 4,2 %, умерло 8,1 %.⁴⁴

ბოლოს თავის წიგნში პანტიუხოვი მივიდა იმ დასკვნამდის, რომ მალარია, კლიმატური პირობები იყო სამარე უცხოელ ახალმოსახლეთა შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე, განსაკუთრებით აფხაზეთის ტერიტორიაზე:

„Не желая быть пророком, не можем не высказать, однако, опасение, что русские поселения на сильно-малярийных местностях не утвердятся. По собранным нами на месте сведениями, из 80 семейств, поселенных в низменной малярийной долине в Баклановке Сухумского округа, двадцать лет тому назад, в настоящее время осталось только семь, а остальные вымерли“⁴⁵.

კავკასიაში ბრძოლების მონაწილე ოფიცერი გ. ფილიპსონი, რომელიც აფხაზეთსა და სამეგრელოში არაერთხელ იყო, მოგვითხრობს:

„Среди этой роскошной природы царствует знаменитая Абхазская Лихорадка, которая уносила во сто раз более жертв, чем все военные действия и другие болезни“.⁴⁶

აი, რას წერდა მამინდელი ოფიციალური მეცნიერება და მემუარული ლიტერატურა, ხოლო ზემოხსენებული გაზეთი „ნოვოე ვრემია“ როგორ ბრალდებდა უყენებდა ქართველ მოღვაწეებს, თითქოს ისინი მოკორილ ამბავს ჰქადაგებდნენ და ამით ხალხთა სიძულვილს აღვივებდნენ რუსი მოსახლეობის მიმართ. ამიტომ იყო, რომ ასე აღშფოთებით გამოდიოდნენ ი. ჭავჭავაძე ამ დაუპატიებელი სტუმრების წინააღმდეგ, იმ „სტუმრებისა“, რომლებიც, ნაცვლად მეგობრობისა, შურსა და მტრობას, ზიზღსა და სიძულვილს თესავდნენ მშვიდობიან და მოძმე ხალხებს შორის.

⁴³ Кавказский календарь, 1899 г., Тифлис, стр. 54

⁴⁴ Кавказский календарь, 1899 г. Тифлис, стр. 55.

⁴⁵ იქვე, стр. 92.

⁴⁶ Воспоминания Г. И. Филиппсона, М., 1885, стр. 193.

„ნოვოე ვრემიას“ ასეთი პოზიცია შემთხვევითი არ იყო. 1896 წ. სოხუმის ქალაქის თავის არჩევნებთან დაკავშირებით ეს გაზეთი ღვარძლიანად. ცილისმწამებლურად გამოვიდა ქართველებისა და აფხაზების წინააღმდეგ. ამის გამო აღშფოთებული თ. სახოკია ეურნალ „მოამბეში“ წერდა:

„დრო კი არის, მე და ჩემმა ღმერთმა, „ნოვოე ვრემიამ“ და მისმა დამკვეთებმა ასეთი კილო წერისა მოიშალონ, კილო წერისა, რომელიც ნაყოფია დაბრმავებულის თვალისა, შურიანის გულისა და რომელსაც აზრად ისა აქვს, რომ განაპირა ადგილების მშრომელ და მშვიდობისმოყვარე მკვიდრთა შორის შური და განხეთქილება სთესოს“.⁴⁷

„ნოვოე ვრემიას“ ბანს აძლევდა აგრეთვე პალმის გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, რომელიც ბათუმში გამოდიოდა. შავრაზმელი პალმი და მისი რეაქციული გაზეთი სასტიკად დევნიდნენ ყოველგვარ ეროვნულს საქართველოში, ეწეოდნენ სასტიკ მამბეზრობას, უსაფუძვლოდ ასმენდნენ პატიოსან მშრომელებს, ეროვნულ მოამაგეებს მეფის მთავრობასთან, თესავდნენ და აღვივებდნენ უნდობლობას ხალხებს შორის.⁴⁸

„ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ს. ფირცხალავა პალმის შესახებ წერდა:

„პალმიც თავისებურად ეგებება ახალ წელიწადს. წინდაწინვე იცის ყველამ ამ ვაჟბატონის ამბები: მისი ნატვრა მოკლე და მარტივია — ერთიან უნდა გაწყდნენ კავკასიაში კავკასიელებიო“.⁴⁹

ორივე გაზეთის რედაქციის იდეოლოგია გამომდინარეობდა თვითმპყრობელობის პოლიტიკისაგან. მეფის მთავრობა მისიწრაფოდა იქითკენ, რომ საბოლოოდ მის განკარგულებაში ყოფილიყო „უაფხაზო აფხაზეთი“.⁵⁰ ამ საკითხთან დაკავშირებით ანთ. ჭულელი „დროებაში“ მიუთითებდა:

„უკანასკნელი ომის შემდეგ (მხედველობაშია 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი — ო. ჭ.). უმაღლესი განკარგულება იყო, რომ მდ. კოდორსა და ფსირცხას შუა მდებარე ადგილებზე აფხაზები არ დასახლებულყვნენ, ამათ ვარდა სხვას ყველას ეძლეოდა ნება აქ დასახლებისა“.⁵¹ უფრო მეტიც, მთავრობა არაკავკასიელ ახალმოსახლეებს „პირველ მოწყობისათვის ფულს აძლევდა თორმეტ თუმნამდის თვითეულ ოჯახს“.⁵²

ანალოგიურ გარემოებაზე მიუთითებდნენ ს. მესხი სტატიაში „აფხაზეთის დასახლება“⁵³ გ. წერეთელი სტატიებში „შიკრიკი“⁵⁴ „გადასახლება“⁵⁵, „უფ. ვერეშჩაგინის აზრი ჭიქეთ-აფხაზეთის დასახლებაზედ“⁵⁶ და სხვ.

47 თ. სახოკია, აფხაზეთი. ეურნ. „მოამბე“, № 10, 1896 წ., გვ. 120.
48 „ცნობის ფურცელი“, № 246, 1897 წ.
49 ხიტუვა (ს. ფირცხალავა), პატარა ამბები. „ცნობის ფურცელი“, № 2376, 1904 წ.
50 „დროება“, № 44, 1885 წ.
51 გადამღელი (ანთ. ჭულელი), აფხაზეთი. „დროება“, № 240, 1883 წ.
52 იქვე.
53 „დროება“, № 24, 1878 წ.
54 „დროება“, № 499, 1873 წ.
55 „დროება“, № 27. 34, 1879 წ.
56 „დროება“, № 36, 1879 წ.

როდესაც რუსეთის მშრომელი ხალხი აღსდგა, აზვირთდა და 1905 წლის რევოლუციის ბობოქარი დღეების სამზადისი დაიწყო, ეს მელაძე-შოვინისტები შეეცადნენ, როგორც იტყვიან, ცხვრის ქურქში გადაცმულიყვნენ და ზოგიერთი მიაშიტი მკითხველისათვის ეჩვენებინათ: ხომ ხედავთ, ჩვენ კავკასიელი ხალხების მეგობრები ვართ, მათთვის სიყვითლე ვესურს. ისინი ისევე სრულუფლებიანი ერები არიან, როგორც სხვა დანარჩენები. მათ შველა და დახმარება სჭირიაო.

საკვირველია, ამ პერიოდში სუვორინის გაზეთმა კავკასიელების სასარგებლო იდეების ქადაგება დაიწყო. „ნოვოე ვრემია“ 1903 წელს აი რას წერდა:

„კავკასიის დასამშვიდებლად ყველაზე უფრო გამოსადეგარია სამართლიანობა და კანონიერების დამყარება და ამ გზით შეურყეველი წინსვლა. კავკასიელი რუსებივით კარგად გრძნობენ, როცა მთავრობა სამართლიანობის გზას გვერდს უხვევს (ნუთუ ამისი შეგრძნების უნარი ჰქონდათ კავკასიელებს?! — ო. ქ.), რაც, სამწუხაროდ, კიდევაც ხდება ხოლმე. ვისაც სურს ხალხის წყლულის განკურნება, ის ფრთხილად და ახდლის გულით უნდა მივიდეს ხალხთან; უნდა ეცადოს, რომ ცუდ მხარესთან ხალხის კარგი თვისებები დაინახოს და ღირსეულად დააფასოს ისინი. ყოვლად მოწყალე ღმერთს განგებ ხომ არ შეუქმნია უთუოდ უბედური ერები და უთუოდ კავკასია ხომ არ დაუსახლებია ამგვარი ერებით?!

ძნელი საქმე არ არის ყვირილით ხალხის შეშინება, მისი შეურაცხება; ბევრად უფრო ძნელია ნამდვილი კულტურული მოღვაწეობა და სწორედ ამისათვის ცოტა გვყავს მოღვაწეები...“⁵⁷

ასეთ ადამიანურ სამოსელში „გამოეწყო“ შავრაზმელი სუვორინი. ამიტომ იყო, რომ გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ „ნოვოე ვრემიას“ ზემომოტანილ სიტყვებს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

„ვენახოთ, სანამდის შერჩება „ნოვ. ვრ.“-ს ეს არაჩვეულებრივი „კარგი გუნება“.“⁵⁸

„ნოვოე ვრემიასთან“ ერთად პალმის გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმაც“ გამოიცვალა სახე, ხოლო 1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებში „ბათუმის კომიტეტის“ მეცადინეობით დაიხურა იგი, როგორც „თვითმპყრობელობის მომხრე“.⁵⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით ს. ფირცხალავა მიუთითებდა:

„საკვირველ ამბავს ვხედავთ! სიზმარშიც ვერავინ წარმოიდგენდა წელიწად ნახევრის წინად იმას, რასაც დღეს ცხადად ვხედავთ ყველანი — აღარ არის პალმი! აღარ არის ღიმილტი ეპისკოპოსი! აღარ არიან სხვებიც! სადღა არის პალმის იმდენი გაიძვერობა, ჯაშუშობა, ძალმომრეობის მოწოდება? რა ნაყოფი მოიტანა მისმა ცილის მწამებელმა ენამ? სულ ერთის წლის წინად ისე დარწმუნებული იყვნენ პალმიცა და მისი მეგობრები, რომ ღიღებულო, შეურყეველი, უძლეველი ტაძარი ავაგეთო. ჰერც რა იქნა ეს ტაძარი?

⁵⁷ „Новое время“, № 9.939, 1903 წ. მოკვავს გაზ. „ცნობის ფურცლისეული“ თარგმანი, № 2.319, 1903 წ.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ „ცნობის ფურცელი“, № 2.778, 1905 წ.

რა სასაცილონი არიან საბრალონი!!⁶⁰

ასე დაიმსხვრა ამ „კეთილშობილ“ მოღვაწეთა ოცნება.

სხვათა შორის, ი. პანტიუხოვის ზემოთ დასახელებული ნაშრომი კრიტიკულად განიხილა ჟურნალ „მოამბის“ მიმომხილველმა ე. ვაშაქიძემ, რომელმაც დღის სინათლეზე გამოიტანა ექიმის ავტორის დახავესებული შოვინისტური მსოფლმხედველობა და მიზანტროპობა. მან პანტიუხოვის „თეორია“ ასეთი საღი აზრი დაუპირისპირა:

„ჩვენი ღრმა რწმენით, კავკასიის დასახლება ის ორივე მხრით მკრე-ლი მახვილია, რომელიც მოითხოვს მეტს სიფრთხილეს პატრონისაგან. ამ გადამოსახლებით არ უნდა იყოს ძლიერ გატაცებული არც მთავრობა, არც კავკასიის ინტელიგენტი რუსობა. ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ ძალდატანებითი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს და არც უნდა იყოს უარყოფილი მკვიდრის ბუნებრივი და ამისათვის კანონიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. უამისოდ ბოროტება, რომელსაც დღეს ამჩნევენ და არა რაციონალურად სდევნიან, უფრო იმატებს და ვერაფერს ვერ მოიგებს, — ვერც მომავალი, ვერც დამხვდური და ვერც სახელმწიფო“.⁶¹

არც ის იქნება ინტერესს მოკლებული აქვე აღვნიშნოთ, რომ სუფორინის გასთვის მიერ ატეხილი დიდი ხმაური, რომელსაც საკადრისი პასუხი გასცა ი. ქავჭავაძემ, უსაფუძვლო და შოვინისტური ხასიათისა იყო ამ საქმის უშუალო მოწმის თ. სახოკიას აზრითაც. თ. სახოკიამ თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში „ძველი სოხუმი“ გარკვევით მიუთითა, რომ 1890-1900-იან წლებში სოხუმში არსებობდა შავრაზმელ მოხელეთა ჯგუფი „ქეშმარიტი რუსების“ სახელწოდებით. ესენი ყოფილან: გენერალი ლომაკინი, ერთ დროს ქალაქის თავად ნამყოფი ბერენსი, მემამულე ექიმი ბარსკი, ტექნიკოსი ჟუღრა, სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, დეკანოზი გოლუბცოვი, სამრევლო სკოლების მეთვალყურე იასტარბოვი და სხვ., რომლებიც სასტიკად დევნიდნენ კავკასიელ მოსახლეობას, კერძოდ, ქართველებს, და სულთ ხორცამდე გაუღენთილი იყვნენ ველიკორუსული შოვინიზმის ბანგით.

„მათ, — მიუთითებდა თ. სახოკია, — სხვა ეროვნებისანი, როგორც ქართველები, ებრაელები, თათარნი და სხვ., აღძვინებდალ არ მიიჩნდათ, არ სწამდათ მათი არსებობა და არც მათი ენა. ამიტომ ჰქადაგებდნენ მათს დარბევა-ამოწყვეტას, მოსპობას. მთავრობა შავრაზმელთ ხელს უწყობდა და მფარველობდა“.⁶²

მეფის მთავრობისა და მისი კოლონიური პოლიტიკის დამცველი პრესის და რეაქციონერი მოღვაწეების წინააღმდეგ, სასტიკად, შეურთიგებლად იბრძოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ი. ქავჭავაძის წინამძღოლობით. იგი თავდადებით იცავდა ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნულ უფლებებს, მიწა-წყალს, სასტიკად გმობდა იმ შავრაზმულ შეხედულებას, რომ აფხაზები მშობლიური მიწიდან მოეწყვიტათ და ამ მადლიან მიწაზე სხვები დაესახლებინათ.

⁶⁰ ხიტუვა (ს. ფირცხალავა), პატარა ამბები. „ცნობის ფურცელი“, № 2.782, 1905 წ.

⁶¹ ჟურნ. „მოამბე“, № 6, 1899 წ. გვ. 82.

⁶² თ. სახოკია, ძველი სოხუმი (მოგონება), 1950 წ., გვ. 9. დოკუმენტი ინახება თელავში — თინათინ სახოკიასთან. ქ-ნმა თინათინმა თავაზიანად დავერთო ნება ამ დოკუმენტს გაცნობოდით, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აფხაზეთში თანდათან ძლიერდება მისწრაფება სწავლა-განათლებისაკენ. ამ საქმეს სათავეში ედგა მოწინავე იდეებს დაწაფებული ინტელიგენცია. როგორც მასალებიდან ჩანს, საქმის ვითარება კარგად იყო ცნობილი ქართველი ინტელიგენციისათვის, კერძოდ, ი. ჭავჭავაძისათვის, და იგი ყოველ ღონეს მიმართავდა დახმარებისათვის. 1880 წელს აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები (დეპუტაცია) ჩავიდნენ თბილისში მეფისნაცვალთან და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან გარკვეული თხოვნით, რომ მათთვის დახმარება აღმოეჩინათ აფხაზეთში სკოლებისა და აღმზრდელიობითი დაწესებულებების დაარსებაში. ამ მოვლენას გამომემაურა გაზეთი „დროება“, რომელმაც ასეთი ინფორმაცია გამოაქვეყნა:

„ჩვენს ქალაქში იმყოფება ამჟამად ჩამოსული დეპუტაცია, რომელიც თერთმეტის საპატიო პირისაგან შესდგება და რომელიც, როგორც გეითხრეს, დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობს, რომ გლეხების განთავისუფლების შემდეგ დარჩენილი ასი ათასი მან. და აგრეთვე თ. დიმ. ჭავჭავაძისაგან შეწირული ოცი ათასი მან. შეუერთონ ქუთაისის ან თბილისის საადგილ-მამულო ბანკს და ამ ფულის შემოსავალი აფხაზეთში და სამურზაყანოში სახალხო განათლების საქმეს მოახმარონ“.⁶³

ი. ჭავჭავაძის ორგანო დიდ ყურადღებას აქცევდა სწავლა-განათლების გავრცელებას აფხაზეთში. იგი ქმედით დახმარებას უწყევდა იმ პირებს, რომლებიც ამ კეთილშობილურ ეროვნულ წამოწყებას თაოსნობდნენ. გაზეთი თავის ფურცლებზე ბეჭდავდა ინფორმაციებს, განცხადებებს, კორესპონდენციებს, რომლებშიც ჩანდა მოწოდება სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსებისაკენ. გაზეთი საკმაოდ ვრცლად აშუქებდა კულტურის სარბიელზე მომუშავე პირთა ცხოვრებას, ღვაწლს ხალხის, ერის, სამშობლოს წინაშე და იძლეოდა მათი ნაამაგარის შეფასებას. „ივერიის“ კორესპონდენტმა აფხაზეთიდან ი. ვერმიცანიშვილმა (ნ. ჯანაშიამ) გაზეთში გამოაქვეყნა არა ერთი და ორი საინტერესო წერილი აფხაზეთში მოღვაწე ასეთი ადამიანების შესახებ. ერთ-ერთ კორესპონდენციაში ის მიუთითებდა, რომ თ. გოგიტიძემ 1895 წელს გულაუთაში: დაარსაო ქართულ-რუსულ-ბერძნული სამკითხველო, რომელიც აერთიანებდა 65 კაცს.⁶⁴ ეს იყო პირველი ბიბლიოთეკა გულაუთაში, რომელსაც 1897 წლიდან სათავეში ჩაუდგა ამ კუთხის მეორე ცნობილი მოღვაწე ს. ელიავა.

„ივერიის“ რედაქცია სამკითხველოს შესახებ აცხადებდა: „ჯერჯერობით სამკითხველოში ექნებათ მარტო ქურნალ-გაზეთობა. მერმე ღვთისა და კეთილი კაცების შემწეობით ვოცნებობთ წიგნებიც შევაძენინოთ“.⁶⁵

ბიბლიოთეკას მართლაც კეთილი ადამიანების დახმარებით ფეხი მყარად მოუკიდინია და ხალხის საყვარელი კულტურული დაწესებულება გახლარა. „ივერიის“ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნებული მასალებიდან ვგებულობთ იმ პირთა ვინაობას, რომლებიც ამ კულტურულ დაწესებუ-

63 „დროება“, № 2, 1881 წ.

64 ი. ვერმიცანიშვილი (ნ. ჯანაშია), გულაუთი. „ივერია“, № 188, 1895 წ.

65 „ივერია“, № 265, 1894 წ.

ლებას მატერიალურად ეხმარებოდნენ და ამით თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს იხდიდნენ.

გუდაუთის სამკითხველოსათვის დიდი დახმარება გაუწევიათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და კერძო პირებს.⁶⁶ გუდაუთის სამკითხველოს დამაარსებელი და მისი გამგე კერძო პირებს შორის, რომლებმაც „შემწეობა აღმოუჩინეს გუდაუთის სამკითხველოს წიგნებით და ფულით“, ასახელებს თ. სახოკიას, კ. ლოლუას, ევ. უღანოვიჩს, გ. ქიქოძეს, კ. გალიცინს, ი. გომელაურს, პ. არბელაშვილს.⁶⁷

ამ ბიბლიოთეკას, მაშინდელ გუდაუთაში ერთადერთ კულტურულ დაწესებულებას, გამოეხმაურა გაზეთი „კვალიც“. გუდაუთიდან მის კორესპონდენციაში დასახელებულია მღვდელი იასონ ჩაჩანიძე, რომელსაც თურმე დიდი დახმარება გაუწევია სამკითხველოსათვის და ერთ დროს მისი მმართველობის თავმჯდომარეც ყოფილა. აქვე მითითებულია, რომ მაზრის უფროს ბესარიონ ჩიქოვანის „წყალობით სამკითხველოს დაეთმო უფასოდ სახლი, შეშა, და სანაბი“.⁶⁸

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ბეს. ჩიქოვანი მეტად პროგრესულ დამაინად არის დასახელებული ყველგან, სადაც კი მას უშუშავენია. გუდაუთიდან იგი გადაიყვანეს კოდორის ნაწილის (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) უფროსად, რამაც ოჩამჩირელებში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ამის შესახებ გაზ. „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ:

„სამსახურიდან დათხოვნილის ჩეჩელოვის ადგილას ნიშნავენ გუდაუთის უფროსად ნამყოფს თ. ბესარ. ჩიქოვანს. ამ ამბავმა ძალიან გაახარა აქაურები, რადგან ბ-ნს ჩიქოვანს კარგის აღმინისტრატორის სახელი აქვს განთქმული და იმედი გვაქვს, იმის მოსვლის შემდეგ წესიერება დამყარდება დომხალივით არეულ კოდორის ნაწილში“.⁶⁹

აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა ქართველი და აფხაზი ხალხების უფლებების დასაცავად. ეს, პირველ რიგში, გამოიხატებოდა მშობლიური ენის დამკვიდრებაში სკოლასა და ეკლესიაში. როგორც ცნობილია, ეკლესიებში ღვთისმსახურება მიმდინარეობდა მრევლისათვის სრულიად გაუგებარ ენაზე, სკოლებშიც იღვევებოდა ადგილობრივი ხალხების ენები. ეროვნული ენის დაცვისათვის ბრძოლა კი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. ამ საქმეშიც აფხაზეთის ინტელიგენცია თავდადებულად იბრძოდა.

იმ დროს აფხაზეთში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გავლენიანი მესვეური იყო ალათი დადიანი-შარვაშიძე. მის შესახებ „ივერია“ წერდა:

„როგორც თავის დროზე გაზეთებში მოხსენებული იყო, კენინა ალათი შარვაშიძისამ (ალათი იყო ელიზბარ დადიანის შვილი და გრიგოლ შარვაშიძის მეთლლე — ო. ჭ.) შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ექსარ-

66 „ივერია“, № 37, 1896 წ.

67 „ივერია“, № 81, 1896 წ.

68 თ. გოგიტიძე, გუდაუთი. „კვალი“, № 44, 1896 წ.

69 „ცნობის ფურცელი“, № 420, 1898 წ.

ზოსის ფლაბიანეს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართული იქნეს ქართულად წირვა-ლოცვა სოხუმის საკრებულო ტაძარში. ამავე შინაარსის თხოვნა გამოუგზავნიათ ამ დღეებში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოების ფლაბიანეს სახელობაზედ ქ. სოხუმში მცხოვრებ ქართველებსაც. თხოვნაზედ 300-მდე კაცს ხელი უწერია“.⁷⁰

ბოლოს და ბოლოს მეფის მთავრობა და სასულიერო ხელმძღვანელობა იძულებული გამხდარან დაექაყოფილებინათ ხალხის კანონიერი მოთხოვნა. ეს მოხდა 1898 წელს. ამ ამბით აღფრთოვანებული ნ. ჯანაშია მიუთითებდა:

„სოხუმის ოლქში მცხოვრებ მეგრელ-ქართველებს ამიერიდან ეძლევა უფლება წირვა-ლოცვა ქართულად, სამშობლო ენაზედ მოისმინონ... ვგონებ ეხლა შეუძლიან მკითხველს საკმაოდ გაითვალისწინოს ის სინარული, ის ალტაცება, რა სინარული-ალტაცება გამოიწვია აქაურ ქართველ მცხოვრებთ შორის უწმინდესი სინოდის სამართლიანმა ბრძანებამ“. შემდეგ ამას მოსდევს ბრწყინვალე მოწოდება ქართველებისადმი, რომ დროა საღათას ძილს თავი დააღწიონ და ხელი შეუწყონ ეროვნული საქმის აღორძინებას.

„დროა, — წერდა იგი, — აქაურმა ქართველობამ გამოიღვიძოს, გარდა თავისი პირადი საქმეებისა, საზოგადო საქმესაც ერთად, თანხმობით მოჰკიდოს ხელი, გულგრილობა, ზარმაცობა საზოგადო საქმეში აწ მაინც მონიშროს თავიდან და დანარჩენ ქართველთ აჩვენოს, რომ ისიც ქართველია გულით, საქმით და არა უაზრო სიტყვით! ჩვენთვის, სოხუმელთათვის, აგრეთვე საჭიროა ქართული სამრევლო სკოლაც“.⁷¹

აი, როგორი დიდი ალტაცება და გამოცოცხლება გამოიწვია ეროვნულ-გამათავისუფლებელ ფრონტზე მიღწეულმა წარმატებამ ქართველ ინტელიგენციაში.

ამ კეთილშობილ საქმეშიც ი. ჭავჭავაძისა და მისი ორგანოს მადლიანი ხელი ჩანდა.

ამ პერიოდში აფხაზეთში ყოფილან ისეთი კერძო პირებიც, რომლებიც აფხაზი მოზარდი თაობისათვის და საერთოდ ახალგაზრდობისათვის საკუთარი სახსრებით აარსებდნენ სკოლებს, სასწავლებლებს, საქველმოქმედო მიზნით თამაშობდნენ სცენაზე, უანგაროდ ემსახურებოდნენ საზოგადოებას.

ასეთი ერთ-ერთი კეთილშობილი მოღვაწე აფხაზეთში ყოფილა სოფ. დურიფშის მედავითნე სვიმონ ნოდია, რომლის შესახებ ნ. ჯანაშია მოგვითხრობს:

„ჩვენთვის ყველაზედ უფრო შესანიშნავია კერძო კაცთა მიერ დაარსებული სამრევლო სკოლები. ამათში პირველობა ეკუთვნის სოფ. დურიფშის ეკლესიის მედავითნეს ბ-ნს სვიმონ ნოდიას...“

საქართველოს სხვა კუთხეში სამრევლო სკოლის დაარსება დიდი არაფერია, გარნა აქ კი აქამდის ნამდვილი გმირობა იყო. იქ სურვილი თუ გაქვს, ყველაფერს დაძლევა. აქ ასე ადვილი არ იყო და არ არის ეხლაც. აქ ბ-ნ ნოდიას მაგალითამდის არც კი ვიცოდით, რომ კერძო კაცს შეეძ-

70 „ივერია“, № 188, 1898 წ.

71 „ივერია“, № 188, 1898 წ.

ლო აფხაზთა შორის სკოლის დაარსება. ამან კი მოიწადინა და ერთის წლის განმავლობაში სკოლაც დაარსა და საზოგადოებას სასკოლო შენობაც ააშენებინა, ორმოც მოსწავლეს თავი მოუყარა და მთელ წელიწადს უსასყიდლოდ ასწავლა.⁷²

ს. ნოდის ამ კეთილშობილურ ნაბიჯს კარგი შედეგი გამოუღია. მისთვის სხვებსაც მიუბაძავთ და თანდათან კერძო პირთ, ქართველ მღვდლებს, დაუწყიათ სამრევლო სკოლების დაარსება. ნ. ჯანაშია ასახელებს კიდევ რამდენიმე აირს და მიუთითებს:

„ბ-ნ ნოდის მაგალითს სხვა პირთაც მიჰბაძეს. ჯერჯერობით სამრევლო სკოლები დააარსეს: მღ. იონა ნაჭყებია — სოფელ ბულაბურხვაში; მღ. ამბაკო თოფურაძემ — სოფელ ბარმიშში და დიაკონ სამსონ კვანცირაძემ — ბამბორაში!“

ასეთი კეთილშობილური საქმით აღფრთოვანებული ნ. ჯანაშია დიდო კმაყოფილებით აღნიშნავდა:

„როგორც აქაურ სამღვდლოებას შეუგნია, აფხაზების სწორ და კეთილ ღვთისთვის სასიამოვნო და კაცისათვის სასარგებლო გზაზედ დასაყენებლად ეკლესიასთან ერთად სკოლამაც უნდა იმოქმედოს.“⁷³

ამათ გარდა ამ პერიოდში გუდაუთაში მოღვაწეობდა და საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწია ფოსტის მოხელემ თეოფილე გოგატიძემ, რომელიც ამავე დროს იყო „ივერიის“ კორესპონდენტიც. გუდაუთაში მისი მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მასალა გამოქვეყნდა „ივერიაში“. გაზეთის ფოთელი კორესპონდენტი ივ. ლი-ლი (?) წერდა:

„წინათ ბ-ნი თ. გოგატიძე მსახურობდა დ. გუდაუთაში (აფხაზეთში). მისი მეთაურობით დაარსდა და კიდევაც დამტკიცდა იქ უმაღლეს მთავრობის მიერ სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომელსაც ახლა მშვენიერი და კოპწია სახლი აქვს საკუთარი. გარდა ამისა, მან პირველად დაიწყო იქ ქართული წარმოდგენების გამართვა, რომელსაც მისი ახლო-მახლო მცხოვრები აფხაზებიც დიდი სიამოვნებით ესწრებოდნენ. წარმოდგენებიდან შემოსულ ფულს ახმარდა ბიბლიოთეკის გაუმჯობესებას და ეწეოდა დარბაზ სოფლის სკოლებს. საზოგადოება ისეთი მაღლივი იყო მისი იქ ყოფნისა, რომ, როდესაც ის გადმოიყვანეს ფოთში, მთელმა საზოგადოებამ ითხოვა, სადაც ჯერ იყო, მისი გუდაუთაშივე გადაყვანა.“⁷⁴

ეს კეთილშობილი ადამიანი არც შემდეგ მჭდარა გულხელდაკრეფით. მას ფოთშიც გამოუღვია თავი და ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია.

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ცნობით ამ დროს გუდაუთელ მოქალაქეთა შორის თავი უსახელებია ორკლასიანი სამრევლო სკოლის უფროს მასწავლებელს ბაგრატ მჭედლიძეს.

„ბ-ნი მჭედლიძე სულ ერთი წელიწადია, — ვკითხულობთ გაზეთში, — რაც მასწავლებლადაა გუდაუთაში. ამ მოკლე ხნის განმავლობაში საზოგადო სიყვარული დაიმსახურა როგორც გუდაუთელებსა, ისე თვით შეგირდებისა. გუდაუთის საზოგადოება გულწრფელად ნანობს ბ-ნის მჭედლიძის აქედან წასვლას, მით უფრო, რომ ასეთი საქმის მცოდნე და

72 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი გუდაუთიდან. „ივერია“. № 262, 1897 წ.

73 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი გუდაუთიდან. „ივერია“, № 262, 1897 წ.

74 ივ. ლილი (?), ფოთი. „ივერია“, № 129, 1902 წ.

ნაკისრ მოვალეობის ერთგულად მოსამსახურე მასწავლებელი აქაურები-სათვია იმეიათია“.⁷⁵

მასწავლებელი ბ. მკვდლიძე გადაუყვანიათ ღრანდის მონასტრის სამრევლო სკოლაში. აქაც სულ მალე დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭია ამ უანგარო მასწავლებელს. ახლა ღრანდლები წერდნენ გაზეთში:

„აქაურებს ყველას გული დასწვა ბ. მკვდლიძის წასვლამ, რადგან ამისთანა გულმოდგინე მასწავლებელი ჯერ არ ახსოვთ აქა“.⁷⁶

ბ. მკვდლიძე ღრანდიდან ნახიქევანში გადაუყვანიათ.

ასევე გულაუთაში სამკლასიანი სამეურნეო სკოლის დასაარსებლად დიდი ამაგი გაუწვია გულაუთის ნაწილის უფროსს ბესარიონ ჩიქოვანს. მის შესახებ „ივერია“ იტყობინებოდა:

„სრული იმედი გვაქვს, რომ ბატონი ჩიქოვანი თავისის მეცადინეობით დააბოლოებს ამ საშვილიშვილო საქმეს (ე. ი. სამკლასიანი სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას სახელოსნო განყოფილებით — თ. ჯ.)“.⁷⁷

უანგარო საზოგადო მოღვაწეები მუშაობდნენ აფხაზეთის სხვა რაიონებშიც. სოხუმელებს თავის დროზე დიდი ამაგი დასდო პეტრე ბარკალაიაშ. ამ დიდი ბუნების ადამიანმა „ხუთი ათასი მანეთი შესწირა მოზარდი თაობის განათლების საქმეს“.⁷⁸

სოხუმში ქველმოქმედებით განთქმული იყო აგრეთვე ოლქის ხარკის ინსპექტორი ნიკოლოზ ვარდანის ძე წერეთელი, რომელსაც, პრესის ცნობით, ბევრი სასიკეთო საქმე გაუკეთებია. 1898 წელს იგი გადაუყვანიათ ბათუმში, რამაც თურმე გულწრფელად დაალონა სოხუმელი მოქალაქეები. ამ საკითხზე „ცნობის ფურცელი“ წერდა:

„თ. ნ. წერეთლის გადაყვანამ ძალიან დაალონა აქაური საზოგადოება. ყველას პატივისცემლის, ყველას დამხმარებლის მოშორებამ დიანაც გული დასწვა აქაურებს“.⁷⁹

ნიკ. წერეთლის მეუღლე ელენე იყო ცნობილი სოხუმელი მოღვაწე ქალი, დიდი ქველმოქმედი, რომელსაც არა ერთი და ორი წარმოდგენა გაუმართავს აფხაზეთის დედაქალაქში საზოგადო საქმის სასარგებლოდ. ხოლო ამათი ქალიშვილი სილამაზით განთქმული ანასტასია წერეთელი დიდებულად თამაშობდა სცენაზე და კიდევაც კარგ შედეგებს აღწევდა. მის შესახებ მაშინ აღფრთოვანებით წერდა თბილისის პრესა. ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვკითხულობთ:

„არც ერთი საქველმოქმედო წარმოდგენა ისე არ გაიმართება აქ (სოხუმში — თ. ჯ.), რომ ამ პატივცემულ პირთ თავთ არ ედევთ! საქმის გაძლოლა. ბევრ დაწესებულებათ, თუ კერძო პირთ აღმოჩენიან მათის დაუზარელობის მეოხებით შველა და დახმარება...“

უხაროდეს ბათუმის საზოგადოებას, რომ ასეთი საზოგადო საქმეში დაუზარელი ოჯახობა ემატება, ხოლო სოხუმის ისედაც მცირე საზოგადოება დიდხანს სწუხდეს იქნება ამ დანაკლისს“.⁸⁰

⁷⁵ „ცნობის ფურცელი“, № 246, 1897 წ.

⁷⁶ „ცნობის ფურცელი“, № 367, 1897 წ.

⁷⁷ „ივერია“, № 264, 1894 წ.

⁷⁸ „ივერია“, № 202, 1899 წ.

⁷⁹ გ. ბარკალაია, თ. ნ. წერეთლის გადაყვანა. „ცნობის ფურცელი“, № 559, 1898 წ.

⁸⁰ იქვე.

სოხუმელ ქველმოქმედ მოღვაწეთა შორის უნდა დავასახელოთ აგრეთვე ლუკა ავალიშვილი, სოხუმის პოლკის კაპიტანი, რომლის შესახებ „ივერიის“ სოხუმელი კორესპონდენტი მელქ. ხოხიაშვილი მოგვითხრობს:

„არც ერთი კეთილი საქმე არ აღძრულა სოხუმში, რომ თავად ლუკა ავალიშვილს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს: ის ყოველთვის გვერდში ედგა და სიყვარულით ამხნევებდა იმ პატარა წრეს სოხუმის ქართველობისას. რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობს ხალხის გამოღვიძებას“. 81

ამ ხალხის სამსახური საზოგადოებისადმი იყო ხალასი, სუფთა და უანგარო, ამიტომ მათი ნაკვალევი არ უნდა მოიშალოს მომავალი თაობებისათვის.

გულაუთელ და სოხუმელ მოღვაწეებს არც ოჩამჩირელები ჩამორჩებოდნენ. აქ ყოფილან ენთუზიასტი მოღვაწეები, რომლებსაც დიდი მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩენიათ სკოლებისათვის.

„ივერიის“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში აღნიშნულია:

„ოჩამჩირელმა აზნაურიშვილმა თეიმურაზ ჩაჩავამ შესწირა ცხრაას სამოცდაშვიდი მანეთი ოჩამჩირის სკოლას... ამავე პატიოსანს და მართლა კეთილშობილს პირს განუზრახავს, რომ ასი ბავშვის საჯდომი სკამი და წიგნების მაგიდა (სტოლი) თავის ხარჯზედ გააკეთოს. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდან. სკოლაში იქნება ასი ბავშვი“. 82

როგორ შეიძლება ამ კეთილშობილ ადამიანთა საკრებულოში დავივიწყოთ ალექსანდრა შარვაშიძე, რომელმაც სოფელ ბედიასში თავისი სახსრებით ააშენა ეკლესია და შემდეგ გლეხებში აღძრა საკითხი სკოლის შენობის აგების შესახებ. მატერიალურად დაეხმარა გლეხობას ამ საქმეშიც. ა. შარვაშიძის ქველმოქმედებას გამოენხმებოდა პრესა. მაგალითად, „ცნობის ფურცელი“ მიუთითებდა:

„მან (ალექსანდრა შარვაშიძემ — ო. ჭ.) დედაშვილურის დარიგებით და ჩაგონებით დაარწმუნა გლეხები, თუ რამდენად საჭირო და სასარგებლოა სკოლა. მცხოვრებლები დაითანხმა და აღუძრა სურვილი ამ ფრიად სასარგებლო საქმისადმი. თავის მხრით შესწირა სასკოლო ადგილი და აღუთქვა ყოველწლიურად ფულადი დახმარება“. შემდეგ გაზეთი დასძინს: „დროა ჩვენმა მანდილოსნებმა „ჭორების გადაცემ-გადმოცემაში დროსტარებას“ დაანებონ თავი და მიბაძონ ამ კეთილშობილ ადამიანს“. 83

1898 წლიდან ოჩამჩირის რაიონის სოფელ აკვასკაში უანგარო მოღვაწეობით თავი გამოიჩინა სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდა მღვდელმა ბ. გობეჩიამ, რომელმაც, როგორც მიუთითებდა პრესა, „სასულიერო მთავრობის ნებართვით გახსნა სამრევლო სკოლა, სადაც 20-მდე მოწაფე სწავლობს. ექვი არ არის, ამ შრომისა და კეთილის საქმის შემდეგ, ბ. გობეჩიას წყალობით, ჩვენი სოფელი ცოტ-ცოტა დაწინაურდება“. 84

მოწინავე ქართული პრესა და, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის „ივერია“ ასევე ფხიზლად ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა სამეგრელოს სოფლებ-

81 მექი, (მელქ. ხოხიაშვილი), სოხუმი. „ივერია“, № 153, 1902 წ.

82 „ივერია“, № 180, 1887 წ.

83 „ცნობის ფურცელი“, № 592, 1898 წ.

84 „ცნობის ფურცელი“, № 899, 1899 წ.

სა და დაბეჭდვით, რა მიმართება არსებობდა აფხაზ და ქართველ ხალხებს, მათს მოწინავე შვილებს შორის, როგორ ეხმარებოდნენ ისინი ერთმანეთს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის. მოვიტანთ ძრავალთავან ერთ მეტად დამახასიათებელ ააგალიოს:

სალომე დადიანის (მიურატის მეუღლე) თაოსნობითა და მატერიალური დახმარებით 1900 წელს ზუგდიდში დაარსდა „მეორე კლასიანი სამასწავლებლო კურსით და სამეურნეო განყოფილებით სანიმუშო სამრევლო დედათა სასწავლებელი“. მთავრობას ამ ღონისძიებისათვის გაუღია 17.000 მანეთი, ხოლო სალომე დადიანს სკოლისათვის უფასოდ გადაუცია სამი ქვევა მიწა ზუგდიდში და შენობა. მაგრამ ამასთან ხალხს უნდა შეეგროვებინა კიდევ დამატებით 5.000 მანეთი.

ეს ღიდი ეროვნული საქმე, ბუნებრივია, „ივერიის“ ფურცლებზე მსჯელობის საგანი გახდა. მას სტატიით გამოეხმაურა ზუგდიდელი მოქალაქე მიხეილ კაკულია, რომელმაც ჩინებულად გააშუქა სასწავლებლის უდიდესი მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. მან განსაკუთრებით აღნიშნა, თუ რაოდენი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის კულტურული და მატერიალური წინსვლისათვის განათლებას, ცივილიზაციას, ხალხის გათვითცნობიერებას, ახალგაზრდობის მორალურ და ინტელექტუალურ აღზრდას. ხოლო რადგან მოზარდი თაობის აღზრდას ოჯახში უშუალოდ დედები ხელმძღვანელობდნენ, ამიტომ, მიუთითებს იგი, „ჩვენი შინაური და საზოგადოებრივი კეთილდღეობა დამოკიდებულია იმათგან, თუ გონებრივ განვითარებასთან ერთად რაზომ კეთილზნებრივი განათლება მიუღია მომეტებულს ნაწილს ჩვენი დედებისა. მეცნიერებამ ცხად ქეშმარიტებად აღიარა, რომ მშობელთა ყოველი ზნე-ხასიათი, ასე თუ ისე, დედის ძუძუსთან ერთად შვილზედ დედისაგან უფრო გადადის, ვინემ მამისაგან. ამიტომ თუ გვსურს სამშობლოსა და ოჯახის ზედნიერება-კეთილდღეობას სასურველი ნიადაგი დავეუზალოთ, უნდა ვეცადნეთ კარგი დედები აღვეზარდოთ. მხოლოდ გონებრივად და ზნებრივად კარგად აღზრდილი განათლებული დედები შეადგენენ ოჯახისა და საზოგადოების მტკიცე ბურჯს, მხოლოდ „კარგი დედები“ შესძენენ მამულს „კარგ შვილებსა“.⁸⁵

აი, როგორ სწორი წანამძღვრებიდან ამოდიოდა „ივერიის“ კორესპონდენტი, როდესაც ასაბუთებდა დაბა ზუგდიდში ქალთა სამასწავლებლო სასწავლებლის დაარსების აუცილებლობას. ეს სკოლა მას სამართლიანად მიაჩნდა ერთ-ერთ ეროვნულ ბურჯად დასავლეთ საქართველოში. ამიტომ იგი ამავე სტატიის მიხედვით დახმარებისათვის მიმართავს აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობასაც. ჩვენ ამ საქმეში მარტონი ვერაფერს ვაგვძღვებით, თუ სამურზაყანოს მოსახლეობა არ დაგვეხმარა. ჩვენ ხომ ძმები ვართ და ჩვენმა შვილებმა ერთად ისწავლონო. აი, რას ვკითხულობთ შემდეგ ამ სტატიისში:

„არა ნაკლებ ზუგდიდის მაზრისა უნდა ესაამოვნოს მეორეკლასიან სამასწავლებლო კურსით დედათა სასწავლებლის გახსნა ზუგდიდში ჩვენს მოსახლერე სამურზაყანოს. სამურზაყანოელნი ჩვენი ძმები არიან, იმათ

⁸⁵ მიხაკო ვერმიცაიშვილი (მ. კაკულია), ხმა პროვინციიდან, „ივერია“, № 179, 1900 წ.

ქალიშვილებისათვის ეგ სკოლა, სადაც სხვა საგანთა შორის ქართულს ენას დიდი ალაგი ექნება დათმობილი, მეტად საჭირო და ხელმისაწვდომი იქნება⁸⁶, ამიტომ იმედია, სამურზაყანოელნი დახმარებას აღმოგვიჩვენონ.⁸⁷

„ივერია“ და მისი რედაქტორი ი. ჭავჭავაძე ასე აღვივებდა ძმობასა და მეგობრობას, ურთიერთ გაგებასა და პატივისცემას, ეროვნული თვითშეგნების აუცილებლობას ისტორიულად ნაწამებ მძურ ხალხებს შორის, რომელთა გათიშვასა და განკერძოებას ბევრი გულმოდგინედ ცდილობდა. ხალხთა ურთიერთობაში „ივერიის“ მიერ გაბნეულ „კეთილის ხერგს“ ყოველთვის სასურველი შედეგი მოჰქონდა.

ასეთი ხასიათის პროპაგანდა, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქადაგება და ამ იდეის პრაქტიკული ხორცშესხმა დამახასიათებელი ნიშანთვისება იყო „ივერიისათვის“ და, პირველ რიგში, მისი რედაქტორისათვის.

„ივერია“ სათავეში ედგა ყოველგვარ საქველმოქმედო საქმიანობას, ხედავდა რა მასში ეროვნული აღორძინების ერთ-ერთ საშუალებას. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა განცხადებები და გრძელი აიები იმ მოქალაქეებისა, რომლებიც შემოწირულების სახით გარკვეულ თანხას იღებდნენ რაიმე ეროვნულ-საზოგადო ღონისძიების ჩასატარებლად. ასეთ საქმიანობას ინიციატივიანი მესვეურები ჰყავდა.

„ივერიაში“ 1894 წელს გამოქვეყნდა ოჩამჩირის სკოლის ზედამხედველის ლაზ. ხმალაძის ასეთი შინაარსის განცხადება:

„გიგზავნით დაბა ოჩამჩირეში შეკრებილს 65 მანეთს შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ დაბეჭდოთ ერთ-ერთ ნომერში თქვენის გაზეთისა სია შემომწირველთა“.⁸⁷

სულ 40 კაცს გაუღია ეს თანხა. ზოგს 10 მან., ზოგს — 5; ზოგს — 2 მან., ზოგს — 50 კაპ. უმრავლესობას კი თითო მანეთი. ასეთი ხასიათის შემოწირულებას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი უთუოდ აღვივებდა სამშობლოს სიყვარულისა და ხალხთა მეგობრობის კეთილშობილურ გრძნობას, ზრდიდა თაობებს სახალხო საქმისადმი თავდადების სულისკვეთებით, ამტკიცებდა ხალხთა ძმობასა და ურთიერთგაგებას.

პრესაში არაიშვიათად გამოდიოდნენ თვით სტუდენტები, რომელთა სასარგებლოდ იყო შეგროვილი თანხა. მაგალითად, „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში სტუდენტი ბ. გამსახურდია მადლობას უცხადებს სოხუმელ მანდილოსანს სალომე ლოლუას (შემოწირულებათა მოთავე) და იმ პირთ, რომლებსაც შეუტანიათ თანხა (75 მან.) მის სასარგებლოდ.⁸⁸

ღრანდაში ასეთი ქველმოქმედი კაცი იყო პროვინზორი ი. ბურჭულაძე, რომელმაც იქ 1897 წელს აფთიაქი გახსნა. ღრანდელი მშრომლები მის შესახებ წერდნენ:

„ღარიბებს ბ-ნი ბურჭულაძე ან ნახევარ ფასად აძლევს წამალს ან-და, თუ ძალიან გაჭირვებულია, სრულიად უფასოდ. მცხოვრებლები სულ აფთეკარის ლოცვაში არიან, ეს რა ღვთისშვილი კაცი მოგვევლინაო“.⁸⁹

ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა და ფხიზ-

⁸⁶ იქვე.

⁸⁷ „ივერია“, № 25, 1894 წ.

⁸⁸ „ივერია“, № 276, 1898 წ.

⁸⁹ კელუცა (?), სოფ. ღრანდა. „ცნობის ფურცელი“, № 362, 1897 წ.

ლად ადევნებდა თვალს ახალგაზრდა აფხაზი ინტელიგენციის საქმიანობას. იგი ყველა შესაძლებელ შემთხვევაში მკითხველებს აწვდიდა ინფორმაციას მისი მოღვაწეობის შესახებ. „ივერიაში“ ქვეყნდება მდიდარი მასალა აფხაზი პედაგოგებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ.

იმ პერიოდის ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე იყო ოჩამჩირის ბლალოჩინი დიმიტრი მარლანია, რომელსაც თავისი ერისა და ხალხთა ურთიერთობის სასიკეთოდ ბევრი კარგი საქმე გაუკეთებია. ქართველ მკითხველს მისი თავი, როგორც საზოგადო მოღვაწისა, პირველად „ივერიაში“ გააცნო. გაზეთის კორესპონდენტი აფხაზეთიდან ნიკო ჭანაშია წერდა:

„აქ (ოჩამჩირეში — ო. ჯ.) ახლა გადმოიყვანეს ბლალოჩინად მამა დიმიტრი მარლანია. მამა დიმიტრი მარლანია წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მოწადინებულნი არიან არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის“.⁹⁰

ეს იყო ახალგაზრდა აფხაზი მოღვაწის შრომის არა მარტო დაფასება, არამედ მისი ერთგვარი წახალისებაც, მის შესახებ ავტორიტეტული საზოგადოებრივი აზრის შექმნაც.

ცოტა მოგვიანებით ცნობილი საზოგადო მოღვაწე აფხაზეთში კ. მაკვარიაინი დიმიტრი მარლანიას შესახებ აღნიშნავდა:

„Воглаве духовенства Кодорского участка состоит благочинный протоиерей Дмитрий Маргани, природный абхазец, окончивший курс учительской семинарии и свободно владеющий языками: русским, абхазским, грузинским и мингрельским. Отец Маргани лучший переводчик церковно-славянских книг на абхазский язык“.⁹¹

თვითმპყრობელობის პოლიტიკა, პოლიტიკა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა ხატოვნად „ხალხთა საპყრობილე“ უწოდა, ყველგან ერთნაირი იყო. რასაც მეფის მოხელეები, ჟანდარმერია და სამღვდელოება აკეთებდნენ საქართველოში, იმასვე ჩადიოდნენ უკრაინაში, შუა აზიაში. თვითმპყრობელობა ყველგან ერთნაირად სდევნიდა და სასტიკად უსწორდებოდა პროგრესულ მოღვაწეებს, თესავდა შურსა და მტრობას მშვიდობიან ხალხებს შორის, რეპრესიებით ანხორციელებდა თავის პოლიტიკას.

მეფის მთავრობის მიერ კავკასია და, კერძოდ, აფხაზეთი, მიჩნეული იყო მეორე ციმბირად. ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. გ. ძიძარია მიუთითებს:

„Если Кавказ в целом слыл тогда „теплой Сибирью“, как окрестил его Александр I, то Абхазия и Черноморье были чуть ли не „самыми суровыми“ и „опасными“ районами этого края. По этому поводу Василий Андреев, служивший в рассматриваемое время в войсках отдельного Кавказского корпуса, писал: „Как в Сибири есть еще другая Сибирь, вроде Якутска или

⁹⁰ მაშუთ-ბეი (ბ. ჭანაშია), წერილი დ. ოჩამჩირიდან. „ივერია“, № 218, 1898 წ.

⁹¹ К. Д. Мачаваряни, Описательный путеводитель по городу Сухуме и Сухумскому округу, Сухум, 1913 г., стр. 121.

Охотскá, так и на Кавказе есть еще Кавказ, представляющий местности тогдашнего Дербента, Таркова или Сухума⁹².

მეფის მთავრობა დიდ შეღავათებს აძლევდა იმ ოფიცერებს, რომლებიც კავკასიაში მსახურობდნენ შავი ზღის სანაპიროზე.⁹³

ასევე ცნობილი აფხაზი მწერალი და მკვლევარი მ. ლაკერბაი აღნიშნავდა:

„თუ თავის დროზე მეფის რუსეთს დამსახურებულად უწოდებდნენ „ხალხთა უზარმაზარ საპყრობილეს“, ამ საპყრობილეში ტანჯვის ყველაზე უფრო მკაცრი საკანი აფხაზეთი იყო“.⁹⁴

რუსი ოფიცერი გ. ფილიპსონი, კავკასიის ბრძოლების არაერთგზის მონაწილე, წერდა:

„Гагры были ссылочным местом. Бестужев (Марлинский) был произведен в прапорщики с назначением именно в Гагры“.⁹⁵

ბუნებრივია, მეფის მთავრობა კიდევ უფრო მკაცრად ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, ფეხქვეშ თელავდა მის მდიდარ სულიერ და მატერიალურ კულტურას, მშობლიურ ენას.

ი. ჭავჭავაძისათვის ყოველივე ეს ნათელი იყო. მას დევნა არაერთხელ საკუთარ თავზეც გამოუცდია, მაგრამ დიდ მოაზროვნეს და ხალხის მოამბეს არასოდეს დაუფლებია უიმედობა, არასოდეს დაუყრია ფარხმალი, არასოდეს დაბლაგვებია კალამი.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძის დაუღალავი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აგრეთვე აფხაზეთის ცხოვრება, აფხაზი ხალხის ყოფა, მისი კულტურა და ისტორია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობა, ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარება. „ივერიას“ არაერთგზის აღუძრავს საკითხი იმის შესახებ, რომ სოხუმს, ისე როგორც რუსეთის ბევრ სხვა ქალაქს, მისცემოდა თვითმმართველობა. ეს კი ქალაქისა და საერთოდ აფხაზეთის განვითარების ახალი და შედარებით თავისუფალი გზა იქნებოდა, რომელიც შეზღუდავდა მეფის მთავრობის მსახურთა ძალმომრეობასა და აღვირახსნილობას. მაგალითად, „ივერია“ ერთ-ერთ თავის ნომერში წერდა:

„სოხუმი: 15 დეკემბერს აქ იყო ქალაქის დეპუტატების არჩევნები. არჩევნებზე ერთმა ახალგაზრდა კაცმა საზოგადოებას მოახსენა რამდენიმე სიტყვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგ დეპუტატის არჩევას, თუ რა დარა საგანს უნდა მიექცეს საზოგადოების ყურადღება, რომ ქალაქი გაუფორმებდეს, მაგრამ ძველებურად ისევ უსწავლელი დეპუტატი აირჩიეს და ჩაუგდეს ხელში ქალაქის ბედი და იღბალი. დროა ქალაქმა საკვალაოდ მაინც იფიქროს თავის თავზე და სთხოვოს მმართველობას თვითმმართველობის ნება მისცეს სხვა ქალაქებივით, თორემ ამგვარი დეპუტატებისაგან არა ეშველება რა ქალაქს“.⁹⁶

ეს იყო ფაქტის არა უბრალო კონსტატაცია, არამედ გაზეთისა და მი-

⁹² Г. А. Дзидзария, Декабристы в Абхазии, Сухуми, 1970 г., გვ 8.

⁹³ იქვე.

⁹⁴ მ. ლაკერბაი, აფხაზური თეატრის ისტორიიდან, თბილისი, 1957 წ., გვ. 4.

⁹⁵ Воспоминания Г. И. Филиппсона, М., 1885, გვ. 191.

⁹⁶ „ივერია“, № 2, 1888 წ.

სი რედაქციის გარკვეული ზრუნვა და ყურადღება სოხუმის მიმართ. ასეთმა დაქინებითმა მოთხოვნებმა სასურველი ნაყოფი გამოიღეს და 1899 წლიდან ქალაქს თვითმმართველობის არჩევის უფლება მისცეს.

ი. ჭავჭავაძე აქაც საქმის კურსში იყო. იგი სოხუმელ მკვიდრთ აძლევდა სათანადო რჩევა-დარიგებას, ზოგჯერ კი მათ მიერ დასახელებული ქალაქის თავის კანდიდატურაზე საკუთარ აზრსა და შეხედულებასაც სთავაზობდა საჭიროებისამებრ. ასე მოხდა, მაგალითად, 1890-იანი წლების დასასრულს, როდესაც სოხუმის თვითმმართველობაში მეტად გამწვავდა მდგომარეობა და საჭირო შეიქმნა ისეთი კანდიდატურის მოძებნა ქალაქის მოურავად, რომელიც იქნებოდა პატიოსანი, კეთილსინდისიერი, სამართლიანი, განათლებული, კულტურული, თანაბარი ძალით დაიბრუნებოდა ყველა მშრომელის, ყველა ხალხის უფლებას, მიუხედავად მათი ეროვნული და სოციალური წარმოშობისა და რელიგიისა. აი, აქ აუცილებელი გახდა ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების — ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ალ. ხახანაშვილისა და ვ. პეტრიაშვილის აზრის გათვალისწინება.

1899 წელს სოხუმში პირველად იქნა შემოღებული ქალაქის თვითმმართველობა. ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, სადაც უმრავლესობა ქართველები და აფხაზები იყვნენ, გადაწყვიტეს ქალაქის თავად აერჩიათ გამოცდილი და უმწიკვლო ადამიანი, ცნობილი ლიტერატორი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილი. თ. სახოკია მას ასე ახასიათებდა: „კაცი დიდხანს ნამსახური სხვადასხვა სახელმწიფო პასუხსაგებ პოსტებზე. დამსახურებული ჰქონდა სრული ნდობა მთავრობის თვალში, ამასთან ცნობილი იყო, როგორც ქართველი თვალსაჩინო ლიტერატორი, საზღვარგარეთ განათლება მიღებული, ადამიანი უმწიკვლო პატიოსნებისა და თავის სამშობლოს კეთილდღეობის იდეით გამსჭვალული“.⁹⁷

ამ საკითხზე სოხუმელმა ქართველმა მოღვაწეებმა, ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა, წერილები გაუგზავნეს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს და თხოვეს რჩევა-დარიგება. ასე გაიბა მიმოწერა ი. ჭავჭავაძესთან, ნ. ნიკოლაძესთან, ი. გოგებაშვილთან, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორ ვ. პეტრიაშვილთან და მოსკოვის ინსტიტუტის პროფესორ ალ. ხახანაშვილთან.

„ვისაც შევბატონებინე ჩვენი გაჭირვება, — წერდა თ. სახოკია. — ყველამ გამოგვიგზავნა პასუხი და გამოსთქვა თავისი დადებითი აზრი ალ. სარაჯიშვილის შესახებ“.⁹⁸

სოხუმელმა ქართველმა და აფხაზმა ხმოსნებმა ი. ჭავჭავაძისადმი წერილის მიწერა დაავალეს პედაგოგ ანთ. ჭულელს, რომელმაც ილიას ასეთი შინაარსის ბარათი გაუგზავნა:

„თქვენ კარგად მოგხსენებათ, თუ რა ცუდ პირობებშია ჩაყენებული ქ. სოხუმი და აქ მცხოვრები ქართველნი. დღეს ღმერთმა ინება და როგორც იყო თვითმმართველობის შემოღების ღირსი გავხდით. ხმოსნებათ უმეტესობა ჩვენები არიან, მაგრამ ესენი რის მაქნისი იქნებიან, თუ ქალაქის თავი ჩვენებური რიგიანი კაცი არ იქნა. ამის გულისათვის ჩვენ

97 თ. სახოკია, ძველი სოხუმი (ხელნაწერი), 1950 წ., გვ. 18.

98 თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969 წ., გვ. 47.

გვესურს თავად გვეყავდეს კარგი როგორც ქვეა-გონებით, ისე მოქმედებით მხნე და გამოცდილი კაცი. ამას აქ ბევრი საქმე ექნება. ბევრის თათბირის შემდეგ ჩვენ, აქაური ქართველობა, შევჩერდით ალექსანდრე სარაჯიშვილზე, რომელიც ამჟამად განჯის საგუბერნიო სამმართველოში მსახურობს და გადაწყვეტით დაგვიტხოთ თქვენც ამ კაცის შესახებ, რამდენად სანარგებლო იქნება იგი ჩვენთვის“.⁹⁹

ამ დოკუმენტს თარიღად უზის 1899 წლის 22 აპრილი.

ი. ჭავჭავაძემ ორ დღეში გასცა პასუხი. აი, ისიც:

„დღიად პატივცემულო ბატონო ანთიმოზ ივანისძე!

მადლობელი ვარ, რომ პატივი მომანიჭეთ და ჩემს აზრს ჰთხოვლობთ შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილისა. ჩემის ფიქრით, უკეთეს კაცს ვერ იშოვით სოხუმის მოურავად. კაცი დარბაისელია, ჭკვიანი, განვითარებული და ძალიან გამოცდილი... თუ ალექსანდრე სარაჯიშვილის არჩევანი მონებრდა, მე წინადადე მომილოცნია სოხუმისათვის ცალკე და ქართველები-სათვის საერთოდ, რომ ამისთანა კაცს ერთი ჩვენი უდიდესი საქმეთაგანი ებარება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, სწორედ შესაფერის კაცისათვის მიგივნიათ“.¹⁰⁰

სოხუმელებმა ასევე დადებითი პასუხი მიიღეს სხვებისაგანაც. ალ. სარაჯიშვილს ყველა ახასიათებდა, როგორც მეცნიერს, პატიოსანს, კეთილშობილს, საქმიანს და ინტერნაციონალისტ მოღვაწეს. მათ შორის ი. გოგებაშვილი იტყობინებოდა:

„უკეთეს კანდიდატს ვერ იშოვით ვერც ქართველები და ვერც რუსები. კაცს უსწავლია საქართველოში, რუსეთში, ევროპაში. სწორედ რომ განათლებული ქართველია, გარდა ქართულისა და რუსულისა, ევროპული ენებიც იცის. ჩვენს ლიტერატურაში უღვაწია და ეხლაც მოღვაწეობს... ამისთან ძლიერ პატიოსანი და მშრომელი კაცია.

რუსები, როცა გაიცნობენ, მადლობას გეტყვიან ქართველებს, რომ ამისთანა კაცი მოგინახავთ. სისხლითაც ენათესავება რუსებს. დედა რუსი ჰყავს და ცოლადაც რუსის ქალი შეურთავს, რაც მას სრულიად არ უშლის ქართველი მამულიშვილი იყოს, თუმცა ლობიოს პატრიოტობას კი, რასაკვირველია, მოშორებულა“.¹⁰¹

სოხუმის ქალაქისათვალ ორი კანდიდატურა იქნა დასახელებული — ალ. სარაჯიშვილი და ბერენსი. ფარული არჩევნების შედეგად პირველმა მიიღო 24 დადებითი და 8 უარყოფითი ხმა, ხოლო მეორემ — 24 უარყოფითი და 8 დადებითი ხმა. მიუხედავად ამისა, ქუთაისის გუბერნატორმა არ დაამტკიცა ყენქის ყრის შედეგები. „თავისი გაიტანა უსამართლობამ და ტლანქმა ძალამ“. — წერდა ამ უკანონობის შესახებ თ. სახოკია.¹⁰²

გუბერნატორმა, წინააღმდეგ ყოველივე წესდებულებისა, სოხუმის მოურავად დაამტკიცა ქალაქის საბჭოს მიერ გაშვებული ბერენსი.

მსგავსადვე მოუვიდა თ. სახოკიას. „ივერიაში“ ვკითხულობთ:

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს მიერ გამგეო-

⁹⁹ წერილი მოტანილია ი. ჭავჭავაძის თხზ. X ტომიდან, თბ., 1961 წ., გვ. 528-529.

¹⁰⁰ წერილი მოტანილია ი. ჭავჭავაძის თხზ. X ტომიდან, თბ., 1961 წ.

¹⁰¹ ი. გოგებაშვილის ეს წერილი გამოქვეყნებულია თ. სახოკიას წიგნში ჩვენი საქუნიის ადამიანები, თბ., 1969 წ., გვ. 47-48.

¹⁰² თ. სახოკია, ძველი სოხუმი, 1950 წ., გვ. 20.

ზის წევრად არჩეული თ. სახოკია გუბერნატორს არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე“.¹⁰³

უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი და აფხაზი მოღვაწეები მარტონი როდი იყვნენ. მათ გვერდით ედგნენ მოწინავე რუსი მოღვაწეები. მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, თვითმპყრობელობის ძალმომრეობის სუსხი თუ რა მძიმე ასატანი იყო მშრომელი ხალხისათვის, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრები არარუსი ხალხებისათვის. ამიტომ ისინი, ხელმძღვანელობდნენ რა ჰუმანური ზრახვებით, მშრომელი ჩაგრული ერების მხარეზე იდგნენ და ოფიციალურ პრესაშიც გამოდიოდნენ მათი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად, მხარში ედგნენ ადგილობრივ ინტელიგენციას. სამართლიანად მიუთითებს პროფ. გ. ძიძარია:

„Вопреки реакционной политике царизма, попавшие на Кавказ прогрессивные представители русской интеллигенции в меру своих возможностей оказывали плодотворное влияние на все сознание его народов“.¹⁰⁴

ასეთ პროგრესულ რუს მოხელეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ი. ჭავჭავაძის ქვისლი გენერალ-ლეიტენანტი დ. ს. სტაროსელსკი. გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ ნომერში არის მეტად საყურადღებო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დ. სტაროსელსკი წინააღმდეგი იყო აფხაზეთში სხვა ერის დასახლებისა, გარდა აფხაზებისა და ქართველებისა. სტაროსელსკის სპეციალურად დაუთვალეირებია აფხაზეთის სანაპირო ადგილები და შემდეგ მეფისნაცვლისათვის წარუდგენია მოხსენებითი ბარათი, რომელშიც, „დროების“ ცნობით, შემდეგის წერდა:

„ამ მხარის წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა რიგიანი გზების გაყვანა, სკოლების გამართვა და ცარიელ ადგილებზე ისევ აფხაზების, მეგრელებისა და საზოგადოდ ადგილობრივი ხალხის დასახლება. რადგან რუსები აქ, განსაკუთრებულ ბუნების, ჰავის გამო ვერ სძლებენა“.¹⁰⁵

„დროების“ რედაქცია ამ ინფორმაციას ასეთ შენიშვნას უკეთებს: „დიდი ხანია, ჩვენც ამ აზრისა ვიყავით და ახლაც ვართ. მით უფრო სასიამოვნოა, რომ ღენ. სტაროსელსკიც ამ ბეჭითს და მიუღდგომელ დასკვნამდის მისულა“.¹⁰⁶

ასევე ცნობილია, რომ დ. ს. სტაროსელსკის ხელშეწყობით დ. ყიფიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ვ. თულაშვილმა და ბ. ლოლობერიძემ 1879 წელს დააარსეს ისეთი დიდი ეროვნული კულტურული დაწესებულება, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.¹⁰⁷

დ. ს. სტაროსელსკის შეხედულებებს ემთხვეოდა ყურნალ „სელსკი ხოზიანის“ თანამშრომლის ე. ა. ბონდარენკოს მოსაზრებები კავკასიაში

¹⁰³ „ივერია“. № 173, 1903 წ.

¹⁰⁴ Г. А. Дзидзария, Декабристы в Абхазии, Сухуми, 1970 г., გვ. 18.

¹⁰⁵ „დროება“, № 172, 1881 წ.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ანგარიში 1914 წლისა“, თბილისი, 1915 წ., გვ. 4.

უცხო ტომთა დასახლების საკითხზე. ეს პროგრესული ჟურნალისტი წერდა:

„გადასახლება კავკასიისა და ამიერკავკასიაში დიდად სამწუხარო და არასასურველი მოვლენაა. გაუგებრობაა, მეტი რომ არა ვსთქვათ, ადგილობრივ მკვიდრთ წაყვარვით ლუქმაპური და მივცეთ იგი სხვა მხარედან მოსულთ, რომელნიც ვერ ეთვისებიან ვერც ადგილობრივ ბუნებას, ვერც ხალხს, რომელნიც არ არიან დაკავშირებულნი მათს საისტორიო და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.“¹⁰⁸

გაზეთ „კვალის“ ცნობით ქების ღირსი ყოფილა აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ექიმი ოსტროუმოვი, რომელსაც „განუზრახავს სოხუმში გულით დაავადებულთათვის სამაზრო სადგური დააარსოს“.¹⁰⁹ (სხვათა შორის სოხუმში ამჟამად ქლაქის პირველი საავადმყოფო მისი დამაარსებლის — ოსტროუმოვის სახელს ატარებს). თ. სახოკია ოსტროუმოვს უწოდებდა „ყველგან პატივცემულ პროფესორს და სოხუმის კეთილისმყოფელს“.

სოხუმელთა დიდი პატივისცემა დაუშასხურებია ექიმ დ. დიმიტრიევს. მის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მიუთითებდა: „ბ-ნმა დიმიტრიევმა თავისი დაუზარებლობით, უანგარობით და მოყვასის უზომო სიყვარულით სამართლიანად დაიმსახურა ადგილობრივის საზოგადოების გულწრფელი პატივისცემა“.¹¹⁰

„ცნობის ფურცლის“ სოხუმელი კორესპონდენტის გ. ბარკალაის აღიარებით, ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ კეთილი ადამიანური დამოკიდებულებით გამოირჩეოდა სოხუმელი მომრიგებელი მოსამართლე ფეოდოტ უსტიანოვიჩი. ქართულ გაზეთში მის შესახებ ვკითხულობთ:

„განსვენებული ცნობილი იყო როგორც დაუზარელი და პირუთენელი აღმასრულებელი თავის თანამდებობისა, ამასთან, როგორც ყოვლად პატიოსანი და დაჩაგრულის ქომაგი ადამიანი.“

ამით აიხსნება ისა, რომ აქაურნი მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ყველანი მისტირიან ამ კეთილშობილ ადამიანს. განსვენებული სანამ სოხუმში გადმოვიდოდა, რამდენსამე წელიწადს ზუგდიდის მაზრაში მსახურობდა და იქაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ყველასი“.¹¹¹

ოჩამჩირეში ასეთი მოღვაწე ყოფილა მასწავლებელი ივანე კუვატოვი, რომელსაც მშობელთა და აღსაზრდელთა დიდი სიმათია დაუშასხურებია. „ცნობის ფურცლის“ ოჩამჩირელი კორესპონდენტი კ. გვასალია იტყობინებოდა:

„ივ. კუვატოვი იყო ხორავას შემდეგ დროებით ზედამხედველი ოჩამჩირის სკოლისა, რომლისთვის ოჩამჩირელები ქუდმოგლეჯით ეხვეწებოდნენ ღირეკეიას, რომ დაერჩინა სკოლის ზედამხედველად“.¹¹²

აგრეთვე ოჩამჩირელების დიდი სიყვარული მოუპოვებია პროფიზორ:

¹⁰⁸ „ცნობის ფურცელი“, № 1943, 1902 წ.

¹⁰⁹ „კვალი“, № 37, 1895 წ.

¹¹⁰ „ცნობის ფურცელი“, № 577, 1898 წ.

¹¹¹ გ. ბარკალაია, სოხუმი. მოსამართლის გარდაცვალება. „ცნობის ფურცელი“, № 687, 1898 წ.

¹¹² ალია (კ. გვასალია), დ. ოჩამჩირე, „ცნობის ფურცელი“, № 857, 1899 წ.

ი. კაცინსკის. მის შესახებ საინტერესო ინფორმაციით გამოვიდა „ცნობის ფურცელში“ სპ. ნორაკიძე (ხორშელი).¹¹³

ოჩამჩირელ სცენისმოყვარეთა წრეს დიდი ამაგი დასდო ოჩამჩირის საზღვაო სააგენტოს თანამშრომელმა პ. პ. ზაიცევმა, რომელიც უანგაროდ აფორმებდა მოხალისეთა სპექტაკლებს. მას მეტად ჰუმანური და კეთილი ადამიანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი მოსახლერბაში და დიდი პატივისცემითაც ეპყრობოდნენ.

რუსეთის პროგრესული ინტელიგენცია გვერდში ედგა კავკასიელ მოწინავე მოღვაწეებს მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მას დღის სინათლეზე გამოჰქონდა მთავრობისა და სამღვდელთა ბნელი საქმიანობა, რომელიც ამ კერძო შემთხვევაში გამოიხატებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიულ-მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურებაში. ბნელეთისა და უმეცრების მსახური ბერები, და საერთოდ სასულიერო მოღვაწეები, შოვინიზმის ბანგით გაბრუებულნი, ტაძრებსა და მონასტრებში შეგნებულად ანადგურებდნენ ფრესკებს, წარწერებს, კედლების მოხატულობას, რომ წაეშალათ ეროვნული კვალი.

მათ წინააღმდეგ ბრძოლაში აღსანიშნავია სახელგანთქმული რუსი მხატვრის ვ. ვ. ვერეშჩაგინის თავგამოდება. იგი გამოვიდა მაშინდელ ცენტრალურ პრესაში („რუსსკიე ვედომოსტი“, № 246, 1901 წ.) ქართველებისა და აფხაზების ეროვნული კულტურის დასაცავად შავრაზმელი სამღვდელთაგან. მას ჟურნალისტმა ი. ს. დურნოვოვმაც დაუჭირა მხარი. ამ უკანასკნელმა ხმამალა დაიწყო ლაპარაკი პრესის ფურცლებზე („პეტერბურგსკიე ვედომოსტი“), რომ თბილისში დაარსებულიყო უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი ადგილობრივ მკვიდრთათვის.

„ცნობის ფურცელი“ ფართოდ გამოეხმაურა ამ კეთილშობილ ადამიანებს, თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა მათი წერილები, რომლებშიც დიდი ადამიანური სიბოძა და თავგამოდება ჩანს. 1901 წელს გაზეთმა (№ 586) მოათავსა სარედაქციო წერილი სათაურით „ძველი ნაშთების განადგურების გამო“, სადაც მოტანილია მხატვარ ვ. ვერეშჩაგინისა და ჟურნალისტი ი. დურნოვოს შეხედულებები ზემოაღნიშნულ საკითხებზე.

ვ. ვერეშჩაგინი აღშფოთებული იყო ახალი ათონელი და ზიკვინთელი რუსი ბერების ბარბაროსული საქციელით, რომელთაც გაეფუჭებინათ სამაყო ფრესკები. მათ ყოველგვარი სინიღისის ქენჯნის გარეშე შეუღესიათ და შეუთითხნიათ ისინი, რომ დაეკარგათ ეროვნული კვალი. ეს ნაციდი ხერხი იყო. ასე გააჩანაგეს სვეტიცხოვლის, ალავერდის, ქაშვეთისა და მრავალ სხვა ძეგლთა სიდიადე.

აი, რას წერდა ჰუმანისტი რუსი მხატვარი:

„რადგან საუბარი ჩამოვადე ძველი ნაშთების დაცვაზე, მომყავს რამდენიმე მგალითი ყოვლად ბარბაროსული მათდამი მოპყრობაზე, რომელიც სრულიად უღრის ფურცლების ამოგლეჯას ისტორიიდან. თუ ბეჯითი ზომები არ იქნა მიღებული, მოკლე დროში, არამც თუ განქრება რუსეთში ხისგან აგებული ნაშთები, არამედ თვით ქვიტიკრის შენობანიც, —

¹¹³ „ცნობის ფურცელი“, № 860, 1899 წ.

¹¹⁴ მაყურებელი (?), დ. ოჩამჩირე. „ცნობის ფურცელი“, № 602, 1898 წ.

რომელიც მოეწონებათ ბაზრული გემოვნების მცირედ განათლებულ კამეგეთ...

მე ძალიან მოწადინებული ვიყავი დამეთვალეობინა სახელგანთქ-
პული ბიჭვინთის ტაძარი, სოხუმის ახლოს მდებარე. ეს მართლა დიდ-
ებული ღირსშესანიშნავი ნაშთია... ამ ტაძრის კედლები, როგორც მარწმუ-
ნებენ, შემკული იყო ფრესკებით.

ამ ფრესკების, უკეთ ვსთქვათ — ამათი ნაშთების ნახვა მე, როგორც
მხატვარს. უმთავრესად მიმიზიდავდა. იქ მისაღწევად მე მივედი ახალი
ათონის მონასტერში, რომელსაც ამ ბოლო დროს მიაწერეს ბიჭვინთის მო-
ნასტერი“.

აი, აქ იწყება აღმოფთება ჰუმანისტი მხატვრისა, რომელიც გამოიწ-
ვია რუსი ბერების ბარბაროსულმა დამოკიდებულებამ ხელოვნების შე-
სანიშნავი ძეგლების მიმართ. ვ. ვ. ვერეშჩაგინი განაგრძობს:

„ბერებმა მუსაიფში დაიტრიაბეს იმ გაუმჯობესებით, რომელიც მათ-
მა მამებმა შეიტანეს ამ ძველ წმინდა ეკლესიაში ჩაბარებისათვისავე. „რით
გააუმჯობესეთ?“ — შევეკითხე მე ბერებს. „ღვთის შეწვევით ყველაფერი
გავამშვენიერეთ, გავწმინდეთ, გავაკეთეთო“. „სად, რა გააკეთეთ?“ „მიგ-
ნით, გუმბათი, კედლები“. „ფრესკებს მაინც რა უყავით?“ „ფრესკები,
რა ფრესკები? იქ არაფერი არ ყოფილა, რაც იყო აქა-იქ გასვრილი და
წერტილებით ჩამოშვებული, ჩვენ გავწმინდეთ და ისინი აღარ ჩანან“.¹¹⁵

ასე სასტიკად უმკლავდებოდნენ ეკლესიის „წმინდა მსახურნი“ ხალ-
ხის სულიერ საგანძეს, ფეხქვეშ თელავდნენ მას და ასე დაუნდობლად ებ-
რძოდა ამ დახვსებულ სულისკვეთებას იმავე რუსი ხალხის ღირსეული
შვილი ვ. ვ. ვერეშჩაგინი.

მწერალი ნ. დურნოვი მთელი შეგნებით ესარჩლებოდა ქართულ ხე-
ლოვნებას, რომელიც საუკუნეების წარღვნას გადაურჩა და ცარიზმის მსა-
ხური ვიგინდარა ბერებისა და წმინდა სინოდის მოხელეების საჩიჯგნად
გადაქცეულა.

„საქართველოს ყოველი კუთხიდან ისმის ძველი ტაძრების დაქცევა,
მათი მშვენიერი ხუროთმოძღვრების და ქანდაკების ნაწარმოების გადა-
გვარება, განადგურება და აოხრება“.¹¹⁶ — წერდა ნ. დურნოვი.

ასეთი გულისწუხილით, ადამიანური თანაგრძნობით ესარჩლებოდა
მოწინავე რუსი ინტელიგენცია ქართველი და აფხაზი ხალხების სულიერი
და მატერიალური კულტურის საუნჯეს.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავს არ ხრიდა უსამართლობის
წინაშე. იგი ყველა საშუალებით, ღონისძიებით იბრძოდა ცარიზმის უხე-
ში კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ საქმეში მის ბასრ იარაღს
წარმოადგენდა პრესა და პირველ რიგში „ივერია“. მეფის მთავრობის ძალ-
მომრეობას ი. ჭავჭავაძის ორგანო უპირისპირებდა ხალხთა ძმობისა და
მეგობრობის, ერთა კეთილი თანამშრომლობის იდეას.

როდესაც საკითხი დადგა აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე სხვადას-
ხვა ეროვნების ხალხთა დასახლების შესახებ, ხმა აღიმართა აფხაზეთის
მოწინავე ინტელიგენციამ, კერძოდ, ნ. ჯანაშია კატეგორიულად მოითხოვ-
და, რომ აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე დაესახლებინათ ამის მოსურ-

115 „ცნობის ფურცელი“ № 586, 1902 წ.

116 იქვე.

ნე ქართველებიც, რადგან, მიუთითებდა იგი, „აფხაზთან ერთად ქართველობას არაერთგზის უღვრია ამ მიწაზედ თავისი სისხლი“.¹¹⁷

ეს იყო ქართველი მოწინავე ინტელიგენციის საერთო აზრი. მას, ბუნებრივად, იზიარებდა ი. ჭავჭავაძეც.¹¹⁸

ი. ჭავჭავაძეს, თავისი ეპოქის უდიდეს დემოკრატს, დიდ ბოროტებად მიაჩნდა ხალხის ეროვნული უფლებების, მისი ადამ-წესების, ტრადიციების, ენის, კულტურის ფეხქვეშ გათელვა, აბუჩად აგდება. ამ დიდი მოაზროვნის გაგებით, ყოველ ხალხს, ყოველ ერს თვითმმართველობის, თვითგამორკვევის უფლება უნდა ჰქონოდა.

„სასურველია, რასაკვირველია, — წერდა იგი, — რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში, იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩვენის ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“.¹¹⁹

ასე უპირისპირდებოდა ძალმომრეობას ხალხთა ძმობის იდეა, ბოროტებას — სიკეთე! აქაც ი. ჭავჭავაძის ეროვნული მრწამსის დიდი გავლენა ჩანდა.

ი. ჭავჭავაძემ თავისი აზრი, შეხედულება გამოთქვა მაჰაჯირობის შესახებად. ცნობილია, მაჰაჯირებად (მოჰაჯირებად) იწოდებოდნენ 1860-1870-იან წლებში თურქეთში ლტოლვილი მუსულმანი ქართველები (აქარლები), აფხაზები, ჩერქეზები და სხვ. ეს იყო მეტად მწარე ხედრი, დიდი ტრაგედია ამ ხალხების ცხოვრებაში, ეს იყო ენით აუწერელი ეროვნული უბედურება, როდესაც მამულიშვილი იძულებული იყო მიეტოვებინა თავისი მიწა-წყალი, მშობლიური ადგილები, წინაპართა საძვალე და სხვის ქვეყანაში გადახვეწილიყო.

ცნობილმა აფხაზმა მწერალმა მ. ლაქერბაიმა აფხაზი მაჰაჯირების ტრაგედია ასე აღწერა:

„ცეცხლის ალისაგან განათებული იყო მთები — იწვოდა სოფლები. გადასახლებულ მაჰაჯირებისა! მეფის ეგზეკუციის რაზმები და ცხენოსანი პოლიცია ფეხდაფეხ მიერეკებოდა ჩამორჩენილთ. დევნილი მაჰაჯირები იაფფასიან ბარგით, უსურსათოდ, მიდიოდნენ ფეხით, ურმებით, რომელთაც მიერეკებოდნენ თურქეთის საზღვრისაკენ: ყარსში, ერზერუმში. არდაგანში, ზღვით კი „სოხუმ-კალედან“ ბათუმზე გავლით ტრაპიზუნამდე გაბმული იყო ფილუგების ქარავანი განდევნილებით დატვირთული. გზებზე, სადაც გაიარეს გაძარცულმა დევნილებმა, ათასობით ეყარა დახოცილთა გვამები... სიმშლი, ავადმყოფობა, სიღატაკე მუსრს ავლებდა ხალხს“.¹²⁰

ეს ეპიზოდი თანაბარი ძალით ასახავს ყველა მაჰაჯირის ტრაგიკულ ბედს.

ქართველმა მოღვაწეებმა, კერძოდ, XIX ს. 60-70-იანი წლების წარმომადგენლებმა ამ საკითხზე ცოცხალი ფაქტების კვალდაკვალ გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები, რომლებიც დღესაც ანგარიშგასასწევია.

117 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), მცირე შენიშვნა. „ივერია“, № 51, 1898 წ.

118 ი. ჭავჭავაძე, წერილი რედაქციის მიმართ. თხზ., ტ. 9, თბ., 1957 წ., გვ. 265.

119 იქვე. ხაზი ავტორისა. — ო. ჭ.

120 მ. ლაქერბაი, აფხაზური თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957 წ., გვ. 6.

ი. ჭავჭავაძემ თავის ცნობილ „შინაურ მიმოხილვაში“ აქარლების გადასახლების საკითხთან დაკავშირებით (1879 წ.) მიუთითა კავკასიელ ხალხთა (აფხაზების, ჩერქეზების, უბიხების, აქარლების და სხვ.) ოსმალეთში მასიური ლტოლვის მიზეზებზე და მისთვის ცნობილი რკინისებური ლოგიკის ძალით მივიდა ისეთ დასკვნამდე, რომ სულთანის თურქეთთან ერთად მეფის მთავრობა დიდად უწყობდა ხელს კავკასიელ ხალხებს დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და ოსმალეთში გარდახვეწილიყვნენ. ი. ჭავჭავაძის ეს სტატია მაშინდელმა დაუნდობელმა ცენზურამ უმოწყალოდ დაასახიჩრა, მაგრამ სული მაინც ვერ ამოართვა. რომ საკითხი უფრო ნათელი იყოს, მოვიტანთ ამონაწერს სტატიიდან:

„აქარლები აყრას ფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო... ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში... მერე როგორ? თავის მამაპაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, — სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა?.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში?.. რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია!.. რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლომე მთელი თავისი დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდანვე, რისთვისაც იღწვის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჭხარის, რასაც დღესასწაულობს, — დიად, სტოვებს და მიდის სად? ოსმალეთში!..

... ეს დაუჭერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი ან იქ სიცოცხლეო.“¹²¹

ასეთია ი. ჭავჭავაძის მწარე განაჩენი დასმულ საკითხზე. ასე გააშიშვლა მან მეფის მთავრობის დამპყრობლური პოლიტიკა, მისი უსულგულობა. ასე ექომაგებოდა იგი კავკასიელ ხალხებს მათთვის ყველაზე მძიმე წუთებში. სტატიაში აგრეთვე მითითებულია, რომ თუ მთავრობას სურს დაანახვოს ხალხს თავისი კეთილი გული, სწორედ ახლა არის საჭირო, რადგან ხალხს შველა უნდაო. ხოლო „ხალხი, ფეხზედ წარმომდგარი უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრომილი. ხალხია უშრეტო წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა“.¹²²

როგორც ჩანს, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ როგორი იყო ი. ჭავჭავაძის პოზიცია ხალხთა იძულებითი გადასახლების საკითხებზე და ვინ მიაჩნდა მას ამ დიდი ბოროტების მიზეზად..

ცნობილია, ი. ჭავჭავაძე მხოლოდ ერთხელ ეწვია სოხუმს 1903 წლის მაისში, რაც დაკავშირებული იყო მეტად საყურადღებო მოვლენასთან.

ი. ჭავჭავაძის სოხუმში ჩამოსვლის მიზეზის გასარკვევად მოგვიწევს ცოტა უთან დახვევა და XIX საუკუნის ბოლო წლების აფხაზეთის ისტორიის ერთ გვერდის გადაფურცვლა.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის ბოლოს აფხაზეთის საუკეთესო მიწების „განაწილების“ შედეგად გაგრა და მისი შემოგარენი 14.000 ჰექ-

¹²¹ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 5, თბ., 1955 წ., გვ. 32-33.

¹²² იბქმ, გვ. 28.

ტარი მამული „წილად ხვდა“ რომანოვების სიძეს პრინც პეტრე ოლდენბურგს.¹²³

ამ საქმოსანმა გაანადგურა გაგრის საუკეთესო ტყეები, მოსპო ძვირფასი ჯიშის კორომები, გაზიდა ბზა და ურთხელი. მაგრამ არაკეთილსინდისიერება იქნებოდა იმის აღუნიშვნელობა, ამ შემამულემ და მისმა შვილმა პრინცმა ალექსანდრემ თუ რა სიახლე შეიტანეს გაგრის მიდამოებში. მათ ეს ერთ დროს მიყრუებული და დაჭაობებული ადგილი კეთილმოაწყვეს, ააშენეს დასასვენებელი სახლები, პარკები, სასტუმროები და უმშენვენიერეს კურორტად აქციეს, ადამიანის სამსახურში ჩააყენეს.

1903 წლის „ცნობის ფურცელში“ ვინმე „ალექსანდრე“ წერდა:

„ამ ერთის წლის წინად გაგრა არც კი იყო სახსენებელი. იქ იყო ორიოდე დუქანი და მწყემსების კარავი. იმის მიდამოებში გავლა ერთის კაცისათვის საშიში იყო. ან მხეცი იმსხვერპლებდა ადამიანს ან არა და გამხეცებული ადამიანი, რომელიც ტყის ცხოველებზე უარესია.“¹²⁴ ასეთი იყო გაგრა 1901 წლისათვის. ხოლო იქ ოლდენბურგების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ეს ადგილი დამშვენდა, ხალხი გამრავლდა, გაიზარდა ალებ-მიცემობა, გაშენდა სახლები, ადამიანმა ფეხი მოიკიდა.

ახლა სულ სხვა ელფერი აქვს გაგრას, იმ ადგილიდან დაწყებული, სადაც ამჟამად გემები ჩერდება, გადაჭიმულია ბალები: ხეხილისა, დეკორაციული და სხვ. პირდაპირ ამართულია 4-სართულიანი სასტუმრო და სასახლე. გორაზე ათამდე კარგი სახლია და ერთი „სახალხო რესტორანი...“ ახლა გაგრა განათებულია ელექტრონით და გემებიც მთელის დღეებით ჩერდებიან.“¹²⁵

ანალოგიური ცნობა არის მოცემული 1905 წელს პეტერბურგში გამოცემულ ილუსტრირებულ კრებულში სათაურით „Гагры — климатическая станция на Черноморском побережье“.

გაგრაში პირველი სკოლა, ბავშვთა თავშესაფრის სახელწოდებით, დააარსა სწორედ პრინცმა პეტრე ოლდენბურგმა და მისი პირველი დირექტორი იყო პ. სიდოროვი. პეტრე ოლდენბურგის სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა ალექსანდრე ოლდენბურგმა განიზრახა მამის მიერ დაწყებული საქმე გაეფართოებინა, გაეღრმავებინა. მართლაც, მან 1903 წლის დასაწყისისათვის მოამზადა ნიადაგი საკუთარი სახსრებით გაგრაში დაეარსებინა საშუალო ტიპის სკოლა-ინტერნატი ამიერკავკასიის მასშტაბით ყველა წოდებისა და ეროვნების გოგონებისა და ვაჟებისათვის. ეს უთუოდ კეთილმოძილური საქმე იყო.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ პრინცმა ალექსანდრემ 1903 წლის აპრილის დასაწყისში ი. ჭავჭავაძე მიიწვია გაგრაში რჩევა-დარიგებისა და კონსულტაციისათვის, მაგრამ ამ დროს ილიას არ ეცალა და ვერ წავიდა. მიზეზი წერილობით შეატყობინა. მაშინ 1903 წლის 27 აპრილს ალექსანდრე ოლდენბურგმა თბილისში ი. ჭავჭავაძესთან გააგზავნა გაგრის ბავშვთა თავშესაფრის დირექტორი პ. ა. სიდოროვი და თან გააყოლა წერილიც, რომელშიც წერდა:

¹²³ „ცნობის ფურცელი“, № 2.200, 1903 წ.

¹²⁴ „ცნობის ფურცელი“, № 2.200, 1903 წ.

¹²⁵ იქვე.

„Милостивый государь

князь Илья Григорьевич,

Напомнив устройство в Гагрской климатической станции школы с интернатом с правом средних правительственных учебных заведений для детей обоюго пола, я желал бы воспользоваться Вашими советами для осуществления этого дела. Сожалея, что Вы лично не могли посетить Гагры, я посылаю к Вам П. А. Сидорова, директора приюта покойного моего отца, принца Петра Георгиевича Ольденбургского. П. А. Сидоров изложит Вам подробности по этому вопросу, я же позволяю себе надеяться, что Вы не откажете в Вашем просвещенном внимании и поможете мне Вашим советом к осуществлению этого дела в местных условиях“.¹²⁶

ი. ჭავჭავაძე გაეცნო ალ. ოლდენბურგის გეგმებს და თავისი შხრიით მისწერა პასუხი. ასე გაიმართა მიმოწერა მათ შორის და დამყარდა კეთილი ურთიერთობა. როგორც მიმოწერიდან ჩანს, ი. ჭავჭავაძეს პრინციპათვის გაუგზავნია აგრეთვე ქართველ პოეტთა ნაწარმოებებიც, ალბათ იმ მიზნით, რომ ალ. ოლდენბურგს სრული წარმოდგენა ჰქონოდა ქართველი ხალხის სულიერ კულტურაზე. კერძოდ, ვისი ან რა კრებული გაუგზავნა ილიამ, უცნობია, მაგრამ რომ გაუგზავნა, ეს ფაქტია. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ი. ჭავჭავაძის არქივში ინახება ალ. ოლდენბურგის ასეთი შინაარსის საპასუხო წერილი ილიასადმი:

„Милостивый государь

князь Илья Григорьевич,

Глубоко тронутая вниманием, искренне благодарю Ваше сиятельство за доставленный мне экземпляр Вашего талантливое произведения, под названием: „Грузинские поэты““.¹²⁷

ჩვენთვის უცნობია ი. ჭავჭავაძის ასეთი ნაწარმოები, შეიძლება დიდმა მოამბემ სპეციალურად დაწერა სტატია ალ. ოლდენბურგისათვის. ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება.

შეიძლება ერთი რამ ვიგულისხმოთ. როგორც ცნობილია, XIX ს. ბოლოს გერმანელი მწერალი და აღმოსავლეთმცოდნე არტურ ლაისტი, დაინტერესებული საქართველოს ისტორიული წარსულით და მისი თანამედროვე ცხოვრებით, ჩამოდის საქართველოში, სწავლობს ქართულ ენას, გერმანულად თარგმნის ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნიკ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, რაფ. ერისთავის, მამია გურიელის, ბაჩანას ნაწარმოებებს, ხოლო 1887 წელს „ქართველი პოეტების“ სახელწოდებით ცალკე წიგნად აქვეყნებს ლაიპციგში. 1900 წელს „ქართველ პოეტებს“ ხელმეორედ ბეჭდავს.

ი. ჭავჭავაძემ ალ. ოლდენბურგს ეს წიგნი ხომ არ გაუგზავნა? მაგრამ მაშინ რატომ წერს პრინცი: „Ваше талантливое произведение?“

¹²⁶ ხაქ. მეცნ. აკად. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 495, ფურც. 1, ხაზი ჩვენია — ო. ჭ.

¹²⁷ იქვე, ფურც. 2.

შეიძლება ი. ჭავჭავაძემ მართლა თარგმნა ქართველი პოეტები ოლდენ-ბურგისათვის? ეს საკითხი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ერთი რამ ცხადია, ი. ჭავჭავაძე საქმის კურსში იყო ყოველივე იმისა, რაც იმ დროს გაგრძაში ტარდებოდა განათლების დარგში. დაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ ის დიდი ღონისძიება, რაც ალ. ოლდენბურგმა ჩაატარა გაგრძაში სასწავლებლის დაარსებით, ი. ჭავჭავაძის მონაწილეობის გარეშე არ მომხდარა.

პრინც ოლდენბურგის ასეთი კეთილშობილური საქმიანობის შესახებ ი. ჭავჭავაძემ მოახსენა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას. ამის თაობაზე „ივერია“ წერდა:

„ეხლანდელ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას მოხსენდება ფრიად საყურადღებო და საქართველოსათვის დიდად სასიამოვნო ამბავი იმის შესახებ, რომ მისმა უმძალესობამ ოლდენბურგის პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძემ ინება დააარსოს გაგრძაში, სოხუმის მაზრაში, ამიერკავკასიისათვის საშუალო სასწავლებელი პანსიონებით ქალთა და ვაჟთათვის. ამ სასწავლებელთან გამართული იქნება ეგრეთ წოდებული უფროსი კლასები, სადაც ასწავლიან ყოველ ტექნიკურს და მეტადრე სამეურნეო საგნებს, ცხოვრებაში გამოსადეგს. ასეთი სასწავლებელი მით უფრო სასურველია ჩვენთვის, რომ ამ სასწავლებელში ჩვენებურს ენას დათმობილი იქნება ჭეროვანი ადგილი“.¹²⁸

ეს იყო ფრიად სასიხარულო ამბავი. გაგრძაში არსდებოდა სასწავლებელი, რომელსაც მიზნად ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის განათლება, ახალგაზრდობის აღზრდა. ამ კუთხის აყვავება-აღორძინება. ამ გარემოების უარყოფა ყოველად შეუძლებელია. ამიტომაც მიუთითებდა „ივერია“:

„დარწმუნებული ვართ, რომ თავადაზნაურობა დიდის მადლობით და სიხარულით მიიღებს ამ ამბავს და თავის მხრით არ დაიშურებს არავითარ ღონისძიებას. რომ ამ სასურველს აზრს თავისი გზა მიეცეს განსახორციელებლად“.¹²⁹

გაგრძაში ჩატარებული ღონისძიების შემოწმებისა და ალ. ოლდენბურგისათვის მადლობის გამოსაცხადებლად აურჩევით დეპუტაცია სამი კაცის შემადგენლობით: ი. ჭავჭავაძე, ალ. ორბელიანი (სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა, თბილისის თავადაზნაურთა მარშალი) და სიღნაღის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმ. ჩოლოყაშვილი.¹³⁰

კომისიის წევრები გაგრძაში 1903 წლის მაისში ჩავიდნენ. იქ დაყვეს რამდენიმე ხანი და 22 მაისს ეწვივნენ სოხუმს.

პირველი ინფორმაცია ი. ჭავჭავაძის სოხუმში ჩამოსვლის შესახებ გამოაქვეყნა ნესტორ კალანდაძემ „ივერიაში“ „კოლოს“ ფსევდონიმით ხოლო შემდეგ ამ საკითხს საკმაოდ ვრცელი წერილი უძღვნა თ. სახოკიამ.

სოხუმში დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჩამოსვლა ელვისებური სისწრაფით გავრცელებულა. „ყველას უნდოდა ახლო“.

128 „ივერია“, № 97, 1903 წ.

129 იქვე.

130 თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969 წ., გვ. 28.

დაენახა ეს სასიქადლო მამულიშვილი საქართველოსი. ყველა ნატრობ-
და მისი ხმის გაგონებას და ფეხაკრეფით მისდევდნენ უკან“.¹³¹

თ. სახოკია ი. ჭავჭავაძეს მასპინძლად დახვდა სოხუმში. „ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებული არ ვიყავით. — მიუთითებს თ. სახოკია, — წარმოგიდგენიათ, რარივ უნდა გაგვხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის ილია ჭავჭავაძის მოსვლა!

რომ ყველას შესძლებოდა ი. ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შარვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ და ამ სადილზე მოეწვიათ გაგრიდან დაბრუნებული სტუმრები“.¹³²

„ივერია“ ტრადიციულ ქართულ-აფხაზურ სუფრას ასე ხატოვნად აღწერს: „თვალის წარმტაც სურათს წარმოადგენდა დიდს მანძილზე გაშლილი სუფრა, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო მშვენიერი ხეივანი ხილნარისა და თავში კი ამაყად იდგა ასწლოვანი მუხა. სამს საათზედ მასპინძელი საზოგადოება სულ შეგროვილი იყო და გულისფანქვალთ ელოდნენ იმ წამს, როდესაც ბაღში ფეხს შემოდგამდა სოხუმის ძვირფასი სტუმარი“.¹³³

მკვლევარ ბ. გვასალიას ცნობით, ამ ისტორიული ბანკეტის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიუღიათ სოხუმელ დარბაისელ მანდილოსნებს: ტერეზია ემუხვარს, ოლა გოგარიჩიძეს და ნინო ჩიჩუას.¹³⁴

ოთხ საათზე ეტლით მოსულან ი. ჭავჭავაძე და მისი თანმხლები პირები. საგანგებოდ მოწვეული მუსიკა მარშით შეგებებია ძვირფას სტუმრებს. სადილზე თამადად ყოფილა სოხუმელი მოქალაქე თეიმურაზ გაბუნია, „ცნობილი თავისი ჭკუითა და სიღარბაისლით“.¹³⁵ სადილი გახდა ქართველი და აფხაზი ხალხების დიდი სიყვარულის გამოხატულება. თავლად იღვრებოდა ძმობისა და მეგობრობის სადიდებელი სადღეგრძელოები. თვით თ. სახოკიას თავისი სიტყვა ასე დაუმთავრებია: „ეს დღე ოქროს ასოებით ჩაიწერება სოხუმელთა ცხოვრებაში“.

სამადლობელი სიტყვა ი. ჭავჭავაძეს ფეხზე წამოდგომით უთქვამს. მთელი საზოგადოებაც ფეხზე მდგარი უსმენდა თურმე ერის მოჭირნახულებს-

„ბატონებო, — უთქვამს ილიას, — დიდი პატივისცემით მოგესალმებით! ბედნიერი ვახლავართ, რომ ვხედავ ჩვენს საერთო მშვენიერ სამშობლოს, კალმით დახატულს კუთხეს და მის მოსახლე მშვენიერსავე ხალხს...

თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ისე ადვილად არ დაეეჩავგვრინებთ“.¹³⁶

ი. ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში განსაკუთრებით აღნიშნა ეპოქის ახალი ვითარება, კაპიტალიზმის განვითარება. ამ გზაზე იმ ერს აქვს უპირა-

131 „ივერია“, № 118, 1903 წ.

132 თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969 წ., გვ. 28.

133 „ივერია“, № 118, 1903 წ.

134 ბ. გვასალია, ი. ჭავჭავაძე სოხუმში. ვახ. „საბჭოთა აფხაზეთი“, № 212, 1966 წ.

135 თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბ., 1969 წ., გვ. 29.

136 იქვე.

ტესობა, უთქვამს ილიას, რომელიც ცხოვრებას ევალდაცვალ მისდევს, ამიტომ საჭიროა ქვეყნის ეკონომიური მართვის საქმეები ჩვენმა ხალხმა აიღოს ხელთ, ჩაუდგეს ცხოვრებას ფერხულში, ითავოს ალემ-მიცემობის, ვაჭრობის საქმე და საკუთარი ძლიერი მატერიალური დოვლათი შექმნასო.

„დღეს, — მიუმართავს მას დამსწრეთათვის, — აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე შევინახეთ კიდევ. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავთ, ისე გულ-და-გულ და პირდაპირ-კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულა, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ლიმილით და ალურსით მოგვექცევათ და ისე გამოგაცილით ხელიდან ამ ლამიხს ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქმნება მაძლობელნიც გაუხვდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინარჩუნოთ ეს სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა“.¹³⁷

თ. სახოკიას გადმოცემით, ი. ჭავჭავაძის სიტყვაში მთელი სამოქმედო პროგრამა იყო ჩამოყალიბებული. აი, ისიც:

„... დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გაშაგრდეს, ვინც ამას არ ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა, რანე გავარდეს ხელიდან და მე ავილოგო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში...“

ერთობლივი ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევინარჩუნოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და ღუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებულნი დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავახაროთ“.¹³⁸

სამართლიანად არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ი. ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში შენიღბულად გამოთქვა „აღშფოთება და საერთო უკმაყოფილება, გამოწვეული მეფის მთავრობის რუსიფიკატორული წყობილებისა და კოლონიალიზმის საზიზღარი რეჟიმით. რა თქმა უნდა, ილიას სიტყვის მთავარი აზრი ოსტატურადაა შენიღბული კაპიტალიზმზე ზოგადი მსჯელობის საფუძვლით“.¹³⁹

ნ. კალანაძის ცნობით, ი. ჭავჭავაძესთან შეხვედრის დროს სიტყვით გამოსულა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ყურადღება გაუმახვილებია სოხუმის კულტურული ცხოვრების ჩამორჩენაზე, ყურნალ-გაზეთების სათანადო რაოდენობით უქონლობაზე. ამასთან მას გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რომ სოხუმში ქართული სკოლა დაარსებულიყო, სადაც „შეიძლება შესაფერი პირველდაწყებითი აღზრდა მიიღოს მომავალმა ახალთაობამაო“. ამ ახალგაზრდას სოხუმის საზოგადოების სახელით უთხოვია ი. ჭავჭავაძისათვის, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის

137 „ივერია“, № 118, 1903 წ.

138 თ. სახოკია, ზემო საუქუნის აღმზიანები, თბ., 1969 წ., გვ. 30.

139 ნ. კალანაძე, ი. ჭავჭავაძე აფხაზეთში. ჟურნ. „ცისკარი“, № 9, 1963 წ., გვ. 137.

გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარისათვის, რომ მას ეშუამდგომლა სოხუმში ქართული სკოლის დაარსებაზე.¹⁴⁰

ი. ჭავჭავაძის ჩამოსვლამ სოხუმში და საერთოდ აფხაზეთში, მისმა ურთიერთობამ აფხაზეთის მოწინავე ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან უთუოდ დადებითი შედეგი გამოიღო თუნდაც იმ მხრივ, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე ი. ჭავჭავაძემ აღუძრავს საკითხი სოხუმში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გაძლიერებისა და სკოლის დაარსების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ვახ. „ცნობის ფურცელი“ წერდა:

„სოხუმის ქართველების შუამდგომლობა სკოლის დაარსების შესახებ“ ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ განიხილა 30 ივნისს და დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველობის წინაშე, ნება მიეცეს საზოგადოებას, დააარსოს სოხუმში სასწავლებელი“.¹⁴¹

მართალია, მთელმა რიგმა პირობებმა შეაფერხეს იმხანად აფხაზეთში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლის გახსნა (ასეთი სკოლის დაარსება შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ 1910 წელს), მაგრამ ი. ჭავჭავაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ აფხაზეთში დაარსებულიყო ქართული სკოლა და ახალგაზრდობის აღზრდას მისცემოდა ეროვნული საფუძველი. „დიდი პოეტის მოგზაურობა აფხაზეთში მაინც იყო სოხუმში ქართული სკოლის გახსნის წინაპირობა, მისი საფუძველი“, — სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი ნ. კილანავა.¹⁴²

ის, რაც ი. ჭავჭავაძემ თვალის ერთი გადავლებით შენიშნა აფხაზეთში და რაზედაც მიუთითებდა ვახუთი „ივერია“, წარმოადგენდა აფხაზ-ქართველთა ყველაზე საშიშ ეროვნულ მტერს. ეს იყო უცხოური ბურჟუაზია, რომელიც თანდათან ეოფლებოდა აფხაზეთის მიწა-წყალს. ამ გარემოებაზე ხშირად მიუთითებდნენ ქართული პერიოდული ორგანოები. მაგალითად, „ივერიისა“ და „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი აფხაზეთიდან კონდრატე გეასალია გულისტკივილით აღნიშნავდა:

„სოხუმის ოლქში მემამულეებმა თავიანთი მიწა-წყალი გაჰყიდეს. ვისაც გადარჩა რამ, ისინიც ეშურებიან მამულის მოშორებას. თუ საქმე ასე წავიდა, ხუთი წლის შემდეგ ჩვენს მემამულეებს ფაცხის დასადგმელი ადგილიც აღარ ექნებათ. ადგილი ჩალის ფასად გაჰყიდეს, ფული ოხრად გაფლანგეს და მომავალზე რას ფიქრობენ, ალაპმა უწყის“.¹⁴³

უფრო ადრე გულდაუთელი კორესპონდენტი წერდა:

„ყოველ დღე მოდიან რუსეთის კაპიტალისტები და ყიდულობენ აქაურ თავადებისაგან მამულებს. ჭერჭერობით გაიყიდა ექვსი მამული... თუ ასე წავიდა ჩვენი საქმე, ექვი არ არის, მთელი აფხაზეთი მალე გაიყიდება“.¹⁴⁴

თავის სიტყვაში ი. ჭავჭავაძემ ამ გარემოებაზეც გაამახვილა ყურადღება, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირა „პატიოსანი“ ხმალი და „მზაკვარი“ ფული.

140 „ივერია“, № 118, 1903 წ.

141 „ცნობის ფურცელი“, № 2 178, 1903 წ.

142 „ცისკარი“, № 9, 1963 წ., გვ. 138.

143 „ცნობის ფურცელი“, № 2 164, 1903 წ.

144 „ცნობის ფურცელი“, № 816, 1899 წ.

სოხუმში ი. ჭავჭავაძის პარტიისაგან გამართულმა სადილმა დიდ-
ხანს გასტანა. სუფრა აფხაზურ და ქართულ სიმღერებს და იშვიათი სილა-
მაზის ცეკვებს შეუმკია ცნობილი ლოტბარის ძუკუ ლოლუას ხელმძღვ-
ნელობით.

სადილის შემდეგ მწერალმა სოხუმის საზოგადოებრიობასთან ერთად
გადაიღო სურათი. ბოლოს მადლიერ საზოგადოებას ხელზე აყვანილი
ი. ჭავჭავაძე ჩაუსვამს ეტლში და მიუცილებია გემამდე, რომლითაც დი-
დი მოამაგე ერისა გამგზავრებულია ფოთში.

ეს შეხვედრა სოხუმელებს „დიდხანს და დიდხანს ჰქონდათ სალაპა-
რაკოდ და სასიამოვნო მოსაგონებლად“.¹⁴⁵ სოხუმელმა აფხაზმა მანდი-
ლოსანმა ტერეზია ემუხვარმა კი ასეთ სიტყვებში ჩააქსოვა ეს თბილი მო-
გონება:

„ასეთი ბედნიერების მონაწილენი თავს ნეტარად ვგრძნობდით. მაგ-
რამ 4 წლის შემდეგ ცარიზმის აგენტებმა მოგვიკლეს ილია. მთელ ქართ-
ველ ხალხთან ერთად აფხაზეთის მკვიდრნიც მწარედ განვიციდით ამ
დიდებული ადამიანის ვერაგულად დაკარგვას“.¹⁴⁶

ი. ჭავჭავაძე დიდი გულსყურით, მამობრივი მზრუნველობით ადევ-
ნებდა თვალს აფხაზეთის ცხოვრებას, აფხაზი და ქართველი ხალხების ის-
ტორიულ ძმობას, კულტურულ-მეგობრულ ურთიერთობას, მათ მწუხარე-
ბასა და სიხარულს, საერთო ჭირვარაშს.

ი. ჭავჭავაძემ თავისი ამაგით ამ უბანზე ახალი ფურცლები ჩაწერა
ქართულ-აფხაზურ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაში.

აპაიი წარმთელი

აქ. წერეთელმა თავისი ნათელი ცხოვრება და მდიდარი შემოქმედე-
ბა ხალხის სამსახურში ჩააყენა. ხალხი იყო მისი შთაგონების წყარო და
შემოქმედების საგანი, ხალხის სახელითვე, ხალხისავე საკეთილდღეოდ
აქედრებდა იგი ჩანგს, ქმნიდა უკვდავ ნაწარმოებებს. ხალხის ბრწყინვა-
ლედ მომავლით დაიმედებული პოეტი თითქმის ექვსი ათეული წლის მან-
ძილზე დაუღალავად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური
პოლიტიკისა და მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ.
ჰალარა მგოსანი ცხოვრების მიმწუხრს წერდა:

არა! აყვავდეს ოქროსი...
გულს ვერ გამოიტებს ჰალარა!
გმირებს უძახის, უკვივს
ჩემი დაფი და ნალარა!

სასიქადულო პოეტი მუდამ ფხიზლად იდგა სამშობლოს სადარაჯო-
ზე. მას უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის სოციალური
და ეროვნული თვითშეგნების ამალღებაში.

¹⁴⁵ თ. სახოკია, ჩემი ჩაუქუნის ადამიანები, თბ., 1969 წ., გვ. 31.

¹⁴⁶ ციტატი მოტანილია ბ. გვასალიას ზემოდასახელებული საგაზეთო წერილიდან.

„მისი ნაწერებით სწავლობდნენ დედაენას, სამშობლოს. სიყვარულს, უზიარებოდნენ მაღალ ჰუმანურ და მოქალაქეობრივ იდეებს“,¹⁴⁷ მისმა ნაწერებმა თაობებს ჩაუნერგა მტკიცე რწმენა ბოროტზე კეთილის უცილობელი გამარჯვებისა.

„ისტორიულმა მსვლელობამ დაგვიმტკიცა. — წერდა პოეტი, — რომ ეს პატარა საქართველო ყოველგვარ განსაცდელსა და გასაჭირს გაუძლებს და მართლაც ის ერი, რომელმაც წარმოშვა რუსთაველი, მთაწმინდელები, გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი სააკაძე და მათნი მსგავსნი, განა სასიკვდილოა? არ გასულა საუკუნე, რომ ნიშანი სასიცოცხლო არ მიეცეს ჩვენთვის ცხოვრებას“.

პოეტს ცისარტყელად ესახებოდა სამშობლოს მყობადი, სჯეროდა, რომ მრავალტანჯული და ნაწამები ქვეყანა მომავალში კვლავ აღსდგებოდა. ამის საწინდრად მას მიაჩნდა ხალხთა „ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

ა. წერეთელი „გამოსატავდა ხალხის საუკეთესო ფიქრებს, მის ღიად მისწრაფებასა და სულისკვეთებას.

ამ მაღალი იდეალების განსახიერებისათვის ბრძოლას მიუძღვნა მან მთელი თავისი შემოქმედება“.¹⁴⁸

ა. წერეთლის შემოქმედების ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ხალხთა მეგობრობა-სოლიდარობის, ძმობის, ურთიერთთანამშრომლობისა და თანაცხოვრების იდეა. ჰუმანისტი პოეტისათვის უცხო, მიუღებელი იყო ნაციონალისტური მისწრაფებები, ვიწრო ეროვნული შეზღუდულობა და კარჩაკეტილობა. იგი ყველა ერში ძმასა და მოკეთეს ეძებდა, ქადაგებდა ხალხთა მეგობრობის უძლეველ, მარად უქცნობ იდეას. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია მისი სიტყვები:

„ხალხის განვითარება ეროვნულ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს. ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა, უნდა უძლოდეს წინ“.

ეს იყო დევიზი, რომელმაც განაპირობა, განსაზღვრა პოეტის შემოქმედების ჰუმანურობა და დემოკრატიულობა. მისი შემოქმედება და პირადი ცხოვრება ერთმანეთს ესისხლბორცება. ამ მხრივ იგი სანიმუშო ხელოვანი და მოქალაქე იყო. მას აფხაზები და ქართველები მშობლიურ ხალხებად მიაჩნდა. მათი საუკეთესო შვილები — ძმებად და მეგობრებად. ა. წერეთლის შემოქმედება ხალხთა მეგობრობის ქადაგებაა.

ქართველი პოეტი სომეხი ხალხის საუკეთესო შვილს გ. სუნდუკიანს ასე მიმართავდა:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთი მოდგმისა და ერთი მთისა.

¹⁴⁷ ლ. ახათიანი, აკაკი და ქართველი ერი. იხ. მისი რჩეული ნაწერები, ტ. 1. თბ., 1958 წ., გვ. 290.

¹⁴⁸ პრ. კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები („თორნივე ერისთავი“ და „ნათელა“), თბ., 1961 წ., გვ. 06-07.

ეს იყო გულის სიღრმიდან ნათქვამი სიტყვები, შინაგანი ძახილი, პოეტის ბუნების გამოხატულება. „პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, — წერდა აკაკი, — რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია“.

აკაკის გული სუფთა და უმწიკვლო იყო, მარად ღია სამოყვროდ და სამეგობროდ. პოეტი თავისი ლექსებით, პოემებით, მომხიბლავი მოთხრობებითა და პუბლიცისტური ნაწარმოებებით ყველგან ძმობასა და მეგობრობას თესავდა. მას ქვეშარიტ პოეტად არ მიაჩნდა ის, ვინც „თვალს არიდებს დაჩაგრულსა, მის ოხვრას და ცრემლთა დენას“. როდესაც 1905 წელს ბუჩქუაზიულმა ნაციონალისტების პროპაგანდის წყალობით მოხდა სომეხთა და აზერბაიჯანელთა ცნობილი ძმათა სისხლისმღვრელი შეტაკებები, აკაკი, როგორც ამ ხალხების მოძმე ერის შვილი, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა სამწუხარო და სავალალო ფაქტს და მოქიშპეებს ასეთი სიტყვით მიმართა:

გაავდეთ ხმალი... ხანჯალი,
ხელი მიეცით ძმურადა..
ნუ შესცქერიხართ ერთმანეთს
მტრულად და ბატონყმურადა.

ბედნიერება ამ ქვეყნად —
შეერთებული შრომა.
რა დროს მტრობაა ძმებისა
და რა დროს განზე დგომა?

შეერთდით, ძმებო! შერიგდით!
ხელი ხელს მიეცით ძმურადა
და მტერს დაუხვდით გარეშეს
თამამად... ვაჟაკურადა.

რა ამალღებულო, ადამიანური, მეგობრული და კეთილმეზობლური ზრახვები გამოსჭვივის ამ სიტყვებში, რა ღიმილი ჰუმანიზმის დემონსტრაციას პოეტის ამ მოწოდებაში.

აკ. წერეთელი მეგობრობის ხილული და უხილავი ძაფებით იყო და-
კავშირებული აფხაზეთთან, აფხაზ ხალხთან, მის საუკეთესო შვილებთან. მან დიდებულად უმღერა აფხაზი კაცის სიჩაუქეს, ზნეობრივ სისპეტაკესა და სულიერ სიდიადეს. თავისი სახელოვანი წინაპრების — იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, გრ. ორბელიანის კვალდაკვალ მეზობლური და მოქალაქეობრივი ხარკი მოიხადა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ქურაში ნაწრთობი მეგობრობის წინაშე, ამ ხალხების ძმობის შენობას კიდევ ერთი აგური შემატა. ამ სისხლხორციულ საკითხს მან უძღვნა უმშვენიერესი პოემა „გამზრდელი“, რითაც გამოავლინა უნაპირო სიყვარული აფხაზი ხალხისადმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პოემით აკაკი წერეთელმა კიდევ უფრო ახლოს გააცნო ქართველ მკითხველს აფხაზი კაცის რაინდული შემართების ბუნება.

აფხაზმა ხალხმაც ღვიძლ შვილად შეისისხლხორცა სათაყვანებელი ქართველი პოეტი. არც ის დაურჩა შემოქმედს ვალში. დღეს ალბათ არ

მოიძებნება აფხაზი კაცი, რომელმაც ზეპირად თუ არა შინაარსი მინც არ იცოდეს „გამზრდელისა“. აფხაზური ლიტერატურის სპეციალისტების აზრით, აკაკის პოემა ისე მონდომებით, ისეთი დიდი სიყვარულით თარგმნა დიმიტრი გულიამ, რომ აფხაზმა მკითხველმა იგი მიიღო როგორც საკუთარი ეროვნული სულიერი კულტურის განძი.

ცნობილი აფხაზი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მ. დელბა აკ. წერეთლის „გამზრდელის“ შესახებ წერს:

„ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში ძნელია აფხაზის უფრო ზუსტი მხატვრული სახის მონახვა, რომელიც გადმოცემულია ფსიქოლოგიურად რთული და დაძაბული სიტუაციით, ვიდრე „გამზრდელში“ ამოქარგული ამაყი აფხაზის, მამაცი მებრძოლის, სტუმართმოყვარისა და თავმდაბლის, თავისი სატრფოს ღრმად და მგზნებარედ მოსიყვარულის სახე“.¹⁴⁹

ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული ძმობისა და მეგობრობის კონკრეტული გამოხატულებაა აკ. წერეთლის და გ. შარვაშიძის მეგობრობა და ურთიერთობა. ქართველი პოეტი დიდად აფასებდა გიორგის ინტელექტს, მიმზიდველ პოეზიას, დრამატულ ნაწარმოებებსა და საზოგადოებრივ ღვაწლს. ასევე აფხაზი მეგობარი პატივისმცემელი იყო ქართველი პოეტის შემოქმედებისა. ეს ორი სახელოვანი მამულიშვილი მუდამ ერთმანეთს ედგა გვერდში. მათი ძირითადი საზრუნავი იყო სამშობლო და მშობლიური ხალხი, ეროვნული კულტურა და დედაენა.

ცნობილია ის საღალღობო ლექსებიც, რომლებიც ერთმანეთს გაუგზავნეს ქართველმა და აფხაზმა პოეტებმა. როდესაც გ. შარვაშიძემ აკ. წერეთელს დაუგვიანა წერილი, ამ უკანასკნელმა გაკენწლა მეგობარი და სხვათა შორის ლექსად მისწერა:

შენი ტკბილი საუბარი
მიყვარს როგორც ქება-ქება,
შენი ნახვა ნერვებ აშლილს
სამკურნალოდ შეერგება
ეს შენც იცი, მაგრამ, ძმაო,
ცოტას მოთაფხაზურებ,
ახალაბაღს რომ მონახავ,
კელეშს აღარც კი უყურებ.

ამ საღალღობო ლექსისათვის აფხაზმა პოეტმა მისთვის ჩვეული ენამახვილობით ქართველ მეგობარს შემდეგი პასუხი გასცა:

შენი ტკბილი მგოსნის ენა
რა ხანია არ მსმენია.
ფუტკარმაცა იცის კებენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია...
მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა
ვით შეპყვრის უმართლობა,

¹⁴⁹ მ. დელბა, დიმიტრი გულია, თბ., 1949 წ., გვ. 57.

ასე უყვარდათ ერთმანეთი ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილებს, ასე სპეტაკი, უანგარო და სუფთა იყო მათი მეგობრობა და ლიტერატურული ურთიერთობა.

გ. შარვაშიძეს წრფელი გრძნობით უყვარდა „გამზრდელის“ ავტორი, რომელმაც დიდებულად უმღერა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობა-ურთიერთობას. როდესაც დაეცა ქართული პოეზიის სიამაყე, აფხაზმა თანამოძმემ და თანამოკალემ იგი ასე დაიტოვა:

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხეულით მხოლოდ შენ განსვენენ,
ხოლო ზეციურ — უკვდავი ხმები
შენის ქნარისა ჩვენთან რჩებიან!¹⁵¹

აკაცისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის გ. შარვაშიძის ეს ლექსი ერთ-ერთი უმშვენიერესია.

აფხაზი ხალხი, მისი საუკეთესო შვილები ყოველთვის კდემამოსილებით ეპყრობოდნენ დიდ ქართველ პოეტს. აფხაზური ხალხური მუსიკალური კულტურის ცნობილი ამგდარი ივანე ლაკერბაი თავის გამოუქვეყნებელ მოგონებებში მიუთითებს: სოხუმში მოღვაწე ცნობილმა ლოტბარმა ძუკუ ლოლუამ მომცა წინადადება, რომ მის გუნდს წავყოლოდი ქუთაისში და დიდი მგოსნის საღამოზე შემესრულებინა აფხაზური სიმღერები. სამწუხაროდ, ქუთაისში მე ვერ წავედი, მაგრამ ძუკუ ლოლუას გუნდმა შეასრულაო ჩემ მიერ რეკომენდებული და ჩემი დახმარებით დამუშავებული რამდენიმე აფხაზური სიმღერა, კერძოდ „დაჭრილის სიმღერა“, „გუდისა“, „სიმღერა აიბას შესახებ“ და სხვ.

„ეს კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა. — წერს იგი, — ჩემ მიერ რეკომენდებული აფხაზური სიმღერები მოსწონებია ნათელმოსილ პოეტს, რის გამო ქუთაისიდან დაბრუნებული ძუკუ ლოლუა მადლობის ნიშნად გადამეხვია და გადამეოცა“.¹⁵²

ამ მოგონებიდან კარგად ჩანს, რომ მოხუც პოეტზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აფხაზურ სიმღერებს. ამ გარემოებაზე მიუთითებენ სხვა მოღვაწეებიც.

ძუკუ ლოლუას მიერ ჩამოყალიბებულ აფხაზურ-ქართულ მომღერალთა ეთნოგრაფიული გუნდის შეხვედრა აკ. წერეთელთან უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ამ გუნდის წევრის, აფხაზეთში ცნობილი თეატრალის პ. თურქიას მოგონებაში, სადაც მითითებულია:

150 ლექსები მოტანილია გაზ. „საქართველოდან“, № 29, 1916 წ., იხ. აგრეთვე გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946 წ., გვ. 86-87.

151 ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 10, 1915 წ.

152 ი. ლაკერბაი, მოგონებები (ხელნაწერი), 1971 წ., გვ. 4. ინახება ავტორთან. გამოუქვეყნებელი დოკუმენტით სარგებლობისათვის პატივცემულ ავტორს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

ქიათურაში კონცერტს დასწრებია აკ. წერეთელი. მას დიდად მოსწონებია იგი და მეორე დღეს სტუმრებთან გადაუღია სურათი (ეს ფოტო ცნობილია), თან მთელი გუნდი მიუწვევია მშობლიურ სხვიტორში და გაუშართავს დიდი ნადიმი.

„სუფრასთან პოეტმა სთხოვა ლოლუას, — ვკითხულობთ მოგონებაში, — თუ ეს შესაძლებელია, მომასმენინეთ აფხაზური მეტყველება, მუსიკა, მელოდია. გუნდის წევრებმა კონსტანტინე ინალ-ფამ, მაქსიმე ანუამ, ნიკოლოზ მანანმა, ჩქოტუამ შეასრულეს აფხაზური სიმღერები: „გუდისა“, „ზაზარი“, „ოზბაქი“, „მაპაჭირი“. ცეკვა „შარათინი“ შეასრულეს ჯოდოლი თოფურაძემ და ნორჩმა მცოცქავემ კუჭირი აჩბამ. აკაკი, აღტაცებული ცეკვებითა და სიმღერებით, ტაშს უკრავდა შემსრულებლებს და მადლობას უცხადებდა ესდენ დიდ სიამოვნებისათვის.“¹⁵³

სხვათა შორის, იგივე აფხაზური სიმღერები ხიბლავდა მეორე ცნობილ ქართველ პოეტს ი. ევდოშვილსაც.¹⁵⁴

აკ. წერეთლის დამოკიდებულება აფხაზი ხალხისადმი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მის „გამზრდელში“. პოემა დაიწერა 1898 წელს და იმავე წელს დაიბეჭდა „აკაკის კრებულში“. სამართლიანად წერს პროფ. აპ. მახარაძე, რომ აკაკის „გამზრდელი“ ისეთივე ეპოქალური ნაწარმოებია იყო თავისი დროისათვის, როგორც ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ი. ჭავჭავაძის „განდევილი“ და ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“.¹⁵⁵

„გამზრდელი“ დაწერის წელსავე გამოიცა ცალკე წიგნად. 1898 წლიდან მოყოლებული პოემა იბეჭდებოდა როგორც პოეტის თხზულებათა კრებულებში, ისე ცალკე გამოცემების სახით, შედიოდა სასკოლო სახელმძღვანელოებში.

ნაწარმოებმა იმთავითვე მიიპყრო დიდი ყურადღება. იგი ითარგმნა მრავალ ენაზე. გადაკეთდა პიესად.

„გამზრდელში“ პოეტური სიტყვის უმაღლეს ორგანიზაციასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად ამბის ეპიური თხრობისა, მასში ძლიერია ლირიკული ელემენტი. ამიტომ მას შეიძლება ეწოდოს ლირიკული ეპოსი, რომელიც სინთეტური ფორმის მატარებელია, ფართო სასიცოცხლო განზოგადებით“.¹⁵⁶

როგორც აღვნიშნეთ, აფხაზმა ხალხმა შეიყვარა, შეისისლხორცა ეს დიდებული ნაწარმოები, რომელიც ამ მშვენიერი ხალხის ცხოვრებას ასახავს.

თვით აკაკის თავის პოემებს შორის გამორჩეული პქონდა „გამზრდელი“. მას ძალიან მოსწონდა პოემის გმირები, ნაწარმოების მორალურ-დიდაქტიკური შინაარსი, ამაყობდა თავისი ქმნილებით. პოეტს ანლო ნათესავი ანეტა იურკევიჩის ქალი (პოეტ რუს-იმერლის ქალიშვილი) ბევრ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს ამ პოემისადმი აკაკის დამოკიდებულების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს ქალი თავზე ადგა პოეტს სიციცხლის უკანასკნელ დღეებში. ერთხელ აკაკის მოუსურვებია, რომ მისთვის

¹⁵³ П. Туркия, В гостях у Церетели „Советская Абхазия“, № 26. 1965 г.

¹⁵⁴ П. Туркия, И. Евдошвили в Сухуми. „Советская Абхазия“, № 2. 1963 г.

¹⁵⁵ აპ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1952 წ.,

საკუთარი ნაწარმოებები წაეკითხათ. ეს საპატიო მოვალეობა ანეტას შეუსრულებია. ამ კეთილშობილი ქალის მოგონებებში ვკითხულობთ:

„... აკაკი მეუბნება: „აქ ჩემი ნაწერებია, გამოიღე და წამიკითხე რამეო“. მეც ბევრი რამ წავუკითხე იმ ღამეს და, სხვათა შორის, „გამზრდელის“ კითხვა დავიწყე. როდესაც დასასრულს მივუახლოვდი და ეს ტაბი წავიკითხე:

მაგრამ უსუბ ეუბნება:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ!?

სასიკვდილო შე ვარ მხოლოდ.

რომ კაცად ვერ გამიზრდინებარ!“

საყვარელმა მოძღვარმა ქეთინი დაიწყო...

ეს კია, როცა შევჩერდი და შეშინებულმა მოვახსენე, რომ კითხვას სრულებით თავს დავანებებ-მეთქი, მან აღელვებით მიბრძანა:

— არა, არა, მე არ ვტირი, მარა ეს მართლა კარგად დამიწერიო.“

ანეტა იურკევიჩის ამ მოგონებაში აშკარად ჩანს აკაკის დამოკიდებულება თავისი პოემისადმი, ის კეთილშობილური გრძნობა, რომელიც ეუფლებოდა პოეტს საყვარელი ნაწარმოების ხელახალი კითხვის დროს. აკაკი რაინდული შემართების ხელოვანი იყო და, ბუნებრივია, სინამდვილის პაჭი-უსუბისეული ფილოსოფიურ-პედაგოგიური გააზრება უშუალოდ მისი მრწამსიდან გამომდინარეობდა.

ისე როგორც აკაკის ბევრი სხვა ნაწარმოების, „გამზრდელის“ ფესვებიც ხალხური შემოქმედებიდან იღებენ საზრდოს. ავტორის მინიშნებით, ამ პოემის ფაბულა აღებული უნდა იყოს აფხაზური სინამდვილიდან.

ცნობილია აკ. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა ხალხურ შემოქმედებას, ფოლკლორს, რომელშიც ხედავდა ქეშმარიტ პოეზიას, უზადო მხატვრულ თავისებურ ფორმას, ხალხის ნათელი და ფხიზელი გონების გამოხატულებას.

„ხალხური პოეზია, — წერდა იგი, — უტყუარი სარკეა გადასულიცხოვრების და ისტორიის მტკიცე საფუძველი... პირველი ადგილი ხალხურ ნაწარმოებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ ნიადაგზე აღმონაცენი და, როგორც მისი საკუთარი გრძნობა-გონებისა და თავგადასავლის ნაყოფი, საუკუნეების ბრძმელშია გამოვლილი“.¹⁵⁷

იმდენად დიდი იყო აკაკის ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, რომ მან ანდერძით თავისი ქონების გარკვეული ნაწილი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას დაუტოვა ხალხური ნიმუშების შესაცვებად და გამოსაცემად.¹⁵⁸

დიდი პოეტი ხშირად მიმართავდა ხალხურ სიტყვიერებას და იყენებდა თავის შემოქმედებაში. მაგალითისათვის დავასახელებთ ბრწყინვალე პოემებს „გამზრდელსა“ და „ნათელას“.

სამართლიანად მიუთითებს პროფ. შ. რადიანი, რომ აკ. წერეთელი იშველიებდა ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელ ხერხებსაც. იყენებდა მათ თავის სამწერლო პრაქტიკაში, მაგრამ „პოეტს ჰქვანოკუ-

157 აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 13, თბ., 1961 წ., გვ. 255-256.

158 აკ. წერეთელი, თხზ., ტ. 14, თბ., 1961 წ., გვ. 589-590.

რად კი არ გადაჰქონდა, არამედ ბუნებრივად, ორგანულად შეჰქონდა მთლიან მხატვრულ კომპოზიციაში ეს ხალხური ელემენტები“.¹⁵⁹

აქ წერეთელმა ჩინებულად იცოდა როგორც თავისი ერის, ისე მოძმე ხალხების, განსაკუთრებით აფხაზების, ფოლკლორი. იგი თვითონაც კრებდა, აგროვებდა მასალებს სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში და სხვებსაც ურჩევდა ჩაეწერათ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები და თაობებისათვის გადაეცათ ისინი. ამ მხრივ პოეტი ერთგვარ რჩევა-დარიგებასაც კი აძლევდა ხალხური შემოქმედებით დაინტერესებულ პირთ, თუ როგორ ჩაეწერათ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ასეთი ხასიათისაა მისი სტატიები: „როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირი გადმონაცემები“.¹⁶⁰ „ზეპირსიტყვიერების გამო“¹⁶¹ და სხვ.

„შემკრებელმა, — წერდა აქაქი, — რასაკვირველია, უნდა უმეტესად ლებოდ ჩაწეროს, როგორც გაიგონოს, ე. ი. ფონოგრაფიულად: დაესწეროს ხოლმე სოფლის ქირში და ლხინში, რომ მათი ხასიათი და ზნე შეისწავლოს და აგვიწეროს“.¹⁶²

ფოლკლორული მასალის შერჩევის, მიგნების ნიმუშად მას მოაქვს რამდენიმე მაგალითი სვანებისა და აფხაზების ცხოვრებიდან, რომლებშიც მეტად საინტერესო მინიშნებაა ხალხის ყოფით მხარეებზე, ეთნიკურ თავისებურებაზე. პოეტის ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ:

„აფხაზეთში ერთ ნამოსახლარზე ვინც გაივლის, დიდი და პატარა — ყველა ფიჩხს დააგდებს და, როდესაც შეგროვდება, მერე წაუკიდებენ ცეცხლს და დაწვავენ ხოლმე. ეს ჩვეულება ჩერაც კიდევ არ გადავარდნილა. ამბობენ, აქ ერთი მოსახლე იყო, რომელმაც ზამთარში გაყინული კაცი შინ არ შეუშვა და სტუმრობის გატეხისათვის ასე უნდა იყოს ხოლმე შეჩვენებული, რომ საიქიოს ცეცხლი არ გამოელიოსო. აზგვარი რამეები თავისთავად საგულისხმო არიან და ახსნა აღარ ეჭირვებათ... ესეები ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ ფასსაც გავიცნობთ. კიდევ ვიმეორებ: დიდი და პატარა, შეძლებისდაგვარად ყველა ვალდებულია, რომ ამ საქმეს მიეშველოს“.¹⁶³

აქ წერეთლის ინტერესი ხალხური სიტყვიერებისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მან 1897 წელს საკუთარი ყურნალი „აკაქის კრებული“ დააარსა. ამ ორგანომ საგანგებო ყურადღება მიაქცია ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეგროვებასა და პუბლიკაციას. პოეტის დაუღალავი მონღომების წყალობით ქართული ფოლკლორის ბევრი ნიმუში გადაუარჩა დაღუპვას.

როგორც სამართლიანად მიუთითებს პროფ. მიხ. ჩიქოვანი, „აკაქი არ იყო უბრალო შემკრები და პატივისმცემელი ხალხური შემოქმედებისა. ის იყო ფოლკლორის მკვლევარიცა და გამომყენებელიც“.¹⁶⁴

159 შ. რადიანი, მეცხრამეტე საუკუნის ქართ. ლიტერატურა, თბ., 1967 წ., გვ. 240-241.

160 „კვალი“, № 6, 1895 წ.

161 „აკაქის კრებული“, № 1, 1897 წ.

162 ა. წერეთელი, თხზ., ტ. 13, თბ., 1961 წ., გვ. 177-178.

163 იქვე, გვ. 179.

164 მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952 წ., გვ.

„აქაის კრებულში“ ქართულთან ერთად დიდი ადგილი დაეთმო აფხაზური ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებთა პუბლიკაციას. ჟურნალმა ერთ-ერთმა პირველმა გააცნო ქართველ მკითხველს მოძმე აფხაზი ხალხის სულიერი კულტურის განძი, მდიდარი ზეპირსიტყვიერება — ხალხური ნოველები და ზღაპრები, გამოცანები და ლეგენდები, ანდაზები და აფორიზმები. ქართველ მკითხველს, ეცნობოდა რა აფხაზურ ფოლკლორს, საშუალება ჰქონდა პარალელი გაეგო მშობლიური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან. მსგავსებას, რასაკვირველია, უთუოდ იპოვიდა. საუკუნეების მანძილზე გამტკიცებულმა ურყევმა მეგობრობამ და მეზობლობამ ქართველი და აფხაზი ხალხების ზეპირსიტყვიერებასაც თავისი მადლიანი დალი დააჩნია.

„აქაის კრებულის“ მუდმივი თანამშრომელი აფხაზეთიდან იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ეთნოგრაფი, ქართული და აფხაზური ენების ბრწყინვალე მცოდნე ნიკო ჯანაშია. სწორედ ამ კეთილშობილი მამულიშვილის დაუღალავი ენერჯისა და მონდომების წყალობით აქაიმ თავის ჟურნალში ბევრი ნაწარმოები გამოაქვეყნა აფხაზური ზეპირსიტყვიერებიდან.

აქ. წერეთელი მკითხველს აწვდიდა სრულიად ახალ ფოლკლორულ მასალას, რომელიც წარმოადგენდა აფხაზური ხალხური შემოქმედების საუნჯეს.

ამრიგად, დიდი ქართველი პოეტი იყო აფხაზი ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორი ქართველ მკითხველში.

როგორც ცნობილია, აქაიმ არა მარტო შეკრიბა და გამოაქვეყნა ხალხური შემოქმედების ნიმუშები, არამედ ბევრი მათგანი საფუძვლად დაუდო თავის ნაწარმოებებსაც. აფხაზური ზეპირსიტყვიერებიდან მან გამოიყენა ის ლეგენდა, რომელიც შემდეგ საფუძველი გახდა ჩინებული პოემის „გამზრდელის“ სახით.

ქართველმა ფოლკლორისტებმა და მკვლევარებმა საკმაოდ ტევადი მუშაობა ჩაატარეს ამ პოემის წყაროების ძიების მიზნით, მაგრამ რაიმე გადაჭრილ შედეგს ვერ მიაღწიეს. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფ. მიხ. ჩიქოვანის ნაშრომი „აქაი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება“ (1958 წ.), სადაც მკვლევარი პოეტის სხვა პოემებიდან ერთად ეხება „გამზრდელის“ ხალხურ საწყისებს.

როგორც პროფ. მიხ. ჩიქოვანი მიუთითებს: „გამზრდელში“ აღწერილი შემთხვევის სინამდვილეზე რაიმე ისტორიული ცნობა არ მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ამჟამად იგი უცნობია და ამდენად მასზე მსჯელობაც არ შეგვიძლია“. აქვე მას მოჰყავს ერთი აჭარული ზეპირი გადმოცემა, რომელიც დოც. ჯ. ნოლაიდელს ჩაუწერია 1939 წელს აჭარაში, ხულოს რაიონის სოფელ გედლეგში, 55 წლის ალალი ჩოგაძის თქმით. ეს თქმულება „ვინ არის დამნაშავე?“ ძალიან ჰგავს „გამზრდელის“ სიუჟეტს. როგორც „გამზრდელისა“ და აჭარული თქმულების შედარებიდან ჩანს, მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. პროფ. მიხ. ჩიქოვანმა ეს ასე ჩამოაყალიბა:

„ა) „გამზრდელში“ ძიძიშვილებად წოდებული ბათუ და საფარ-ბეგი ხალხურ მოთხრობაში ორი დამძობილებული ჭაბუკის იბრაჰიმ-ბეგისა და საფარ-ბეგის სახით არიან წარმოდგენილი;

ბ) მოძღვარ-მასწავლებელი როგორც ხალხურ, ისე ლიტერატურულ ნაწარმოებში ჰაჯი-უსუბის სახელს ატარებს, ხასიათიცა და თავგადასავალიც საერთოა;

გ) ბათუს მეუღლის ნაზიბროლას ადგილი ხალხურში ფაღიშაპის ქალიშვილს უჭირავს, ნაზიბროლასაგან განსხვავებით იგი თვით იბრაჰიმ-ბეგის (ბათუ) აღზრდილი იყო 13 წლის ასაკიდან...

„გამზრდელის“ სიუჟეტი სრული სახითაა წარმოდგენილი ხალხურ გადმოცემაში. აქ არის:

ა) ცხენის მოსაპარავად საფარ-ბეგის გამგზავრება;

ბ) ძმობილთან ღამით მისვლა;

გ) იბრაჰიმ-ბეგის (ბათუ) გულითადი მასპინძლობა და ცხენის მოსაყვანად ძმობილის მაგიერ მასპინძლის წასვლა.

დ) საფარ-ბეგის მიერ ძმობის შელახვა;

ე) იბრაჰიმ-ბეგის (ბათუ) მიერ ცხენის მოყვანა ღამით და შეურაცხყოფილი ცოლის ნახვა;

ვ) სტუმარმასპინძლობის წესის ღირსეული დაცვა და საფარ-ბეგის გაცილება.

ზ) პირშაობის გამკლავება და საფარ-ბეგის წასვლა გამზრდელთან;

თ) მოძღვრის წინაშე დანაშაულის აღიარება და ჰაჯი-უსუბისაგან თავის მოკვლა და სხვ“.

ხალხურ ნაწარმოებში ბევრი განსხვავებული ეპიზოდი და ამბავია ჩართული, თანაც მოქმედების ადგილია არა აფხაზეთი და ყაბარდო, როგორც ეს „გამზრდელშია“, არამედ სამხრეთ საქართველო და თურქეთი.

შედარებიდან აშკარად ჩანს, რომ აქარული ხალხური ტექსტი და ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტი ძალიან გვანან ერთმანეთს. იბადება ბუნებრივი კითხვა: რომელი რომელს უსწრებს — ლიტერატურული ხალხურს, თუ ხალხური — ლიტერატურულს? ე. ი. აქარული თქმულების საფუძველზე წარმოიშვა აკაკის „გამზრდელი“, თუ „გამზრდელის“ გამოქვეყნების შემდეგ შეიქმნა ეს ხალხური გადმოცემა?

სამწუხაროდ, სათანადო არგუმენტაციის უქონლობის გამო ეს კითხვა პროფ. მიხ. ჩიქოვანმა უპასუხოდ დატოვა, თუმცა მან ანგარიში გაუწია ა. წერეთლის მინიშნებას ამბის რეალობაზე. აი, მისი სიტყვები: „მთავარი პრობლემა (ე. ი. რომელი რომელს უსწრებს — ხალხური ლიტერატურულს, თუ პირიქით — ო. ჭ.) დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს, თუმცა აკაკი წერეთლის ქვესათაურული მითითება საკითხის გადაწყვეტას გარკვეულ მიმართულებას აძლევს“.

როგორც ვხედავთ, საკითხი მაინც ღიად დარჩა.

ამას წინათ ქართულად გამოიცა აფხაზი მწერლის მ. ლაკერბაის ნოველების კრებული, მასში განსაკუთრებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნაწარმოებმა „არგუნ სეიდიყ“, რომელიც თავისი შინაარსით მთლიანად მოგვაგონებს აკაკი წერეთლის „გამზრდელს“. საერთო სქემა ასე შეიქმნება ჩამოვყალიბოთ:

ა) მთის ბილიკით ძლივს მისასვლელ ფაცხაში მცხოვრებ აფხაზს წკვარამ წვიმიან ღამეში ეწვია სტუმარი, რომელიც გამოდგა მისი ახლობელი ძმაცაცი, ყმაწვილობიდან თანმეზრდილი;

ბ) მასპინძელს ჰყავს მშვენიერი მეუღლე, რომელიც შემდგომ გახდება ძმობილების მტრობის მიზეზი;

გ) სტუმრის მოსვლის მიზანი არის ცხენის მოპარვა, სტუმარს მისმა საცოლემ ასეთი პირობა დაუდო: თუ ცხენს ჩაიგდებ ხელში, შენი ვარ, თუ არა, ჩვენი გზები გაიყრება;

დ) მასპინძელი სტუმარს სახლში დატოვებს, ხოლო თვითონ მარტოდმარტო წავა ცხენის მოსაყვანად;

ე) თავის ფაცხაში დაბრუნებულს, საზარელი ამბავი დახვდა — სტუმარსა და მეგობარს შეუბღალავს ძმობა;

ვ) სტუმრის გაცილება და პირობის ჩამორთმევა, რომ იგი ყოველივეს აღმზრდელს უამბობდა. ის იქნებოდა მსჯავრის დამდები.

ზ) აღსარება აღმზრდელის წინაშე. ამ უკანასკნელის მიერ თავის მოკვლა.

ზუსტად ასეთია ორივე ნაწარმოების სქემა, მხოლოდ მოქმედ პირობა სახელებია სხვადასხვა, რაოდენობა კი — ერთნაირი, ასევე ანალოგიურია სიუჟეტური ქსოვილი, კვანძები და სულიერი განცდებიც კი.

დავასახელოთ პერსონაჟები აკ. წერეთლის „გამზრდელთან“ შეპირისპირებით: ეშ ჯარნაზი — ბათუ; ყუჩიტა — საფარ-ბეგი; ასია — ნაზიბროლა; არიშ ხაბუგა — ინალ-იფა; ნაზირე — ზია-ხანუმი; არგუნ სეიდიყი — ჰაჯი-უსუბი.

როგორც ვხედავთ, პერსონაჟთა რაოდენობა, მათი ურთიერთდამოკიდებულება ა. წერეთლის პოემასა და მ. ლაკერბაის ნაწარმოებს შორის ანალოგიურია ზოგიერთი გამოხატვისით. „გამზრდელის“ მიხედვით, ბათუ და საფარ-ბეგი ძიძიშვილები არიან, ხოლო მ. ლაკერბაის ნოველის მიხედვით ჯარნაზი (ბათუ) და ყუჩიტა (საფარი) — მხოლოდ მეგობრები, ოღონდ არგუნ სეიდიყის აღზრდილები. ნაზიბროლა მეგრელი ქალია. ასია კი ნოველის მიხედვით არ ჩანს, თუ რა ეროვნებისაა, მაგრამ იტულისხმება, რომ იგი აფხაზი ქალია. „გამზრდელში“ მოქმედება მიმდინარეობს აფხაზეთსა და ყაბარდოში, ჰაჯი-უსუბი ყაბარდოელია, ხოლო მ. ლაკერბაის ნოველის მიხედვით კონკრეტულად არ არის მითითებული მოქმედების ადგილი, მაგრამ იგრძნობ, რომ აფხაზ გმირთა სარბიელი მათი სამშობლოა.

მწერალ მ. ლაკერბაის აფხაზური ნოველების კრებულის შესავალში მითითებულია, რომ ავტორს ნოველები აგებული აქვს ხალხურ სიუჟეტებზე. „არგუნ სეიდიყი“ ხალხური მთქმელისაგან ჩაუწერია. ჩვენ თავის დროზე მივმართეთ მის ლაკერბაის და გამოვარკვიეთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ნოველა მის თითქმის სიტყვასიტყვით ჩაუწერია 100 წელს გადაცილებულ კირხველ (გუდაუთის რაიონი) მოხუც პასან პალბასაგან.

როგორც ვთქვით, აკ. წერეთელმა „გამზრდელი“ გამოაქვეყნა 1898 წელს თავის ჟურნალ „კრებულში“, იგი, როგორც დიდაქტიკური ნაწარმოები, უძღვნა პედაგოგებს. ამასთან ასეთი ქვესათაური მისცა „ნამდვილი ამბავი“.

ჩვენი მგოსნის მითითება იმ გარემოებაზე, რომ პოემა „გამზრდელში“ ნამდვილი ამბავია ასახული და ისიც აფხაზეთის ცხოვრებიდან, საეჭვო არ უნდა იყოს. ამას მით უფრო გვაფიქრებინებს ამ ბოლო დროს აფხაზურ ფოლკლორში აღმოჩენილი მასალები. ყოველ შემთხვევაში აქარულ

ხალხურ თქმულებაზე უფრო საიმედოდ და ტექსტთან ახლოს აფხაზური ხალხური ნოველა ჩანს. ამას ამაგრებს აკაკის ქვესათაურიც.

ამასთან, როგორც გადმოგვცეს აფხაზმა მეგობრებმა (დოც. შ. სალაყაია), „გამზრდელის“ დაახლოებით ანალოგიური შინაარსის ხალხური ნოველა არსებულა ჩერქეზულადაც.¹⁶⁵

არც აფხაზი ხალხისათვის იყო უცნობი „გამზრდელის“. როგორც ლიტერატურული ნაწარმოების, შინაარსი. აფხაზურად ეს პოემა პირველად თარგმნა (თავისუფალი თარგმანი) დ. გულიამ 1919 წელს და 1923 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. ხელმეორედ გამოიცა 1936 წელს.

ლიტერატურის ისტორიამ იცის არა ერთი და ორი მაგალითი იმისა, როცა სიტყვაკაზმული მწერლობის ნაწარმოები საფუძვლად ედება ხალხური სიტყვიერების ამა თუ იმ თქმულებას და ამბად გადადის თაობიდან თაობაში.

მაგრამ ეს გარემოება აქ თითქოს გამორიცხული ჩანს, რადგანაც აფხაზურ ხალხურ ნოველებში გვხვდება ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც თავიანთი სიუჟეტური ქსოვილით სწორედ „არგუნ სეიდიყის“ საპირისპიროს წარმოადგენენ და კიდევაც ერთგვარად ავსებენ მას. ასეთია, მაგალითად, ნოველა „მეგობრები“.

„არგუნ სეიდიყის“ კვანძს წარმოადგენს ყუჩიტას (საფარ-ბეგის) ავხორცობა, რამაც იგი სულმოკლეობამდე მიიყვანა, ხოლო „მეგობრებში“ ბესლანი სპეტაკად იცავს ძმააკის ოჯახის ნამუსს, „ალამისს“. მიუხედავად იმისა, რომ იგი მთელი ღამის მანძილზე მეგობრის მძინარე მეუღლის გვერდით იწვა. თუ „არგუნ-სეიდიყი“ გვიჩვენებს, სანამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი მეგობრული ფიცის ღალატმა, „მეგობრები“ წარმოადგენს ადამიანის ერთგულების, მტკიცე, ურყევი ნებისყოფის, სულგრძელობის ზეიმს. ამდენად ეს ორი ხალხური ნაწარმოები ერთმანეთს ავსებს.

მანც სად შეეძლო აკაკის გაეგონა აფხაზური თქმულება „გამზრდელის“ ფაბულაზე? განა ცოტა ჰყავდა დიდებულ მგოსანს მეგობარი აფხაზეთ-სამეგრელოს ინტელიგენციიდან, რომ ეს საინტერესო თქმულება მისთვის გადაეცათ? მოვიგონოთ თუნდაც ცნობილი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გ. შარვაშიძე. გიორგი და აკაკი ხშირად იკრიბებოდნენ ერთად სხვადასხვა ლიტერატურულ სალონებში თბილისსა და ქუთაისში. ისიც ფაქტია, გ. შარვაშიძე ყოველწლიურად დაივლიდა თავის სამშობლო აფხაზეთს თეთრი ჩოხით, სანამ სამოსი არ შემოაცვდებოდა. იგი მშობლიური მხარის სოფლებში ხვდებოდა გლეხებს, მათთან ტკბილ საუბარში თუ ხელგამლილ სუფრასთან აღამებდა. აქ ითქმებოდა ბევრი საინტერესო ამბავი, ლეგენდა, თქმულება, მართალი თუ მოგონილი. საუბლიად ადვილი დასაშვებია, რომ გ. შარვაშიძეს ეს გაეგონოს თავისი ბავშვობის, ქაბუკობისა თუ ჭარმაგობის პერიოდში და ეთქვას სულიერი მეგობრისათვის — აკაკისათვის. ასეთი რამ გამორიცხული არ არის.

ყოველ შემთხვევაში ჩერჩერობით ორი აზრი დაუპირისპირდა ერთმანეთს აკ. წერეთლის „გამზრდელის“ ხალხური წყაროების შესახებ. პირ-

¹⁶⁵ Ш. Х. Салакая. О некоторых общих фольклорных истоках литератур абхазо-адыгейских народов (отдельный оттиск). Уч. записки Адыгейского научно-исслед. инст. языка, литературы и истории, т. III, Майкоп, 1967 г. გვ. 182.

ველი ემხრობა აქარულ ხალხურ თქმულებას „ვინ არის დამნაშავე?“, ხოლო მეორე — აფხაზურ თქმულებას, რომელიც დაკავშირებულია არგუნ სეიდიყთან. აკ. წერეთლის ქვესათაურული მინიშნებაც მეორე აზრის სასარგებლოდ მეტყველებს.

აკ. წერეთელი მუდამ დიდი სიყვარულით ეკიდებოდა მოძმე აფხაზი ხალხის ისტორიას, კულტურასა და ყოფას.

იაკობ გოგებაშვილი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და ქართული პედაგოგიკის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს ჩაგრული ერების ცხოვრებას, იყო სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი. „თავისი ერის დიდ სიყვარულსა და პატრიოტულ გრძნობას იგი თავისუფლად უთავსებდა სხვა ერების ღირსებათა დაცვისა და მათი უაღრესი პატივისცემის ინტერნაციონალურ გრძნობას“.¹⁶⁶

ი. გოგებაშვილისათვის სამშობლო, მისი ბედი და იღბალი, წარსული, აწმყო და მომავალი ყოველთვის სათუთი ზრუნვის საგანი იყო. მას ინტერნაციონალიზმის გარეშე წარმოდგენილი არ ჰქონდა პატრიოტიზმის გაგება. ისე როგორც მის ღირსეულ თანამედროვეებსა და თანამებრძოლებს ი. ჭავჭავაძესა და აკ. წერეთელს, მასაც პატრიოტიზმი გააზრებული ჰქონდა, როგორც „ძლიერი სიყვარული სამშობლოსადმი“, რომელიც „შბადებს ძლიერ სიყვარულს კაცობრიობისას“.

პატრიოტიზმის თემა, პატრიოტული აღზრდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიკისა და მთელი შემოქმედების მთავარი მოტივია.¹⁶⁷

დიდი ჰუმანისტი და განმანათლებელი ყოველთვის მედგრად იბრძოდა ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი მართებული გაგებით, ყოველ ერს — დიდსა თუ პატარს — აქვს უფლება თვითგამორკვევისა, საკუთარი ეროვნული კულტურის შექმნისა და განვითარებისა, ყოველ ერს, ეროვნებას ბოლოს და ბოლოს აქვს უფლება არსებობისა და ეს კი ნიშნავს მისი ეროვნული თავისებურების: ენის, სულიერი წყობის, ხალხური კულტურის, ტრადიციების, ტერიტორიის აღიარებას. ი. გოგებაშვილი განსაკუთრებული აღშფოთებით გამოდიოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ ადამიანისა და ერისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას, ხოლო ადამიანის სიყვარულისა და პატივისცემის გარეშე არ არსებობს არც სამშობლოს სიყვარულის ჯანსაღი გრძნობა და არც მეგობრობის განცდა. ამ საკითხთან დაკავშირებით იაკობი წერდა:

„ვინც გამსჭვალულია ადამიანისადმი სიყვარულით, ის ამ კეთილშობილურ გრძნობას ანხორციელებს პირველ ყოვლისა თავის სამშობლოსა და თვისტომთა მიმართ, როგორც კაცობრიობის იმ ნაწილის მიმართ, რო-

¹⁶⁶ გ. თავიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1950 წ., გვ. 64.

¹⁶⁷ იქვე, გვ. 60.

მელიც უფრო ახლოა მასთან და, მაშასადამე, არის ქეშმარიტი პატრიოტი, მაგრამ ამავე დროს ის სიყვარულითა და სამართლიანობით ეპყრობა სხვა ერებსაც და, ამგვარად, ემსახურება საყოველთაო ძმობის მალალი ცნების განხორციელებას“.

ი. გოგებაშვილი ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი მქადაგებელი იყო. მას კავკასიელი ხალხები, მიუხედავად თითოეული მათგანის ეროვნული თავისებურებისა, მაინც ერთ ოჯახად ჰქონდა წარმოდგენილი. ქართველები, აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით, მეზობლად ცხოვრობდნენ და მოძალებულ მტერთან ბრძოლაში საერთო ინტერესებს ემსახურებოდნენ. ი. გოგებაშვილი სასტიკად იბრძოდა, პირველ რიგში, ქართული ნაციონალური ყოყობის, სომხური ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, ველიკორუსული შოვინიზმის გამოვლინების წინააღმდეგ. იგი მთელ რიგ სტატიებში საგანგებოდ მიუთითებდა ამ ხალხების მშრომელი ფენების, მოწინავე ინტელიგენციის ძმური მეგობრული ურთიერთობის მტკიცე საფუძველზე. სტატიაში „ქართლი“ იგი აღნიშნავდა:

„ქართველებსა და სომხებს შორის რომ ანტაგონიზმი არსებობდეს, სომხებს ადვილად შეეძლოთ განცალკევება, გამიჯვნა, შეეძლოთ შეექმნათ ცალკეული, კარჩაეკტილი ჯგუფები და დარჩენილიყვნენ ქართველი ხალხისათვის უცხო ელემენტებად (აქ საუბარია ქართლში მცხოვრები სომხების შესახებ — ო. კ.)... მათ უარყვეს მექანიკური თანაცხოვრება ქართველ ხალხთან, გააბეს უმჭიდროესი ზნეობრივი კავშირი და შექმნეს მათთან ერთი ორგანული მთლიანობა. ქართლელი სომხებისათვის ძნელი არ იქნებოდა სრულიად ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ ყველა თავიანთი ნაციონალური თავისებურებანი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო ქართველ ეროვნებასთან ნათესაობის და ძმობის შეგნება, რომ მათ არა მარტო სოფლად, არამედ სამაზრო ქალაქებშიც ქართული ენა გახადეს სიტყვიერ იარაღად, თავიანთ ყოველდღიურ ურთიერთობაში სომხები და ქართველები ერთმანეთისაგან თავს არაფრით ანსხვავებენ. ქართველი ისევე ადვილად და სიამოვნებით უწევს სამსახურს სომეხს, აბამს მასთან მეგობრულ ურთიერთობას, როგორც თავის თვისტომთან“.¹⁶⁸

მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამავე დროს მათ ჰქონდეთ თავიანთი ეროვნული და რელიგიური რწმენა. იაკობი მსჯელობას შემდეგ ასეთნაირად წარმართავს:

„ქართველთა და სომეხთა ერთ ორგანულ მთელად შეერთებას ყველაზე მკაფიოდ ცხადყოფს მათი რელიგიური ცხოვრების გამოხატულებანი. უნდა ვიცოდეთ, რომ ქართველებიც და სომხებიც მეტისმეტად ერთგულნი არიან თავიანთი სარწმუნოებისა და დიდი წარმოდგენა აქვთ მის სრულყოფასა და ღირსებებზე“.¹⁶⁹

აქ, როგორც ვხედავთ, ი. გოგებაშვილი ერთა გათქვეფასა და ასიმილაციაზე კი არ ლაპარაკობს, არამედ მეგობრულ ურთიერთობაზე თავიანთი მშობლიური თვისებების შენარჩუნებითა და განმტკიცებით. სწორედ ასეთი კულტურული, ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობა-

¹⁶⁸ ი. გოგებაშვილი, ქართლი. თხზ., ტ. 1, თბ., 1952 წ., გვ. 82-83.

¹⁶⁹ იქვე, გვ. 83.

ზა მიაჩნდა მას ხალხთა მომავალი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველად. ქართველი, რუსი და სომეხი ხალხების მაგალითზე იგი წერდა:

„მძობა ქართველებსა და სომხებს შორის და უმჭიდროესი ერთიანობა რუსეთთან — აი, ორკეცი დევიზი, რომელიც მოისმის ხალხის ცხოვრების სიღრმიდან და რომლისადმი მტკიცე ერთგულება, გონებრივი, ზნეობრივი და მატერიალური წარმატების პირობებში ჩვენს განაპირა მხარეს გადააქცევს ერთ-ერთ მაღლიან კუთხედ და ბრწყინვალე მომავალს შეუქმნის მას.“¹⁷⁰

აქ ძირითადად გადმოცემულია ხალხთა ურთიერთობის ი. გოგებაშვილისეული გაგება. იმ დროს ეს იყო მტკიცენული საკითხის ყველაზე სწორი, რეალური, ობიექტური და ჰუმანური გადაჭრა. ი. გოგებაშვილი ამ ხაზობით უდგებოდა ყველა ერისა და ეროვნებისადმი ქართველი ხალხის მიმართებას, მათი ეროვნული პოზიციების გარკვევას.

ი. გოგებაშვილი მთელ რიგ სტატიებში საგანგებოდ ეხება აფხაზი ხალხის ცხოვრებას, მის მიწა-წყალს, ენას, კულტურას, სახალხო განათლებას, ისტორიას, აფხაზებისა და ქართველების ურთიერთდამოკიდებულების კულტურულ და ტრადიციულ საფუძველებს.

ი. გოგებაშვილი აფხაზების შესახებ ყოველთვის ლაპარაკობდა გულისხმიერად, დიდი ყურადღებით, პატივისცემით, გულწრფელად, თანაგრძნობით ეპყრობოდა აფხაზი კაცის გასაჭირსა და სიხარულს. როდესაც რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს აფხაზ ხალხს დიდი ეროვნული უბედურება დაატყდა თავს მაჰაჯირობის სახით, ი. გოგებაშვილი გულისტკივილით წერდა:

„ახლანდელმა ომმა, სხვა მრავალ შედეგებთან ერთად, გამოიწვია ის შედეგიც, რომ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კუთხე მოულოდნელად გაუდაბურდა, ვინაიდან ის მიატოვა თითქმის ყველა მისმა მკვიდრმა მცხოვრებმა. ჩვენ ვლაპარაკობთ აფხაზეთისა და მისი მცხოვრებლების შესახებ, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო და გადასახლდნენ თურქეთში“.¹⁷¹

ი. გოგებაშვილი გულწრფელად დიდ ეჭვებს გამოთქვამდა, რომ ეს გადასახლება არ ყოფილიყო საბედისწერო, სამუდამო.

ამ ვრცელ სტატიაში ავტორი სასტიკ წინააღმდეგობას უწყევდა ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავდა მთლიანად კავკასიის და, კერძოდ, ადგილობრივ მკვიდრთაგან დაცარიელებული აფხაზეთის კოლონიზაციას, აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე მხოლოდ უცხო ტომების ჩასახლებას. იაკობი მოითხოვდა, რომ კავკასია ყოფილიყო კავკასიელი ხალხებისათვის და არავითარ შემთხვევაში ძალმომრეობა მის მიმართ არ გამოეყენებინათ. მართალია, როგორც მიუთითებს ი. გოგებაშვილის თხზულებათა ანთომეულის სარედაქციო კოლეგია, „გოგებაშვილი ამ სტატიაში გადაჭარბებულად აფასებს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების ფაქტორის მნიშვნელობას და ზოგჯერ მცდარ დასკვნამდე მიდის“,¹⁷² მაგრამ მისი შეცდომა გულწრფელი, უანგარო

170 ი. გოგებაშვილი, ქართლი. თხზ., ტ. I, თბ., 1952 წ., გვ. 89.

171 ი. გოგებაშვილი, ვინ უნდა იქნას დასახლებული აფხაზეთში. თხზ., ტ. I, თბ., 1952 წ., გვ. 90.

172 ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, თბ., 1952 წ. გვ. 93. შენიშვნა

იყო. იგი გამომდინარეობდა იმ რწმუნებიდან, რომ მეფის მთავრობის მოხელეები „დაავადებული იყვნენ რასიული განკერძოებულობის თვისებით და სხვაშიც ამ უღამაზო თვისებას ხელავენენ.“¹⁷³

ი. გოგებაშვილის მთელი პედაგოგიური მოძღვრება ექვემდებარება იმ ცნობილ პრინციპს, რომლის მიხედვით სკოლებში ბავშვების სწავლება უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე. ქართველი განმანათლებელი სასტიკი წინააღმდეგი იყო სწავლების „მუნჯური“ მეთოდისა, რომლის წარმომადგენლები ბავშვებს გაუგებარ სიტყვებსა და მოვლენებს გაუგებარი სიტყვებით ან სიტუაციის იმიტაციით, მუნჯურად უხსნიდნენ. ეს იყო სასწავლო პროცესის აშკარა დამახინჯება. არარუსი ხალხების ეროვნული მეობის აბუჩად აგდება. ამის გამო ი. გოგებაშვილი აღმფოთებით წერდა:

„ყველა ევროპელ პედაგოგთა შორის ყველაზე უფრო დიდი ანირებულობით გამოირჩეოდნენ ავსტრიელი პედაგოგები, მაგრამ ისინიც კი არ მისულან არასოდეს ისეთ უაზრობამდე, რომ სახალხო მასწავლებელმა შეიძლება არ იცოდეს იმ მოსახლეობის ენა, რომელსაც ეკუთვნის სკოლა. თურქი პედაგოგებიც კი საჭიროდ თვლიან სახალხო სკოლებში აუცილებლად ისეთი მასწავლებლები ჰყავდეთ, რომლებმაც კარგად იციან ბავშვების მშობლიური ენა.“¹⁷⁴

ამ წერილში ი. გოგებაშვილი იცავს ქართველების, აფხაზების, სომხების, თათრების სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას.

ი. გოგებაშვილი, ეკამათებოდა რა ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს ზახაროვს, რომელიც სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო ორკლასიან სასწავლებელში ქართული ენის სწავლებას ქართველი ბავშვებისათვის სრულებით უარყოფდა, მიმართავდა აფხაზეთის მაგალითსაც, სადაც ასევე იდევნებოდა აფხაზური ენა სკოლებიდან. ამ ფაქტით აღმფოთებული იყო იგი. მას თავის სტატიაში მოაქვს ვრცელი ამონაწერი ოფიციალური დოკუმენტიდან, რომელშიც აღნიშნულია:

„სამასწავლებლო სკოლის უფროსი კლასის აღსაზრდელებმა პედაგოგიური საბჭოს დროს განაცხადეს, რომ ადგილობრივ ენებზე სწავლებისათვის დანიშნული ორი წელიწადი ძალიან ბევრია, ოსებმა ისიც კი თქვეს, რომ მეორე წელიწადს მათ მოუხდებოდა რუსული სიტყვების დამტკრევა და იქიდან ოსური სიტყვების შედგენა იმისათვის, რომ რამენაირად მოახერხონ და აწარმოონ ოსურ ენაზე სწავლება. ხოლო აფხაზი სრულ გაუგებრობაშია, მას ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ უნდა ასწავლოს აფხაზურ ენაზე“.¹⁷⁵

ხაზგასმულმა სიტყვებმა სულის სიღრმემდე აღაშფოთა ი. გოგებაშვილი. მან ამ უხამს, შავრანშულ აზრს ასეთი პასუხი გასცა:

„მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს ჩვენს მიერ ხაზგასმულ უკანასკნელ ფრაზას. იგი შეიცავს ზუსტად შემდეგ აზრს: პირველდაწყე-

173 ი. გოგებაშვილი, მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები. თბ., ტ. 1, 1952 წ. გვ. 144-145.

174 იქვე, გვ. 149.

175 იქვე, გვ. 155. ხაზგასმა ავტორისაა. — ო. ჯ.

ბითი, ელემენტარული სწავლების წარმოება აფხაზურ ენაზე შეუძლებელიაო. არა, თუ საგანს თავის სახელს ვუწოდებთ, მაშინ მოვალე ვართ ვთქვათ, რომ ეს აზრი უალრესად არაკეთილსინდისიერია, ვინაიდან არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდება პირველდაწყებითი სწავლების მოგვარება ისევე, როგორც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც უბრალო, ჩვეულებრივი აზრების გამოთქმა არ შეიძლებოდეს... დირექციამ აფხაზური სკოლები გამოიყენა დასაყრდენ პუნქტად, სადაც ფეხი უნდა მოეკიდა და უნდა განვითარებულიყო სწავლების ეს ყველაზე უბადრუკი სისტემა და საიდანაც ის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო ყველა დანარჩენ მთიელთა სკოლაში“.¹⁷⁶

ასეთი თავგამოდებით იცავდა ი. გოგებაშვილი ეროვნულ უფლებებს ყველა ერისა და მათ შორის განსაკუთრებით აფხაზი ხალხისას, რომელიც მაშინ მეტად მძიმე პირობებში იმყოფებოდა.

ი. გოგებაშვილი XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთი პირველი მოღვაწეა, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა რუსულ ენისა და ლიტერატურის შესწავლის აუცილებლობას. იგი ის თავაპყია, რომელსაც ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მხარდამხარ ჩინებულად ესმოდა დიდი რუსი ხალხის, მოწინავე რუსული აზროვნების განმანათლებლური მისია კავკასიელ ხალხთა მიმართ, მაგრამ ნაციონალურ სკოლებში სწავლების ენად იაკობი სამართლიანად მიიჩნევდა მშობლიურს. რუსული ენა მას მეორე მშობლიურ ენად ჰქონდა აღიარებული. ი. გოგებაშვილი ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის დაუღალავი მქადაგებელი იყო. ერის ეს სასახელო შვილი აი რას წერდა:

„ქართველი, მაგალითად, რომელსაც შეიძლება არც კი ესმოდეს არც რუსული სიტყვა და, რომელსაც უყვარს თავისი ეროვნება და თავისი დედენა, რომლებიც მან ათასწლოვან ბრძოლებში გადაარჩინა და დაცვა მილიონობით მტრებისაგან, დიდი ხანია რუსეთს თვლის თავის სამშობლოდ და რუსი ერის თავისებურებათა და თვისებათა პატივისცემასა და სიყვარულში ნამდვილ მოსკოველს არ ჩამორჩება“.¹⁷⁷

ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრებისა და ეროვნული კონცეფციის საფუძველი, ამოსავალი არის დედა-ენა, რომელიც მას, ისე როგორც ყველა პროგრესულ მოღვაწეს, მიაჩნდა ეროვნების ბურჯად. დედაენას მოწყვეტილი პიროვნება და საზოგადოება განწირულია დასალუპავად.

„დედა-ენა არის ძვირფასი საღარო, — მიუთითებდა იგი. — რომელშიც დატულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელის ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“.¹⁷⁸

როდესაც ბავშვს ამ უფლებას ართმევენ, მის სულს ამახინჯებენ. ასეთი იყო დიდი პედაგოგის დასკვნა.

176 ი. გოგებაშვილი, მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები. თბზ., ტ. I, 1952 წ.,

177 იქვე, გვ. 162.

178 ი. გოგებაშვილი, ბურჯი ეროვნებისა. თბზ., ტ. 2, 1954 წ., გვ. 208.

ი. გოგებაშვილი ამ მხრივ მოითხოვდა ყველა ერისა და ეროვნების უფლების დაცვას როგორც სკოლაში, ისე სახელმწიფო მმართველობაში. იგი ორგანულად ვერ იტანდა ეროვნულ ქედმაღლობასა და ვიწრო ნაჟუკში მოქცეულ პატრიოტობას, რომელსაც უწოდებდა „ლობიოს პატრიოტობას“. იგი ასეთ გამოვლინებებს სასტიკად ებრძოდა. თვით ფართო ბუნების მოღვაწე, სხვებისაგან მოითხოვდა დიდსულოვნობასა და კეთილშობილებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი შეეხებოდა ერთა უფლებების გარკვევას. ეს ყოველი პატიოსანი ადამიანის წმიდათაწმიდა მოვალეობად მიაჩნდა.

ი. გოგებაშვილმა სასტიკად ამხილა ზოგიერთი ქართველი და აფხაზი უგუნური კაცუნა, რომლებიც ნაციონალიზმის ბანგით გაბრუნებულნი იყვნენ და ისტორიულ ძმებს — აფხაზებსა და ქართველებს შორის შეგობრობის განმტკიცების ქადაგების ნაცვლად თესავდნენ უნდობლობას, შურს. ეს გარემოება მას მეტად საზიანოდ მიაჩნდა ორივე ერისათვის. სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში ი. გოგებაშვილი სახალხოდ ამბობდა:

„გაზნეთების ზოგი კორესპონდენტი მტრულად ეპყრობა აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნას და ამ ენაზე ლეთისმსახურების შესრულებას. ეს მეტისმეტად მაოცებს. მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ლეთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეკველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო კი არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ლეთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე...“

უსამღვდელოესი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. მან მოითხოვა კიდევ მონაწილეობა მიეღო აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოს შედგენაში. ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ სოხუმელმა ქართველებმა და ყოველნაირად დაეხმარონ აფხაზებს ამ კულტურულ წამოწყებაში.¹⁷⁹

ეს სტატია გამოქვეყნდა 1907 წელს გაზეთ „ზაკავკაზიში“. როგორც მოტიანილი სიტყვებიდან ჩანს, ი. გოგებაშვილი სრულიად ჯანსაღად, აბსოლუტურად სწორი პოზიციებიდან უყურებდა ისტორიული ძმების ურთიერთობის საკითხს.

სწორედ სტოლიპინის რეაქციის მძიმე წლებში, როდესაც მეფის მთავრობამ დაუნდობლად შეუტია დემოკრატიულ ძალებს და სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა ერთმანეთს საერთო ისტორიითა და თანაცხოვრებით დაკავშირებული კავკასიელი ხალხები, ი. გოგებაშვილმა ხმა აიმაღლა დაჩაგრული ერების, კერძოდ, აფხაზების უფლებების დაცვადად, მოუწოდა უგუნურ ადამიანებს გონს მოსულიყვნენ და საღად შეეფასებინათ არსებული სიტუაცია. დიდ ქართველ პედაგოგს მშვენივრად ესმოდა აფხაზი ხალხის გულის სატიკივარი და საფუძვლები იმ აღშფოთებისა, რომელსაც ზოგიერთი ინტელიგენტი გამოხატავდა. საკითხი შეეხებოდა აფხაზურ ენას, მის დევნას და ამ ენაზე დამწერლობის დაარსებას.

¹⁷⁹ ი. გოგებაშვილი, აფხაზეთის შესახებ. თბზ., ტ. 4, თბ., 1955 წ., გვ. 200-201.

აფხაზთათვის ეს იყო სისხლხორცეული ეროვნული საკითხი, რომლის დადებითად გადაწყვეტა მაკოცხლებელ წყაროდ მოველინებოდა განაწამებ ერს.

ი. გოგებაშვილმა აქაც გადამწყვეტი სიტყვა თქვა. მან მოუწოდა ქართველ მოღვაწეებს, ქართველ ინტელიგენციას, რომ დახმარებოდნენ მოძმე აფხაზებს ეროვნული კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში. რაც პირველ რიგში უნდა გამოხატულიყო ეროვნული აფხაზური დამწერლობის შექმნაში, ხელი შეეწყოთ აფხაზური სახელმწიფოებრივების შედგენაში. ეს იყო არა მარტო რჩევა-დარიგება, არამედ მშერი დახმარება, ეს იყო აზრი, რეალობად ქცეული.

სხვათა შორის, როგორც ი. გოგებაშვილი, ისე ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები ამ საქმეში აღნაშაველდნენ არა მარტო ქართველებს, რომლებმაც ჯეროვანი დახმარება ვერ აღმოუჩინეს თანამოდგეებს, არამედ თვით აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც. იმ აფხაზ ახალგაზრდობას, რომელსაც მიღებული ჰქონდა აკადემიური განათლება, მაგრამ ერთგვარ ინდიფერენტობას იჩენდა ამ საკითხისადმი.¹⁸⁰

ი. გოგებაშვილმა მეორე სტატიაში სათაურით „პოლიტიკანობა აფხაზეთში“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „წყაროში“ 1907 წელს, იმასაც მიუთითა ყურადღება, რომ ამ ორი ერის შეილები ზოგიერთი წარმომადგენელი ზოგჯერ სწორად ვერ განსაზღვრავდა ხალხთა ურთიერთობის რთულ საკითხებს და ცდილობდა სუბიექტურად გადაეჭრა დიდი ეროვნული პრობლემები, რასაც, რასაკვირველია, ზიანის მტკი. სარგებლობის ნოტანა არ შეეძლო. სტატიაში ვკითხულობთ:

„ამჟამად აფხაზებს ორი მოტრფიალე ჰყავს, ერთნი ცდილობენ სრულად დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადიბიონ თავისკენ. მეორენი მონატრულნი არიან დაცივან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან“. ავტორი ამის შემდეგ აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ერთგვარ ისტორიულ ექსკურსს მიმართავს და აცხადებს:

„თუ შეგნებული აფხაზები დაახლოებით გაიცნობენ თავისი სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტაბილურად კეთილდღეობით და კაი სახელით. რაცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუნოებით და ღვთისმსახურებით, მეტსაც შეიტყობენ. მაშინ აფხაზეთი სათავეში ვეღა მთელ დასავლეთ საქართველოსა, რომელსაც აფხაზების სახელმწიფო ერქვა. მაგრამ, როცა ისტორიის უკუღმართმა ტრიალმა იგი მოსწყვიტა საქართველოს და გაამარტოვა: აფხაზები უკან-უკან წავიდნენ, დაეცნენ. რიცხვით მეტად შემცირდნენ... მტკიცე კავშირი კი მეგრელებთან და სხვა ქართველებთან წელში გამართავს აფხაზებს, ზურგს გაუმაგრება. ძალას და ღონეს მისცემს და კარგის მომავლის იმედით აღაჯსებს.

პირადად ჩვენ მზად ვართ ყოველი დახმარება აღმოუჩინოთ ნებლებისდაგვარად ტრადიციულის ძმობის და ერთობის მოციქულებს ნეტადრე ახალის მწიგნობრობის შექმნასა და გამოცემაში“.¹⁸¹

180 პ. ასათიანი, აფხაზეთილად. „მწყემსი“, № 16, 1885 წ.

181 ი. გოგებაშვილი, პოლიტიკანობა აფხაზეთში, თბ., ტ. 4, თბ. 1955 წ., გვ. 174-175.

აყ აღელვებით წერდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობაზე ქართული აზროვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი.

ი. გოგებაშვილს მტკიცედ სჯეროდა და ეს იყო პროგრესული ინტელიგენციის აზრიც, რომ მხოლოდ ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა, ძმობა და მეგობრობა, თანასწორუფლებიანობა იყო ის ძალა, რომელიც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აფხაზებს და ქართველებს შეადუღებდა „უწინდელი შინაგანი სოლიდარობით და ინტენსიური ძმობით“.

ი. გოგებაშვილი სასტიკად ილაშქრებდა ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გამობლომების, ერთი ერის მიერ მეორე ერის ღირსების დამცირების წინააღმდეგ. აქაც იგი თავისი ხალხის მოწოდების სიმალლეზე იდგა. თვითონ ჰუმანისტი განმანათლებელი იყო და სხვებისაგანაც ყოველთვის დემოკრატიული პრინციპების დაცვას მოითხოვდა:

„ჩვენ, ქართველებს, — წერდა იგი, — მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისათვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც“.¹⁸²

როგორც აღენიშნეთ, ეს იყო აზრი, მრწამსი არა მარტო ი. გოგებაშვილისა, არამედ XIX საუკუნის მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციისა, ქართველი მშრომელი ხალხისა.

გიორგი შარეთელი

ცნობილსა ქართველმა მწერალმა, პუბლიცისტმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა თავის რომანებში, მოთხრობებში და პუბლიცისტურ წერილებში არა მარტო ასახა საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება, არამედ წარუშლელი კვალი დააჩინა ქართველი ხალხის გონებრივი და ეროვნული მოძრაობის ყველა სფეროს.

„ამ დიდ, პროგრესულად მოაზროვნე მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო; იგი მუდამ მოწიწებით იხსენებდა საქართველოს დიად წარსულს, თავგამოდებით იბრძოდა აწმყოს კრილობის მოშუშებისა და ბედნიერი მომავლისათვის“.¹⁸³ — სამართლიანად წერდა პროფ. ა. ჭილაია.

გ. წერეთლის მდიდარ შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოსა და კავკასიაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ასახვას. თუ გადავხედავთ მის მხატვრულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობას (იგი 30 ტომს აღემატება და, სამწუხაროდ, ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სამი ტომი), დავინახავთ რომ მას ამ საკითხისათვის არა ერთი და ორი მხატვრული ნაწარმოები და პუბლიცისტური წერილი აქვს მიძღვნილი და ამით ქართული მხატვრული აზროვნება კიდევ უფრო გაამდიდრა. ისე როგორც მის ღირსეულ თანამედროვეებსა და თანამებრძოლებს ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს, მას პატრიოტული გრძნობა, ეროვნული თავისუფლებისათვის

182 ი. გოგებაშვილი, აფხაზეთის შესახებ. თხზ., ტ. 4, თბ., 1955 წ., გვ. 200.

183 ა. ჭილაია, გიორგი წერეთელი, თბ., 1967 წ., გვ. 3.

ბრძოლა წარმოდგენილი არ ჰქონდა ხალხთა მეგობრობის, ძმური კავშირის, ურთიერთვაგებისა და პატივისცემის გარეშე. ამიტომ იგი ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში დიდ ყურადღებას აქცევდა პატრიოტული იდეების ქადაგებას, რაც, მისი მართებული აზრით, აახლოებდა ხალხებს ერთმანეთთან. „ნაციონალური კილო, — წერდა იგი, — ჰხდება წმინდა წყაროდ, რომელშიც ერი ჰპოვებს დაუშრეტელს ზნეობითს ძალას მტრის საწინააღმდეგოდ“.¹⁸⁴

გ. წერეთელი არასდროს ყოფილა გულგრილი სხვა ხალხების ჩაგრული ბედისადმი და, როგორც დემოკრატი მოღვაწე და პროგრესული მოაზროვნე, ყოველთვის იმადღებდა ხმას სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ. ქართველი მამულიშვილი თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული მეობის, ნაციონალური უფლებების დასაცავად. სლავი ხალხის (ბულგარების, სლოვაკების) ბრძოლას თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ უძღვნა მან დიდი ადამიანური გრძნობით გამთბარი პოემა „არანკა“.

„ხალხთა მეგობრობის იდეა გ. წერეთლის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი იყო. ამ კეთილშობილურმა იდეამ მკაფიო გამოხატულება პოემა გ. წერეთლის მთელ მოღვაწეობაში“.¹⁸⁵

გ. წერეთელმა გულისხმიერება გამოიჩინა მოძმე აფხაზი და ჩერქეზი ხალხებისადმი განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ქართველების ამ ისტორიულ ძმებს მეტად გაუჭირდათ და საშინელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა მათი ფიზიკური არსებობაც კი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მაჰაჯირობა. აქაც გ. წერეთელი, როგორც მოქალაქე, მამულიშვილი, დემოკრატი მოაზროვნე, მოწოდების სიმძალეზე იდგა. მან დაუწოდებლად ამხილა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა და სულთანის თურქეთის ძალმომრეობა და პრესის საშუალებით საქვეყნოდ აღიმაღლა ხმა პატარა ერების სასარგებლოდ. ცნობილია მისი მთელი სერია წერილებისა რუსულ გაზეთ „გოლოსში“ ქართველი, აფხაზი და სხვა კავკასიელი ხალხების ეროვნული უფლებების დასაცავად.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ეროვნული კონცეფცია ნათლად არის გამოხატული ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ს. ფირცხალავას შემდეგ სიტყვებში:

„ყვედასათვის ძვირფასია თავისი ერი. ყველას უყვარს სამშობლო ენა, თავისი კულტურა, თავისი წინაპრები, ის წინაპრები, რომელნიც სიცოცხლეს სწირავდნენ მშობლიური ერის კეთილდღეობისათვის. ვიდრე კაცობრიობას არ შეუქმნია უმაღლესი ფორმა, დღეს ერის უარყოფა და უკუგდება იქმნება უბინაოდ ხეტიალი. დღეს ეროვნება ზრდის სოლიდარობას და აფართოებს პირადის ცხოვრების შინაარსს“.¹⁸⁶

იმ ეპოქაში, როდესაც გ. წერეთელი მოღვაწეობდა, ქართველ და კავკასიელ ხალხებს ჩაგრაგდა და სულს უხუთავდა ცარიზმის რუსიფიკა-

¹⁸⁴ გ. წერეთელი, დ. გურამიშვილი და მისი წინა დროები. იხ. წიგნი „დავითიანი“, 1894 წ., გვ. 19.

¹⁸⁵ ა. ჰილაია, გიორგი წერეთელი, თბ., 1967 წ., გვ. 219.

¹⁸⁶ სიტყვა (ს. ფირცხალავა), დღევანდელი ცხოვრება და ჩვენი მამულები. „ცნობის ფურცელი“, № 1986, 1902 წ.

ტორული პოლიტიკა, მეფის მოხელეები — წვრილი და დიდი ჩინოვნიკები — ყოველმხრივ ავიწროებდნენ მშრომელ მოსახლეობას, ფეხქვეშ თელავდნენ მის ეროვნულ უფლებებს, ენას, კულტურას. მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა საქართველოსა და აფხაზეთში (ისე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა განაპირა მხარეში) ძირშივე ახშობდა ეროვნული პროგრესის ყოველგვარ წამოწყებას.

პატრიოტული გრძნობის მნიშვნელობასა და ადგილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა:

„უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველაქორუსული შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო“.¹⁸⁷

ხოლო სხვაგან დიდმა ბელადმა აღნიშნა:

„პატრიოტიზმი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა გრძნობაა, რომელიც გამტკიცებელია საუკუნეებისა და ათასეული წლების მანძილზე“.¹⁸⁸

ცარიზმი ხალხთა საპყრობილე იყო. ნაციონალურ ოლქებში ყველგან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. საქმეები დაწესებულებებში, სასამართლოებში რუსულ ენაზე წარმოებდა. სკოლებში აკრძალული იყო დედანაზე სწავლება. მეფის მთავრობა მიმართადა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი გარუსების პოლიტიკას. ამ მიზნით იგი რუს მოხელეებში ნერგავდა არარუსი ხალხებისადმი ზიზღს. ისინი ზემოდან დაპყურებდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.¹⁸⁹

ასეთი იყო ის პოლიტიკა, რომელსაც მეფის მთავრობა საქართველოსა და აფხაზეთში ატარებდა. გ. წერეთელი თავგანთავად ილაშქრებდა ასეთი თავხედობის წინააღმდეგ და თან ჩაგრულ ხალხებს მოუწოდებდა კანონიერი უფლებების დასაცავად.

ეროვნული თავისუფლება, გ. წერეთლის აზრით, არის ხალხის ბედნიერი ცხოვრების, მისი ეკონომიური და კულტურული წარმატების საწინდარი. „როგორც მცენარე ვერ აყვავდება უმზეოდ და უჰაეროდ, ისე ის (ხალხი) ვერ გაიშლება წელში, თუ თავის თვალისწინ ვერ ჰხედავს გაშლილს თავისუფლებას, სადაც ყველა კაცი თავის თავის მეფეა და იმის პიროვნებას ვერა შემოზღუდავს რა“. — წერდა გ. წერეთელი.¹⁹⁰ ამიტომ მას ეროვნული საკითხი მიაჩნდა თავისი ეპოქის ყველაზე მტკიცეულ და საჭირობოროტო მოვლენად. „ჩვენ დროს, — მიუთითებდა იგი, — ისე ვერა მიიქცევს რა კაცის ყურადღებას როგორც სხვა და სხვა დაჩაგრულის ხალხების დრტვივა“.¹⁹¹

სამართლიანად არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ გ. წერეთლის მსოფლმხედველობაში ეროვნულ საკითხს პრიმატი ადგილი უჭირავს, რომ ამ დიდ პოაზროვნეს ეროვნული საკითხის მოგვარების

187 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXI, გვ. 111.

188 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXVIII, გვ. 215.

189 თ. ს. (თ. სახოკია), აფხაზეთში სოხუმადან გაგრამდე (მგზავრის შენიშვნები). „სნობის ფურცელი“, № 2.349, 1903 წ.

190 გ. წერეთელი, რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე, თხზ., ტ. 1, 1931 წ., გვ. 126.

191 იქვე.

შემდეგ გადასაქრელ პრობლემად მიაჩნდა სოციალური საკითხი. ამ საკითხთან დაკავშირებით გ. წერეთლის შემოქმედების ცნობილი მკვლევარი მ. გაფრინდაშვილი წერს:

„გ. წერეთელი ქართველი ხალხის კლასობრივი განთავისუფლების პირობად მის ეროვნულ განთავისუფლებას აცხადებდა. ამ ფაქტის გათვალისწინებით ვარაუდ შეუძლებელია გ. წერეთლის მსოფლმხედველობის შესწავლა და ჯეროვანი შეფასება.“¹⁹²

გ. წერეთელი, როგორც ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მწერალი და მოაზროვნე, ერთი მხრით, კარგად ხედავდა, რომ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების დროს ადამიანის პირად თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია, რომ ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაში „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ და არსებობისათვის ბრძოლას ცხოვრებაში მაგრად აქვს ფესვები გაშვებული. მეორე მხრით, ის კარგად ამჩნევდა იმ ეროვნულ ჩაგვრას, რომელსაც კავკასიელი ხალხები, და მათ შორის ქართველები და აფხაზები, განიცდიდნენ მეფის მთავრობისაგან. გ. წერეთელს, ისე როგორც ი. ჭავჭავაძეს და ა. წერეთელს, გულს უკლავდა ხალხის კვნესა, იცოდა მისი გამომწვევი მიზეზიც, მაგრამ აშკარა ბრძოლა ყოველთვის არ ხერხდებოდა, ამიტომ მწერალი ხშირად მიმართავდა შემოვლით საშუალებებს: ეზოაქს ენას, მოქმედების წარსულში გადატანას, მეზობელი ან უცხო ჩაგრული ხალხების ისტორიის გამოყენებას, საერთოდ ალფეგორიას მშობლიური ერის ყოფის დასასურათხატებლად. იმისათვის, რომ აშკარა გაეხადა ცარიზმის მიერ ქართველი და სხვა ჩაგრული ხალხების აბუჩად აგდება და ექადავა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეები, გ. წერეთელი მიმართავდა საბერძნეთის ისტორიულ წარსულს და ამის საფუძველზე არკვევდა ეროვნული თავისუფლების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი მიუთითებდა: წარსულში საბერძნეთში ჰყვაროდა ცხოვრება, მეცნიერება, ხელოვნება, მაგრამ რომის მოსისხლე და გაუმადლარმა გულმა ჩანთქა ეს კულტურული ქვეყანა. „ვამ დაკარგულ საბერძნეთს... მაგრამ უფრო ვამ იმით, ვინც იმის მშვენიერი ყვავილი ასე უდროოდ დააჭკნო. საბერძნეთი სამუდამოდ დარჩება და თქვენ, ჩამყლაპველნო, სიცოცხლეშივე დალპით, ჩაიფუშენით. თქვენმა მუცელმა ვერ მოინელა ის, რაც ჩაყლაპა! საბერძნეთმა თავის სიკვდილით უკვდავების გვირგვინი მოიპოვა და თქვენ სიცოცხლეშივე ყველასაგან მოძულებული ხართ და თქვენი სიკვდილიც არავინ დაინანა. ასე ძლიერია ბუნების კანონი“.¹⁹³

გ. წერეთლის აზრით, კაცობრიობის გონებას, საზოგადოებრივი აზრის, ქვეყნის ნივთიერი და კულტურული წინსვლის მამოძრავებელი ძალა თავისუფლებაა და იქ, სადაც ამ უკანასკნელს მოკლებულია ხალხი, სიცოცხლე გატანჯულია, რადგანაც „სიცოცხლე ყოველს მოქმედებას თავისუფლად აღმოშობს თავის შინაგან და არა გარეგანის ძალით. რომელს ხალხსაც სრული თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყნისათვის. მაგრამ რომელი ხალხიც მოხერხებულად

¹⁹² მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1959 წ., გვ. 48.

¹⁹³ გ. წერეთელი, რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე, თბ., ტ. I, 1931 წ., გვ. 123.

თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულად განათლებული, ბედნიერი, სპარტოლიანი და მოსიყვარულე ყოფილა“.¹⁹⁴

როგორც ამონაწერიდან ჩანს, გ. წერეთელი თავისუფლების იდეას ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხს უკავშირებდა.

ჩაგრულ ერთა შორის იგი ქართველ ერსაც რაცხდა (ბუნებრივია, იგულისხმება აგრეთვე ყველა კავკასიელი ხალხი, რომელიც ცარიზმის მძიმე უღელს ატარებდა), მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის აშკარა აღიარების საშუალება ყოველთვის არ იყო. ამიტომ გ. წერეთელი საბერძნეთის მაგალითიდან გამომდინარე სვამს კითხვას: „მაშ თუ აგრეა, რა მოგველის ჩვენ მომავალში? მკითხველო, ამის პასუხს მე ვერ მოგცემ, 'ნებ თითონ განსაჯე'“.¹⁹⁵

ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება.

გ. წერეთლის აზრით, ეროვნული ჩაგვრისაგან თავის დასაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა „თავის თავის ცნობა“, ეროვნული თვითშეგნება და თვითგამორკვევა. ამისათვის აუცილებელი პირობა არის ხალხში განათლების შეტანა, გონებრივი განვითარება, ინტელექტუალური წინსვლა. „ვისაც აქვს ბუნების ცოდნა, და რადგანაც თვითონაც ბუნების ნაწილს შეადგენს, იმას აქვს თავის თავის ცნობაც“.¹⁹⁶ ხოლო თუ ხალხს თავის თავის ცნობა აქვს, მაშინ იგი „სცნობს თავის მოთხოვნილებებს — იმას უყვარს თავისუფლება, თავისი მამულიც“.¹⁹⁷

გ. წერეთლის შეხედულებით, ვისაც მამული უყვარს, იმას უნდა ჰქონდეს იმის შეგნებაც, რომ დაიცვას მისი თავისუფლება, ეროვნული ინტერესები. ეს დიდი ამაგდარი თავისი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედებით „უსაბუთებდა ქართველ ხალხს სხვა ჩაგრული ხალხებისამებრ ეროვნულ რევოლუციური ბრძოლის გაჩაღების აუცილებლობას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“.¹⁹⁸ მისი ცნობილი სიტყვებია: „ჩვენც ის იარაღები უნდა ვიხმართ... ჩვენი თვითარსებობის დასაცავად, რაც ევროპის ერებს უხმართათ“.

ასეთია მისი მრწამსი დასმულ საკითხზე.

გ. წერეთელი მშობლიური თუ უცხო ხალხების ისტორიული სურათების გადმოცემით მკითხველს თვალწინ უშლიდა ეროვნული ჩაგვრის მიზეზებს, უღვივებდა პატრიოტულ გრძნობას, ქმნიდა საზოგადოებრივ აზრს ბოროტების წინააღმდეგ და ნერგავდა მომავლის რწმენას. რომ სწორედ ეს მიზანი ჰქონდა მის მოღვაწეობას ამ უბანზე, ამას ადასტურებს მწერლის სიტყვები პატრიოტული მოთხოვნილებიდან „ჩვენი ძველი გმირები“.

„თუ რომ ამ წვლილით (ე. ი. ნაწარმოებით — ო. ჭ.) ცოტა არის გაერთობა მკითხველი და აღძრება გულში იმედები უკეთესი მომავლისადმი, ფრიად ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს“.¹⁹⁹

ასეთია გ. წერეთლის პოზიცია ეროვნულ საკითხში. ამ პოზიციიდან

194 გ. წერეთელი, რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე, თბზ., ტ. I, 1931 წ., გვ. 126.

195 იქვე, გვ. 130.

196 იქვე.

197 იქვე.

198 მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959 წ., გვ. 49.

199 გ. წერეთელი, ჩვენი ძველი გმირები, თბ., 1898 წ., გვ. 8-9.

გაშუქა მან მრავალი საჭირობოროტო საკითხი ქართველი და აფხაზ-ხალხების ცხოვრებიდან XIX ს. მეორე ნახევრის მანძილზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გ. წერეთელი იყო პირუთენელი მოღვაწე, განმანათლებელი, პატიოსანი, გაბედული პუბლიცისტი, იცოდა ენები და არ იშურებდა გამოცდილებას და მონდომებას, როდესაც საკითხი მშობლიურ და მოძმე ხალხთა ცხოვრებას, მათ ეროვნულ და სოციალურ ყოფას ეხებოდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის შავი ზღვის სანაპიროდან, კერძოდ, აფხაზეთიდან მკვიდრი მოსახლეობის, აბორიგენების თურქეთში იძულებით გადასახლების შემდეგ ამ კუთხეში ბევრი თავისუფალი ადგილი დარჩა, დაცარიელდა სოფლები, გაოჩრდა ერთ დროს მშვენიერი და მდიდარი სამოსახლოები, ეკალ-ბარდმა დაფარა ბალ-ვენახები, ეზოები. გავერანდა ქვეყანა.²⁰⁰

მეფის მთავრობა შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე, განსაკუთრებით გავერანებულ ადგილებში, გარკვეული პოლიტიკური თვალსაზრისით ასახლებდა სხვადასხვა ეროვნების ხალხებს — რუსებს, ბულგარელებს, ბერძნებს, ესტონელებს, სომხებს და სხვ. ეს დასახლება ზოგჯერ იძულებით ხსიათსაც ატარებდა, მაგრამ ჩამოსახლებული ხალხის გარკვეული ნაწილი მშრომელი გლეხობისაგან შედგებოდა, რომელიც ფაქტიურად გაურბოდა მშობლიურ ქვეყნებში არსებულ ნიკოიერ სივიწროვებს, უკიდურეს სიღარიბეს და მამულის დაკარგვის ფაჩად ეძებდა შედარებით მყიდრო თავშესაფარს, თუმცა არც მაშინდელი აფხაზეთის კლიმატური პირობები, კერძოდ, მალარია, აყრიდა მათ კარგ დღეს.

აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომ ამ მოსახლეობის უმრავლესობა შეეთვისა ადგილობრივ პირობებს, შეესისხლბორცა აფხაზეთის მკვიდრთ და მათ საერთო ძალით შეუტეეს თვითმპყრობელობასა და ბურჟუაზიული ბიუროკრატიულ მთავრობას, თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

მეფის მთავრობა ამ ღონისძიებას ატარებდა კოლონიურა რეჟიმის საშუალებით, აფხაზეთის ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე. ამ უკანასკნელთ არ ჰქონდათ უფლება მშობლიურ მიწა-წყალზე დამკვიდრებისა და არც უმიწაწყლო ქართველურ ტომებს აფხაზეთში ჩამოსახლებისა, რასაც გარკვეული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა.

მეფის მთავრობის ამ უმართებულო ღონისძიებას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მოწინავე ქართველმა და რუსმა ინტელიგენციამ, პროგრესულმა პრესამ, განსაკუთრებით გაზეთმა „დროება“.²⁰¹

ეს საკითხი ძნელი გადასაჭრელი გაუხდა თვითმპყრობელობას. იგი იოლად ხელწამოსაკრავი როდი იყო. ერს, ხალხს, მცირერიცხოვანია იგი თუ მრავალრიცხოვანი, აქვს თავისი ეთნიკური სახე, ისტორიულად ჩამოყალიბებული ადათ-წესები, ენა. ეროვნული მეობა და სამშობლო — ის მიწა-წყალი, სადაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული და რომელსაც ამ ხალხის ეთნიკური სახელი ჰქვია. ძნელია ერს წაართვა დედა-სამშობლო. შეიძლება ეს ძალბომრეობამ და უხეშმა, მოუ-

200 „დროება“, № 159, 1877 წ.

201 „დროება“, № 235, 1884 წ.

ქნელმა პოლიტიკამ აიტანოს, მაგრამ ამის ჩამდენს არ აპატიებენ პროგრესული აზრით, ჰუმანური იდეებით აღჭურვილი მოწინავე საზოგადოება, ხალხის რჩეული შვილები.

მართლაც, ეს საკითხი გახდა იმ დროს საზოგადოებრივი აზრის, პრესის, მოწინავე ადამიანების მსჯელობისა და განსჯის საგანი. ინტელექტუალური საზოგადოება ორად გაიყო. პროგრესული მოღვაწეები ებრძოდნენ ცარიზმის მსახურთა ამ ბარბაროსულ აქტს, ხოლო რეაქციონერები მას კვერს უკრავდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის პრესა აჭრელბუღია ერთმანეთის საპირისპირო აზრებითა და შეხედულებებით. საკითხი ეხებოდა არა უბრალო თეორიულ პრობლემატიკას, არამედ ერის, ხალხის ყოფნა-არყოფნის, სიკვდილ-სიცოცხლის არსს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კავკასიელ ხალხთა ამ ისტორიულ ტრაგედიას გულისტკივილით შეხვდა მოწინავე ქართველი საზოგადოება. მათ შორის ერთ-ერთი პირველი გ. წერეთელი იყო.

გ. წერეთელი აფხაზი ხალხის ამ სისხლბორცეულ საკითხს პირველად საფუძვლიანად შეეხო 1873 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, საიდანაც ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობდა ამ მხარეს, აფხაზეთს, მის ბუნებას, ხალხს, სოციალურ და ეროვნულ ყოფას, ისტორიულ წარსულს და თანამედროვე ცხოვრებას. იგი იმასაც ჩინებულად ხედავდა, თუ ამ მშვენიერ, ზღაპრულ ქვეყანას რა მომავალი ესახებოდა.

„თბილი ჰავა, ზღვა, რომელიც აერთებს ევროპას და რუსეთს ამ ნაპირებთან, და მშვენიერი მიწა დასავლეთის კავკასიისა დიდი პერსპექტივის მქონეა“. მომხიბლავი ქვეყანაა, განაგრძობს ავტორი, მაგრამ სამაწუხარო ის არის, რომ ეს ამქვეყნიური სამთხვე თითქმის დაცარიელდა ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. „ჩერქეზები და აფხაზები, უწინდელი აქაური მცხოვრებლები, ხომ აღარ არიან“. ამ დაცარიელებულ მიწებს მოაწყდა სხვადასხვა ეროვნებისა და გვარტომის ხალხი. ისინი აქეთ-კენ მოისწრაფვიან ისე, როგორც ერთ დროს ევროპელები ამერიკისაკენ მიილტვოდნენ სიმდიდრის საქებნელადო.

გ. წერეთელი სასტიკად ილაშქრებდა იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მესვეურები ცდილობდნენ რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრები ადგილობრივი მკვიდრნი აეძლებინათ თავიანთი მამაპაპეული ადგილებიდან გადასახლებულიყვნენ და მზიან და მდიდარ მიწა-წყალზე სხვა ერის წარმომადგენლები დაესახლებინათ.

გ. წერეთელმა ამ მტკივნეულ საკითხს უძღვნა ვრცელი სტატია „გადასახლება“. აქ ავტორი ედავება რუსულ რეაქციულ პრესას, მის წარმომადგენლებს და ასაბუთებს, რომ მათი შეხედულებები შოვინისტურია, რომელიც მხოლოდ ხალხთა მტრობას, წასისინებას გამოიწვევს და სხვა რამე დადებითი შედეგი არ მოჰყვებაო. ამ სტატიაში გ. წერეთელს მოაქვს რეაქციულ ვაზეთ „რუსკი მირ“-ის შემდეგი შეხედულება:

„ევროპაში განათლებულს სახელმწიფოს გვეძახიანო, შორს ჩვენს საზღვარზე რამდენია ველური, მაწანწალა სხვა ტომის ხალხები, რომ მდიდარი მიწა-წყალი აქეთ, კარგი ჰავა, ყოველისფერი შემკული არე-მარეო. რატომ ჩვენს შინა გუბერნიების რუსის ხალხს არ შევეწვიეთ, არ გავიყვანთ და იმათ მდიდარს მიწა-წყალზე არ დავასახლებთო“.^{202—204}

202—204 გ. წერეთელი, გადასახლება, „დროება“, № 27, 34, 1897 წ.

გაზეთის რედაქცია მარტო სურვილით როდი კმაყოფილდებოდა, განაგებდა სტატიის ავტორი, „თან საშუალებაც უჩვენებია, თუ რა მოხერხებულია, ადვილად შეიძლება რუსის ხალხის თბილს ქვეყნებში გადასახლება, საცა ადგილი და სიმდიდრე ბევრია... რატომ არ მიხედავთ ევროპის და ამერიკის მაგალითებსო“.²⁰⁵

უდავოა, ეს წმინდა წყლის კოლონიური პოლიტიკის, სხვათა მიწების დაპყრობისა და ჩაგრულ პატარა ერთა და ხალხთა ასიმილაციის ქადაგება იყო.

რასაკვირველია, გ. წერეთელი ამ აზრის მომხრე ვერ იქნებოდა და ვერც უყუარდებოდ დატოვებდა მას. გაზეთის შეხედულებას იგი ასე გამოეხმაურა:

„ჩვენის ფიქრით, ეს შემცდარი აზრია იმიტომ, რომ ცივი რუსეთის მინდვრების ხალხი ჩვენს თბილ და მთიან ქვეყნებში არ გამოდგება. ისინი დაიხოცებიან და ცარიელი ადგილები მაინც უკაცოთ დარჩება“.²⁰⁶

მართლაც, თუ XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართულ და რუსულ პრესას თვალს გადავავლებთ, დაეინახავთ, რომ ამ დროს, ვინც კი ჩამოდიოდა აფხაზეთში მუდმივად საცხოვრებლად (ბულგარელები, რუსები, გერმანელები, ბესარაბიელები, და სხვ.), მათ მუსსრს ავლებდა მალარია. მაგალითად, „ღროების“ კორესპონდენტი აფხაზეთიდან ანთ. ჯუღელი 1883 წელს წერდა:

„აფხაზეთის ნამოსახლარი ადგილები დაურიგეს ყველას, ვინც კი მსურველი იყო... აფხაზეთში მუქთად ადგილს იძლევიანო, აიღეს თავი და აქ მოვიდნენ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ბერძენი, რუსი, ბულგარელი, ნემეცი, სომეხი და სხვა მრავალი, მაგრამ ვაი ამისთანა მოსახლეობას! გაერთა ბერძენისა და იმერელ-მეგრელისა, ყველა მოსულეცს ამაოდ გაუარათ აქ მოსვლამ, დაერია ადგილობრივი ციებ-ცხელება და, ვინც უკანვე გაქცევა ვერ მოასწრო, ორი-სამი წლის განმავლობაში სულ გაწყვიტა“.²⁰⁷

„ღროების“ სხვა ნომერში ვკითხულობთ:

„ჩვენ გვატყობინებენ აფხაზეთიდან, რომ ბოლგარების ორი სოფელი ამ დღეებში აყრას აპირებს და ისევ თავის ქვეყანაში მიდიანო, რადგანაც აქაურობას ვერასგზით ვერ შეეთვისნენო“.²⁰⁸

კიდევ ერთი ცნობა. 1884 წელს „ღრობა“ იტყობინებოდა:

„ახალი აღმინისტრაცია ცდილობს აფხაზეთში რუსების და ნემეციების კოლონიები გამართოს და ჩვენს ხალხს ცოტა ადგილებს აძლევენ... მაგრამ ბუნება სამინლად გადაემტერა ამ ხალხს: ას კაცში ოთხმოცზე მეტი იხოება და დანარჩენნი ისევ უკან, შინ ბრუნდებიან“.²⁰⁹ ფაქტების მონათხრობი შეიძლებოდა უსასრულოდ.

ახლა დავუბრუნდეთ გ. წერეთლის პოზიციას, მის შეხედულებებსა და მოსაზრებებს ამ საკითხზე. გ. წერეთელი აკეთებს ვრცელ ექსკურსს ევროპის ხალხების მიგრაციის გამო ამერიკაში და ასახელებს იმ მიზე-

205 იქვე

206 „ღრობა“, № 27, 1879 წ.

207 გადაღებული (ანთ. ჯუღელი), აფხაზეთ. „ღრობა“, № 216, 1883 წ.

208 „ღრობა“, № 213, 1883 წ.

209 „ღრობა“, № 234, 1884 წ.

ზებს, რომლებმაც ამ ხალხების გადასახლება გამოიწვიეს. შემდეგ ეხება რუსეთის იმპერიის თავისებურებას და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკა ეწინააღმდეგება ყოველგვარ ადამიანურ, ჰუმანურ პრინციპებს და ძალმომრეობაზე მიუთითებსო.²¹⁰

გ. წერეთლის ზემოაღნიშნულ სტატიას მოჰყვა სხვა წერილებიც, კერძოდ, 1879 წელს „ღროებაში“ გამოაქვეყნა მეტად საყურადღებო პოლემიკური სტატია „უფ. ვერეშჩაგინის აზრი ჩიქეთ-აფხაზეთის დასახლებაზედ“. ამ სტატიის გამოქვეყნება მწერალს შემდგომმა გარემოებამ უკარნახა.

რუსი კაპიტალისტი და საქმოსანი ვერეშჩაგინი 1878 წლის 19 იანვარს პეტერბურგში „იმპერატორის სამეურნეო საზოგადოების კრების წინაშე“ წარმდგარა მოხსენებით — „კავკასიის შავი ზღვის პირეთი და მისი კოლონიზაცია“. ეს საქმოსანი აყენებდა საკითხს, რომ მთელი კავკასიის სანაპირო შავი ზღვისა უნდა დასახლებულიყო რუსებით და სლავური მოდგმის ხალხებით, ხოლო აბორიგენები აქედან გაეხასხებინათ. ამგვარად, მოსკოველი კაპიტალისტებისა და საქმოსნების სათარეშოდ უნდა გამხდარიყო ქართველებისა, აფხაზებისა და ჩერქეზების მიწა-წყალი, მათი სისხლითა და ოფლით მორწყული მამული. ის, რაც ქართველებს, აფხაზებსა და ჩერქეზებს ისტორიის უკუღმართობამ თავს დაატეხა, არ კმაროდა, რომ კიდევ ახალი თავზარი დასცემოდათ მათ?

ვერეშჩაგინი დაძრწოდა კავკასიაში, ეძებდა გზებსა და საშუალებებს მიწების შესაძენად და ამ მხარის კოლონიზაციისათვის. მაგალითად, 1879 წელს „ღროების“ რედაქცია აცხადებდა:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქალაქში (ე. ი. თბილისში — ო. ჯ.) იმყოფება ამჟამად უფ. ვერეშჩაგინი, რომელიც, ამბობენ, გამოგზავნილია მოსკოვის ერთის საზოგადოებისაგან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინაჲ შესდგა იქ შავი ზღვის სანაპიროზე ადგილების შესაძენად და რუსეთიდან ხალხის გადმოსახლებადასახლებლად.

ეს მესამედ არის, რაც უფ. ვერეშჩაგინი ამ მიზნით მოდის ჩვენს ქვეყანაში და ყოველთვის იმ რწმუნებით ბრუნდება, რომ შუაგულ რუსეთიდან ხალხის გადმოსახლება შეიძლება შავი ზღვის ნაპირებზედ, ვინც იქ მიწებს შეიძენს, გაკეთდებო“.²¹¹

ასე კარდაკარ დადიოდა ეს შავრაზმელი და ოცნებობდა კავკასიის კოლონიზაციაზე.

მოსკოვში ჯერ კიდევ 1869 წელს ჩამოყალიბებულა აქციონერული „ამხანაგობა“ ორმოცდაათი საქმოსნისაგან, რომელთაც ამოურჩევიათ ორი რწმუნებული და 1869 წელს გამოუსტუმრებიათ კავკასიისაკენ იმ მიზნით, რომ „აქაურს მთავრობას მორიგებოდნენ ვერანი მიწა-წყლის საყიდლად“. მეფისნაცვალ სიამოვნებით მიუღია რუსი კაპიტალისტების დეპუტაცია და, როგორც „ღროება“ მიუთითებს, მისთვის უჩვენებია თვალუწვდენელი შირაქის მინდორი, თუ გინდათ, იყიდეთო.²¹²

საოცარია ისტორიის ჩარხის ბრუნვა. ერთი გადამთიელი მეორე გა-

210 გ. წერეთელი, გადასახლება, „ღროება“, № 27, 34, 1879 წ.

211 „ღროება“, № 34, 1879 წ.

212 იქვე.

დამთიელს ევაჭრებოდა კავკასიელი ხალხების წმიდათაწმიდა მიწა-წყალს, მათ მთელ საარსებო საშუალებას.

როგორც ჩანს, ამ პირველ მიღებას მეტად წაუქეზებია მოსკოველთა კაპიტალისტები და დაარსებულა მეორე „საზოგადოება“, რომელშიც „შესულა 100 ფულიანი კაცი. პირველმა ამხანაგობამ ირჩია შირაქისა და ელდარის მინდვრების ყიდვა, მეორე ამხანაგობამ კი განიზრახა აფხაზეთისა და ჭიქეთის მამულების შესყიდვა“. — მიუთითებდა გ. წერეთელი.

1870 წელს დაარსდა მესამე „ამხანაგობა“ კიდევ ორმოცდაათი საქმონისაგან შემდგარი. რუსეთის ბურჟუაზია არ ისვენებდა, ეძებდა ბიზნესს და ცდილობდა ამ საქმეში ჩაება ყველა აქტიური ძალა. თან უბეზურება ის იყო, რომ მისი მესვეურები მოქმედებდნენ მშრომელი რუს ხალხის სახელით. ეს ცნობილი და ნაცადი ხერხი იყო, მაგრამ ამით როდეს შესძლეს მოწინავე კავკასიელი მოღვაწეების, რუსი ხალხის საუკეთესო შვილების თვალის ახვევა.²¹³

იმ დროს ეს საკითხი ვერ მოაგვარეს. წერს გ. წერეთელი. მომდევნო ომმა და შინაურმა აწლილობამ შეუშალა ხელი, მაგრამ არ ისვენებდა მოსკოვის „ამხანაგობის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი შავრაზმელი ვერეშჩაგინი. იგი დაძრწოდა და ცდილობდა ახალი საციბლო გაეჩინა კავკასიაში.

როდესაც ჩერქეზები გადასახლდნენ თურქეთში. ზოგიერთებს ასეთი წინადადება წამოუყენებიათ: „ისინი უკანვე დავაბრუნოთ და იმათ გარშემო რუსეთის მხრით და შავი ზღვის პირებზე ჩვენი რუსის ხალხი იმად შემოვასახლოთ და შუაში იყონო მომწყვდულები; მერე შკოლები, გზებზე გაემართოთ, ჩერქეზების შვილები ჩვენს სკოლებში გამოვზარდოთ და ემხარე აყვავდებო...“²¹⁴

გ. წერეთლის აზრით, ეს შედარებით ადამიანური პროგრამა იყო იგი იმას მაინც გულისხმობდა, რომ უდანაშაულო ჩერქეზები ფიზიკურად მაინც შეენარჩუნებინათ, მაგრამ აქაც წყალი აღმდვრევი „პატრიოტ“ ვერეშჩაგინს. ის წასულა ამ აზრის წინააღმდეგ და ასეთი წინადადება წამოუყენებია:

„ჩემის აზრით, ამბობს უფ. ვერეშჩაგინი, — მოგვითხრობს გ. წერეთელი, — კავკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც ამდენი სიხლი დაღვრილა და ამდენი რუსის ფული ჩალუპულაო, უნდა ფლობდეს მხოლოდ რუსის ეკლესია, რუსული ენა და რუსულად სწავლებაო“.²¹⁵

ასეთი იყო, ვერეშჩაგინის აზრით, მომავალი ბედი კავკასიელი ხალხისა.

გ. წერეთლის ზემოგანხილულ სტატიაში „უფ. ვერეშჩაგინის აზრი ჭიქეთ-აფხაზეთის დასახლებაზე“ მხოლოდ ფაქტებია კონსტანტირებული (ძირითადად ვერეშჩაგინის შეხედულება). ამას მოჰყვა მეორე სტატია — „ჭიქეთ-აფხაზეთის დასახლებაზე“, სადაც უკვე მოცემულია გ. წერეთლის აზრი დასმულ საკითხზე.

გ. წერეთელი მოურიდებლად აცხადებდა: „იმას გარდა, რომ საშუალო რუსეთისა და ჩრდილოეთის გუბერნიები ერთიანად უფრო დამორებული არიან ჭიქეთ-აფხაზეთზე ვინამც ჩვე-

213 „დროება“, № 36, 1879 წ.

214 იქვე.

215 „დროება“, № 36, 1879 წ.

ნი ქუთაისის გუბერნია, იმას გარდა, რომ თვით ზღვის პირისა და მთის ჰავაც იქაური ხალხისათვის აუტანელია, კიდევ ერთი დიდი დაბრკოლება აქვს იმათს გადმოსახლებას, რუსეთის ნიადაგზე ხალხის სიცოტავე. ნეტავ იმდენი იყოს ხალხი, რომ იქაური უდაბური მინდვრებიც დაასახლოს. იქ ისე ბევრია მიწა, რომ თითო ვერსის სირგვლეზე 15 კაცის სულიც არ სახლობს და მომეტებულ ნაწილათ არის ისეთი გუბერნიები, საცა თითო ვერსის სირგვლეზე 6 კაცის სულიც არ მოდის.“²¹⁶

შემდეგ სტატიის ავტორს მოაქვს მეტად საინტერესო სტატისტიკური მონაცემები, თუ ამა თუ იმ გუბერნიაში რამდენი სული მოსახლე მოდიოდა ერთ კვადრატულ კილომეტრზე. ამით იგი ააშკარავებდა რუსი მემამულეების, რუსეთის ბურჟუაზიის შეხედულებას იმის შესახებ, ვითომ ისინი დიდ ჰუმანურ მისიას ეწეოდნენ — ასახლებდნენ, ანაშენებდნენ ცარიელ მიწებს და უმიწო გლეხებს (!) მიწებს ურიგებდნენ, ხალხის საკეთილდღეო საქმეს ჩადიოდნენ. გ. წერეთელმა გაამიშველა მათი კაპიტალისტური, მტაცებლური, კოლონიური პოლიტიკა და სასტიკად ამხილა იგი.

„ზოგიერთ გუბერნიაში, — აღნიშნავდა მწერალი, — მაგალითად, არხანგელსკის გუბერნიაში სამ ვერსის ირგვლივ მიწაზე ერთი კაცის სულიც არ არის, ასტრახანის გუბერნიაში ერთ ვერსის სირგვლეზე 2 კაცის სულია, ვოლოგდის და ოლონეცკის გუბერნიებში აგრეთვე 2 კაცის სული.“²¹⁷

ამის შემდეგ გ. წერეთელი იხილავს ზოგიერთი რუსი მწერლის შეხედულებას, რომლებიც ამბობდნენ, მართალია, შიდა გუბერნიების რუსებს გაუჭირდებათ ჭიქეთ-აფხაზეთში ცხოვრება, მაგრამ „მმაგიერთ ჩვენ გვეყავსო ყუბანის და დონის კაზაკები, რომელნიც ძალიან შეთავსებულნი არიან კავკასიის ჰავაზე და უსათუოდ ისინიც უნდა დავასახლოთ“.²¹⁸

ამ „რაციონალური“ წინადადების ავტორების საყურადღებოდ ირონიულად აცხადებდა გ. წერეთელი:

„მაგრამ ყუბანის მაზრაში და დონზე უფრო განიერთ ცხოვრობენ, ვინამც ზემოხსენებულს გუბერნიებში, ასე რომ რაც იქ მიწებია, კომლზე რომ გაანაწილოს კაცმა, თითო კომლს მოუვა უკანასკნელი ათასი დღიური მიწა. აბა ამისთანა ხალხს თუ არ მათარხიბთ და ძალით, ისე ვინ გადმოსახლებს ან ვინ მოინდომებს იქიდან წასოსვლას?“²¹⁹

გ. წერეთელი ამ ცნობებს უდარებს კავკასიის ხალხთა სიმჭიდროვის ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს და ფაქტობრივი მასალის საფუძველზე ასაბუთებს; რომ კავკასიელი ხალხები მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ თავისუფალ მიწებზე დაჟინებით არაკავკასიელების ჩასახლება სურთ, ეს დიდი დანაშაული იქნებაო: „ამნაირი სჯა სამართლიანს საბუთებზე კი არ არის დამყარებული, არამედ უფრო სხვანაირი მოსაზრება აქვთ მხედველობაში“.²²⁰ — წერდა იგი.

აქ, როგორც ვხედავთ, გ. წერეთელმა უკვე გახსნა ფრჩხილი და მკი-

216 „დროება“, № 47, 1879 წ.

217 იქვე.

218 „დროება“, № 47, 1879 წ.

219 იქვე.

220 იქვე.

თხველებს აგრძნობინა ვერეშჩაგინის და „მისთა მსგავსთა მოღვაწეთა“ მოსაზრების არსი, რომელიც მდგომარეობდა სხვა ხალხთა მიწების მიტაცებასა და რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეების კოლონიზაციაში. ის, რაც მეფის ცენზურის სიმკაცრის გამო პრესაში აშკარად არ შეიძლებოდა თქმულიყო, გ. წერეთელმა სტრიქონსა და სტრიქონს შორის მოაქცია და დაკვირვებულნი მკითხველის განსჯის საგნად გახადა.

გ. წერეთელი აღიზარდა რუსი რევოლუციური დემოკრატების მოწინავე იდეებზე. მის მსოფლმხედველობას ახალგაზრდობიდანვე ასაზრდოვებდა ბელინსკისა და გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის, რუსული რეალისტური მწერლობის საკაცობრიო იდეალები და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო გულგრილად ექცია იმ პოლიტიკისათვის, რომელიც ხალხთა დამონებასა და ჩაგვრაში ხედავდა თავის მისწრაფებებს, ამიტომ გ. წერეთელი თანმიმდევრულად იბრძოდა მცირერიცხოვან ერთა, მათ შორის ქართველების და აფხაზების, ეროვნული მეობის დასაცავად.

სერგეი მესხი

ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია. იგი წლების მანძილზე რედაქტორობდა გასული საუკუნის 60-70 წლების ყველაზე პროგრესულ ქართულ გაზეთს „დროებას“. ამ ორგანოს დაარსების იდეა ჩაისახა ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძის ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ (1863 წ.) არსებობის პერიოდში, მაგრამ მან ზორცუმესხმა პპოვა 1866 წლის 4 მარტს. სწორედ ამ დროს გამოვიდა მისი პირველი ნომერი გ. წერეთლის რედაქტორობით. გაზეთმა იარსება 1885 წლამდე. ს. მესხი მას ხელმძღვანელობდა 14 წლის მანძილზე.

„დროებაში“ თავის გარშემო შემოიკრიბა გასული საუკუნის მეორე ნახევარის ქართული ლიტერატურისა და აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლები. ამ ორგანოში თანამშრომლობდნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, ალ. ყაზბეგი, ანტ. ფურცელაძე, და. მიქელაძე, პ. მელიქიშვილი, დ. ჩქოტუა, ვ. პეტრიაშვილი, გ. შარვაშიძე, ივ. მაჩაბელი. გაზეთის სულისჩამდგმელი იყო ს. მესხი — ეს უგანათლებულესი ინტელიგენტი და მებრძოლი პუბლიცისტი.

ეს მოწინავე ადამიანები „თავიანთი მხატვრული ნაწერებითა და პუბლიცისტური წერილებით მკაცრად უპირისპირდებოდნენ ყველა მათ, რომლებიც ივიწყებდნენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას და ჩირქს სცხებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს“.²²¹

„დროება“ ცხოვრების ყველა მხარეს ასახავდა. მის ფურცლებზე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი აფხაზეთსაც, აფხაზი ხალხის ყოფას, მის

²²¹ დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, თბ., 1957 წ., გვ. 484.

სოციალურ და ეროვნულ მდგომარეობას, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხებს.

ს. მესხის ორგანოში ვრცელი გაშუქება ჰპოვა აფხაზების, ჩერქეზების, აჭარლების გადასახლების საკითხმაც. თვით ს. მესხი და ავტორების მთელი წყება წლების მანძილზე მკითხველებს მოუთხრობდნენ კავკასიელ ხალხთა ამ ტრაგიკული ბედის შესახებ, თან გაბედულად გამოდიოდნენ ხალხთა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ს. მესხს დიდი და პატარა ერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში გარკვეული პროგრამა გააჩნდა, რომელიც გამომდინარეობდა გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსი და ქართველი მოწინავე მოაზროვნეების პრინციპებიდან. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ს. მესხი რევოლუციური დემოკრატების იდეებზე აღიზარდა და ამ იდეოლოგიის მაჩარებელი იყო იგი მთელი შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე. სამართლიანად მიუაიეთეს პროფ. ი. ბოცვაძე:

„ს. მესხი ტიპური განმანათლებელია, რომელიც თავდადებით იბრძოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის, სამშობლოს დემოკრატიზაციისა და მშრომელი ხალხების ბედნიერებისათვის“.²²²

ს. მესხი დიდი გულისხმიერებით ადევნებდა თვალს ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების (აფხაზების, ჩერქეზების, ადიღეელების, ყაბარდოელების და სხვ.) ცხოვრებას XIX საუკუნის მეორე ნახევრის რთულ ვითარებაში, მთელ რიგ სტატიებში აშუქებდა და თავგამოდებით იცავდა მათ უფლებებს იმპერიალისტური სახელმწიფოების ძალმომრეობისაგან.

როგორც ცნობილია, თურქეთის მიერ მიტაცებული ბევრი ქართული მიწა 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე დაუბრუნდა დედამამშობლოს — საქართველოს. ეს იყო აჭარის ისტორიული მიწა-წყალი — ბათუმი, ქობულეთი, ჩაქვი. საქართველოს ამ კუთხის ადგილობრივი მკვიდრნი საუკუნეების მანძილზე მუსულმანური სარწმუნოების გავლენას განიცდიდნენ და ამიტომ მათ მიმართ განსაკუთრებული ფაქიზი მიდგომა იყო საჭირო. მით უმეტეს, რომ (როგორც ეს აფხაზეთში მოხდა) მუსულმანური რეაქციული ძალები და ადგილობრივი ფეოდალები მოსახლეობაში ეწეოდნენ ანტირუსულ პროპაგანდას სწორედ რელიგიოზურ დაჯერდნობით. ამიტომ იყო საჭირო დიდი ზომიერებისა და გულისხმიერების გამოჩენა შემოერთებული მაჰმადიანი ქართველებისა და იმ დროს თურქეთიდან მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებული აფხაზების მიმართ. ს. მესხი სტატიაში „ბათუმის შესაძენად“ ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა:

„საჭიროა, ახალმა გამგებლებმა იცოდნენ, როგორ ხალხთან ექნებათ საქმი, ვისი გამგებელი არიან; საჭიროა, რომ ამათ, არათუ ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება, არამედ ცრუმორწმუნეობაც კი მიიღონ მხედველობაში და შეიწყნარონ.

როგორც ცალკე კაცის გული, ისე მთელის ხალხისა, გონიერებით.

²²² ი. ბოცვაძე, სერგეი მესხი და 70-80-იანი წლების ქართული პრესა, თბ., 1968 წ., გვ. 5.

ქუიანი და სამართლიანი მოქცევით და ლმობიერებით, კაცთ-მოყვარეობით უფრო მალე და ადვილად მოიგება, ვინემ სასტიკობით“.²²³

ს. მესხი ამავე სტატიაში მიუთითებდა, რომ იმ ხანებში „ბათუმისაკენ ინგლისისა და ოსმალის დანდობილნი პირნი დაიარებოდნენ და აქეზებდნენ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ, უქადაგებდნენ რუსეთის სიძულვილსა“.²²⁴

ს. მესხს ამ საკითხზე მწყობრი, საკმაოდ გამართული პროგრამა ჰქონდა შემუშავებული, რომელშიც კარგად ჩანს ავტორის პოზიციები დიდი და პატარა ერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხში და ის სიმპატიები, რომელსაც იგი ამჟღავნებდა ჩაგრული ხალხებისადმი. თავისი მრწამსი დემოკრატმა მოაზროვნემ განსაკუთრებული სიცხადით ჩამოაჯალიბა სტატიაში — „მთიულეთის გაჯასახლებ“.

აქ ავტორი ეხება მეფის მთავრობის საშინელ შოვინისტურ ღონისძიებას — გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს კავკასიელი მთიელების გასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიებსა და ციმბირში. იგი სასტიკად გმობს ამ ძალმომრეობას და მთელი შემართებით იბრძვის მის წინააღმდეგ, ცდილობს ახსნას მთიელი ხალხების მრღევეარების საფუძველი. მისი შეხედულებით, კავკასიელების უკმაყოფილების მიზეზი თვით მეფის მოხელეების უხეშ, არაადამიანურ საქციელსა და მოქმედებაში უნდა ვეძიოთ. ამიტომ ეს მეგრძოლი-პუბლიცისტი მთავრობას ურჩევდა, ჭერ საკითხს ღრმად გასცნობოდა და მკაცრი ზომები კი შემდეგ მიეღო. იგი წერდა:

„დააყენეთ ამ შერისხულ მთიულ ქვეყნებში კარგი, პატიოსანი, ადგილობრივი ხალხის სასიათისა და ენა-ჩვეულების მცოდნე ნაჩაღნიკები, ყველაზე პირველად ყაზარმებისა და საპყრობილეების ნაცვლად ააშენეთ იქ შკოლები, რომლებშიაც იმათ ენასა და სარწმუნოებას პატივი და განმავლობა ჰქონდეს, ჭარებისა და ზარბაზან-შტიკების მაგიერად გაგზავნეთ იქ კარგი, მცოდნე მასწავლებლები სახელმძღვანელო წიგნებითა და კალამ-ქაღალდითა, დააწესეთ ადგილობრივი ადათის მსგავსად კარგი სამართლოები, გაგზავნეთ პატიოსანი მოსამართლეები — და თქვენ ნახავთ, რომ ათი-ოცი წლის განმავლობაში თქვენ შეიძენთ ხალხს მშვიდობიანს, მხნეს, მუშაკს, რომელიც თავის თავისთვისაც კარგი იქნება და სახელმწიფოსთვისაც ძვირფასი და გამოსადეგი“.²²⁵

როგორც ვხედავთ, ზემომოტანილ ამონაწერში მთელი პროგრამა ჩამოყალიბებული იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მეფის მთავრობის დამოკიდებულება დამორჩილებული და შემოერთებული ხალხების მიმართ, როგორ უნდა ექცეოდნენ მმართველები ადგილობრივ მოსახლეობას. ერთი სიტყვით, ს. მესხი აქ მოჩანს დიდ ჰუმანისტ მოაზროვნედ, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის მთელი არსი და ცდილობდა ჩაგრული ხალხებისათვის შეემსუბუქებინა ტანჯული მდგომარეობა. მას მოაქვს ცნობები გაზეთ „გოლოსიდან“, სადაც იყო გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო მთავრობისაგან კავკასიის მთი-

223 ზ. მესხი, თხზ., ტ. III, პროფ. ი. ბოკუაძის რედაქ. თბ., 1964 წ., გვ. 7.

224 იქვე

225 ზ. მესხი, თხზ., ტ. III, თბ., 1964 წ., გვ. 202

ელების გადასახლების თაობაზე, ამ დღეებში გაათავა თავისი საქმე და შემდეგი წესები დაადგინა ამ საგნის შესახებ“.

შემდეგ ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რომლებიც მთავრობამ უნდა განახორციელოს კომისიის მითითებით. კერძოდ, ამ ავტორიტეტულ კომისიას დაუდგენია:

„ა) კავკასიელ მთიელებს გადასახლებენ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში თითო-თითოდ.

ბ) მთიულებს წაიყვანენ ეტაპით (ქვეითად სალდათებით) და დაასახლებენ იქ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უჩვენებს.

გ) მთიულებს, რომელთაც მიწის მუშაობა შეუძლიათ, ტამბოვისა და სარატოვის გუბერნიებში გადასახლებენ, ვისაც კი მიწის მუშაობა არ შეუძლია, იმათ კი დაასახლებენ ქალაქებში.

დ) სოფლებში დასახლებულებს პირველი ორი წლის განმავლობაში და ქალაქებშიაც მუდამ ეძლევათ ხაზინიდან სახარჯო ფული ორი იმდენი, რამდენიც ტუსაღებს აქვთ.

თუ მთელი სოფლები იქმნენ ერთად გადასახლებულნი, ამათ გაგზავნიან აღმოსავლეთ ციმბირში“.²²⁶

ს. მესხი სასტიკად აღაშფოთა ამ ღონისძიებამ — უდანაშაულო მთიელების დედასამშობლოდან აყრამ და უცხო ქვეყანაში გადასახლება.

„რასაკვირველია, — წერდა ივანე, — ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ეს გადაწყვეტილება მთავრობისაგან დანიშნულის კომისიისა საზოგადოდ მთელ მთიელ ხალხებს შეეხებოდეს. ძნელად დასაჯერებელია, რომ მთავრობამ მოუსვას ხელი რამდენიმე ათი და ასი ათასს მთიულს, მტყუანსა და მართალს, და ყველა რუსეთის შუაგულ გუბერნიებში ანუ აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლოს.

ძნელად დასაჯერებელია ეს იმიტომ, რომ მთიულებისათვის სხვა ქვეყანაში გადასახლება და განსაკუთრებით რუსეთის ვერანა და უდაბნო ადგილებში გაგზავნა და სასიკვდილოდ განწირვა ერთია. ან რად უნდა გადასახლონ, რად უნდა მოაშორონ თავის სამშობლო მთებს, რად უნდა დასაჯონ ასე მწვეავედ ის მთიელები, რომელთაც არავითარი დანაშაული, არავითარი ურჩობა და წინააღმდეგობა არ მიუძღვისთ მთავრობის წინაშე“.²²⁷

რა გაბედული გამოსვლა და ჰუმანური მოწოდებაა უდანაშაულო მთიელების უფლებების დასაცავად. ს. მესხმა საკუთარი თავის ხიფათში ჩაგდებით გამოაქვეყნა ეს სტატია და ყველას გასაგონად თქვა:

„ეს ღონისძიება (მთიელების გადასახლება — ო. ჯ.) ჩვენ არ მიგვაჩნია რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების სანატრელ და სასარგებლო ღონისძიებად. კავკასიის მთიულების გადასახლება არის უსამართლობა, ერთობ მომეტებული სასტიკობა და დავიწყება სახელმწიფო ინტერესებისა“.²²⁸

აი, როგორ იბრძოდა ს. მესხი ხალხთა უფლებებისათვის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობისათვის. ს. მესხი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევ-

226 „დროება“, № 132, 1879 წ., ხაზი ჩენია — ო. ჯ.

227 „დროება“, № 132, 1879 წ.

228 იქვე. ხაზი ჩენია — ო. ჯ.

რის გაბედული, პირდაპირი, მეფის მთავრობის დიდმპყრობელური პოლიტიკის თანმიმდევრულად მამხილებელი პუბლიცისტი.

ამ სტატიაში ავტორი ცდილობს დაასაბუთოს კომისიის გადაწყვეტილების უსაფუძვლობა.

შემდეგ სტატიის ავტორი ეხება მეფის მთავრობის ადრე ჩატარებულ ღონისძიებას — ჩერქეზების გადასახლებას, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ ჰუმანურ საფუძველს. „ჩერქეზების გადასახლება სახელმწიფოსათვის ძალიან მოუფიქრებელი და მავნე საქმე იყო“. — წერდა იგი.

ამას მოსდევს ს. მესხის დიდი ადამიანური სიტბოთი გამთბარი სიტყვები, რომლებიც უფრო საბრალმდებლო დასკვნას წარმოადგენს, ვიდრე ჟურნალისტის მიერ მოცემული პოლიტიკური სიტუაციის შეფასებას. დემოკრატი პუბლიცისტი მიუთითებდა:

„ან რა საჭიროა ამდენი გადასახლება-გადმოსახლება, ამდენი ტანჯვა ხალხისა და ქვეყნის გაუდაბნობა, როდესაც უამისოთაც ძალიან კარგად, ადვილად და სახელმწიფოს სასარგებლოდაც და თვით ხალხების საკეთილდღეოდაც შეიძლება მოგვარდეს საქმე...“

არათუ ადამიანი, თვით მხეციც კი ემორჩილება კაცს, თუ ხელდას, რომ შენ სამტროდ არ მიდიხარ იმასთან. ხალხის კეთილდღეობისა და წარმატების მისაღწევად მომავკდინებელი და გასაჯლუცი იარაღის ხმარება როდია საჭირო, არამედ ისეთი იარაღისა, რომელიც ამ კეთილდღეობას და წარმატებას პირდაპირ უწყობს ხელს და ეხმარება“.

ასე შემართებით, ომახინანდ იღვა ს. მესხი ხალხთა უფლებების სადარაჯოზე, ასე მოურიდებლად ამხელდა ცარიზმის ძალმომრეობით პოლიტიკას.

ს. მესხმა 1878 წლის „დროებაში“ გამოაქვეყნა სტატია „აბხაზები და აბხაზეთი“, სადაც უშუალოდ სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორია მისი დამოკიდებულება აფხაზებისა და აფხაზეთის მიმართ. სტატია მეტად საყურადღებოა. ავტორი ჯერ აღწერს აფხაზეთის მომხიბლავ ბუნებას, მის მიმზიდველ, თვალწარმტაც სანახაობას. იგი მიუთითებს:

„აბხაზეთი და საზოგადოდ მთელი ეს კავკასიის ნაპირი შავის ზღვისა ერთი მშვენიერთაგანი და უმდიდრესთაგანი კუნძულია დედამიწისა. უხვ ბუნებას დაუზოგავად მოუფენია აქ თავის ყოველგვარი სიმდიდრე: თვალ-გადაუწყდენელი საბალახო ადგილები, მთები, ტყით მოფენილი, მიწღვრები, რომლებზედაც პური, სიმინდი, ლომი, თამბაქო, მშვენიერი ღვინო და თვით ჩაის მცენარეც კი ხარობს. მშვენიერი ჰავა, მშვენიერი ნიადაგი, თვალთათვის საამო ბუნება და ადგილების მდებარეობა“.

ასეთი ლამაზი სანახაობის ფონზე ავტორი იძლევა ამ ბუნების მკვიდრთა ჩაგრული ცხოვრების სურათს: „რამდენადაც ეს ბუნება ბედნიერი და მდიდარია, იმდენად ხალხი, რომელიც აქ ესახლა ძველთაჲანვე. იყო უბედური და ღარიბი“.²²⁹

განათლების სხივი გვიან მოეფინა ამ მხარეს და ეს იყო სწორედ მათი ასეთი ცხოვრების მიზეზი. „ჩერქეზები და აბხაზები, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, მხოლოდ იმდენად სარგებლობდნენ ამ თავის ქვეყნის სიმდიდრით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ“.²³⁰

229 ს. მესხი, თხ., ტ. III, თბ., 1964 წ., გვ. 20.

230 იქვე.

შემდეგ ავტორი ცდილობს ახსნას ის ისტორიული მიზეზები, რამაც აფხაზები და ჩერქეზები ამ ვითარებაში ჩააყენა. ამ ფაქტორებად აღიარებულია ხალხის ფართო მასების გაუნათლებლობა, ცრუმორწმუნეობა, ზუიების უხვი სიმდიდრის გამოუყენებლობა, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის უკულებელყოფა. ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევდნენ იმიტომ, რომ „ამ გვარის საქმეებზე ზრუნვის ფიქრი ვერ შეეძლოთ“.²⁵¹

სტატიის აფხაზებისა და ჩერქეზების ეთნიკური დახასიათება მოცემული. ავტორი ხაზს უსვამს მათს როგორც გარეგნულ სილამაზეს — მორკმულობა, წარმოსადგობა, მოქნილობა, მიმზიდველი იერი, ისე სულიერ სიმშვენიერეს — ნიჭიერება, ამხანაგობა-მეგობრობის მაღალი გრძნობა, სტუმრის პატივისცემა, ღრმა პატრიოტიზმი. ს. მესხის დახასიათებით, აფხაზები და ჩერქეზები „ჩინებული ხასიათის, შესანიშნავი ნიჭისა და ბუნებით უხვად დაჯილდოებული ხალხები არიან, რომელთაც უანგაროდ უყვართ თავიანთი სამშობლო და მისთვის თავს არ დაზოგვენ“.²⁵²

ასეთი ექსკურსიის შემდეგ ს. მესხი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამშობლოს ამგვარად მოსიყვარულე ხალხი იძულებული იყო თავისი მიწა-წყალი ღაეტოვებინა და თურქეთში გადასახლებულიყო. იქ, მიუსათვარ „ადგილებში, ეძია თავისი ბერი. ის კი არ იცოდა, თუ რა მოელოდა მას“. „აფხაზებმა მიატოვეს თავიანთი ადგილ-მამული, თავიანთი მიწა-წყალი, მთა-ველები და ქონები და გადასახლდნენ ოსმალეთში, სადაც დიდი უბედურება და ტანჯვის ცხოვრება მოელოდათ“.²⁵³

ს. მესხის ცნობით (იგი ეყრდნობოდა იმდროინდელი პრესის მონაცემებს), 1864-1866 წლებში 200.000-ზე მეტი ჩერქეზი გადასახლებულა თურქეთში, ხოლო 1878 წლისათვის 50.000-მდე აფხაზი მოწმობებია თავის ქვეყანას და ოსმალეთში გადახვეწილა. ს. მესხი ეყრდნობა აფხაზეთის ბლალოჩინის დავით მაჭავარიანის სტატიას „ხალხის არეულობა აფხაზეთში“, რომელიც ჯერ გაზეთ „გოლოსში“ გამოქვეყნდა, ხოლო შემდეგ კი შემოკლებით დაიბეჭდა „დროებაში“ 1878 წელს (№№ 152, 154, 155, 156).

ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ გასული საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზების, ისე როგორც ჩერქეზებისა და აჭარლების, გადასახლება თურქეთში თვითნებურად არ მომხდარა. იგი გარკვეულ ძალდატანებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა ამ საკითხზე ჯერ კიდევ ერთიანი აზრი არ არის შემუშავებული.

ს. მესხი საგანგებოდ ეხება ამ საკითხს, მკითხველებს მოუთხრობს იმ დიდ სულიერ ტრაგედიაზე, რომელსაც სამშობლოდან გადახვეწილი აფხაზები განიცდიდნენ. სტატიის ავტორი დიდი თანაგრძნობით გვისურათებს მაჭავარი აფხაზების განშორებას სულზე უტკბეს მიწა-წყალთან. ეს მძიმე სანახაობა ასეა გადმოცემული:

„მომეტებული ნაწილი აფხაზებისა, რომელნიც ხომალდებზე წაიყვანეს ოსმალეთში გადასახლებლად, სტიროდნენ, ბლადონენ, ხელებს თავიანთი სამშობლო ქვეყნისაკენ იშვერდნენ და, როცა გვეთხოვებოდ-

251 იქვე.

252 იქვე.

253 ხ. მესხი, თხზ., ტ. III, თბ., 1964 წ., გვ. 21.

ნენ. ამბობდნენ: მოახსენეთ რუს მთავრობასაო, რომ ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდივართ, ძალად მიგყავართ და ამის გამო მტრის ტყვეებათ ჩავთვალვართ და არა მოლაღატებართო“.²³⁴

ეს სიტყვები ანუ უფრო ზუსტად ეს აზრი მოტანილია დ. მაჭავარიანის სტატიიდან, რომელიც „დროებაში“ იბეჭდებოდა, მაგრამ ს. მესხს, შემდეგ ამ თავის შეხედულებაში გადაარწმუნებს თვით ცხოვრების ფაქტების მიმდინარეობა და დემოკრატი მოაზროვნე სულთანის თურქეთთან ერთად მეფის რუსეთის მთავრობასაც დაადანაშაულებს მშობლიური მიწიდან აფხაზების დიდი ნაწილის აყრაში.

ამ სტატიაში კი ავტორი ყოველ მხრივ ცდილობს აფხაზი ხალხის ერთი ნაწილის ასეთ ნაბიჯს იმ გამწვავებულ დროს არ მისცეს მეფის მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების მნიშვნელობა. იგი იძულებულია ეს დიდი ეროვნული ტრაგედია განიხილოს, როგორც ძალდატანებით მომხდარი ფაქტი, ისეთი მოვლენა, რომელიც აღემატებოდა თვითელი ლტოლვილის ნება-სურვილს, დარჩენილიყო თავის სამშობლოში. ს. მესხი მოვლენის ასეთ შეფასებამდე იმიტომ მივიდა (უფრო ზუსტად, ასეთი შეფასება იმიტომ დასჭირდა), რომ სტატიის მომდევნო სტრიქონებში მას, როგორც ვაზეთის რედაქტორს, საზოგადო მოღვაწეს მიემართა თხოვნით მეფის რუსეთის მთავრობისათვის, რომ ამ უკანასკნელს სამშობლოს მოწყვეტილი, გადახვეწილი აფხაზებისათვის, თუ დრო დადგებოდა ამისათვის, უარი არ ეთქვა, საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებულიყო. ეს იყო ს. მესხის მეტად ჰუმანური, ადამიანური ნაბიჯი, ვაჟკაცური შემართება მოძვე აფხაზი ხალხის უფლებების დასაცავად. ს. მესხი თავის სტატიას ასე ამთავრებს:

„იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა არ დაუშლის და ნებართვას მისცემს ყველა აფხაზს, რომელნიც ხელ-ახლად თავის ქვეყანაში დაბრუნებასა და დასახლებას მოინდომებენ. კაცმოყვარეობის გრძნობის გარდა ამას მოითხოვს სამართლიანობაც და თვით სარგებლობაც, რადგან უეჭველია, რომ იმ გვარი ხალხები, როგორც ჩერქეზები და აფხაზები, უკეთესია მეგობრად ჰყავდეს კაცს, ვინემ მტრად“.²³⁵

ამ პერიოდში ს. მესხი აქვეყნებს ვრცელ სტატიას, სადაც ქართველებისა (აჭარლებისა) და აფხაზების გაუდასახლებას გახიზილავს უკვე როგორც თურქეთისა და მეფის თვითმპყრობელობის შემთანხმებლური პოლიტიკის შედეგს. პუბლიცისტი სულის სიღრმემდე აღშფოთებულია, რომ „ხალხი სტოვებს მამა-პაპეულ ადგილ-მამულს, სახლ-კარს, ყველაფერს, რაც გააჩნია, არ დასდევს იმას, თუ რა მოელის შემდეგში, ებარება და გადადის ჩვენს საზღვარზე“.

ს. მესხი სახალხოდ, ყველას გასაგონად გაიძახოდა: უნდა ავუხსნათ, წარმოვეუდგინოთ ყველას, ვინც მშობლიურ მიწას სტოვებს, თუ რა ტრაგედია მოელის მას, თუ რისი მომასწავებელია ეს ერისათვის, თუ რამდენად „დამლუპველია ყველა ადამიანისათვის მამა-პაპისაგან შემდგომი და გაკეთებული ოჯახის ოხრათ მიტოვება და რამდენად ძნელია სხვაგან, უცნობს ქვეყანაში, უცხო ხალხში ახალი ოჯახების დაწყება“.

234 იქვე.

235 ს. მესხი, თხზ., ტ. III, თბ., 1964 წ., გვ. 21.

ამიტომ იგი, ერთი მხრით, თავს ესხმოდა ერის მოღალატე აფხაზ თავად-აზნაურებს, რომლებიც ხალხში ეწეოდნენ თურქეთში გადასახლების პროპაგანდას, ხოლო, მეორე მხრით, ხმას იმაღლებდა მეფის მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხს თურქეთში ერეკებოდნენ ქვეყნის კოლონიზაციის მიზნით.

„საუბედუროდ. — წერდა ს. მესხი, — როგორც ისმის, ახლანდელი ბათუმის მაზრის გამგეობაში არიან თურმე იმისთანა პირნი, რომელნიც გულდამშვიდებით ეუბნებიან თავის სამწყსო ხალხს:

— წადით! გადასახლდით! ჩვენთვის თქვენ არა ხართ საჭირო! თქვენს მაგივრად აქ ჩვენებურ ხალხს დავასახლებთო!..

ერთის მხრით ამისთანა მქადაგებელი უღვია გვერდით ხალხს და, მეორის მხრით, სტამბოლიდან მოსული მოღალატეები და საზოგადოდ ოსმალის მქადაგებლები, რომელნიც ეუბნებიან:

— წავიდეთ ოსმალეთში! აქ თქვენ დასადგომი პირი არა გაქვთ. რუსის ხელში თქვენ ვერ გაძლებთ. გიაური მართლმსაჯულ მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს. მაჰმადის ბრძანება არის, რომ ვინც გიაურის ქვეყანაში მოკვდება, ედგმს ვერ ეღირსება, წაწყმედილია“.²³⁶

აი, ორი ამისთანა ძალა მოქმედებს ფანატიკოს მაჰმადიანზე და იგი მისი გავლენის ქვეშ ექცევაო. ერთი ძალა ეპატიჟება, ხოლო მეორე ერეკებაო მშობლიური მიწიდან.

ს. მესხი აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ მაჰმადიან ქართველებს, აფხაზებსა და ჩერქეზებს არაფერს ჰყავდათ პატრონი, აფხანთ მათთვის, რომ „იქ, ოსმალეთში, იმათ შიშშილი, წყურვილი, სიტუტვლე და სიკვდილი მოეღიბა; რომ ფადიშაჰს უიმათოდაც ხალხი შიშშილით ეხოცება; კაცი არ ჰყავთ აუხსნას და გააგებინოს, რომ ერთმანეთის განშორება და დაკარგვა ორივესათვის, ჩვენთვის და იმათთვისაც მავნებელი ექნება“.

ს. მესხის მიერ გამოთქმული აზრი საერთო იყო ქართველი ინტელიგენციისათვის XIX საუკუნის მანძილზე. ანალოგიურად მსჯელობდნენ დასმულ საკითხზე ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და სხვ.

ს. მესხის „დროება“ „ახალი ამბების“ განყოფილებაში სისტემატურად აქვეყნებდა ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში იყვნენ გადახვეწილი აფხაზები და ქართველები და ან რა სულისკვეთება ამოძრავებდა მათ იქ, უცხო მხარეში, როგორი იყო ამ განწირული ადამიანებისადმი თურქეთისა და მეფის მთავრობის დამოკიდებულება. სათანადო ინფორმაციასთან ერთად გაზეთი გამოთქვამდა თავის აზრს, თუ რა მატერიალური და პოლიტიკური დახმარება სჭიროდათ სამშობლოს სიტბოს მოწყვეტილ ადამიანებს. ამ მიზნით გაზეთი „დროება“ ერთგვარად შუამდგომლობდა მეფის მთავრობასა და გადასახლებულებს შორის. მაგალითად, „დროებაში“ არის გამოქვეყნებული ცნობა, რომ აფხაზთიდან და ბათუნიდან თურქეთში გადასახლებულმა ხალხმა სამშობლოში დაბრუნების სურვილი განაცხადაო. ამ აზრს რედაქცია ასეთ განმარტებას აძლევს:

„სასურველია, რომ ამ გარემოებას ჩვენმა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს“.²³⁷

²³⁶ ს. მესხი, ხალხის გადასახლება ბათუმიდან. „დროება“, № 118, 1880 წ.
²³⁷ „დროება“, № 219, 1880 წ.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები მკაცრი ცენზურული პირობების გამო ხშირად იძულებული იყვნენ მიემართათ აზრის გამოხატვის ალტერნატიული, შეფარვით ფორმისათვის, ეზოპეს ენისათვის, რომ მთავრობისათვის თვალი აფხვიათ და მკითხველებს კი სათქმელი გაეგოთ, ჩაწვდომოდნენ ნაწარმოების არსსა და მიზანდასახულობას. არაიშვიათად ასე უხდებოდა მოქმედება ს. მესხსაც. იგი ერთ-ერთ თავის სტატიაში საგანგებოდა შეეხო ლეკი და აფხაზი ხალხების ცხოვრებაში 1877 წელს მომხდარ დიდ პოლიტიკურ ძვრებს. პუბლიცისტს პირდაპირ არ შეუძლია ამ ცნობილი „არეულობის“ ძირითადი არსი დაასახელოს და მკითხველს კი გადაკრული, ქარაგმული საუბრით აგრძნობინებს ამ მიზეზებს. აი, მისი სიტყვები:

„გვინდა გვეთქვა ორიოდ სიტყვა იმ ჩვენთვის ყურადღების ღირსს გარემოებაზე, რომელიც მოხდა წელს ჩვენს კავკასიაში: უბედური ლეკების და კიდევ უფრო უბედური აფხაზების არეულობაზე, იმათ უკუღმართ ბედზე, იმაზე, თუ რამ აიძულა ისინი ასაჯახებლად, თუ ვინ არის ამასი ყველაზე უფრო დამნაშავე და სხვ., მაგრამ ეს ისეთი საგნებია, რომლებზედაც გულწრფელად ლაპარაკი ახლა არ არის საჭირო, ამიტომ სჯობიან სულ არა ვთქვათ რა...“²³⁸

აქ, როგორც ვხედავთ, უთქმელადაც ითქვა სათქმელი. მკითხველი უთუოდ მიხვდა ხალხთა აჯახების მიზეზს. ჩვენთვის საყურადღებოა მეორე გარემოებაც. კერძოდ, ავტორის თანაგრძნობა იმ დროს ჩაგრული ხალხებისადმი. ს. მესხი მწარედ განიცდიდა კავკასიელ ხალხთა ტანჯვა-წამებას, ჩაგვრას, უუფლებობას და ყოველი საშუალებით ცდილობდა არა მარტო აეწერა ფაქტი (ესეც დიდი ჰუმანური ნაბიჯი იყო მაშინ) და ამით საზოგადოებრივი აზრი შეემუშავებინა, არამედ გამოეხატა თავისი პროტესტი ძალმომრეობისადმი, დაეცვა უდანაშაულო ხალხთა უფლებები.

„დროებაში“ ხშირად ქვეყნდებოდა ასეთი ხასიათის წერილები ზოგი ხელმოწერით და ზოგიც ხელმოუწერლად. მაგალითად, ერთ-ერთ სარედაქციო წერილში აღწერილია, თუ როგორ მოვიდა თურქეთიდან ბათუმში გემი აფხაზებით დატვირთული, იმ აფხაზებით, რომლებიც ადრე მოტყუებით თუ ძალით თურქეთში გადაასახლეს. აქვე მოთხრობილია იმ გაჭირვების შესახებ, რაც მათ გარდახდათ უცხო მხარეში.

გაზეთის რედაქცია გაბედულად გამოთქვამს აზრს: ამდენი წამების შემდეგ ეს უდანაშაულო ხალხი დროა თავის მამულში დაეაბრუნოთო. ეს მაშინ, როცა ადგილობრივი მთავრობა მათ ხელეთზე გადმოსვლისა და ისევ თავის ქვეყანაში დასახლების ნებას არ აძლევდა. მთავრობის ასეთ ბარბაროსულ გადაწყვეტილებას ვერ ურიგდებოდა „დროების“ რედაქცია და გამოთქვამდა ენერგიულ პროტესტს იმის გამო, რომ მაჰმადიან აფხაზებსა და ქართველებს არ აძლევდნენ უფლებას მშობლიურ მიწა-წყალს დაბრუნებოდნენ. სტატიაში ვკითხულობთ:

„უმაღლეს მთავრობას ძალიან კარგად ესმის, თუ ამ ადგილობრივი ძირეული ხალხის გადასახლებით რამდენი დააკლდება ამ მხარეს...“

კაცთმოყვარეობის გრძნობისა და სამართლიანობის გარდა, ვიმეორებთ, თვით სახელმწიფო სარგებლობა მოითხოვს, რომ ხელგაშლილად და გულ-

ლიად მივიღოთ ჩვენ მაჰმადიანი ქართველი, აფხაზი, ჩერქეზი და საზოგადოდ ყველა, ვინც კი ჩვენგან გადასახლებულა...“²³⁹

ხოლო მეორე ინფორმაციაში შემდეგი შემზარავი ცნობა არის გამოქვეყნებული:

„ხუთი დღეა (გაზეთის ეს ნომერი გამოვიდა 1880 წლის 17 აგვისტოს — ო. ჭ.), რაც აქ მოვიდა (ე. ი. ბათუმში — ო. ჭ.) ოსმალეთიდან გემი, რომელმაც მოიყვანა ათასი სული ქრისტიანი აფხაზი. ესენი თხოვლობენ თავიანთ მამულში დასახლების ნებას; მათს თხოვნას არ იწყნარებენ. საბრალონი სადრტვინველ მდგომარეობაში იმყოფებიან: თერამეტი დღეა მას აქეთ, რაც გემში ისე ყრილარიან, როგორც თევზები კასრში, ხან აწვიმთ, ხან მზე წვავთ, საქმელი პური არა აქეთ. ამბობენ შიმშილისაგან უკვე ათი კაცი მოკვდაო. კერძო ქველმოქმედება არ ყოფნისთ“.²⁴⁰

გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა, საიდანაც ვგებულობთ, რომ თურქეთიდან აფხაზეთში გემ „აგიოს პეტროსით“ წამოსულა 1.200 აფხაზი. ბათუმში ჩამოსულებისათვის მეფის მთავრობის ადგილობრივ მოხელეებს უფლება არ მიუციათ ნაპირზე გამოსვლისა და არც შინ წასვლისა. ბოლოს გემის ხელმძღვანელობას ეს დამშეული, განაწამები ხალხი გადმოუსხამს „ერთს ზღვის ნაპირა კლდიან ადგილზე, სადაც არც იქით შეეძლოთ თურმე წასვლა და არც აქეთ...“

ეს განწირული, უდანაშაულო, სამშობლოს ხილვას მოწყურებული ხალხი საშინელ დღეში ჩავარდნილა. ბოლოს და ბოლოს 1.200 კაციდან სამშობლოში დაბრუნებულია მხოლოდ 750 სული. დანარჩენები ზოგი დაღუპულა, ზოგს კი ტყვისათვის მიუცია თავი.²⁴¹

„დროების“ სხვა ნომერებში არის მითითება სამშობლოსაკენ, აფხაზეთისაკენ მომავალი ისევ იმ 1.200 აფხაზის შესახებ. აქ ვკითხვობთ: „სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსი პოლკოვნიკი არაკინი, როგორც რამდენჯერმე იყო გაზეთში გამოქვეყნებული, თოფით და ზარბაზნით უხვდება ყველა აფხაზსა და ჩერქეზს, რომლებიც კი იმის მაზრაში შავი ზღვის ნაპირზე ფეხის გადმოდგმას გაბედავს“.²⁴²

ს. მესხი და მისი გაზეთი ასე ამხელდნენ არაკინის მსგავსი შავრაზმელების მოქმედებას. ამ სარედაქციო სტატიაში ავტორი გაბედულად იცავს აფხაზებს, მათს ეროვნულ და პოლიტიკურ უფლებებს და მოუწოდებს მეფის მთავრობას ხელი მოუმართოს განაწამებ ხალხს მშობლიურ მიწაზე დასახლებისათვის, უფრო ზუსტად დაბრუნებისათვის. იგი პრინციპულად მოითხოვს, რომ თურქეთიდან დაბრუნებულ აფხაზებს „მიენიჭოსთ სრული უფლება თავის სამშობლოში დაბრუნებისა და თავის ადრინდელ ადგილ-მამულში დასახლებისა“.

აფხაზი ხალხის ცხოვრების ამ დუხჭირ პერიოდს „დროების“ ფურცლებზე გამოეხმაურა აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადოდ მოღვაწე, აფხაზი ხალხის დიდი მეგობარი ი. მეუნარგია. მან გაზეთში გამოაქვეყნა სტატია სათაურით — „ორ მიწას შუა“, რომელშიც აღ-

239 დაბრუნებული აფხაზები, „დროება“, № 176, 1880 წ.

240 „დროება“, № 173, 1880 წ.

241 „დროება“, № 207, 1880 წ.

242 „დროება“, № 227, 1880 წ.

წერილია გადასახლებულ აფხაზთა ტანჯვა-წამება. ავტორი თანაუგრძნობს მათ ამ მძიმე წუთებში და თან გაბედულად იმადლებს ხმას სამშობლოს. მოწყვეტილი ადამიანების უფლებების დასაცავად.

ი. მეუნარგია, როგორც ჩანს მისი სტატიიდან, კარგად იცნობდა აფხაზთა ცხოვრებას, ყოფას, სულისკვეთებას. მას აღწერილი აქვს მაჰაჯირი მოხუცების, ქალებისა და ბავშვების უნუგეშო მოგზაურობა ზღვაზე, მათი მოქალაქეობრივი, ადამიანური უფლებების ფეხქვეშ გათელვა.

ი. მეუნარგია წერდა: „თქვენ ის წარმოიდგინეთ ახლა, რაწაირ მდგომარეობაში უნდა იყოს ეს საწყალი აფხაზები, რომელნიც თევზსავით ჰყრიან ერთიმეორეზედ. „ავიოს-პეტროსის“ გემში, რომელთაც არც საქმელი აქვთ, არც სასმელი, არც ტანისამოსი და — რაც ყველაზე უარესია — არც ხმელეთში გამოსვლის ნება!

რა უნდა ქნას კაცმა, სანამ უნდა ეწვალოს ზღვაში ეს უბედური ხალხი? ვინ უნდა იხსნას ის სიკვდილისაგან?

არც ჩვენ მმართველობას, არც ოსმალს არ უნდათ შეუშვან ეს ხალხი თავიანთ სამფლობელოში“.

სტატიის ავტორი აღშფოთებულია ასეთი არაადამიანური მოპყრობით ამ უდანაშაულო ხალხისადმი და თან გულისტკივილით, თან პროტესტის ნიშნად აცხადებს:

„რა ისეთი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა, რომ სამი-ოთხი წლის უბედური ცხოვრებით ვერ გამოისყიდა თავისი შეცდომა?..

აფხაზებს ბურთივით ისვრიან ჩვენი პორტიდან ოსმალს პორტამდის, საიდანაც იმათ თოფის სროლით აბრუნებენ უკან და არიან ეს საწყლები გაჩერებული ორ მიწას შუა იმედ მოღერებულნი და სასოწარკვეთილნი“.

როგორც ვხედავთ, ავტორი გულისტკივილითა და თანაგრძნობით შეჰყურებს მოძმე ხალხის ტრაგედიას და ეძებს გზებს საშველად, მოუწოდებს სინდისის ქენჯინსაკენ იმათ, ვის ხელშიც იყო ამ განწირული ადამიანების ბედი. მაგრამ ტანჯვას ბოლო მაინც არ უჩინდა.

ან რად ღირს ავტორის ასეთი ღრმა ჰუმანური ხასიათის მსჯელობა:

— ამ რამდენიმე წლის წინათ, გვახსოვს, მოსკოვის ზოოლოგიური ბაღის დირექტორს შეამჩნიეს, რომ ზოოლოგიური ბაღის პირუტყვებს საქმელს აკლებსო და ერთი ვაი-ვაგლახი ატყდა ჟურნალ-გაზეთებში, ბარბაროსი ვიღაც ყოფილა, პირუტყვებს სტანჯავსო, — იწერებოდნენ ამ ჟურნალ-გაზეთებში“.

რა მწარე ირონიაა. ავტორმა რა მაგრად გადაჰკრა მათრახი თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას, იმ დიდ „ჰუმანიზმს“, რომლითაც სულდგმულობდა მეფის მთავრობა. ამ ფაქტის მოტანის შემდეგ სტატიის ავტორი კიდევ უფრო ამახვილებს ყურადღებას იმ უხეშობათა წინააღმდეგ, რომელთაც მიმართავდნენ უმწეო აფხაზი ბავშვებისა და ქალების, მოხუცებისა და დავრდომილების მიმართ. ხალხისადმი უსულგულო დამოკიდებულებით აღშფოთებული ჟურნალისტი წერდა:

„რამდენად უფრო შესაძრწუნებელია იმ მცირე-წლოვანების და იმ დედების ხვედრი, რომლებიც შიმშილით იხოცებიან ცასა და წყალს

შუა... მაგრამ რა ქნა ჩვენმა კაცთმოყვარობამ, ჩვენმა სულგრძელობამ? „243

ი. მეუნარგია ასე სასტიკად ამთარახებს იმ წყობილებას, რომელიც ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა, ასეთი მწარე ირონიით მიმართავს იგი იმ ვაი ჰუმანისტებს, რომლებიც მხეცების „გასაჭირს“ ცრემლებით ხვდებოდნენ, ადამიანების ტანჯულ, ენით აუწერელ წამებულ ცხოვრებას კი ღიმილით შეჰყურებდნენ.

ხოლო „დროების“ მეორე თანამშრომელი დავით წერეთელი მიუთითებდა:

„ყოველ დილაზე გაივილიდით თუ არა ბათუმში, გუბერნატორის კარების წინ ნახავდით ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც შიმშილისაგან დაყვილებულნი იხვეწებოდა: „გაგვიშვით- გაგვიშვით აფხაზეთში“.“²⁴⁴

როდესაც აფხაზთა ერთ ნაწილს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს, ამ გარემოებას თვით დ. წერეთელში დიდი თანაგრძნობა გაიოლწვევია. მას უთქვამს: „მადლობა ღმერთს!“ ასეთი აღფრთოვანებით შეხვდა მოძმე ხალხის სასახარჯლო ამბავს ქართველი კაცი.

დ. წერეთლის ცნობით, გასაჭირში ჩავარდნილ ბათუმელ აფხაზებს ქართველი მოძმეები მატერიალურადაც ეხმარებოდნენ.²⁴⁵

„დროებას“ არც „კვალი“ ჩამორჩებოდა. ამ ვაზეთშიც ქვეყნდებოდა საინტერესო მასალები, ფაქტები აფხაზი ხალხის ცხოვრებიდან. ვაზეთის რედაქცია მოძმე ერის შვილებს დიდ თანაგრძნობას უწევდა.

„კვალის“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში ვრცლად არის გაშუქებული აქარის ერთ სოფელში მცხოვრებ აფხაზთა თავგადასავალი. ბათუმის ოლქის გონიოს საბოქაულოს სოფელ სტეფანოვკაში (კახაბერი) სახლებულა 70 კომლი აფხაზი. ისინი ადრე ცხოვრობდნენ ნურიაში, სადაც მაჰმადიანობის დროს გადმოსახლებულან აფხაზეთიდან.

1897 წელს ადგილობრივ მთავრობას განუზრახავს მათი აქედანაც აყრა და იქ სამხედრო ნაწილის განლაგება. აფხაზებს, რასაკვირველია, უკმაყოფილება გამოუთქვამთ და აღუძრავთ საქმე ზემდგომი ორგანოების წინაშე. „კვალის“ კორესპონდენტი აფხაზთა ყოფას თანაგრძნობით აგვიწერს. იგი ცდილობს მკითხველს გააგებინოს ვითარების ნამდვილი არსი.

„ამ აფხაზების მდგომარეობა სწორედ გაჭირვებულია, — წერს იგი, — ეს იყო ახლა ფეხს იმაგრებდნენ, დროს შესაფერად ეწყობოდნენ, ბევრმა ხეხილი და ვენახიც გვარიანად გააშენეს და ამ დროს ეს მესამეჯერ ერეკებიან აქედან...“²⁴⁶

„ბათუმელ აფხაზებს“ არზით მიუმართავთ მთავრობისათვის და უთხოვიათ დახმარება, რომ ისინი იმავე სოფელში დაეტოვებინათ. ვაზეთის კორესპონდენტი აქაც გვერდში ამოუდგა თანამოძმეებს და დაიცვა მათი უფლებები. „იმედია, — წერს იგი, — უმალღესი მთავრობა მათ კანონიერ თხოვნას შეიწყნარებს და მათივე კუთვნილი ადგილებიდან არ

243 ლელო (ი. მეუნარგია), ორ მიწას შუა. „დროება“, № 199, 1880 წ.

244 „დროება“, № 234, 1878 წ.

245 დ. წერეთელი, მაქახელა. „დროება“ № 123, 1879 წ.

246 X. (?), ბათუმის აფხაზები. „კვალი“, № 13, 1897 წ., გვ. 261.

გადაასახლებს აფხაზებს, მით უფრო, რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს მათ არაფრით არ დაუმსახურებიათ“.²⁴⁷

„დროებაში“ ლტოლვილი აფხაზების ცხოვრებას ფოთელი კორესპონდენტებიც აშუქებდნენ. ერთ-ერთი მათგანი წერდა:

„იმ აფხაზების ბედზედ, რომლებზედაც ამას წინათ ვწერდით, ჯერ არა ისმის რა. ნეტავი რას უცდიან ამათი ბედის გადაწყვეტას? იქნებ იმ დროს უცდიან, როცა ამ საქმის გადაწყვეტაც აღარ იქნება საჭირო.

ერთი ამ უბედურთაგანი შემთხვევით ვნახე და, რადგან მეგრული სკოლნობა, კაი ხანს ვილაპარაკეთ. მომიყვა სულ ყველაფერი, რაც თავს გადახადდა იმას, მის ცოლშვილს და სხვებს. ამისი გრძელი მოთხრობის მოსმენისას კაცს გულის მაგიერ ქვა უნდა ედვას მკერდქვეშ, რომ თვალები ცრემლებით არ აეფსოს.

მივივრის ამ ზალხის აგებულების სიმაგრე და სულის ძლიერება, რომ ამდენი გაჭირვების გამონაცდებს, ხუთში ერთს მაინც კიდევ სული უდგას! ამ კაცს, სამშობლოდან ოსმალეთს ძალით წაყვანილს, დაუკარგავს იქ ის, რაც უძვირფასესია კაცის ცხოვრებაში — ცოლ-შვილი, მაგრამ მაინც მიიღტვის სამშობლოსავე, ამბობს, რომ ჩემს ცოლშვილს ჩვენი ქვეყნის უნახაობის ნაღველი ჩაჰყვა საფლაფშიო და მე მაინც ვნახავ იმ ცარიელ ეზოს, რომ „იმ სოფელს“ მაინც გაეახარო ისინი მის ამბის მოთხრობითო.

ამას ამბობს და სტირის ეს ლომივით ვაჟკაცი...“²⁴⁸

„დროების“ კორესპონდენტმა ასე გულში ჩამწვდომად წარმოგვიდგინა მოძმე აფხაზების ტრაგედია გასული საუკუნის 70-იან წლებში, ასე დაგვიხატა მან თავისუფლებისმოყვარე ზალხის დიდი განცდა, ღრმა პატრიოტიზმი, მშობლიური მიწაწყლის სიყვარული, ასე თანაუგრძობდა ქართველი კაცი თავის მოძმეს. ქართველ მოღვაწეებს სხვა თუ არაფერი შეეძლოთ, იმას მაინც აკეთებდნენ, რომ თავიანთი მეზობლის, საერთო ისტორიულ ქუთრაში გამოწრთობილი მეგობრის მძიმე ყოფას პრესაში აშუქებდნენ, ქმნიდნენ მის გარშემო საზოგადოებრივ აზრს ტყვიანობის მოსასალბუნებლად, სამკურნალოდ. ეს კი უთუოდ დიდი მხარდაქერა, უანგარო ძმობისა და მეგობრობის გამოხატულება იყო.

„დროების“ რედაქცია აღფრთოვანებული ხედებოდა ყოველ ახალ სასიხარულო მოვლენას აფხაზი ზალხის ცხოვრებაში. იმ დროს კი გადახვეწილი აფხაზი მამულიშვილების სამშობლოში დაბრუნების უფლების მიღებაზე უფრო დიდი სასიხარულო ამბავი აბა რა უნდა ყოფილიყო!

1879 წელს, 23 მაისს, ბათუმში ჩავიდა „დიდი მთავარი“ კონსტანტინე ნიკოლოზის ძე თავისი შვილითა და ამალით. მას იქ დახვდნენ აქარელი თავადები ბეჟანიშვილები და თავდგირიძეები. მთავარმა დაათვალიერა ქალაქი. შემდეგ მიიღო სამშობლოში დაბრუნების უფლების მთხოვნელი აფხაზები. ამ სურათს გაზეთის კორესპონდენტი ლ. მჭედლიშვილი („კრაზანა“) ასე აღწერს:

„ქვის გული უნდა ჰქონოდა კაცს, რომ არ შეებრალეობდა აფხაზების დედაკაცები, როდესაც ისინი დაჩოქილი, ძონძებში გამოხვეულები და

²⁴⁷ იქვე, გვ. 262.

²⁴⁸ „დროება“, № 209, 1880 წ.

შიმშილისაგან გამხმარ გაყვითლებულები თავიანთ პატარა ზავშეებით მიუახლოვდნენ დიდ მთავარს თხოვნის მისაცემად“.²⁴⁹

ბედისაგან დევნილი აფხაზები ითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას და ეს უნდა გადაეწყვიტა „დიდ მთავარს“.²⁵⁰

იმავე 1879 წლის 22 ივნისს ბათუმში ჩამოვიდა მეორე „დიდი მთავარი“ მიხეილ ნიკოლოზის ძე. ახლაც ხელახლა აყრილან გადახვეწილი აფხაზები და ისევ თხოვნით მიუმართავეთ რომანოვების დინასტიის წარმომადგენლისათვის. ამ სურათს იგივე „კრაზანა“ ასე გადმოგვცემს: „დიდმა მთავარმა მიიღო თხოვნა იმ უბედური ბედისაგან დაჩაგრული აფხაზებისაგან, რომლებიც კიანჭველებივით ფეხქვეშ ისრისებთან

მე არ შემიძლია ის უბედური სურათი ავიწეროთ, როდესაც ისინი გროვდებიან დიდი მთავრის მობრძანების დროს თხოვნის მისართმევად, რათა მათთვის მიიღონ წყალობა და უკანასკნელად, სიკვდილის დღეში მათ სამშობლოს ხისქვეშ წოლა აღიროსონ!..

ამ უბედური სურათის დანახვა უკლავს აღამიანს გულს, როდესაც ნახავთ: გამხმარს, გაყვითლებულს, თავ-ღიას, ფეხშიშველს და ძველ ძონძებში გახვეულს აფხაზებს!“

დიდმა მთავარმა თხოვნა შეიწყნარა, „ინება მალალი სულგრძელობითი ბრძანება“, რომ მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი ნატანჯი აფხაზებისათვის დაერთოთ ნება თავის მამულში დაბრუნებისა.

„უბედურებს, — განაგრძობს ლ. მჭედლიშვილი, — გამგონებებს ამ მოწყალეებისა, გაყვითლებულ სახეზე და მალხაზ ჩაქვიანულ თვალებზე სიცოცხლის სხივმა გადაუარათ.. ამ სურათს არა თუ ჩემისთანა მბლაქნავი, თვით გამოჩენილი მხატვარიც რომ ყოფილიყო, ვერ დაგინატავდათ!“

რა აღფრთოვანებით, რა მონდომებით ჰყვება სტატიის ავტორი თავის თანამომძეების — აფხაზების ამ სასიხარულო ამბავს, რა დიდი გრძნობით გადმოსცემს ტანჯული აღამიანების უნაპირო სიხარულს, რომ მათ მიეცათ სამშობლოში დაბრუნების უფლება.

ბათუმში მყოფი სამასი გადახვეწილი აფხაზი გემ „იალბუზით“ დაუბრუნებიათ აფხაზეთში.²⁵¹ ამ ამბით აღფრთოვანებული „დროების“ რედაქცია წერდა:

„ეხლა ჩვენ სასიხარულოდ ვკითხულობთ დღეს მიღებულ „გოლოსის“ № 254-ში, რომ უბედურ აფხაზებისათვის ნება მიუციათ თავიანთ მამულში დასასახლებლად“.²⁵²

სამშობლოდან გაძევებული, თავის მიწაწყალს მოწყურებული აფხაზები გულხელდაკრეფილი როდი ისხდნენ. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ სამშობლოში დაბრუნების ნებართვას.

ერთი ასეთი მეტად საინტერესო დოკუმენტი არის გამოქვეყნებული „დროებაში“, საიდანაც ვგებულობთ, რომ გადახვეწილი აფხაზების ერთ ჯგუფს, 300-მდე კაცს, რომლებსაც არც სოხუმი ღებულობდა და არც თურქეთის მთავრობა, აურჩევია თავკაცები, დაუწერიათ არზა და მიუ-

249 კრაზანა (ლ. მჭედლიშვილი), ბათუმი. „დროება“, № 213, 1879 წ.

250 კრაზანა (ლ. მჭედლიშვილი), ბათუმი. „დროება“, № 172, 1879 წ.

251 „დროება“, № 178, 1879 წ.

252 „დროება“, № 178, 1880 წ.

რომევიანთ საქართველოს ეგზარქოსისათვის. ამ თხოვნაში შემდეგი ყოფი-
ლა აღნიშნული:

„ომიანობის დროს (მხედველობაშია 1877-1878 წწ. რუსეთ-თურ-
ქეთის ომი — ო. ქ.), ჩვენ ძალად ვიყავით ჩვენის ქვეყნიდან წაყვანილი
ოსმალის ჯარისაგან. ახლა სოხუმის მაზრის გამგეობას არ უნდა, რომ
ჩვენ მიგვიღოს ისევ აბხაზეთში. ბათუმში გვაბრუნებენ და აქედან კი
ოსმალეთში გვისტუმრებენ.

შემშლილსაგან და ყოველგვარი გაპირვებისაგან შევიწროებულნი,
ჩვენ ოსმალეთში უარეს დევნას და უბედურებას მოველით, რადგან ქრის-
ტიანები ვართ“.

ამის გამო ვითხოვთ თქვენს შუამდგომლობას ხელმწიფე ნამესტნიკ-
თან, რომ ნება მოგვცეს ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებისა, წინააღმდეგ შექ-
თხევაში ჩვენ ერთი საშუალებალა დაგვრჩენია — მაჰმადის სარწმუნოება
მივილოთ.

ჩვენი მონათვლის ამბავი იმერეთის ეპისკოპოსს მოეხსენება. ჩვენ
ვკრითი ერთის წარმოდგენით, რომ იძულებული შევიქნებით, ჩვენი წმ.
სარწმუნოება გამოვიცვალოთ“.²⁵³

ამ თხოვნაზე ხელი მოუწერია სამას კაცს.

„დროების“ რედაქცია ამ ინფორმაციას ასეთ კომენტარს უკეთებს:
„ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ უმაღლესი მთავრობა მიაქცევს
ბოლოს ყურადღებას ამ მრავალტანჯულ და უბედურ ხალხს და თავის
ქვეყანაში დაბრუნებისა და დასახლების უფლებას მისცემს“.

რა დიდი გულისხმიერი, ადამიანური გამოხმაურებაა მომე ხალხის
შვილების ტრაგედიისადმი. გაზეთის რედაქცია ს. მესხის მეთაურობით
გვერით ედგა აფხაზ ხალხს მისთვის ესოდენ მტკივნეული სულიერი და
ფიზიკური ტანჯვის დროს.

როდესაც ვვხებით „დროების“ გარშემო შემოკრებილი ქართველი
ინტელიგენციის ბრძოლას სულთანის თურქეთის ძალმომრეობისა და მე-
ფის მთავრობის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზი.
ჩერქეზი და ქართველი ხალხების ეროვნული და მოქალაქეობრივი უფ-
ლებების დასაცავად, ამ ზღვა მასალაში შეუძლებელია გვერდი ავუაროთ
1878 წლის „დროება“ № 192-ში დაბეჭდილ ერთ საინტერესო დრამა-
ტულ მოთხრობას თუ, უფრო ზუსტად, დრამატულ სცენას სათაურით —
„ბათუმის ცხოვრებიდამ“, რომლის ავტორია პუბლიცისტი ლ. მჭედლიშ-
ვილი, მაშინ, „კრაზანას“ ფსევდონიმით მოღვაწე.

„ბათუმის ცხოვრებიდამ“ არის პირველი მხატვრული ნაწარმოებ-
აფხაზი ლტოლვილების — მაჰაჯირების თავგადასავალზე, რომელიც დაი-
წერა, როგორც იტყვიან, „ცოცხალ ნაკვალევზე“. მასში ასახულია მწარე
სინამდვილის მღელვარე სურათები.

ლ. მჭედლიშვილის ნაწარმოები არის საკმაოდ მიმზიდველად, ხა-
ტუნად დაწერილი დრამატული მოთხრობა ერთი მაჰაჯირი აფხაზის
ოჯახის ტრაგიკული თავგადასავლის შესახებ (ნაწარმოებს უკავია გაზე-
თის მთელი ერთი გვერდი).

მოხუცი დედა და ქალიშვილი გახანი უმწეოდ, უპატრონოდ არიან
დარჩენილი ზღვის პირას. მათი ოჯახის მამა დაღუპულა ბრძოლის ველზე.

²⁵³ „დროება“, № 113, 1879 წ.

ისინი კი გაუსახლებიათ თურქეთში, მაგრამ, ვერ გაუძლეს რა ზღვით მოგზაურობას. უკაცრიელ ნაპირზე გადმოუსხამთ.

ნაწარმოებში მკითხველი გრძნობს იმ სიტბოს, იმ სიმბათიებს, რასაც მწერალი ამჟღავნებს ბედისაგან განწირული ამ აფხაზური ოჯახის მიმართ.

ბოლოს ქალიშვილს საყვარელი დედა უკვდება. უმწეოდ დარჩენილი ახალგაზრდის სასოწარკვეთას საზღვარი არა აქვს. ობლად დარჩენილი გოგონა თავის გაჩენის დღეს იწყევლის. ამასობაში თურქეთიდან ჩამოდის მისი ძმა. იგი ჩამოიტანს სასიხარულო ამბავს, რომ მათ მისცეს სამშობლოში დაბრუნების უფლება. ის არის მეტად დასანანი, რომ დედა ვერ ეღიროსა ამ ბედნიერ დღეს, ვერ იხილა თავისი აფხაზეთი, აფსნი, ის მიწა, სადაც თვალი გაახილა და ფეხი აიდგა. ნაწარმოების ფინალს წარმოადგენს ქალიშვილის სიტყვები:

„პოი, დიდებულო ღმერთო! რა არის ეს კაცის ცხოვრება? გვაკმარე, უფალო, ამდენი ტანჯვა. აღარ გვრჩება დრო, რომ შენც გემსახუროთ. ნუთუ იმისათვის ვართ გაჩენილი, რომ ყველა უბედურება და მწუხარება ჩვენი გამოსაცდელი იყოს“.

„ბათუმის ცხოვრებიდამ“ არის მეტად გულთბილი და ღრმა ტრაგიზმით აღსავსე მოთხრობა აფხაზი ხალხის უკუღმართ ბედზე წარსულში.

მომდევნო წლებში, როდესაც აფხაზ ხალხს მიეცა საშუალება შეექმნა საკუთარი დამწერლობა და თავისი ეროვნული კულტურა გაეღრმავებინა და გაევითარებინა მეცნიერებათა პრინციპების საფუძველზე, აფხაზური მხატვრული სიტყვის ოსტატებმა არა ერთი და ორი მიმზიდველი ნაწარმოები უძღვნეს თავიანთი განაწამები წინაპრების სულიერ განცდებს... საერთოდ ცხოვრებას. ამ მხრივ აღსანიშნავია დ. გულიას, ს. ჭანბას, მ. ლაყერბაის მხატვრული ტილოები.

ასე ესარჩლებოდა „ღროება“ მოძმე აფხაზ ხალხს, ასე ედგა იგი ქართველის ისტორიულ ძმას გვერდით ყველაზე მძიმე წუთებში. ს. მესხმა თავისი გაზეთის გარშემო დარაზმა მოწინავე ინტელიგენცია და მასთან ერთად აიმაღლა ხმა უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მწერლები და
კვლევითი წვლილი აფხაზეთის კულტურის განვითარებაში

თედო სახოკია

მეტად დიდია თ. სახოკიას ამაგი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების წინაშე. იგი იყო შესანიშნავი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი — შემკრები ხალხური შემოქმედებისა, მშობლიური ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის მედგარი მებრძოლი, კეთილსინდისიერი მეცნიერი და პედაგოგი, თავდადებული მამულიშვილი. ცნობილი კრიტიკოსის იპ. ვართაგავას თქმით, „თედოს ასულდგმულებდა არა კაცმოძულე ან ხალხთმოძულე პოლიტიკა, არამედ ეროვნების ბურჯის — სამშობლო ენის სიწმინდე, მისდამი სიყვარული... ის მეგობრის წყენასაც არ მოერიდებოდა, როდესაც საქმე ქართული ენის საკითხს შეეხებოდა“.¹

თ. სახოკიამ დიდი ამაგი დასდო მშობლიურ ენას, გამოაქვეყნა რა 3 ტომად (1950-1955 წწ.) „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. აქ თავმოყრილია ათეული წლების მანძილზე შეგროვებული უხვი მასალა, დიდად საინტერესო და საჭირო როგორც ლექსიკოლოგიის, ისე ეთნოგრაფიის თვალსაზრისითაც.²

„თედო იყო მაგალითი დაუღვგარი და მხნე მოღვაწისა. იგი იყო შეურიგებელი და პრინციპული საზოგადო საქმეში, უკანდახევა უცხო იყო მისთვის“.³

თ. სახოკიას ნაწარმოებები სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ინგლისურ ენებზე. მისი მოღვაწეობის დიდი ღირსება ისიც იყო, რომ მან „თავის ეთნოგრაფიულ წერილებში გამოამუხეურა ამბები, რომლებიც მანამდე ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი არ იყო“.⁴

თ. სახოკია ორი ეპოქის მიჯნაზე მოღვაწეობდა, ბევრის მომსწრე, მნახველი და გამგონე იყო, მოუვლია მრავალი ქვეყანა და ქალაქი: რუსეთი, ბელგია, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, ინგლისი, თურქეთი. ყოფილა ბრიუსელში, ჟენევაში, ნეაპოლში, რომში, პარიზში, ლონდონში, სტამბოლში. მას ბევრი ღამე უთენებია თეთრად, ზმირად ობმოკი-

1 იპ. ვართაგავა, მოგონებები, II, თბ., 1962 წ., გვ. 320-321.

2 გ. ჩიტაია, თედო სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა. კრებ. „თედო სახოკია“, თბ., 1969 წ., გვ. 18.

3 ხ. ცაიშვილი, ქართული ხატოვანი სიტყვის მოჭირნახულე. იხ. თ. სახოკია, ჩემი საუკუნის აღმიაწერი, თბ., 1969 წ., გვ. 5.

4 ა. სიგუა, მწერალი და მოქალაქე (მოგონება თ. სახოკიაზე). იხ. ზემოდასახელებული კრებული, გვ. 113.

დებული პურიც მონატრებია, მაგრამ ყველგან და ყოველთვის მისი სა-
ოცნებო საგანი იყო საყვარელი სამშობლო, რომლის სამსხვერპლოზე მი-
იტანა მთელი თავისი შვეგნებული ცხოვრება. ამიტომ არის, რომ 1943
წელს 76 წლის მოხუცმა „ავტობიოგრაფია“ ასეთი სიტყვებით დაამ-
თავრა:

„იმედი მაქვს, შთამომავლობამ ლოცვა-კურთხევით მოიხსენიოს თა-
ვისი წინაპარი, რომელსაც თავის სიცოცხლის მიზნად მიაჩნდა სამშობ-
ლოსა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ გარჯა და მრომა და გააკეთა
ის, რის გაკეთებაც ძალეღდა“.⁵

თ. სახოკიას მხატვრული და მეცნიერული შემოქმედების შესწავლა
და ანალიზი დიდ დროს მოითხოვს. ამჟამად იგი აღემატება ჩვენს ძალ-
ღონეს და, მართალი ითქვას, არც დაგვისახავს მიზნად. ჩვენ გვაინტერე-
სებს მისი მოღვაწეობიდან ერთი საკითხი. კერძოდ, თ. სახოკიას დაპოვი-
ლებულება აფხაზეთთან და ის როლი, რომელიც მან ითამაშა ქართულ-
აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების
საქმეში.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თ. სახოკია სისხლბორცეულად
დაკავშირებული იყო აფხაზეთთან, აფხაზ ხალხთან. მის „ავტობიოგრაფი-
აში“ ვკითხულობთ:

„სამისა თუ ოთხის წლისა სოხუმში წამიყვანეს, სადაც მამაჩემი,
1867 წელს ალექსანდრე ეპისკოპოსის (ოქროპირიძე) მიერ ნაკურთხი
წმინდა გიორგის (სასაფლაოს) ეკლესიის მღვდლად იყო“.⁶

აი, ამ დღიდან მოყოლებული თ. სახოკიას მოღვაწეობა, მისი ცხოვ-
რების სიტბოცა და სიმწარეც შეტნაკლები ოდენობით დაკავშირებულია
სოხუმთან, აფხაზეთთან, ამ მხარის პოლიტიკურ-კულტურულ ყოფასთან.
მას აფხაზეთის მიწა-წყალი, დაბები და სოფლები ფენით ჰქონდა შოვლი-
ლი, უშუალოდ ეცნობოდა მშრომელი ხალხის ცხოვრებას, მის კულ-
ტურულ ვითარებას, განათლების დონეს, ეთნოგრაფიას, საწარმოო გა-
მოცდილებას, შრომით ჩვევებს, ბუნებას და შემდეგ ყოველივე ამას —
ნანახსა და განცდილს, აფხაზი ხალხის წარსულსა და აწმყოს პრესის სა-
შუალებით აცნობდა მკითხველ საზოგადოებას.

საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიით, ეთნოგრაფიით, ფოლკ-
ლორით დაინტერესებულ პირთათვის თ. სახოკიას „მოგზაურობანი (გუ-
რია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი)“ სამაგიდო წიგნად იქცა. თ. სახოკია
არასოდეს ყოფილა სინამდვილის პასიური მქვერცელი, ფაქტებისა და
მოვლენების უსულგულო აღმნუსხველი, ინდიფერენტული გარემო სამ-
ყაროსადმი; სამართლიანად მიუთითებს აქად. გ. ჩიტაია:

„ამ წიგნში (მოგზაურობანი) მოცემული ეთნოგრაფიული სინამდვი-
ლის აღწერილობა გაუდენთილია პუბლიცისტური წიადსვლებით: ავტო-
რი ყურადღებას ამახვილებს იმ დროის საჭირბოროტო, საზოგადოებრი-
ვი მნიშვნელობის მქონე საკითხებზე“.⁷

სწორედ ამამა თ. სახოკიას მოღვაწეობისა და შემოქმედების ღი-
რსება.

5 თ. სახოკია, ავტობიოგრაფია. დასახელებული კრებ., გვ. 245.

6 დასახელებული კრებ., გვ. 204.

7 გ. ჩიტაია, თ. სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობა. დასახელებული კრებ., გვ. 15.

მეტად დიდია ის ლიტერატურული, ეთნოგრაფიული, პუბლიცისტური, მეცნიერული და მემუარული მემკვიდრეობა, რომელიც თ. სახოკიას დარჩა. ამ უზარმაზარი მასალის არსის მცოდნე მკითხველი უთუოდ დავუეთანხმება, რომ თ. სახოკიას საზოგადოებრივი მოღვაწეობა და შემოქმედება, სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის შესწავლილი და შეფასებული. ხოლო ბევრ დოკუმენტს, მისგან დატოვებულს, საზოგადოებრივად მეტად ღირებულს, ჯერ სრულიად არ შეხებია მკვლევარის ხელი, ისინი ელიან დაუზარელ მუშაკს, რომელიც გულმოდგინედ შეუდგება სახელოვანი მამულიშვილის ნაამაგარის შესწავლასა და გაშუქებას.

ს.სახოკია წლების მანძილზე ცხოვრობდა სოხუმში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქალაქისა და მთელი აფხაზეთის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი უშუალო თაოსნობით არა ერთი და ორი საქველმოქმედო, სასარგებლო ღონისძიება ჩატარდა. ის იყო ქალაქის მმართველობის ხმოსანი, სოხუმელ სცენისმოყვარეთა დასის ქმედითი წევრი, სოხუმის ქართული სამკითხველოს დაარსების ინიციატორი.

ამ ბიბლიოთეკამ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. იგი შემოწირულებათა ხარჯზე არსებობდა. ბევრი წიგნი მისთვის შეუწირავს პოეტ გ. შარვაშიძესაც.⁸

ბიბლიოთეკის აქტიური წევრები იყვნენ სოხუმელი მოქალაქეები და საზოგადო მოღვაწეები: ძმები გოგრიჩიძეები, თ. გაბუნია, დ. ქავკაზნიძე, ძმები მასხარაშვილები, ბ. გაბუნია, ალ. ჩაჩავა, ძმები ანუები, ძმები გოგიტაშვილები, ი. ცეცხლაძე, ნ. ჩიგოგიძე, ბ. ხელაია, ი. ლოლუა, გ. კვიციანიშვილი, ა. ჯღელი, გ. ზოგრაფოპულო, ი. ბურჭულაძე, გ. გიორგოძე, გ. წეროძე, ა. რატიანი, მ. გვაზავა, ბ. ზახაროვი, ს. ფრანგულიანი.⁹

ს. სახოკია თავგამოდებით იბრძოდა ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნული და სოციალური უფლებების დასაცავად. იგი ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

იმ დროს, როდესაც თ. სახოკიას უხდებოდა მოღვაწეობა, მეფის მთავრობისაგან სასტიკად იდევნებოდა ქართული ენა. ქართველ ბიჭუნებსა და გოგონებს არ ჰქონდათ საშუალება სკოლაში მშობლიურ ენაზე ესწავლათ.

1896 წლიდან მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ცნობილმა შავრაზმელმა, მეფის მთავრობის დაქირავებულმა „სულიერმა მამამ“, სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსმა არსენიმ 1896 წლის 19 იანვარს მიიღო რეზოლუცია, რომლის ძალით სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) სკოლებში აღკვეთა ქართული ენის სწავლება. იგივე ღონისძიება გაატარა საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 1898 წლის 17 მარტის ბრძანებულებით.

მოსახლეობის რუსიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა ეკლესია. შავრაზმელები მოითხოვდნენ ეკლესიაში წირვა-ლოცვის ჩატარებას ძველ სლავურ ენაზე. ეროვნული კულტურის მესვეურები კი

⁸ ი. ჭურღულია, სათუთი რელიკვია. ვაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, № 73.

⁹ ვაზ. „ცნობის ფურცელი“, № 156, 1897 წ.

იმ ადგილებში, სადაც მოსახლეობა ქართული იყო, მღვდელმსახურებას ქართულ ენაზე მოითხოვდნენ. ამ ბრძოლამ ორ ბანაკს შორის გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მეტად მძაფრო ხასიათი მიიღო.

ქართული ენა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის სკოლებსა და ეკლესიებში აღკვეთეს და განდევნეს თვითმპყრობელობის დამქაშებმა, მაგრამ ამ ღონისძიებას წინ აღუდგა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება.¹⁰

ამ საკითხში მეფის ადგილობრივ მთავრობას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ: ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი თედო სახოკია, პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: ნ. ჯანაშია, პ. ჭარია, ი. გეგია, სოხუმის სამთო სკოლის მასწავლებელი ანთიმოზ ჯღელი, ოქუშისა და დრანდის აფთიაქების პროვიზორები: გრიგოლ კანდელაკი და ივანე ბურჯულაძე, ოჩამჩირელები ფარნა დავითაია და სპირიდონ ნორაკიძე, მათ მხარში ედგნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მოწინავე ქართველი მწერლები და მოღვაწეები.

ეს ჯგუფი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ადგილობრივ მთავრობას, რის გამოც მისი წევრები არაერთხელ იყვნენ დაბეზღებული სოხუმის ოლქის უფროსის, ყანდარმერიის სოხუმის როტმისტრის, ქუთაისის გუბერნატორისა და კავკასიაში მეფისნაცვლის წინაშე. ერთ-ერთი დაბეზღება, დათარიღებული 1900 წლის 28 მარტით, რომელიც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა წარუდგინა მეფისნაცვალს თბილისში, ატარებდა შემდეგ სახელწოდებას:

„Об исследовании политической неблагонадежности проживающих в Сухумском округе Федота Тимофеевича Сахокия, Антимоза Ивановича Джугели. Ивана Константиновича Тегия, Григория Ивановича Канделаки, Ивана Гавриловича Бурчуладзе, Парны Николаевича Давитая и Спиридона Левановича Норакидзе, являющихся главными представителями грузинской партии, противодействующей мероприятиям правительства по обрусению населения округа, и принятия против них административных мер воздействия“.¹⁰

როგორც ამ სათაურიდან ჩანს, ეს პროგრესული ჯგუფი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ძალით გარუსების პოლიტიკას, იცავდა ეროვნულ ენას და მოითხოვდა ნაციონალურ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას და ამას მათ დანაშაულად უთვლიდნენ.

როდესაც ამ ჯგუფის ოჯახები გაჩხრიკეს და წევრები კი დაკითხეს, თედო სახოკიამ ფაქტიურად ყველას მრწამსი გამოხატა თავის ახსნა-განმარტებაში მშობლიური ენის როლზე ახალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში. ზემომოტანილ დოკუმენტში თედო სახოკიას შესახებ წერია:

Он (г. о. т. Сахокия — о. К.) путем печати старается добиться преподавания грузинского языка, как родного, в селах Сухумс-

¹⁰ დოკუმენტი, რომელიც შეიცავს თაბახის 50 გვერდს, ინახება საქართველოს სსრ სახალხო განათლების მუზეუმში. № 7461, გვ. 1.

кого округа с мингрельским населением, признавая, что этим путем он способствует легчайшему изучению русского языка".¹¹

ეს იყო არა მარტო თ. სახოკიას, არამედ მთელი მოწინავე საზოგადოების აზრი. ასეთი მოთხოვნა მიუთითებდა ამ ჩვეულის წევრების დიდ ადამიანობასა და კეთილშობილურ მისწრაფებაზე.

თ. სახოკიას მიერ გამოთქმულ ამ აზრს, რომელიც ყველა პროგრესული ადამიანის შეხედულებას გამოხატავდა, მხარს უჭერდნენ დიდი რუსეთის სახელოვანი ადამიანები, რევოლუციური მოღვაწეები. როგორც ცნობილია, თვითმპყრობელობის შავრაზმულ პოლიტიკას დაუნდობლად ებრძოდა მოწინავე რუსეთი. ვ. ი. ლენინის დახასიათებით, ახალგაზრდა რუსეთი ამ დროისათვის რევოლუციის ქარიშხალს ამზადებდა დახავსებული წყობილების წინააღმდეგ.

ჩვენ მიერ ზემოდასახელებულ დოკუმენტშიც აღნიშნული არის ის გარემოება. რომ აფხაზეთის პროგრესულ მოღვაწეებს თავიანთი კანონიერი უფლებებისათვის ბრძოლაში ეხმარებოდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანები და პერიოდული პრესა, რომ ამ ბრძოლაში ისინი მარტონი არ იყვნენ. მაგალითად, თედო სახოკია თავის წერილებს, მიმართულს ადგილობრივი მთავრობის შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, ხშირად პეკდავდა პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში და ამით მთელს მოწინავე რუსეთს აცნობდა, თუ რა ბოროტებას ჩადიოდნენ ადგილებზე მეფის მთავრობისა და ეკლესიის მსახურნი.

ადგილობრივი მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ ჩვეუფს მხარს უჭერდა პეტერბურგის გაზეთი „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“. ამ გაზეთში 1900 წელს (№ 17) თ. სახოკიამ მოათავსა ვრცელი წერილი, რომელშიც სასტიკად იყო მხილებული სოხუმის ეპისკოპოსის -- არსენის ბნელი საქმიანობა აფხაზეთის, ქართველებისა და აფხაზეთში მცხოვრები ესტონელების წინააღმდეგ.

ბუნებრივია, უანდარმერია და ეკლესია თანაბარი ძალით ებრძოდნენ და უსწორდებიდნენ ყველა იმათ, ვინც ხელს აღმართავდა უსამართლობისა და აღვირახსნილი თვითნებობის წინააღმდეგ.

ამ ჩვეულის პოზიციები მშობლიური ენის, სკოლისა და საერთოდ საზოგადოებრივი პროგრესის დარგში ექვემდებარებოდა ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და ი. გოგებაშვილის პოზიციებს. ცნობილია ამ მხრივ ი. გოგებაშვილის, გ. მნათაშვილისა და ქართველი ხალხის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ბელადის, შეხედულებები. იგი, გამოდიოდა რა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, მშობლიური ენას როლის შესახებ სხვა ენის დაუფლებლაში შემდეგს წერდა:

„სახელმწიფო ენის შესწავლა ხალხს არ მიაჩნია საშიშრად თავის ნაციონალურ არსებობისათვის, მკითხველს მოეხსენება, რომ ბევრმა კერძო პირმა იცის რამდენიმე ენა. მაგრამ ეს გარემოება არამც თუ არ ასუსტებს მათში მამულიშვილობას, არამედ კიდევაც აძლიერებს... ხალხმაც შეიძლება მეტნაკლებობით იცოდეს მთავარი ერის ენა, და ამავე დროს იგი მტკიცედ იღვეს ეროვნულ ენაზეც. მიისწრაფოდეს ნაციონა-

¹¹ დასახ. დოკუმენტი, გვ. 6.

ლურის იდეალებისაკენ. სახალხო სკოლა მაშინ ხდება საშიში, როცა საგნები ისწავლება არა დედა-ენაზე, არამედ სახელმწიფოზე“.¹²

ისე როგორც ი. გოგებაშვილი, თ. სახოკია და მისი თანამოაზრეები რუსული ენისა და რუსული კულტურის წინააღმდეგი არასოდეს არ ყოფილან, პირიქით, ისინი რუსი ხალხის მოწინავე მოაზროვნეების იდეებზე აღიზარდნენ. მათთვის მშობლიურით ახლობელი იყო ტოლსტოის, პუშკინის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის შემოქმედება. ისინი ხაზს უსვამდნენ რუსული ენის შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდნენ მშობლიური ენისათვის კუთვნილ ადგილს სასწავლო დაწესებულებებსა და სახელმწიფო მმართველობაში.

ასეთივე იყო შეხედულება რუსეთის მოწინავე მოაზროვნეებისა. როგორც სამართლიანად არის მითითებული სამეცნიერო ლიტერატურაში, „რუსი რევოლუციონერი-დემოკრატების პატრიოტიზმი მხოლოდ მშობლიური რუსი ხალხის სიყვარულით როდი იფარგლებოდა. მათ პატრიოტიზმს, საკუთარი ხალხის სიყვარულს განუხრებლად უკავშირდებოდა მათივე პატივისცემა სხვა ხალხებისადმი, სხვა ხალხთა ეროვნული თავისებურებებისა და პროგრესული ტრადიციებისადმი, სხვა ხალხთა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი“.¹³

აფხაზი და ქართველი ხალხების კულტურულ-მეგობრული ურთიერთობა თ. სახოკიას ყურადღების ცენტრში იდგა ყოველთვის. ეს საკითხი მას ღრმად ჰქონდა შესწავლილი და საკმაოდ მკაფიოდ გაშუქებული მაშინდელ პრესაში.

ქართველი მამულიშვილი დიდად წუხდა იმ გარემოებას, რომ სულთანის თურქეთმა ყველა ღონეს მიმართა იმისათვის, რათა აფხაზებისა და ქართველების გათიშვისათვის მიეღწია. ამ მიზნით იგი მოხერხებულად მიმართავდა რელიგიურ დაპირისპირებასაც. მართალია, მან საბოლოო მიზანი ვერ აისრულა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც შესძლო ჩანაფიქრის განხორციელება — ერთგვარი უთანხმოება ჩამოვედო მუსულმან აფხაზებსა და ქრისტიან ქართველებს შორის. ისტორიულ მოვლენათა ამ ფაქტების ანალიზის შედეგად არის თქმული თ. სახოკიას სიტყვები:

„აფხაზნი, ეს უძველესნი მსახურნი და მმოსავნი ქრისტეს მოძღვრებისა, ცხოვრების საზოგადო მიმდინარეობის გარეშე დარჩნენ, თავის ერთმორწმუნე ძმებს — ქართველებს ჩამოცილდნენ“.¹⁴

თ. სახოკიას ეს მოვლენა დიდ ეროვნულ უბედურებად მიაჩნდა ორივე ხალხისათვის. მართალია, საუკუნეების მანძილზე მუსულმანურმა რელიგიამ და სულთანის თურქეთმა ორივე მოძმე ერს დიდი ზიანი მიაყენეს, მაგრამ მაინც საბოლოოდ ვერ შესძლეს მიზნის მიღწევა. სრულ ქვემარტებას შეესაბამება თ. სახოკიას აზრი:

„თუ დღევანდელი აფხაზი მაჰმადიანად თავის თავს რაცხს მხოლოდ იმ საბუთით, რომ ღორის ხორცს არა სჭამს და ერიდება ღვინოს. ამ გარეგნულის წესის იქით არც მიდის და იმის მეტი არცა სწამს-რა ამ ბუ-

¹² ი. გოგებაშვილი, რჩ. ნაწერ., ტ. II, 1940 წ., გვ. 453.

¹³ მ. გუფრინაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. ტ. I, თბ., 1959 წ., გვ. 371.

¹⁴ თ. სახოკია, აფხაზეთი. ეურნ. „მოამბე“, № 11, 1895 წ., გვ. 114.

ნების შეილსა. იგივე მაჰმადიანი აფხაზი მამა-პაპათა ანდერძის გამო სასოებით ეპყრობა ძველ ეკლესია-ტაძრებთა, ნანგრევებსა, რომლებითაც მოფენილია მთელი მისი ქვეყანა; იმავე მაჰმადიან აფხაზსა სწამს ძლიერება ჩვენის ეკლესიის ზოგიერთთა წმინდანთა, როგორც მაგ. წმ. გიორგისა, მიქელ-გაბრიელისა, ილია წინასწარმეტყველისა და ზოგ კიდევ სხვათა“.¹⁵

თ. სახოკია კეთილი სურვილებითა და ზრახვებით ხელმძღვანელობდა, როდესაც აფხაზი ხალხისადმი დახმარებაზე, მათს შველაზე ლაპარაკობდა:

„ამ მხარეს (აფხაზეთს — ო. ჭ.) ეჭირება დროზე მიშველება, გულწრფელი, მამობრივი პატრონობა“.¹⁶

მაგრამ მშველელი არავინ იყო, არავის შესტკიოდა გული აფხაზი კაცის გასაჭირზე, მის კულტურასა და განათლებაზე, მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე. ეს სამდურავი მოისმის თ. სახოკიას იმავე სტატიიში, როდესაც ის საყვედურობს სასულიერო ხელმძღვანელობას, რომელიც არაფერს აკეთებდა ხალხის სასარგებლოდ.

მოკლე დროში აფხაზეთის ეპარქიამ ოთხი მღვდელმთავარი გამოიცვალა. მაგრამ არცერთ მათგანს არ მოუსურვებია „დაახლოებით გაცნობა აფხაზებისა, ამათი ენისა, ზნისა, ჩვეულებებისა... გამოეკვლიათ გზები დაცემისა ერთს დროს აყვავებულის საწმუნოებისა აფხაზთა შორის“.¹⁷

თ. სახოკია დიდი მფარველი იყო მშრომელი ხალხისა. ის უსამართლობა, რაც სოფლებში იყო გამეფებული, მას დღის სინათლეზე გამოჰქონდა სამსჯელოდ, არ ინდობდა არავის, ვინც მშრომელ მოსახლეობას ჩაგრადა.

„სოხუმში თუ რამ გაჭირვებაა, — მიუთითებდა იგი, — მადლობა ღმერთს, ხმის ამომღები მაინც მოიპოვება ვინმე. დაბა-სოფლები კი, როგორც ყველგან აფხაზეთში, სრულებით უპატრონოდაა. სოფელეთ თუ გაჭირვება ადგიათ, ამ ვარამს გულშივე იკლავენ, ვერ ძალუძთ ამ გაჭირვებას მიზეზი გამოუძებნონ, წამალი აღმოუჩინონ... ხშირად განსაცდელში არიან და ისიც კი არ ესმით, რომ ილუპებიან, — ისე დიდია სიბნელე ვონებითი მათ შორის“.¹⁸

თ. სახოკიას აზრით, აფხაზეთის, აფხაზი კაცის გაჭირვება შორეული წარსულიდან მომდინარეობდა. ვინ არ ჩაგრადა ამ თავისუფლებისა და თავისთავადობის მოყვარე ხალხს, ვინ არ მოსულა აქ მტრად და ამწიოკებლად, მაგრამ აფხაზები ქართველების მხარდამხარ სასტიკად უმკლავდებოდნენ მოძალადეს, თუმცა თვითონაც სისხლისაგან იცლებოდნენ და თხელდებოდა მათი რიგები. ასეთ დროს ვის ეცალა ეროვნული სკოლისა და განათლებისათვის, როდესაც ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, როდესაც ქვეყნის თავზე ეკიდა დამოკლეს მახვილი, ისტორიის ჩარხის დაუხდობელ ბრუნვას გაძლება უნდოდა.

ეროვნულ უბედურებას ზედ ერთვოდა სოციალური ბოროტებაც და ყოველივე ეს მშრომელი ადამიანის ასატანი და მოსანელებელი იყო.

¹⁵ თ. სახოკია, აფხაზეთი. ჟურნ. „მოამბე“, № 11, 1895 წ., გვ. 114.

¹⁶ იქვე.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე, გვ. 118.

„ბევრი ვაი-ვაგლახი დაატყდა თავსა აფხაზეთს, — მიუთითებდა თედო, — ბევრი უბედურება გამოიარა. წისქვილის ქვა-ლა არ დატრიალებულა მის თავზედა. იმთავითვე შფოთისა და აკლების ასპარეზად იყო გარდაქმნილი ეს მხარე საქართველოსი. აყრა-დაყრა, მტრისაგან აწიოკება იმთავითვე წილად ხედომია ამ მხარესა. ხუთჯერ კერის მოშლა, ხელახლა ზრუნვა სახლ-კარის გაჩენისათვის, ისეთ საეჭვო მდგომარეობაში ყოფნა, როცა არ იცი — „ხელეს“ რა მოაქვს, როცა დარწმუნებული არა ხარ — რაც დღეს წვითა და დავით შეგიქმნია, ხვალ და ზევ შეგჩრება თუ არა; ვამბობ. ასეთი შეუწყვეტელი, ბოლომოუღებელი, თავგამოდებული ბრძოლა არსებობისათვისა და თავის დაცვისათვის „გასტეხს ქვა-საცა მაგარსა“, არამცთუ აფხაზების ისედაც დაჯანდაცებულს მხნეობასა, გაჩანაგებულს და დაქვეითებულ ეკონომიურს ყოფასა“.¹⁹

რა კარგად არის გაგებული და ახსნილი აფხაზეთის ისტორიის თავისებურება, ხალხის სიღარიბისა და სიბნელის გამომწვევი მიზეზები; თან რა თანაგრძნობით, გულისტკივილით წერს სტატიის ავტორი მოძმე ხალხის გასაჭირზე, უუფლებობასა და ნივთიერ სიღატაკეზე. თ. სახოკია მართალია. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე გაუქირდა აფხაზეთს, ჩამორჩა მისი კულტურული და ეკონომიური დონე. სამართლიანად წერდა მამულიშვილი:

„დღე — ყოველმა ზრუნვამა ლუკმა-პურისათვის, ზრუნვამა თავისი ბედ-შავის ცოლშვილისა და სახლ-კარის უვნებლად შერჩენისამსხვე ყოველი ზრუნვა, სხვა ყოველი აზრი და ფიქრი დაუხშო აქაურს მკვიდრსა“.²⁰

სხვა სტატიებშიც თ. სახოკია ამხელს აფხაზი ხალხის სიღარიბის, უუფლებობის, ჩამორჩენის მიზეზებს. მან 1900-იან წლებში იმოგზაურა გაგრის მიდამოებში. მასზე დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია განვითარების კაპიტალისტურ გზაზე დამდგარი გაგრის სანახაობებს. მდიდართათვის შენდებოდა სასტუმროები, რესტორნები, დასასვენებელი სახლები, ხოლო ხალხი? მშრომელი მკვიდრი აფხაზეთისა ისევ სიბნელესა და სიღატაკეში ცხოვრობდა. ეს სიახლე, ეს კომფორტი მას არ შეეძებია, მისთვის არაფერი სიკეთე არ მოუტანია. ამ გარემოებით აღმფოთებული თ. სახოკია წერდა:

„უნდა გამოგიტყდეთ, ცოტა არ იყოს დაღონებული დაგშორდით გაგრას, რომელიც კიანჭველათა ბუდეს გვაგონებდა, გაგრას გაცხოველებულს, გაგრას, რომელმაც ევროპული ფერი უნდა დასდოს ჩემის სამშობლოს ერთს კუთხეს. განსაკუთრებით მაშინ იმატა ნაღველმა, როცა გაგრას დაშორებით, თვალწინ წარმომიდგა მთელი კონტრასტი გამოღვიძებულ გაგრისა და აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს შორის ამართული, კონტრასტი სიბეჩავის, უმეცრების, უპატრონობისა და უმწეობის აღმნიშვნელი“.²¹

ასეთ რეალისტურ სურათებში გვიჩვენა ქართველმა მოღვაწემ გაგრისა და სავრთოდ აფხაზეთის ცხოვრება. გაგრა არისტოკრატიული, მდიდარი და აფხაზეთის ძირეული მოსახლეობა — ლარიბი და მიუსაფარი.

¹⁹ თ. სახოკია, აფხაზეთი. „მოამბე“, № 4, 1896 წ., გვ. 108.

²⁰ იქვე.

²¹ „ცნობის ფურცელი“, № 2454, 1904 წ.

მსგავსადვე წერდა გაზეთ „ივერიის“ სოხუმელი კორესპონდენტი სამსონ დათეშიძე:

„სწორედ რომ გასაოცარია ამ დალოცვილი ქვეყნის (აფხაზეთის — ო. ქ.) სიღარიბე“.²²

(აფხაზეთის მოსახლეობის სიღარიბისა და ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად თ. სახოკიას მიაჩნდა გაუნათლებლობა, სკოლების ფართო ქსელის უქონლობა, სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაბალი დონე.²³ მას ხშირად მოჰქონდა ცნობები, სტატისტიკური მონაცემები სკოლათა რაოდენობის შეფარდებისა მოსახლეობის რიცხვთან. აფხაზეთში, მიუთითებდა იგი, 1896 წლისათვის არის სულ სხვადასხვა ტიპის 37 სკოლა. ანუ ყოველ 1975 სულზე მოდისო ერთი სკოლა. ამასთან მოსახლეობის ყოველი 60 კაციდან მხოლოდ ერთმა იცისო წერა-კითხვა. მართალია, მთიელთა სკოლამ, სოხუმში დაარსებულმა 1863 წელს, ბევრი კეთილი საქმე მოაგვარა, მაგრამ ვერც ის აუღიოდა საქმეს.)

ანალიზს უკეთებდა რა სახალხო განათლების უბანზე არსებულ ვითარებას, თ. სახოკია სამართლიანად სვამდა ასეთ კითხვას: რატომ არის ჩამორჩენილი აფხაზი კაცის ცხოვრება, სად წავიდა მისი სივებენიერი ყოფა და მდიდარი მეურნეობა, და იქვე იძლეოდა პასუხს:

„რა პატრონი იყოს სადმე, სოხუმში იმერეთიდან უნდა ეზიდებოდნენ ღვინოსა? რომელი სვირის ღვინო გაუწევს შეტოქეობას აქაურს „ამილახუა“ ან „აუასარხვას...“²⁴ რაღა იქნა აფხაზთა საძოვრები, მთი რიცხვმრავალი ჯოგი? მაგრამ კაცი უნდა! სწორედ რომ „კოვზით ზიარება“, მისწრება იქნება აქაურთათვის ისეთი სკოლა, რომელიც შეაჩვევდეს ხალხს გონივრულს მუშაობასა და შრომითა და პატიოსანი ხელობით ფულის მოგებასა“.²⁵

ანალოგიურ აზრს გამოთქვამდნენ სხვა მოღვაწეებიც. მაგალითად, გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სოხუმელი კორესპონდენტი წერდა:

„თვით აფხაზთა შორის ძლიერ მცირეა ისეთ პირთა რიცხვი, რომლებიც ხალხს გამოექომავონ“.²⁶

სოხუმში არსებობდა ქალთა სასწავლებელიც, რომელიც, თ. სახოკიას თქმით, ვერ აუღიოდა თავის მოვალეობას — ადგილობრივი მოსახლეობის ქალიშვილების სწავლა-აღზრდის საქმეს. მართალია, მიუთითებდა თ. სახოკია, „შიგ მოსწავლე ქალები რის ვაივავალხით საყველპურო რუსულს სწავლობდნენ, მაგრამ ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ნმ პროგიმნაზიაში კურსდამთავრებულს აფხაზის ქალს სწავლა გაეგრძელებინოს“.²⁷

ღმას ზედ ერთვოდა ლევიციის მუნჯური მეთოდით სწავლების პრინციპი. ეს მეთოდი გამორიცხავდა ბავშვებისათვის გაუგებარი უცხო სიტყვების ახსნას მშობლიურ ენაზე, რაც ეწინააღმდეგებოდა პედაგოგიკის ელემენტარულ მოთხოვნებს. ამ მახინჯი წესების წინააღმდეგ დაუნ-

²² სამსონ დ. (ს. დათეშიძე), აფხაზეთი, „ივერია“, № 66, 1894 წ.

²³ ხმოხანი (თ. სახოკია), სოხუმი, „ცნობის ფურცელი“, № 938, 1899 წ.

²⁴ ვაზის ჯიშები — ო. ქ.

²⁵ თ. სახოკია, აფხაზეთი (სწავლა-განათლების საქმე). „მოამბე“, № 4, 1896 წ.

გვ. 111.

²⁶ „ცნობის ფურცელი“, № 713, 1898 წ.

²⁷ თ. სახოკია, აფხაზეთი, „მოამბე“, № 4, 1896 წ., გვ. 112.

ლობად ილაშქრებდა თ. სახოკია, მოითხოვდა მათს ამოძიკვას სკოლების პრაქტიკიდან და მეცნიერულ პრინციპებზე აგებული მეთოდების შემოღებას. ლევიცის მეთოდი მას მიაჩნდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დამახინჯებად. იგი სამართლიანად მიუთითებდა:

„აბა რა ხეირი უნდა დაეყაროს ისეთ სკოლას, სადაც მასწავლებელს წართმეული აქვს ის ყოველად ძლიერი იარაღი, რომლითაც უცხო სიტყვა, გინა მცნება დედაენაზე გადათარგმნით უნდა გააგებინოს, შეათვისებინოს ბავშვსა“.²⁸

თ. სახოკია, იბრძოდა რა მოსწავლეების ასეთ დასახიჩრებათა წინააღმდეგ, პრინციპულად სვამდა საკითხს, რომ ნაციონალურ სკოლებში მასწავლებლად ყოფილიყვნენ მშობლიური ენების მცოდნე პედაგოგები, „გაცნობილნი აღდგომობრივს პირობებთან, ხალხის ზნესა და ჩვეულებასთან, ვინაიდან ამას მოითხოვს თვითონ ინტერესი სამრევლო სკოლების წარმატებისა“.²⁹

თ. სახოკიამ გაბედულად აიძალა ხმა „აშორდიზმის“ წინააღმდეგ. აშორდიას „მოძღვრება“ გულისხმობდა მეგრულის გამოყოფას ქართულისაგან და მეგრული „დამწერლობის“ დაარსებას. >

ავანტიურისტ აშორდიას მიერ ფუძელდებული „მიმდინარეობის“ — „აშორდიზმის“ — შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ალ. მიქაბერიძის ხელნაწერ მოგონებაში: „მონოგრაფია თელო სახოკიას შესახებ“, რომელიც საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება. ზედმეტა არ იქნება, ზოგიერთი მასალა აქვე მოვიტანოთ, რადგან მათ უშუალო კავშირი აქვთ ჩვენს თემასთან.

„აშორდიზმმა“ არა მარტო გასული საუკუნის 90-იან და 1900-იან წლებში იჩინა თავი, არამედ ერთგვარი, მართალია, უსუსური, მაგრამ მაინც „გამოვლინება“ ჰპოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც. ამ პერიოდისათვის ჩვენში თავი წამოჰყო ინტელიგენციის ერთმა პატარა ნაციონალისტურმა ჯგუფმა, რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოს ავტონომიის შექმნას, მის გამოყოფას საქართველოს რესპუბლიკიდან, სკოლებში მშობლიურ სასწავლო ენად მეგრულის შემოღებას.

იმ მიზნით, რომ ეს საკითხი ყოველმხრივ განხილულიყო, 1925 წლის 24 სექტემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოეწყო სადისკუსიო კრება, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო..

მოხსენებით გამოვიდა თ. სახოკია. მას თავის ვრცელსა და შინაარსიან სიტყვაში, როგორც გადმოგვცემს დამსწერ ალ. მიქაბერიძე, დაუნდობლად უმხილება „ავტონომისტების“ მოთხოვნა, როგორც ანტი-ხალხური და ანტიეროვნული. თ. სახოკიას უთქვამს:

„მეგრული ენის საკითხი არასოდეს არ წამოჭრილა საქართველოში. იგი დასვა მეფის რეაქციულმა რეჟიმმა. თვითმპყრობელობამ კარგად იგ-

²⁸ თ. სახოკია, აფხაზეთი. „მოამბე“, № 4, 1896 წ., გვ. 113-114.

²⁹ იქვე, გვ. 122.

რძნო საქართველოს გაერთიანების საშიშროება და ამიტომ იგი ნელოფ-
ნურად ცდილობდა გამოეწვია საქართველოს დაყოფა და დანაწილება.
მისი დაქუცმაცება...

ეს საკითხი მწვავედ წამოჭრეს ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის.
ცნობილმა მწრუნეელმა შოვინისტმა იანოვსკიმ და ქუთაისის სახალხო.
სკოლების მეთვალყურემ შავრაზმელმა ლევიციმ. >

ბნელეთის ეს მოციქულები ყოველმხრივ ცდილობდნენ „მუნჯური“
მეთოდის შემოტანით ქართული ენა მთლიანად გაედევნათ, გაეძევინათ.
საქართველოს სკოლებიდან. ამ მიზნის მისაღწევად სამეგრელოს გათიშ-
ვა, მისი ადმინისტრაციული გამოყოფა საქართველოს ორგანიზმისაგან
მხოლოდ პირველი ნაბიჯი იქნებოდა.

სწორედ ამ შავნელი განზრახვით და არა მეგრელებისადმი სიყვა-
რულის გრძობით ქუთაისის სახალხო სკოლების მეთვალყურემ ლევიც-
კიმ „დააჯალა სემინარიის მასწავლებელს პეტროვს და ამ სემინარიის მა-
შინდელ მოწაფეს აფერისტ აშორდიას მეგრული ანბანის შედგენა რუ-
სული ასოებით“.³⁰

ლევიციასა და აშორდიას მხარს უჭერდა ანაფორაში გახვეული შავ-
რაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი, რომელიც იმ ხანებში სასულიერო
სკოლების მთავარ მეთვალყურედ იყო მოწვეული.

დეკანოზი ვოსტორგოვი ამტკიცებდა, რომ მეგრელებს არავითარი
ნათესაობა არ აქვთ ქართველებთან, მეგრელები ცალკე ერს შეადგენენ.
მას კი ბანი მისცა სოხუმის ეპისკოპოსმა არსენიმ.

მთელი სამეგრელო, განაგრძობდა თ. სახოკია, — როგორც ერთი.
კაცი, ფეხზე დადგა ასეთი უხამსობის წინააღმდეგ.

ალ. მიქაბერიძის ცნობით, თ. სახოკიას სიტყვას დამსწრეთა დიდი.
და ერთსულოვანი აღტაცება გამოუწვევია. ამ კრების მონაწილეებს, რო-
მელთა აბსოლუტურ უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ, ერთხმად.
უარუყვიათ ავტონომიის მოთხოვნა.

ასეთი სახალხო ზიზღი დაიმსახურა და საკადრისი პასუხი მიიღო
„აშორდიზმმა“. სხვათა შორის „აშორდიზმს“ წარმოშობისთანავე ცეცხ-
ლოვანი კრიტიკა შეაგება პროგრესულმა ინტელიგენციამ. ერთ-ერთი კო-
რესპონდენტი გახ. „ივერიაში“ აი, რას წერდა:

„ამ უკუღმართობის (მეგრული „მწერლობის“ შემოტანის ცდა —
ო. ჭ.) გამო, ეპეი არა გვაქვს, ავად მოიხსენიებს მომავალი თაობა იმ ვაჟ-
ბატონებს, რომლების ხელმძღვანელობით იქნა მოგონილი ეს მეგრული.
ასოები, რომლის წყალობით ბავშვს არა თუ არ გაეხსენება ნიქი და გონე-
ბა, არამედ უფრო გზა და კვალს დაუბნევს და დააჩუქნებს... „ღმერ-
თო, მიუტევე მათ, ვინაიდან არა იციან, რასა იქმნან“.³¹

ასეთ რთულ ვითარებაში უხდებოდა მოღვაწეობა თ. სახოკიას და
საერთოდ ქართული პროგრესული ინტელიგენციის წარმოქმადგენლებს
გასული საუკუნის ბოლოსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

³⁰ საქ. სსრ სახ. ლტმუხუმი, ს-19868.

³¹ ვ. მახულოია, მეგრულ კილოზე წერა-კითხვის შემოღების გამო. „ივერია“, № 26,
1891 წ.

ტ. სახოკია და მისი თანამოაზრეები სოხუმის ოლქის მმართველებმა „მონათლეს“ „ქართულ პარტიად“ და ისინი დაუპირისპირეს აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას — აფხაზებს.>

ამით სურდათ მოძმე ხალხების საუკეთესო შვილების ერთმანეთზე გადაკიდება, მათ შორის შუღლის ჩამოგდება, რომ უფრო იოლად მიეღწიათ მიზნისათვის.

თ. სახოკიას, ივ. გეგიას, გ. კანდელაკის, ი. ბურჭულაძის, ფ. დავითაიას, ს. ნორაკიძის გარდა ეხნადარმერია ამ ჯგუფს აკუთვნებდა: სოხუმის ტაძრის დეკანოზს დავით ათანასეს ძე მაჭავარიანს, მღვდელს სოფელ ბიკოლაევკიდან — აქვსენტი სიმონის ძე სახოკიას, ოჩამჩირის მკვიდრთ: გ. კვირაიას, ბ. აბაშიძეს. ბლადოჩინ კერესელიძეს, ქ. მახარაძეს, ე. ჟორდანიას, პროფიზორ კაციცისკის.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილე 1897 წლის 15 სექტემბრის რაპორტით (№ 12) ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს შემდეგს მოახსენებდა:

„Для полного слияния абхазцев с населением Империи, необходимо в церквах Абхазии иметь образованных священников, знающих русский язык, а благочинных — непременно русских; во всех школах как Министерства народного проевешения, так и в церковно-приходских, иметь русских учителей и, наконец, чтобы чиновники всех ведомств были не грузинской национальности“.³²

მეფის მთავრობას ეშინოდა, რომ ამ გზაზე მისთვის დიდ წინაღმდეგობას წარმოადგენდნენ ქართველები და ქართული ენა. ამას მოხელეები არც მალავდნენ თავიანთ მოხსენებით ბარათებში. იქვე დოკუმენტში ვკითხულობთ: „Грузинское движение в Сухумском округе служит тормозом к обрусению края“.³³

სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად თ. სახოკიაც გახდა ამ დევნის მსხვერპლი. იგი, როგორც საშიში პიროვნება, გადაასახლეს. ციმბირში, მაგრამ მალე დააღწია თავი პატიმრობას და ევროპას შეაფარა თავი.

ტ. სახოკიას ეკუთვნის ვრცელი მიმოხილვა აფხაზეთის ისტორიისა გასული საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ნარკვევი ისტამბულოდა 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ავტორს აქ მოტანილი აქვს ბევრი საინტერესო მასალა და იძლევა მის საკმაოდ ობიექტურ ანალიზს.>

თ. სახოკიას თარგმანთა შორის უნდა დავასახელოთ მის მიერ რუსულიდან ქართულად თარგმნილი დ. შორდოვცევის „ამირანის შვილი“ („Прометеево потомство“) ისტორიული რომანი აფხაზეთის ცხოვრებიდან, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნ. „მოამბეში“ 1897-1898 წწ. შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნადაც. ამ წიგნით თ. სახოკიამ ქართველ მკითხველს გააცნო აფხაზი ხალხის ისტორიის ერთი მონაკვეთი.

განუზომელია თ. სახოკიას წვლილი ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. მაღლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს სახელოვანი წინაპრის ამავს.

32 იბ. ს. გ. შ. № 7461, გვ. 12.

33 იქვე, გვ. 13.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დამდეგში აფხაზეთის ინტელიგენციის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო პეტრე გიორგის ძე ჭარაია. განუზომელია მისი ამაგი და თავდადება სახალხო განათლების, ქართული და აფხაზური ენების შესწავლისა და დაცვის, ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში.

თავისი შეხედულებებით, მსოფლმხედველობით, ეროვნული და ინტერნაციონალური მრწამსით პ. ჭარაია ეპოქის მოწინავე მოღვაწეების დონეზე იდგა. „იგი ნამდვილი მემკვიდრე იყო თავისი წინაპრებისა — ქართველი სამოციანელებისა“.³⁴

პ. ჭარაიას შეგნებული ცხოვრების მანძილზე არ დარჩენილა ჩვენი აზროვნებისა და კულტურის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის, სახალხო განათლებისა და მშობლიური ენის არც ერთი უბანი, რომ ამ სასიქადულო მამულიშვილს, მაშინ პროვინციაში მიგდებული სოფლის მასწავლებელს, თავისი დამაჯერებელი სიტყვა არ ეთქვა, თავისი შეხედულება არ წამოეჭრას.

პეტრე ჭარაიას ყოველი სტატიის გამოჩენა წარმოადგენდა განათლებული, ერუდირებული, სინამდვილის მოვლენებს ღრმად ჩახედული პედაგოგისა და მეცნიერის ინტელექტის დემონსტრაციას. პ. ჭარაიას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევრის სოლ. ცაიშვილის მართებული მითითებით, „ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჩვენს მწერლობაში, ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ პაექრობის შემდეგ, ლიტერატურული ენის ნორმების ხელახლა გადასინჯვის საკითხის დასმის საჭიროება პირველად პ. ჭარაიას ეკუთვნის“.³⁵

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პ. ჭარაიას ღვაწლი ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის სფეროში. აფხაზი ხალხის ყოფა, მისი ცხოვრების თავისებურება, ეთნოგრაფია, კულტურის დონე, სახალხო განათლება და ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ-მეგობრული და ეთნიკური ურთიერთდამოკიდებულება, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და მასთან დაკავშირებული პრობლემები — აი, ის ძირითადი, საკვანძო საკითხები, რომლებსაც ეხებოდა პ. ჭარაიას ინტელექტი და პრაქტიკული მოღვაწეობა. ამ უბანზე მის შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული და პრაქტიკული ინტერესი.

პ. ჭარაია არის ერთ-ერთი პირველი ქართველი, რომელმაც ქართული და აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული და ენობრივი ურთიერთობის მეცნიერულ შესწავლას საფუძვლიანად მოჰყიდა ხელი. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს მისი მდიდარი პუბლიცისტური და მეცნიერული მემკვიდრეობა და განსაკუთრებით კი შრომები: „აფხაზეთი და აფხაზნი“ (1888 წ.) და „Об отношении абхазского языка к яфетическим“ (1912 წ.).

³⁴ სოლ. ცაიშვილი, პეტრე ჭარაია, სოხუმი, 1953 წ., გვ. 3.

³⁵ სოლ. ცაიშვილი, პეტრე ჭარაია, ობ. კრებულში: „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, თბ., ტ. I, 1953 წ., გვ. 258-259.

მან თავის შრომებში ნათელყო, რომ აფხაზური ენა გენეტიკური თვალსაზრისით ნათესაურ კავშირშია ქართველურ ენებთან.³⁶

აკად. ნ. მარის აზრით, ამ უბანზე პ. ჭარაიას ზემოდასახელებული შრომები გ. როზენისა და პ. უსლარის გამოკვლევებთან შედარებით საკითხის ახალი გულდასმითი შესწავლის ცდას წარმოადგენდა.³⁷

დიდია პ. ჭარაიას დამსახურება ლექსიკოგრაფიის დარგში. მარტო მისი ქართულ-მეგრული შედარებითი ლექსიკონი 4 ტომისაგან შედგება და ხელნაწერის სახით დაცულია სახალხო განათლების მუზეუმში.

პ. ჭარაიამ მთელი თავისი მეგნებული ცხოვრება აფხაზეთში, სამურზაყანოში გაატარა. თავისი ნათელი ინტელექტის გამო იგი ბევრჯერ მიუწვევიათ სამუშაოდ ქუთაისში, თბილისში, როგორც ნიჭიერი პედაგოგი და მახვილი კალმის მქონე ყურნალისტი,³⁸ მაგრამ არ მიატოვა მშობლიური კუთხე. მას სამართლიანად მიაჩნდა, რომ აქ მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო მამულისათვის. გლეხკაცისათვის პეტრე იყო „არა მარტო მასწავლებელი მისი შვილებისა, არამედ: მრჩეველი, დამცველი, ყოველგვარი გაქირვების დროს დამხმარე და მისი უნუგეშო მდგომარეობისაგან გამოწყვანი“.³⁹

პ. ჭარაია არის პირველი ქართველი ეთნოგრაფი-ფოლკლორისტი, რომელმაც შეკრიბა აფხაზური ანდაზები, მიუსადაგა მათ ქართული ექვივალენტები და 1888 წ. „ივერიაში“ (№№ 198, 203, 206, 208) გამოაქვეყნა ქართული ტრანსკრიფციით აფხაზურ და ქართულ ენებზე. ეს იყო აფხაზური ანდაზების აფხაზურ და ქართულ ენებზე პუბლიკაციის პირველი შემთხვევა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ აფხაზურ ანდაზას, რომლებიც შევიდა ბარტოლომეის მიერ 1865 წელს გამოცემულ ანბანში. ყოველ შემთხვევაში პ. ჭარაიას პუბლიკაცია ერთ-ერთი პირველი იყო ქართველი მკითხველისათვის. პ. ჭარაიამ გააცნო ქართველ მკითხველს მოძვე აფხაზი ხალხის ნააზრევი, მისი სიბრძნე და მოსწრებული სიტყვა.

ამ თავის პუბლიკაციაში იგი მიუთითებდა:

„ზოგიერთ ქვემო მოყვანილ ანდაზათაგანი (თუმცა ჩვენ ცალკე შევკრიბეთ ესენიც) დაბეჭდილია ბარტოლომეის რედაქციით გამოსულ აფხაზურ ანბანში და დანარჩენები პირველად იბეჭდება.“⁴⁰

პ. ჭარაიას ეკუთვნის უამრავი წერილი, ნარკვევი, კორესპონდენცია, მიმოხილვა, რეცენზია, მიმოფანტული XIX და XX საუკუნის მიჯნის ქართულ და რუსულ პერიოდულ ორგანოებში. პ. ჭარაია შემართებული, უდრეკი, უშიშარი მოქალაქე და კალმოსანი იყო. იგი არ ერიდებოდა მაღალი რანგის ჩინების მქონე პირთა საჯარო მხილებასაც.⁴¹ ის განსაკუთრებით მაშინ ყოფილა შეუპოვარი, როდესაც საკითხი ეხებოდა მშობლიურ ენას. „ენის დამახინჯება — წერდა იგი, — იგივე დედის ძუძუს გამობაა.“⁴² აქ პეტრე დაუნდობელი ყოფილა.

³⁶ იხ. ნ. მარის წინასიტყვაობა პ. ჭარაიას წიგნისა „Об отношении афхазского языка к родственному“, С.-П., 1912 г., გვ. 5.

³⁷ იქვე.

³⁸ შ. ინალი-იფა, მოგონება პ. ჭარაიაზე (ხელნაწერი, რუსულ ენაზე). ს. გ. შ., პ. ჭარაიას თონდი, დოკ. № 2969, გვ. 7.

³⁹ სოლ. ციხვილი, პეტრე ჭარაია, სოხუმი, 1953 წ., გვ. 20.

⁴⁰ პ. ვიორგაძე (პ. ჭარაია), აფხაზური ანდაზები, „ივერია“, № 198, 1888 წ.

⁴¹ ა. ხვიჩავა, მოგონებები პ. ჭარაიაზე (ხელნაწერი) ს. გ. შ. დოკ. № 2598, გვ. 18.

⁴² პ. ჭარაია, ენის მკვეცილებს. „ივერია“, № 139, 1894 წ.

თანამედროვეთა ცნობით, პ. ჯარაია ყოფილა გულისხმიერი მოქალაქე, კეთილი მეზობელი, ერთგული მეგობარი და სანდო კაცი. პეტრე და მისი მამა გიორგი მღვდელი ხალხში დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ. ისინი ყოველთვის გვერდში ედგნენ მეზობლებსა და ახლობლებს განუჩრევლად ეროვნებისა. პ. ჯარაიას ახლო მეგობარს, ცნობილ საბალხო მასწავლებელს ა. ხეინგიას, თავის მოგონებებში ასეთი დეტალი აქვს მოტანილი:

„პეტრეს ცოლად არასოდეს არ შეურთავს. მის სახლში ცხოვრობდა მასთან გაზრდილი ძმა ძიკი ინალ-ივა ცოლშვილით. ეს ძიკი ინალ-ივა: პეტრეს მამამ, მღვდელმა გიორგი ჯარაიამ, აიყვანა უპატრონოდ დარჩენილი ობოლი ბავშვი და თავის სახლში გაზარდა საკუთარ შვილებთან ძიკიმ ცოლად შეირთო სოფ. კორცხელის (ზუგდიდის რაიონი) მცხოვრებ გუდულია თორდიას ასული მინადორა, რომელთაც დარჩათ შვილები იპოლიტე, პუწკუ და შალვა. პეტრე ძიკის ეხმარებოდა შვილების გამოზრდაში.“⁴³

ეს შალვა ინალ-ივა დღეს ცნობილი აფხაზი სწავლული, პროფესორი შალვა ინალ-ივაა.

პ. ჯარაიას წერილები და სტატიები ხასიათდება ასპაზავი მოვლენების საფუძვლიანი ცოდნით, საკითხის დასმის აქტუალობით, პირდაპირობითა და სიმართლის ძიებით.

ბუნებით კეთილი და სამართლიანი პეტრე ვერ იტანდა სიყალბეს: და მბებზღრობას, რაც, სამწუხაროდ, ქვეყნის მართვის მეთოდად იყო მაშინ დამკვიდრებული. ქეშმარიტებისათვის იგი ყოველთვის თავდადებული ყოფილა.

1894 წელს სოხუმის ოლქში ჩამოვიდა რუსეთის იმპერიის მეურნეობის მინისტრი ერმილოვი და დაათვალიერა ზოგიერთი ახალდასახლებული რუსული სოფელი, რომლის ბინადრებს მისთვის ცილისმწამებლურად შეუჩივლიათ: „აფხაზები გვაწუხებენ ქურდობითო“

მინისტრის წინაშე აფხაზი ხალხის დაბეზღობას სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად გამოეხმაურა პ. ჯარაიაც. იგი აღშფოთებით წერდა იმის გამო, რომ „ვილაც-ვილაცეები, ვიგინდარა თავხედები მთელს აფხაზ ხალხს აბეზღებდნენ მთავრობის წინაშე და მას უწოდებდნენ ქურდსა და ბაცაცას“. ქართველი მოღვაწე საშინლად აღაშფოთა მოძმე აფხაზი ხალხის მიმართ ასეთმა ბრალდებამ. მან მბებზღრებს პრესის ფურცლებზე საკადრისი პასუხი გასცა:

„ამ გარემოებამ უმისოდაც შენიშნულს აფხაზებს კიდევ უფრო გაუფუჭა რეპუტაცია მთავრობის თვალში. ჩვენ არ ვამართლებთ ყველას აფხაზს და არ ვიტყვი, რომ იმათში ქურდობა არ იყოს გავრცელებული არც იმას ვახსენებთ, რომ მგელს მგლობა ერქვა და ტურამ ქვეყანა დააქცია. ვიტყვი მხოლოდ, რომ მთელის ერის (თუ ვინმემ ეს იკადრა) ქურდებად დასახვა უსამართლოდ და სიმართლეს მოკლებულად მიგვაჩნია რასაკვირველია, აფხაზებშიც არიან ქურდები, როგორც ყოველ ხალხში მაგრამ უმრავლესობა მაინც ქურდობის წინააღმდეგია და სულითა და გულით მოწადინებულია, რომ იგი მოისპოს როგორმე“.⁴⁴

⁴³ ა. ხეინგია, მოგონებები პ. ჯარაიაზე (ხელნაწერი), ს. გ. მ. დოკ. № 2598, გვ. 6-44 ჭ. (პ. ჯარაია), აბუჯა, „ივერია“, № 253, 1894 წ.

3. ქარაიას თავდადებულ ბრძოლაზე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უბანზე აშკარად მეტყველებს მეორე ეპიზოდიც მისი ცხოვრებიდან, სადაც სასტიკად მხილებულია აფხაზეთის ადგილობრივი მთავრობა, მისი მოხელეების მამუზღრობა ქართველებისა და აფხაზების მიმართ. კერძოდ, იგი სტატიაში შეეხო საკითხს, მეფის მოხელეები თუ როგორ სდევნიდნენ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს აფხაზეთში დეკანოზ დავით მაჭავარიანს იმის გამო, რომ იგი ქართველი იყო და ქართულ-აფხაზური მეგობრული და კულტურული ურთიერთობის დიდი მოამაგე.

„აი, ამ კაცსაც „დანოსები“ დაუწერეს, მოხუცია, მსახურობა არ შეუძლიაო. ეს იმის შიშით, რომ იგი მღვდელმთავრის ხარისხზე არ აეყვანათ და სოხუმის კათედრა არ ჩაებარებინათ“⁴⁵ — მიუთითებდა პ. ქარაია.

თვითმპყრობელობის მსახურებს — სასულიერო და საერო ჩინოვნიკებს ეს ქართველი მოღვაწე მეფის წინაშე ასე დაუბუზღებიათ:

„დეკანოზი მაჭავარიანი იმდენად მოხუცია, რომ წირვის დროს ფეხზე დგომა აღარ შეუძლიაო...“

ახლა კი სარევიზიოდ გზავნიან და რამდენი ასი ვერსი უნდა გაიაროს ცხენით და ზოგან ფეხითაც... ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“⁴⁶.

ერთი შეხედვით ეს პატარა ეპიზოდი, მაგრამ იგი ბევრის მეტყველია.

3. ქარაია ყურადღების გარეშე არ ტოვებდა არც ერთ პატარა დეტალს, რომელსაც რაიმე ეროვნული ან საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ყოველთვის ობიექტურად ასახავდა მოვლენებს და, როდესაც საჭიროება მოითხოვდა, დღის სინათლეზე გამოჰქონდა ისინი. ეს ჰუმანიტი მოღვაწე საგნებს მუდამ თავისი სახელით აღნიშნავდა. მისთვის მრუდე არასოდეს ყოფილა სწორი. მას არასოდეს უქია საძაგებელი და პირიქით — უძაგებია სადიდებელი. პეტრე სამართლიან კაცად იყო ცნობილი და ამიტომ მისი კიდევაც ერიდებოდათ და კიდევაც ეშინოდათ. ზემომოტანილ დეტალებშიც ეს კარგად ჩანს. სტატიაში მხილებულია საერთოდ შოვინისტური მსოფლმხედველობა და, კერძოდ, კონკრეტული ფაქტი, რომელიც ამ საერთოს ნაწილს წარმოადგენდა. ამას კი იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეროვნული, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისითაც.

3. ქარაია ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში. იგი იყო მიმდევარი და განმახორციელებელი იმ ეროვნული პროგრამისა, რომელიც სამოციანელებმა ჩამოაყალიბეს და რომელიც განაპირობებდა მთელ ქართულ აზროვნებას გასული საუკუნის მეორე ნახევარში. პ. ქარაიას ეროვნული მრწამსი აგებულია ნათელ პრინციპებზე. მისთვის მიუღებელი იყო ნაციონალიზმის, ეროვნული შეზღუდულობის ქადაგება. ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, ერთა სოლიდარობისა და თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და ყურადღების პროპაგანდისტად გვევლინება იგი მთელი თავისი

45 იქვე.

46 იქვე.

შეგნებული ცხოვრების მანძილზე. განსაკუთრებით აღნიშნავდა იგი ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობის, თანამშრომლობისა და თანაგრძნობის პრინციპებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა.⁴⁷

იგი მომხრეა ამ ორი ხალხის თანაცხოვრების, თანაარსებობის განმტკიცებისა და იმ პრინციპით, რომ ორივე ერმა შეინარჩუნოს თავისი მეობა, ენა, კულტურა და ძმური კავშირით ერთმანეთს შეერთებულნი წავიდნენ წინ.⁴⁸

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ პეტრე სულაც არ იყო წინააღმდეგი აფხაზეთის თავისუფალ მიწებზე ქართველების (მეგრელების) დასახლებისა, თუ ამ მიწების ათვისება არაფხაზის მიერ აუცილებელი იყო.

„აფხაზეთში მეგრელების ჩასახლებას ხელს ის გარემოება უწყობს, — წერდა იგი, — რომ ესენი, როგორც ახლო მეზობელნი, ზნე-ჩვეულებით, ყოფა-ცხოვრებით ძლიერ გვანან აფხაზებს და მათ შორის კავშირი და მისვლა-მოსვლა, ცოტათი თუ ბევრად, ყოველთვის არსებობდა“.⁴⁹

ამ პოზიციებიდან პ. ჭარაიამ სასტიკად გააკრიტიკა და ამხილა გ. ა. რბინსკის წიგნი „Сухумский округ. Абхазия в сельско-хозяйственном и бытовом отношении“, რომელშიც თვალთმაქცი ავტორი „ესარჩლებოდა“ აფხაზებს და უსაფუძვლოდ და უსინდისოდ აძაგებდა ქართველებს (მეგრელებს). იგი მონდომებით ცდილობდა ამ ისტორიულ ძმებს შორის ჩამოეგდო შუღლი და მტრობა. პ. ჭარაიამ თავის სტატიაში გარკვევით მიუთითა, რომ ამ არამყიფე მოამბეს ისევე აინტერესებდა აფხაზების ბედ-იღბალი, როგორც ქართველებისაო.⁵⁰

ქართული და აფხაზური ენების მეცნიერული შესწავლას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას პ. ჭარაიამ მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა „Об отношении абхазского языка к яфетическим“, რომელიც გამოსცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1912 წელს პეტერბურგში. ამ შრომის შესავალში ავტორმა თავისი მიზანი ასე ჩამოაყალიბა:

„Цель настоящей работы указать отношение абхазского языка к яфетической ветви языков. Некоторое родство абхазского языка с грузинским и его собратьями предчувствовалось уже бар. Усларом. Еще решительнее сближал абхазский язык с грузинским Г. Розен.“

На основании того небольшого материала, который мы представляем на благоусмотрение ученых, интересующихся наукою об языках (яфетической ветви, до наших дней) сохранившихся только на Кавказе, мы склонны утверждать, что предположение и предчувствие Розена и Услара как будто оправдаются: абхазский язык в генетическом отношении проявляет признаки родства с яфетическим“.⁵¹

47 პ. ჭარაია, მიწათმფლობელობა აფხაზეთში. „კვალი“, № 11, 1897 წ.

48 იქვე.

49 „კვალი“, № 14, 1897 წ.

50 იქვე.

51 П. Чарая. Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-П. 1912 г., гл. 4-5.

პ. ჭარაია ერთ-ერთი პირველი ქართველია, რომელმაც აფხაზურ-ქართული ურთიერთობა საერთოდ და, კერძოდ, ამ ენების თავისებურებათა (შეპირისპირებით) შესწავლა მეცნიერული კვლევა-ძიების საგნად გაიხადა.

ზემოაღნიშნული შრომით მან ბევრ საინტერესო საკითხს მოჰფინა შუქი. ამიტომ იყო, რომ ნ. მარი ამ ნარკვევს მალალ შეფასებას აძლევდა. დიდი მეცნიერი ხშირად ეყრდნობოდა პ. ჭარაიას მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ხოლო თვით პეტრეს „самородный лингвист“ — უწოდებდა.⁵² ნ. მარის განსაზღვრით, პ. უსლარი და პ. ჭარაია იყვნენ „наиболее внимательные и авторитетные энтузиасты-исследователи“.⁵³

პ. ჭარაია მთელი ცხოვრების მანძილზე დაინტერესებული იყო ლინგვისტიკით. თვალყურს ადევნებდა ენათმეცნიერების განვითარების იმდროინდელ დონეს. იგი ამ დარგში ყოველწეუ სიახლის კურსში იყო. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი ისიც არის, რომ მან 1889 წელს გერმანულიდან თარგმნა და ცალკე წიგნად გამოსცა ავგუსტ შლაიხერის წიგნი „ლარინის თეორია და ენათმეცნიერება“.

პ. ჭარაიას მოღვაწეობა დიდი ეროვნული შინაარსით იყო განპირობებული. იგი მუდამ ფიზიკად იღვა ჩაგრულ ხალხთა ეროვნული უფლებების სადარაჯოზე. მისი ყოველი გამოსვლა, სიტყვიერი იქნებოდა იგი თუ ბეჭდური, პრინციპული და მეცნიერულად დასაბუთებული იყო.

მას განსაკუთრებით აღაშფოთებდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის უხეში გამოვლინებები საქართველოში. ცნობილია, მეფის მოხელეები სასტიკად დევნიდნენ არარუს ხალხთა ენასა და კულტურას, ერთმანეთს უსისიანებდნენ პატარა ერებს, მონათესავე ტომებს, თესავდნენ მათ შორის შუღლსა და მტრობას და ამით ცდილობდნენ თავიანთი ბნელი მიზნების განხორციელებას.

პ. ჭარაია ამ უბანზეც მედგრად იღვა. სამართლიანად მიუთითებს სოლ. ცაიშვილი:

„იმ დროს, როცა არამკითხველი მოამბეგენი და „განმანათლებლები“ ცდილობდნენ „მეცნიერულად“ დაემტკიცებინათ, რომ მეგრული ენა სულსხვა, დამოუკიდებელი ენაა, და მეგრელებიც სხვა ეროვნებისა არიანო, როცა ილია ჭავჭავაძეს სამეგრელოში მოგზაურობის დროს დასჭირდა მოსწრებულად ეთქვა: „სამეგრელოში მოვედი და საქართველო ვიპოვეო“, როცა იანოვსკი-ლევიცი-ვოსტორგოვედი და მათი ზეგარდმო შთაგონებული „მეცნიერი“ ალ. გრენი და სხვა შავრაზმელთა ბანაკის მებუკეები თავიანთს პროვოკაციულს პრესაში (გაზეთი „Россия и Азия“), საქართველოს ისტორიასა და მისი მეცნიერულად „მოწესრიგების“ სა-

პ. ჭარაიასთან იაფეტრუი ადექვატურია ქართველურის. თვით პ. ჭარაიას თავდაპირველად ქართველური ჰქონია, ხოლო იგი იაფეტრუით შეუცვლია რედაქტორს ნ. მარს. პ. ჭარაიას შრომის წინასიტყვაობაში, რომელიც ნ. მარს ეკუთვნის, ვკითხულობთ:

„О том, что изменено без указания в тексте, читатель предупреждается здесь: это—прежде всего замена устаревших выражений „грузинский вообще“ или „иверский“ или „картвельский“ термином „яфетический“ (გვ. VI).

როგორც მკითხველი ხედავს, აქ ყველაფერი ნათელია. მარმა პ. ჭარაიას შრომაში თავის ახალი ენათმეცნიერული ტერმინოლოგია შეიტანა.

⁵² Н. Я. Марр. О языке и истории абхазов, М.-Л., 1938 г., გვ. 130

⁵³ იქვე.

კითხვებს „აშუქებდნენ“, როცა მოწინავე ქართველობას დასამტკიცებელი გაუხდა მეგრეთა ქართველობა, პეტრე ჭარაიამ ამ უთანასწორო ბრძოლაში თავისი წვლილი შეიტანა არა მარტო როგორც მასწავლებელმა, პრაქტიკულმა მუშაკმა და მეფის მოხელეების წინააღმდეგ გაბედულმა მებრძოლმა, არამედ როგორც მწერალმა და მეცნიერმა-მკვლევარმა, ქართულ-მეგრული ენების ნათესაურ-ურთიერთობის ღრმად მკოდნე ერუდიტმა“.⁵⁴

საგანგებო ყურადღების ღირსია პ. ჭარაიას ვრცელი ეთნოგრაფიული გამოკვლევა „აფხაზეთი და აფხაზნი“, რომელიც იბეჭდებოდა 1888 წლის „ივერიაში“ ზედიზედ (№№ 165, 167, 169, 175, 176, 179, 180, 183, 184, 185, 186). მოცულობით იგი დაახლოებით 30 საგაზეთო ფელეტონს შეადგენს.

იმდროისათვის ეს იყო უდიდესი მეცნიერული გამოკვლევა აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართველთაგან აფხაზური ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლის დამწყები სწორედ პ. ჭარაიაა. „ის წინა კაცია, რომელიც შემდგომ წამოსულთათვის გზად და ხილად იყო მოვლენილი“.⁵⁵

პ. ჭარაიას ზემოაღნიშნულ შრომას ჰქონდა როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. იგი აცნობდა ქართველ მკითხველს მოძმე აფხაზი ხალხის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებას, მის ყოფას, ადათ-წესებს, ჩვეულებებს. ეს დიდი პასუხისმგებლობა იგრძნობა გამოკვლევის დასაწყისიდანვე. აქ ჭერ განმარტებულია თვით მეცნიერება ეთნოგრაფიის არსი, რითაც ავტორმა ერთგვარად მოამზადა თავისი მკითხველი, თუ რა საკითხებზე ექნება მასთან საუბარი. „ეთნოგრაფია ის რთული მეცნიერებაა, — მიუთითებდა იგი, — რომელიც კაცს თავის თავს გააცნობს, თავის თავს ასწავლის, დღევანდელ ყოფას თვალწინ დაუყენებს, წარსულს ცხოვრებაში ჩაახედებს, შეატყობინებს რა ხორცისა და სულისაა, რა ენა აქვს, ანუ რა ზნე და ჩვეულება კერძოდ ერთს, თუ ყველა იმის ნათესავეთა კრებულს“.⁵⁶

აი, ამ სწორი და მართებული პოზიციიდან მიუღდა იგი აფხაზი ხალხის წარსულსა და აწმყოს; აღნიშნა ის კულტურულ-მეგობრული და სულიერი ურთიერთობა, რაც ქართველებსა და აფხაზებს საუკუნეების მანძილზე ერთმანეთთან აკავშირებდა, რაც აღუღაბებდა მათს ძმობა-მეგობრობას.

პ. ჭარაიას აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიიდან თითქმის არ გამორჩენია საკითხი, მისი მსჯელობა, ფაქტების ანალიზი საღი და ობიექტურია. მთავარი ის არის, რომ პეტრემ ჩინებულად იცოდა ფრანგული, გერმანული, რუსული, აფხაზური, ქართული და მეგრული ენები.⁵⁷ ეს გარემოება დიდად უწყობდა ხელს კვლევით მუშაობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პ. ჭარაიას ეს ვრცელი ნარკვევი იყო პირველი ცდა აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლისა. აქი თვით პეტრეც მიუთითებდა:

54 სოლ. ცაიშვილი, პეტრე ჭარაია (მონოგრაფია), სოხუმი, 1953 წ., გვ. 57.

55 იქვე, გვ. 40.

56 „ივერია“, № 165, 1888 წ.

57 შ. ინალ-იფა, მოგონება პ. ჭარაიაზე (ხელნაწერი, რუსულ ენაზე). ს. გ. მ., პ. ჭარაიას ფონდი, დოკ. № 2969, გვ. 4.

„ამ წერილების შედგენის დროს ჩვენ ხელთ არა გვექონია არც ერთი წიგნი, დაწერილი აფხაზთა შესახებ. ჩვენი ერთადერთი წიგნი იყო თვით ნამდვილი ცხოვრება ამ ხალხისა“.⁵⁸

ამდენად, ამ გამოკვლევას პირველწყაროს ღირებულებაც გააჩნია.

პ. ჭარაია არის მასალების უშუალოდ ცოცხალი სინამდვილიდან შემკრებიც და მათი გამაანალიზებელიც. ნარკვევების ავტორის ბევრი მოსაზრება-შეხედულება დღესაც საყურადღებოა.

რადგან წერილები მთლიანად ეხება აფხაზურ ეთნოგრაფიას, ბუნებრივია, პირველ რიგში ავტორი იძლევა აფხაზი ხალხის ეთნიკურ დახასიათებას. დაინტერესებულმა მკითხველმა კარგად იცის, რომ არა ერთ და ორ ქართველ მეცნიერს და მოღვაწეს მოუტია აფხაზი კაცის დახასიათება, მაგალითისათვის ვახუშტი ბაგრატიონი იკმარებდა. პ. ჭარაიაც იძლევა აფხაზის ღიღებულ ეთნიკურ სახეს. აი, მისი სიტყვები:

„აფხაზი შუათანა ტანისა, გამხდარ-გამხდარი, შავგვრემანი, შავთმაწარბა და შავ-თვალა. თვალთა მეტყველება ცოტა ველური და ნაღვლიანი აქვს... ნიჭითა და სილამაზით საკმაოდ მდიდარია ბუნებითად.“

აფხაზი დაუდგრომელია, ცქვიტი, სწრაფი, ფიცრი, მედიდურის ხასიათისა და თავმომწონე. მკირედი რამ იმისთანა, რაც უპატიურობად მიაჩნია საკმარისია ანთოს იმისი ბუნება, უამისოდაც ფიცხი და მხურვალე. იგი ახოვანი, გამბედავი, უშიშარი და ქურციკივით მარდი ვაჟკაცია... აფხაზს არავის წინ არ მოუდრეკენია თავი და არავისთვის არ შეუქცევია ზურგი ძველად“.⁵⁹

ეს არის ღიღებული დახასიათება აფხაზი კაცისა. მართლაც, ვინც ახლოს იცნობს აფხაზ ხალხს, მის ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებს, ვისაც მასთან პური გაუტეხია, უმეგობრია, ყოფილა ჭირსა და ლხინში, მისთვის დღესავით ნათელია პ. ჭარაიას სიტყვები.

აფხაზის დაახლოებით ანალოგიური ანტროპოლოგიური დახასიათება დაგვიტოვეს ნ. ჭანაშიამ, მ. ჭანაშვილმა, თ. ხუსკივაძემ, ნ. თავდგირიძემ და თვით აფხაზი ხალხის ღვიძლმა შვილმა პოეტმა გ. შარვაშიძემ.

პ. ჭარაია საგანგებოდ ჩერდება აფხაზი ხალხის ერთ ეთნიკურ თავისებურებაზე — გონებამახვილობასა და მჭევრმეტყველებაზე. ისე როგორც ფშავ-ხევსურეთში საფენბოზე (სალაყბოზე, ხალხის შესაყრებ ადგილზე) იწრთობოდა მთიელთა მახვილგონიერება და მჭევრმეტყველება. მკაფიო და ნათელი აზროვნება (ვის არ ახსოვს ვაჟა-ფშაველას სიტყვები: „ალულა ქეთელაური კაცია დავლათიანი, საფენბოს თავზე დაჭდების. სიტყვა მაუდის გზიანი“). ასეთი „საფენბოები“ აფხაზეთშიც იყო. ეს გახლდათ „სასოფლო ყრილობები“, სადაც იწრთობოდა აფხაზური ენა. მჭევრმეტყველება, სადაც ხატოვან, მოსწრებულ გამოოსვლას ღიღი ვაჟკაცობის ღირებულება ჰქონდა. „აფხაზს არ შეუძლია არ გავიდეს სასოფლოზე, — წერდა პ. ჭარაია, — სადაც კაცი კაცსა ხვდება ახალი ამბავის შესატყობად“. ყრმობიდანვე ეუფლებოდა აფხაზი კაცი ზეპირსიტყვიერი გამოსვლის კულტურას, ამიტომ აფხაზი კაცი „მშვენიერი მოლაპარაკე უნდა იყოს... მისი სიტყვა მჭევრმეტყველურია“. ყოველივე ამის შემდეგ პ. ჭარაია ასკვნის:

58 „ივერია“, № 165, 1888 წ.

59 „ივერია“, № 165, 1888 წ.

„მარჯვე ყბას“ აფხაზეთში დიდს პატივსა სდებენ და, იმათის აზრით, ვაუკაცობის შემდეგ პირველი ალაგი უჭირავს კაცის ცხოვრებაში“.⁶⁰

პ. ჭარაია ვრცლად აშუქებს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას აფხაზთა შორის. სტატიის ავტორი დაბეჭდვით მიუთითებს, რომ აფხაზი კაცი თავისი მიწა-წყლის, თავისი სამშობლოს დიდი პატიოტია. მას სამშობლოს დატოვება სიკვდილად მიაჩნია. აფხაზი კაცის მამულიშვილობაზე პ. ჭარაია წერდა:

„აფხაზს გაგიყვებით უყვარს თავისი მართლაც ტურფად შემკული ქვეყანა და პოეტთან ერთად თამამად შეუძლიან სთქვას:

არ გავცელო მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

აფხაზის გაგებით, აფსნიზე უკეთესი ქვეყანა დუნიაზე არ არის; ღმერთო, აფსნს ნუ დაქარგავ, მუდამ ენაზე ადგია ქირშიაცა და ლხინშიაც“.⁶¹

პ. ჭარაია სქოლიოში „აფსნის“ ასეთ განმარტებას აძლევს:

„თავის სამშობლო ქვეყანას აფხაზები უწოდებენ: აფსნ. სიტყვა შესდგება, ჩემის აზრით, შემდეგ სიტყვათაგან: აფსუა — აფხაზი და ან — დედა; აფსუა ან აფსნ — აფხაზის დედა სამშობლო, აფხაზეთი“.

შემდეგ პ. ჭარაია დაწვრილებით იხილავს სტუმარმასპინძლობის აღათ-წყესებს აფხაზთა შორის; აღწერს მასთან დაკავშირებულ ჩვეულებებს.

ამას მოსდევს პ. ჭარაიას დაკვირვებები აფხაზთა სამგლოვიარო რიტუალებზე, ღვთაებებზე, საერთოდ წარმართულ პანთეონზე, სოფლის მეურნეობაზე, გაძიძვებასა და აღმზრდელის მოვალეობაზე. ვრცელი წერილები არის მიძღვნილი აფხაზთა სალოცავების აღწერისადმი. იქვე ჩამოთვლილია სალოცავთა სახეები; დედამიწის სალოცავი — ადგილ ან-ხუ; წყლის სალოცავი — ძიუთუა, ძიუოუ; ცისარტყელის სალოცავი — ელიათმ; ქარის სალოცავი — ფშარნჰა, ოჯანის სალოცავი აჟაპარა; კერიის სალოცავი — ჭაპუ და სხვ.

მოცემულია თვითეული სახის დაწვრილებითი აღწერა: შესაწირავის ადგილი, დრო, ხასიათი, სახეობა, შემწირველი და ა. შ. ეს მასალა შეიცავს ბევრ საყურადღებო ცნობას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც აფხაზი ხალხის სულიერი კულტურის, ტრადიციების, ეთნოგრაფიის შესასწავლად, ისე ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გასაშუქებლად.

ამავე გამოკვლევაში პ. ჭარაია საგანგებოდ შეეხო აფხაზური ზეპირ-სიტყვიერების, ხალხური პოეზიის ვერსიფიკაციის საკითხებს. ამ მხრივაც იგი ერთ-ერთი პირველია მეცნიერთა და მოღვაწეთა შორის, რომელმაც ეს საკითხები წამოჭრა და დღის წესრიგში დასვა გადასაჭრელად. მართალია, მისი მოსაზრებების უმრავლესობა დღეს ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ აფხაზური ხალხური პოეზიის მეტრიკის ანალიზის პირველი ცდა, ჭაშნიკი მან მოგვცა. მან საგანგებოდ გაუსვა ხაზი ალიტერაციის სიუხვეს ზეპირსიტყვიერებაში და საილუსტრაციოდ მაგალითებიც მოიტანა.

დიდი პ. ჭარაიას ამაგი ქართულ-აფხაზური კულტურულ-მეგობრული ურთიერთობის საქმეში.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ „ივერია“, № 176, 1888 წ.

ნ. ჯანაშიამ დიდი წვლილი შეიტანა რევოლუციამდელი აფხაზეთის სახალხო განათლების, ხალხური შემოქმედებისა და ეთნოგრაფიის შესწავლის საქმეში.⁶² ასევე საინო წვლილი შეიტანა მან აფხაზურ-ქართული ურთიერთობის განვითარებაში. მისთვის ქართული და აფხაზური ჰუმბლიური ენები იყვნენ. იგი ყოველმხრივ ცდილობდა ქართველი მკითხველისათვის გაეცნო აფხაზეთი, აფხაზი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის თავისებურება, ადათ-წესები. ეს ჰქონდა მას მიზნად, როდესაც თ. სახოკიას სწერდა:

„მე განზრახული მაქვს ყველა ნაწილები აფხაზეთისა დაწერილებით გავაცნო ქართველ საზოგადოებას“.⁶³

ნ. ჯანაშიამ საკმაოდ მდიდარი პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა დატოვა, რომლის პუბლიკაციას რამდენიმე ჰოზრდილი ტომი დასჭირდებოდა. იგი თანამშრომლობდა მრავალ ჟურნალ-გაზეთში. ეს კეთილშობილი ადამიანი პერიოდული ორგანოების ყოველთვის სასურველი სტუმარი იყო. საქვეყნოდ ცნობილი იყო მისი პირდაპირობა, კეთილსინდისიერება და პრინციპულობა.

მის შესახებ აკად. ნ. მარი წერდა:

„Я не говорю уже здесь о личных работах Н. С. Джанашии, лучшего знатока абхазской этнографии, имеющего крупную заслугу по собиранию этнографических материалов, особенно касательно абхазского культа и абхазских религиозных верований“.⁶⁴

სამწუხაროდ, მის წინაშე დიდ ვალში არიან ქართველი და აფხაზი მეცნიერები. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი სწავლულის მოსაზრებასა და გამოკვლევას მისი მოღვაწეობის ცალკეული მხარეების შესახებ (სოლ. ცაიშვილი, ხ. ბლაჟება, გ. ძიძარია, შ. ინალ-იფა, ზ. ანჩაბაძე), შეიძლება ითქვას, რომ ამ თავდადებული საზოგადო მოღვაწის მემკვიდრეობა ოდნავადაც არ არის შესწავლილი და გაშუქებული, ამ მხრივ მომავალში დიდი მუშაობაა ჩასატარებელი.

ამაჟამად ნ. ჯანაშიას მთელი მოღვაწეობის ანალიზი ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. იგი ცალკე მონოგრაფიული კვლევა-ძიების საგანია. ჩვენ ამოცანად დავისახებთ გვეჩვენებინა ნ. ჯანაშიას საზოგადოებრივი პროფილი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის შუქზე, დღის სინათლეზე გამოგვეტანა ის დიდი ამაგი, რაც ამ კეთილმა ადამიანმა გასწია ორი შობამე ხალხის ცხოვრების შესწავლის, მათი კულტურული ურთიერთობის განვითარებისა და ძმობა-მეგობრობის კიდევ უფრო გამტკიცების საქმეში.

⁶² Х. С. Бражба, Н. С. Джанашиа, См. Н. С. Джанашиа. Статьи по этнографии Абхазии. Сухуми, 1960 г. გვ. 3; ნ. გ. ვეკუა, სახალხო განათლების დაწესებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში (1851-1917 წწ.), სოხუმი, 1958 წ., გვ. 146.

⁶³ ნ. ჯანაშიას წერილი თ. სახოკიასადმი 1897 წლის 18 ოქტომბრის თარიღით. ნ. ჯანაშიას წერილები თ. სახოკიასადმი (სულ 34 წერილი) ინახება თ. სახოკიას ქალაქშილთან თინათის სახოკიასთან. ქ-ნმა თინათისმა თავაზიანად მოგვცა უფლება წერილებით სარგებლობისა, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

⁶⁴ Н. Я. Марр. О языке и истории Абхазов, М.-Л., 1938 г., გვ. 131.

ნ. ჯანაშია ყოველთვის დიდი ადამიანური სიყვარულითა და თანაგრძნობით იყო გამსჭვალული ყველა ჩაგრული ერისადმი, მაგრამ სულ სხვა იყო მისი დამოკიდებულება აფხაზი ხალხისადმი. აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონის სოფ. აძიუბუჯაში დაიბადა იგი, იქვე დაირწა მისი აკვანი. აფხაზის ქალი უმღეროდა ნანას და უყვებოდა წინაპართა საგმირო საქმეებს. მისთვის აფხაზი და ქართველი ხალხები ერთი დიდი ოჯახის შვილები იყვნენ. მას თანაბარი ძალით უყვარდა ორივე ერი, იგი იმდენადვე იყო აფხაზი, რამდენადვე ქართველი. ამიტომ იყო, რომ მას ნ. მარი „Природы и быт абхазцев“ - ს უწოდებდა.

ნ. ჯანაშიამ ბრწყინვალედ იცოდა ქართული, აფხაზური, რუსული და მეგრული ენები, რაც დიდად უწყობდა ხელს კარგად გარკვეულიყო აფხაზეთის რთულ სოციალურ, ეროვნულ და პოლიტიკურ ვითარებაში, აფხაზი და ქართველი ხალხების ყოფა-ცხოვრებაში და ქართული და რუსული პრესის საშუალებით ხელმისაწვდომი გაეხადა იგი ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნ. ჯანაშიამ განათლება მიიღო ჯერ სოხუმის მთიელთა სკოლაში, ხოლო შემდეგ გორის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი ნ. ლომოური. ამ უკანასკნელმა ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ახალგაზრდას, დაიახლოვა იგი, შეაყვარა და შეასწავლა მშობლიური ხალხის ისტორია და კულტურა, ენა და ლიტერატურა.

ნიკომ 1891 წელს დაამთავრა გორის სამასწავლებლო სემინარია და დაუბრუნდა მშობლიურ სოხუმს, მუშაობა დაიწყო მთიელთა სკოლაში მასწავლებლად, მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ამ პერიოდში სოხუმის მმართველობაში საერთოდ და, კერძოდ, მთიელთა სკოლაში მეტად მძიმე ატმოსფერო იყო ადგილობრივ მკვიდრთათვის: იღვენებოდა ყოველივე ეროვნული და ის პირნი, რომლებიც ამ მხრივ გამოიჩენდნენ ინიციატივას. ასეთ შემჩნეულ მასწავლებელთა რიცხვში აღმოჩნდა ნ. ჯანაშიაც და მას დაუწყეს დევნა. სამართლიანად მიუთითებს პროფ. ხ. ზღაქება, რომ ნ. ჯანაშიას დევნის მიზეზი იყო ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებათა მიმართ ზედმეტი გულსყურის გამოჩენა.⁶⁵

დევნის გამო ნ. ჯანაშია იძულებული გახდა დაეტოვებინა აფხაზეთი. მან გურიას მიაშურა. მუშაობას იწყებს სოფ. მაკვანეთში, მაგრამ მალე ბრუნდება აფხაზეთში. მას ნიშნავენ გულაუთის სამინისტროს სკოლის დირექტორად. ეს სკოლა, რომელსაც მანამდე მოსახლეობაში ავტორიტეტი არ ჰქონდა, მან ფეხზე დააყენა, აამალა ნორჩი თაობის სწავლების დონე, დაინტერესა როგორც მოსწავლეები, ისე მშობლები, ავტორიტეტი მოუპოვა სასწავლებელს. თვითონ უშუალოდ ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარეთა წრეს, ხელი შეუწყო ბიბლიოთეკის დაარსებას. ერთი სიტყვით, ამოდრავდა საზოგადოებრივი ცხოვრება. მის მიერ გამართულ ქართულ და რუსულ წარმოდგენებს ახლომახლო აფხაზური სოფლებიდანაც კი ესწრებოდა ხალხი.

⁶⁵ იხ. Н. С. Джанашиа. Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960 г - ს. 3. ხ. ზღაქბას შესავალი წერილი.

აფხაზეთის სახალხო განათლების ისტორიის ცნობილი მკვლევარ-და საზოგადო მოღვაწე ნ. ვეკუა სამართლიანად მიუთითებდა:

„ნიკო ჯანაშიას პედაგოგიური მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო სკოლაში მუშაობით; ის უკითხავდა ლექციებს სახალხო სკოლების მასწავლებლებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მეთოდულად და სხვა. გაზეთებსა და ჟურნალებში ათავსებდა წერილებს სწავლა-აღზრდის მტკივნეული საკითხების შესახებ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩერნომორიის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუშაობაში. იგი მთელი აფხაზეთის მოსახლეობაში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით.“⁶⁶

სადაც არ უნდა ყოფილიყო ნ. ჯანაშია, იგი ყოველთვის დიდ გულისხმიერებას იჩენდა ბავშვებისადმი, იყო კეთილი აღზრდელი და გზის მაჩვენებელი. ერთხანს მუშაობდა ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის მასწავლებლად. მან იქაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა უანგარო და უმწიკვლო საქმიანობით, საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი გულისხმიერების გამოჩენით. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ არის ასეთი საინტერესო ინფორმაცია:

„უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივისცემულის გაზეთის „ცნობის ფურცლის“ საშუალებით ჩემდამი რწმუნებულის სკოლის მოწაფეების, მათის მშობლების და ჩემის მხრივაც უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის გამგეს ა. წითლიძეს და იმავე სკოლის მასწავლებელს ნიკო ჯანაშიას, რომლებმაც რვეულები და ყარანდაშები შემოსწირეს მოწაფეებისათვის დასახმარებლად.“⁶⁷

ამასთან, ნ. ჯანაშია სისტემატურად ადევნებდა თვალს იმ კუთხის ხალხის ცხოვრებას, სადაც მას უხდებოდა მუშაობა, აგროვებდა ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებს, პრესაში გამოდიოდა მშრომელი ხალხის დასაცავად. ასე დააგროვა მან დიდძალი მასალა ქართველი და აფხაზი ხალხების წარსული და მისი თანამედროვე ცხოვრების შესახებ.

ნ. ჯანაშია განსაკუთრებული გულისყურით ეხმაურებოდა მშრომელი მოსახლეობის ღუბაჯი ცხოვრებას. მის შესახებ სტატიებსა და კორესპონდენციებს აქვეყნებდა პრესაში, ღლის სინათლეზე გამოქვეყნდა აუტანელი ცხოვრების გამომწვევი მიზეზები, ეძებდა გზებს ხალხის სიბნელისა და უმეცრების ბრწყალებისაგან დახსნისათვის. XIX საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში იგი გულწრფელად წერდა:

„ბეჩავი ხალხი ყველგან ხომ ერთ ტაფაში იხრაკება. რა ქნას ყოველგან დატანჯულმა ღარიბმა ხალხმა? ისევე მკითხავ-ზვარაკებს უნდა მიმართოს? ისინი კი ტყავს აძრობენ.“⁶⁸

ხალხის კეთილი ცხოვრების დიდ ხელისშემშლელ პირობად მას სამართლიანად მიაჩნდა გაუნათლებლობა, ნასწავლი ახალგაზრდების უყოლობა. „ჩვენის დაბის უმთავრეს ნაკლად უნდა აღვიაროთ ნასწავლი და გამრჩე ახალგაზრდობის უყოლობა.“⁶⁹ — აღნიშნავდა იგი. სხვა წერილ-

⁶⁶ ნ. ვ. ვეკუა, სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდელ აფხაზეთში (1851-1917 წწ.), სოხუმი. 1958 წ., გვ. 146.

⁶⁷ ე. ზოფერია, წერილი რედაქციის მიმართ. „ცნობის ფურცელი“, № 1378, 1901 წ.

⁶⁸ დათიკო ვერმიცანაშვილი (ნ. ჯანაშია), დ. გულაუთი, „ივერია“, № 214, 1897 წ.

⁶⁹ ილიკო ვერმიცანაშვილი (ნ. ჯანაშია), დ. გულაუთი. „ივერია“, № 188, 1897 წ.

ში კი მიუთითებდა: „ჩვენი სიღარიბის ერთადერთი მიზეზი ზარმაცობა და უყოღინარობაა“.⁷⁰

6. ჯანაშიას დიდ სოციალურ ბოროტებად მიაჩნდა ქურდობა, რომელიც აპარტახებდა მშრომელი ადამიანის მეჭურნეობას, სოფლის მუშაკს გულს უტრუებდა ჯაფაზე, ანადგურებდა მატერიალურად და მორალურად. ქურდობის მოთავენი უმთავრესად იყვნენ უსაქმური, ქარახვეტია თავადანაწარმოების წარმომადგენლები, რომლებიც „დათარეშობდნენ აფხაზეთ-სამურზაყანოში დაუსჯელად და თვითნებურად და შიშის ზარს სცემდნენ საწყალ უდანაშაულო მკვიდრთ“.⁷¹

6. ჯანაშიამ ამ საკითხს რამდენიმე საყურადღებო წერილი მიუძღვნა, რომლებშიც მთელი თავისი მოქალაქეობრივი შემართებით იცავდა მშრომელი ადამიანის უფლებებს. იმ პერიოდში აფხაზეთის სოფლებში გამეფებული უსამართლობის, აფხაზი ხალხის საველალო მდგომარეობის შესახებ იგი წერდა:

„როცა ვაკვირდებით აფხაზთა ცხოვრებას, მაკვირვებს ერთი გარემოება: როგორ არ დაეცა მთლად მატერიალურად აქამდის აფხაზის ოჯახი? როგორ და რით მაგრდება აქამდის აფხაზის კეთილდღეობა? რა გული მიუჯა მუშაობაზე კაცს იქ, სადაც არა ხარ დაწმუნებული, შენი ნაამაგარი შენ შეგარჩება... სოფელში დილით გამოიღვიძებ თუ არა, ერთი ვაი-ვაგლახი და ყოფა გესმის: ქვრივ-ობოლთა წივილ-კივილი ცამდის აღის, მათი ცრემლი ზღვას ერთვის“.⁷²

ასეთი გრძნობით შეეძლო ეწერა იმ ადამიანს, რომელსაც მართლაც შესტკიოდა გული ხალხის ყოფაზე.

6. ჯანაშია არაიშვიათად ასახელებდა იმ პირებსაც, რომლებიც ან უშუალოდ ყაჩაღობითა და ქურდ-ბაცაცობით ირჩენდნენ თავს ან კიდევ მთარეველობდნენ ავაზაკებს.⁷³

6. ჯანაშია დიდად წუხდა ამ გარემოებაზე და ამიტომ მიუთითებდა: „სწორედ, რომ სოფლად ყოვლად შეუძლებელი იქნება ცხოვრება, თუ კიდევ ასე გაგრძელდა ქურდობა, თუ აღარ აილაგმნენ ქურდ-ბაცაცები. დროა ამაზე იფიქრონ და რამე ღონე მიიღონ, ვისგანაც ჭერ არს“.⁷⁴

ქურდობის ერთ-ერთ ძირითად გამომწვევე მიზეზად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მას მიაჩნდა გაუნათლებლობა, სოფლის მეურნეობის დაბალი კულტურული დონე, რასაც უსაქმური ახალგაზრდობა ამ შავბნელი და სამარცხვინო გზისაკენ მიჰყავდა.

„თუმცა ჩვენი მხარე უხვად არის დაჭილდობებული ბუნებისაგან, — მიუთითებდა იგი, — მაგრამ ჩვენის უფიცობის წყალობით იმის სიმდიდრეს ვერა ვხმარობთ. შესანიშნავი ნოყიერება მიწისა, თბილი და ნოტიო ჰავა ხელს უწყობს ყოველგვარ მცენარესა, გარნა ჩვენის უყოღინარობის წყალობით სიმიზნის კულტურას ვერ გავცილებივართ. მართალია. აქ ამ 15-20 წლის წინათ ზეგან ადგილას და მთის კალთებზე მშვენიერი ადგილობრივი ღვინო მორიოდდა და კარგს შემოსავალსაც აძლევდა მის

70 ჰამუთ-ბეი (6. ჯანაშია), ცოტა რამ აფხაზეთის ყოფა-ცხოვრებისა. „ივერია“, № 109, 1902 წ.

71 ჰამუთ-ბეი (6. ჯანაშია), წერილი ოჩამჩირიდან. „ივერია“, № 11, 1901.

72 ჰამუთ-ბეი (6. ჯანაშია), დ. ოჩამჩირე. „ცნობის ფურცელი“, № 1655, 1901 წ.

73 „ივერია“, № 11, 1901 წ.

74 ჰამუთ-ბეი (6. ჯანაშია), დ. ოჩამჩირე, „ცნობის ფურცელი“, № 1655, 1901 წ.

მოქორნახულეს, მაგრამ ეს უშრობელი წყაროც შემოსავლისა ვაზის ჰირმა მოგვისპო. ერთს დროს აგრეთვე აქაურის მკვიდრს დიდ სამსახურს უწყევდნა ნიგოზიცი, მაგრამ ზოგიერთების წყალობით თითქმის ყველა სავარგისი კაკლის ხეები დასქრეს და უცხო ქვეყნელთ თითქმის მშუქთად ჩაუგდეს ხელთ“.75

ასეთი იყო აფხაზეთის სოფლის სურათი. ქვეყანა დაღუპვის პირს იყო მისული, მაგრამ „ვინ არის გამკითხავი, სად არის პატრონი საცოდავი ხალხისა?“ — გულისტკივილით კითხულობს კორესპონდენციის ავტორი.

ამ მეტად მავნე საზოგადოებრივი სენის სამკურნალო საშუალებად მას მიაჩნდა განათლება, სწავლა, კულტურის განვითარება, სკოლების ფართო ქსელის დაარსება და, ამასთან, ისეთი პედაგოგების დანიშვნა, რომლებსაც მკვიდრების ენაც ეცოდინებოდა. თუ სადმე ახალი სკოლა გაიხსნებოდა ან დაინტერესებული პედაგოგი გამოჩნდებოდა, ნ. ჯანაშია დაუყოვნებლივ ამცნობდა საზოგადოებას პრესის საშუალებით. მაგალითად, 1897 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში სათაურით „სოფელი ლიხნი“ იგი წერდა:

„ჩვენდა სასიხარულოდ აქ ახლა არსდება სახელმწიფო ხარჯით ერთკლასიანი ნორმალური სკოლა. ძლიერ კარგს იზამენ, თუ მასწავლებლად აფხაზურის ენის მცოდნე კაცს დანიშნავენ“.76 სხვა სტატიაში კი აღნიშნავდა:

„მომავალი იანვრიდან საერობო ხარჯით არსდება ერთკლასიანი სკოლები სოფლებში — ააკში, მუგუძირხვაში და ჭირხვაში. ეს სკოლები ჩვენთვის სულზე მისწრებაა და ამიტომ მოთავენი ამ სკოლების დაარსებისა დიდის მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც შეძლება მისივეს ზემოხსენებულ ოთხს საზოგადოებას თავიანთ შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ“.77

ნ. ჯანაშია უთუოდ განმანათლებელი იყო თავისი მსოფლმხედველობითა და მრწამსით, ჰუმანისტი — ბუნებით და პედაგოგი — განათლებითა და მოწოდებით. იგი ყოველთვის დიდ წუხილს გამოხატავდა იმის გამო, რომ საქართველოში საერთოდ და, კერძოდ, აფხაზეთში, არ იყო სათანადო პირობები ხალხის განათლების, კულტურული დონის ამაღლების, ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდისათვის. ამიტომ იყო, რომ ნ. ჯანაშია ყოველი ახალი სკოლის გახსნას, მისი ინიციატორების საქმიანობას სიხარულით ეგებებოდა. როდესაც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს გუდაუთაში დაარსდა კიდევ ერთი სასწავლებელი, ნ. ჯანაშია ამ მოვლენას საგანგებოდ გამოეხმაურა და აღნიშნა მისი დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამ ფაქტის გამო იგი „ივერიაში“ წერდა:

„ამ უკანასკნელ დრომდე ჩვენი უხვად დაჯილდოებული მხარე სწავლა-განათლების მხრივ სრულიად მივიწყებულია. 25 ათასი მცხოვრები გუდაუთის ნაწილისა შეჰყურებდა 1892 წლამდის ერთად ერთს სამრევლო სკოლას. წრეულს კი გუდაუთში დაარსდა ერთკლასიანი სამინისტ-

75 მა ვორექ (ნ. ჯანაშია), წერილი აფხაზეთიდან. „ივერია“, № 31, 1900 წ.

76 „ივერია“, № 194, 1897 წ.

77 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი გუდაუთიდან. „ივერია“, № 262, 1897 წ.

რო სკოლა. აი, ამ ორს სკოლას ციურ მანანასავით შეჰყურებდა ეს მხა-
რე“.⁷⁸

ნ. ჯანაშია აღფრთოვანებული იყო იმ გარემოებით, რომ ხალხში მაგ-
რად მოიკიდა ფეხი სწავლა-განათლების სურვილმა. „წინად სკოლას გა-
ურბოდა ხალხი, — მიუთითებდა იგი, — მაგრამ ეხლა სკოლას აწყდებოდა.
ჩვენს სკოლებში ბავშვების ტევა არ არის“.⁷⁹ ამიტომ გულაუთაში სამე-
ურნეო სკოლის დაარსება დიდი შველა იქნება აქაურ მკვიდრთათვისო.

აფხაზეთის ყველაზე საპირბოროტო საკითხად ნ. ჯანაშიას სკოლე-
ბის ქსელის გაფართოება მიაჩნდა. „არც ერთი კუთხე საქართველოსი, —
წერდა იგი, — შგონია არ არის ისე უკან ჩამორჩენილი სწავლა-განათლე-
ბის მხრივ, როგორც ჩვენი ტურფა აფხაზეთი“.⁸⁰

იგი ვრცლად იკვლევს ამ საკითხს, მიმართავს სტატისტიკურ მონა-
ცემებს, სკოლების რაოდენობას უფარდებს მოსახლეობის რიცხვს და, ამ-
დაგვარად, ნათელ წარმოდგენას აძლევს მკითხველ საზოგადოებას. ამას-
თან ეს გარემოება მას აძლევს მორალურ და მოქალაქეობრივ საფუძველს
მთავრობის წინაშე კიდევ ერთხელ აღძრას საკითხი სახალხო განათლე-
ბის ახალი კერების გახსნის შესახებ. ამ საქმეში იგი შველას ქართველთა
და აფხაზთა საერთო მოქმედებაში ხელდავდა. 1897 წელს ნ. ჯანაშია წერ-
და, რომ სოხუმის ოლქში (ე. ი. აფხაზეთში) არისო 110.000 მცხოვრები,
რომლებიც შეჰყურებენ სოხუმის ორკლასიან მთიელთა სკოლას. „ქმარა
საღათას ძილი და საქმეს მოკვიდოთ ხელი“. — შექალაქდებს იგი
ხალხს.⁸¹

ამ საკითხს იგი არაერთგზის უბრუნდება და ცდილობს ხელახალი
შუქი შეიტანოს მასში, დაარწმუნოს მთავრობა, რომ აუცილებელია აფ-
ხაზეთში სკოლების საგრძნობლად გადიდება. ამისათვის მიმართავს შემ-
დეგ მოტივირებას:

„ამ უკანასკნელ წლებში ხალხში უცბად, თითქოს მოულოდნელად,
გაიღვიძა სწავლა-განათლების შეძენის სურვილმა, ეს იმ ხალხში, რო-
მელიც ოცდაათი წლის წინათ სწავლას ისე უყურებდა, როგორც არა სა-
სურველს აუცილებელს ბეგარას, გადასახადს და იმ ორიოდ შემთხვევა-
ში, როდესაც მთავრობა მოისურვებდა ორი-სამი აფხაზის გამოზრდას,
საზოგადოება იძლეოდა უკირისუფლო, უპატრონო ბავშვებსა და ამით
თაჯის შვილს აცილებდა „უბედურებას“. ეხლა კი გონს მოვედით და წა-
რამარა თხოვნას თხოვნაზე ვგზავნიო: გვიშველეთ, დაგვიარსეთ საშუა-
ლო სკოლა და სხვ“.⁸²

შემდეგ მოაქვს სავეალალო ცნობები აფხაზეთში სკოლათა რაოდენო-
ბისა და იქ მოსწავლე ახალგაზრდობის შესახებ. მისი განსაზღვრით, ყო-
ველ 17 ათას სამურზაყანოელზე მოდიოდა ერთი პირველდაწყებითი სკო-
ლა, რაც ბავშვებზე გაანგარიშებით უდრიდა 2.340 სასკოლო ასაკის ახალ-
გაზრდას ერთ სკოლაზე. ამით აღშფოთებული ნ. ჯანაშია აცხადებდა:

78 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი გულაუთიდან. „ივერია“, № 6, 1900 წ.

79 იქვე.

80 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), აფხაზეთი. „ცნობის ფურცელი“, № 1319. 1900 წ.

81 ილიკო ვერმიცანაშვილი (ნ. ჯანაშია), წერილი სოხუმიდან. „ივერია“, № 239, 1897 წ.

82 ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), აფხაზეთი. „ცნობის ფურცელი“, № 1319, 1900 წ.

„განა, მკითხველო, გასაკვირველია ამისთანა ქვეყანაში ცრუმორწმუნეობას ღრმად ფესვი ჰქონდეს გადგმული“.⁸³

სტატიკაში „სწავლა-განათლების მდგომარეობა იმერეთში“ მას მოაქვს უფრო მძიმე ფაქტები, საიდანაც ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ჩამორჩენის მიზეზი. ახალგაზრდობის უმრავლესობა სკოლების გარეთ არის დარჩენილი და ეს ერისათვის დამღუპველიაო.

„თუ ჩვენი აწმყო შეადარეთ სხვა ერების აწმყოსა, გული სევდით აგვესებათ: 120 ათას სასკოლო ასაკის ბავშვიდან მხოლოდ 27 ათასი სწავლობს, ესე იგი მეოთხედზედაც ნაკლები? დანარჩენმა სამმა მეოთხედმა კი ისევ ისე მამა-პაპურად სიბნელეში უნდა დალიოს თვისნი დღენი“.⁸⁴ — მიუთითებდა იგი.

ნ. ჯანაშია სამართლიანად აღნიშნავდა, რომ არსებული სკოლებიც ოდნავდაც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას, თან არც სათანადოდ მომზადებული მასწავლებლები გვეყავსო. ამ გარემოებას ისიც ემატებოდა, რომ ძირეულ მოსახლეობას უფრო ცუდი პირობები ჰქონდა სწავლა-განათლებისათვის. „სამწუხაროდ, — წერდა იგი, — ისედაც მცირე რიცხვი სკოლათა მცხოვრებთა შორის თანასწორად არ არის განაწილებული: მეტი წილი მათი მოახალშენეთ ერგოთ“.⁸⁵

სოხუმის მოწინავე ქართველი საზოგადოების გადაწყვეტილებას, რომ ქალაქში გახსნილიყო ქართული სკოლა, სიხარულით შეეგება ნ. ჯანაშია. ამ ნაბიჯში მან დაინახა დიდი ეროვნული ღონისძიება. „მით უფრო სასიამოვნოა, — აღნიშნავდა იგი, — რომ სოხუმის ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს გადაუწყვეტია, თავისი საკუთარი სკოლა დააარსოს, რის გამოც უკვე მიწერ-მოწერაც გაუმართავს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან“.⁸⁶

ამის შემდეგ ჩამოთვლილია გვარები იმ პირებისა, რომლებიც აფხაზეთიდან წერა-კითხვის საზოგადოების წევრები იყვნენ და აფხაზეთში ქართული სკოლის დაარებისათვის გარკვეული მატერიალური სახსარი გაიღეს. ჩვენც დავასახელებთ მათ იმიტომ, რომ ამ მოქალაქეებს თავის დროზე დიდი მამულიშვილოური ვალე მოუხდიათ და შესაძლებლობის პირობებში მატერიალური დახმარება გაუწევიაო ქართული სკოლისათვის. ესენია: ივ. ბურჭულაძე, იონა გრიგოლია, ნიკო კოკიაი, ალექსანდრე რატიანი, ილარიონ მალაკელიძე, სტეფანე თურქია, სამსონ ალანია, კონსტანტინე კინწურაშვილი, ტიმოთე ანუა, ალექსი ჭორჯიკია, ევგენი თურქია, ლუარსაბ ნებიერაძე, ელიზბარ კაპარავა, ნესტორ მასხარაშვილი, ფილიპე ერქომაიშვილი, ბახვა გაბუნია, თეიმურაზ გაბუნია, იოსებ ლოლუა, საჩინო თურქია, ნიკიფორე ერქომაიშვილი, ბესარიონ გვალია, როსტომ კარანაძე, დიმიტრი ჭავჭავანიძე, იოსებ კიწმარაშვილი, ნიკოლოზ ჩიქოვანი, ბეგლარ თურქია, იასონ ჩაჩანიძე, მელქისედეკ ხახიაშვილი, ანტიოხ მარგანაძე.

⁸³ ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), აფხაზეთი. „ცნობის ფურცელი“, № 1319, 1900 წ.

⁸⁴ „ცნობის ფურცელი“, № 1409, 1901 წ.

⁸⁵ ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), აფხაზეთი, „ცნობის ფურცელი“, № 1319, 1900 წ.

⁸⁶ ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი სოხუმიდან. „ცნობის ფურცელი“, № 1794, 1902 წ.

შემდეგ თვით ნ. ჭანაშია იყო მოწვეული სოხუმის ქართული სკოლის გამგედ. მან როგორც სკოლას, ისე ქართველ საზოგადოებას ღირსეული მამულიშვილობა გაუწვია.

სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა იყო 4 წელი. მოსწავლეები სწავლის ქირას არ იხდიდნენ, ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიიღებოდნენ საშუალო სასწავლებლის 1-ლ კლასში.⁸⁷

მთელ რიგ სტატიებში ნ. ჭანაშია დიდი გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში მრავალტანჯული აფხაზი ხალხი, „ეს ნამდვილი მარლი“ კავკასიის ხალხთა შორის, ფიზიკური მოსპობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მას მიაჩნდა მაჰაჯირობა. „უმეტესი ნაწილი აფხაზებისა, — აღნიშნავდა იგი, — სხვადასხვა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო იძულებული შეიქმნა სათათრეთში გადასახლებულიყო მესამოცე წლებში. მე ვამბობ დალ-წებელდებლების შესახებ. უკანასკნელ რუს-ოსმალს კამპანიის დროს ამათ ზედ დაერთო ის აფხაზნიც, რომელნიც სახლდებოდნენ ზღვის პირად მდინარე ააცსა და თოქუმს შუა და აგრეთვე ბევრი აფხაზნიც დასავლეთ აფხაზეთიდან“.⁸⁸

ბ. ჭანაშიას მართებული თქმით, ამ გარემოებამ დიდი უბედურება მოუტანა აფხაზებს. ქვეყანა დაცარიელდა, იკლო მოსახლეობის რიცხვმა, გავრანდა ერთ დროს ძლიერი და მკიდროდ დასახლებული აფხაზეთი. „უმეტესი ნაწილი გადასახლებულ აფხაზებისა სათათრეთში გაწედა, ცოტაოდენი უკან დაბრუნდა, დანარჩენი თათრებმა აქეთ-იქით გაფანტეს, რის გამო დღეს თუ ხვალ თავის ეროვნულ ელფერს დაჰკარგავენ და თათართა მიერ შთაინთქმებიან!“⁸⁹

ამ გარემოებამ ის სამწუხარო შედეგი გამოიღო, მიუთითებდა იგი, რომ „სოხუმიდან დაწყებული გაგრამდის საუკეთესო, ზღვის პირად მდებარე მამულები თავდაზნაურთა უჭირავთ სხვებს“.⁹⁰

ქვეყნის გავერანებას ზედ ერთვოდა თავდაზნაურობის ქარაფშუტული დამოკიდებულება ეროვნული დოვლათისადმი. იგი ჩალის ფასად ჰყიდდა მამულებს. ამით აღშფოთებული ნ. ჭანაშია წერდა:

„თუ ჩვენმა თავდაზნაურობამ გაჰყიდა „ნადელები“, არც გლახობამ დააყარა თავის საზოგადო „ნადელსა“ და საზოგადო მიწას ხეირი, ღვთის წინაშე აქაც თვით თავდაზნაურობას ედება ბრალი“.⁹¹

განსაკუთრებით დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა აფხაზეთის ტყეები, რომლებიც ხელთ უვარდებოდათ უცხოელ კაპიტალისტებს.

„ამისთანა ტყით მდიდარ საზოგადოებაში, როგორიც იყვნენ: კინდლი, კვიტოული, ტამიში, ათარა, აძიუბუა და სხვანი, დღეს თუ ხვალ შუამაც მგონი საყიდელი დაურჩებათ“.⁹²

⁸⁷ К. Д. Мачавариани. Описательный путеводитель по городу Сухуме и Сухумскому округу, Сухум, 1913 г. гл. 40.

⁸⁸ ჰამუთ-ბეი (ნ. ჭანაშია), წერილი აფხაზეთიდან. „ცნობის ფურცელი“, № 1727, 1902 წ.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ იქვე.

⁹¹ ჰამუთ-ბეი (ნ. ჭანაშია), წერილი აფხაზეთიდან. „ცნობის ფურცელი“, № 1729, 1902 წ.

⁹² იქვე.

ნ. ჯანაშია წუხდა იმის გამოც, რომ აფხაზეთის სახალხო მეურნეობა მოუწესრიგებელი იყო და ამით ბრკოლდებოდა ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ იგი ცივილიზებული ქვეყნების კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თავის სამშობლოში.

ნ. ჯანაშია ჩინებულად იცნობდა ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიულ წარსულს, კულტურას, ტრადიციებს, ადათ-წესებს. მან ისიც კარგად უწყოდა, რომ მისი თანამედროვე ზოგიერთი გადამთიფლი შეერაზმელი, მეფის მთავრობის ყურმოქრილი მონა-მსახური აბუჩად იგდებდა კავკასიელ ხალხებს, მათ შორის ქართველებსა და აფხაზებს, უწოდებდა „ტუზემცებს“. ეს იყო მეფის მთავრობის შეგნებული ოინი პატარა ხალხების დასამცირებლად. ქართველი მამულიშვილი აქაც მოწოდების სიმალღებზე იდგა და ისე როგორც ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, გ. წერეთელმა, გ. შარვაშიძემ მანაც საკადრისი პასუხი გასცა არაერთ გადამთიელ არამკითხეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ თავის სტატიაში იგი წერდა:

„კოლონისტებმა, რომელნიც ამ კუთხის (ე. ი. აფხაზეთის — ო. ჭ.) გასანათლებლად იქმნენ ჩამოსახლებულნი, ვერაფრითარი კულტურა ვერ ჩამოგვიტანეს. პირიქით, ჩვენგან თუ რამე ისწავლეს და შეითვისეს, თორემ ჩვენ მათგან შესასწავლი და შესათვისი ვერა ვიპოვნეთ.“⁹³ შემდეგ კი ავტორი ასე განაგრძობს მსჯელობას:

„ვინ არ იცის, რომ ახლო წარსულში, ზოგიერთი ვაჟბატონების წყალობით ჩვენს ერს უცხოელნი ისე უყურებდნენ, ვითომ ჩვენ არ შეგვეძლოს ევროპის კულტურის ათვისება და ნამდვილ „აზიატებს“ გვიწოდებდნენ. აი, ეს ცრუ და ბარბაროსული აზრი ჩვენს შესახებ ამ უკანასკნელი ოცდაათ ორმოცი წლის განმავლობაში მისდა სასახელოდ ჩვენმა ერმა განუფანტა ევროპას თუ არა, რუსეთს მაინც და ნათლად დაამტკიცა, რომ თუ მას ჭეროვნად მეცნიერება ვერ შეუთვისებია და უკანასკნელს ასპარეზზე თავისი სახელი ვერ აღუბეჭდია, ეს ჩვენი, ქართველთა უნიჭობის ბრალი კი არაა, არამედ ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიპლისა.“⁹⁴

ქართველი ხალხის ისტორიის ჩარხის ბრუნვის რა სალი, გონივრული ანალიზი არის მოცემული. ასე მსჯელობა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც ბრწყინვალედ ერკვეოდა ისტორიის ანალებში, ვისაც უყვარდა მშობლიური ხალხი, მისი კულტურა და სწამდა დიადი მომავალი.

სხვათა შორის, 1894 წელს აფხაზეთს ეწვია სენატორი აბაზა, რომელსაც დაუთვალეიერებია სოფელი აბუყყვა. მას ძალიან მოსწონებია აქ დასახლებული მეგრელების მეურნეობა და დაუძრახავს ესტონელები, რომლებსაც თავიანთი მეურნეობა ისე რიგად ვერ მოუწყვიათ, როგორც ქართველებს. ამით გაგულისებულ მოხელეს მოახალშენე ესტონელებისათვის ასე მიუმართავს:

„თქვენ აქ მთავრობის მიერ კულტურის გასავრცელებლად ხართ გამოგზავნილი კავკასიელთ შორის. ეს მეგრელები — აბუყყელები თქვენ

⁹³ ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი აფხაზეთიდან. „ცნობის ფურცელი“, № 1729, 1902 წ.

⁹⁴ ნ. ჯანაშია, სწავლა-განათლების მდგომარეობა გურია-სამეგრელოში. „ცნობის ფურცელი“, № 1345, 1901 წ.

გაცილებით გჯობიათ: რაც მათ თქვენ არ გასწავლეს, თქვენ არაფერი მათთვის არ გისწავლებიათ“.⁹⁵

ნ. ჯანაშია ყურადღების გარეშე არ ტოვებდა „წვრილმან“ მომენტებსაც ხალხის ცხოვრებიდან. მაგალითად, სამედიცინო მომსახურება, ცრურწმენა, მისი შედეგები და სხვა.

ხალხის ცრურწმენის წყაროდ მიაჩნდა გაუნათლებლობა და დაბალი სამედიცინო მომსახურება. ხშირად მთელს რაიონს ერთი ექიმი ემსახურებოდა. არ იყო მედიკამენტები, ელემენტარული სამედიცინო დახმარება, რაც ხელ-ფეხს უხსნიდა სხვადასხვა ჯურის მკითხავეებსა და ექიმბაშებს თავიანთი შავი ზრახვების განხორციელებაში. ისინი სასტიკად ყვლეფდნენ სოფლის მშრომელ მოსახლეობას, ჰყავდათ რა იგი სიბნელეში.

ნ. ჯანაშია „ივერიაში“ გამოქვეყნებულ მთელ რიგ სტატეებში სასტიკად ილაშქრებდა მშრომელ მოსახლეობაში გამეფებული ცრურწმენის წინააღმდეგ, რაც გაუნათლებლობის, სიბნელის შედეგი იყო, ამიტომ მოითხოვდა სოფლებში სამედიცინო მომსახურების გაძლიერებას. იგი პირდაპირ სვამდა საკითხს: ყოველ დაბაში მაინც ყოფილიყო თითო ექიმი. რომლებიც მინიმალურად მაინც გაუწევდნენ დახმარებას მშრომელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ჯანაშია მიუთითებდა:

„მკითხავე-ექიმ დედაკაცებს გარდა, აქ ღიღს „მოდაშია“ სათათრეთითგან ლუკმა-პურის საქებრად გადმოხვეწილი „მოლები“, რომელნიც სარგებლობენ რა ხალხის უცოდინარობითა და განუეითარებლობით, ტყავს აძრობენ აფხაზთ. სწორედ რომ უექიმობით ჯოჯოხეთის ტანჯვაში არიან აფხაზები...“

ხალხის უეცობით სარგებლობენ მატყუარა მკითხავეები და მოლები და საცოდავს ხალხს ცხვირებით კრეკენ“.⁹⁶

მედიკამენტების უქონლობის გამო ხალხში ჩნდება სხვადასხვა გადამღები სენი და მოსახლეობა მეტად იჩაგრება, მიუთითებდა ნ. ჯანაშია. ამიტომ „დროა ჩვენს გაქირვებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ, ვისაც ჭერ არს და გადაშენების გზას აგვაშოროს“.⁹⁷

გულაუთაში მოღვაწეობის პერიოდში ნ. ჯანაშიამ ხალხის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა, რაც ნათლად ჩანს იმ კორესპონდენციიდან. რომელიც თ. გოგითიძემ გამოაქვეყნა „კვალში“ ნ. ჯანაშიას ახალსენაის სკოლაში გადაყვანასთან დაკავშირებით. სტატიაში ვკითხულობთ:

„ნ. ჯანაშიამ მცირე დროს განმავლობაში საკმაოდ დააჩინა კვალი და თვალსაჩინოდ წასწია წინ აქაური სკოლის საქმე. უცხოელი მასწავლებლები ადგილობრივი ენების უცოდინარობის გამო ვერ ახერხებდნენ ხეირიანად გაკვეთილების გადაცემას. ამის გამო მოსწავლეთა რიცხვი თანდათან აკლდებოდა სკოლას...“

სწორედ ამ გაქირვების დროს მოუსწრო ბ-ნ ჯანაშიამ სკოლას და თავისი შრომით, მხნეობით და ერთგულად საქმის ასრულებით საუკეთესო ნიადაგზე დააყენა დღეს გულაუთის სკოლის საქმე, განსაკუთრებით დიდი ხალხისით ეტანებოდნენ სკოლას მეგრელების და აფხაზების პატარა

⁹⁵ ურდ. „მოამბე“, № 1, 1898 წ., სარედაქციო სტატია: „აფხაზეთის ახალშენებ გუმისთის ნაწილში“, გვ. 103.

⁹⁶ ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი აფხაზეთიდან. „ივერია“, № 22, 1898 წ.

⁹⁷ ჰამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი გულაუთიდან, „ივერია“, № 71, 1899 წ.

შეწვევები და ქალები. ბ. ჯანაშიამ კარგად იცოდა ადგილობრივი ენები და მისი დახმარება-შემოწმებით მეტისმეტად უადვილებდა ბავშვებს სწავლას.⁹⁸

სტატიის ავტორი იქვე მიუთითებს, რომ გუდაუთის საზოგადოებას ასევე დიდი ამაგი დასდო ნიკოს მეუღლემ ელენე ჯანაშიამაც.

გუდაუთაში მისი მოღვაწეობა მხოლოდ მასწავლებლობითა და მონაწილეობითა თეატრში თანამშრომლობით როდი ამოიწურებოდა. ნ. ჯანაშია თვალყურს ადევნებდა დაბა გუდაუთის სოციალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. სასტიკად ილაშქრებდა სოციალური და ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით თავგამოდებით გამოდიოდა მეფის მთავრობისა და რუსეთის ბურჟუაზიის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ. გასული საუკუნის ბოლოს ფულიანი საქმოსნები მოაწყდნენ აფხაზეთის მომხიბვლელ სანაპიროებს და მთავრობის მხარდაჭერით დაიწყეს ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროება, მამულების შეძენა, რის გამო ქვეყანა გადაგვარების გზაზე დადგა.

ამ გარემოების შორეული სავალალო პერსპექტივები კარგად განჭვრიტა ნ. ჯანაშიამ და საქმიანად გამოეხმაურა არსებულ ვითარებას. ერთ-ერთ კორესპონდენციაში იგი მიუთითებდა: დაბა გუდაუთს აქვს ამჟამად 800 ღესეტიანა მიწა და 500 დავეგმილი სამოსახლო ნაჭერი. „მდიდარმა და მშვენიერმა ბუნებამ, ზღვის პირად მდებარეობამ, საღმა ჰავამ და მიწის სიიაფემ ჩვენს დაბას ბევრი მუშტარი უშოვნა, რომელთაც სურთ აქ დასახლდნენ. მსურველთა უმრავლესობას შეადგენს პეტერბურგისა და მოსკოვის დიდკაცობა“.⁹⁹

ამიტომ იგი რჩევა-დარიგებას აძლევდა ადგილობრივ მკვიდრთ, რომ, სანამ გვიან არ იყო, ვისაც საშუალება ჰქონდა, შეეძინა მამულები მშობლიურ კუთხეში, თორემ მალე ამ მხარეს უცხოელები დაეპატრონებიანო.

დამოუკიდებელ თემას წარმოადგენს საკითხი — ნ. ჯანაშია და აფხაზეთის ეთნოგრაფია და ზეპირსიტყვიერება. ამ მხრით მან ბევრი რამ გააკეთა, ქართულ და აფხაზურ მეცნიერებას ძვირფასი განძი შემატა ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების პუბლიკაციით.

აფხაზური ეთნოგრაფიითა და ხალხური შემოქმედებით, ქართულ-აფხაზური წარმართული პანთეონი იგი აღრევე დაინტერესდა. ჭერ კიდეც 1895 წლის 23 წლის ჟანუარი ნ. ჯანაშია ცნობილ ქართველ ისტორიკოსს მოსე ჯანაშიელს დახმარებას სთხოვდა აფხაზეთის ისტორიის სრულყოფილად დაუფლებაში. დიდმა მეცნიერმა სათანადოდ ამაგი დასდო ენთუზიასტ ახალგაზრდას დასახულა შიზნის განხორციელებაში.

ნ. ჯანაშიამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის შესწავლას. მართლაც, იგი 1897 წლიდან ქართულ პერიოდულ ორგანოებში აქვეყნებს აფხაზეთის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესახებ წერილების მთელ სერიას, რომლებშიც ქართველ მკითხველს აცნობს მისთვის მანადე უხილავ სამყაროს — აფხაზი კა-

⁹⁸ „კვალი“, № 38, 1899 წ.

⁹⁹ ბამუთ-ბეი (ნ. ჯანაშია), წერილი გუდაუთიდან. „ხვერია“, № 242, 1899 წ. 1899 წ.

«ცის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებას, მის ყოფას, კულტურას, ეთიკურ და მორალურ პრინციპებს, მწუხარებასა და სიხარულს.

თავის დროზე მეცნიერული წრეებისა და მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ვრცელმა გამოკვლევამ „აფხაზები (ეთნიკური მასალა)“ რომელიც ქვეყნდებოდა „მოამბეში“ 1897 წ. (№№ 2, 5, 11), 1898 წ. (№№ 7, 11), 1899 წ. (№ 4).

საინტერესო ის იყო, რომ ავტორი აფხაზური ეთნოგრაფიის პარალელურად იძლეოდა შესაფერის ქართულ მასალასაც, რაც ერთობლად მიმზიდველს ხდიდა პუბლიკაციას.

ნ. ჯანაშიამ „მოამბეში“ შემდეგი აფხაზური ეთნოგრაფიული მასალა გამოაქვეყნა: „წყალში დამხრჩვალ კაცის „სულის დაქვრა“, „აფი (მეხი-ღმერთი)“, „აე-ნჰვა (უწვიმობის დროს ლოცვა)“, „ძიგოუ“, „ქორწინება აფხაზეთში“, „ტირილი და აფსხურა (აღაპი)“, „დიდრიფშ“, „აჟირა (შაშვი)“.

ასეთ პუბლიკაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ქართველი მეცნიერული ეცნობოდა მოძვე აფხაზი ხალხის სულიერ ცხოვრებას, მის ისტორიულ წარსულს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ანდაზებს, წარმართულ რელიგიას და რწმუნდებოდა, რომ ამ ორ ხალხს — ქართველებსა და აფხაზებს ბევრი რამ საერთო ჰქონდათ წარსულში, რომ მათი კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადახლართული.

ნ. ჯანაშიამ დიდი წვლილი შეიტანა აფხაზური ფოლკლორის ნიმუშების შეკრებისა და პუბლიკაციის საქმეში. მან მრავალი ხალხური ნაწარმოები ჩაიწერა აფხაზეთის სოფლებში, თარგმნა და გამოაქვეყნა ქართულ და რუსულ პერიოდულ ორგანოებში. ამით აფხაზი ხალხის სიბრძნეს სხვა ხალხებაც აზიარა. ასეთი კეთილშობილური მოღვაწეობისათვის მას დიდად აფასებდნენ გასული საუკუნის დასასრულისა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისის მოწინავე ქართველი ინტელიგენციამ, აფხაზური და საერთოდ კავკასიური ფოლკლორით დაინტერესებული სამეცნიერო წრეები, კერძოდ, აკადემიკოსები — ივ. ჯავახიშვილი და ნ. მარი.

ნ. ჯანაშია თანამშრომლობდა თავისი დროის თითქმის ყველა მოწინავე ჟურნალ-გაზეთში: „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „ჯეჯილი“, „დროება“. აქ სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ეთნოგრაფიული წერილები, მასალები აფხაზური ფოლკლორიდან და კორესპონდენციები. როგორც თავის დროზე აკად. ნ. მარი მიუთითებდა, ნ. ჯანაშიას ეთნოგრაფიულ წერილებსა და ფოლკლორულ ჩანაწერებს დიდი ღირსება ჰქონდა. მის წერილებში მთელი რიგი ბუნდოვანი საკითხია გაშუქებული შორეულ წარსულში ქართველი და აფხაზი ხალხების ეთნიკურ-კულტურული ურთიერთობიდან.

აკ. წერეთელმა საკუთარი ორგანოს დაარსებისთანავე ჟურნალში დიდი ადგილი დაუთმო ნ. ჯანაშიას კორესპონდენციებს, გამოკვლევებს, ჩანაწერებსა და აფხაზური ფოლკლორის ნიმუშებს.

ყოველ ერს თავისი ზეპირსიტყვიერების საუნჯეში გააჩნია ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც სიმბოლურად განაპირობებენ ხალხის უღრეკ სულს, მის შემართებას, ქედუხრელობას. ასეთი იყო ძველი საბერძნეთის პანთეონში მითი პრომეთეს შესახებ, ქართველის ცნობიერებაში — ამირანი, აფხაზის წარმოსახვაში — აბრსკილი.

ეს მითოლოგიური გმირები საკაცობრიო პანთეონის ოქროს ფონ-
დში შევიდნენ. ბრძოლა ადამიანთა საზოგადოების უკეთესი მერმისისათ-
ვის უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. ოცნება რეალობად მხოლოდ
ჩვენს სინამდვილეში იქცა, მაგრამ მანამდე, საუკუნეების მანძილზე, მას
უძლოდა დიდი, შემართებული ბრძოლა კეთილ და ბოროტ ძალებს შო-
რის. ისტორიულ წარსულში ხალხთა წარმოდგენაში სწორედ ამ კეთილი
ძალების მხატვრულ განსახიერებას წარმოადგენენ პრომეთე, ამირანი,
აბრსკილი. ისინი თვით მამაზეციერსაც არ ეპუებოდნენ და სიციცხლის
ფასად ხალხში სიკეთეს თესავდნენ.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მითი აბრსკილის შესახებ ქართ-
ველმა მკითხველმა პირველად „აკაკის კრებულის“ (№ 5, 1898 წ.) სა-
შუალებით გაიგო. მას ასეთი სათაური ჰქონდა: „აბრსკილი (ამირანი)
აფხაზური ლეგენდა, ჩაწერილი ნ. ჯანაშიასაგან“.

„აკაკის კრებულში“ აფხაზური ფოლკლორის მასალების ბექდვის
დაწყება „აბრსკილით“ შემთხვევითი მოვლენა არ იყო. აკ. წერეთელმა.
ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელმა, თავის მკითხველს პირველ რიგში
გააცნო აფხაზური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუში „აბრსკილი“,
რომელსაც მოჰყვა ცამეტი აფხაზური სხვა ნაწარმოების პუბლიკაცია.
ესენია: „რაზე დგას სამყარო?“, „სამყაროს გაყოფა ღვთისა და ეშმაკს
შუა“, „რა არის მიზეზი მთვარის დაბნელებისა?“, „რათ არის მთვარეზე
შავი ხალები?“, „რათ არ შეუძლიათ ძეგებს მკათათვეში წყლის დალე-
ვა?“, „რათ იცის კამეჩმა კარგი ცურვა?“, „როგორ გაჩნდნენ ქვეყანაზე
მგლები?“, „მგლის კერძი — აკვაკვარ (კვერები)“, „რათ არის მერცხლის
კული შუაზე გაყოფილი?“, „როგორ გაჩნდა ქვეყანაზე კუ?“, „ნადირის
ღმერთის ქალიშვილები“, „ორსული ქალი და მკეე ქაკი“ და „ხალხური
შენიშვნები ამინდზე“. ყველა ესენი და ზოგიერთი სხვაც შემდეგ შევი-
და ნ. ჯანაშიას წიგნში: „სტატიები აფხაზეთის ეთნოგრაფიის შესახებ“,
გამოცემული სოხუმში, 1960 წელს, პროფ. გ. ძიძარას რედაქციითა და
პროფ. ბ. ბლაჯბას წინასიტყვაობით).

ნ. ჯანაშიამ, ისე როგორც შემდეგ მისმა სახელოვანმა შვილმა აკად-
ს. ჯანაშიამ, უანგარო პედაგოგიური, საზოგადოებრივი და მეცნიერული-
მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვა ქართულ-აფხაზური კულტურულ-
მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

კონსტანტინე მახაზარიანი

(„აბუ-კინო“)

გასული საუკუნის ბოლოს გაზეთ „ივერიასა“ (1893 წ., № 52; 1897
წ., № 244) და ჟურნალ „მოამბეში“ (1895 წ., № 9) „აბუ-კინოს“ ხელმო-
წერით დაიბეჭდა მეტად საყურადღებო სტატიები, რომლებშიც ავტორს-
დღის სინათლეზე გამოაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი მტკივ-
ნეული საკითხი და მათ შესახებ იძლევა საკმაოდ დამაფიქრებელ და და-
მაჯერებელ პასუხებს. ამ სტატიებში უშთავრესად ასახულია აფხაზეთის
საზოგადოებრივი ყოფა, აფხაზი ხალხის რთული, მეტად მწარე ტკივილ-

ბით აღსაყვებ ცხოვრება, ქართულ-აფხაზური მეგობრულ-კულტურული ურთიერთობა.

„აბუ-კინოს“ ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნება დღემდე უცნობია. მისი ვინაობის დასადგენად დახმარებისათვის თხოვნით მივმართეთ დამსახურებულ ბიბლიოგრაფს, ცნობილ მკვლევარს ქ-ნ თამარ მაკავარიანს, რომელმაც შემდეგი გვითხრა:

მეც დამინტერესა „აბუ-კინომ“, მაგრამ მისი პიროვნების დასადგენად ხელშესახები ვერაფერი აღმოვაჩინე. ამ საკითხის გამო თავის დროზე მივმართე აფხაზთან უშუალო კავშირის მქონე ქართველ მოღვაწეებს — თედო სახოკიასა და იპოლიტე ვართაგავას, მაგრამ არც მათ იცოდნენ „აბუ-კინოს“ ვინაობა. არც სოლომონ ცაიშვილმა იცოდაო რაიმე „აბუ-კინოს“ შესახებ.

ჩვენ შევაწუხეთ სხვა სპეციალისტებიც, რომლებიც უშუალოდ ქართულ პერიოდიკაზე მუშაობენ, მაგრამ მათთვისაც უცნობი აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო მოღვაწის ვინაობა. სხვათა შორის, ეს ფსევდონიმი უცნობია ქართულ ფსევდონიმთა ლექსიკონის ავტორისათვის დოკუმენტ გივი მიქაძისათვისაც. მივმართეთ ლიტერატურულ მუზეუმებს, მაგრამ საწადელ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ.

ისევ თამარ მაკავარიანამ გამოთქვა ვარაუდი: სინჯეთ, შეაჯერეთ მასალები, იქნებ რაიმე საერთო არსებობდეს „აბუ-კინოსა“ და კონსტანტინე მაკავარიანს შორისო.

ჩვენც მოკვიდეთ საქმეს ხელი. ერთმანეთს შევადარეთ „აბუ-კინოსა“ და კონსტანტინე მაკავარიანის ნაწერები, სტილი, მათ მიერ გამოყენებული ფაქტობრივი მასალა და მივედით იმ ვარაუდამდე, რომ „აბუ-კინო“ კონსტანტინე მაკავარიანის ფსევდონიმი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებები:

1. „აბუ-კინოსა“ და კონსტ. მაკავარიანის შეხედულებები აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიაზე, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე, „მეგრელებისა“ და „ქართველების“ მიმართებაზე მეტად ჰგავს ერთმანეთს. ისევე როგორც „აბუ-კინოს“, კონსტ. მაკავარიანსაც მეგრული (ასევე იმერული, გურული, რაჭველი) არ მიაჩნია ქართველად. ორივე მეგრელს, იმერელს, რაჭველს, გურულს თვლის დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულად.

2. ისე როგორც „აბუ-კინო“ (იხ. მისი „ჩემი დღიურიდან“, „მოამბუ“, № 9), ასევე კ. მაკავარიანი (იხ. მისი „Имеют ли право самурзканцы называть себя мингрельцами“. Черноморский вестник №№ 72, 73, 74, 75, 1899). დაბეჭდილებით ასაბუთებდნენ იმ აზრს, რომ სამურზაყანოელები არ არიან მეგრელები, არამედ ისინი აფხაზები არიან.

3. ამ აზრის არგუმენტაციისათვის ორივე ავტორს მოაქვს მსგავსი, თითქმის ანალოგიური საბუთები (სამურზაყანოულ-მეგრული სახელეებისა და გვარების შედარება-შეპირისპირება) და საერთოა მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობაც. მკითხველს უდავოდ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზემოთ დასახელებული ორი სტატიის ავტორი ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს.

4. ის არგუმენტაცია, რომელიც „აბუ-კინოს“ მოაქვს სტატიაში — „ჩემი დღიურიდან“ („მოამბუ“, № 9, 1895 წ., გვ. 62) სამურზაყანოელე-

ბის აფხაზური წარმოშობის დასამტკიცებლად, თითქმის ზუსტად გამო-
რებულია კ. მაქავარიანის სტატიაში Имею честь представить вашему
называть себя мингрельцами“ გაზ. „Черноморский вестник“,
№ 75, 1899 წ., გვ. 4).

5. გასული საუკუნის მიწურულში კონსტ. მაქავარიანი მსახურობდა
ბათუმში. „აბუ-კინოს“ ერთ ნაწარმოებს, კერძოდ, „შურის ხეს“ („ივე-
რია“ № 244, 1897 წ.) მიწერილი აქვს — „ლეგენდა, გავონილი ქობულ-
ეთში“. ესეც ექვს ბაღებს, ხომ არ არის „აბუ-კინო“ კონსტ. მაქავარი-
ანის ფსევდონიმი?

ყოველივე ზემოთქმულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ გასული საუ-
კუნის ბოლოს ქართული ჟურნალისტიკის სარბიელზე აფხაზეთიდან „აბუ-
კინოს“ მსოფლმხედველობის, ორიენტაციისა და განათლების მქონე
სხვა პიროვნება არა ჩანს, ვიდრე კონსტ. მაქავარიანია, შეიძლება ვივა-
რაუდოთ, რომ „აბუ-კინო“ XIX საუკუნის დასასრულისა და XX სა-
უკუნის დასაწყისის ცნობილი მოღვაწისა და მწერალ-ჟურნალისტის კონ-
სტანტინე მაქავარიანის ფსევდონიმია.

ერთი რამ ცხადია, „აბუ-კინო“ არის მეტად განათლებული, ერუდი-
რებული, ფართო დიაპაზონის ინტელიგენტი, პატრიოტი მოქალაქე, რო-
მელსაც თანაბარი ძალით აწუხებს როგორც ქართველის, ისე აფხაზის
სატიკვარი. ვინც არ უნდა იყოს ამ ფსევდონიმს ამოფარებული პიროვნე-
ბა, ამის უგულვებელყოფა შეუძლებელია.

„აბუ-კინოს“ ჩინებულად ესმის ეპოქის რთული სიტუაცია და და-
უნდობლად, გაბედულად იბრძვის ყოველგვარი ქედმაღლური, ამპარტავ-
ნული ეროვნული ყოყოჩობის, დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაგ-
ვრის, კაპიტალისტურ-მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ და ქადა-
გებს ხალხებს შორის ძმობასა და მეგობრობას, კეთილ ურთიერთობასა
და თანამშრომლობას, ურთიერთ პატივისცემასა და დაფასებას, ეროვნუ-
ლი თვისებების — ენის, კულტურის, ტრადიციის, ისტორიის დაცვასა
და შეუბღალაობას.

ჩვენთვის ცნობილია მისი სამი სტატია, სამივე „აბუ-კინოს“ ხელ-
მოწერით გამოქვეყნებული. პირველად მისი სტატია გამოჩნდა 1893 წელს
გაზეთ „ივერიაში“ (№ 52) სათაურით „წერილი სოხუმიდან“ მოცულო-
ბით დიდია და უკავია გაზეთის ნახევარი გვერდი). მეორე — გამოქვეყ-
ნდა 1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№ 9) სათაურით „ჩემი დღიური-
დან (მარიამობის 19 დღესა, 1893 წელსა დ. ოჩამჩირი)“. ეს არის ვრცე-
ლი სტატია — მოგონება. მესამე წერილი გამოქვეყნდა 1897 წელს გა-
ზეთ „ივერიაში“ (№ 244), რომლის სახელწოდებაა „შურის ხე (ლეგენ-
და, გავონილი ქობულეთში)“.

აი ის, რაც ვიცით „აბუ-კინოს“ შესახებ. სამივე სტატია, განსაკუთ-
რებით პირველი ორი, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია გასული
საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული ჟურნალისტიკის აზროვნების
თავისებურებათა ვასაშუქებლად. ამავე დროს იგი წარმოადგენს პირველ
წყაროს XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ-აფხაზური მეგობ-
რულ-კულტურული ურთიერთობის გასარკვევად. ამ სტატიების ავტორს
დასმულ საკითხში იგივე პოზიცია უჭირავს, რაც დამატებითი იყო
მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის და, კერძოდ, „ივერიისათვის“.
განვიხილოთ ეს სტატიები.

სტატიას „წერილი სოხუმიდან“ ეპიგრაფად წარმდგარებული აქვს შემდეგი სიტყვები:

„Только рост народного образования может дать нам силы врачевания наших многочисленных недугов“.

უკვე ეპიგრაფიდანვე გრძნობს მკითხველი, რომ სტატიაში საქმე ექნება ხალხის სოციალური ცხოვრების ისეთ საკითხთან, რომლის გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული განათლებაზე, კულტურაზე, გათვითცნობიერებაზე. სწორედ იმ დროს მთელს საქართველოში და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში, ეს საკითხი იდგა მეტად მწვავედ.

სტატია დაწერილია მცოდნე, განათლებული, ადგილობრივ სიტუაციაში გათვითცნობიერებული ადამიანის მიერ. უპირველეს ყოვლისა, მასში განხილულია სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ურთიერთდამოკიდებულების, თანაცხოვრების საკითხი.

როგორც „აბუ-კინოს“ სტატიიდან, ისე ამ პერიოდის პრესიდან და საარქივო მასალებიდან ჩანს, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან განსაკუთრებით გამწვავდა ეროვნული საკითხი მთელს რუსეთის იმპერიაში. ამან თავისი ანარეკლი ჰპოვა საქართველოში, მით უმეტეს აფხაზეთში, თვითმპყრობელმა პატარა ერებს აღიზიანებდა ერთმანეთის მიმართ, აღვივებდა მათ შორის შუღლსა და მტრობას, ზღუდავდა, ჩანასახშივე ახშობდა ყოველგვარ პროგრესულ ეროვნულ წამოწყებას, აბუჩად იგდებდა ნაციონალურ უმცირესობათა თავმოყვარეობას, იდეენებოდა ქართული და აფხაზური ენები როგორც სკოლებიდან, ისე ეკლესიიდან, ადგილობრივი მთავრობა, ზევიდან კარნახის შედეგად, ავადმყოფურად უყურებდა ეროვნულ კულტურულ ღონისძიებებს: მოხალისეთა წარმოდგენები, საღამო-კონცერტები, ლიტერატურული შეხვედრები და სხვ., რაშიც ხელდავდა ხალხის გათვითცნობიერების, ეროვნული შეგნების ზრდის საფუძველს. ამ და მსგავსი ღონისძიებების წინააღმდეგ ხელოვნურ ზღუდეებსაც კი ქმნიდა.

„აბუ-კინო“ ამ მოვლენებს ყურადღების გარეშე არ ტოვებს. პირიქით, იგი ცდილობს ასახოს ფაქტი და შემდეგ მისცეს მას სათანადო გაშუქება, უჩვენოს მკითხველს მოვლენის არა მარტო უარყოფითი მხარე, არამედ ისიც, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ უარყოფითს და როგორი უნდა ყოფილიყო მისი (მოვლენის) მეორე — დადებითი მხარე. „აბუ-კინოს“ სტატიაში ვკითხულობთ:

„ამ ბოლო დროს, საუბედუროდ, თითქმის ყველგან და ნამეტნავად იმგვარ მიყრუებულ კუთხეებში. როგორც ჩვენი სოხუმი, გამოძვრენ სოროებიდან, თვი აიღეს და სისინს მოჰყენენ იმ გვარი კაცები, რომელნიც, თუ თვით ადამიანს, ან გამოთქმულ მის მიერ რასმე აზრს ვერას დააკლებენ, ვერ პოულობენ ხოლმე მის შემოქმედებაში, აზრში რასმეს განკითხვის ღირსს, მაშინვე გადასწყდებიან მის შთამომავლობას, გვარ-ტომობას, ენას და რაკი ამ ნიადაგზედ დაადგამენ ფეხს — ძნელია თუ ვინმემ გაბედოს მათთან ბრძოლა: საშიშია, ქვეყნის, თითქმის სახელმწიფო მოღალატედ გამოგიყვანენ და ჩაგჩრიან პირში ბურთსა“.

ეს გადამთიელი მედღეხვალიეები, როგორც მათ „აბუ-კინო“ ეძახის — „გველაძეები“, ყველგან ეძებდნენ საკბილოს, რომ ადამიანისათ-

ვის სიციოცხლე მოეწამლათ და თვით ენეტარათ. ისინი მოსახლეობაში ასეთ პროპაგანდას ეწეოდნენ: „ვინც ამა და ამ ერს არ ეკუთვნის, ამა და ამ ენაზე არ ლაპარაკობს და არა სწერს, ის მოლაღატეა ქვეყნისა, სიციოცხლის ღირსი არ არის და თავისი სამშობლოდან განდევნილ უნდა იქნეს“.

სამართლიანად შენიშნავს სტატიის ავტორი, რომ ისინი ეგოისტები არიან. მათ არც თავიანთი ენა და ერი უყვართ, თორემ როგორ შეიძლება კაცს, კეთილშობილს, ჰუმანიტისტ მხოლოდ საკუთარი ენა უყვარდეს, სხვისი კი საშინლად სძულდეს, მშობლიური დედა უყვარდეს და სხვათა დედებს პატივს არ სცემდეს, თავისი სამშობლო ქვეყნითად სწამდეს და კლდეამოსილებით არ ეპყრობოდეს სხვის მამულს. „აბუ-კინო“ პატრიოტიზმისა და პატრიოტიზმის არსის ასეთ სწორ განმარტებას იძლევა:

„ვისაც სხვისი თავისუფლება, ერი, ენა, სარწმუნოება სძულს, პატივს არ სცემს, არც თავისი საკუთარი თავისუფლება, ერი, ენა, ქვეყანა ეყვარება და ადვილად უღალატებს ყოველივე ამას“.

აქ, როგორც ვხედავთ, მთელი ეროვნული პროგრამა ჩამოყალიბებულია. ეს ის პოზიციაა, რომელიც გასული საუკუნის ყველა პროგრესულ მოღვაწეს, რა ეროვნების წარმომადგენელი არ უნდა ყოფილიყო ის, ასულდგმულებდა; ეს ის პოზიციაა, ის მრწამსია, რომელსაც თაობები მსხვერპლად ეწირებოდნენ. ეს შეხედულება თერგდალეულთა ეროვნული პროგრამის ქვაკუთხედი იყო.

„აბუ-კინო“ ამ პოზიციას როდი თმობს. იგი პრესის საშუალებით ჩააგონებს ყველა არაქვეყანამყოფელ ადამიანს, რომ შოვინიზმი ეროვნული მეოზის დამოუკველი და დამირუხველია, რომ პატრიოტიზმი, პირველ რიგში, არის სხვა ხალხთა ეროვნული თავისუფლების, ენის, კულტურის, ტრადიციის პატივისცემის აღიარება. მას მოყავს ასეთი მაგალითი:

მთელს აფხაზეთში ცნობილმა საზოგადო მოღვაწე ქალმა მარიამ დავითის ასულმა შარვაშიძემ 1893 წელს მოიწადინა „ქართულ-რუსული წარმოდგენის გამართვა სასარგებლოდ იმ დედათა სასწავლებლისა, რომლის დაარსება ტფილისში განიზრახა დიდად პატივცემულმა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანმა“.

რამდენი წვალება, წინააღმდეგობათა გადალახვა დასჭირვებია ამ მოღვაწე ქალს, კეთილშობილ ადამიანს, რომ ეს ღონისძიება ჩაეტარებინა. „რამდენი ზნეობრივი ტანჯვა მიაცენა, — წერს სტატიის ავტორი, — ზემოხსენებული ჯურის ხალხმა ამ პატივცემულ კნ. მარიამ შარვაშიძეს? რა ოინები არ გამართეს, რა ჭორები არ გაავრცელეს, რომ ეს წარმოდგენა ჩვეშალათ და ხალხი ნაკლებად დასწრებოდა“.

ეს ხალხის მოძულე „მოღვაწეები“ ლაპარაკობდნენ თურმე: „ჩვენ რა, ტფილისში რომ სასწავლებელი იმართება და მერე ვისთვის?.. ქართველებსათვის! აბა ჯერ თვით ქართველები რა არიან, რომ მათი წარმოდგენა რა იყოს“.

წარმოდგენის მოსამზადებელ პერიოდში შანტაიცი კი დაუწყიათ: აფიშებს გლეჯდნენ, ხალხში ავრცელებდნენ აზრს, ნუ დაესწრებით, ცუდი წარმოდგენაა და ა. შ. ამ ბნელეთის მოციქულებს აი, როგორი პასუხი გასცა „აბუ-კინომ“:

„საზიზღარი და სამწუხარო ეს არის, რომ ამგვარი ოინების მოქმედნი ისეთნი იყვნენ თურმე, რომელთაც უნდა ესმოდეთ, რომ სწავლავანათლება ყოველთვის საჭიროა, ქართველი იყოს თუ რუსი, სომეხი თუ თათარი, ებრაელი თუ აისორი, რომ ის სახელმწიფო უფრო წინ არის, რომლის ქვეშევრდომთ შორის მეტმა ნაწილმა იცის წერა-კითხვა, რომელ ენაზედაც იყოს, სულ ერთია, რომ სკოლების დაარსება და გავრცელება სჯობს ყავახანების, სამიკიტნოების და სხვადასხვა ყომარბაზობის სახლების დაარსებასა და გამრავლებას“.

სტატიის ავტორი წინააღმდეგი როდია ენების შესწავლის, კერძოდ, ქართული ენის ათვისების, მისი დაუფლების. პირიქით, ზემომოტანილი სიტყვების ავტორი შოენისტი ვერაეითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა. იგი ენების ურთიერთობაში, ხალხთა დაახლოებასა და ურთიერთპატივისცემაში ხედავს მომავალი დღის ნათელ სახეს. რუსული ენა მას მიაჩნია იმ ენად, რომელიც დაახლოებს ერთმანეთს ხალხებს, შეამკიდროვებს მათ. რუსულს იგი უწოდებს სავალდებულო ენას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, განაგრძობს ავტორი, რომ საკუთარს უარი ეუთხრათ, ან ვისმეს უღირსად და უმინზეზოდ ვაძაგებინოთ იგი.

ჩვენში, — წერს სტატიის ავტორი, — ხო მოგვხსენებათ, ურუსულოდ ხომ არა იქნება-რა, ყველგან ასწავლიან და უნდა ასწავლონ კიდევაც. რადგან ეს ენა — დედა-ენის გარდა — საჭიროა ყველასათვის, როგორც სახელმწიფო ენა“.

„აბუ-კინო“, როგორც ვხედავთ, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პოზიციაზე დგას ამ საკითხშიც. იგი იზიარებს იმ აზრს და შეხედულებას, რომელიც თავის დროზე წამოაყენეს ი. ჰავეკავაძემ და ი. გოგებაშვილმა, რომ რუსული ენა ჩვენი მეორე მშობლიური, სახელმწიფოებრივი ენააო.

ასეთი ერთგვარი კომენტარის შემდეგ „აბუ-კინო“ გულისტკივილით აღნიშნავს:

„მაშ რა ეპრიანებათ, რად გვიშლიან, რად გველობებიან წინ, რომ გვინდა რითიმე აღმოვუჩინოთ ჩვენი თანაგრძნობა მომავალ, თუმცა ქართულ მაგრამ მაინც სკოლას, და არა მიკიტხანას?“

ის კულტურული ღონისძიება, რომლის თაობაზე დაიწერა „აბუ-კინოს“ სტატია და რომელსაც წინ აღუდგნენ შერაზხმელები, როგორც უროვნულ კულტურულ წამოწყებას, ქართველებისა და აფხაზების ერთმანეთთან კიდევ უფრო დამახლოებელს, დამაკავშირებელს, რაც ადგილობრივ ხელისუფალთ მიანცდამაინც არ მოსწონდათ (და ამის შედეგი იყო მათ მიერ მოწყობილი პროვოკაცია). მაინც ჩატარდა ჩინებულად. ხალხიც ბევრი დასწრებია.

„სიამოვნებით და თავმომწონებით შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, — უკითხულობთ სტატიაში, — რომ აქაური ქართველობა — დიდი თუ პატარა — სიხარულით დაესწრო ამ წარმოდგენას და დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა სცენის მოყვარულთ, ვაშა მათ!“

იმ საღამოს ქართულად დაუდგამთ ა. ცაგარლის ორმოქმედებიანი კომედია „ბაიყუში“, ხოლო რუსულად „ერთი ფინჯანი ჩაი“. სპექტაკლებიდან შემოსულა 153 მანეთი და იგი დანიშნულებისამებრ გაუგზავნიათ თბილისში.

ასეთი საქველმოქმედო ღონისძიებებს შემდეგ ფართოდ მიეცა გასაქანი როგორც აფხაზეთში, ისე მთელს საქართველოში და ისინი დიდად უწყობდა ხელს წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას, მატერიალურად ეხმარებოდა ხელმოკლე ნიჭიერ სტუდენტებს, აღვივებდა ეროვნული თვითშეგნების გრძნობას და ა. შ.

სტატია მთავრდება ბარათაშვილისეული ოპტიმისტური მოწოდებით, რომელიც უკანდახვევის ყველა გზას უარყოფს და მხოლოდ მომავლისადმი სწრაფვაში ხელდავს ცხოვრების მიზანს:

„არა უშავს-რა! დეე, დაშხამულნი მათგან დავიხოცნეთ. მაგრამ გზა უვალი, ჩვენგან თელილი, მინც დარჩება და ჩვენ მოძმეთა და შვილი-შვილთა გაუადვილებს მის გარბენას!“

როგორც ვხედავთ, „აბუ-კინო“ ის კორესპონდენტი არ არის, რომელიც შპრალ ფაქტს აწოდებს გაზეთს, არამედ შემოქმედი ადამიანია, განათლებული, კულტურული, რომელსაც ესმის ცხოვრების რთული სიტუაცია, კარგად ერკვევა მოვლენათა მიზეზობრივ კავშირში და ცხოვრებისეული ფაქტიდან გამომდინარე აკეთებს მეტად საღ, საჭირო და სასარგებლო დასკვნებს. ამით კი იგი მკითხველში ნერგავდა მოწინავე იდეებს, ებრძოდა მეზღუდულ მსოფლმხედველობას, დაფუძნებულს ხალხთა მტრობასა და შურზე. „აბუ-კინო“ ი. ჰაქვაძის „ივერიის“ ერთ-ერთი მოწინავე კორესპონდენტი იყო აფხაზეთიდან, გაზეთის რედაქციის იდეების მქადაგებელი და ცხოვრებაში გამტარებელი.

„აბუ-კინოს“ მეორე ვრცელ სტატიაში „ჩემი დღიურიდან“, საკმაო სიცხადით გადმოცემულია გასული საუკუნის 70-80-იანი წლების აფხაზეთის ვითარება, მასაჯირობის გამოშვევი მიზეზები და გამოთქმულია მეტად საღი ოპტიმისტური მოსაზრება. ამ წერილში ავტორი ლირიკულ-ეპიკურ ფორმებში გადმოგვცემს თავის სათქმელს.

ავტორი თხრობას იწყებს ლირიკული სურათით: როდესაც ოჩამჩირეში მიხდება ყოფნა, წერს იგი, არ შეიძლება ხელში არ ავიღო თოფი და მდინარე ლალიძგის შესართავისაკენ არ გავსწიო. რა დიდებული სანახაობაა, რა სილამაზეა, როდესაც ქარიშხალი ამოვარდება და მდინარის ფაფარაყრილი დინება ერკინება ზღვის ვოროზად აზვირთებულ ტალღებს. ზღვა და მდინარე ერთმანეთს ებრძვიან. ეს ზღაპრული სანახაობა და ფიქრის საღერდელს ამიშლის ხოლმე.

ერთხელ, გასიარინების დროს, „აბუ-კინოს“ სწორედ მდინარე ლალიძგის შესართავთან შეხვედრია სიყარმის მეგობარი მურზაყან კოდორიძე, რომელიც ომიანობის დროს თურქეთში ყოფილა წასული. „მამა მურზაყანის ნახვა“, — ამბობს ავტორი და თან მისივე თხოვნით მურზაყანი მოუთხოვს თავის ამბავს.

მურზაყანი ცხოვრების მიმართ მეტად პესიმისტურადაა განწყობილი. იგი მუქ ფერებში გადმოსცემს თავის ამბავს. მის მწუხარებას საზღვარი არა აქვს იმის გამო, რომ თანდათან „ეკარგება თვით მამაპაპეული მამული, რომლის თითქმის ყოველი მტკაველი მიწა მორწყულია მამაპაპათა სისხლითა და ოფლით“.

ბუნების მშვენიერი სანახაობით აღფრთოვანებული მურზაყანი თანამოსაუბრის ყურადღებას მიაპყრობს აქაფებული მდინარისა და ზღვის ჭიდილს და ასეთი დიდებული სტრიქონებით აღწერს მას:

„აჰა, ლალიძგა ჩქარის იერიშით მიღის ზღვაზედ, აპობს, ეხვევა-ეტრფის, თითქოს ვევედრება: „რად ჭავრობ, რადა მკრავ შენს მრისხანე ძლიერს ტალღას მკერდს და არ მაძლევ ნებას, რომ შემოგიერთდე და შენს მრისხანე მკერდზე დავლიო ეს ჩემი შენთვის განწირული სული?! ხომ იცი, მიყვარხარ და ვესწრაფები შენთან შერთებას! რაც უნდა იცოფო, არ მოგეშევი! შენთან სიკვდილი და შენს მრისხანე მკერდზე სულის დაღვევა მიჩვენია შენს მეზობელ ამწვანებულ, უძრავ, დაჯუბებულ და ხავსმოკიდებულ ჭაობთან შეერთებას და იმასთან სიცოცხლესა“.

როგორ მოგვაგონებს ეს ი. ჭავჭავაძის სიტყვებს „მგზავრის წერილებიდან“ მშფოთთარე თერგისა და ცივი, მიუკარებელი მყინვარის შესახებ. აქ ცხოვრების ღრმა ხედვა ჩანს, რომლის მიღმა „აბუ-კინოს“ ფილოსოფია იჩენს თავს.

ბუნების სანახაობით დამტყბარი მურზაყანი გულისტყვივით ამბობს: „ღმერთმა ჰკითხოს, ვინც მე ამის კიდევებს მაშორებს“. მურზაყანს (ის ნამაჰაჩირალია) თვალი მაინც თურქეთისაკენ უჭირავს და ეძებს მომენტს, რომ სამშობლო დასტოვოს და ოსმალეთს მიაშუროს.

ამ საკითხზე ავტორსა და მურზაყანს შორის ცხარე დიალოგი იმართება. საუბრის დროს მურზაყანი თავისდაუნებურად ქართულ მეტყველებაში რუსულ სიტყვებს ჩაურთავს. ეს შეამჩნია „აბუ-კინომ“ და მისცა შენიშვნა, რაზედაც მურზაყანი პასუხობს:

„განათლებაა. ჩვენი დედა-ენა არც მაშინ გვცოდნია, არც ეხლა ვიცით! რა გვისწავლია. ამის გამო რუსულად ვფიქრობთ, ლექსს რუსულად ვაშენებთ და მერე ჩვენს დედა-ენაზე ვთარგმნით. იქნება ვსცდებოდდე, მაგრამ ეს ნაკლოვანება შემიმჩნევია ზოგიერთ ჩვენ გამოჩენილ ეხლანდელ ქართულ მწერალთათვის...“

იმ ქრის საქმე, რომელიც თავის ენას ივიწყებს და არ ჰცდილობს. იმის დაცვას და გამშვენიერებას, წასულია, იმისი მომავალი — სიკვდილია, მოსპობაა...“

აი, როგორ საღად მოაზროვნე ადამიანად წარმოგვიდგება „აბუ-კინო“. მას კარად ესმის ის კანონზომიერება, რომ საჭიროა სისხლითა და ოფლით საკუთარი ეროვნული მეობის დაცვა, უკიდურეს შემთხვევაში ერი განწირულია სასიკვდილოდ.

„აბუ-კინო“ განწირულ ადამიანად წარმოგვიდგენს მურზაყანს, რომელსაც ასეთ სიტყვებს ათქმევინებს:

„მშვიდობით, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო გიყმაყო ლალიძგავ, მშვიდობით! დიდხანს, იქნება ვერასოდეს ვერ ვნახო შენი მშვენივრად ამწვანებული კიდები!.. მშვიდობით!..“

დაასრულა სათქმელი და „ცრემლები დაჰა-ლუპით გადმოსდიოდა თვალთაგან, თითქოს მართლაც სამუდამოდ ესალმებოდა, ჰკარგავდა თავის საყვარელ, ძვირფას მშობელს, მეგობარს“, — წერს ავტორი.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ თანამოსაუბრეს „აბუ-კინო“ გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავს:

„— რა გემართება, კაცო?! სად მიდიხარ, სად?!

— ჭანდაბას: სათათრეთში!“

„აბუ-კინომ“ ასე მგრძობიერად აღწერა აფხაზი კაცის განცდა, მისი უნაპირო პატრიოტიზმი, მშობლიური მიწის სიყვარული. აფხაზ

კაცს რა უნდოდა სათათრეთში, რად სტოვებდა იგი თავის ძვირფასს, სულ-ზე უტყბებს მამულს — აფსნის? აი, დიღემა, რომლის წინაშე აღმოჩნდა „აბუ-კინო“. მან ეს პრობლემა დასვა და კიდევაც მისცა ობიექტური და ჰუმანური გადაწყვეტა.

ამ გულის სატივიარს, სულის აღმაშფოთებელ კითხვას შორიდან ყვება მურზაყანი. ის დაწვრილებით მოგვითხრობს აფხაზთა ადათ-წესების, გმირობისა და ვაჟკაცობის, მაპაჭირთა ხვედრის შესახებ. აღწერილია რუსეთ-თურქეთის ომის (1877-78 წწ.) შედეგად აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია, როდესაც უნიკო მეფის გენერლების ნაცვლად ისევ უბედური აფხაზები სცნეს დამნაშავედ.

„გათავდა ომი, — ჰყვება მურზაყანი, — და ხელახლად დამტიკიდა კიდეც, ჩემო აბუ-კინო, ძველი და ყოველთვის ახალი ჭეშმარიტება: „უძლური ყოველთვის მტყუანია ძლიერის წინაშე“. მურზაყანის აზრით, „აფხაზეთის აჯანყების დამნაშავედ და მიზეზად იცნეს არა უხეირობა და უფარგისობა უფროსის მწყემსისა, რომელმაც ფარა დატოვა გარემომორტყმული მგლების ანაბრად, არამედ თვით ფარა — აფხაზნი. ამის გამომთელი აფხაზეთი განყოფილ იქნა ორ ნაწილად. დამნაშავედ და არადამნაშავედ. პირველთა რიცხვში მოაქციეს მცხოვრებნი მდ. ბზიფსა და ლალიძგას შუა, ხოლო უკანასკნელთა რიცხვში — ლალიძგასა და ენგურს შუა“.

აი, ასე დაიწყო აფხაზი ხალხის ტრაგედია. მურზაყანი გაოგნებულია. ის სრულიად მართებულად აცხადებს: რა შუაშია ხალხი, რა დააშავა მან, რატომ აპყარეს მას უფლებები? მოლაღატეა არა ხალხი, არამედ ის, ვინც ხალხის სახელით მოქმედებდა და ხალხს უბედურებისაკენ ერეკებოდა. „ჩემის აზრით, — განაგრძობს იგი, — დამნაშავედ ცნობილნი უნდა იყვნენ და უნდა დაისაჯონ კიდევაც მხოლოდ ისინი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მაპაჭირებისაგან აფხაზეთის აოხრებაში, რომელნიც იყვნენ მათ ბელადებად... მოლაღატე თავის მამულისა და ერისა — მოლაღატელთისა, კაცობრიულ ღირსებისა და დევნილ უნდა იყოს შეუწყნარებლად“.

მურზაყანი უკმაყოფილოა მეფის მთავრობის დამოკიდებულებით აფხაზი ხალხისადმი. ეს არის იმის მიზეზი, რომ იგი თურქეთში გარდახვეწას ცდილობს. აფხაზი თავადიშვილი თავის თხოვრებას ასე ამთავრებს:

— „საკმარისი არ ვილაპარაკე?!“ — და შემდეგ მოტანილია გრ. ორბელიანის ცნობილი სიტყვები: „ან ეს, რაცა ვთქვი, რადა ვთქვი, თუ, რაც მინდოდა, ვერა ვთქვი“.

მურზაყანის ამ მძიმე თხოვრებას „აბუ-კინო“ შესანიშნავ პასუხს გაცემს, რომელიც პატრიოტიზმის არსის მართლაც იშვიათი ნიმუშია. მან თავის პასუხში კავკასიელ ხალხთა ყველაზე გრძნობიერ სიმს ჩამოაკრა ხელი და ეპოქის მოწინავე აზრის დონეზე აახშიანა. სტატისის ავტორმა გამოამყდავანა დიდი ჰუმანიზმი და ფართო განათლება, ისტორიის ღრმა ცოდნა. ამ სტატიით „აბუ-კინო“ ჩვენს წინაშე წარსდგა, როგორც ხალხთა სოლიდარობის, განსაკუთრებით ქართველ და აფხაზ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის დიდი მქადაგებელი.

მურზაყანის მწარე თავგადასავალს იგი გულდასმით აღევნებდა გულისყურს და შემდეგ უპასუხა: აქვს თუ არა ჭკვათამყოფელ ადამიანს უფლება, მიატოვოს სამშობლო და უცხო ქვეყანაში გარდაიხვეწოს? თუ აქვს, რა შემთხვევაში და როდის?

მას სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაგან“ მოაქვს ჯუმბერის ცნობილი სიტყვები, რომ მხოლოდ უკიდურესად წამებულ ადამიანს, ყველგან და ყველასაგან განწირულ მოქალაქეს აქვს უფლება გარდახვეწისა, ცხოვრებაზე უარის თქმისა.

მაგრამ შენ რა გაიძულებს, ჩემო კარგო, მიმართავს იგი მურზაყანს, რომ „შენის მამა-პაპის მამულს, იმით საფლავს, სალოცავს, მიწა-წყალს. თავი დაანებო და სამულამოდ გადაიკარგო უცხო ქვეყანაში, სადაც მწუხარების მეტი, ეს წინაწინვე შეიძლება ითქვას, არა მოგელის რა!.. ისევე ის არა სჯობს, ის ოფლი, ის ჯაფა, ჭკუა, გამჭრიახობა შენს სამშობლოსვე მოახმარო?“

რა ვუყოთ, რომ უმამულოდ დარჩი. ის ისევე შენია, დროებით ჩამოგერთმევა, ისევე დაგიბრუნდება. განა შეიძლება სამშობლოს სიყვარული. ქონებით, სიმდიდრით განიზომოს. მაშ რა ქნან იმ ადამიანებმა, რომლებსაც არაფერი აბადიათ, მაგრამ მშობლიური მიწა-წყალი უნაგაროდ უყვართ და მისთვის სულსაც არ დაიშურებენ. „ნუთუ ყველანი უმამულონი უნდა გადინხვეწნენ თავის სამშობლოდან?“

ამას მოსდევს აღწერა იმ მძიმე სურათისა, რომელიც მოჰყვა ქართველების (აქარლების), ყაბარდოელების, ოსების, ჩერქეზების, ინგუშების თურქეთში გადასახლებას.

„მომეტებულს ნაწილს, — განაგძობს იგი, — სანანურაღა აქვს სამულამოდ სამშობლოს დატოვება: ახალციხის მესხნი, აქარელნი, ქობულეთელნი, ოსნი, ყაბარდოელნი, ჩერქეზ-ჩაჩანნი — სუყველანი ეხლა. ცხვირში იცემენ და სინანულში არიან, რომ ასე შესცდნენ და თავი დაანებეს თავის სამშობლოს და გადაიკარგნენ საღლაც სათათრეთში!.. გახსოვს სათათრეთში გადახვეწილთაგანი რამდენი ხალხი მოაწვა ერთს ღამეს აბასთუმანს (ახალციხის მახრა) და განსვენებული თ. ფერდ. ვიტგენშტეინს ცრემლით ევედრებოდა შუამავლობას დიდის მთავრის მიხეილის წინაშე, რომ ნება ჰბოძებოდათ თავის ცოლშვილითა და ნათესაობითა სამშობლოშივე დაბრუნებულიყვნენ?! გახსოვს, რა ცხარის ცრემლით სტიროდა მთაში ვაჟკაცობით განთქმული თათარხან დუღუაროვი და სწყველიდა იმ დღეს, რა დღესაც იგი თავის ნათესაელებით და მეზობლებით მოშორდა თავის სამშობლო ქვეყანას და სათათრეთში გადასახლდა? ძლიერ კარგად იცი, რომ ამგვარ კაცსა, როგორც თათარხანი იყო, დიდი პატივი ექნებოდა სათათრეთში, მაგრამ იმანაც ვერ ამოიღო გულიდან თავისი სამშობლო!“

ჩვენი ქვეყანა მდიდარი და ლამაზია. მას უცხოელები უხსოვარიდროიდანვე ბუზებივით ესეოდნენ, სჭიკვინდნენ, მიწასთან ასწორებდნენ. მათ არც დღესაც უჭირავთ განზე თვალი და შურით შეჰყურებენ მას. თუ ღრო მოიხელთეს, კიდევაც მოგვინებლებენ და კიდევაც დაეპატრონებიანო ამ წალკოტს. შემდეგ მოაქვს კონკრეტული მაგალითი თვით მურზაყანის სამშობლოდან:

„გადახედე თქვენს ძველ აფხაზთა და ჩერქეზთა ადგილებს: სომხები, ნემეცები, ჩეხები, მალაროსები და სხვ. ყველანი აქაურობას ეტანებიან, ჩვენ კი აქედან მივრბივართ?.. მიკვირს ჭეშმარიტად, აქამდისინ როგორ ვერ მიხვდით. ვისაც კი საღერღელი აგშლიათ სამშობლოდან განძევებისა. რომ თქვენ ასრულებთ სურვილს გაიძვერათა, რომელთაც სურთ თვითონ დასახლდნენ თქვენს ადგილას“.

ამიტომ სანამ სული გიდგას და მეყრდში გული გიკემს, შენს მამულს უნდა მოუარო, აქ გაიმაგრო ჯილაგი, ფეხი მყარად მოიკიდო და შთამომავლობა გაამრავლო. არანაკლებ დანაშაული ჩაიდინა ქართველმა თავად-დაზნაურობამაც. მან თავისი მამული უტხოვლებზე გაჰყიდა და დარჩა თვითონ ჩალაგამოვლებული. შემდეგ დაიწყო წუწუნი უმამულო სამშობლოზე. ასეთი საქციელი ქვეყნის ღალატია, დიდი დანაშაულია ერისა და მომავალი თაობის წინაშე. მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეუტყნადოთ.

„აბუ-კინო“ მშვენიერად მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა მიმართება უნდა არსებობდეს მშობლიურ მიწასა და მამულიშვილ შორის. მისი სწორი განსაზღვრით, „მოლაღატე და იუდა არის სამშობლოსი ყოველი ჩვენთაგანი, რომელსაც, თუნდა ერთი მტკაველი მიწა ჰქონდეს, თავისი ნებით დასტოვებს იმას და მირბის სხვა ქვეყანაში! ჩვენი, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ძვლები ჩვენთა წინაპართა ძვლებთან ერთად მიბარებულ და მათთან ერთად მოსვენებულ უნდა იქნას... მეგრწმუნე, ის აღამიანი, რომელიც თავისი ნებით თავს დაანებებს სამშობლოს, ტომს, ენას, რჯულს — ფეხს ვერსად მოიკიდებს, — არც თავისის ახლის სამშობლოს ფასი ეცოდინება და იმასაც ისე ადვილად დატოვებს, უღალატებს, როგორც თავისი ძველი სამშობლო დატოვას! შენ შენი თუ ვერ შეითვისე, ვერ შეინახე, ჩემსას როგორ შეითვისებ და როგორ გაუფრთხილდები?“

ეს არის დაჰრილი გულის მოთქმა, სულიერი სიმშვიდედაკარგული აღამიანის გოდება თავის სამშობლოზე, გავერანებულ მიწა-წყალზე, წინაპართა შებღალულ საქვალესა და გაურკვეველ მომავალზე. ეს არის უბედურ მამულზე მწარე ცრემლებით ტირილი და ამავე დროს გაბედული მოწოდებაც, რომ ქვეყანას, ხალხს მოვლა და პატრონობა უნდა და არა წუწუნი, სამშობლოში დარჩენა და ბრძოლა ეროვნული და სოციალური აღორძინებისათვის და არა სხვის ქვეყანაში გადახვეწა, ცხოვრებასთან შერკინება და არა მისგან გაქცევა. „აბუ-კინო“ ზუსტად მიზანში ახვედრებდა ნათქვამს. იგი თავის მკითხველებს საკუთარ გულში ახედებდა და აიძულებდა, თვითვე გაეცათ პასუხი დასმულ კითხვაზე. სტატიის ავტორის ეროვნული პროგრამა, როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართული აზროვნების უშუალო გამოხატულება იყო. ამავე დროს „აბუ-კინო“ გვევლინება ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, ერთა თანამშრომლობისა და სოლიდარობის მქადაგებლად.

„აბუ-კინოს“ სიტყვებმა დიდი ზემოქმედება მოახდინეს მურზაყანზე. ამ უკანასკნელმა ვერ გაუძლო ჰემშარიტების ღალატის და წამოიძახა:

„მარცხ მიქმენ, გალილეველო“, — ვრჩები, თუმცა ვიცი, ბევრი შავი დღე მომელის აქ!..“

ასე ენასკვებოდა ერთმანეთს ქართველებისა და აფხაზების ისტორია, ასე ხელიხელჩაკიდებული იზიარებდნენ ისინი ერთურთის მწუხარებასა და სიხარულს.

„აბუ-კინოს“ ლეგენდა „შურის ხე“ მეტად საინტერესო ნაწარმოებია. მას წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი „აბუ-კინოს დღიურიდან“. ნაწარმოებში გაკილულია ზოგიერთი ქართველის ბედოვლათობა, გაუტანლობა, დაუნდობლობა დაახლოებით იმგვარად, როგორც ეს ი. ჭავჭავაძემ „ბედნიერ ერში“ მოგვცა.

ავტორს ლეგენდა ჩაუწერია ქობულეთში და ამიტომ იგი მუსულ-მანური რელიგიის ელფერს ატარებს. მისი ქარგა ასეთია:

ალაჰმა უხვად დააბერტყა საქართველოს თავისი მადლი: სილამაზე, სიუხვე, სიკეთე ყოველი, ხალხი გახადა სათნო, ღვთისნიერი, უბოროტო, მოყვასის მოყვარული, ბედნიერი და უშურო.

ეს რომ ნახა სატანათ უფროსმა, არიმანმა, თქვა: თუ ასე წავიდა საქმე, ჩემს სამყოფელს — ჯანდაბას — არავინ მიეკარებაო. ამიტომ განიზარაბა, ბოროტს ბოროტება დაეთესა. მივიდა ღმერთთან და უთხრა: შენს ნახეულავს რალაც აკლია, რასაც შენ ვერ ამჩნევ, და მე მოვასრულებო. ღმერთმა ირწმუნა ეშმასეული სიტყვა და მისცა ნება სურვილის აღსრულებისა.

არიმანმა მარცხენა კალთა აიკეცა და ირგვლივ ხის თესლი მიმოაბნია. ამოვიდა ყოვლად ლამაზი ხე, დახუნძლული სხვადასხვა ნაყოფით. მიეძალა ხალხი. ნაყოფისათვის ძმამ ძმა არ დაინდო, მამამ — შვილი, მეზობელმა — მეზობელი. გაჩნდა შური და მტრობა. ასე იხარა შურის ხემ, არიმანის მიერ გახარებულმა, ბოროტების დასათესად ხალხთა შორის.

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიზნისა არ იყოს, „აბუ-კინომაც“ ამიტომაც გამოაქვეყნა ეს ლეგენდა იმ უკუღმართ დროს, რომ იგი ხედავდა, თუ როგორ ღვივდებოდა მოძმეთა შორის შური და მტრობა და „არიმანიც“ რა დიდი შედეგებით აღწევდა წარმატებას. „აბუ-კინოს“ მიერ გამოქვეყნებული „შურის ხე“ ერთი პატარა წვლილი იყო ამ ბოროტების აღმოსაფხვრელად.

„აბუ-კინო“ გვევლინება თავდადებულ ეროვნულ და საზოგადო მოღვაწედ XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე.

ანთიმოზ ჯუღალი

გასული საუკუნის ბოლოს აფხაზეთში მოღვაწე ქართველ პედაგოგთა შორის აღსანიშნავია ანთიმოზ ჯუღელი — მეტად განათლებული პიროვნება, სოხუმის მთიელთა სკოლის მასწავლებელი, ბავშვთათვის არა ერთი და ორი საინტერესო სახელმძღვანელოსა და მხატვრული ნაწარმოების ავტორი.

იგი აფხაზეთში ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეობას, იყო სცენისმოყვარეთა წრის ერთ-ერთი ორგანიზატორი და აქტიური წევრი, ქართული ჟურნალ-გაზეთების („დროების“, ივერიის“, „შრომის“, „მწყემსის“) მუდმივი კორესპონდენტი, ამ ორგანიზაციის ფურცლებზე ასახავდა აფხაზეთის, იმერეთის, სამეგრელოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს — სახალხო განათლებას, კულტურას, სოფლის მეურნეობას, მონაწილეობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში და ა. შ. მისმა წერილებმა იმთავითვე მიიპყრო მოწინავე ქართველი საზოგადოების ყურადღება.

ანთ. ჯუღელის ასეთი საქმიანობა მეფის მთავრობას შეუუმჩნეველი არ დარჩენია. იგი შეტანილ იქნა „ქართული პარტიის“ სიაში. ასე ნათლავდნენ ცარიზმის დამქაშებები აფხაზეთში მოღვაწე ქართველებს, რომლებიც

წინააღმდეგობას უწევდნენ თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას. და ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნულ უფლებებს იცავდნენ.

საზოგადოებრივ და კულტურულ მოღვაწეთა ის ჯგუფი, რომლის წევრიც ან. ჯუღელი იყო, ხასიათდებოდა ინტერნაციონალური შემადგენლობით. მასში შედიოდნენ ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი, ბერძენი ხალხების პროგრესული წარმომადგენლები. ისინი ერთიანი მონდომებით მართავდნენ წარმოდგენებს, აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს და შემოსულ თანხას საქველმოქმედო მიზნისათვის იყენებდნენ.

ანთ. ჯუღელი განათლებითა და პროფესიით იყო პედაგოგი, ჰუმანისტი მასწავლებელი. მას კარგად ესმოდა სკოლისა და საერთოდ განათლების როლი მშრომელი მასების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, ხალხთა კარგი ურთიერთობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში. ამდენად, მთელი მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ექვემდებარებოდა ხალხის განათლებისა და განვითარების, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების, ეროვნული და სოციალური თავისუფლების საქმეს.

ანთ. ჯუღელმა მასწავლებლობა დაიწყო ხონში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ხოლო „ღრობაში“ თანამშრომლობა — 1873 წლიდან. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება კეთილშობილურ საქმეს — ახალგაზრდობის აღზრდასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას შესწირა.

ანთ. ჯუღელს სკოლა და განათლება მიაჩნდა ეროვნული და სოციალური პროგრესის საფუძვლად. „სწავლა-განათლება არის უპირველესი საშუალება კაცობრიობის კეთილდღეობისა და წარმატებისა“.¹⁰⁰ — წერდა იგი.

მის პედაგოგიურ შეხედულებებს თავის ღროზე ჰქონდა უდავოდ დიდი მნიშვნელობა მაშინ ღარიბი ქართული პედაგოგიური აზროვნებისათვის. მართალია, მას მწყობრი, გარკვეულად ჩამოყალიბებული კონცეფცია არ ჰქონდა შემუშავებული, უმეტესად გამოდიოდა ცალკეულ მტკივნეულ საკითხებზე, აქტუალურ პრობლემებზე, რაც მნიშვნელოვანი იყო იმდროისათვის. იგი, აგრეთვე, ხშირად აქვეყნებდა მეთოდური და პრაქტიკული მნიშვნელობის წერილებს პედაგოგიიდან სოფლის მასწავლებელთა დასახმარებლად. ანთ. ჯუღელი მრავალ წერილსა და სტატიაში გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მასწავლებელთა ინტელექტუალური დონე ძალზე დაბალი იყო და არც არავინ ზრუნავდა ამ ხარვეზის გამოსწორებისათვის. სასკოლო ნაგებობებიც ხშირ შემთხვევაში ვერ აკმაყოფილებდნენ მათზე წაყენებულ მოთხოვნებს. საბოლოოდ კი ეს გარემოება აბრკოლებდა ეროვნულ საქმეს — მოზარდი თაობის აღზრდას, მის განათლებას.

„ამჟამად საკმაოდ ბევრია ჩვენში სახალხო სკოლები, — მიუთითებდა იგი, — მაგრამ უმეტეს მათგანს არც სადგომი სახლი და არც მზრუნველი ყავს, ურომლისოდ, აღილი წარმოსადგენია, როგორ მდგომარეობაშიც იქნებიან ეს სკოლები“.¹⁰¹

¹⁰⁰ გადაღებული (ანთ. ჯუღელი), მასწავლებელთა საყურადღებოდ. „ღრობა“, № 233, 1883 წ.

¹⁰¹ ანთიმოზი (ანთ. ჯუღელი), სამეგრელო. „ღრობა“, № 84, 1875 წ.

ეს მაშინ ხდება, განაგრძობდა იგი, როდესაც მშრომელი მასები სუ-
ლით და გულით მოწოდებულნი არიან სწავლისათვის. ხალხმა გაიგო გა-
ნათლების ფასი. სწორედ ახლას საჭირო ამ საქმის მესვეური, ხელმძღვა-
ნელი, წარმმართველი, მაგრამ პატრონი არა გვყავსო. „ოდესაც შეუძ-
ლიან მეგრელებს სასწაული გააკეთონ, მაგრამ საქმის ხელმძღვანელი და
წინ მძღოლნი არიან საჭირონი“.¹⁰²

ანთ. ჭულელი იმ ზომამდე იყო დაინტერესებული ხალხის გათვით-
ცნობიერებით, სკოლების ქსელის გაფართოებით და იმდენად გრძნობდა
პასუხისმგებლობას, როგორც მოქალაქე და მასწავლებელი, რომ მოუწო-
დებდა პედაგოგებს თავიანთი მწირი ხელფასიდან გაეღოთ გარკვეული
თანხა წიგნების გამოსაცემად, ხალხის გასანათლებლად.

„პირობა დავდოთ, — მიმართავდა იგი მასწავლებლებს, — რომ თი-
თო ჩვენთაგანმა ჩვენი ღარიბი ჯამაგირიდან თვეში თითო ან მეტნაკლები
მანეთი გავიღოთ საში წლის განმავლობაში, შევავარავთ პატარა სასესხე-
ბელი ბანკი და თავნი ფულისაგან რაც სარგებელი შემოვა, იმით ქართულ
ენაზე სახალხო წიგნები გამოვცეთ“.¹⁰³

რა კეთილშობილური წინადადებაა, როგორ ჩანს ერის მოსიყვარუ-
ლე ადამიანი, ჰუმანური მოღვაწე. თვითონ ღარიბი და არაფრისმქონე.
კიდევ სახსარს იღებდა ერის საკეთილდღეოდ, მისი მომავლისათვის. სწო-
რედ ასეთ, ერთი შეხედვით პატარა, დეტალებში ვლინდება ერისკაცის.
უანგარო მამულიშვილის ნამდვილი სახე.

ანთ. ჭულელის წამოწყებას მხარი დაუჭირა „დროების“ რედაქციამ:
„ცარიელ თანაგრძნობას გარდა „დროების“ რედაქცია მზად არის
თვით საქმიანად დაეხმაროს ამ კეთილი განზრახვის შესრულებას“.

ანთ. ჭულელი, როგორც აღვნიშნეთ, მოწოდებით პედაგოგი იყო. მას
აწუხებდა საკითხი, სკოლაში თუ როგორ წარიმართებოდა ნორჩი თაობის
აღზრდა. ეს კარგად ესმოდა განათლებულ პედაგოგს და ამიტომ იგი 1875
წელს დაწყებითი კლასების ბავშვთათვის აქვეყნებს „წერის სასწავლო
დღიანს“, რომელსაც ანონიმმა რეცენზენტმა საკმაოდ მაღალი შეფასება
მისცა:

„თუმცა ნაკლოვანებანი აქვს ამ ახლად გამოცემულ უფ. ჭულელის
დღიანს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის ძვირფასი შეძინება არის ჩვენი
ღარიბი პედაგოგიური ლიტერატურისათვის და, უეჭველია, რომ იმის
გამოცემას დიდი მადლობითა და სარგებლობით მიიღებენ ჩვენი მოსწავ-
ლე თაობის მასწავლებელნი“.¹⁰⁴

1880 წელს ანთიმოზმა გამოსცა საბავშვო მოთხრობების კრებული
სახელწოდებით „ამბები სოფლის ცხოვრებიდან, ყმათათვის“, რომელსაც
„დროების“ რედაქცია დადებითად გამოეხმაურა:

„ამ პატარა, შნოიანად გამოცემულს წიგნში ოთხი საყმაწვილო მო-
თხრობაა მოყვანილი... თუმცა, აქა-იქ ამ წიგნში ენის წინააღმდეგ ზოგი-
ერთი შეცდომაა, მაგრამ საზოგადოდ მთელი წიგნი ადვილად საკითხავი
და პირველდაწყებითი სკოლების ყმაწვილთათვის, უეჭველია, კარგი და

102 ანთიმოზი (ანთ. ჭულელი), სამეგრელო. „დროება“, № 76, 1875 წ.

103 „დროება“, № 446, 1874 წ.

104 „დროება“, № 183, 1879 წ.

სასარგებლო წიგნია“.¹⁰⁵ 1881 წ. ანთ. ჯუღელმა გამოსცა საბავშვო უფრ-
ნალი „წყარო“.

ანთიმოზ ჯუღელი პოეზიასაც ეტანებოდა, მაგრამ აქ, ეტყობა, მუ-
ზა არ წყალობდა. 1878 წელს მან გამოუშვა უცნაური სახელწოდების
წიგნი, ლექსების კრებული, სახელწოდებით „სიყვარული, შედგენილი
ანთიმოზ ჯუღელისაგან“, რომელიც სასტიკად გააკრიტიკა „დროებაში“
ალ. სარაჯიშვილმა.

ანთ. ჯუღელის დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მამულიშვი-
ლობაზე მიუთითებს მისი ერთი მეტად საყურადღებო სტატია სათაურით
„წერილი ქართველებისადმი“. ეს არის განათლებული, დაკვირვებული
მოამაგის მიმართვა მშობლიური ხალხისადმი, მისი რჩევა იმ თაობაზე, თუ
რა უნდა ეღონა ქართველს, რომ ეროვნული გადაგვარებისაგან თავი და-
ეღწია. ამის საშიშროება კი მაშინ არსებობდა, რისი დამადასტურებელი
სათანადო ფაქტები მოტანილია სტატიაში.

რა დიდი უნდა ყოფილიყო ანთ. ჯუღელის პასუხისმგებლობა მშო-
ბლიური ხალხის წინაშე, რომ მან ასეთი წერილით მიმართა მას. ამ მო-
წოდებაში გამოთქმულია მოსაზრება, თუ როგორ უნდა ემკურნალოს
„ხელიდან წასულ“ ახალგაზრდობას, რომელიც ეროვნული გადაგვარების
გზას დაადგა.

ჯერ თვით სათაური მიგვანიშნებს, რომ მის ავტორს მართლაც აწუ-
ხებდა, მოსვენებას არ აძლევდა ეს მტკივნეული ეროვნული საკითხი. სტა-
ტიის ავტორს სჩეროდა, რომ მის მიერ წამოჭრილი პრობლემა უშუალო
კავშირში იყო ხალხის მატერიალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვ-
რებასთან. ანთ. ჯუღელი გარკვევით მიუთითებდა, ჩვენი ახალგაზრდობის
ნაწილი იმიტომ მიდის მოღიბული გზით, რომ ამქამად სრულიად მოკლე-
ბული ვართ იმას, რასაც ხალხის წარმატება, კეთილდღეობა და ბედნიერ-
ება ჰქვია. ჩვენი წინაპარი ქართველობდა, იცავდა თავის ენას, კულტუ-
რას, მეობას, მიწა-წყალს. იგი თავის შთამომავლობას ეუბნებოდა: „ის
ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“. ერისშვილების გადა-
გვარებისაგან გადარჩენისათვის მთავარი არის დაცვა მშობლიური ენის,
კულტურის, შენარჩუნება იმ „ფსიქოლოგიურ კანონისა“, რომელსაც
ერის თავისებურება ეწოდება. გადაგვარებული კაცი უხეიროაო ყველა-
სათვის.

„ვიც ან თვით ივიწყებს თავის ეროვნებას, — მიუთითებდა იგი, —
ან ძალით ავიწყებინებენ, კარგა უნდა იცოდეს, რომ არც მას და არც ამ-
ის შვილსა და მომავალს წარმატება არ მიეცემა“.¹⁰⁶

დღეს ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გადაგვარების გზაზე
დგასო. მათ შორის ბევრს „თავისი ერი, ენა, სამშობლო, სასირცხვოდ მი-
აჩნია. ეს მოვლენა ძლიერ სამწუხარო და სავაგლახოა ჩვენთვის“, — აღ-
ნიშნავდა იგი.

ასე წუხდა მამულიშვილი სამშობლოს ბედზე, მის მომავალზე, მაგ-
რამ მართო ფაქტის დასახელებით როდი კმაყოფილდებოდა იგი, არამედ
ეძებდა გზებს მდგომარეობიდან გამოსვლისათვის.

¹⁰⁵ „დროება“, № 147, 1880 წ.

¹⁰⁶ გადამღეილი (ანთ. ჯუღელი), წერილი ქართველებისადმი. „შრომა“, № 17,
1882 წ.

„რა არის საჭირო იმისათვის, რომ სწორ გზას აცდენილი ახალგაზრდობის ცხოვრება სასურველი მიმართულებით წარემართოთ?“ — სვამს კითხვას სტატიის ავტორი და იქვე პასუხობს:

„ამისათვის საჭიროა ახალგაზრდობის კარგ გზაზე დაყენება, ე. ი. იმან უნდა გაიცნოს თავისი ერი, თავისი სამშობლო, თავისი ენა, ერთი სიტყვით, უნდა იცოდეს თავისი ვინაობა“. ეს რომ განხორციელდეს, აუცილებელია მყარი საფუძველი ჩაუყაროთ ახალგაზრდობის აღზრდას ბავშვობიდანვე. ამის საფუძველად მას მიაჩნია ოჯახი და სკოლა. აქ კი საქმე ვერა დგას კარგად. ბავშვები მოწყვეტილი არიან მშობლიურ ენაზე სწავლას. სწორედ აქედან იწყებაო ეროვნული უბედურების სათავე. იგი წერდა:

„ჩვენი შვილები აიდგამენ თუ არა ენას, გაეცნობიან თუ არა თავის შინაურობას, იმწამსვე ვაგლეჯთ დედას ძუძუდან და ვაძლევთ ისევე სასწავლებელში, სადაც ხელახლა უნდა იშვას და აღიზარდოს, ე. ი. საცა თავისი ყველაფერი უნდა დაივიწყოს და სხვისი უნდა შეითვისოს. აქ ეს ჩვენი შვილი წნეობით ეცემა, იჩაგრება, გული უტყდება, ერთის სიტყვით, ეს ყმაწვილი ემსგავსება უღედმაძო ობოლს, რომელიც მშობლების სიკვდილის შემდეგ ვიღაც უცნობის ოჯახში იზრდება, საცა არც გული გულს ითვისებს და არც სული სულს სცნობს. ასე და ამგვარად ჩვენი შვილი სულით და გულით დაიჩაგრა, თავისი სანახევროდ დაივიწყა და სხვისი ვერაფერი ვერ შეითვისა. ამგვარად, ის არის ორ წყალ შუა. გადის დრო, ბავშვი იზრდება და თავისიანზე გული უცივდება. ამას გარდა საჭიროებს მატერიალურ დახმარებას და არავეისაგან ობოლსავეთ იმედი არა აქვს. ჩვენს მშობლებზე უფრო სხვები უწყობენ ხელს. ახლა კი თავისი-ანების ხსენებაც შეეზიზღა, არა თუ ქართველობის ხსენება. ასეთ საცოდავ კაცს ვერ ნახავთ დედამიწის ზურგზე“.

ჩინებულად არის გაგებული და გაანალიზებული ცხოვრების რთული მოვლენები, აღზრდის მთელი პროცესი სკოლასა და ოჯახში. ანთ. ჯუღელი აღიზარდა ქართველი სამოციანელების იდეებზე, ამიტომ მას კარგად ესმოდა მშობლიური და უცხო ენის მიმართების საკითხი. უცხო ენის შესწავლა სავალდებულოა, განსაკუთრებით რუსულის, რადგან იგი სახელმწიფო ენაა, მაგრამ სკოლაში სწავლება უნდა იყოს მშობლიურ ენაზე, მხოლოდ ამ პრინციპის საფუძველზე შეიძლება აღიზარდოს პატრიოტი მოქალაქე, რომელსაც უსაზღვროდ ეყვარება თავისი სამშობლო, თავისი ენა სხვა ზალხებთან კეთილი და მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე. ასეთია ანთ. ჯუღელის შეხედულება აღნიშნულ საკითხზე. ამ საქმეში, მისი მართებული აზრით, დიდი როლი უნდა ითამაშოს პედაგოგიურმა მეცნიერებამ, რომელსაც ევალებაო აღზრდის პრინციპების შემუშავება.

„ჩემი აზრი ამის შესახებ ის გახლავთ, — ვკითხულობთ შემდეგ სტატიამი, — რომ ყოველი ჩვენი ძალა და ღონე, ყოველი ჩვენი შეძლება პირველად ამ საქმის გამოკეთებას უნდა შეეწიროთ, ე. ი. ახალგაზრდობის ნამდვილ პედაგოგიურ გზაზე დაყენებას და ამის შემოწმებას სწავლა-განათლების მიღებაში; ჩვენ უნდა შევექმნეთ ნამდვილ მშობლებად ჩვენს მიწის შვილებს, ვინც უნდა იყოს განუხრავლად. მხოლოდ ამით შეგვიძლია დავანახოთ ჩვენს შვილებს მშობლიური სიყვარული და შევავაროთ თავისი თავი და სამშობლოც. ამის შემდეგ ყოველი ცუდად თუ კარგად

ნასწავლი ყმაწვილი არ დაზოგავს თავს ჩვენის ყოველის მხრით დაცემულის ქვეყნის დახმარებისათვის შეძლებისდაგვარად“.

ეს დახმარება ბავშვებს უნდა აღმოუჩნდეს პირველი კლასიდანვე. ამ საქმის მოგვარებაში მატერიალურად დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ თბილისისა და ქუთაისის ბანკებს.

ეს მეტად საყურადღებო და საინტერესო სტატია ასეთი მოწოდებით მთავრდება:

„როცა ჩვენს ახალგაზრდობას ჩვენვე მოვიმხრობთ, ვიცოდეთ, რომ მაშინ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ყოველის მხრით დაადგება აღორძინებას“.

განსახილავი სტატია ნამდვილად ანთ. ჭულელის სულის აღსარება იყო. მასში ნათლად გამოჩნდა ავტორის, ამ უახვარო მოღვაწის, შეხედულებები ეროვნულ და აღზრდის საკითხებზე.

ან. ჭულელი პრესაში ხშირად გამოდიოდა ისეთი სტატიებით, რომლებშიც სკოლისა და საერთოდ სახალხო განათლების იმდროისათვის აქტუალური საკითხები იყო დასმული. პირველ რიგში იგი საგანგებოდ აღნიშნავდა იმ ვარემოებას. რომ სკოლები და მასწავლებლობა ვერ აღებულაღებენ სათანადო დახმარებასა და მხარდაჭერას მთავრობისა და საზოგადოებისაგან, არ გააჩნდათ სახელმძღვანელოები, პროგრამები, მეთოდური ლიტერატურა, არ ტარდებოდა პედაგოგიური კონფერენციები, შეკრებები. სკოლა და პედაგოგი საკუთარი თავის ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი. აბა ასეთ დროს ნორმალურ მუშაობაზე როგორ შეიძლებაოდა ლაპარაკი.

„მართალია, — აღნიშნავდა ანთიმოზი, — სოფლის მასწავლებლები კი შეხვედებიან ხოლმე ერთი მეორეს, მაგრამ ქუჩაში სწავლების საქმეზედ და შკოლის გასაუქმობესებლად მოლაპარაკება, მოგვხსენებათ, შეუძლებელია“¹⁰⁷ ამიტომ აუცილებელი არის პედაგოგების შრომის სწორი ორგანიზაცია და მეთოდური დახმარებაო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანთ. ჭულელი წლების მანძილზე მუშაობდა აფხაზეთში, სოხუმში. იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას უხამებდა საზოგადოებრივ საქმიანობას, იყო გაზეთების მუდმივი თანამშრომელი, აქვეყნებდა წერილებს აფხაზეთის ცხოვრებიდან საერთო სათაურით „აფხაზეთი“, „სოხუმი“, მისი ფსევდონიმები იყო: „ანთიმოზი“, „გადაღმელი ანთიმოზი“, „გადაღმელი გადმოდმოდან“, „გადაღმელი“. მისი კორესპონდენციები ხასიათდებოდა პრინციპულობით და ეხებოდა საზოგადოებრივ საკითხებს.

ანთ. ჭულელი აფხაზი ხალხის დიდი მეგობარი იყო. იგი ჭეროვან ყურადღებას აქცევდა მის ისტორიას, ეთნოგრაფიას, თანადროულ ცხოვრებას, იბრძოდა ამ მოძმე ერის მატერიალური და კულტურული პროგრესისათვის.

„აფხაზეთი, — წერდა ანთ. ჭულელი, — როგორც თვით ადგილის წოდება გვიჩვენებს, ეკუთვნოდა და ეკუთვნის აფხაზებს. მართალია, დროთა ბრუნვას ეს ქვეყანა ბევრჯერ გაუნადგურებია, ბევრჯერ აუოხრებია, აქაურის ადგილებისათვის მოსულ ხალხებს თავისებური სახელები დაურქმევიათ, მაგრამ ძირითადი სახელი მაინც ვერავის მოუსპია ამისათვის.

¹⁰⁷ გადაღმელი (ანთ. ჭულელი), მასწავლებელთა კრება. „შრომა“, № 17, 1883 წ.

აფხაზეთი ძველთაგან კარგად ცნობილი ქვეყანა არის.¹⁰⁸ სტატიის ავტორი გულწრფელად წუხდა, რომ ეს ისტორიული ხალხი, მდიდარი წარსულის მქონე, ქართველის ჭირისა და ლხინის მოზიარე, ოდესღაც მრავალრიცხოვანი და ძლიერი, იმდროისათვის დაუძლურებული იყო.

ანთ. ჭულელი სასტიკად ილაშქრებდა იმ „ზოგიერთების“ წინააღმდეგ, რომლებიც ზემოდან დაჰყურებდნენ კავკასიელ ხალხებს, მათ შორის ქართველებსა და აფხაზებს და უწოდებდნენ გაუნათლებლებს, ველურებს. ამ ყოველად წრესგადასული დიდმპყრობელური შოვინიზმის საპასუხოდ იგი წერდა:

„ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ აფხაზი ვერაფერს სწავლას ვერ მიიღებსო. მაგრამ განა იმას ექვი აქვს, რომ ისინი შემცდარი ბრძანდებიან. ბევრი აფხაზია აქ ამჟამად, რომელთაც სამეურნეო სწავლა მიუღიათ და მეურნეობას მისდევენ, ერთი იმათგანია, სხვათა შორის, ბატონი მალანია, რომლის ზვარი თვით მინისტრმა ნახა და ძალიან მოეწონა. ბ-ნი ლაბახუა, შაყრილი, ზვანბაია და სხვანი“.¹⁰⁹

ანთ. ჭულელი არაერთგზის დაჟინებით მოითხოვდა, რომ აფხაზეთში ადგილობრივ მკვიდრობათვის დაარსებულყოფიერ სამეურნეო სასწავლებლები, სადაც გაიწაფებოდა ახალგაზრდობა და ჩამორჩენილი ქვეყანა მატერიალურად მოლონიერდებოდა.

„თუ ვინმეს მართლა ამ ქვეყნის (ე. ი. აფხაზეთის — ო. ჭ.) სიკეთე სურს, ყველაზე უკეთესი და სასარგებლო იქნება ადგილობრივ მკვიდრთ შეასწავლოს მეურნეობა. ეს არის ერთადერთი საშუალება აფხაზეთის კეთილდღეობისა“.¹¹⁰

ამ შეხედულებას იზიარებდა აფხაზეთის ყველა პროგრესული მოღვაწე და იბრძოდა ცხოვრებაში მისი გატარებისათვის. უადგილო არ იქნება აქვე მოვიტანოთ განთქმული მეაბრეშუმისა და „ივერიის“ კორეს-პონდენტის, ქველმოქმედ გ. ჩიჩუას შეხედულება ზემოაღნიშნულ საკითხზე. მან მოიარა აფხაზეთის მიწა-წყალი და შემდეგ ნანახი და განცდილი საკმაოდ ობიექტურად აღწერა თავის „მოგზაურობაში“, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიაში“. გ. ჩიჩუა მიუთითებდა:

„აფხაზეთში თუმცა არის სკოლები, მაგრამ აფხაზნი ცოტა არიან სწავლაში... ჯერ აფხაზეთში საიმედოდ არ არის ფესვმოდგმული სურვილი სწავლისა და, რაკი ასეთი დაბრკოლებაა წინ გადაეღობა სკოლის წარმატებას, ამიტომ სწავლა-განათლების საქმე აქ დიდად შეფერხებულია“.

ამ მხარეს ჰყავს, განაგრძობს ავტორი, ბევრი ტრადიციულად აღზარდილი, „გონებაწარმატებულნი და სინდისიერნი კაცნი, რომელთა მოვალეობაა, ჩვენის აზრით, ყოველივე ღონე იღონონ და ააშორონ ყმაწვილკაცობა ისეთს მავნებელს ხელობას, როგორცაა ქურდობა“.¹¹¹

ქურდობის „ჩვევის“ უმთავრესი მიზეზი, გ. ჩიჩუას აზრით, ფუჭი დროსტარება და უსწავლელობაა. სწავლა-განათლებას მოკლებული უსაქ-

¹⁰⁸ ვადალმელი (ანთ. ჭულელი), აფხაზეთი. „დროება“, № 216, 1883 წ.

¹⁰⁹ ვადალმელი (ანთ. ჭულელი), მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ბ-ნი ერმილოვი სოხუმში. „ივერია“, № 201, 1894 წ.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ გ. ჩიჩუა, მოგზაურობა..., „ივერია“, № 119, 1894 წ.

მური ახალგაზრდობა მალე „ილესება“ იარაღით და პატარაობიდანვე ეჩვევა ავკაცობასა და ჭურღობასო. ამ სოციალური სენის თავიდან ასაცილებლად მას შემოპქონდა წინადადება, რომ აფხაზეთში, და საერთოდ დასავლეთ საქართველოში, დაარსებულიყო ბავშვთა თავშესაფრები, როგორც ეს რუსეთში იყო, სადაც ახალგაზრდები შეისწავლიდნენ სოფლისმეურნეობის სხვადასხვა კულტურების მოვლას, ხელოსნობას და ამ მხარეს წარმატების გზაზე დააყენებდნენ. ეს იყო იმდროისათვის მეტად სალი, პროგრესული წინადადება.

როდესაც მეფის რუსეთის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ერმილოვი სოხუმში ჩამოვიდა 1894 წლის 15 სექტემბერს და მისთვის ეგანგებოდ მოწყობილ სადილზე შევრანბული სიტყვა წარმოთქვა, სადაც, სხვათა შორის, აღუნიშნავს: „ჩემის აზრით, ამ ქვეყნისათვის (ე. ი. აფხაზეთისათვის — ო. ჭ.) საჭიროა ახალი კულტურისანი ხალხიო, ე. ი. ახალის კულტურისანის ხალხით დასახლებათ“,¹¹² — მას დაუპირისპირდა აფხაზეთის ქართველი ინტელიგენცია და საკმაოდ მკაცრად ამხილა მინისტრის შოვინისტური შეხედულებები. მაგალითად, ანთ. ჭულელმა მის „ბრძნულ“ მოსაზრებას ასეთი აზრი შეაგება:

„რასაკვირველია, კულტურა კარგი რამ გახლავს, მაგრამ უფრო კარგი გახლავს ადგილობრივი ხალხის კულტურულად გადაქცევა“.¹¹³

ამ საკითხს გამოეხმაურა მეორე ცნობილი მოღვაწე პ. ჭარაიაც.¹¹⁴

ანთ. ჭულელი სოხუმს ზღაპრული სილამაზისა და მომხიბლაობის გამო უწოდებდა „ადამოსავლეთის თაიგულს“, რომლის ნექტარისაგან ადამიანი დიდ სიამოვნებას ხედავსო. მაგრამ ეს კეთილი კაცი წუხდა იმის გამო, რომ ქალაქი არ იყო მოვლილი, ხოლო აფხაზეთის ბუნებრივ სიმდიდრეს უცხოური ბურჟუაზია დაპატრონებოდა. ამ დროს განადგურდა აფხაზეთის ძვირფასი ტყეები, გაზიდეს რაც კი რამ განძი გააჩნდა ამ კუთხეს. ეს პროცესი ახლაც გრძელდება და არც არავინ არისო გამკითხავი. ანთ. ჭულელი გულისტკივილით ამბობდა:

„შემოესიენ უცხოელები აფხაზეთს და რაც ძალი და ღონე აქვთ იტაცებენ ქვეყნის სიმდიდრეს, ხე-ტყეს. დამშლელი კაცი არ არის. ვისაც რა უნდა, ის მიაქვს“.¹¹⁵

განძი კი გაპქონდათ, მაგრამ ქვეყნის წარმატებისათვის არავის ეცალა. უყურადღებოდ იყო დატოვებული როგორც ქ. სოხუმში, ისე მთელი აფხაზეთი. ამ გარემოებაზე მიუთითებდნენ მოწინავე ქართველი დარუსი ინტელიგენციის წარმომადგენლები, პერიოდული პრესა. თვით ანთ. ჭულელი „ივერიაში“ წერდა: „ქალაქს ყურადღებას არავინ აქცევს, ნუთუ ასეთი ყოველგვარის სიკეთით შემკული და ასეთი მოწყალებით მდიდარი ქალაქი ღირსი არ არის ყურადღებისა?

რამდენი ხანია ვიძახით: მოდიო, მოგვეშველეთ! ეს ბუნებით მდიდარი ქვეყანა ცოტაოდნათ შევიმუშაოთ და საზღვარგარეთ საექიმოდ და სხვადასხვა მცენარეთ სასყიდლად წასვლა აღარ დაგვჭირდებაო, მაგრამ ვინ გაიგონა“.¹¹⁶

112 ანთ. ჭულელის ზემოაღნიშნული კორესპონდენცია.

113 იქვე.

114 „ივერია“, № 253, 1894 წ.

115 გადაღმელი (ანთ. ჭულელი), სოხუმში, „დროება“, № 262, 1883 წ.

116 გადაღმელი (ანთ. ჭულელი), სოხუმში, „ივერია“, № 280, 1893 წ.

ასე მონდომებით, გულდაგულ იღვეწოდა აფხაზეთის კეთილდღეობისათვის ეს უანგარო მამულიშვილი.

ანთ. ჯუღელი XIX ს. მეორე ნახევარში აფხაზეთში მოღვაწე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან საგრძნობი წვლილი შეიტანა აფხაზეთის საზოგადოებრივი აზროვნების, სახალხო განათლების, კულტურის, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განვითარების საქმეში.

მარიამ ლადიანი-ანჩაბაძე

მარიამ (მამო) ლადიანი-ანჩაბაძე იყო დაუღალავი საზოგადო მოღვაწე აფხაზეთში. უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი ეროვნული, კულტურული და საქველმოქმედო ღონისძიებების გატარება. მის მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით კი აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის, მათი ძმობისა და მეზობლობის კიდევ უფრო გამტკიცების, სახალხო განათლების კერების — სკოლების ფართო ქსელის დაარსებისა და თეატრალური ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის.

ამ სახელოვანი ქალის უანგარო საზოგადოებრივმა საქმიანობამ კიდევ ერთი ფურცელი შემატა აფხაზ-ქართველთა ისტორიულ ძმობასა და მეგობრობას, მათს კეთილ ურთიერთობას. ამიტომ მ. ანჩაბაძის შესახებ ჯერ კიდევ 1926 წელს გაზეთ „ტრუდოვაია აბხაზია“ ხაზგასმით მიუთითებდა:

„ორი მოძმე ხალხის — აფხაზებისა და ქართველების — დაახლოების საქმეში მარიამ ანჩაბაძე არ იშურებდა თავის ცოდნას, ძალასა და ენერჯიას“.

მარიამ ლადიანი-ანჩაბაძე იყო ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, მსახიობისა და რეჟისორის შალვა ლადიანის და. მათი მამა ნიკო ლადიანი, თანამედროვეთა მიერ „დიდ ნიკოდ“, „ნიკო ფილოსოფოსად“ წოდებული, სახელმწიფოებრივი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იყო.

1923 წელს შ. ლადიანს გადაუხადეს სამწერლო და სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. პრესაში ბევრი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა ლადიანთა ამ ჩინებული ოჯახის შესახებ. კერძოდ, გაზეთი „ლომისი“ წერდა:

„ჩვენი იუბილარი დაიბადა ისეთ ოჯახში, სადაც სამღვთო წერილის დაწმენდილი ენა სუფევდა. ღედა — „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნელი. მამა — „დიდ ნიკოდ“, „ფილოსოფოსად“ წოდებული და ადვილად წარმოსადგენია ჩვენი იუბილარის მისწრაფება ეროვნული კულტურისადმი.“¹¹⁷

ის დიდი ჰუმანიზმი, ცხოვრებისადმი უსაზღვრო სიყვარული, ღრმა პატრიოტიზმი, საქვეყნო საქმისადმი თავდადება, ინტერნაციონალიზმის გრძნობა, რომლითაც და-ძმის მთელი საზოგადოებრივი და შემოქმედები-

¹¹⁷ „ლომისი“, № 23, 1923 წ., მოწინავე სტატია: „ჩვენი იუბილარი“.

თი ცხოვრება ხასიათდებოდა, სათავეს მამისეული ოჯახიდანღებულობდა. იქ ჩაეყარა საფუძველი ამ ორი უებრო მამულიშვილის მსოფლმხედველობას. კულტურასა და კეთილშობილებას.

ნიკო დადიანი მეტად განათლებული, კულტურული და მწიგნობარი მამულიშვილი იყო. პოეტი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ფილოლოგი, მკურნალი. უანგარო საზოგადო მოღვაწე — ასეთია მისი პროფილი ქართული აზროვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

ცნობილი ქართველი მკვლევარი და კრიტიკოსი იპ. ვართაგავა ნიკო დადიანის შესახებ წერა:

„ნიკო მწვავედ გრძობდა საყვარელი სამშობლოს დუხჭირ მდგომარეობას, აშკარად ხედავდა, რომ ნესტანი (საქართველო) ციხეში იყო გამომწყვდეული და განუწყვეტლივ მის განთავისუფლებაზე ოცნებობდა. თავის მრავალ ლექსში ახალგაზრდა ნიკო თავის გულისტიკვილს აშკარად ამჟღავნებდა... მან წარჩინებით დაამთავრა გიმნაზია და XIX საუკუნის ქართველ მოწინავე ინტელიგენტთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა“.¹¹⁸

ზოლო მეორე ცნობილი ქართველი მწერალი, გიორგი სააკაძეზე დიდებული რომანის ავტორი ს. ქვარიანი მიუთითებდა:

„ნიკო დადიანი იყო ფრიად განსწავლული და ფენომენალური მეხსიერების პატრონი. ხალხი მას დიდ მკურნალს და ფილოსოფოსს ეძახოდა. ის იყო თავის დროზე ფრიად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქართული ენის და ძველი მწერლობის უპირველესი მცოდნე“.¹¹⁹

6. დადიანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, ბ. ლოღობერიძე, გ. შარვაშიძე, დ. ჩქოტუა, ვ. პეტრიაშვილი, დ. ანჩაბაძე — აი, ის წრე, ის კულტურული გარემო, სადაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა ნ. დადიანს. იგი ამ დიდებული საკრებულოს თანამოკალმე და თანამოაზრე იყო. მან მონაწილეობა მიიღო ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ დაარსებაში და შემდეგ კი მისი აქტიური თანამშრომელი გახდა.¹²⁰

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნ. დადიანის კიდევ ერთ ამაგს ეროვნული კულტურის წინაშე. თ. სახოკია მიუთითებს, რომ მან XIX საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა „ქართული მუსიკის, როგორც ჩვენი კულტურის ერთი თვალსაჩინო დარგის, შესწავლისა და გავრცელების საზოგადოება“.¹²¹

6. დადიანმა თავის შვილებსაც ბავშვობიდანვე შეაყვარა მუსიკა, განსაკუთრებით ეროვნული საკრავები და სიმღერები. შვილების აღზრდის ამ უბანზე მამის ამაგის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა ს. ქვარიანმა:

„მაგონდება აივანზე მჭდომი ახოვანი ვაჟაკი, გრძელი ხალათით, მალალ შუბლს აჩეროებს თმა — მოყვითალო, თეთრად ოდნავ სირმული;

118 იპ. ვართაგავა, შალვა დადიანის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962 წ., გვ. 8-9.

119 ს. ქვარიანი, მოგონება. „ლიტერატურული საქართველო“, № 4, 1939 წ.

120 ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. II, თბ., 1964 წ., გვ. 457-465; ხ. მესხი, წერილები, სოხუმი, 1950 წ., გვ. 217.

121 თ. სახოკია, შალვა დადიანი. „ლომისი“, № 23, 1903 წ.

ბრძენ სახეს შვენის გრძელი წვერ, თვალებს კი ფარავს პენსნე შავად ბურჯლო.

მამას გვერდით უსხდნენ ქალ-ვაჟი — დედით ობლები. უსხნის, ასწავლის, აცნობს მათ ქართველი ხალხის წარსულს, მის ენას, კულტურას. აცნობს მეცნიერების დარგებს, ფილოსოფიას, ისტორიას, ასტრონომიას და მკურნალობასაც კი...

აჰა, გაათავა მამამ თავის შვილებთან მეცადინეობა... შეუჯდა ბობლანს, აქლერდა საამო ხმებით ძველი საკრავი, მას აედევნა ნაზი პანგებით ცირას თითებში პაწაწა ჩანგი, უცებ გაისმა გულის სიღრმიდან ამომხდარი ქალის კონტრალტო. მას აედევნა ვაჟის საამო ბანი — ამ ხმებს ჩაექსოვა მამის ღერინი¹²²

ასეთი მზრუნველობით უძღვებოდა მამა შვილების აღზრდას. იგი არ იშურებდა ძალ-ღონეს, მონდომებას, ცოდნას, ღროს, რომ შემკვიდრეებისათვის მიეცა კარგი განათლება, გადაეცა მათთვის წინაპართა მუსიკალური ხელოვნების საიდუმლოება, ჩაეგონებინა ქართული სიმღერის მომაჯადოებელი პანგები. ყოველივე ამან, ბუნებრივია, შემდეგ დიდებული ნაყოფი გამოიღო და ორივე პირმშო სამშობლოს მოველინა ღირსეულ შვილებად.

ნ. დადიანი ნათესაური და მეგობრული ძაფებით იყო დაკავშირებული აფხაზეთთან, აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციასთან, აფხაზი ხალხის საუკეთესო შვილებთან. მას მეტად გულთბილი, ამხანაგური და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ აფხაზ პოეტთან გ. შარვაშიძესთან. როგორც ცნობილია, გ. შარვაშიძე „პონტოქსელის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა ქართულ პრესაში. სწორედ აფხაზი მწერლის ამ ფსევდონიმთან არის დაკავშირებული ნ. დადიანის ერთი მშვენიერი აკროსტიხი:

პოტენციურად მქონები არის ბევრისა ნიჭების.

ონტკოფას არ კრეფს, ვარდსა ჰკრეფს როს ია მოეყირკების, ნატვრითა ფრთითა დაჰფრინავს, ძირს ფეხი არ ებიჯების.

ტოლ ამხანაგთა მოალხენს, „ზეესურად“ მოენიჭების:

ოტარიდს უმღერს ხმა ტკბილად ტურფა ლექსების ეღერითა,

ქვეყანა მისი მშობელი უყვარს ყმითა და ბერითა,

ხმაგს უგრძნობელი, უგულო სიტყვითა, თუნდა წერითა,

ეტრფის მოძმეთა, გულადთა, სულდგმულობა თვისის ერთთა,

ლომად შეხვედბა ავ-გულსა, კარგს — გრძნობით ლმობიერითა;

სჯობს მზრდელი გულში იმედით შეიმკოს ყოვლისფერითა.¹²³

აქ გამობატულია არა მარტო მეგობრული გრძნობა, არამედ მოცემულია აფხაზი თანამომხის პიროვნებისა და შემოქმედების ლაკონური დახასიათებაც.

აი, ასეთ გარემოში, ასეთ წრეში დაიბადა და გაიზარდა მარიამ დადიანი, ასეთმა ლიტერატურულმა ელიტამ გამოაწრთო მისი მრწამსი და გემოვნება, მისწრაფებები და საზოგადოებრივი იდეალები.

¹²² ხ. ქვარიანი, მოგონება. „ლიტერატურული საქართველო“, № 4, 1939 წ.

¹²³ „ივერია“, № 170, 1891 წ.

მარიამ დადიანი დაიბადა 1870 წლის 18 დეკემბერს სოფ. სვირში, აბაშიძის ოჯახში. ეს იყო მისი ბაბუას ოჯახი. პატარა მამომ ბავშვობა ძმასთან ერთად სამეგრელოსა და იმერეთის თვალწარმტაცი ბუნების წიაღში გაატარა. და-ძმამ დედა ადრე დაკარგა და შვილების აღზრდის მთელი პასუხისმგებლობა მამამ იღო თავზე. ჭერ ასწავლა წერა-კითხვა, ხოლო შემდეგ კი მანვე ოჯახში მისცა შვილებს საშუალო განათლება. ცოტა არ იყოს უცნაური კაცი იყო ნ. დადიანი. მან შვილები არ გაზარდა იმდროინდელ სკოლაში იმ რწმენით, რომ არ იზიარებდა მაშინდელ სასწავლებლებში გამეფებულ აღზრდისა და სწავლის პრინციპებს.¹²⁴

ამის გამო ქუთაისის ზოგიერთ სულმდაბალ, მეშჩანურ ოჯახებში ამბობდნენ თურმე: „ნიკო თვითონაც უსწავლელი დარჩა და შვილიც უსწავლელი დატოვაო“.¹²⁵

თურმე ნ. დადიანს უყვარდა თქმა: „სკოლა ამზადებს მხოლოდ ჩინოვნიკებს. მე კი მინდა ჩემი შვილი გამოვიდეს მწერალი, საზოგადო მოღვაწე, დამოუკიდებელი მოქალაქე“.¹²⁶

თ. სახოკიას ცნობით, „ნ დადიანს საკუთარი სკოლა ჰქონდა, არსებითად განსხვავებული იმ დროის ოფიციალურ სკოლათაგან. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ეს სკოლა მარტო ორ რჩეულთათვის-ღა არსებობდა“.¹²⁷

ნ. დადიანს თურმე პედაგოგიკის თავისებური თეორია ჰქონია შემუშავებული. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კარგად აღზარდა შვილები და მათ ჩინებული განათლება მისცა, რასაც იმ პერიოდის თითქმის ყველა მოღვაწე ხაზგასმით აღნიშნავდა. მათ შორის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი და საზოგადო მოღვაწე, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღორძინებული ქართული თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ეფემია მესხი მითითებდა:

„ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა შალვას მამა, ხშირი სტუმარი ჩვენი ოჯახისა, ცნობილი მეცნიერი, დიდი ნიკო დადიანი, როგორც მაშინ ეძახდნენ“. პატარა გოგონებისა და ბიჭების „წარმოდგენას“ ერთნელ ნიკოც დასწრებია თავისი შვილებით, მოუწონებია ბავშვებისათვის „ხელოვნება“ და მიუწვევია ისინი საკუთარ სახლში. აქ სიტყვა ისევ ე. მესხს დავუთმოთ: „მან მიგვიწვია თავის სახლში, აგვიჩაჩა საბავშვო პიესა, თვითონ მოგვაშხალა, შეგვაასწავლა და თავის ხელმძღვანელობით, თავისივე სახლში გაგვაპარათვინა წარმოდგენა“.

ერის ეს დიდი მოამაგე ასე უნერგავდა ბავშვებს თეატრის სიყვარულს, მამულის ერთგულებას და ხალხის სამსახურს.

მამის „სკოლაში“ აღზრდილნი და გამოწრთობილნი მარიამი და შალვა თავიანთი ინტელექტითა და ეროვნული მრწამსით თანატოლებზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. მაგალითად, იგივე ე. მესხი შ. დადიანის შესახებ წერდა:

„ჩვენს ახალგაზრდათა შორის შალვა ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ის ხშირად ბევრ ისეთ რამეზე ლაპარაკობდა, რომელზე-

124 იხ. ვართაგა, შ. დადიანის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1962 წ., გვ. 15.

125 იქვე, გვ. 38.

126 ე. მესხი, სამი შეხვედრა. „ლომისი“, № 23, 1923 წ.

127 თ. სახოკია, შალვა დადიანი. „ლომისი“, № 23, 1903 წ.

დაც ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ მასზე უფროსები ვიყავით, არც კი ვფიქრობდით".¹²⁸

როდესაც ი. ჭავჭავაძემ გაიგო თავისი მეგობრის ასეთი ახირებულიობა, თქვა თურმე: ნ. დადიანი თავისებური ბილიკით მავალი კაციაო (მ. დადიანი).

თ. სახოკიას ცნობით, ნ. დადიანის ოჯახი წარმოადგენდა ზრდილობისა და პატიოსნების, განსწავლულებისა და ზნეობრივი სისპეტაკის განსახიერებას. „ძველებური თავაზიანობა და ზრდილობა, აწ სანთლით საძებარი, ამ ოჯახში განხორციელებულაო, იტყოდით“.¹²⁹

ნ. დადიანს თ. სახოკია უწოდებდა ფენომენალურ მცოდნეს და მანესტროს ქართული მეტყველებისა, თვითმპყრობელს ამ მეტყველების საიდუმლო გასაღებისა.

ნ. დადიანს საერთოდ ადამიანზე, კერძოდ, ქალზე, მის მოღვაწეობაზე ხაზოგადობასა და ოჯახში ჰქონდა თავისებური წარმოდგენა, რომელიც: სალექსო სტრიქონებში ასე ჩამოაყალიბა:

სიტყვაში — სიტკბო, ხელში საქნარი,
ჭკუაში — ცოდნა მართებულისა.
ქცევანი — სიბრძნე, წყნარ-უკვებარი,
გულში — წამება წმინდის სჯულისა,
აზრში — მამული, სახლი და შვილი,
ფიქრში — ერის სვე, ერის წადილი,
ხელში — ბეჭედი ღვთის ხატებისა...

მამის ხელში ისე დაეაყვაცდნენ მარიამი და შალვა, რომ სკოლის მერხთან არ მსხდარან. ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ეფემია მესხის მოგონება.

ზემოაღნიშნული პრინციპებით ზრდიდა თავის შვილებს ნ. დადიანი. მიუხედავად იმისა, რომ მარიამს სკოლაში არ უსწავლია, მამამ მას კარგი განათლება და ცოდნა მისცა, შეასწავლა რუსული და უცხო ენები, შეაყვარა მშობლიური ერი, მისი წარსული და აწმყო. ჩაუნერგა ხალხთა პატივისცემა და სიყვარული. შვილებისათვის მამა წარმოადგენდა ზნეობრივი სისპეტაკისა და ეროვნული საქმისადმი თავდადებული ადამიანის საუკეთესო ნიმუშს.

სხვათა შორის, მზრუნველმა მამამ შვილებს დაუტოვა მორალური, ინტელექტუალური და საზოგადოებრივი იდეალების ერთგვარი კოდექსი, რომელიც, მისი აზრით, მათი მოღვაწეობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ეს მოწოდება ლექსად არის დაწერილი და, პირველ რიგში, განაპირობებს თვით ავტორის, ნ. დადიანის, ადამიანურ სახეს. აი ისიც:

ყოველთვის ცნობდე „დროს და მხარესა“,
იმხრობდე მშობელ — აღმზრდელ მხარესა.
„დროს“ ეკებოდე, ალაგს შენოდე,
ჭკუით შორს ჰკერტდე ნათელ არესა,

¹²⁸ კრებული „ეფემია მესხი“, მ. ცხომარიას რედაქციითა და შესავალი წერილით, 1957 წ., გვ. 63.

¹²⁹ თ. სახოკია, შალვა დადიანი. „ლომისი“, № 23, 1923 წ.

ნოსტრუმის ირეველ შენა გარესა,
იგნებდე გზასა, მტერს, მოუყარესა, —
და წინ საწადელ აკვანთ დამდგმელი
წმინდად იცავედ „დიდთ“ სამარესა.

შვილები მამის ამ რჩევა-დარიგების ერთგულნი იყვნენ მთელი ხან-
გრძლივი ცხოვრების მანძილზე. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ საზო-
გადოებრივი იდეალებისათვის ელაღატნათ ან პირადული უფრო მაღლა
დაეყენებინათ, ვიდრე სახალხო, საერთო საქმე.

ახალგაზრდობიდანვე მ. დადიანმა თავისი ცხოვრება დაუკავშირა
აფხაზეთს, აფხაზ ხალხს, მის წარსულსა და აწმყოს, კულტურასა და სა-
ზოგადოებრივ აზროვნებას.

ახალგაზრდა მარიამ დადიანი ცოლად გაჰყვა XIX ს. დასასრულისა
და XX ს. დასაწყისის ცნობილ აფხაზ საზოგადო და სახელმწიფო მოღვა-
წეს — ტარას ანჩაბაძეს. ტარასი იყო მამა განთქმული ექიმისა და საზო-
გადო მოღვაწის ვიანორ ანჩაბაძის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
კანდიდატის ვერა ანჩაბაძის და ნიჭიერი სწავლულის, პროფესორ ზუ-
რაბ ანჩაბაძის ბაბუა.

აფხაზეთი მარიამისათვის მეორე ღვიძლი სამშობლო გახდა. მან აფ-
ხაზი ხალხი შეიყვარა, როგორც ყველაზე ახლობელი, სისხლით ნათესავი
და მშობლიური. ის არ იშურებდა ძალ-ღონეს, ცოდნას, გამოცდილებას,
ენერგიას, ოღონდ რაიმე სიკეთე შეემატებინა ამ მშვენიერი მხარის
მკვიდრებისათვის. მამის ოჯახში შეძენილი გამოცდილება, ცოდნა, კულ-
ტურა, პატრიოტიზმის გრძნობა, ინტერნაციონალური სულისკვეთება იყო
საწინდარი ყოველივე ამისა.

მარიამისა და მისი მეუღლის შესახებ თ. სახოკია აი, რას მოგვითხ-
რობს:

„მარიამი გათხოვდა სოხუმში და მფარველ ანგელოზად მოევლინა
საქართველოს ამ მშვენიერ კუთხეს ყოველგვარ საზოგადო საქმესა რუსთ
ხელმწიფის დროსა და შემდეგაც. ამასთან სამაგალითო დედაა და თითოთ
საჩვენებელი მეუღლე მოქალაქე“.¹³⁰

მარიამი სათავეში ჩაუდგა სოხუმის მთელ კულტურულ-საგანმანათ-
ლებლო ცხოვრებას. სახალხო განათლება და პედაგოგია, თეატრი და
ეროვნული კულტურა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და
ხალხთა მეგობრობა, — აი, წყება საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტას
ემსახურებოდა ამ კეთილი ადამიანის მოღვაწეობა.

ამ პერიოდში აფხაზეთში არ წამოჭრილა არც ერთი მეტად თუ ნაკ-
ლებად საყურადღებო საზოგადოებრივი საკითხი, რომ მასში მ. ანჩაბა-
ძეს არ მიეღოს მონაწილეობა და თავისი მორიდებული წვლილი არ შე-
ეტანოს.

მ. ანჩაბაძეს დიდი ამაგი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების დაარსებაში.
იგი იყო ამ განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე წლების მანძილზე.

როგორც ცნობილია, ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოებამ, რო-
მელიც 1879 წელს დაარსდა, მიზნად დაისახა საქართველოს მშრომელი

130 თ. სახოკია, შალვა დადიანი. „ლომისი“, № 23, 1923 წ.

მოსახლეობის კულტურის, განათლების, თვითშეგნების ღონის ამაღლება. ამ მიზნით ეს საზოგადოება აარსებდა სკოლებს, ბიბლიოთეკებს, წიგნსაცავეებს, მართავდა საქველმოქმედო ღონისძიებებს, ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებსა და სტუდენტებს.

საზოგადოების სოხუმის განყოფილება ჩამოყალიბდა 1909 წელს. მ. ანჩაბაძის უშუალო ინიციატივით.

საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილებაში ხელიხელჩაყიდებული საერთო საქმეს ემსახურებოდნენ ქართველი და აფხაზი ხალხების მოწინავე ადამიანები: ალთაი, ტერეზა, მარიამი, ალექსი, კონსტანტინე და ჯოტა შარვაშიძეები, მარიამ, ვარლამ და გრიგოლ ანჩაბაძეები, ნადეჟდა და ვლადიმერ ემუხვარები, ტ. ანუა, პ. გელოვანი, ალექსი, გახუ და ბეგო თურქიები, ე. კაპარავა, ო. გოგორჯიძე, ს. ლოლუა, ალ. გრიგოლია, ნ. თავდგირიძე და სხვ.

1914 წელს ეს საზოგადოება აერთიანებდა 347 წევრს. საზოგადოება არსებობდა საწევრო ანარიტებისა და საქველმოქმედო ღონისძიებათა შედეგად შემოსულ შეწირულებათა საფუძველზე.

ასეთი სახის ღონისძიებებში მოთავეები ქალები იყვნენ. ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ანტ. ფურცელაძე ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა:

„დღეს „წერა-კითხვის საზოგადოება“ თუ ინახავს თავს, ეს მხოლოდ განსაკუთრებით ჩვენთა ქალთა მეცადინეობით“.¹³¹

ამ საზოგადოების სხვა ბევრ ღონისძიებასთან ერთად საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1910 წელს სოხუმში ქართული სკოლის დაარსება. ამ საქმეშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის მარიამ ანჩაბაძეს. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის სკოლას (დღევანდელი XI საშ. სკოლა) საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. მეფის მთავრობა ამ სკოლის დაარსების სასტიკი წინააღმდეგი იყო. ეს გასაგებია, რადგან, როგორც ცნობილია, „თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკაში რუსიფიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. დაპყრობილი ერების ასიმილაციისათვის ცარიზმი, სხვა მრავალ საშუალებათა შორის, სკოლასაც იყენებდა“.¹³²

სოხუმში ქართული სკოლის გახსნის შესახებ პირველად საკითხი საზოგადოების წინაშე აღიძრა 1901 წელს. სოხუმელმა საზოგადო მოღვაწემ და ქართული ეურნალ-გაზეთების დაულალავემა თანამშრომელმა მელქისედეკ ხოხიაშვილმა თხოვნით მიმართა ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოებას, შეეტყობინებინათ სკოლის დაარსებისათვის სავალდებულო პირობები და მისი შენახვისათვის საქროო ხარჯები, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

შემდეგ ეს საკითხი ხელახლა აღიძრა, როდესაც 1903 წლის მაისში სოხუმში ჩავიდა ი. ჭავჭავაძე. საბოლოოდ სკოლა დაარსდა 1910 წელს. მისი დაარსების უშუალო ინიციატორი და სულისჩამდგმელი იყო მ. ანჩაბაძე. მისივე დაჟინებითი თხოვნით სკოლის დირექტორად სენაკიდან მოწვეულ იქნა ცნობილი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე ნ. ჯანაშია. გარდა ამისა, სკოლაში ასწავლიდნენ: ნოე ქურიძე, თამარ თაყაიშ-

131 „ივერია“, № 110, 1901 წ.

132 ტრ. ზუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1939 წ., გვ 3.

ვილი და ნოე ურუშაძე. სკოლის შენობის აგება დაჯდა 20.000 მანეთი. სკოლას ინახავდა წ. კ. გ. საზოგადოების სოხუმის განყოფილება.

ამ სკოლამ დიდი როლი ითამაშა სოხუმელი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდის საქმეში.

მარიამი ყოველთვის აქტიური წევრი იყო მოწინავე ქართველი და აფხაზი ინტელიგენციისა. იგი მუდამ ქმედით მონაწილეობას ლებულობდა ყოველგვარ საზოგადოებრივ-სასარგებლო ღონისძიებაში.

ცალკე თემას წარმოადგენს მარიამ დადიანი-ანჩაბაძის მოღვაწეობა სოხუმელ სცენისმოყვარეთა საქმიანობაში. მარიამის ინიციატივითა და უშუალო თაოსნობით სოხუმში ადგილობრივი ძალებით იდგმებოდა წარმოდგენები, იმართებოდა საღამოები და ალევკოები და შემოსული თანხა ხმარდებოდა საზოგადოებრივ ღონისძიებებს.

მარიამ ანჩაბაძისა და ზემოაღნიშნული ჯგუფის კატეგორიული მოთხოვნით სოხუმის სამოქალაქო სკოლებში შემოღებულ იქნა ქართული ენა.

ფასდაუდებელია მ. დადიანი-ანჩაბაძის ღვაწლი და ამაგი აფხაზეთის საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე. ამ საკითხთან დაკავშირებით 1926 წელს გაზეთი „ტრუდოვაია აბხაზია“ მიუთითებდა:

«Культурно-просветительна работа ее (მ. ანჩაბაძისა — ო. კ.)

Абхазии особенно заметна. Она была активным членом группы, по инициативе которой в Сухуме открыта женская гимназия. По ее настоянию организовано общество распространителей грамотности среди грузин, в каком-то председательствовала она сама. При ее активном участии открыта грузинская 4-х летка, организовано Абх. Просветительное общество, открыты в уездах ряд грузинских школ, курсы грузинского языка. С 1917 г. по 21 г. она состояла членом Абхазского национального Совета и председателем художественной секции. В 23 — 24 гг. — председателем Грузинского коллектива»¹³².

1914 წელს სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზ-ქართველთა თეატრალიზებული მომღერალთა გუნდი ქართული და აფხაზური ვოკალურ-ქორეოგრაფიული ხელოვნების ცნობილი მცოდნის ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. ეს შემდეგ გახდა ერთ-ერთი მყარი საფუძველი აფხაზური პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებისა. ამ საქმეშიც მარიამის მადლიანი მზრუნველობა ჩანდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აფხაზეთის ბევრ კულტურულ წამოწყებას მარიამი თაოსნობდა. ის იყო მეგობრობის უწყვეტი ჯაჭვის ის საპატიო რგოლი, რომელიც ამტკიცებდა აფხაზთა და ქართველთა ტრადიციულ ძმობასა და მეგობრობას. როდესაც ღვინისამშობლოს რაიმე ტკივილი შეაწუხებდა, მისი მოზიარე აფხაზეთში აფხაზ ინტელიგენციასთან ერთად მარიამიც იყო. როდესაც 1915 წელს ქართულმა მწერლობამ, ქართველმა ხალხმა დაკარგა დიდი ვაჟა-ფშაველა, მარიამ ანჩაბაძემ და სოხუმელმა მოღვაწე მანდილოსნებმა ასეთი დეპეშა გააგზავნეს თბილისში:

„საქართველო სტირის და ჰგოდებს თავის საუკეთესო შვილთა დაკარგვას. პოეტი ვაჟა-ფშაველა ერთი ასეთი შვილი იყო ქართველი ერი-

¹³² А. Антелава, К юбилею Машо Анчабадзе. «Трудовая Абхазия», № 120, 1926 г.

სა. განისვენე მშვიდად ძვირფას სამშობლოს საყვარელო შვილო. სოხუმის ქალთა მინდობილობით მარიამ ანჩაბაძე“.¹³⁴

1926 წელს აფხაზეთის მაღლიერმა საზოგადოებრიობამ მარიამ დადიანი-ანჩაბაძეს გადაუხადა საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე.

ეს ღვაწლმოსილი ადამიანი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში 1959 წელს, 89 წლის ასაკში.

მარიამ ანჩაბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცნობილი მკვლევარი სოლ. ცაიშვილი სამართლიანად წერდა:

„მარიამი არასოდეს არ ყოფილა მასწავლებელი, მაგრამ სახალხო განათლების თავგამოდებული მუშაკი იყო; მას არც არავითარი ოფიციალური განათლება მიუღია, მაგრამ განათლების გავრცელებისათვის მხნე და ნაყოფიერი მეზობელი იყო; მას არც პედაგოგიური განათლება ჰქონია, მაგრამ ბავშვის შესანიშნავი აღმზრდელი და მოამაგე დედა იყო; იგი არც მწერალი ყოფილა, არც პუბლიცისტი, მაგრამ მის სახელს ხშირად ეხვედებით ქართულ პრესაში“.¹³⁵

მარიამ დადიანი-ანჩაბაძე ეკუთვნის იმ ნათელმოსილ მოღვაწე ქალთა რიცხვს, რომლებიც კი არ კვდებიან, არამედ გარდაიქცევიან სიკვდილისაგან ცხოვრებად.

¹³⁴ „სახალხო ფურცელი“, № 347, 1915 წ.

¹³⁵ კრებ. „სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები“, III, 1968 წ., გვ. 197.

ქართული თეატრი აფხაზეთში XIX ს. მიწურულში

ქართულ თეატრალურ კულტურას აფხაზეთში გააჩნია მდიდარი ტრადიციები, რომელთაც ფესვები საკმაოდ შორეულ წარსულში აქვს გადგმული. ისინი სათავეს იღებენ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან.

სანამ სოხუმში პროფესიული თეატრი ჩამოყალიბდებოდა (1928 წ.), XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან აფხაზეთის დედაქალაქსა და დაბებში: ოჩამჩირეში, გაგრაში, გუდაუთაში, ოქუმიში იმართებოდა სცენისმოყვარეთა ლიტერატურული საღამოები და თეატრალური წარმოდგენები ქართულ და რუსულ ენებზე.

იმ შავბნელ დროს, როდესაც, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის, დ. გულიას სიტყვებით რომ ვთქვათ. „მეფის თვითმპყრობელური მთავრობა მეტად სდევნიდა ყოველგვარ ნაციონალურ გამოვლინებებს საკუთარ ენებზე — გარდა რუსულისა, რომელიც დაკანონებული იყო სასწავლებლებში“¹, აფხაზეთის მოსახლეობისათვის ლიტერატურული საღამოები და სცენისმოყვარეთა წარმოდგენები იყო თითქმის ერთადერთი სულიერი საზოგადოება, ეროვნული კულტურის გამოვლინების ყველაზე რეალური საშუალება.

სცენისმოყვარეთა ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ქართველები. აფხაზები, რუსები, ნაწილობრივ — სომხები და ბერძნები. ამ ხალხების საუკეთესო შვილები ერთმანეთს გვერდში ედგნენ და საერთო საქმეს — აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობის გათვითცნობიერებასა და განათლებას, მისი კულტურის დონის ამაღლებას ემსახურებოდნენ.

ლიტერატურულ საღამოებსა და თეატრალურ წარმოდგენებს სხვა მიზანიც ჰქონდა. იმდროინდელი ცნობილი საზოგადო მოღვაწის ანთ. ჭულელის სიტყვით, „წარმოდგენების ერთ-ერთი დანიშნულება ისიც იყო, რომ გამოეჩინა მამულის ნამდვილი სიყვარული“².

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სცენისმოყვარეთა „თეატრი“ სხვადასხვა ეროვნების ხალხთა (ამ მხრივ სოხუმში განთქმული იყო ოდით-განვე) დამეგობრებას, ურთიერთგაგებას, თანამშრომლობის განმტკიცებას ემსახურებოდა.

მაშინდელი ქართული პრესა („დროება“, „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“) ფართოდ ეხმარებოდა ამ ეროვნულ წამოწყებას, აშუქებდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს, მკითხველებს აცნობდა ენთუზიასტ „მსახიობთა“ ვინაობას, განიხილავდა მათ სცენურ ხელოვნე-

¹ დ. გულია, აფხაზური თეატრის დაბადება. კრებ. „აფხაზეთის მწერლობა“, სოხუმი, 1941 წ., გვ. 163.

² ანთიმოზი (ანთ. ჭულელი), სუქუნა. „დროება“, № 424, 1874 წ.

ბას, გარდასახვის უნარს, მიუთითებდა იმ პიროვნებათა კეთილშობილურ საქმიანობაზე, რომლებიც მატერიალურად და მორალურად მხარს უჭერდნენ სცენისმოყვარეთა წამოწყებას. ამავე დროს ქართული მოწინავე პრესა შედგარად უმკლავდებოდა იმ მსოფლგაგებას, რომელიც აბრკოლებდა ეროვნული ცხოვრების აღორძინებას. იგი გვერდში ედგა ხალხის რჩეულ შვილებს მოსახლეობაში სწავლა-განათლებისა და კულტურის დაწესებულებაში.

წარმოდგენებიდან მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი, როგორც წესი, ამა თუ იმ საზოგადოებრივ ღონისძიებას (სკოლის გახსნა, ღარიბი სტუდენტებისათვის სტიპენდიის დაარსება, რაიმე კულტურული ღონისძიების ჩატარება და სხვ.) ხმარდებოდა.

მაგალითად, 1895 წლის № 51 „კვალში“ მოთავსებულია ს. ელიაშვილის წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 15 ნოემბერს სოხუმში გაიანეშარვაშიძის თაოსნობით გამართული წარმოდგენის შემოსავალი გადაეცაო სოხუმის სამრევლო სკოლას ქართველი მოსწავლეების სასარგებლოდ.

კიდევ მაგალითი: 1898 წლის „ივერიის“ № 170-ში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში მითითებულია, რომ ოჩამჩირეში იმავე წლის 2 აგვისტოს სცენისმოყვარეებს უჩვენებიათ ქართულ-რუსული წარმოდგენები. რომლებიც „ერთის ღარიბის გიმნაზიის მოწაფის სასარგებლოდ იყო დადგმული“.

ასევე, 1899 წლის „ივერიაში“ (№ 77) არის ინფორმაცია: „ჩვენ გვთხოვეს გამოვაცხადოთ, რომ თავად შალვა დადიანის თაოსნობით სოხუმში გამართულ წარმოდგენიდან შემოსული 92 მან. და ერთი შაური გადაეცა დასაარსებლად განზრახულს დედათა სასწავლებლის კომიტეტს ფონდის გასაძლიერებლად“.

1893 წელს გაზეთი „ივერიაში“ (№ 38) ანთ. ჯუღელი წერდა: „საკვლავად, როგორც შევიტყვეთ, აპირობენ აქ (სოხუმში — ო. ჯ.) რამდენიმე წარმოდგენის გამართვას იმ აზრით. რომ შეაგროვონ ფული და გამართონ ისეთი სკოლა ქართველ ყმათათვის, სადაც რუსულს გარდა, ქართულიც უნდა ისწავლებოდეს“. ხოლო გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1896 (№ 12) იტყობინებოდა: „აქ (სოხუმში — ო. ჯ.) საქველმოქმედო აზრით ხშირად იმართებოდა ქართული წარმოდგენა და ქართველობა ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა“.

მაგალითების მოტანა შორს წაგვიყვანდა. თვალსაჩინოებისათვის ესეც საკმარისია. აქედანაც კარგად ჩანს მოხალისეთა წარმოდგენების მიზანი და დანიშნულება.

გასული საუკუნის პრესაში ჩვენ გვხვდება გეარები და სახელები იმ „უცნობი“ პირებისა, რომლებიც დიდი შრომისა და რუღუნების შედეგად ქმნიდნენ წარმოდგენებს, წინააღმდეგ ხალხის გარკვეულ წრეებში დამკვიდრებული ცრუ შეხედულებისა (რომ მსახიობობა ცხოვრებაში სწორ გზას აცდენილი, უსაქმური, ხელმოცარული ადამიანის საქმიანობაა). თამაშობდნენ სცენაზე. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალების შესახებ. ამ კეთილშობილ ადამიანებს თავიანთი შესაძლებლობის ფარგალში მაყურებელამდე მიჰქონდათ საკაცობრიო იდეალები — ხალხთა მეგობრობისა და პატრიოტიზმის, სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეები.

სამწუხაროდ, ამ მოღვაწეების შესახებ თანამედროვე მკითხველმა ბევრი არაფერი იცის. სინამდვილეში კი რამდენი უძილო ღამისა და უანგარო შრომის ნაყოფია მათი, მართალია, პატარა, მაგრამ დაუფასებელი წვლილი ეროვნული კულტურის საგანძურში.

როდესაც საკითხი წინაპართა ნაკვალევს ეხება, იქ, როგორც ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა, „დიდ-პატარაობა სახსენებელი არ არის“, ყველას უნდა მიეზღოს თავისი დამსახურების მიხედვით.

გასული საუკუნის დასასრულის ქართულ პრესაში სოხუმელ, ოჩამჩირელ, გუდაუთელ და ოქუშმელ სცენისმოყვარეთა მთელი დასებია დასახელებული.

სოხუმიდან: გაიანე, ალათი, ტერეზა და ალექსანდრა შარვაშიძეები, მაკრინე თურქია, ანასტასია კინწმარაშვილი, ბარბარე ხრამელაშვილი, ანდრია ჯაფარიძე, იას. ხახუტაშვილი, თედო სახოკია, მელქისედეკ ხონიაშვილი, მამო ქავთარაძე, ანთ. ჭულელი, ალექსანდრე გაბუნია, ს. ფრანგულიანი, ვ. ნასიძე, ივანე მიქაძე, მიხეილ გვაზავა, ი. ბუკია, ოლგა ჩივაძე, დ. ლოლობერიძე, ო. მარგველაშვილი, სვიმონ კლდიაშვილი, გრიგოლ დადიანი, ანასტასია წერეთელი, პეტრე ჩაჩავა, სოზონტი კობახიძე, ა. ქარცივაძე, თეო გაბუნია, ი. ბურჭულაძე, თ. გელოვანი, მ. გვალია, რაუდენ ქუთათელიაძე, თ. თავზარაშვილი, ვასილ ადამია, ს. სიქინავა, დები მიმინოშვილები, გ. ფარცვანია, იასონ გელაშვილი, მაქავარიანი, კოზმავეა, ჩხეიძე, ნესტორ კალანდაძე.

ოჩამჩირიდან: ანა და მამო თურქიები, კოტე და ვლადიმერ აბაშიძეები, ტ. და გ. ზუზბაიები; ნ. ლაღარია, გ. კაჭარავა, ნიკო მდივანი, პ. ზაიცევი, ის. ცხაკაია, პ. ჭეიფელი, კონდრატე გვასალია, მ. და ა. ჩაჩავები, მ. და ს. კერესელიძეები, ე. ტყეციშვილი, ქ. მახარაძე, ვ. ჟორდანი, ი. გელაშვილი, ვლ. თოფურიძე.

გუდაუთიდან: ნიკო და ელენე ჯანაშიები, გიორგი ლომთათიძე, ოლა და ბესარიონ ჩიქოვანები, ივანე ბეთანიშვილი, თეოფილე გოგიტიძე, გიორგი თოფურიძე, დიმიტრი ნადარეიშვილი, სიმონ საბაშვილი, ს. ნოღია, ქ. ლოლუა, ეკატერინე ჟდანოვიჩი, ვასილჩენკო, ი. ბუკია.

ოქუშიდან: ივანე და თეკლე გეგეები, ანეტა ჩხენკელი და სხვ.

დასახელებულ პირთა ნაწილი ცნობილი საზოგადო მოღვაწეებია, რომლებიც თანამშრომლობდნენ პრესაში, წერდნენ მეტად საინტერესო და საყურადღებო სტატიებს, ეთნოგრაფიულ წერილებს, კორესპონდენციებს. მაგალითად, თ. სახოკია, ნ. ჯანაშია, ანთ. ჭულელი, კ. გვასალია, მელქ. ხონიაშვილი („მექი“), გ. ლომთათიძე („გიო“), ი. გეგია, ნესტ. კალანდაძე („კოლო“) და სხვ.

სამწუხაროდ, სცენისმოყვარეთა წარმოდგენების რეპერტუარი საკმაოდ ერთფეროვანი იყო. მართალია, იდგმებოდა როგორც ქართველი და რუსი, ისე დასავლეთ ევროპის მწერლების ნაწარმოებები, მაგრამ უმთავრესად შედარებით მსუბუქი ჟანრის პიესები — ვოდევილები.

სცენისმოყვარეთა რეპერტუარის ამ ნაკლს კარგად გრძნობდა ინტელექტუალური მაყურებელი, რომელიც ხანდახან პრესაშიც კი გამოსთქვამდა თავის უკმაყოფილებას. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი მიუთითებდა:

„ერთი რამ უნდა ვუსაყვედუროთ ჩვენს სცენისმოყვარეთ: პიესების არჩევა. მარტო ვოდევილებით შორს ვერ წავა საზოგადოება; მარ-

ტო ვოდვეილები ესთეტიკურ გემოს ვერ განუვითარებს ამ საზოგადოებას. საჭიროა ვოდვეილების გარდა ისეთის პიესების დადგმაც, რომელიც მაყურებლის სულსა და გუნებას რასმე ეუბნებოდეს, აფიქრებდეს, მის აზრებს ამოძრავებდეს“.³

რა კარგად არის გაგებული და გაშუქებული თეატრის შემეცნებითი და ესთეტიკური დანიშნულება და ამ საქმეში რეპერტუარის შერჩევის მნიშვნელობა.

ამ პერიოდში წარმოდგენებს გარდა იმართებოდა ლიტერატურული საღამოებიც, რაც მეტად ხშირი მოვლენა იყო ძველ სოხუმში. ადრე ისინი თეატრის მოვალეობასაც ასრულებდნენ.

ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული საღამო ქართულ და რუსულ ენებზე სოხუმში გაუშართავთ 1884 წელს. მის შესახებ გაზეთ „დროებაში“ (№ 81) ინფორმაცია გამოაქვეყნა ანთ. ჯულელმა. საღამო სოხუმელებს გაუშართავთ რომელიღაც სტუდენტის სასარგებლოდ. კორესპონდენტიაში აღნიშნულია: „საღამოს გამართვაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ბ-მა ციმერმანმა, კავალსკიმ, დალმა თავისი მეუღლით, წერეთელმა, გამარკელმა, გალიცინსკიმ და ანთ. ჯულელმა. ამათ გარდა მთელმა სოხუმის მცხოვრებლებმა, ხალხმაც თანაგრძნობა გამოუჩინა საღამოს. აქაური სკოლის დიდი ზალა სავსე იყო ხალხით... ქართულად წაიკითხეს: ორი თავი „კაცია-ადამიანიდან?“, პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ ჭავჭავაძისა, „უბედური“ პოემა ჭალადიდელისა და ორიოდ წერილი ლექსი“.

საღამო ყოფილა „ცხოველი და მხიარული“. შემოსული თანხა გადაუტოვა ხარკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი ღარიბი ქართველი სტუდენტისათვის.

სცენისმოყვარეებს მუშაობის მინიმალური პირობებიც კი არ გააჩნდათ. სად იყო თეატრის შენობა ან წესიერი კლუბი, რომ საღამოები და წარმოდგენები მოემზადებინათ და გაემართათ. ამ საკითხთან დაკავშირებით სოხუმელი მოქალაქე დუნდუა 1902 წელს № 49 „კვალში“ წერდა: „სოხუმში თეატრი არ არის. არის მხოლოდ კლუბის ერთი ვიწრო დარბაზი, რომელიც ძლივს იტევს 100 კაცს. ზალაში 80-მდე სკამია, ოთხი ლამპა და ფარდა. აი, მთელი მორთულობა აქაური თეატრისა“.

მეორე სოხუმელი სცენისმოყვარე და „ივერიის“ თანამშრომელი ნესტორ კალანდაძე, პრესაში „კოლოს“ ფსევდონიმით მოღვაწე, გულისტკივილით აღნიშნავდა:

„ჩვენში სცენისმოყვარულთ არავინ არ ჰმველის არასფერში; არა ჰყავთ რეჟისორი და არც სცენარეისი, ხშირად არა აქვთ სახლი, სადაც შესაძლებელია რეპეტიციების გამართვა, თვითონვე ჰყიდნიან ბილეთებს, დგებიან კარებში, უჩვენებენ ხალხს ალავს, შოულმობენ რეკვიზიტს და ხშირად სკამებსაც კი. ამ მიზეზების გამო სცენისმოყვარულთ წარმოდგენის დღეს იმდენი საქმე ატყდებათ თავს, რომ მთელი დღე აქეთ-იქით დარბიან უსმელ-უჰმელნი და, რასაკვირველია, ძალზე დაქანცულები გამოდიან სცენაზე. მაგრამ მაინც ხალხის საყვედურს არ იმსახურებენ: პირიქით დიდი მადლიერიც რჩება საზოგადოება“.⁴

³ გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 183, 1897 წ.

⁴ „ივერია“, № 86, 1903 წ.

აი, ასეთი ფანტიკური სიყვარულისა და დაუღალავი ჯაფის შედეგად იქმნებოდა პირველი ქართული წარმოდგენები სოხუმში.

ოფიციალურად ცნობილი და აღიარებულია, რომ თითქოს აფხაზეთში XIX საუკუნეში სცენისმოყვარეთა პირველი ქართული თეატრალური წარმოდგენა ნაჩვენები იყო 1889 წლის 9 აპრილს სოხუმში. ამ ჯარის მომხრეები ეყრდნობიან 1889 წლის № 82 „ივერიაში“ გამოქვეყნებულ შემდეგ ინფორმაციას:

„ქ. სოხუმში, აქაური ახალგაზრდების მეთაურობით გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ფრანგულიდან გადმოკეთებული ერთმოქმედებიანი ვოდვილი „მშვივრები“. მშვენიერი იყო ბ-ნი, ფრ-ნი (ს. ფრანგულიანი — ო. ქ.) მშვიერი დანტესის როლში. ბ-ნ ფრ-ნს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვაგან წარმოდგენებში და აქაც, როგორც დახელოვნებულმა მოთამაშემ, თავისი როლი საინტერესოდ შეასრულა. ჰყოლობდა როლის ცოდნაში ბ-ნი აფ-ძე, მაგრამ თუ სახეში წივილებთ, რომ იგი სცენაზე პირველად გამოდის, იმდენს ვერ მოვსთხოვთ. იმედია, მერმისისათვის უფრო გაიწაფვის და გვასიაოვნებს. წარმოდგენის მეთაურთა ძალიან დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ სათამაშოდ ასეთი უშინა-არსო პიესა აირჩიეს, მაგრამ იმედია კვლავ მიიხტ თავის შეცდომას გაასწორებენ.

ქართველი საზოგადოებაც გვარიანად დაესწრო...

ამ მოკლე ხანს კიდევ აპირებენ წარმოდგენას. უნდა ითამაშონ ბ-ნ ილ. ჰავკავაძის „დედა და შვილი“.

როგორც თ. სახოკია მიუთითებს, წარმოდგენა დაუღვამთ ანთ. ჯუღელის თაოსნობით. ამ ღონიძიებას აღფრთოვანება გამოუწვევია ქართულ მოსახლეობაში. მართალია, სცენისმოყვარულთ დიდი დაბრკოლებების ვედლაზე დასჭირვებით, მაგრამ ამით ის კეთილი აზრი დარჩებულა ხალხში, რომ „შესაძლებელი ყოფილა ქართულად „თირატიის გაკეთება“.⁵

თ. სახოკია დიდ ეროვნულ მნიშვნელობას ანიჭებდა დრამატული წრის მიერ გამართულ წარმოდგენებს და, კერძოდ, სოხუმელთა ამ პირველ ქართულ წარმოდგენას, იგი ამის შესახებ „მოგონებებში“ აღფრთოვანებით წერდა:

ამ წარმოდგენით სოხუმელმა მოქალაქეებმა „იგრძნეს ერთგვარი დამაკავშირებელი, შემაერთებელი, ერთ ოჯახად გადაქცევი ძალა. იგრძნეს: ჩვენც რალაცა და ვილაცა ვყოფილვართ“.⁶

აქამდე ეს იყო აღიარებული სცენისმოყვარეთა პირველ ქართულ სპექტაკლად აფხაზეთში. სინამდვილეში კი, როგორც ჯერჯერობით ცნობილი ოფიციალური დოკუმენტიდან ირკვევა, აფხაზეთში XIX საუკუნის მანძილზე პირველი ქართული წარმოდგენა უჩვენებიათ ოჩამჩირეში 1885 წელს. ამ წლის „დროება“ № 12-ში (17. I) არის ასეთი შინაარსის ინფორმაცია:

„დაბა ოჩამჩირეში ამას წინად ორჯერ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა აქაური სკოლის სასარგებლოდ“.

სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ ვინ იყო ამ წარმოდგენის ორგანიზატორი, რა პიესა დადგეს და ვინ თამაშობდა როლებს, მაგრამ ფაქტი ფაქ-

5 თ. სახოკია, ძველი სოხუმი (მოგონებები), ხელნაწერი.

6 იქვე.

ტად რჩება, რომ პირველი ქართული წარმოდგენა აფხაზეთში დაუდგამთ 1885 წელს დაბა ოჩამჩირეში. შემდეგ კი ეს იქცა დიდებულ ტრადიციად და ქვემოთ დაეინახათ, რომ მომდევნო წლებში ოჩამჩირეში თითქმის სისტემატურად იდგმებოდა ქართულ-რუსული წარმოდგენები ადგილობრივი მოქალაქეების ძალებით. ამასთან ჩამოყალიბდა მოხალისეთა თეატრალური დასი, რომელიც აერთიანებდა ბევრ სცენისმოყვარეს, რომელთა გვარები ჩვენ უკვე ზემოთ დავასახელებთ.

ამრიგად, შეიძლება დაბეჭივით ვთქვათ, რომ პირველი ქართული მოხალისეთა წარმოდგენები აფხაზეთში დაიწყო 1885 წლიდან. ეს თარიღი ჭეჩქარობით უნდა დაედვას საფუძვლად ქართულ სცენისმოყვარეთა თეატრს აფხაზეთში და არა 1889 წელი, როგორც ეს ადრე იყო აღიარებული.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი გარემოება. თეატრმცოდნე ს. გერსამია, ეყრდნობოდა რა სოხუმელი მოქალაქის, ძველი სცენისმოყვარის აწ განსვენებული მ. ი. გვაზავას „მოგონებებს“, მიუთითებდა, რომ თითქოს სოხუმელები 1885 წლიდან დგამდნენ ქართულ წარმოდგენებს და მათი ორგანიზატორი იყოვო მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე ანთ. ჯულელი.⁷

ეს, რასაკვირველია, გამორიცხული არ არის, რადგან ჩვენ ვიცით, რომ სოხუმში ალეგრო-სადამოები იმართებოდა 1884 წლიდან, მაგრამ, როგორც ცნობილია, ამა თუ იმ ფაქტის დასადგენად დოკუმენტია საჭირო. ხოლო ლიტონი განცხადება ჯერ კიდევ საბუთი არ არის, მით უმეტეს, რომ მ. გვაზავა სოხუმში ჩამოვიდა 1892 წელს. სწორედ ამ წელს დაამთავრა მან თბილისის სასულიერო სემინარია და დანიშნულ იქნა სომხის სამრევლო სკოლაში მასწავლებლად. ამრიგად, იგი თვის „მოგონებებში“ მითითებული ამ ფაქტის უშუალო მონაწილე და მნახველი არ ყოფილა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროს მეტად ძნელი იყო წარმოდგენის დადგმა, მისი ორგანიზაცია. სცენაზე თამაში საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ ადამიანის ღირსების ერთგვარ დამცირებადაც კი იყო მიჩნეული. ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. გეგია, იმ პერიოდის ცნობილი მოღვაწე აფხაზეთში, თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში აღნიშნავს:

„სცენაზე გამოსვლას იმ დროს არავინ კისრულობდა, ვინაიდან რცხვენოდათ, მასა სასაცილოდ და სამასხროდ აიგდებდა, ვინც სცენაზე „მეტიჩრობას“ დაიწყებდა“.⁸

ასეთი ძნელებლობის, ხალხის ფართო მასების ჩამორჩენილობის პერიოდში მაინც მოიძებნებოდნენ მოწინავე ადამიანები, რომლებიც დიდი დაბრკოლების გადალახვის საფასურად ახერხებდნენ თეატრალური წარმოდგენების ორგანიზაციას, უმკლავდებოდნენ დრომოჭმულ ტრადიციას, თავს უყრიდნენ სცენისმოყვარეებს, დგამდნენ წარმოდგენებს და ამით ხალხში შეჭქონდათ კულტურა და განათლება.

დღესდღეობით ცნობილი საბუთების საფუძველზე სოხუმში პირველი ქართული წარმოდგენა უჩვენებიათ 1889 წლის 9 აპრილს. სოხუმელი

7 ს. გერსამია, სოხუმის თეატრი, სოხუმში, 1951 წ., გვ. 16.

8 ივ. გეგია, მოგონებები, ს. გ. მ. № 6.280, გვ. 15.

ინტელიგენციისათვის ეს გახდა ერთგვარი ნიშანსვეტი, რომელმაც განაპირობა მოხალისეთა თეატრის შემდგომი განვითარება. ამ პირველ ნაბიჯს მოჰყვა კარგი ტრადიცია — სისტემატურად დაიწყეს წარმოდგენების ჩვენება.

1889 წლის ნოემბერ-დეკემბერში სოხუმელ სცენისმოყვარეებს უჩვენებიათ რამდენიმე წარმოდგენა. კერძოდ, სომხურიდან ნათარგმნი ვოდევილები „ხეჩოს ლეღვი“, „ოინი თუ გინდა, ეს არის“ და ო. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“. ამ ბოლო წარმოდგენას თავისი ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით დიდი ზემოქმედება მოუხდენია ხალხზე. სამართლიანად მიუთითებდა ს. გერსამია: „პიესის შინაარსი და იქ გამოთქმული მოსაზრება ეხმარებოდა სოხუმელთა იმდროინდელი ცხოვრების პირობებით შექმნილ გულისთქმას და ბიძგს აძლევდა მათ პატრიოტულ აღტკინებას. აქეზებდა ბრძოლისათვის“.⁹

თეატრისმოყვარულთა კოლექტივი თანდათან გაძლიერდა, შეივსო ახალი ძალებით და მრავალრიცხოვანი გახდა. 1890 წლიდან კი სოხუმში ჩამოყალიბდა დრამატული წრე, რომელსაც პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა სოხუმის საბაჟოს თანამშრომელი ს. ყიფიანი, ხოლო შემდეგ 1892 წლიდან — პედაგოგი ანთიმოზ ჯულელი.

1891 წელს სოხუმში სამკურნალოდ ჩამოდის ცნობილი ქართველი მსახიობი ლადო (ვლადიმერ) ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც კიდევ უფრო მეტი ბიძგი მისცა დრამაწრის მუშაობას. ლადო მესხიშვილის თაოსნობით იმავე წელს დაიდგა ვ. გუნიას „და-ძმა“ (ეს ცნობა ეკუთვნის მ. გვაზავას),¹⁰ მაგრამ სამწუხაროდ ამ წარმოდგენის შესახებ პრესაში ცნობა არ გამოქვეყნებულა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის მიწურულს სოხუმში ქართველ სცენისმოყვარეთა საქმიანობის შესწავლა იმითაც არის რთული, რომ პრესა სისტემატურად არ აშუქებდა წარმოდგენებს და რეცენზიებიც მეტად ზედაპირული ქვეყნდებოდა, ხოლო ცოცხალი მოწმეები უკვე დიდი ხანია აღარ არიან.

1892 წლის 9 აპრილს, როგორც იტყობინებოდა გაზეთი „ივერია“ (№ 85), სოხუმში სცენისმოყვარეებს ლ. ალექსი-მესხიშვილის დახმარებით დაუდგამთ სომეხი მწერლის გ. სუნდუკიანის „პეპო“, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ ვ. ალექსი-მესხიშვილს, ს. ფრანგულიანს, ნ. ბერძენიშვილს, მ. ჩიჩავაძეს და სხვ.

პეპოს როლი შეუსრულებია თვით ვ. ალექსი-მესხიშვილს, ეფემიასი — ნ. ბერძენიშვილს, კეკესი — ჩიჩავაძეს, გიქოსი — ფრანგულიანს.

პრესა საკმაოდ ფართოდ გამოეხმაურა ამ ჩინებულ კულტურულ ღონისძიებას. განსაკუთრებით აღინიშნა ვ. ალექსი-მესხიშვილის თამაში. მას ისეთი დიდი ხელოვნებით შეუსრულებია როლი, ისე მოუხიბლავს მაყურებელი, რომ „ტაშის კვრა დიდხანს არ შეწყვეტილა“. ეს იყო მაყურებლის მაძლობის გამოხატვის ყველაზე მკაფიო საშუალება. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია. „ბილეთების უქონლობის გამო ბევრი უკან გაბრუნებულა“. ეს გარემოება უკვე ნათლად მიუთითებს სო-

⁹ ნ. გერსამია, სოხუმის თეატრი, 1951 წ., გვ. 17.

¹⁰ იქვე, გვ. 19.

ხუმელი მოქალაქეების დიდ დაინტერესებაზე თეატრით, სასცენო ხელოვნებით.

წარმოდგენას ჰქონია საქველმოქმედო დანიშნულება. წმინდა შემოსავალი ყოფილა 120 მანეთი. 20 მანეთი გადაუციათ ადგილობრივი სასწავლებლისათვის, ხოლო დანარჩენი გაუგზავნიათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.¹¹

სოხუმელმა ინტელიგენციამ, აი, რა კეთილშობილ საქმეს მოახმარა წარმოდგენიდან მიღებული შემოსავალი. სცენისმოყვარეები ერთდროულად რამდენიმე სასარგებლო საქმეს ანხორციელებდნენ. ჯერ ერთი, მეფის მთავრობის მიერ დევნილი ქართული ენა გაისმოდა სცენიდან. ავი თავის დროზე ი. ჰავკავაძემ მიუთითებდა: „თეატრი ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჭაროდ ისმის და საჭაროდ მოქმედებს“.¹² მეორე, მაყურებელს უჩვენებდნენ სოციალურ ტილოებს, რაც ბადებდა ზიზღსა და წინააღმდეგობას უსამართლობისადმი. მესამე, შემოსავალი ხმარდებოდა საზოგადოებრივ ღონისძიებებს; მეოთხე, „გონებრივ საზრდოს აწვდიდნენ ხალხს“.¹³

თბილისის პრესა თავის მკითხველებს აცნობდა იმ სოხუმელ ქველმოქმედ მოქალაქეებსაც, რომლებიც უანგარო საქმიანობით ხელს უწყობდნენ კულტურული ღონისძიებების ჩატარებას. მაგალითად, „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში მოცემულია სრული სია იმ პირებისა, რომლებიც იმავე წლის 9 აპრილს სოხუმში ნაჩვენებ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ და აგრეთვე მადლობა არის გამოცხადებული იმ მოქალაქეებისადმი, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს წარმოდგენის მომზადებასა და ორგანიზაციაში. ინფორმაციაში ვკითხულობთ:

„გულითადს მადლობას ვუძღვნით როგორც ამ პატივცემულთ (ე. ი. წარმოდგენის უშუალო მონაწილეებს — ო. ჯ.) აგრეთვე თ. კ. ნ. ერისთავს, მამულაიშვილს, ს. ნ. მეტაქასას, ყარა-მურზას, კ. მაჭავარიანს, კ. ტყავაძეს, მ. თოფურასს, ბ. თურქიას, და-ძმა გოგრიჩიძეებს, რომელთაც იკისრეს გაყიდვა ბილეთებისათვის ნაცნობთა შორის“.¹⁴

თეატრალური წარმოდგენები თანდათან იკვლევდნენ გზას ხალხის ფართო მასებისაკენ, ქართულის პარალელურად იმართებოდა რუსული წარმოდგენები. იმ პერიოდში მათი ორგანიზატორი აგრეთვე იყო ლ. ალექსი-მესხიშვილი.

„ქართული თეატრის არტისტმა ვ. ს. ალექსი-მესხიშვილმა ორჯერ გამართა რუსული წარმოდგენა და ორჯერვე ბლომად დაესწრო ხალხი, განსაკუთრებით აქაური ქართველობა“.¹⁵ — აცხადებდა „ივერია“.

ამ პერიოდიდან სოხუმელმა სცენისმოყვარეებმა თითქმის სისტემატურად დაიწყეს წარმოდგენების გამართვა. ანთ. ჯულელის მითითებით. „სოხუმში ხშირად იმართება წარმოდგენა წარმოდგენაზე: ეს ტუსაღთა სასარგებლოდ, ეს ღარიბი სტუდენტების ხელისგასამართავად, ეს

11 „ივერია“, № 91, 1892 წ.

12 „ივერია“, № 140, 1892 წ.

13 გადამღელი (ანთ. ჯულელი), სოხუმი, „ივერია“, № 38, 1893 წ.

14 „ივერია“, № 91, 1892 წ.

15 „ივერია“, № 140, 1892 წ.

სასწავლებლის სასარგებლოდაო, ეს ამა და ამ საქმის ასაღორძინებლად...¹⁶

სოხუმელი მოღვაწე ქალი ვ. მ. შარვაშიძის თაოსნობით დრამკოლექტივს 1893 წლის 3 თებერვალს დაუდგამს ქართულ-რუსული წარმოდგენა სოხუმის ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ. ამ თეატრალური სადამოს სულისჩამდგმელი ყოფილა აგრეთვე ლადო მესხიშვილი თავისი მკუთლითურთ. უჩვენებიათ ა. ცაგარის „ბაიყუში“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ: თვით ლადო მესხიშვილს, ნ. ქიქოძეს, ს. ფრანგულიანს, მ. გვაზავას, და სხვ. ამ სპექტაკლის შესახებ „ივერია“ შემდეგს მოგვითხრობს:

„წარმოდგენას ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო, იმდენი კიდევ უბილეთოდ დარჩა. მოთამაშეთაც უშველათ ღმერთმა, ხალხს არა ათქმევინეს. მუქთად დაკვარგეთ ფულიო. ყველა კარგი იყო თავის როლში. ხალხში ხმა გაისმოდა: ამგვარი წარმოდგენა ნეტავ თვეში თითოჯერ მაინც გვაღირსაო. მოთამაშენი დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ კეთილის საქმის გულისათვის. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე ვ. მ. შარვაშიძე მოთავე ამ საქმისა“.

როგორც ჩანს, სოხუმელ სკენისმოყვარეთა სულისჩამდგმელი ყოფილა ლ. ალექსი-მესხიშვილი. მას სოხუმში დაუნერგავს ქართული პროფესიული თეატრის ძვირფასი ტრადიციები, აუშოძრავებია მოხალისე მსახიობები.

„ბ-ნ ალექსი-მესხიშვილმა, — წერდა ანთ. ჯუღელი, — გამოაღვიძა მიძინებული საზოგადოება. აქ ქართველი ქართველად არ თვლიდა თავს. ქართული თეატრი ხომ სისულელედაც მიაჩნდათ. ამ პატივცემული კაცის მოსვლის წინადაც იყო რამდენიმე ქართული წარმოდგენა, თუ სალიტერატურო სადამო, მაგრამ ასე ხალისიანად არ მიდიოდნენ წარმოდგენაზე. როგორც ეხლა. ბ-ნი მესხიშვილი ღირსია მადლობისა ამგვარის კეთილისა და სასარგებლო მოღვაწეობისათვის“.

სოხუმელი სათეატრო მოღვაწეები. ესმოდათ რა მათ თავიანთი საქმიანობის დიდი საზოგადოებრივ-ეროვნული მნიშვნელობა, მონდომებით ამზადებდნენ ყოველ წარმოდგენას, რომელნიც ანდამატივით იზიდავდა მაყურებელს და წარმატებით სარგებლობდნენ. ამ აზრს გვიდასტურებს XIX საუკუნის ქართული პრესა.

სოხუმელი კორესპონდენტი „ივერიაში“ ათავსებს ვრცელ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატება ჰქონდა იმავე წლის 15 ნოემბერს სოხუმში. ქალაქის კლუბში, გამართულ წარმოდგენას. უჩვენებიათ რაფიელ ერისთავის ორმოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ. მერე იქორწინეს“ და კ. ნასიძის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „წუთის საცოლე“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ დ. ლოლობერიძეს, მ. თურქიას, ო. მარკველაშვილს, კ. აბაშიძეს, ი. მიქაძეს, ანთ. ჯუღელს, ს. ფრანგულიანს, მ. გვაზავას, ი. ბუკიას.

მიომხილველის ცნობით, „წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და გათავდა დივერტისმენტით — ქართული ლექსების კითხვით. საზოგადოებაც ბლომად დაესწრო და დიდად კმაყოფილი დარჩა“.

16 გადამღელი (ანთ. ჯუღელი), სოხუმი, „ივერია“, № 38, 1893 წ.

იგივე ინფორმატორი მიუთითებს, რომ შემსრულებლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ს. ფრანგულიანი ოსეთას როლში, ამ სცენისმოყვარის შესახებ სტატიაში აღნიშნულია, რომ იგი „ყოველთვის თანაუგრძნობს ქართულს თეატრს და არავითარს ღონისძიებას და შრომას არ ზოგავს ამ საქმისათვის“.

დრამატულ წრეს დიდ დახმარებას და მფარველობას უწევდა გაიანე შარვაშიძე, რომელიც „მოთავე და განკარგულების მიმცემი იყო ამ საქმისა და საზოგადოდ შემწეობასა და თანაგრძნობას უჩენს ქართულ თეატრს“. — ვკითხულობთ სტატიაში.

ზემოაღნიშნულ წარმოდგენებსაც საქველმოქმედო მიზანი ჰქონია. შემოსული თანხა განკუთვნილი ყოფილა „სოხუმის სამრევლო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ“. აქვეა აღნიშნული, რომ სცენისმოყვარეები კვლავ აპირებენ წარმოდგენის დადგმას სოხუმის სამკითხველოს სასარგებლოდ, რაც მისასალმებელია.¹⁷

1896 წლის 11 აპრილს დრამკოლექტივს უჩვენებია რამდენიმე წარმოდგენა: ვ. გუნიას „მონადირე“ და „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, ა. ცაგარლის „პრიკაშჩიკი შკაფში“. შემოსული თანხა გადაუციათ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის.

ამ წარმოდგენების შესახებაც საქმოდ ვრცელი ინფორმაცია გამოქვეყნდა „ივერიაში“, სადაც ვკითხულობთ:

„11 აპრილს ამ წლისა ქ. სოხუმში გამართულ იქნა სცენისმოყვარულთაგან წარმოდგენა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ...“

საზოგადოების გამგეობა მოვალედ თვლის თავის თავს გამოუცხადოს უღრმესი მადლობა ამ წარმოდგენის გამართვისათვის ქ-ნთ მ. მ. აბაშიძისას, ოლა ჩივაძისას და ბ-ნთ კ. მ. აბაშიძეს, ივ. რ. მიქაძეს, მ. ი. გვაზავას, ს. გ. ფრანგულიანს, თ. სახოკიას და საზოგადოების დამხმარე წევრს ანთიმოზ ჯულელს, რომლის თაოსნობითაც იქნა გამართული ეს წარმოდგენა.“¹⁸

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოხუმში უკვე 1895 წელს ჩამოუყალიბებიათ „სცენისმოყვარეთა ამხანაგობა“. ამ საკითხზე ვაზ. „კვალის“ კორესპონდენტი ს. ელიავა წერდა:

„სოხუმში შედგა ქართველ სცენისმოყვარეთა ამხანაგობა. აზრად აქეთ გამართონ წარმოდგენები. პირველი წარმოდგენა გამართეს 15 ნოემბერს კნ. გაიანე ი. შერვაშიძის თაოსნობით, რომელიც დიდი მადლობის ღირსია ამისთანა საქველმოქმედო საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის“.

დაუდგამთ რაფ. ერისთავის „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“. შემოსული თანხა გადაუციათ სოხუმის სამრევლო სკოლისათვის.

„სცენისმოყვარეთა ამხანაგობის“ ჩამოყალიბების შემდეგ წარმოდგენები უფრო ხშირად და რეგულარულად იმართებოდა, შემოსავალი ისევ და ისევ საქველმოქმედო საქმეს ხმარდებოდა.

როგორც ჩანს, სოხუმელ სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო საქმიანობას თანდათან უფრო ფართო და ღრმა შინაარსი მიეცა. მან ეროვ-

17 ი. ბ. (?), სოხუმი, „ივერია“, № 257, 1895 წ.

18 „ივერია“, № 95, 1896 წ.

ნულთან ერთად პოლიტიკური ხასიათიც მიიღო. ჩვენ ზემოთ დავასახე-
ლეთ ფაქტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ წარმოდგენებიდან შემო-
სული თანხა არაიშვიათად დანიშნული იყო პატიმართა დასახმარებ-
ლად.¹⁹ ამ საკითხზე „ცნობის ფურცელში“ არის ცნობა იმის შესახებ,
რომ სოხუმელი სტენისმოყვარენი 20 თებერვალს აპირებენ ქართულ-რუ-
სული წარმოდგენის ჩვენებას, რომლის შემოსავალი ოსმალეთიდან ლტო-
ლვილ ღარიბ-ღატაკ სომეხებს გადაეცემაო. ქართული გაზეთი გამოთქვამ-
და იმედს, რომ „ყველა დაესწრება ამ წარმოდგენას და მით ცოტა-ოდ-
ნავ ნივთიერ დახმარებას აღმოუჩენს დღეს ოსმალთაგან დარბეულ-და-
წიოკებულ და ღეთის ანაბარა დარჩენილ სომეხებს“.²⁰

ამ მართლაც კეთილშობილური ღონისძიების ორგანიზატორი ყოფი-
ლა ელ. წერეთელი. ეს იყო დიდი მატერიალური და მორალური დახმა-
რება სომეხი ლტოლვილებისადმი. აი, რა ჰუმანური მიზანი ჰქონდა სო-
ხუმელ მოღვაწეთა საქმიანობას!

როგორც მასალებიდან ირკვევა, ელენე წერეთელი მეტად ენერგე-
ული, დაუზარელი და ინიციატივიანი საზოგადო მოღვაწე ყოფილა. მისი
თაოსნობით არა ერთი და ორი საქველმოქმედო წარმოდგენა გამართუ-
ლა სოხუმში. ამ კეთილშობილი მოღვაწე ქალის შესახებ პრესა წერდა:
„სამის საქველმოქმედო წარმოდგენისა და ერთის სეირნობისაგან, რომ-
ლებიც პატივცემულმა კნ. წერეთლისამ გამართა, წლეულ შემოვიდა
2.000 მანეთი“.²¹

ეს კი საგრძნობი თანხა იყო.

1895-1900 წწ. სოხუმის დრამკოლექტივმა წარმოდგინა ალ. ყაზ-
ბეგის „არსენა“, გ. ერისთავის „ძუნწი“, რაფ. ერისთავის „ჯერ დაიხოც-
ნენ, მერე იქორწინეს“, ვ. გუნიას „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, „მო-
ნადირე“, აკ. წერეთლის „ბუტიობა“, ა. ცაგარლის „პრიკაშნიკი“. ასე-
ვე, ვ. ნასიძის, ვ. აბაშიძის, გ. ჩიქოვანის, კ. ყიფიანის და სხვათა ორიგინა-
ლური თუ გადმოკეთებული პიესები.

ალათი შარვაშიძის თაოსნობით 1900 წლის 18 თებერვალს სოხუმ-
ში მაყურებლისათვის უჩვენებიათ ა. ცაგარლის „ბაიყუში“, ვ. გუნიას
„მონადირე“ და ვ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“. მონაწილეობა მიუ-
ღიათ ანასტ. კინწმარეიშვილს, მაკრ. თურქიას, ან. ჩხენკელს, ბარბ. ხრა-
მელაშვილს, ანდრ. ჭაფარიძეს, იას. ხახუტაშვილს, თ. სახოკიას და მელქ-
ხოხიაშვილს.²²

რეცენზენტი გვარწმუნებს, რომ წარმოდგენამ „ჩინებულად ჩაიარა“.
მისივე თქმით, „განსაკუთრებით კარგად შეასრულეს თავიანთი როლე-
ბი — „ბაიყუში“ თალიკოსი — მაკრინე თურქიამ და ელისაბედისა —
ანასტ. კინწმარეიშვილისამ... დარბაზი ისე იყო გაქედილი ხალხით.
რომ ერთი დასადგომი ალაგიც არსად მოიძებნებოდა“.

გაზეთის ცნობით. წარმოდგენას კარგად ჩაუვლია და მაყურებლის მო-
წონებაც დაუმსახურებია. შემოსავალი გათვალისწინებული ყოფილა თბი-
ლისის ქალთა (დედათა) სასწავლებლის დასაარსებელი ფონდისათვის

19 იხ. აგრეთვე „ცნობის ფურცელი“, № 341, 1897 წ.

20 „ცნობის ფურცელი“, № 119, 1897 წ.

21 „ცნობის ფურცელი“, № 341, 1897 წ.

22 „ივერია“, № 41, 1900 წ.

ინტერესს არ იქნება მოკლებული აქვე მოვიტანოთ გაზეთში გამოცხადებული მადლობა მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანისა ზემოაღნიშნული შეწირულების გამო. განცხადებაში ვკითხულობთ:

„უგულთითადეს მადლობას ეუცხადებ ეს. ალათია შარვაშიძისას, რომლის თაოსნობით ქ. სოხუმში 18 თებერვალს დედათა მომავალ სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ სცენისმოყვარეთ გამართეს წარმოდგენა. ამ წარმოდგენიდან შემოსული ფული — 22 მანეთი და 30 კაპიკი უკვე მივიღეო“.²³

მარიამი იყო ჩვენი სასიქადულო პოეტის ვახტანგ ორბელიანის ასული.

ერთ-ერთი მსგავსი საქველმოქმედო წარმოდგენა წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ გაუმართავთ 1900 წლის 5 ნოემბერს ტერეზა შარვაშიძის მეთაურობით. წარმოდგენილი ყოფილა გ. ერისთავის „ძუნწი“ და ვ. გუნიას „ვაის ვავეცალე და ვუის შევეყარე“. „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია: „ამ ახლო მომავალში სცენისმოყვარულნი კვლავ აპირებენ წარმოდგენის გამართვას სამოქალაქო კლუბის ახლად აშენებულს თეატრში“.

ქართულ მოხალისეთა თეატრს ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ განვითარების გზაზე. ადგილობრივმა მთავრობამ, თვითმპყრობელობის მოხელეებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ თეატრი ჩაგრული ხალხების ეროვნულ-გამათვისუფლებელი მოძრაობის სისხლხორცეულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომ თეატრალური წარმოდგენები აღვივებდნენ ეროვნულ და სოციალურ თვითშეგნებას, რაზმავდნენ მშრომელ მასებს უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ მეფის მოხელეები და მათი დამქაშები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეფერხებინათ ქართული თეატრის განვითარება. ამ გარემოებაზე მიუთითებდა იმ დროის ყველა პროგრესული მოღვაწე.

სოხუმელი ქართველობა ქალაქის მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად ოდნავადაც არ იხედა უკან და შემართებით უმკლავდებოდა ბნელეთის მოციქულების ოინებს.

სოხუმმა, მისმა მაცურებელმა თანდათან მოიზიდა სხვადასხვა ქალაქების თეატრალური წრეები, ხელოვნების ქურუმები. აქ ჩამოდიოდნენ მსახიობები, თეატრალური დასები თბილისიდან, ქუთაისიდან.

1894 წელს ქუთაისიდან სოხუმში ჩამოსულან „დრამატულის ხელოვნების მოყვარენი“ და ორჯერ გაუმართავთ წარმოდგენა, რომელთაც დიდი ზემოქმედება მოუხდენიათ მაცურებელზე. სოხუმელ ახალგაზრდებს ქუთაისელი სტუმრებისათვის ვახშამი გაუმართავთ.²⁴ ასევე სოხუმის ხშირი სტუმარი იყო თბილისის ქართული თეატრი.

სოხუმში ქართული და აფხაზური თეატრალური კულტურის განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით აგრეთვე მარიამ და შალვა დადიანებს. ვ. აბაშიძეს, ვ. გუნიას, ძ. ლოლუას, ა. სანაძეს და სხვ.

აფხაზური თეატრალური კულტურის წინაშე ძუკუ ლოლუას დამსახურების შესახებ აფხაზი მწერალი და თეატრალური მკვლევარი მ. ლაკერბაი მოგვითხრობს:

23 „ივერია“, № 69, 1900 წ.

24 „ივერია“, № 256, 1894 წ.

„ძუკუ ლოლუას მიერ პირველი აფხაზური თეატრალიზებული გუნდის ჩამოყალიბების ორი-სამი წლის შემდეგ სოფლად დაირხა ხმა იმის შესახებ, რომ სოფელში გამოდის ხალხი, რომელიც თავის თავს უწოდებს „მსახიობს“. ისინი დადიან თავიანთი დეკორაციებით, კოსტუმებით და გრიმებით“.²⁵

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ქართველ სცენისმოყვარეთა უანგარო საქმიანობამ და ქართული პროფესიული თეატრის მდიდარმა ტრადიციებმა ამავე დროს მეტად დიდი როლი ითამაშეს აფხაზური ეროვნული თეატრის, დრამატურგიისა და აქტიორული ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მართალია, აფხაზურ თეატრს, ისე როგორც ყოველ ეროვნულ თეატრს, ჰქონდა ფორმირების შინაგანი, ეროვნული საშუალებები, მაგრამ ქართულმა თეატრალურმა კულტურამ მას დიდი ბიძგი მისცა განვითარების გზაზე. ამ გარემოებაზე მ. ლაკერბაიძე გარკვევით მიუთითა:

„ის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ხანა აფხაზური თეატრის წინასტორიის პერიოდში, რომელმაც მოამზადა მასალა აფხაზური თეატრალური ხელოვნების განვითარებისათვის, მისი დრამატურგიისა და აქტიორული ოსტატობისათვის. ესაა ქართული თეატრი და მისი გამოჩენილი თეატრალური მოღვაწეები, რომლებიც დიდი ხნიდან ცდილობდნენ დახმარებოდნენ აფხაზებს, რომ შეექმნათ საკუთარი თეატრალური კულტურა, შეექმნათ საფუძველი აფხაზური დრამატურგიისა და აქტიორული კადრების ზრდისათვის“.²⁶

სოხუმის შემდეგ სცენისმოყვარეთა საკმაოდ ძლიერი დასი ოჩამჩირეში არსებობდა. სამწუხაროდ, ამ კოლექტივის მუშაობის შესახებ პრესამ მხოლოდ მეტად ძუნწი ცნობები შემოგვინახა, ისიც არა ყველა წარმოდგენისა და „მსახიობის“ მიმართ, მაგრამ რაც შეგვჩაჩა, მეტად ძვირფასი დოკუმენტია წარსულში ჩვენი ეროვნული კულტურის დონისა და ღირსების გასაშუქებლად.

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მთელს აფხაზეთში პირველი ქართული წარმოდგენები ოჩამჩირეში გაიმართა 1885 წელს. მომდევნო წლებში სცენისმოყვარეთა მოღვაწეობის შესახებ არაფერი ვიცით. მხოლოდ 1893 წლის „ივერია“ № 241-ში გამოჩნდა მეორე ცნობა ოჩამჩირელი სცენისმოყვარეების მიერ წარმოდგენილი სპექტაკლის შესახებ. ოჩამჩირის ორკლასიანი სასწავლებლის უფროსი მასწავლებელი ლაზარე ხმალაძე გაზეთში აცხადებდა:

„ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქ.-ქ. მარიამ ჩაჩავას, სალომე კერესელიძისას, ელისაბედ ტყეციშვილისას, ბ-ნთ — ქაიხოსრო მახარაძეს, გიორგი აბაშიძეს, არტემ კერესელიძეს, კონს. ყორდანიას და იასონ გელაშვილს, რომელთაც შრომა არ დაიხარეს და სასარგებლოდ სტუდენტის გ. გვაზავასი და თავილობრივ ორკლასიან სასწავლებლისა კვირას, 31 ოქტომბერს, გამართეს ქართული წარმოდგენა. წარმოდგინეს ანტონოვის კომედია: „მე პინდა კენინა გავხდე“ და „განა ბიძამ ცოლი შეირთო?“. საზოგადოება ბლომად დაესწრო“.

25 მ. ლაკერბაი, აფხაზური თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957 წ., გვ. 30.

26 იქვე, გვ. 31.

აქსცენისმოყვარეთა მთელი დასია დასახელებული, რომელსაც კორესპონდენტის ცნობით, კარგად გაურთმევია თავი შოვალეობისათვის. სამწუხაროდ, ქართული პრესა ისევ დუმს მომდევნო წლების წარმოდგენების შესახებ.

1898 წლის „ივერიაში“ არის ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ოჩამჩირელმა სცენისმოყვარეებმა ფიცრებისაგან საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულში როგორ წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“. გაზეთში აღნიშნულია:

„დ. ოჩამჩირე. 19 ივლისს ქართულ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებოდ ამ წარმოდგენისათვის გაკეთებულ ფარდულში ვ. გუნიას დრამა „და-ძმა“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით იყო გამართული და საზოგადოებამაც მხურვალედ თანაუგრძნო ამ საქმეს. სცენის მოწყობა იქისრა პ. პ. ზაიცევიმა, რომელსაც ოჩამჩირელები დიდ პატივს სცემენ. საზოგადოება, დიდლად ნასიამოვნები, ღამის 2 საათზე დაიშალა. ამ საღამოს ზოგიერთებს ის აზრით დაებადათ, რომ ცალკე სადგომი ააშენონ, სადაც ყოველთვის შესაძლებელი იქნება წარმოდგენის გამართვა.“²⁷

კორესპონდენტის ავტორი აღფრთოვანებულია ამ გონივრული გადაწყვეტილებით და სიხარულით დასძენს: „ღმერთმა ხელი მოუშარტოს ოჩამჩირელებს ამ სასახელო საქმის განხორციელებაში. განა ნარდისა და ბანქოს თამაშს ეს აღამიანური თავშექცევა არა სჯობია!“

როგორც ვხედავთ, ოჩამჩირის საზოგადოებას ჯერ კიდევ 1898 წელს გამოუთქვამს აზრი სცენისმოყვარეებისათვის „სადგომის“ აგების შესახებ. დასაშვებია, რომ ეს ნაგებობა შორს იქნებოდა თეატრის ნაშლევი შენობისაგან, მაგრამ, როგორც სტატიაში არის მითითებული, ის ვახდებოდა კულტურისა და ცოდნის, „აღამიანური თავშექცევის“ კერა.

სამწუხარო ის არის, რომ კორესპონდენტიაში არ არის დასახელებული, თუ ვინ იყვნენ მოხალისე მსახიობები, რეჟისორი, მხატვარი.

სამაგიეროდ, „ივერიის“ მომდევნო ნომრებში უკვე მითითებული არიან სხვა სპექტაკლების მონაწილეები და მოცემულია „მსახიობთა“ თამაშის შეფასების ერთგვარი ცდაც. მაგალითად, „ივერიის“ ინფორმაციაში ვკითხულობთ:

„ოჩამჩირეში 2 აგვისტოს სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო აზრით ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენილი იყო ქართულად ა. ცაგარლის ორმოქმედებიანი კომედია „ბაიყუში“ და გ. ერისთავის ერთმოქმედებიანი „უჩინ-მაჩინის ქული“, რუსულად „Сорок тысяч“ და „Не в свои сани не садись“. შემდეგ დასახელებულია მონაწილეები: მაკრინე და მაშო თურქიები, რეზნიკოვები, კ. აბაშიძე, ა. ჩაჩავა, გ. კერესელიძე, გ. კაპარავა, გ. მახარაძე, კ. გვასალია, ნ. მდივანი. წარმოდგენის შემოსავალი „გიმნაზიის ერთი ღარიბი მოწაფის“ სასარგებლოდ ყოფილა გათვალისწინებული.“²⁸

რეცენზენტი (ასე ვუწოდოთ პირობითად ამ ინფორმაციის ავტორს) განსაკუთრებულად აღნიშნავს „ხომალდთა საზოგადოების აგენტის“ პ. პ. ზაიცევის დამსახურებას ამ სპექტაკლების წარმატებაში. მან თურმე „ხე-

27 „ივერია“, № 160, 1898 წ.

28 „ივერია“, № 170, 1898 წ.

ლოენურად მოაწყო სცენა“. ე. ი. ოჩამჩირელ მოხალისეთა თეატრის მხატვარი ყოფილა პ. ზაიცევი, აქაური მოქალაქე. ახლა დასადგენია, თუ ვინ იყო მათი რეჟისორი? ეს საიდუმლოც გახსნილია მომდევნო სტრიქონებში. იქ „დიდი მადლობა“ არის გამოცხადებული მასწავლებელ ნ. ლადარიასა და კ. გვასალიასადმი, რომლებსაც გარკვეული წვლილი შეუტანიათ „წარმოდგენის კარგად მოწყობისათვის“. ხომ არ არიან ისინი ამ წარმოდგენის დამდგმელები?

მომდევნო წლებშიც ოჩამჩირელები წარმატებით დგამდნენ წარმოდგენებს. მაყურებელიც დიდძალი ჰყოლიათ. მაგალითად, 1900 წლის 9 ივლისს მათ უჩვენებიათ ვ. გუნიას „ადვოკატთან“ და კ. ყიფინის „დატრიალდა ჭარა“, ხოლო რუსულად ი. პოტაპენკოს „თიგული“ და „მყუდრო კუთხეში“ ერთმოქმედებიანი ვოდევილები. კორესპონდენციის ავტორი სიამაყით დასძენს: „წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდა ქ-ნი მაკრინე თურქია, რომელიც სოხუმიდან გვესტუმრათ“.²⁹ ასევე იმავე წლის 7 აგვისტოს დაუდგამთ ვ. გუნიას „და-ძმა“, ხოლო რუსულად ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ორასი წლის შემდეგ“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიუღიათ იმავე მსახიობებს. მათი შესრულების შესახებ გაზეთის მიმომხილველი მიუთითებს:

„საერთოდ წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. გაიოზის როლს ასრულებდა თავ. კოტე აბაშიძე, მარინესას — მაკრინე თურქია და ოტია ჯოლიასას — გ. კაქარავა, რომელთაც, განსაკუთრებით მარინე და გაიოზმა, მშვენივრად ჩაატარეს თავიანთი როლი... წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. თვით ახლომდებლო პოფლებიდანაც კი... წმინდა შემოსავალი (ხარჯს გარდა) 120 მან. მეტი დარჩა, რომელიც გადაეცა ერთს ღარიბ მოსწავლეს, რომლის სასარგებლოდაც იყო გამართული წარმოდგენა“.³⁰

აქედან თვალნათლივ ჩანს, რომ ოჩამჩირელი სცენისმოყვარეები დიდი მონდომებით ეკიდებოდნენ ამ კეთილშობილურ საქმეს და წარმატებებსაც აღწევდნენ. იგივე კორესპონდენტი სრულიად სამართლიანად დასძენს:

„დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ წარმოდგენის მოთამაშენი, რომლებმაც იმის გარდა, რომ ღარიბს მოსწავლეს დახმარება აღმოუჩინეს. საზოგადოებასაც საშუალება მისცეს ეს ღამე ჩვეულებრივზედ გონივრულად გაეტარებინა“.

როგორც იტყვიან, ფაქტები კომენტარებს არ საჭიროებენ, ისინი თავის თავზე თვითონვე მეტყველებენ.

გუდაუთაში პირველი წარმოდგენები გაიმართა რუსულ ენაზე 1893 წელს რუსებისა და ქართველების მონაწილეობით.³¹ ქართული წარმოდგენების ჩვენება დაიწყო 1895 წლიდან. ამ წლის გაზეთ „ქვალში“ არის მიითითებული, რომ გუდაუთაში პირველად უჩვენებიათ ქართული წარმოდგენა, ი. ქავჭავაძის „დედა და შვილი“ და ორი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.³²

ეს ყოფილა დიდი დღესასწაული გუდაუთელი ქართველების ცხოვ-

29 „ივერია“, № 154, 1900 წ.

30 „ივერია“, № 179, 1900 წ.

31 „ივერია“, № 268, 1893 წ.

32 თ.-ღე გ-ძე (თ. გოგიტიძე), გუდაუთი. „ქვალი“, № 18, 1895 წ.

რებაში. კორესპონდენტი საგანგებოდ მიუთითებს ოლა ჩიქოვანის მიერ დედის როლის მოსაწონ განსახიერებაზე. იგი თურმე „რამდენჯერმე საზოგადოების თხოვნით გამოწვეულ იქნა სცენაზე“. თ. გოგიტიძე ამ კეთილშობილი ქალის მისამართით წერს: „მართლაც, ისე მშვენივრად და საგრძობლად შეასრულა ამ ქალმა დედის როლი, რომ დღესაც ყველას თვალწინ უდგას ის ქართველი დედა, რომელსაც თავისი უკანასკნელი ერთადერთი საყვარელი შვილიც არ დაუზოგავს მოძმეთა საშველად და მაშულის სახსნელად“.³³

ასევე „კარგად უთამაშნიათ“ ვანო ბეთანიშვილსა და ნიკო ჯანაშიას. ამ უკანასკნელმა, „გარდა იმისა, — ვკითხულობთ სტატიაში, — რომ თავისი როლი კარგად ჩაატარა, შემწვობაც ბევრი აღმოგვიჩინა და ხელი გაგვიმართა“. „მატერიალურის მხრივ“ სცენიმოყვარულთათვის დიდი დანაშაურობა გაუწევია გუდაუთელ მოქალაქეს დიმიტრი ნადარეიშვილს.

„ივერიის“ თანამშრომელი აღფრთოვანებულია გუდაუთის კულტურული ცხოვრების აღორძინებით, რომ ხალხს მიეცა „გონივრული დასვენების“ და გართობის საშუალება.

1896 წლის 16 მარტს გუდაუთელ სცენიმოყვარეებს უჩვენებიათ კიდევ რამდენიმე წარმოდგენა: „წუთის საცოლე“, რუსულიდან თარგმნილი ა. ნებიერძის მიერ, და ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ეს დადგმებიც გათვალისწინებული ყოფილა საქველმოქმედო მიზნისათვის.

1896 წლის „ივერიის“ № 71-ში არის მოთავსებული საგულისხმო ინფორმაცია გუდაუთაში ჩატარებული წარმოდგენის შესახებ. მას ხელს აწერენ გუდაუთელი მოღვაწეები, „წარმოდგენის მოთავენი“, დიმიტრი ნადარეიშვილი, სიმონ საბაშვილი, ნიკო ჯანაშია და თეოფილე გოგიტიძე. წერილში კარგად ჩანს ის დიდი იდეალები, რომლებიც ასულდგმულებდა სცენიმოყვარეებს რთულ და კეთილშობილურ საქმიანობაში. აქვე დასახელებულია დრამატული წრის წევრები. წერილში ვკითხულობთ:

„ბ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით რა ამასთანავე 25 მან., გთხოვთ უმორჩილესად ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ მახლობელ ნომერში შემდეგ წერილს: ამ თვის შუა რიცხვებში გუდაუთში საქველმოქმედო მიზნით გამართულ იქნა ქართული წარმოდგენა, რომლიდანაც შემოვიდა სულ 75 მან. აქედან დაიხარჯა 25 მან., დანარჩენი 50 მანეთი განაწილდა ასე: 25 მანეთი გადაიდვა ადგილობრივ საკითხველოს სასარგებლოდ, მეორე 25 მანეთი კი — წყალდიდობის და დიდი თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის და თბილისის გუბ. მცხოვრებთათვის სასარგებლოდ, ამას გარდა, უგულითადეს მადლობას ვუძღვნით ბ-ნს ბ. პ. ჩიქოვანს და გიორგი თოფურაძეს და განსაკუთრებით იმ პირთ, რომლებმაც არ დაიზარეს თავიანთი შრომა და მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენაში: ქ-ნ ელენე ჯანაშიას, ბ-ნთ ბუკიას, ბეთანიშვილს, ს. ნოდისს, კ. ლოლუას, ეკ. ჟდანოვიჩს, ვასილჩენკოს და მთელ საზოგადოებას. იმედია პატივცემული საზოგადოება შემდეგშიც არ დაიშურებს თავის წვლილს კეთილ საქმისათვის და მოგვიმართავს ხელს ამნაირ შემთხვევის გასახშირებლად“.

³³ თ-ლე გ-ძე (თ. გოგიტიძე), გუდაუთი, „კვალი“, № 18, 1895 წ.

სამწუხაროდ, მეტი ცნობები გუდაუთელი სცენისმოყვარეების შესახებ ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

გასული საუკუნის მიწურულში ოქუმიც არსებობდა დრამწერე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე გეგია, ეს უპრეტენზიო მუშაყი მშობლიური კუთხისა.

ივ. გეგია 1890 წელს სამურზაყანოს ცენტრში — ოქუმში აარსებს სცენისმოყვარეთა წრეს, რომელმაც შემდეგ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ეროვნული კულტურის ხალხში დანერგვისა და პატრიოტული გრძნობის გაღვივების საქმეში. ერთუხიასტმა მოღვაწემ დიდი ქართველ მწერლების წახელულებითა და წაქეზებით დაბა ოქუმის მოწინავე ახალგაზრდობას მოუყარა თავი. მათ შორის ჩააბა თავისი და თეკლ, საკუთარი სახსრებით შეიძინა დასისათვის საჭირო მოწყობილობა და შეუდგა საქმეს. ხალხისათვის პირველად უჩვენებიათ დ. ერისთავის „სამშობლო“ და გ. ერისთავის „უჩინ-მანინის ქული“. წარმოდგენებს ხალხი ბლომად დასწრებია. ხიმშიაშვილის როლი თვით ივ. გეგიას შეუსრულებია.

ამ წარმოდგენების შემდეგ დაუდგამთ ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და რ. ერისთავის „დილა ქორწილის შემდეგ“. წარმოდგენები ოქუმს გარდა ოჩამჩირეშიც უჩვენებიათ.

ადვილი წარმოსადგენია 1890-1900-იანი წლების დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის, გზები. ამ უგზობის დროს ივ. გეგიას „დასი“ ოქუმიდან ოჩამჩირეში სავასტროლოდ ურმით გამგზავრებულა. რაოდენი მონდომება, სიყვარული და სითბო უნდა ყოფილიყო ჩაქსოვილი ივ. გეგიას წამოწყებაში, რომ სცენისმოყვარეთა ამ პატარა ჯგუფს ურმით საქმოდ დიდი მანძილი გადაელახა და წარმოდგენები ეჩვენებინა. მაშინდელ ოჩამჩირეში წარმოდგენის გამართვა მხოლოდ სკოლის შენობაში შეიძლებოდა. ი. გეგიას „თეატრს“ ოჩამჩირელი საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა. პატარა წრემ აღიარება ჰპოვა. თანდათან გაფართოებულა მისი შემადგენლობა, რეპერტუარი და მოქმედების სარბიელიც. დრამწერეს წარმოდგენების ჩვენება სამეგრელოშიც დაუწყია. ძველი რეპერტუარი გაუმდიდრებიათ ვ. გუნიას „და-ძმოთ“.

ივ. გეგიას ამ წამოწყებას გამოეხმაურა ქავეკავადის „ივერია“, სადაც ვკითხულობთ:

„ერთად-ერთი სასიამოვნო ამბავი აქეთენ ის არის, რომ ამ მოკლე ხანში ქართველი სცენისმოყვარეთაგან ბ-ნი ივანე გეგიას მოთავეობით გამართულ იქნა ქართული წარმოდგენები ოჩამჩირესა და ზუგდიდში თითოჯერ და ოქუმში — ორჯერ... წარმოდგენებმა ყველგან კარგად ჩაიარა. როლები ყველამ იცოდა და გრძნობითაც თამაშობდნენ: განსაკუთრებით კარგები იყვნენ ქ-ნნი: ნეონილა ჩხენკელი და თეკლე გეგია და ბ-ნი ივანე გეგია. საზოგადოება ყველგან ნასიამოვნები დარჩა. ყველგან თანაგრძნობას უტყბადებდნენ, მადლობას უხდიდნენ და სთხოვდნენ კიდევ გვასიამოვნეთო“.³⁴

ამ წარმოდგენებსაც საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონდა. შემოსული თანხის ერთი ნაწილი გადაუციათ ტაგუ ჭიანავას ობლებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი გაუგზავნიათ თბილისში რუსთაველის ძეგლის ასაგები ფონდისათვის.

³⁴ ა. ენგურელი (ა. გოგობია), წერილი სამურზაყანოდან, „ივერია“, № 237, 1893 წ.

როგორც დავინახეთ, ოქუემელი სცენისმოყვარეებიც, ისე როგორც მათი კოლეგები სოხუმიდან, ოჩამჩირიდან, გუდაუთიდან, საერთო სახალხო კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდნენ, უანგაროდ თამაშობდნენ სცენაზე, რომ თანამემამულეთათვის სულიერი საზარდო მიეწოდებინათ, ხალხში კეთილი თესლი დაეთესათ. მათი მორიდებული წვლილი ეროვნული კულტურის საგანძურში ყოველთვის იქნება დაფასების ღირსი.

სცენისმოყვარეთა თეატრმა გასულ საუკუნეში დიდი ამაგი დასდო ეროვნულ კულტურას, სახალხო განათლების საქმეს, მშობლიურ ენას. ის წარმოადგენდა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძლიერ უბანს, იმ უქრობ კერას, სადაც იწრთობოდა პატრიოტული გრძნობა, კეთილშობილება.

ეს ეროვნული მისია თავის დროზე ჩინებულად და პირნათლად შეასრულეს სოხუმელმა, ოჩამჩირელმა, გუდაუთელმა და ოქუემელმა სცენისმოყვარეებმა. უანგარო მოღვაწეობამ მოამზადა ნოყიერი ნიადაგი აფხაზეთში ქართული და აფხაზური პროფესიული თეატრების ჩამოყალიბებისათვის.

XXIX. აფხაზი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები
და საქართველო

გრიგოლ შარვაშიძე

გასული საუკუნის აფხაზ მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ ალექსანდრეს (ალი-ბეგის) ძე შარვაშიძეს (ჩაჩბას). იგი ბევრის მომსწრე და მნახველი იყო. მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ მის თვალწინ ჩაიარა. თვითონ იყო უშუალო მონაწილე იმ რთული და საბედისწერო ცხოვრებისა, რომელიც თავს გადახდა აფხაზ ხალხს გასული საუკუნის მანძილზე.

გრიგოლი აფხაზეთის მთავართა შთამომავალი იყო.¹ მამამისი ალექსანდრე (ალი-ბეგი) დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა აფხაზეთში; იყო აბუჟის (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) მფლობელი.²

დედა კესარია, სამეგრელოს კანონმდებლის — დიდი ნიკო დადიანის ასული — სამეგრელოს მთავართა საგვარეულო შტოს წარმომადგენელი, ყოფილა ფრიად განათლებული, კეთილი, დარბაისელი ადამიანი.³ ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი პირადად განაგებდა აბუჟის ოლქს და აფხაზი ხალხის დიდი სიყვარული მოუპოვებია.⁴

კესარია პოეტ. გ. შარვაშიძის აღმზრდელი იყო. გ. შარვაშიძის დედა ალექსანდრა კესარიას ძმის გიორგი დადიანის ასული იყო. ამდენად, კესარია დადიანი-შარვაშიძე იყო პოეტ გ. შარვაშიძის დედის ალალი მამიდა. კესარიას და ეკატერინე ცნობილი პოეტის მამია გურიელის დედა იყო. კესარიას მეორე და კი იყო დედა ცნობილი კონსტანტინე დადეშქელიანისა, რომელმაც ხანჯლით განგმირა ქუთაისის გუბერნატორი გავარინი აბუჩად აგდებისათვის. მაშასადამე, მამია გურიელი, გრიგოლ შარვაშიძე და კონსტანტინე დადეშქელიანი ალალი დეიდაშვილები იყვნენ, ხოლო მათთვის პოეტი გ. შარვაშიძე ბიძაშვილის შვილი იყო დედის მხრით.

გრიგოლ შარვაშიძეს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული. სამხედრო სამსახური დაუწყია 20 წლის ასაკიდან, ე. ი. 1828 წლიდან და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არა ერთი და ორი საომარი ოპერაციის მონაწილე ყოფილა. მას არაერთგზის უსახლეობია თავი განსაკუთრებით თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი დამსახურების შესახებ

¹ „Кавказ“, № 51. 1898.

² ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, იხ. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946 წ., გვ. 42.

³ М. Селезнев, Руководство к познанию Кавказа, кн. II, С. П. Б., 1847, გვ. 163 — 167.

⁴ ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, იხ. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946 წ., გვ. 43.

ვაზ. „კავკაზი“ წერდა: «Заслуги его (ე. ი. გრ. შარვაშიძისა — ო. კ.) слытны неоценимы для русского оружия»⁵.

გრიგოლს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ ომში მიღწეული წარმატებისათვის (მას 12 შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა) იგი დაუჭილდობით წინდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით.⁶

გ. შარვაშიძე მეტად განათლებული, ცხოვრებას ღრმად ჩახედული პროგრესული მოღვაწე იყო. ესმოდა მშობლიური ხალხის გულისტკივილი, ხედავდა მისი ჩამორჩენის, სიბნელის მიზეზებსაც. ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა თანამემამულეებში განათლება და კულტურა შეეტანა, სკოლები დაეარსებინა იგი სწავლა-განათლებაში ხედავდა პროგრესის რეალურ საფუძველს.

გრ. შარვაშიძემ მონაწილეობა მიიღო 1865 წელს თბილისში გამოცემული აფხაზური ანბანის შედგენაშიც. მან ცნობილ საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძესთან ერთად საყურადღებო შენიშვნები შეიტანა აფხაზური ანბანის შემდგენი კომისიის მუშაობაში, რომელსაც ი. ა. ბარბოლოვი ხელმძღვანელობდა.⁷

გრიგოლი განსწავლული კაცი ყოფილა. სცოდნია აფხაზური, ქართული, რუსული, მეგრული, თურქული ენები. მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი (მან სიკვდილის შემდეგ დატოვა 40 შთამომავალი)⁸ მუდამ ხალხის სამსახურში იდგა. მეუღლე ალათი დადიანი-შარვაშიძე საქვეყნოდ ცნობილი ქველმოქმედი მოღვაწე გახლდათ, რომლის თაოსნობით ხშირად იმართებოდა სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო წარმოდგენები აფხაზეთში. ეს ოჯახი სანიმუშოდ ითვლებოდა მთელს საქართველოში.

გრ. შარვაშიძეს მკვიდრო კავშირი ჰქონდა ქართველ მოწინავე მოღვაწეებთან: დიმ. ყიფიანთან, ნ. ნიკოლაძესთან, რაფ. ერისთავთან, ი. ჭავჭავაძესთან, ნ. დადიანთან, მათთან მიმოწერას აწარმოებდა ქართულ და რუსულ ენებზე. ქართული ენა მისთვის მეორე მშობლიურ ენას, დედის ენას წარმოადგენდა. იგი ამავე დროს ქართულ კულტურულ სამყაროსთან მისი ურთიერთობის საშუალება იყო.

გრიგოლს განსაკუთრებით თბილი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიმ. ყიფიანთან. როგორც ცნობილია, სამსახურებრივი მდგომარეობით დიმ. ყიფიანი დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ. აფხაზეთთან. კავკასიის მმართველობის მიერ იგი მივლინებული იყო აფხაზეთში 60-იანი წლების დასაწყისში ცარიზმის პოლიტიკით აფხაზი ხალხის უკმაყოფილების მიზეზების დასადგენად და ამ საქმეში შთაერის — მიხეილ შარვაშიძის მონაწილეობის გასარკვევად.⁹

დიმ. ყიფიანი აფხაზეთის უსულგულო სტუმარი როდი იყო. მას აინტერესებდა მოძმე აფხაზი ხალხის ბედი, მისი წარსული და თანამედროვე ცხოვრება. სულიერი და მატერიალური კულტურა. იწერდა ხალხში არ-

5 «Кавказ», № 51, 1893 г.

6 იქვე.

7 «Кавказ», № 70, 1862 г.; X. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967 г., გვ. 48.

8 «Кавказ», № 51, 1898 г.

9 დიმ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1930 წ., გვ. 47.

სებულ ლეგენდებს, თქმულებებს, თვალყურს ადევნებდა ინტელექტუალურ ცხოვრებას. აფხაზთა შორის დიმიტრის ყავდა ბევრი გულითად მეგობარი, რომლებთანაც ჰქონდა ტკბილი ურთიერთობა, ხშირი მიმოწერა. ეს მასალები დაცულია დიშ. ყიფიანის არქივში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აფხაზეთში დიშ. ყიფიანის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა აღწერილი აქვს ცნობილ ისტორიკოსს ს. ესაძეს.¹⁰

დიშ. ყიფიანის აფხაზ მეგობართა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კონსტანტინე და გრიგოლ შარვაშიძეები. პირველი იყო აფხაზეთის მთავრის მიხეილის ძმა. დიმიტრი და კონსტანტინე ერთად მონაწილეობდნენ მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ 1832 წლის შეთქმულებაში. მათ ერთად იგემეს თავისუფლებისათვის მებრძოლის სიტკობცა და სუსხიც. შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთი არასოდეს დაუკარგავთ.

გრ. შარვაშიძესთან დიშ. ყიფიანს აკავშირებდა ასევე გულთბილი და უანგარო მეგობრული გრძნობა, ხუთი ათეული წლის ხალასი ურთიერთობით ნაწრთობი. ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილების ასეთი ურთიერთდამოკიდებულება კარგად ჩანს იმ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, რომელიც ისტორიის ქარტეხილებს შემორჩა დიშ. ყიფიანისა და გრ. შარვაშიძის მიმოწერის სახით.

დიშ. ყიფიანი თავის მეგობარს, გრ. შარვაშიძეს, 1884 წელს სწერდა: „შენ აღმიდგინე ისევე ეს იმედი, შენ გამიცხოველე და გულდამშვიდებული ვარ, რომ ისევ შენი ძველი მეგობრობა, 47 წლის მეგობრობა, გამიმართავს ხელს და დიდის განსაცდელისაგან გამომიყვანს.“

ხორციელი კაცი არ იპოება ქვეყნად, რომ იმედი მქონიყოს იმისი, როგორც შენი საქვს.

„შენი უერთგულესი და ძველი მეგობარი დიმიტრი“.¹¹

დიშ. ყიფიანს აფხაზეთში ყოფნის დროს 1862 წელს ჩაუწერია ერთი მეტად საყურადღებო ამბავი აფხაზთა ცხოვრებიდან, რომლის დაახლოებით ანალოგიური ფაბულა გამოყენებული აქვს აფხაზ მწერალს შიან. ლაქერბაის თავისი პიესის „დანაყაის“ საფუძვლად. ეს არის „თავად ან-ჩაბაძისა და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი“.¹²

გრ. შარვაშიძეს მეტად ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძესთანაც. მათი მიმოწერიდან ჩანს, რომ ისინი ერთმანეთთან „გაშინაურებულები“ იყვნენ და ჰქონდათ ტრადიციული ძმობა-მეგობრობა და საქმიანი დამოკიდებულება. წერილების უმეტესობა შეეხება გრ. შარვაშიძისა და მისი შვილის — ივანეს მამულებს, რომლებიც გაქიმული იყო კოდორიდან დალიძგამდე. აქ გრიგოლს ჰქონდა 3.000 დესეტიზა მამული ძვირფასი ტყით (მუხა, ბზა, წაბლი, წიფელი), რომელიც შეფასებული იყო 600.000 მანეთად.

¹⁰ С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом, т. II. Тифлис, 1907.

¹¹ საქართ. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიშ. ყიფიანის არქივი, დოკ. № 582.

¹² ეს დოკუმენტი ჩვენ მიერ გამოქვეყნებულია აფხაზურ ვაზეთ „აფსნი ყაფშში“, № 28 (10-11). 1971 წ. (ტექსტისა და კომენტარების თარგმანი ეკუთვნის დოკ. ბ. გურგულიას.), ქართულად კი — ვაზ. „საბჭოთა აფხაზეთში“, 1972 წლის 4 იანვრის ნომერში.

ამ მამულების რეალიზაციისა და სოხუმი-ახალი სენაკის რკინიგზის გაყვანის საქმეში (ამ გეგმის განხორციელებაზე ბევრს ფიქრობდა გრიგოლი. განსაკუთრებით აინტერესებდა რკინიგზის გაყვანა თავისი ქვეყნის კულტურული აღორძინების მიზნით) იგი დახმარებას თხოვდა ნ. ნიკოლაძეს, როგორც გამოცდილ ადამიანსა და მეგობარს.¹³

გრ. შარვაშიძე წერდა გამართული ქართულით. მაგალითად, ერთ-ერთ წერილში იგი ნ. ნიკოლაძეს მიმართავდა:

„საყვარელო ნიკოლაი იაკობიჩ, გუშინდელ გაზეთში წავიკითხე, რომ ქუთაისის ბანკის საქმისათვის აგზავნიან კომისიას აქედამ და თუ შეიძლება ერთი სვიმონ მომიყვანე და მოდი და მოვილაპარაკოთ. გაზეთს გიგზავნი.

ქნ. გრიგოლ შარვაშიძე“.

მეორე წერილში იგი ქართველ მეგობარს სწერდა:

„უძვირფასესო ნიკოლაი იაკობის ძე, პირადად გიძღვნი ჩემს უგუთითადეს მოკითხვასა და პატივისცემას და ჩესურებებ ყოველსა კარგსა და კეთილსა და სიმართლესა. იმედი მაქვს ჩვენცა გვიკითხავ, ვართ სიმრთელითა...“ მეერ მოსდევს საქმიანი საუბარი.

მკითხველი უთუოდ იგრძნობს ამ წერილების სიტყვებში ღიღი სიბოძოსა და მეგობრულ გრძნობას, კდემამოსილ დამოკიდებულებას აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო შეილებს შორის. სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძის პასუხები დაკარგულია.

გრ. შარვაშიძე ეწეოდა მეტად სასარგებლო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. პირველ რიგში ეს გამოიხატებოდა სახალხო განათლების პროპაგანდაში, აფხაზი მოღვაწის საქმიან კავშირში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომლის მეშვეობით იგი ცდილობდა თავის სამშობლოში სკოლების ქსელის გაფართოებასა და ახალი თაობის აღზრდის სწორ ორგანიზაციას. ამ გარემოებას ჭეროვან ყურადღებას უთმობდა ქართული პრესა.

გრ. შარვაშიძის თაოსნობით 1880 წელს მაშინ დაბა ოჩამჩირეში მოუწვევიათ აფხაზეთისა და სამურზაყანოს (მაშინ არსებობდა ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა. დღევანდელ გალის რაიონს ეწოდებოდა სამურზაყანო და ითვლებოდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად) „ქეთილშობილთა თათბირი ქურდობის მოსპობის თაობაზე მოსალაპარაკებლად“, სადაც მრავალი წინადადება ყოფილა წამოჭრილი მოსაგვარებლად. მათ შორის ყველაზე მტკივნეული საკითხი აღუძრავს თვით გრ. შარვაშიძეს. თუ რა შინაარსისა იყო იგი, ამის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „დროება“:

„ამ ყრილობაზე ლენ. თ. გრიგოლ შარვაშიძეს მიუცია დამსწრეთათვის წინადადება, რომ, რადგან უმთავრესი მიზეზი ქურდობისა არის უმეცრება და ურიგოდ გაგებული თავ-მოყვარეობა; რადგან სკოლა და სწავლა დაგხსნით თქვენ ამ ნაკლოვანებათაგან, ამის გამო გირჩევთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრად ჩაეწეროთო“.¹⁴

¹³ საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. №№ 47-9, 47-7, 47-6. იხ. აგრეთვე. გაღადმული (ანთ. ჭულელი), სოხუმი, „დროება“, № 252, 1883 წ.

¹⁴ „დროება“, № 206, 1880 წ.

ეს აზრი დამსწრე საზოგადოებას მოსწონებია და მიუღია კიდეც-ბევრს გამოუთქვამს წერა-კითხვის საზოგადოების წევრობის სურვილი. განათლებული და გავლენიანი მოღვაწის წინადადებას თავისი დადებითი შედეგი მოუტანია. „დროების“ მომდევნო წლის ერთ-ერთ ნომერში არის ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გრ. შარვაშიძეს მარტო ლიტონი განცხადება როდი გაუკეთებია, არამედ მიჰყოლია საქმეს და მისი წყალობით ბევრი თანამემამულე გამხდარა ი. ჭავჭავაძისა და დიმი. ყიფიანის მიერ 1879 წელს დაარსებული წერა-კითხვის საზოგადოების წევრი. ინფორმაციაში მითითებულია:

„ჩვენ გვაცნობეს, რომ გენერალ-მაიორის თავ. გრ. ა. შარვაშიძის თაოსნობით აფხაზეთის საზოგადოებას განუცხადებია სურვილი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს აფხაზეთში სკოლების გამართვა და ბევრ თავად-აზნაურთა გამოუცხადებით კიდეც სურვილი საზოგადოების წევრათ შესვლისა. ჯერ დროებით საზოგადოებას მოსვლია ოცდაექვსი კაცისაგან საწევრო ფული და განცხადება წევრად მიღებაზე. უმეტესი ნაწილი ამთავანი არიან შარვაშიძეები, მარშანიები, ანჩაბაძეები და ემუხვარები“.¹⁵

იმ განცხადებაში, რომელიც შემოუტანიათ საზოგადოების მმართველობაში, ისინი ითხოვენ, რომ სკოლებში პირველადწყებითი სწავლა უეკველად ქართულ ენაზე იყოს, რადგანაც ძველის დროიდან ეს ენა არის ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენა“.¹⁶

უფრო გვიან, 90-იანი წლებიდან, აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენცია მოითხოვდა აფხაზური სოფლების სკოლებში აფხაზურ ენაზე და ქართული მოსახლეობის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას. ამასთან ეს ინტელიგენცია სასტიკად იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც უფლებელებად მშობლიური ენის როლსა და მნიშვნელობას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. 1895 წელს „ივერიაში“ არის შემდეგი ხასიათის ცნობა:

„სამურზაყანოს და აფხაზეთის საზოგადოებამ გაგზავნა, სადაც ჯერ არს, თხოვნა. რათა მათ სასოფლო სასწავლებლებში დედა-ენის სწავლება შემოიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან სასწავლებლები გააუქმონ.

ჩვენშიაც არიან იმისთანა პირები, რომელთაც კარგად შეუგნიათ, რომ „მალა აცოცებისათვის კულის ქნევაა საჭირო“ და კიდევაც ასე იქცევიან. ესენი უქადაგებენ ხალხს, საჭირო არ არის თქვენმა შვილებმა ქართული ენა იცოდნენ“.¹⁷

ასე ებრძოდა ერთმანეთს ორი აზრი, ორი ტენდენცია, ორი შეხედულება. ერთი გამომდინარეობდა ეროვნული ინტერესებიდან, ხოლო მეორე — თვითმპყრობელობის პოლიტიკიდან. ადგილობრივ საფუძველზე ამ აზრების დაპირისპირება სწორედ მეფის მთავრობას, მის კოლონიურ პოლიტიკას უმარტავდა ხელს.

ცნობილი რუსი მოხელე კ. ბოროზდინიც კი, რომელიც კარგად იცნობდა დასავლეთ საქართველოს, მის თავისებურებას, წლების მან-

15 „დროება“, № 22, 1881 წ.

16 იქვე.

17 „ივერია“, № 218, 1895 წ.

ძილზე ცხოვრობდა აქ იგი იყო ჯერ სამეგრელოს მთავრის კანცელარიის მონივე და მთავრის შვილების აღმზრდელი, ხოლო შემდეგ, როდესაც გააუქმეს სამეგრელოს ავტონომია, სენაკის მაზრის პირველი უფროსი და მის შესახებ საინტერესო მოგონებები და ჩანაწერები დაგვიტოვა, მოითხოვდა, რომ სამეგრელოს სკოლებიდან და ეკლესიებიდან ქართული ენა გაეძევიებინათ და მის ნაცვლად რუსული შემოეღოთ. იგი წერდა: „მეგრელს სჭირია მხოლოდ თავისი დიალექტი და რუსული ენაო“.¹⁸

ამ რეაქციულ აზრს წინ აღუდგა მოწინავე ინტელიგენცია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის საქმიანობაში იდგინა პროგრესული ნაბიჯი შეინიშნა განათლებულმა აფხაზმა მოღვაწემ გრ. შარვაშიძემ, დაუქირა რა მხარი, მშობლიური ხალხის ეროვნული და გონებრივი განვითარების საფუძველი დაინახა მასში.

გრიგოლ ალექსანდრეს ძე შარვაშიძე გარდაიცვალა 1898 წელს, დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ათარაში, მამა-პაპათა საძვალეში.¹⁹ მის მრავალრიცხოვან შთამომავალთა შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ალექსანდრე შარვაშიძის მოღვაწეობა აფხაზეთის საზოგადოებრივ სარბიელზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობამ სასტიკი იერიში მიიტანა „ინოროდცების“ წინააღმდეგ. განსაკუთრებით შეუტია აფხაზეთს, სურდა რა ამ უკანასკნელის მოკვეთა დედასაქართველოსაგან და ჩერნომორიის გუბერნიისადმი მიერთება. ამასთან დაკავშირებით ცდილობდა აფხაზეთის ეკლესიის — სოხუმის ეპარქიის — საქართველოს ეგზარქატისაგან ჩამოცილებას და უშუალოდ პეტერბურგში არსებულ ე. წ. უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებას.

ამ რთულმა საკითხმა დიდი ხმაური, მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინ პრესასა და საზოგადოებრივ წრეებში. აფხაზეთის ძირეული მოსახლეობა, მისი ინტელიგენცია ორად გაიყო. აფხაზთა უმრავლესობა, ამ ისტორიულად ნაწამები ერის ჯანსაღი ნაწილი, ფხიზლად მოაზროვნე ადამიანები გრძნობდნენ, შავრაზმელები თუ რა მახეს უმზადებდნენ მათ სამშობლოს, ამიტომ თავგამოდებით იცავდნენ საქართველოსთან კავშირს. გამოდნენ სოხუმის ოლქის (აფხაზეთის) ჩერნომორიისადმი მიერთების პოლიტიკას.

ცნობილი თეატრმცოდნის ს. გერსამიას არქივში არის დაცული ძველი ჟურნალისტის ბ. ჯაიანის „მოგონებები“ (1951 წ.), რომელშიც არის აღნიშნული ის გარემოება, რომ თვით პოეტი გ. შარვაშიძე სასტიკად აღუშფოთებია ამ პროექტს. მისი ინიციატივით შემდგარა აფხაზეთის დელეგაცია ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძის მეთაურობით. მასში შედიოდნენ: ექიმი ვარლამ შარვაშიძე, ასთამურ ინალ-იფა, მელიტონ ემუხვაირი, პეტრე ანჩაბაძე, გრიგოლ ზუხბაია და ანტონ ჩუკბარი. ეს დელეგაცია ჩასულა თბილისში და წარმდგარა მეფისნაცვლის წინაშე თხოვნით, რომლის პროექტი შეუდგენია პოეტი გ. შარვაშიძეს.²⁰

¹⁸ ციტატი მოტანილია ს. ჯანაშიას შრომიდან „გიორგი შარვაშიძე“. დასახელებული წიგნი, გვ. 45.

¹⁹ „ცნობის ფურცელი“, № 449. 1898 წ.

²⁰ ამ დოკუმენტის ასლი ინახება მკვლევარ ს. ლევიშვილთან, რომლისთვისაც სიცოცხლეში გადაუცია აწ განსვენებულ ს. გერსამიას. მასალოთ სარგებლობისათვის მკვლევარ ს. ლევიშვილს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

1916 წელს გაზ. „საქართველოს“ მაისის ნომერში გამოქვეყნდა „მცირედი განმარტება აფხაზთა მოთხოვნის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერდნენ მელიტონ ემუხვარი და პეტრე ანჩაბაძე. „განმარტებაში“ აფხაზი ხალხის სახელით შემდეგი არის აღნიშნული:

„ჩვენი სურვილია, შევიზახოთ ენა და განსაკუთრებული თვისება... ჩვენი თვითარსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეჯავშირებულნი შობმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ მევიზახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქიხებით“.

აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციას წარმოდგენილი არა ჰქონდა ამ ორი ხალხის ცხოვრება უერთმანეთოდ.

აფხაზი და ქართველი ხალხების ამ ურთულეს საკითხს ფართოდ გამოეხმაურა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. მან მისცა ვრცელი ინფორმაცია, უფრო ზუსტი და კონკრეტული მოთხოვნების დასახელებით, ვიდრე გაზეთმა „საქართველომ“. ამასთან მოათავსა დეპუტაციის მოხაზილ მოგიერთ პირთა ჭგუფური ფოტოსურათი. რაც შეეხება დეპუტაციის მოთხოვნას, იგი ჟურნალის რედაქციის მიერ ასე არის ჩამოყალიბებული:

1. „მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მივიწყებულს სოხუმის ოლქს, 2. გაიხსნას აქ რაც შეიძლება მეტი სკოლები, უმთავრესად პრაქტიკულ ხასიათისა, 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და შესწორებული ძველი, 4. სწავლა სკოლებში სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულზე და აფხაზურზე), 5. სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნას ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქნეს შეერთებულ-მიწერილი სხვა უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის), 6. თუ შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან, 7. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსაგან“.²¹

ჟურნალის ცნობით, მეფისნაცვალს მიუღია ეს დეპუტაცია, ყურადღებით მოუსმენია და აღუთქვამს დახმარება. დეპუტაცია წარმდგარა აგრეთვე საქართველოს ეგზარქოს არქიეპისკოპოს პლატონის წინაშე და ისიც დაპირებია მხარდაქერას.

ამავე ნომერში არის დაბეჭდილი სურათი ხუთი კაცისა. ოთხი ზის და ერთი ახალგაზრდა ჩონა-ახალუხში გამოწყობილი ფეხზე დგას. სურათს აქვს ასეთი წარწერა: 1. თ.მ.კ. შარვაშიძე, 2. თ. ა. გ. შარვაშიძე, 3. თ. მელიტონ ემუხვარი, 4. თ. ასტამურ ინალ-იფა. ამას დართული აქვს რედაქციის ასეთი შენიშვნა:

„აქ ჩამოთვლილ პირთა გარდა დეპუტაციაში იყვნენ: თავ. პეტრე

²¹ „თეატრი და ცხოვრება“, № 23, 1916 წ., გვ. 4.

ანჩაბაძე და გლეხების წარმომადგენლები: ბ. ბ. ეზუგბაია და ანტონ ჩუკბარი“.²²

ჟურნალის მომდევნო ნომერში არის რედაქციის გამოსმაურება აფხაზეთის დეპუტაციის ამ მოთხოვნისადმი. ეს მოცულობით პატარა, მაგრამ იდეური დატვირთულობით მეტად ღრმა შინაარსის დოკუმენტი, რომელშიც აშკარად ჩანს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება მოძმე აფხაზი ხალხისადმი, მოგვსაქვს მთლიანად:

„სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამთელებას ცდილობს.

დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ — დედა ქართლის გარშემო — ვიკირბებით.

გვეყო რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქართლ-კახეთი, იმერ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა-სვანეთი რომ ერთ დედ-მამის შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება უნდა?

შავ დროთაგან გაგარევებულნი ქართველნი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან.

ახლახან გაბედული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენიებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებულ ცხოვრებისა და ნუ მწყვეტავთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი — ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლაც...

ვაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს. სჩანს სიბნელეს სავსებით არ უძლევართ, გარიყრაჟი შემოგვიღიმის და მომავალს გვიქაღის...

სალამი ჩვენს გულის ჩამონაწვევტ საკინძს — ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათს პირველ ნაბიჯს“.²³

ასე გულლიად, გაშლილი ხელებით შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავის ძმებს — აფხაზებს. ისინი გვერდში ამოუდგნენ ერთმანეთს და საერთო ძალით შეუტიეს უმეცრებასა და ძალმომრეობას, მოითხოვეს ადამიანური ღირსებების, ეროვნული ენისა და უფლებების დაცვა, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აღორძინება.

აფხაზი ხალხის ამ დიდ ეროვნულ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა გრიგოლ და ალათი შარვაშიძეების ღვიძლი შვილი ალექსანდრე შარვაშიძე.

კონსტანტინე შარვაშიძე

ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ აფხაზეთის სამთავრო საგვარეულოს — შარვაშიძეების (ჩაჩბების) წარმომადგენლებს, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძე.

²² „თეატრი და ცხოვრება“, № 23, 1916 წ., გვ. 4.

²³ „თეატრი და ცხოვრება“, № 24, 1916 წ. სარედაქციო წერილი: „ღროული ამბები“, გვ. 15. ხაზგასმა ჩვენია — ო. ქ.

კონსტ. შარვაშიძე იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის (პამუღ-ბეის) უმცროსი ძმა და ცნობილი აფხაზი მხატვრის ალექსანდრე შარვაშიძის მამა. თვით კონსტანტინე საყურადღებო ფიგურაა XIX საუკუნის პირველი ნახევრის აფხაზეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში. სამწუხაროდ, მისი მოღვაწეობა და კავშირი ქართველ ინტელიგენციასთან ჯერჯერობით არ გამხდარა მკვნიერთა კვლევის საგნად.

კონსტ. შარვაშიძე არის პირველი აფხაზი მოღვაწე, რომელიც პეტერბურგის პაეთა კორპუსში სწავლის პერიოდში (1827-1831 წწ.) გაეცნო დეკაბრისტების იდეებს, მოწინავე რუსულ და ევროპულ კულტურას, დაუახლოვდა პეტერბურგში მცხოვრებ და იქ მოსწავლე მოწინავე ქართველ თანამოძმეებს, იმ ახალგაზრდობას, რომელიც ვერ ურიგდებოდა თვითმპყრობელობის რეჟიმს და ჩუმად ამზადებდა გრანდიოზულ შეთქმულებას საქართველოში მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, თბილისის 1832 წლის შეთქმულებას საფუძველი პეტერბურგში ჩაეყარა. იქ გაეცნენ საქართველოს მოწინავე შვილები დეკაბრისტების იდეებს. მათ თვალწინ მოხდა სენატის ახლადანზე რუსეთის საუკეთესო შვილთა გამოსვლა. აქ გაეცნო ქართველი ახალგაზრდობა მოწინავე იდეებს, აქ დაინახა მან ტირანიისა და უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანები. ეს ცეცხლის ნაპერწკალი ახალ-ახალ კერებს აჩენდა იმ ერების ცხოვრებაში, რომლებიც იჩაგრებოდნენ თვითმპყრობელობის უღელქვეშ.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ 1832 წლის შეთქმულების სათავეში იდგა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი, დეკაბრისტთა გამოსვლების უშუალო მოწმე სოლომონ დოდაშვილი, ცნობილი ფილოსოფოსი და პედაგოგი, ყურნალისტი და ლიტერატურის ისტორიკოსი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი გამომგებია (1827 წ.) კურსდამთავრებული.

პეტერბურგში მცხოვრებმა და მოსწავლე ქართველმა ახალგაზრდობამ, საერთოდ კი კავკასიელმა ახალგაზრდობამ, დაინახა, თუ როგორ ვაუკაცურად ეწირებოდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლას რუსეთის საუკეთესო, განსწავლული შვილები, თუ როგორ აღმართა მეფემ სახრჩობელები, გაავსო ცივი და მაშინ მიუსაფარი ციმბირი კატორღამისჯილი პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანებით.

გასული საუკუნის 20-იანი წლების ქართველმა მოწინავე ახალგაზრდობამ კარგად განჰკვირტა ის გულისტკივილიც, რომელიც პოლონეთის ხალხს ამოძრავებდა 1830 წლის აჯანყებაში, მიმართულს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მართალია, ეს გამოსვლაც მარცხით დამთავრდა, მაგრამ მას გულგატეხილობა როდი მოჰყოლია. პირიქით, ყოველივე ამან დააჩქარა 1832 წლის შეთქმულების ორგანიზაციის პროცესი საქართველოში.

როგორც დღეს სამართლიანად არის მითითებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, 1832 წლის შეთქმულება და მომდევნო წლები, ვიდრე 1860-

იანი წლების დასაწყისამდე, არის პირველი ეტაპი ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა XIX საუკუნეში.²⁴

1832 წლის შეთქმულება ეპოქალური მოვლენა იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მასთან უშუალო კავშირშია ქართული მწერლობა, მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნება, ჟურნალისტიკა, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც. ვინ იყვნენ ამ შეთქმულების მონაწილეები? საქართველოს საუკეთესო შვილები, ერის მოწინავე წარმომადგენლები, კერძოდ: სოლ. დოდაშვილი, ალ. ორბელიანი, ელიზ. ერისთავი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვახ. ორბელიანი, მთელი პლეააძველი და ახალი თაობის ადამიანებისა.

შეთქმულების ხელმძღვანელ ბირთვის სამი პიროვნება წარმომადგენელია: ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ალ. ორბელიანი, განთქმული ფილოსოფოსი და პედაგოგი სოლ. დოდაშვილი და საზოგადო მოღვაწე ელ. ერისთავი.

შეთქმულება ატარებდა გრანდიოზულ ხასიათს. მასში მონაწილეობას იღებდნენ როგორც საქართველოს საუკეთესო შვილები, აგრეთვე იმ ხალხების წარმომადგენლებიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე დაკავშირებული იყვნენ საქართველოსთან, ქართველ ხალხთან, მასთან ერთად იზიარებდნენ საერთო მწუხარებასა და სიხარულს, ქირსა და ლხინს. მაგალითად, აფხაზები და აზერბაიჯანელები.

ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული ამ თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აქტიური წარმომადგენელი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (პამუთნები) შარვაშიძის ღვიძლი ძმა, ასაკით უმცროსი, კონსტანტინე გიორგისძე შარვაშიძე.

ჩვენ დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ დროს, როდესაც 1832 წლის შეთქმულებას საფუძველი ეყრებოდა, კონსტანტინე სწავლობდა პეტერბურგის პაეტა კორპუსში, სადაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი გაეცნო შეთქმულების მონაწილეებს, გაიზიარა მათი შეხედულებები და მრწამსი, გახდა შეთქმულების აქტიური წევრი და ქართველთა მთავრებებს აღუთქვა დიდი დახმარება და უშუალო მონაწილეობა აჯანყებაში.

როდესაც მეფის მთავრობამ შეთქმულება გამოამჟღავნა და დაიწყო გამოძიება, შეთქმულების ერთ-ერთმა მონაწილემ, ცნობილმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ ორბელიანმა ასეთი ჩვენება მისცა:

„თავადი შარვაშიძე პეტერბურგიდან რომ დაბრუნდა, განაახლა ჩემთან მეგობრობა, რომელიც ჩვენ უწინაც გვექონდა პაეტა კორპუსში.

ჩვენ ერთიმეორეს ხშირად ვნახულობდით. ერთ დღიას მივედი მასთან და იგი ოჯახში მარტო დამხვდა. ჯერ სხვადასხვა საგნებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მან მითხრა: როგორ არა გრცხვენიათ, რომ მე რამეს მიმალავ: მე ვიცი, რომ არიან აქ ზოგიერთი ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლებასა ცდილობენო. მე ჯერ არ მიწოდდა გა-

²⁴ ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970 წ., გვ. 88.

მოვეტებოდი ამას. მაგრამ, დავინახე რა, თავისუფლებაზე დიდი გატაცებით ლაპარაკობდა, ვაგუშმელავნე. მან სამღურავი მითხრა, რომ აქამდე მის წინაშე ამას ვმალავდი. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ჩამოგვიყარდა სიტყვა თავისუფლებაზე. იცი თუ არა, მითხრა თავადმა შარვაშიძემ, რომ მე თქვენ განზრახულობას დიდი სარგებლობა შემიძლია მოვეტანო.

მე შემიძლიან მთელი აფხაზეთი ავაჯანყო; ხოლო როდესაც მე ვკითხე, შეუძლია თუ არა მას აჯანყების დაწყების დროს თბილისში რამდენიმე აფხაზი გამოგზავნოს, მან მიპასუხა, რომ ადვილად შეუძლიან 300 კაცის გამოგზავნა. თავად შარვაშიძეს ჩვენს განზრახვაზე ელაპარაკა ჩემი მამა ალექსანდრე და მგონია ელიზბარ ერისთავიც.²⁵

შეგნებულად მოტანილი ამ ვრცელი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ცნობილი ქართველი პოეტი, ერეკლე მეორის შვილიშვილი ვახტანგ ორბელიანი და კონსტანტინე შარვაშიძე პაყთა კორპუსში მერხის მეგობრები ყოფილან. ისინი დაახლოებით ერთი ასაკისანი იყვნენ. ვახტანგი დაიბადა 1812 წელს, ხოლო კონსტანტინე — 1813 წელს. ისინი ერთდროულად სწავლობდნენ პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში. ამასთან ისიც ირკვევა, რომ კონსტანტინე ახლო ურთიერთობაში ყოფილა აგრეთვე ვახტანგის უფროს ძმასთან, ცნობილ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან ალექსანდრე ორბელიანთან. როგორც ვიცი, ალექსანდრე ორბელიანი იყო შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ კონსტ. შარვაშიძე ბრმად არ მისულა შეთქმულებასთან, არამედ სრულიად შეგნებულად, იცოდა რა მისი არსი, რომ იგი მოწოდებული იყო საქართველოს განთავისუფლებით. ეს იდეა მასაც აწუხებდა. არც უშუალოდ მისი სამშობლო აფხაზეთი იყო ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში. ერთი სიტყვით, ისიც „იმავე ნესტარით იყო ნაჩხვლეტი“, როგორითაც თანამომე ვ. ორბელიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კონსტანტინე უკვე ზიარებული იყო იმ ეპოქის მოწინავე იდეებს. მომე ქართველი ხალხის პროგრესულ მოღვაწეთა სულისკვეთებას. იგი ამ დიდი, გამათავისუფლებელი ცეცხლის დანთებას თავის შამულშიც ცდილობდა.

ვ. ორბელიანის ცნობაში კიდევ ერთი გარემოებაა ხაზგასასვამი. ეს ის არის, რომ ახალგაზრდა კონსტანტინე უშუალოდ იცნობდა შეთქმულთა სამი ხელმძღვანელიდან ორს: ალ. ორბელიანსა და ელ. ერისთავს და მათთან განდობილი იყო.

1832 წლის შეთქმულების ცნობილი მკვლევარი პროფ. გ. გოზალიშვილი წერს:

„შეთქმულების მეტად თვალსაჩინო წევრი, ხელმძღვანელი სამეულის განუყოფელი მონაწილე იყო ალექსანდრე ორბელიანი, რომლის ირგვლივაც თავს იყრიდა შეთქმულების ყველა ძაფი.

სოლომონ დოდაშვილი და ელიზბარ ერისთავი უამისოდ არაფერს გადაწყვეტდნენ.“²⁶

მამასადამე. კონსტანტინე შარვაშიძე უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული შეთქმულების ხელმძღვანელ ბირთვთან — ალექსანდრე ორ-

²⁵ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970 წ., გვ. 27. იხ. აგრეთვე, I. B. Чапуридзе, К истории Грузии первой половины XIX в., Тб. 1950, გვ. 378-379

²⁶ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970 წ., გვ. 47.

ბელიანთან და ელიზბარ ერისთავთან. ეს კი ბევრის მეტყველია. ჩანს. შეთქმულები მასზე გარკვეულ იმედებს ამყარებდნენ.

შეთქმულების სხვა მონაწილეებმაც მიუთითეს თავიანთ ჩვენებაში, რომ კონსტ. შარვაშიძე ამ ორგანიზაციის წევრი იყო. მაგალითად, შეთქმულმა ზაალ ავთანდილიშვილმა თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ შეთქმულების შესახებ იცოდნენ დავით დადიანმა (შემდეგ სამეგრელოს მთავარმა) და კონსტ. შარვაშიძემ.²⁷ მისი ჩვენებით გ. ერისთავმა გააცნო შეთქმულების ამბავი დავით დადიანს, რომელიც შეთქმულებას იწონებდა და თვითონაც მზად იყო მონაწილეობა მიეღო ჩვენს განზრახვაში.²⁸

შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ ბევრი მონაწილის ბედი დამოკიდებული იყო ელ. ერისთავის ჩვენებაზე. ისიც ნაცადი აღმოჩნდა. ამ საქმეში და მრავალი ამხანაგი ეხსნა მძიმე სასჯელისაგან. ვამოძიების დროს დასმულ კითხვებზე იგი უარყოფით პასუხებს იძლეოდა და პატიმრებულ შეთქმულთა სასარგებლოდ.

გამოძიებამ ელ. ერისთავს საგანგებო კითხვა დაუსვა კონსტ. შარვაშიძის მისამართით:

„გილაპარაკნით თუ არა თქვენს შეთქმულებაზე ნიყეგოროლის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკ თავად შარვაშიძესთან, როდის და სად, ვის თანდასწრებით და რა პასუხი მიგიღიათ მისგან; რა საშუალებას შეგპირდათ იგი აპანყების შემთხვევაში. განმარტეთ ყველაფერი დაწერილებით“.

ელიზბარმა ამ კითხვაზე მოკლედ, ლაკონურად უპასუხა და ამით კონსტ. შარვაშიძე იხსნა მძიმე სასჯელისაგან, შეთქმულთა ა.ე.ალისაგან გამოთიშა აფხაზეთი, რაც, რასაკვირველია, ბევრს ნიშნავდა შეთქმულების მონაწილეთათვის სასჯელის მისჯის დროს.

ელ. ერისთავმა ასეთი ჩვენება მისცა:

„ნიყეგოროლის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკ თავად შარვაშიძესთან არასოდეს მქონია საუბარი ჩვენს განზრახულებაზე“.

შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელის ასეთმა კატეგორიულმა განცხადებამ ფაქტიურად იხსნა კონსტ. შარვაშიძე მკაცრი ბრალდებისაგან და ამიტომ იგი ჩარიცხეს დამნაშავეთა მერვე კატეგორიაში.

როგორც ცნობილია, შეთქმულების მონაწილეები დანაშაულის სიმძიმის მიხედვით დაყვეს ათ ჯგუფად. მერვე ჯგუფში შედიოდნენ ის პირნი, რომლებიც ექვემდებარები იყვნენ შეთქმულების არსებობის ცოდნაში ან ითვლებოდნენ თანამოაზრეებად.

დამნაშავეთა ამ კატეგორიაში ჩარიცხეს კონსტ. შარვაშიძეც, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მას შეღავათიანად მიუღდნენ. მართალია, მერვე ჯგუფის დამნაშავეები არ დაუპატიმრებიათ. მაგრამ მათზე დააწესეს გაძლიერებული საიდუმლო მეთვალყურეობა. რაც შეიხება კონსტ. შარვაშიძეს, მეფის მთავრობამ, მართალია, ის ცნო შეთქმულთა თანამოზიარედ და ამიტომაც მერვე ჯგუფში ჩარიცხა, მაგრამ შემოზღუდა მისი დანაშაული, სცადა იგი შედარებით „სუფთად“ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან, რადგან თვითმპყრობელობას არ აწყობდა შეთქმულების როგორც დიდი მასშტაბი, ისე მასში აფხაზეთის მთავრის ძმის, საერთოდ

²⁷ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება. ტ. II, თბ., 1970 წ., გვ. 378-379.
²⁸ იქვე, გვ. 378.

აფხაზეთის შვილების მონაწილეობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ბარონ როზენი 1832 წლის 2 ოქტომბერს ჩერნიშევს სწერდა:

«Лица сего разряда (ე. ი. მერვე — ო. ჯ.) подвергаются лишь сильно-му подозрению в знании умысла, либо в единомыслии с оным. По сему полагаю достойным иметь их под секретным наблюдением, исключая Нижегородского драгунского полка прапорщика Шервашидзе (აქ სკოლიოში არის მითითებული, რომ ეს შარვაშიძე არის ძმა აფხაზეთის მთავრის მიხეილისა — ო. ჯ.) которого, по приписываемой ему неблагонадежности и по привязанности к нему, известного строптивостью, родного дяди его кн. Хасан-бея Шервашидзе, полезнее было бы перевести на службу в Росссию, определив ему во уважение матери его, благонамеренной княгини Тамары Шервашидзе, на содержание, сверх жалования, ежегодно по 1 500 р. асс., с тем, чтобы без сношения с здешним главным начальством не позволять ему возвращаться в Кавказский край»²⁹.

მეტის მთავრობის მოხელეები თვალმაქცობდნენ. მათ ჩინებულად იცოდნენ შეთქმულების მიმართ კონსტ. შარვაშიძის დამოკიდებულება, მისი კავშირი შეთქმულთა მთავარ წარმომადგენლებთან, აფხაზი თავადის დაპირება, მაგრამ, როგორც დავინახეთ, იგი დააჭერეს კავკასიიდან გასახლებას და დედის — თამარ დადიანი-შარვაშიძის პატივისცემისათვის (!) დამატებით 1.500 მანეთი პენსია დაუნიშნეს ყოველწლიურად. საოცარია! როდის მომხდარა დამნაშავეს ან ექვემდებარეს დანაშაულისათვის ასაჩუქრებდნენ, თუ, რასაკვირველია, ამას უფრო დიდი მიზანი არ ჰქონდა.

სინამდვილეში საქმის ვითარება ასეთი იყო: ბარონ როზენმა, კავკასიის მმართველობამ და თვით იმპერატორმა ჩინებულად იცოდნენ, თუ რაშიც იყო საქმე. მათთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა ის გარემოება, რომ კონსტ. შარვაშიძე შეთქმულების აქტიური წევრი იყო. მათ არც ვ. ორბელიანის ჩვენებაში ეპარებოდათ ეჭვი, მაგრამ არსებობდა მეორე, უფრო რთული მიზეზი, ვიდრე აფხაზეთის მთავრის ძმის დასჯა იყო.

ამ პერიოდისათვის თვით აფხაზეთში არ იყო საქმე მთლად დაწყობილად. ზემომოტანილ საბუთში შემთხვევით არ არის მოხსენებული კონსტანტინეს ალალი ბიძა ჰასან-ბეი შარვაშიძე, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამემამულეთა შორის.³⁰ როგორც ცნობილია, 1822 წელს აფხაზეთის მთავრის დიმიტრი გიორგის ძის უეცარი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო სასტიკი დევნა იმ პირებისა, რომლებიც აფხაზეთში რუსეთის მმართველობის დამკვიდრების წინააღმდეგი იყვნენ, ასეთთა შორის პირველ რიგში აღმოჩნდა ჰასან-ბეი, რომელიც 5 წლით გადასახლეს შორეულ ციმბირში, როგორც არასაიმედო პიროვნება და „რუსეთის აშკარა მოწინააღმდეგე“.

ჰასან-ბეი გადასახლებიდან დაბრუნდა 1828 წელს. მას მისცეს მაიორის ჩინი და დაუნიშნეს საკმაოდ დიდი პენსია, მაგრამ ბოლომდე (გარ-

²⁹ Акты..., т. VIII. გვ. 408-409.

³⁰ საქ. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. ვი-
ოდენბაუშის კარტოტეკა, შარვაშიძე ჰასან-ბეი.

დაიცვალა 1837 წელს) ითვლებოდა არასაიმედო პიროვნებად, თურქეთის ორიენტაციის ფეოდალად და მასზე ყოველთვის ფარული მეთვალყურეობა იყო დაწესებული.³¹ ამას ისიც ემატება, რომ მიხეილის, აფხაზეთის მთავრის, მეორე ძმა ალექსანდრე განუღვა მთავარს და საწინააღმდეგო ბანაკი შექმნა აფხაზეთში, განაცხადა დიდი პრეტენზიები მთავრის ტახტისადმი. ამის გამო ბარონ როზენი 1834 წელს სპეციალურად სწერდა აფხაზეთის მთავარს მიხეილს, მოეთოკა თავისი ძმა და მისთვის აფხაზთა წინაშე ფიცის სიტყვა ჩამოერთვა, რომ ხელმეორედ არ ჩაიდენდა ასეთ საქციელს, უეცლურეს შემთხვევაში სასტიკი ზომების მიღებით ემუქრებოდნენ მიხეილს.³²

ახლა ამ არეულობას ისიც დაერთო, რომ მიხეილის მეორე ძმა შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. რასაკვირველია, ამ ფაქტის გახმაურება მეფის მთავრობისათვის არ იყო სასურველი. ამიტომ ნიეგეოროდის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკი კონსტ. შარვაშიძე უმაღლესი ბრძანებით უხმაუროდ მოაშორეს კავკასიას, გადაიყვანეს ვიტემბერგის ჰუსართა პოლკში. ამასთან საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე მას უფლება არ ჰქონდა კავკასიაში დაბრუნებულიყო.³³ ადგილობრივ მთავრობას იმის შიშიც ჰქონდა, რომ მათ მიერ სასჯელმისიჯილი გავლენიანი პირებისათვის იმპერატორს „ნაცნობობისა და კეთილგანწყობილების“ საფუძველზე დანაშაული არ ეპატიებინა და ერთგული მოხელეები უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყვნენ. ამიტომ კავკასიელი მოხელეები, რომლებსაც შეთქმულების გამოძიება ჰქონდათ მინდობილი, თავსაც იზღვევდნენ. მაგალითისათვის ალ. ჭავჭავაძე კმარა.

ალ. ჭავჭავაძე შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. როდესაც გამოძიება დაიწყო, ზოგიერთმა შეთქმულმა უარი თქვა ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობაზე შეთქმულთა საქმიანობაში. ადგილობრივმა მთავრობამ ჩინებულად იცოდა ალ. ჭავჭავაძის როლის შესახებ ამ საქმეში, მაგრამ ამავე დროს კიდევაც ეშინოდა: ჩვენ რომ დავსაჯოთ, მეფე გაათავისუფლებსო. ამიტომ იყო, რომ როზენი 1833 წლის 2 აგვისტოს ჩერნიშევს სწერდა:

«Участь ген.-м. кн. Чавчавадзе предаю благоусмотрению Е. И. В., но оставление его вовсе без наказания, судя по явному заpiresательству его, подает повод осуждать правительство в напрасном его содержании под арестом, во избежание чего полагаю полезнейшим сослать его на срочное жительство в Астрахань, или даже передать суду, а потом, во уважение прежней отличной службы, оказать ему Монаршее милосердие»³⁴.

გამართლდა წინასწარმეტყველება როზენისა. ალ. ჭავჭავაძე 1834 წელს მიიღო იმპერატორმა, დიდი პატივი სცა და „სიცილით შეუწდო ყოველივე“. ამის გამო გაოგნებული როზენი 1834 წლის 30 აგვისტოს ჩერნიშევს შემდეგს ატყობინებდა:

³¹ Барон Торнау, Воспоминания кавказского офицера, ч. 1, Москва, 1864 г.,

33. 8.

³² Акты... т. VIII, гл. 449-450 ბარონ როზენის მიმართვა მიხეილ შარვაშიძისადმი 1834 წლის 12 სექტემბრის თარიღით, № 5.190.

³³ იქვე, გვ. 412.

³⁴ იქვე, გვ. 410.

«Разнеслись здесь слухи, что генерал сей (ალ. ჰავჭავაძე — ო. ჰ.) принят был Е. И. В. с отличною благосклонностью, приглашен был к императорскому столу и даже Г. И. просил его позабыть все прошедшее»³⁵.

ეს გარემოება მოხდენილად გამოუყენებიათ პროგრესულად მოაზროვნე და შეთქმულებისადმი კეთილგანწყობილ ოფიცრებს სხვა შეთქმულთა დასახმარებლად. ამასთან დაკავშირებით იმავე წერილში ბარონი როზენი მიუთითებს:

«Последствием сего было то, что не только грузины, но и русские начали говорить, будто кн. Шервашидзе невинным образом был удален отсюда и что по окончании своих дел в с. Петербурге приобретет в Тифлис»³⁶.

ამჟამად ჩვენთვის არა აქვს იმას მნიშვნელობა, თუ შემდგომ როგორ წარიმართა კონსტანტინე შარვაშიძის ცხოვრება. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბედის უკუღმა ტრიალის გამო როგორც კონსტანტინეს, ასე მის ძმებსა და ახლო ნათესავებს სწირად უხდებოდათ მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება და უცხოებაში მძიმე პირობებში, მწუხარებაში ცხოვრება, ხოლო შემდეგ, როდესაც აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა, შარვაშიძეთა მთელი ოჯახი რუსეთში გადასახლეს. ამიტომ არის, რომ ცნობილი აფხაზი მხატვარი ალექსანდრე შარვაშიძე, ღვიძლი შვილი კონსტანტინესი, დაბადებულია არა თავის მიწაწყალზე, მშობლიურ აფხაზეთში, არამედ ფეოდალისაში, ყირიმში. ამ სახელოვან მამულიშვილს ბედმა ისიც არ არგუნა. რომ სამშობლოს მიწას მიბარებოდა. იგი გარდაიცვალა 1968 წელს ნიცაში, 101 წლის ასაკში და იქვეა დაკრძალული.

კონსტანტინე შარვაშიძის შემდგომი ცხოვრება დეტალებში ჩვენთვის ჭერჭერობით უცნობია, მაგრამ მთავარი ის არის. რომ აფხაზი ხალხის ღვიძლი შვილი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში გვერდში ამოუდგა ქართველი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში და მათთან ერთად გაიზიარა ისტორიის მძიმე ტვირთიცა და მწარე ხვედრიც. მართალია, 1832 წლის შეთქმულება მარცხით დამთავრდა, ისე როგორც რუსი და რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხების სხვა გამოსვლები გასულ საუკუნეში, მაგრამ ამ მწარე გაკვეთილზე იზრდებოდნენ თაობები, რომლებმაც შემდგომ კიდევაც იხსნეს ხალხები სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე უღლისაგან.

ამრიგად, კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძე (ჩაჩბა) გვევლინება პირველ აფხაზ მოღვაწედ XIX საუკუნეში, რომელიც გვერდში ამოუდგა ქართველ თანამომეგებს ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

³⁵ АКТЫ... Т. VIII, гл. 410. ბარონ როზენის მიმართვა მიხეილ შარვაშიძისადმი 1834 წლის 12 სექტემბრის თარიღით, № 5.190.

³⁶ იქვე.

აფხაზი ხალხის ღვიძლი შვილი, ცნობილი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე (ჩაჩბა), რომლის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და აზროვნების წიაღში, საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ყოველთვის გვერდში ედგა ქართველ თანამოძმეებს ეროვნული მეომბის, კულტურის, ენის დაცვასა და განვითარებაში, მშობლიური ხალხის სისხლით ნაწერი ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის მხილებაში.

გ. შარვაშიძის შესახებ სამართლიანად წერდა შალვა დადიანი:

„ტრადიცია გიორგი შარვაშიძის მიერ, მისი მწერლობით ნაანდერძევი, ეს არის ტრადიცია ხალხის უმწიკვლო სიყვარულისა, ხალხის სამსახურისა, ეს არის სამშობლოს სიყვარული და გარჯა მისი კეთილდღეობისათვის. იგი მთელ თავის სიცოცხლეში შესტრფოდა „ბრწყინვალე მზეს ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა“.³⁷

გ. შარვაშიძე „მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს უკავშირდება“.³⁸ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან მას ჰქონდა მეტად ახლო, გულთბილი, მეგობრული და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა. გ. შარვაშიძე, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის, ს. მესხისა და დ. ერისთავის, კ. ლორთქიფანიძისა და ანტ. ფურცელაძის, მ. გურიელისა და ი. მეუნარგიას, ნ. დადიანისა და ალ. ორბელიანის, თ. სახოკიასა და ალ. ჭყონიას თანამედროვე და თანამოაზრე იყო. მათთან ერთად უგეგმია უკულმართი ცხოვრების სუსხი და შემოქმედებითი წარმატებით მოპოვებული სიხარული, მათთან ერთად აუმაღლებია ხმა მშობლიური ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

აფხაზი ხალხის ღვიძლ შვილს თანაბარი გრძნობით, გატაცებითა და სიყვარულით სწამდა საქართველო. ქართველი ხალხი, მისი კულტურა და გმირული წარსული. საქართველო და აფხაზეთი ერთ ოჯახად ჰქონდა წარმოდგენილი. ერთი სამშობლოს შვილებად თვლიდა ქართველსა და აფხაზს. შ. დადიანის ცნობით, „გიორგის აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა“.³⁹ ქართული ენა მისთვის იყო არა მარტო კულტურის, შემოქმედების მთავარი იარაღი, არამედ დიდი სიყვარულის საგანი. ეს იყო მისი მეორე მშობლიური ენა, დედის ენა, რომლის სიწმინდისათვის ბრძოლაში მას არა ერთი და ორი ღამე უთენებია თეთრად.⁴⁰

37 შ. დადიანი, ჩემი მარაო, თბ., 1948 წ., გვ. 56.

38 გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. აკად. ს. ჭანაშვიას რედაქციითა და წინასიტყვაობით, სოხუმი, 1946 წ., გვ. 18.

39 შ. დადიანი, ჩემი მარაო, თბ., 1948 წ., გვ. 59.

40 ს. ლავიშვილი, გიორგი შარვაშიძე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ № 19, 1966 წ.

გ. შარვაშიძე უანგაროდ, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ემსახურებოდა მისთვის მშობლიურ ქართულ პრესას. მას ჰონორარი არასოდეს მოუთხოვია. ქურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას იგი თავის მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა. 1915 წელს ქართული პრესის ერთ-ერთ რედაქტორს იგი სწერდა:

„რაც შეეხება შრომის ჰონორარს, მე ვრაც ჩემს თავს ვალდებულად უსასყიდლოდ ვემსახურო, შეძლებისა გვარად, ჩემს სამშობლო მწერლობას“.⁴¹

გ. შარვაშიძე მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე იყო როგორც სანუკვარი აფხაზეთის, ისე მთელი საქართველოს ინტერესების დამცველი. სამართლიანად მიუთითებდა აკად. ს. ჯანაშია, გ. შარვაშიძე არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი „მშობლიურ ბუღეს“. „ქვეყანა მისი მშობელი“ თავისი ადგილობრივი სპეციფიკურობით გიორგი შარვაშიძეს მართლაც ღრმა სიყვარულით უყვარდა“.⁴² არ შეიძლება აქვე არ დავიმოწმით ცნობილი ქართველი მკვლევრის გ. ქიქოძის სიტყვები:

„როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა, და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოჰყვება. მას მათთვის არ უღალატნია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების გზის დასასრულამდე შეინარჩუნა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა“.⁴³

ქართულ-აფხაზურ კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით თვით გ. შარვაშიძე აღნიშნავდა:

„ისტორიულად აფხაზეთი წარმოადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს, ხოლო შემდეგ, როდესაც ეს სამეფო დაიშალა, აფხაზეთის ერისთავმა, შარვაშიძემ, დამოუკიდებლად დაიწყო სამთავროს მართვა. ასე გაგრძელდა 1810 წლამდე, როდესაც აფხაზეთის ახალგაზრდა მთავარმა ქართლ-კახეთისა, იმერეთისა და სხვა სამთავროების მაგალითისა-მებრ, თავისი ხალხის თანხმობით, მიმართა რუსეთის სახელმწიფოს თხოვნით, გარკვეული პირობების საფუძველზე აფხაზეთი მიეღო თავის მფარველობაში...“

აფხაზები იყვნენ და არიან მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრები და საკუთარ თავს თვლიდნენ ქართული ეკლესიის მრევლად“.⁴⁴ თურქების ბატონობის ზეგავლენით აფხაზების უმნიშვნელო ნაწილი აღიარებდა ისლამს.⁴⁵

გ. შარვაშიძეს თავდავიწყებამდე უყვარდა მამაპაპეული მიწა-წყალი, აფხაზი ხალხი, თავისი საყვარელი აფსნი. აკად. ს. ჯანაშიას თავის გამოკვლევაში მოაქვს მეტად საინტერესო ფაქტები გიორგის ცხოვრებიდან: გ. შარვაშიძეს მეფის მთავრობისაგან აკრძალული ჰქონდა მუდმივი ცხოვრება აფხაზეთში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც გადმოუცია ს. ჯანაშიასათვის გ. შარვაშიძის მეგობარს კონსტანტინე ერისთავს, გიორგი თურმე ერთი თვით ჩავიდოდა მშობლიურ ქვეყანაში, ჩაიცვამ-

⁴¹ დოკუმენტი გამოქვეყნებულია გ. შარვაშიძის წიგნში „ეპოსი, ლირიკა, დრამა“, 1946 წ., სოხუმი, გვ. 3.

⁴² გიორგი შარვაშიძის დასახელებული წიგნი, გვ. 21.

⁴³ გ. ქიქოძე, მოგონებები, სიტყვები და წერილები, თბ., 1956 წ., გვ. 247-248.

⁴⁴ Г. М. Шарвашидзе, Так пишется история. Газ. „Закавказье“, №125—126, 1910 г.

და ახალ ჩოხა-ახალუხს და სიარულში გაცვითავდა.⁴⁵ ს. ჭანაშიას მოაქვს მეორე საინტერესო ფაქტიც, აფხაზეთის უზუცესი მკვიდრების ნაამბობი, რომ გ. შარვაშიძისთანა მოაფხაზურე კაცი იმ დროს აფხაზეთში იშვიათი იყო.⁴⁶ იგივე აზრი გადმოგვცა აფხაზმა კომპოზიტორმა და ხალხური მუსიკალური შემოქმედების მკვლევარმა ივანე ლაქერბაიძემ. მან გვიამბო: ჩემი ყმაწვილკაცობის დროს არაერთგზის შევხვედრივარ გ. შარვაშიძეს. პირადად მე ისეთი მოაფხაზურე კაცი იშვიათად შემხვედრია. იგივე აზრი არაერთგზის გაუზიარებიაო ჩემთვის აფხაზური მწერლობის ფუნქციონერებს დ. გულიას. ს. ჭანაშია ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ გარემოებაზე. იგი, ემყარება რა ილ. ქყონიასა და შ. დადიანის მიოთიებებს, აღნიშნავს: „თავის თანამედროვეთათვის გიორგი იყო *elegantiae arbiter* რომლის მოქცევისა და ზრდილობის ძველებურ წესებს სავალდებულო ნიმუშად სთვლიდნენ“.⁴⁷ ამ გარემოებაზე მიუთითა აგრეთვე გ. შარვაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ სიტყვაში სოხუმის მაშინდელმა ქალაქის თავმა ნ. თავდგირიძემ. იგი წერდა:

„შეიძლება დაბეჭდვითი თქვას, რომ ოცდა ათი წლის განმავლობაში ბევრი თავმოძვრნე ახალგაზრდა ჩვენებური გიორგი შარვაშიძის მაგალითით სარგებლობდა გარეგან ჩაცმულობის, ზრდილობის, პლასტიკური მიხერა-მოხერის განვითარებაში“.⁴⁸ ხოლო შალვა დადიანი, რომელიც ასევე ახლოს იცნობდა გ. შარვაშიძეს და მეგობრობდა მასთან, წერდა:

„გამიგონია, პოეტი მამია გურიელი იტყობდა თურმე: გიორგი რუსთაველს ჰგავსო.

ე. ი. რუსთაველი ასეთი აღნაგობის უნდა ყოფილიყო შინაგან და გარეგნულადო.

მართლაც, ვისაც უნახავს გიორგი სიცოცხლეში, მოუსმენია მისი ტკბილი საუბარი, უნახავს მისი სიარული, ჯდომა თუ დგომა, ხელის გაქნევა, თავის დაკვრა, მთელი მიხრა-მოხრა, პირდაპირ მხატვრული იყო მუდამ და ეს მუდამ მიტომ ხდებოდა, რომ ის იყო ბუნებითი, თანდაყოლილი.

მისი საქციელი ლალი იყო, თავისუფალი ისე, ვით შეპფერის თავის ღირსების მცოდნე ადამიანს.

ამიტომაც შეიძლება, საყოველთაო ცხოვრებაში ასეთ თითქოს უბრალო, თავდადებულ კაცს გაშინაურებას მაინც ვერ შეჰბედავდით.

ეს კი მგონი რჩეულთა ხვედრია“.⁴⁹

ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები გ. შარვაშიძეს უწოდებდნენ „ტკბილ მოუბარს“, „მალალი ნიჭის ადამიანს“ (ა.ე. წერეთელი), „რაინდს“, „უბედური მამულის ყმას“, „ქეთილგანზრახვით აღვსილს“, „სამშობლოს თავის შემწირველს“ (ე. ერისთავი), „განათლებულ ადამიანს“, „მგოსანს, „სწორუპოვარ პატრიოტსა და მოქალაქეს“ (თ. სა-

45 გ. შარვაშიძის დასახელებული წიგნი, გვ. 21.

46 იქვე.

47 იქვე, გვ. 25.

48 „თეატრი და ცხოვრება“, № 11. 1918 წ., გვ. 5.

49 შ. დადიანი, ჩემო მარაო, თბ., 1948 წ., გვ. 58-59.

ხოკია), „ჩვენი ზედკრული ქვეყნის ერთგულსა და გულთ მოყვარულ პირს“. (ანტ. ფურცელაძე).

გ. შარვაშიძის, პიროვნებისა და მოქალაქის, შეფასებათა შორის ყველაზე სრულყოფილსა და მიმზიდველს წარმოადგენს გაზეთ „საქართველოს“ მიერ მოცემული დახასიათება. გაზეთის კორესპონდენტი გივი გოლდენდი (?) გიორგი შარვაშიძეს, ამ მართლაც შუა საუკუნეების შემართების ვაჟაკის, მაღალი ინტელექტის მოღვაწეს, იმ დროს უკვე ხანდაზმულს, მაგრამ ჯერ კიდევ სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელს, ასე აგვიწერს:

„სოხუმის ნაპირები... მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი. უკან მცველი მოჰყვება. იგიც ცხენზე მჯდარი. ცხენოსანი ნამდვილი მხედარი: მოხდენილი ჯდომა, თითქოს მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ მას თითქოს ძალას არც კი ატანს, მარჯვედ დაკავება სადავის... ყოველი, რაც რომ სამხედრო ჯიშს მემკვიდრეობით გადაუცია ადამიანისათვის. გამახსენდა არჩილ ჯორჯაძის სიტყვა: ქართველი ბელეტრისტიკოსთვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აფხაზის ცხენოსნობა ასწეროს.

გადმოხტა. გავიცანი: გიორგი შარვაშიძე. შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილღით კიდევ, — თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია. ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უაილდის ყელსახვევისა: ქართული ყაიდა ჩაცმულობის სტილით ჩამოკვეთილი: სადა ძალზე და ამასთანავე რჩეული მეტად... რაოდენი სიმაღლე და რაოდენი თავაზი...

მეორე დღეს: სადილი ნ. თ.-თან. გიორგი შარვაშიძეც იქ არის. ეხლა ევროპულად ჩაცმული სტილით: მარტო ყელსახვევი რად ღირს?! ნამდვილი ქართული სუფრა, ქართულის სილამაზის ერთი საუკეთესო ხატება. სუფრული ბაასი. მთავრის შვილის სიტყვა მოხდენილია ფრიად. იცის ევროპული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, განსაკუთრებით ფრანგული, ზედმიწევნით იცის რუსული. იცის ძვირფასად ქართული, აფხაზური, მეგრული...

მესამე დღეს იმავე რესტორნის ფარდულში ვნახე. ხოლო ეხლა უბრალო მწვანე „ბლუზით“, მაგრამ ესეც რომ უხდებოდა არა, ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება“.⁵⁰

ეს დახასიათება კი არა, მთელი რომანია, რომელშიც ნაზ ფერებში გადმოცემულია გ. შარვაშიძის ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური და ესთეტიკური თვისებები. რა სიდიადე, ვაჟაკობა, თავმდაბლობა, უბრალოება, რჩეულობათვის დამახასიათებელი თავმოწონება, კდემამოსილებასთან შეზავებული, მოჩანს ჟურნალისტის ამ პორტრეტში. კითხულობთ სტრიქონებს და თვალწინ წარმოგიდგებათ სურათი გიორგი შარვაშიძისა.

გ. შარვაშიძის მეტად მიმზიდველი და სრულყოფილი პორტრეტი დავეტიოვა ნ. თავდგირიძემაც, სოხუმის ყოფილმა მოურავმა. გ. შარვაშიძის დაკრძალვის დღეს, 1918 წლის 25 თებერვალს, მოქვის მონასტერ-

⁵⁰ გაზ. „საქართველო“, № 45, 1918 წ.

ში წარმოთქმულ სიტყვაში ნ. თავდგირიძემ ასე მიმართა გიორგის ნეშტს:

„შენს ბუნებრივ მომხიბლავ სანდომიანობას, გარეგნულ სილახათე-შნოს, პლასტიურ მიხვრა-მოხვრას რომ გვერდი ავუაროთ, თუმცა ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, მით უმეტეს, ის ამტკიცებს იმ საზოგადოების ხანგრძლივ სულიერ ვარჯიშობა-კულტურას, რომელსაც შენ ეკუთვნოდი, შენ შესანიშნავი იყავი ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სულიერად ძლიერი, ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ-მისწრაფებათა მაღლა მდგარი პიროვნება. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ შენ ერთი გამონაკლისი, მაგალითი იყავი მთელ ჩვენს საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მეშვეობით და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოუხარე, მცირეოდენავადაც არ დაიმცირე ღირსება ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა შენი დროის და შენი წრის ოჯახობადი ბედნიერებად და საოცებო ნეტარებად ჩათვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც შენ ზიზღით უარყოფდი.

როდესაც იმპერატორი ალექსანდრე III საქართველოში ჩამოვიდა (1888 წ. — ო კ.), სხვა რევოლუციონერებთან ერთად შენც ქუთაისიდან გაგზავნეს, როგორც ხელმწიფისათვის არა საიმედო პირი. მაშინ შენ ირონიულად მისწერე იმპერატორს: „რაკი თქვენი მთავრობა იმდენად არ მენდობა, რომ თქვენი ჩამოსვლის დროს ჩემს სამშობლოში ყოფნაც კი საშიშად მივაჩნია, გთხოვთ ეს სასახლის წოდებაც — ფლიველ-ადიუტანტობაც ჩამომართვაო“.

შენ პირველმა აღამაღლე მაღალ წოდებაში შეგნება და პატივისცემა კავკასიელი ერებისადმი... შენ პირველმა აღიმაღლე მრისხანე ხმა შენი დაჩაგრული ეროს ღირსების დასაცავად: ბევრმა წარჩინებულმა მოხელემ და დიდებულმა პირმა იგემეს შენი სასტიკი წყრომა და ხშირად ფიზიკური ძალაც ჩვენი ხალხის და ეროვნების უდიერად მოხსენიებისათვის.⁵¹

მკითხველის წინაშე ბოდიშს მოვიხდით იმის გამო. რომ ამონაწერი დიდი მოგვივიდა. ჩვენ ეს შეგნებულად გვაკეთეთ იმიტომ, რომ არც ისე განებივრებული ვართ გ. შარვაშიძის შესახებ არსებული მასალებით. მართალია, შეგვეძლო პერიფრაზი გაგვეკეთებინა, მაგრამ მას სულაც არ ექნებოდა ის ლაზათი და ეშხი, ის შემეცნებითი და ემოციური ძალა, როგორსაც ტოვებს თვით ნ. თავდგირიძის სიტყვა წინადადებათა თავისებური კონსტრუქციებით. ვფიქრობთ, მკითხველი საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება უშუალოდ მივაწოდოთ ის აზრი, რომელიც გიორგიზე ჰქონდათ მის თანამედროვეებს.

ნ. თავდგირიძის სიტყვა არის მჭევრმეტყველების დიდებული ნიმუშიც და ეროს ღირსეული შვილის ბრწყინვალე პორტრეტიც.

გ. შარვაშიძის დიდი სულიერი ნათესაობა აკავშირებდა საქართველოს სახელოვან შეილებთან, პირველ რიგში, ი. ჭავჭავაძესთან და ა. წერეთელთან. ეს დამოკიდებულება სათავეს ამ მოძმე ხალხების ისტორიულად ნაწრთობი მეგობრული ურთიერთობიდან ღებულობდა და შედუ-

⁵¹ ნიკო თავდგირიძე, სიტყვა გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 10, 1918 წ. გვ. 5.

ლაბებული იყო მოწინავე ადამიანების საერთო მსოფლმხედველობითა და საზოგადოებრივი იდეალებით.

ი. ჭავჭავაძემ და გ. შარვაშიძემ, მართალია, პირადად ერთმანეთი გვიან გაიცნეს, მაგრამ შემდეგ მათ შორის მეტად გულთბილი ურთიერთობა დამყარდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან აფხაზმა მამულიშვილმა თავისი განათლებით, კულტურით, აღზრდილობით, სამშობლოს უანგარო სიყვარულით ქართველი მოღვაწეების დიდი სიმპათია დაიმსახურა. მათ შორის ი. ჭავჭავაძისაც.

ი. ჭავჭავაძის კერძო წერილებსა და ქართველი მოღვაწეების მოგონებებში ჩვენ ვხვდებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის ამ ორი ინტელიგენტის, საზოგადო მოღვაწისა და პოეტის მეტად ახლო მეგობრული და გულწრფელი დამოკიდებულების მაგალითებს. ისინი ურთიერთს მოკრძალებით ეპყრობოდნენ, დიდად აფასებდნენ ერთმანეთის ღვაწლს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ სარბიელზე, ამოძრავებდათ საერთო საზოგადოებრივი ინტერესები.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ აფხაზი პოეტი წლების მანძილზე ი. ჭავჭავაძის „ივერიის“ მუდმივი თანამშრომელი და თეატრალური მიმომხილველი იყო.

როგორც ირკვევა, ი. ჭავჭავაძესა და გ. შარვაშიძეს ერთმანეთი გაუცვნიათ პეტერბურგში 1873 წელს. ეს ჩანს ი. ჭავჭავაძის წერილიდან მეუღლისადმი — ოლა გურამიშვილისადმი 1873 წლის 12 სექტემბრის თარიღით, სადაც ვკითხულობთ:

„აქ, პეტერბურგში, მე დავდივარ ჩვენ ძველ პროფესორთან ჩუბინოვთან, ვარვარა ილინიშნასთან, რომელმაც შენ სიყვარულით მოგიკითხა, ვანო ორბელიანთან, ლადო ამილახვართან და ამ დღეებში ვნახავ გიორგი შარვაშიძეს, რომელიც ჩვენთან ყოფილიყო და მე შინ არ დავხვდი. თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსულიყო ჩემს სანახავად“.

ხოლო მეორე წერილში, რომელიც 9 დღის შემდეგ, 21 სექტემბერს არის დაწერილი, ილია იტყობინებოდა:

„აქ ვარვარა ილინიშნა არის, ვანო ორბელიანი და გიორგი შარვაშიძე თავისი ცოლით და დითა. ხანდახან ამათთან დავდივარ ხოლმე და დროს ვატარებ“.⁵²

როგორც ვხედავთ, მოკლე დროში ილიასა და გიორგის ერთმანეთი გაუცვნიათ და კიდევაც ისე დაახლოებულან, რომ გ. შარვაშიძეს მასთან ოჯახითურთ დაუწყია სიარული. აქედან მოყოლებული კეთილშობილმა მამულიშვილებმა ერთმანეთისადმი პატივისცემა და სიყვარული ბოლომდე შეინარჩუნეს.

პეტერბურგში მათი ურთიერთგაცნობა და დაახლოება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ამის თავდები იყო საერთო მსოფლმხედველობა. დიდი ინტელექტი, ღრმა პატრიოტიზმი და ფართო დიაპაზონის კულტურა, რისი დამადასტურებელია ი. ჭავჭავაძის მომდევნო წერილები მეუღლისადმი. მაგალითად, 1873 წლის 19 დეკემბერს ი. ჭავჭავაძე მეუღლეს სწერდა:

„იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავი. აი, მთავრის შვილი რომ არის, ამას წინათ თვითონ მოვიდა და მთხოვა: შექსპირის ტრაგედია („მე-

⁵² ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, 1961 წ., გვ. 308.

ფე ლირი“), რომელიც ქართულად ინგლისურიდან გადავთარგმნეთ, წაგვიკითხნო, წავედი წასაკითხად. კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს, ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები სულ აფერუმს იძახოდნენ“.⁵³

ირკვევა, რომ ი. ჭავჭავაძე და გ. შარვაშიძე ერთმანეთთან მეგობრობასა და სულიერ ნათესაობას ეძებდნენ, რაც არაერთგზის გაუმჟღავნებიათ ურთიერთ კეთილი დამოკიდებულებით. ისიც საყურადღებო ფაქტია, რომ გ. შარვაშიძე „მეფე ლირის“ ქართული თარგმანის, რომელიც შეასრულეს ი. ჭავჭავაძემ და ივ. მაჩაბელმა, ერთ-ერთი პირველი მკითხველი და დამფასებელია.

ი. ჭავჭავაძისა და გ. შარვაშიძის მეგობრული ურთიერთობის შესახებ საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა ექვთიმე თაყაიშვილმა.⁵⁴

გ. შარვაშიძე და ა. წერეთელი კიდევ უფრო ახლო მეგობრები და ნათესაური ნასკვებით დაკავშირებული მოღვაწეები იყვნენ. ცნობილია, თუ როგორი კდემამოსილებით ეპყრობოდნენ ისინი ერთმანეთს, მაგრამ ამავე დროს, ღმების შეუბღალავად, საკუთარ თავს უფლებას აძლევდნენ სალადობო მიქსებით გაევილიკებინათ ერთმანეთი.

გ. შარვაშიძეს ასევე ლიტერატურული ურთიერთობა და პოეტური პაექრობა ჰქონდა ვახტანგ ორბელიანთან, კოწია ერისთავთან, იასონ გელოვანთან, მამია გურიელთან, ნიკო დადიანთან, კოწია დადიანთან და სხვ.⁵⁵

ცნობილი მწერალი ქალი ფუცუ დგებუაძე-ფულარია თავის მოგონებებში მიუთითებს:

„ღეღაჩემი, როსტომ ლორთქიფანიძის ქალი, სავსებით დაზიარებული იყო მაშინდელ კულტურას, ქუთაისის მაღალ საზოგადოებაში თავისი ადგილი ეკავა. გატაცებით წერდა ლექსებს, ლექსებით ეპაექრებოდა გიორგი შარვაშიძესა და იასონ გელოვანს“.⁵⁶

სამწუხაროდ, გ. შარვაშიძის არქივი უყურადღებობის გამო განადგურდა. არ შემოგვრჩა აგრეთვე ბევრი მოღვაწის არქივი, რამაც, ბუნებრივია, ხელმიუწვდომელი გახადა მრავალი ძვირფასი ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც უფრო მეტ ნათელს მოჰფენდა ქართველი და აფხაზი ხალხების მოწინავე შვილების კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას.

გ. შარვაშიძემ თავისი არქივი სიკვდილის წინ ჩააბარა ცნობილი აფხაზი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ შარვაშიძის მეუღლეს. 1921 წელს ვ. შარვაშიძე დააპატიმრეს და მისმა მეუღლემ სახლის გაჩხრეკის მოლოდინში ეზოში გაიტანა როგორც მეუღლის, ისე გ. შარვაშიძის მთელი არქივი და დაწვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი.

იმ ლექსებში, რომლებიც ქართველმა პოეტებმა და საზოგადო მოღვაწეებმა გ. შარვაშიძეს უძღვნეს, ყველგან მითითებულია გ. შარვაშიძის დიდ პატრიოტიზმზე, უანგარო მამულაშვილობაზე. ნიმუშისათვის მოვიტანთ ერთ სტროფს კ. ერისთავის ლექსიდან „გიორგი შარვაშიძეს“:

⁵³ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, 1961 წ., გვ. 332.

⁵⁴ ლიტერატურის შტაბანე, წიგნი 6, ნაკვეთი I, თბილისი, 1952 წ., გვ. 10-11.

⁵⁵ С. Хуцишвили, „Тогда звучит моя лира“. Газ. „Вечерний Тбилиси“ № 53 (5—11), 1971 г.

⁵⁶ ფ. დგებუაძე-ფულარია, მოგონებები, სოხუმი, 1959 წ., გვ. 16.

თავ აღერილი ამაყად დახვალ,
თავის უბედო მამულის ყმაო,
შენ გსურს სამშობლოს თავი შესწირო!
მისთვის მიყვარხარ უსაზღვროდ, ძმაო.

უპირველეს ყოვლისა, სწორედ დიდი მამულიშვილობა იყო ის გრძობა. რომელიც ჩვენს წინაპრებს ერთმანეთთან აახლოვებდა და ამოძრავებდა, თესვდა მათ შორის ძმობასა და მეგობრობას. ამ ურთიერთობის ერთ-ერთ მარად ცოცხალ შემაკავშირებელ უჯრედს წარმოადგენს გ. შარვაშიძის შემოქმედება და მოღვაწეობა, მისი დამოკიდებულება ქართველ ინტელიგენციასთან.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ აფასებდნენ აფხაზ ხალხს, მის ზრდილობას. სტუმართმოყვარეობას, კულტურას, ვაჟკაცობას, სიმკვირცხლეს ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო შვილები. რა მაღალი ზნეობის ადამიანად დახატა ბათუ აფხაზი ა. წერეთელმა „გამზრდელში“, რა დიდი სიყვარულით წერდნენ აფხაზებზე ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი დიმი. ყიფიანი, რაფ. ერისთავი, ი. მეუნარგია, თ. სახოკია, ივ. ჭავჭავაძე, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, შ. დადიანი, გ. ლეონიძე და სხვ. კერძოდ, შ. დადიანი მიუთითებდა:

„ყველამ ვიცით, რომ აფხაზეთი ლამაზია, ლამაზია თავის მდიდრული ბუნებით...“

მხოლოდ მთავარი კი ის არის, რომ ლამაზია თვით ხალხი აფხაზეთისა, ლამაზი თავის ნიჭიერებით, გულისხმიერებით, ლამაზი სულიერისთვისებით და სხეულგებრივის იერით“.⁵⁷

ხოლო მეორე ცნობილი მოღვაწე ნიკო თავდგირიძე წერდა:

„ხშირად გაიგონებთ ეხლა ჩვენში, რომ აფხაზები ან ხევსურები განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებიანო; ვინც დასწრებიან აფხაზეთში მრავალრიცხოვან სოფლის ყრილობას, სადაც საქმარისია ერთი დარბაისელი მოხუცი გამოჩნდეს სიტყვის დასაწყებად, რომ სამარისებური პიჩუმი ჩამოვარდეს და ისეთი წესები დამყარდეს, რომელიც ყოველი თანამედროვე პარლამენტისათვის მიუწვდომელი ოცნებაა, ის უსათუოდ იფიქრებდა: ამ ხალხს ხანგრძლივი გამოცდილებით შეუძლებია საზოგადოებრივი წესიო“.⁵⁸

საინტერესოა თვით გ. შარვაშიძე რა აზრისა იყო მშობლიურ ხალხზე, როგორი წარმოდგენა ჰქონდა მის კულტურასა და ზნე-ჩვეულებაზე, ტრადიციასა და ფსიქოლოგიაზე. სხვათა შორის, მან მოგვცა აფხაზების ბრწყინვალე ეთნიკური დახასიათება.

„აფხაზები, — წერდა იგი, — უბრალო ხალხია, უეშმაკო. მრავალსაუკუნოვანი თავისუფალი ცხოვრების აქვიზმით მათ გამოუყენებდათ ხასიათის პირდაპირობა — რაც გულში აქვთ, იმასვე ამბობენ. ისინი ყველასთან, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ერთნაირი ენით საუბრობენ, თავაზიანად, როგორც თავის თანატოლთან ყოველ-

57 შ. დადიანი, ჩემი მარაო, თბ., 1948 წ., გვ. 54-55.

58 გ. თავდგირიძე, მოგონება მაშინ გურიელზე. დაცულია გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, დოკუმენტი, № 13.354.

გვარი დამაბულობისა და ძალდატანების გარეშე, საუბრობენ ხმამაღლა და თამამად; შეფარვის გარეშე, აშკარად გამოხატავენ თავიანთ გასაჭრს.

მისდევენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. მეურნეობის ეს უკანასკნელი დარგი ძლიერ დაეცა მას შემდეგ, როცა მათ ხაზინამ ჩამოართვა მიწები და სძოვრები შემცირდა. გარდა ამისა, ისინი მისდევენ მეფუტკრეობას, მებაღეობასა და მევენახეობას. ადრე მათში ჰყვაროდა ხელოსნობა, კუსტარული წესით აკეთებდნენ ბამბის, აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილებს. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც სჭიროდათ ოჯახისათვის. ისინი არაფერს არ ჰყიდდნენ, მაგრამ არც არაფერი ჰქონდათ საყიდელი. ხალხი ცხოვრობდა შეძლებულად. ვერ ნახავდით ვერც ერთ უსახლკარო ბოგანოს. ყოველ გამვლელს შეეძლო გლეხის პირველსავე ქოხში შესულიყო, სადაც მას ელოდა გულთბილი მიღება, გემრიელი კერძები და არაჩვეულებრივი სისუფთავის ლოჯინი. ვინც ოჯახს ასეთი მიღების საფასურს შესთავაზებდა, იგი გააწილებდა მასპინძელს. ეს უკანასკნელი უპასუხებდა: „მე ღმერთი იმითმე კი არ მაძლევს, რომ მართკამე ვქაშო და ვსვაო“.⁵⁹

ამონაწერი აქაც დიდი მოგვივიდა, მაგრამ ესეც შეგნებულად გავუკეთეთ, რომ მკითხველმა უშუალოდ გაიგოს, თუ რა სათნო გრძნობა ამოძრავებდა ზემომოტანილი სტრიქონების ავტორს, თუ რა ხალასი იყო მისი დამოკიდებულება მშობლიური აფხაზი ხალხისადმი.

ამ ამონაწერში, როგორც მკითხველი შეამჩნევდა, აფხაზი ხალხის მთელი ეთნიკური დახასიათებაა მოცემული ყოველგვარი მიკერძობებისა და გაზვიადების გარეშე, ამასთან რამდენი სიტბო და სიყვარულია შიგ ჩაღვენთილი.

გ. შარვაშიძე აღიზარდა მოწინავე ლიტერატურის ძვირფასი ტრადიციების საფუძველზე. მისთვის უცხო იყო ნაციონალიზმი და შოვინიზმი. მთელი მისი მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა მიემართებოდა ღრმა პატრიოტიზმის გრძნობით. მას არასოდეს ფიქრდაც არ მოსვლია, რომ სხვა ერის უბედურება თავისი ხალხის ბედნიერების საფუძველად გაეხადა. ეს მისი ბუნებისა და მსოფლგაგებისათვის მიუღებელი, უცხო იყო. იგი თვითონ წარმოადგენდა მაშინ ჩაგრული ერის შვილს და დაუნდობლად იბრძოდა ხალხთა დამცირებისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ.

ეს აზრი წითელი ზოლივით გასდევს მის შემოქმედებასა და მოღვაწეობას, ხოლო მხატვრული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებული სიცხადით გამოხატა ლექსში „ვარადა“:

განგებაჲ! ამჲს ნუ მიწყენ.
ვერ გადავგვარდუ ვეარადა,
ხანდისხან დაეიღუღუნო
მამაპაპური ვარადა
იგი ლულუნ-ხიმღერა
არ არის ვასახარადა,
ის არის მძიმე მოთხრობა
გულისა სატყვიარადა.

⁵⁹ Г. М. Шарвашидзе, Так пишется история. Газ. „Закавказье“ № 125—126, 1910 г.

ისა ჰგავს დელის საფლაზედ
ობლია მოთქმას მწარადა,
კენესის და კენესის, ქეთინებს
მტირალის ჩვილის გვარადა.

„ობლის მოთქმა“, „ობლის ქვითინი“ შეფარვით თქმული სამშობ-
ლოს ძახილი იყო, რომელიც ავ. წერეთლის შემოქმედებაში „სულიკოსა“
და „საყვარლის საფლავეში“ გამოიხატა, ხოლო დიდმა ვაჟამ „დაქრილი-
არწივის“ სახით წარმოგვიდგინა.

გ. შარვაშიძემ საკმაოდ მწყობრივ ეროვნული კონცეფცია შეიმუშავა,
რომელსაც საძირკვლად ჰქონდა მშობლიური ხალხის წარსული ცხოვრე-
ბისა და თანამედროვე ყოფის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერა-
ტურის საფუძვლიანი ცოდნა და სიყვარული. მან ბრწყინვალედ იცოდა
აფხაზეთისა და საქართველოს ისტორიის წვრილმანი დეტალებიც კი,
ხოლო, რაც შეეხება ეპოქალურ ძვრებს ამ ხალხების ცხოვრებაში საუ-
კუნეების მანძილზე, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

გ. შარვაშიძემ თავისი ეროვნული მრწამსი ასევე მკაფიოდ გადმოსცა
სტატიაში „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“. ეს სტატია არ გამოქვე-
ყნებულა. მასში, როგორც სათაური მიუთითებს, ორი რადიკალურად
საწინააღმდეგო ცნებაა დაპირისპირებული ერთმანეთთან. გ. შარვაშიძის
მართებული აზრით, პატრიოტიზმი არის გრძნობა სამშობლოს სიყვარუ-
ლისა, ხოლო კოსმოპოლიტიზმი განყენებული იდეაა.

„პატრიოტიზმი, — ვკითხულობთ სტატიაში, — არის გრძნობა, კოს-
მოპოლიტიზმი — იდეა! პირველი მოითხოვს რეალურ მოვალეობას, მე-
ორე მხოლოდ კეთილი ოცნებაა“.

სტატიის ავტორი თავის დებულებას შემდეგნაირად ასაბუთებს:

„კოსმოპოლიტიზმა ისეთი, რომ ადამიანს უყვარდეს ყოველი ქვეყ-
ნის ხალხი, როგორც თავისი, რომ მთელს მსოფლიოს სთვლიდეს თავის
სამშობლოდ, ეს არის განყენებული ფიქრი, რომლისადმი მისწრაფება
და მიღწევა უტოპიად მიმაჩნია“.

ასე საღად მსჯელობდა გ. შარვაშიძე იმ დროს ცხოვრების მიერ დას-
მულ მეტად აქტუალურ საკითხებზე. უთვისტომო კოსმოპოლიტიზმს მან
დაუპირისპირა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უანგარო სიყვარული და
სხვა ერთა პატივისცემა — პატრიოტიზმი. ეს უქანასკნელი მას მიაჩნდა
კაცობრიობის უკეთილშობილეს გრძნობად.

როგორც ცნობილია, ანალოგიური სათაურით სტატია აქვს ვაჟა-
ფშაველასაც. ორივე მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ერთდროულად,
ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაწერეს სტატიები და მათში გამოთ-
ქმული აზრებიც დაახლოებით ერთმანეთის იდენტურია.

ვაჟა-ფშაველა სტატიაში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“
წერდა:

„პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა,
თუმცა კეთილი გონება მუდამ ყოფილა და არის მისი მათყვანებელი და
პატივისცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია... მას ადა-
მიანის გულთან საქმე არა აქვს“.⁶⁰

⁶⁰ ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. 5, თბ., 1961 წ., გვ. 214-215.

ვაჟა-ფშაველას გაგებით, მხოლოდ პატრიოტიზმს, ამ გრძნობაზე აგებული ეროვნულ ლიტერატურას შეუქმნია საკაცობრიო იდეალების მატარებელი მხატვრული სახეები.

დიდი გამოცდილება და გამჭრიახი თვალი არ არის საჭირო, რომ ამ ორი სახელმძღვანელო მოღვაწის შეხედულებებში მსგავსება აღმოვაჩინოთ. რასაკვირველია, ორივე პოეტის შეხედულებათა იდეური წყარო სათავეს ღებულობს გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობიდან.

როგორც აღვნიშნეთ, გ. შარვაშიძე მუდამ გვერდში ედგა ქართველ თანამოძმეებს ქართველი და აფხაზი ხალხების ფარული და აშკარა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი სიყვარული სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი, მეგრძოლი ბუნება, მტკიცე ხასიათი, პირდაპირობა, შეუპოვრობა, პრინციპულობა და გამბედაობა ბევრთათვის მისაბადი იყო.

გ. შარვაშიძის დიდი პატრიოტიზმის, შეუღრეკელი ბუნების შესახებ შ. დადიანი წერდა:

„პუბლიცისტიკაში იგი (გ. შარვაშიძე — ო. ჯ.) მუდამ შეუპოვარი მოსარჩლე იყო თავისი ქვეყნის საუკეთესო ზნე-ჩვეულებისა, მისი სულიერი აზროვნებისა. თუკი ვინმე ოდესმე უდიერად მოიხსენებდა მის სათაყვანო სამშობლოს, იგი, ვით უეზარი რაინდი, ზე წამოიჭრებოდა და ბასრი კალმით ხელში საშაგიეროს მიუგებდა შეურაცხმყოფელს“.⁶¹

გ. შარვაშიძე გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა:

„მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშემშდა, რომ დაგვეზნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიად, ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იღბლის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეძლო, ევროპის წინაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუქებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, მუბით ხელში, ნადირობდნენ ტყეში“.

მაგრამ შემდეგ მოძალებულ მტერთა თარეშის შედეგად „დაიშალა ცხოვრება თვით-არსებობისა, ენა გაღარბდა, ზნეობა წაგვიხდა, ღონე შეძლება დაგვარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მივალწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვინდით ჯაშუშობაში და სამშობლოს ღალატში“.⁶²

ასეთივე გულისტკივილი გამოხატა გ. შარვაშიძემ პოეტ ვახტანგ ორბელიანისადმი მიძღვნილ ლექსში „პასუხი ვ. ო — ს“, სადაც კვითხულობთ:

„ვაჟმე. სად არი ქართველი ძველის ძველიდან ქებულა:
ყაყანი, ლანძღვა, ქორები. შულაიანობით სნეული.
კალმის და ხანჯლის ტრიალი, ორივე დაწლუნგებულნი,
ძმა ძმასა დამტერებულნი, მტერი კი დამოყვრებულნი“.

61 შ. დადიანი, ჩემი მარაო, თბ., 1948 წ., გვ. 57.

62 „საქართველო“, № 137-140, 1917 წ.

რა დიდებულად არის გაგებული და გაშუქებული საქართველოს წარსული ტანჯული ცხოვრება, „ბედის უკუღმა ტრიალი“, ეროვნული დაკნინება და გადაგვარების საშიშროება. ამ სტრიქონების კითხვის დროს პეხსიერებაში თავისთავად ამოტივტივდებიან ხოლმე დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირიდან“ ცრემლიანი სიტყვები:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის,
თუ არ ბრძენი, ენა-მკვერი!
იქლო ღვარძლად გარდაიქცა
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი“.

გ. შარვაშიძის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტური წერილების შესწავლა, საზოგადოებრივი მოღვაწეობის გაცნობა მკითხველს უთუოდ დაარწმუნებს იმაში, რომ ეროვნულ შეხედულებებში გ. შარვაშიძეს სულიერი ნათესაობა ჰქონდა გასული საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მრწამსთან.

გ. შარვაშიძემ თავისი ეროვნული კონცეფცია ჩამოაყალიბა მთელ რიგ ნაწარმოებებში და, კერძოდ, „გარდახვეწილის“ ფსევდონიმით 1904 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ 67) გამოქვეყნებულ პოლემიკურ სტატიაში „ძმური სიტყვა ძმობის მსურველთ“, სადაც ვკითხულობთ:

„ჩვენ არც ერთს ერს არ ვემტერებით, საქართველო იმთავიდანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყოველ ტომს, მოდგმას, ყველას აძლედა ბინას, საფანელს, საზრდოს და ეკლესიებსაც კი...“

ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ მახინჯი ვაჟბატონები: იანცი, ძე, შვილი, ოვი, ადი თუ ოღლი. ურცხვს ჩვენ ვგმობთ, საძაგელი გვეზიზღება. გურწრფელად, ნებით თუ უნებლიეთ, შემცდარს ჩვენ გულწრფელად ვამხილებთ“.

ეს შეხედულებები ჩვენ მოგვაგონებს ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას ბევრ ანალოგიურ მოსაზრებას დასმულ საკითხზე.

განა ანალოგიური აზრი არ არის გამოთქმული 1903 წლის „ივერიის“ № 3-ში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში, სადაც აღნიშნულია:

„მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნით რუსთა ერის და სომეხთა ერის (ხაზგასმა გაზეთისაა — ო. ჭ.) მოძულეთა, არიან ქართველებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსი სომეხებისა და რუსებისა, როგორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა“.

ამ მართებული, ჭეშმარიტად სწორი პოზიციიდან ამოდიოდა გ. შარვაშიძე, როდესაც ერთა თანაცხოვრებისა და მეგობრობის, მეზობლობისა და თანამშრომლობის რთულ საკითხებს ეხებოდა. ამასთან იგი შეუწყნარებელი იყო იმათ მიმართ, ვინც ცდილობდა მრუდე სარკეში ეჩვენებინა ხალხთა და ერთა ურთიერთობა, ტალახში ამოესვარა ერის წმინდათაწმინდა ნაწილი და სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერება აეგო. ამ თვალსაზრისით მან სასტიკი პასუხი გასცა აკად. ნ. მარს იმის გამო, რომ ამ დიდმა მეცნიერმა წაუყრუა ზოგიერთი ვაი-მეცნიერის მიერ საქართვე-

ლოს ისტორიის გაყალბებას და ნაციონალისტურ სულთასწრაფევას წინ აღარ აღუდგა.⁶³

სხვათა შორის, მსგავსადვე უპასუხა დიდმა ქართველმა განმანათლებელმა ი. გოგებაშვილმა ახალგაზრდა მეცნიერს ივ. ჭავჭავაძის შვილს, როდესაც ეს უკახასენელი, ისე როგორც ნ. შარი, მაშინ რატომღაც არ გამოეხმაურა ქართველი ხალხის ისტორიის აუგად მოხსენიებას. ი. გოგებაშვილი აი, როგორ აღშფოთებით წერდა:

ჩვენ გვაოცებს და ნაღვლით გვიფეხებს გულს ის უცნაური მოვლენა, რომ თქვენ კრიხტს აღარ სძრავთ, სიტყვას არ იღებთ, როცა ჩვენის ერის წარსულს ცილის სწამებენ, ტალახში სვრიან თქვენ გვერდით, თქვენ თვალწინ“.⁶⁴

გ. შარვაშიძე ხალხთა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მისი შემოქმედების პირველი მკვლევარი აკად. ს. ჭანაშია წერდა:

„თავის კუთხესა და ტომთან კავშირი გადანასვენილი იყო გ. შარვაშიძეში ხალხთან სიახლოვესა და დემოკრატიულობაზე... ის იყო რაინდი, რომელიც ებრძოდა არა მარტო ეროვნულსა და პოლიტიკურს, არამედ სოციალურ უსამართლობასაც, ელინისა და ბარბაროსის განურჩევლად“.⁶⁵

ასევე ბერლინის გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტს გადამთიელ ლორენცს გ. შარვაშიძემ გამანადგურებელი პასუხი გასცა.

1911 წელს ზემოდასახელებულ გაზეთში კორესპონდენტმა ლორენცმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც უდიერად მოიხსენია ქართველები და აფხაზები.

გაგრაში გრაფ ოლდენბურგთან სტუმრად იყვნენ უცხოელები. მათ სუფრაზე ემსახურებოდნენ ადგილობრივი წარჩინებული თავადაზნაურების წარმომადგენლები. ერთ სტუმართაგანს დაეკარგა პალტო და ლორენცმა გერმანულ გაზეთში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ქურდობა დასწამა მაინცდამაინც აფხაზ და ქართველ წარჩინებულებს.

გ. შარვაშიძე სასტიკად აღაშფოთა ამ ყოველგვარ საზღვარს გადასულმა თავნებობამ და პასუხი გაუგზავნა გერმანული გაზეთის რედაქციას, ხოლო მისი ასლი გამოაქვეყნა გაზეთ „ზაკავკასკაია რუჟი“ 1911 წელს (№ 146) სათაურით: «Письмо светлейшего князя Г. М. Шервашидзе, посланное им в ред. газ. «Berliner Tageblatt“.

ყოველივე ის, რაც გაზეთმა გამოაქვეყნა ისეთი უხვი და უხეში გამოწონაგონია, მიუთითებს გ. შარვაშიძე, რომ ბადებს ექვს, ამ ცილისწამებისათვის ხომ არ იყო ასევე უხვად და უხეშად დაჭილდოებული ბ-ნი ლორენცი. ალბათ, ეს ვილაცისათვის და რალაცისათვის არის საჭირო. არის შემთხვევები, როცა ასეთი საგაზეთო რეკლამების საშუალებით სურთ საზოგადოებრივი აზრის წინაშე ნაკლებ ცნობილი ერები დაამცირონ.

ჩვენ არ უარყვოფთ, განაგრძობს ავტორი, შესაძლებელია პალტო მართლაც დაიკარგა, მოიპარეს, მაგრამ რატომ ჰგონია კორესპონდენტს,

⁶³ გარდახვეწილი (გ. შარვაშიძე), შორიდან ქართველის პროფესორის კაბინეტში. „ივერია“, 1903 წ., 4 იანვრის ნომერი.

⁶⁴ ი. გოგებაშვილი, მკითხველისადმი (თავ. ჭავჭავაძის შვილის წერილის გამო), გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 2.481, 1904 წ.

⁶⁵ გ. შარვაშიძე, ლირია, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჭანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946 წ., გვ. 23.

რომ ქურდობა ჩადენილია წესიერი ადამიანების, „ტუზემცების“ მიერ და არა რომელიმე იმ ბოგანოს მიერ, რომლებითაც აავსეს ეს მხარე, ვითომ კულტურის დასანერგავად.

კორესპონდენტს ჰგონია, აღშფოთებით წერს გ. შარვაშიძე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ეპოქის ადამიანები ვართ და დიდი დროა საჭირო ჩვენი პროგრესისათვის.

მაგრამ კულტურა, რომელსაც დღევანდლამდე ნერგავენ აქ, გამოიხატება იმაში, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ართმევენ მკვიდრ მიწებს და ურიგებენ უსახლკარო ვადამთიელებს, რომლებმაც, მართალი ითქვას, არც კი იციან ამ სიმდიდრის გამოყენება და ვერც მდიდრდებიან, ხოლო აბორიგენები, მიწის სიმცირის გამო, იძულებული გახდნენ თავი მიენებებიათ მევენახეობისა და მეცხოველეობისათვის. ამიტომ ხალხი ღარიბდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც შეინარჩუნაო სტუმართმოყვარეობის კეთილშობილური ადათ-ჩვეულება, რომელიც ასე ცუდად იყო გაგებული ლორენცის მიერ.

ლორენცმა ინახულა თბილისი, მაგრამ არც აქ მოქცეულა უკეთესად: ჩირქი მოსცხო ქართველებს.

„ღიღი პატივია! — წერს გ. შარვაშიძე, — ჰო, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ მისული ევროპის უმაღლეს ცივილიზაციამდე, სადაც პირუტყვებს აქვთ უპირატესობა ადამიანებთან შედარებით, ასე მაგალითად, ირმებს უკავიათ პარკების თვალწუწვდენელი ფართობები, ხოლო ადამიანები, მიწის პატარა ნაკვეთის უქონლობის გამო, იხუთებიან ჯურღმულებში; ბრწყინვალე შენობები აგებულია ცხენებისათვის. მათ კვებავენ, ასმევენ, პეწით უვლიან, ხოლო მშრომელი ადამიანი, ღამისთვის საფასურის 2 პენსის უქონლობის გამო, ხშირად ღია ცის ქვეშ ღაფავს სულს. საერთოდ ცივილიზაცია დიდ კომფორტს უქმნის პირუტყვებს — მონადირე ძაღლებს, იორჯ-შირის ღორებს და ა. შ.

ღიან, ჩვენ ჩამოვჩიით ცივილიზაციას. არ გვყავს არც სუტენერები, არც შანტაჟისტები, არც აფრიკელი საქმოსნები და ა. შ. და წარმოიდგინეთ, რომ ასეთმა ჩამორჩენამ შეიძლება ჩვენ დაგვამსგავსოს ბრინჯაოს ხანის ადამიანებს, მაგრამ ამის გამო არ ვწუხვართ. ჩვენ გვგონია, რომ არ არის საჭირო ყველა იმ ნაგვის ათვისება, რომელსაც ზოგიერთები პროგრესს უწოდებენ. ჩვენ ვცდილობთ იქიდან გამოვარჩიოთ ხელოვნებისა და ლიტერატურის რაც შეიძლება საუკეთესო ნაწარმოებები, თვალყურს ვადევნებთ მეცნიერებას. ერთი სიტყვით, ვითვისებთ მხოლოდ იმას, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ცხოვრებასა და ყოფაში“.

შემდეგ გ. შარვაშიძე მიუთითებს ქართველი ხალხის მდიდარ სულიერ კულტურაზე, იმ ბრწყინვალე წარსულზე, რომლითაც იმაჟებდა ნებისმიერი ერი. აი, ამ კულტურაზე ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს ბ-ნ კორესპონდენტს. მას რომ უფრო ღრმად ჩაეხედა ჩვენს ცხოვრებაში, მის ბრწყინვალე წარსულსა და აწმყოში, მაშინ იქ სულ სხვა ვითარებას იძინებდა.

„ბ-ნ ლორენცს რომ ღრმად ჩაეხედა ხალხის ყოფით მხარეზე, — მიუთითებდა გ. შარვაშიძე, — გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელსაც იგი ასე ზიზღით მოეპყრო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები რაინდები არიან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომ ისინი ხმალშემართულნი იდგნენ კავკა-

სიის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არა იმისათვის, რომ შეჭრილიყვნენ სხვის ქვეყნებში და გაეძარცვათ მათი სიმდიდრე, არამედ იმისათვის, რომ დაეცვათ სამშობლო, ქრისტიანული კულტურა და სამოქალაქო ცხოვრება; გაიგებდა აგრეთვე, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა: გაიგებდა, რომ ქართველი მეფეებისა და ხალხის იერარქიაში გვხვდება გენიალური სიბრძნისა და არაჩვეულებრივი გმირობის ადამიანთა სახელები და ა. შ.

შეიძლება კიდევ ბევრი რამ თქმულიყო, მაგრამ ამ ხალხის წარსულის ოქროს ფურცლები, ერის ცრემლითა და სისხლით ნაპკურები, შეუძლებელია გადმოიცეს საგაზეთო წერილში“.

გ. შარვაშიძის განსახილავი სტატია და განსაკუთრებით მისი წერილები ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნული უფლებების, ისტორიის, ენის, კულტურის შესახებ უშუალო იდეურ კავშირშია XIX საუკუნის 60-70-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის შემოქმედებებთან. თავის დროზე ი. ჭავჭავაძემ ბრწყინვალე პოლემიკურ ნაწარმოებებში: „კატკოვის პასუხად“ (1880), „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“ (1881), „აი, ისტორია“ (1889), „ქვათა დადადი“ (1889) სასტიკი პასუხი გასცა ქართული ეროვნული კულტურის შემბლაღავთ, იმ პირთ, ვაი-მეცნიერებს, შოვინიზმის ბანგით გაბრუნებულებს, რომლებმაც სცადეს ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდა სალოცავს — ქართულ ენას, კულტურას, სისხლით ნაწერ ისტორიას ბინძური ხელებით შეხებოდნენ. ილიამ ისინი ისტორიის წინაშე სამარცხვინო ბოძზე გააკრა და შთამომავლობას კი დაუტოვა ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცავდეს ერის ღირსეული შვილი თავისი ხალხის უფლებებს სხვა ეროვნებათა და ხალხთა ინტერესების შეუბლაღავად.

ასევე მოიქცა გ. შარვაშიძეც. ამიტომ იყო, რომ მის ასეთ ნაბიჯში დიდი კეთილშობილება და რაინდული შემართება დაინახეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა და მათ შორის ცნობილმა მწერალმა და პუბლიცისტმა ანტ. ფურცელაძემ, რომელმაც გ. შარვაშიძეს ამ სტატიასთან დაკავშირებით მისწერა მეტად გრძნობიერი წერილი. მოგვყავს წერილი მთლიანად:

„უბრწყინვალესო თავადო
გიორგი მიხეილის ძე!“

მე დიდი ხანია გიცნობთ როგორც ჩვენი ბელარუსული ქვეყნის ერთგულს და გულით მოყვარულ პირს. ვიცნობდი თქვენს ნიჭსაც და ხშირად ვფიქრობდი, რათ იდექით განზე და არ იღებდით მონაწილეობას ჩვენს საზოგადო საქმეში, ჩვენს მწერლობაში. ახლა ხომ თქვენმა წერილმა, რომელიც დაიბეჭდა „Знамя Речи“-ში (№ 146), უფრო დაგვარწმუნა თქვენს ქვეყნის სიყვარულსა და მწერლობით ნიჭში და ამან უფრო გამოიწვია ჩემში სამწუხარო ფიქრი, რომ თქვენ არ ისმინეთ რუსთველის შემდგომი სიტყვები: „არ იხმარებ, რას ხელსა ჰყოფ საუნჯესა დაფარულსა...“

დიახ, ცხარე არის ეს წერილი, არის გულის სიღრმიდან ამოსული „ნაღველში ამონაწები“ კალმით ნაწერი.

ბევრს სამწუხარო ფიქრს აღვიძებს ეს თქენი წერილი ყველა ქართველი მკითხველის გულში, ბევრს დარდსა ჰმლის და იქ, სადაც სხვა ძალა არ არის თავის პატრონობისა, უნდა კალმით მაინც ვაცნობდეთ ქვეყანას ჩვენს უსამართლო სასჯელს, ჩვენს ჩავგრას, ჩვენი ქვეყნის გამოსალმებას. ამ მხრივ თქვენი წერილი არის უებრო, არის ძლიერი, არის სიმართლით სავსე, არის ღრმა ჩახედული გონებით დაწერილი. სანატრელია, რომ მაგ წერილმა მიაღწიოს გერმანელთა შეგნებული ხალხის ყურამდის ნემენცური ვაზეთის ფურცლებიდან და აცნობოს, რა ხშირია, ხშირად თვით უგანათლებულეს ხალხშიც ათასი შარლატანები და რა ხშირია, რომ ამ შარლატანებს უსმენენ განათლებულნი ერნი.

გულითა და სულით მადლობას წწირავთ ამ შესანიშნავი და საგულისხმო წერილისათვის.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი ძველი მოღვაწე ანტონ ფურცელაძე⁶⁶.

წერილი დათარიღებულია 1911 წლის 7 ივლისით.

ანტონ ფურცელაძის ამ წერილის შემდეგ, ვფიქრობთ, გ. შარვაშიძის სტატია არ საჭიროებს ანალიზს. ქართველმა მწერალმა მისცა მას მშვენიერი შეფასება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. შარვაშიძე ვერ ურიგებოდა ისტორიის გამრუდებას, გაყალბებას, იქნებოდა ეს მიცნიერება თუ თეატრი. მხატვრული ლიტერატურა თუ პუბლიცისტიკა, ხალხის ეროვნული თუ სოციალური ცხოვრება.

გ. შარვაშიძე მაღალ შეფასებას აძლევდა რუსი ხალხის დიდ ეროვნულ კულტურას, იმ ძვირფას ტრადიციებს, რომლებიც საკაცობრიო მწერლობასა და აზროვნებაში დანერგეს რუსმა მოწინავე მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა პუშკინისა და ლერმონტოვის, ტურგენევისა და ტოლსტოის შემოქმედებას, ენას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მთელ რიგ სტატიებსა და გამოსვლებში ემხილება ბინა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა, მეფის მთავრობის ძალმომრეობა და ის სისაძაგლე, რასაც თვითმპყრობელობის მოხელეები საერთოდ მთელს რუსეთში და, კერძოდ, საქართველოსა და აფხაზეთში ჩადიდონენ, დღის სინათლეზე გამოეტანა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ბრძოლისა და ტანჯვის სურათები ეროვნული უზურპაციის პირობებში. გ. შარვაშიძე, ისე როგორც მისი უფროსი თანამოკალმეები ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი, დაუნდობლად ებრძოდა თვითმპყრობელობის კოლონიურ პოლიტიკას. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსეთის მთავრობის მჩაგრავ სისტემას“.

ერთ-ერთ თავის წერილში იგი მიუთითებდა:

„ჩვენი მამები, ბიძები და ძმები იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და კვლავ ბოდნენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.“

მათ ამაყ, თავისუფალ სულს არ უნდოდა და არც შეეძლო დამორჩილებოდა რუსეთის მთავრობის მჩაგრავ სისტემას; არ შეეძლო საუკუნეების მანძილზე შემუშავებული საკუთარი ადათ-წესებისა და ტრადიციე-

⁶⁶ ს.ა. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი სხვადასხვა, დოკ. № 88.

ბის გათელვა, ამიტომ ისინი იარაღით ხელში გამოდიოდნენ ძღვევამოსილი რუსეთის (თვითმპყრობელობის — ო. ქ.) წინააღმდეგ.

ბევრი მათგანი დაცვა ბრძოლის ველზე მშობლიური აფხაზეთისათვის. ათასები იტანჯებოდნენ ცივ ციმბირსა და რუსეთში, ხოლო უთანასწორო ბრძოლაში სასოწარკვეთილი მრავალი ათასი ადამიანი გარდაიხვეწა თურქეთში, ძალმომრეობას არ მოუხარა ამაყი თავისუფალი თავი“.⁶⁷

გ. შარვაშიძემ ბრწყინვალედ იცოდა, რომ ენის, ტრადიციის, ადამიანების, საერთოდ ეროვნული თვისებების შენარჩუნების გარეშე ეროვნული მეობა, ერი არ არსებობს. ამიტომაც წერდა:

„რომ შევინარჩუნოთ აფხაზეთი მთლიანობაში, ყველამ უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტრადიცია. ყოველი ხალხი, რომელიც მოისურვებს იცხოვროს უტრადიციოდ, იღუპება“.⁶⁸

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დ. ერისთავმა ფრანგულიდან გადმოაქართულა ვიქტორიან სარდუს „სამშობლო“. „ეს პიესა, — მიუთითებდა გ. შარვაშიძე, — ერთად ერთი იყო მთელს ქართულს სცენის რეპერტუარში. რომელსაც ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ეტანებოდა და რომლის წარმოდგენის დროსაც სათუატრო დარბაზი მართლ-რომ სადღესასწაულო სახეს მიიღებდა ხოლმე“.⁶⁹

გ. შარვაშიძემ მაღალი შეფასება მისცა როგორც პიესას, ისე სპექტაკლს, მაგრამ მიუთითა ერთ ისეთ დეტალზე, გააკეთა ისეთი შენიშვნა რომელიც მთელ მის ეროვნულ მსოფლმხედველობას გამოხატავს. როგორც ცნობილია, დეტალებშიც, წვრილმანებშიც ვლინდება მწერლის და მოაზროვნის მსოფლმხედველობა.

თურმე სპექტაკლ „სამშობლოში“ რატომღაც ქართველი მეომრები მეტად მხლელბად და ლაჩრებად გამოუყვანიათ. ამის გამო გ. შარვაშიძე აღშფოთებული წერდა:

„რა უნდა იფიქროს იმ ქართველის ქებულ და დიდებულ მამაცობისა და ვაჟკაცობის შესახებ მაყურებელმა. როდესაც ხედავს, რომ ერთი ცინგლიანი სპარსელი ხუთს ხმალ-ხანჯლით შეიარაღებულს ქართველ! ატყვევებს?! რა, ამის მეტი, დიდი ლაჩარი და მხდალი ყოფილან ქართველებიო?“

ეს დეტალი ჩინებულად ახასიათებს გ. შარვაშიძის ბუნებას, რომელმაც აქაც ვერ მოითმინა ქართველი ერის ისტორიის გაყალბება. მართლაც შამ-აბასებისა და თემურ-ლენგების წინაშე სიმხდალით მარცხდებოდა ჩვენი წინაპარი? არა, ერთ ქართველზე მტრის ათი და მეტი მეომარი მოდიოდა და მანც არ დრკებოდა.

კიდევ ერთი ფაქტი გ. შარვაშიძის რაინდული ბუნების, შეუდრეკელი ხასიათისა და დიდი პატრიოტიზმის დამადასტურებელი.

ი. მეუნარგია „ღროების“ ერთ-ერთ კორესპონდენციაში მიუთითებდა:

⁶⁷ Предсмертное обращение к архазскому народу Георгия Михайловича Шервашидзе. ხელნაწერი ინახება აფხაზეთის დ. გულიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, არქივი № 48. ფ. 3, ანაწერი 1, გვ. 1.

⁶⁸ იქვე, გვ. 3.

⁶⁹ გარდახვეწილი (გ. შარვაშიძე). „სამშობლო“, ღრამა 5 მოკმ. „ივერია“, № 225 1893 წ.

1882 წლის 29 იანვარს ქუთაისში ჩატარდა „კრება ქართული ენის პროგრამაზედ მოსალაპარაკებლად“. მასში მონაწილეობა მიუღიათ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვს, მასწავლებლებს, საზოგადო მოღვაწეებსა და მწერლებს. მათ შორის ა. წერეთელს, გ. შარვაშიძეს, ი. მეღვინას, ა. ჭიჭინაძეს და სხვ.

ეს კრება მოუწვევია ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის „ზედამხედველ კომიტეტს“, რომელსაც ბანკის გამგეობისაგან მინდობილი ჰქონდა სასწავლებელში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, „ზედამხედველმა კომიტეტმა მოიწვია რამდენიმე საპატიო პირნი, რომ მოელაპარაკნათ, გაესაჯნათ და ამ საკნის თაობაზე რამე გარდაეწყვიტათ“.

ამ კრება-თათბირს სულ დასწრებია 40 კაცი, რომლებსაც ერთხმად აღუნიშნავთ ქართული ენის სწავლების დაბალი დონე სასწავლებლებში. მიზეზად ყველას ის დაუსახელებია, რომ სკოლებში სწავლების ძირითადი ენა ბავშვებისათვის გაუგებარი არისო. თვით ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს სტოიანოვს უთქვამს:

„ქართველ მოწაფეთ სწავლა უჭირდებათ და უძნელდებათ მათთვის უცხო რუსული ენის სრულიად უცოდინარობის გამო, რომელზედაც არის სწავლება აქაურს სასწავლებლებში. როგორც წინედ ევროპის სასწავლებლებში ჰსუფევდა ლათინური ენა, ისეა ახლა ჩვენს სკოლებში რუსული. ქართველი ყმაწვილი თუთიყუშვივით ითვისებს სასწავლებელში რუსულ სიტყვებს და ამ ზეპირობის საშუალებით ვადადის ერთის კლასიდან მეორეშიო“.⁷⁰

სტოიანოვს შემოუტანია წინადადება, რომ გაეძლიერებინათ ქართული ენის სწავლება, რაც „გაადვილებს სასწავლებლებში სწავლების მსვლელობასაო“.

ამ თათბირზე გ. შარვაშიძეს შემოუტანია ყველაზე რადიკალური წინადადება. მას უთქვამს:

„რა-კი ჩვენს ყმაწვილთ სწავლა უჭირდებათ იმიტომ, რომ უცხო, რუსულს ენაზეა საგნების სწავლება, ვითხოვთ გონიერულის დამტკიცებით, რომ რამდენიმე კურსის განმავლობაში მთელი სწავლება ქართულ ენაზე იყოსო, ამ თხოვნას უფრო აგვისრულებენო, ვიდრე იმას, რასაც სხდომა აბჭობს ეხლაო“.⁷¹

ეს უდავოდ სწორი და საღი წინადადება, სამწუხაროდ, წერდა ი. მეუნარგია, „აზრად დარჩაო“. ბევრს უკან დაუხევია სიტყვებით: „უპ, რას ამბობ, მაგ თხოვნას ვინ შეგვიწყნარებსო“. თვით მეუნარგიას კი იგი ძალიან მოწონებია და ამიტომ სტატიაში მიუთითა:

„რასაკვირველია, მათ არ გახსენებით რუსთაველის სიტყვები:

„სადაცა მივა მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუდენი;
მუნითგან ვძებნო ღონენი ჩემნი არ დასამრუდენი“.

⁷⁰ „დროება“, № 27, 1882 წ., ხელმოუწერელი კორესპონდენცია — „ქუთათური აბები“.

⁷¹ იქვე.

ბოლოს თათბირს ქართული ენის პროგრამის შესადგენად გამოუყვია კომისია ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, პ. უმიკაშვილის და სხვ. შემადგენლობით.

გ. შარვაშიძე ყურადღებას აქცევდა ყოველ ცხოვრებისეულ წერილმანს, რომელიც რაიმე მნიშვნელობით ეროვნული მუხტის მატარებელი იყო. ი. ი. ისეთ დეტალებს სინამდვილიდან, რომლებიც ერის რაიმე ღირსება-ნაკლოვანებას შეეხებოდა. მაგალითად, 1893 წლის 7 დეკემბერს თბილისის „სამუსიკო კრუჟოკის“ დარბაზში გაუმართავთ ქართული სალიტერატურო საღამო იმ მიზნით, რომ შემოსული თანხით შეეძინათ მუსიკალური იარაღები მომავალში გათვალისწინებული სათავადაზნაურო მუსიკალური სასწავლებლისათვის.

სალამოზე ლადო ალექსი-მესხიშვილს რუსულად წაუკითხავს ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები“. ამის გამო საყვედურით სავსე წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ გ. შარვაშიძემ. იგი წერდა:

„ეს წერილები საუცხოოდ იქნა წაკითხული, მაგრამ არ გვესმის რუსულად ეგ რად ამჯობინა არტისტმა ქართულს, როდესაც ეს „წერილები“ ქართულ სცენისათვის არის სათარგმნო და, ამას გარდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ქართველობა იყო“.

თითქოს წერილმანია, მაგრამ საყურადღებო დეტალია. გ. შარვაშიძე ყოველთვის ხაზს უსვამდა ეროვნულ კულტურას და ვერ ურიგდებოდა მის ოდნავად დაჩრდილვასაც კი. ამ საღამოზე „ოუსულმა ხორომ და მუსიკამ კი შესძლო ლეკურის დაკვრა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, ქართულს სალიტერატურო საღამოზედ თავმოყრილმა, ლეკურის თამაშის ცოდნა ვერ გამოიჩინა. ვალსსა და მახუკას გატაცებული თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი ეროვნული ცეკვა კუნჭულში იყო გამოუსადეგრად მიგდებული და არავის ყურადღებას არ იზიდავდა“.⁷²

ეს პატარა დეტალიც ნათლად მიუთითებს გ. შარვაშიძის დამოკიდებულებაზე ქართული ეროვნული კულტურისადმი, იმ დიდ და უნაპირო სიყვარულზე, რომელსაც იგი ამჟღავნებდა სამშობლოსადმი, ქართველი ხალხისადმი, ყოველივე იმისადმი, რაც შედის ეროვნული ცნობიერების, ფსიქოლოგიის, ყოფისა და, საერთოდ, ცხოვრების ფარგალში.

გ. შარვაშიძე ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კულტურულ ღონისძიებებში: გამოდიოდა ლექციებით, მოხსენებებით, წერდა სტატიებსა და რეცენზიებს, თამაშობდა სცენაზე, პრესაში გამოთქვამდა თავის შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკიბობოროტო საკითხებზე. მის ავტორიტეტულ მოსაზრებებს ყოველთვის ანგარიშს უწყვიდნენ.

ჩვენ გვსურს მკითხველს მოვუთხროთ გ. შარვაშიძის ერთი გამოსვლის შესახებ პეტერბურგის ქართველი სტუდენტების წინაშე:

პეტერბურგის ქართველ სტუდენტებს ჰქონდათ კარგი ჩვეულება — ლიტერატურული საღამოების გამართვა ხელმოკლე სტუდენტების სასარგებლოდ. ერთი ასეთი საღამო გაუმართავთ 1892 წლის 15 დეკემბერს, რომელშიც მონაწილეობა მიუღიათ აკ. წერეთელს, გ. შარვაშიძეს, რუს

⁷² გარდახვეწილი (გ. შარვაშიძე), ქართული სალიტერატურო საღამო „ივერია“, № 266, 1893 წ.

პოეტებს, მუსიკოსებს, მსახიობებს, საზოგადო მოღვაწეებს ი. პოლონსკის, მიხაილოვს, ვ. ველიჩკოს, მერეჟკოვსკის. ველიჩკოს წაუკითხავს აკაკის ლექსი, მის მიერ თარგმნილი, რომელიც დამსწრე საზოგადოებას ძალიან გულთბილად მიუღია და „აუარებელი ტაშის კვრით“ და „ბრაგოს“ ძახილით დაუჭილდობიან წამკითხველი“.

ქართველ მომღერალთა გუნდს თვით მ. ბალანჩივაძის ლოტბარობით შეუსრულებია სხვადასხვა სიმღერა: „თამარის დროშა გაშალეს“, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „კოშკი რამე ქვის ნათალი“ და სხვ. ცეკვების შუალედებში პროფესორ კლოდეტის დაუდგამს „ცოცხალი სურათები“ ვეფხისტყაოსნიდან“. აქ არ არის მითითებული, თუ ვინ მონაწილეობდა ამ „ცოცხალ სურათებში“, მაგრამ სავარაუდოდელია გ. შარვაშიძეს მიეღოს მასში რამე მონაწილეობა, რადგან, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1882 წელს ზიჩის მიერ დადგმულ „ცოცხალ სურათებში“ მან განასახიერა ტარიელის როლი.⁷³

„ივერიის“ კორესპონდენტი მაღალ შეფასებას აძლევს სტუდენტთა ამ საღამოს. იგი წერს:

„საღამომ ერთობ საუცხოოდ ჩაიარა და საზოგადოებაც კმაყოფილო დარჩა“. ბოლოს გაუმართავთ „პატარა შინაური ვახშამი“, რომელსაც დასწრებიან აკ. წერეთელი და გ. შარვაშიძე.

„ვახშამზე, — განაგრძობს კორესპონდენტი, — გრძნობიერი სიტყვა წარმოდგენს პოეტმა მერეჟკოვსკიმ, აკაკიმ და თ. გ. შარვაშიძემ. მსურდა ამ სიტყვების შინაარსი მკითხველისათვის გამეზიარებინა, მაგრამ ზოგიერთი მიზეზები, რომელთაც მკითხველი თვითონ მიხვდება, ნებას არ მძლევენ“.⁷⁴

მკითხველისათვის ნათელია, თუ როგორი შინაარსისა იქნებოდა ეს სიტყვები.

როგორც „დროების“ ერთი კორესპონდენციიდან ჩანს, გ. შარვაშიძეს დიდი შრომა გაუწევია ქუთაისში სალიტერატურო ჟურნალის „ხუმარას“ დასაარსებლად. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მის ავტორიტეტზე დიდ იმედებს ამყარებდნენ ჟურნალის დაარსების ინიციატორები. ეს იქიდან ჩანს, რომ გ. შარვაშიძემ საგანგებოდ ააღნიშნული, როგორც ერთ-ერთი ინიციატორი და მატერიალური მხარდამჭერი ჟურნალისა. ქუთაისის ლიტერატურული საზოგადოება ამ ჟურნალზე დიდ იმედებს ამყარებდა. მაგალითად, „დროება“ განცხადებაში მიუთითებდა:

აქ (ქუთაისში — ო. ჯ.), გაისილამ აპირებენ კვირის საოხუნჯო-სატირული ჟურნალის გამომცემას. რედაქტორისა და გამომცემლების ვინაობას ჯერჯერობით ზოგიერთი მიზეზის გამო ვერ გიმჟღავნებთ. სხვა ცნობანი კი მიირთვით: ჟურნალს ერქმევა „ხუმარა“, სივრცე ექნება რვა გვერდი... ეხლანდელი ცხოვრების გარდა ჟურნალი ყურადღებას მიაქცევს ჩვენს ისტორიულს ოხუნჯობას, ზმას და სატირას და ისტორიულის მიმოხილვით წარმოუდგენს მკითხველებს მათს თავდაპირველს წარმოებას და თანდათანის განვითარებას. ექნება აგრეთვე „საიქიოს“ განყოფილება. სადაც დაიბეჭდებიან შესაფერი კორესპონდენციები... ჩვენის აზრით.

73 „დროება“, № 115. 1882 წ.

74 „ივერია“, № 2, 1892 წ.

სააქოსაც იმოდენი სანოვავე ექნება ზუმრობისა და სატირისა ჟურნალს, რომ საიქიო მეტის-მეტი ზედნადებია მისთვის“.⁷⁵

როგორც ვხედავთ, აქ მთელი პროგრამაა გადმოცემული და მოხაზულია ჟურნალის სამოქმედო სარბიელიც, მაგრამ არ ჩანს, თუ ვინ არიან მისი დაარსების ინიციატორები, ვინ გაიღებს მისთვის თანხას, ვინ უზრუნველყოფს მას მატერიალურად. ასეთი კონკრეტული ცნობები მოცემულია შემდეგნაირად:

„ამას წინედ ჩემს მკითხველებს ვუმახარობლე ქუთაისში მომავლის წლიდან კვირის საოხუნჯო-სატირული ჟურნალის „ხუმარას“ გამოცემა და თან დავსძინე რამდენიმე ცნობა, რომელიც გამოცემულ წრისაგან ჰქონდა შეტყობილი. აწ იმ გამართლებულ ცნობებზე შემდეგის დამატება შემძლია:

შემდგარია „საგამომცემლო წრე“ რამდენიმე პირისაგან (რომელთა შორის ურევია თ. გ. შარვაშიძე), რომლებიც გამოიღებენ უწყებულს თანხას ფულისას „ხუმარას“ გამოსაცემად... „ხუმარა“ იქნება ჩვენის დრო-გამომცემბითის მწერლობის ჩინებული და დაუფასებელი განძი“.⁷⁶

ამ მეორე ინფორმაციაში უკვე ჩანს, რომ „ხუმარას“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და სულისჩამდგმელი ყოფილა გ. შარვაშიძე. სამწუხაროდ, ჟურნალს დღის სინათლე არ ეღივსა. მეფის მთავრობის მოხელეებმა აკრძალეს იგი.

გ. შარვაშიძე მთელი თავისი მოღვაწეობით — იქნება ეს პუბლიცისტური სარბიელი თუ მწერლობა, უკავშირდება იმ იდეურ სამყაროს, რომელიც ასაზრდოვებდა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ეგრძოდ, 60-70-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მისწრაფებას, შეხედულებებს, მრწამსს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი შემოქმედება და მოღვაწეობა ძალუმად სწორედ ეროვნული პრობლემატიკის ფარგალში გაიშალა და აქ ამ ნათელმოსილმა მოამაგემ თავისი მორიდებული წვლილი შეიტანა ქართული მხატვრული და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

უთუოდ დიდი მეცნიერული და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მოვლენაა გ. შარვაშიძის კავშირი ქართულ თეატრთან. მისი თეატრალური მოღვაწეობა ემთხვევა ქართული თეატრალური კულტურის აღორძინების პერიოდს. ამ საქმეშიც მან მორიდებული წვლილი შეიტანა.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული თეატრი და დრამატული საზოგადოება წარმოადგენდა ეროვნული კულტურის დიდ კერას, ერთ-ერთ ძირითად უბანს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა, რომლის სათავეში იღვა „დროება“-„ივერიის“ გარშემო შემოკრებილი მოწინავე ინტელიგენცია.

გ. შარვაშიძეს წლების მანძილზე მტკიცე შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა ქართულ თეატრთან. მის პიესებში თამაშობდნენ სცენის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ: მარიამ საფაროვა-აბაშიძე, ნატალია გაბუნია-ცაგარელი, ეფემია მესხი, ვასო აბაშიძე. კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე და სხვ. იგი ი. ქავკავაძის

75 „დროება“, № 242, 1881 წ.

76 „დროება“, № 259, 1881 წ.

„ივერიაში“ აქვეყნებდა მეტად საქმიან რეცენზიებს ქართულ სპექტაკლებზე. საინტერესოდ აშუქებდა დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების საკითხებს. მის წერილებში, სტატიებსა და რეცენზიებში იგრძნობა მაღალი ინტელექტი, ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკის ბრწყინვალე ცოდნა, ფაქიზი და ნატიფი გემოვნება, ფართო ერუდიცია.

გ. შარვაშიძეს, რამდენადაც ღლეს ცნობილია, დაუწერია ოთხი პიესა: „გიორგი მესამე“, „მომაკვდავნი სურათნი“, „კომლი უცეცხლოდ“ და „ბელისაგან დევნილი კაცი“ (სამწუხაროდ, ამ ბოლო პიესამ ჩვენამდე ვერ მოაღწია). ასევე მის კალამს ეკუთვნის თეატრალური რეცენზიები.

გ. შარვაშიძის პიესებმა იმთავითვე მიიპყრეს საზოგადოებრიობის ყურადღება, ამას თვით გიორგის ნიჟთან და ავტორიტეტთან ერთად ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მაშინ ქართული თეატრის რეპერტუარი ღარიბი იყო და ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენა დრამატულ მწერლობაში ღიდ მოვლენად ითვლებოდა. მისი პირველი პიესა, რომელმაც სცენური ხორცშესხმა მაშინათვე პპოვა, იყო „მომაკვდავნი სურათნი“. იგი დაიდგა 1881 წლის 11 ნოემბერს თბილისში.

პიესამ ღიდი ხმაური გამოიწვია ლიტერატურულ და თეატრალურ წრეებში ჭერ კიღევ გამოქვეყნებამდე და დაღდგამდეც კი. იგი აღიარებულ იქნა საყურადღებო ლიტერატურულ მოვლენად. ი. მეუნარგიამ „მომაკვდავნი სურათნი“ გვერდით ამოუყენა დ. ერისთავის „სამშობლოს“ და ორივე პიესას მეტად მაღალი შეფასება მისცა. 1881 წლის გაზეთ „შრომაში“ (№ 1) იგი წერდა:

„ჩვენ ქართულ ლიტერატურაში თავად დ. ერისთავისაგან გაღმოკეთებულ დრამაზე „სამშობლო“ თქვენც გაიგონებღით. ავტორმა წაგვიკითხა ეს პიესა, რომლის მსგავსი ჭერ არ დაწერიღა და არ გაღდმოთარგმნღლა რა ჩვენს ენაზე...“

მეორე ახალი ამბავი ლიტერატურაში, რომელსაც თქვენ ვერ გაიგონებღით, არის თავად გ. შ. შარვაშიძის კომეღია „მომაკვდავნი“. ჩვენ თანამძას კომეღიის შინაარსი ჩვენი ცხოვრებიღან აქვს აღებული. ორივე პიესა ამ ზამთარში დაიბეკღდა და წარმოდგენიღლი იქნება“.

იმავე 1881 წლის „ღროება“ № 236-ში მიხეიღ ბებუთოვი (მისი ფსევდონიმი იყო „ემბე“) მიუთითებღდა:

„ამ ოთხზამბათისათვის (ე. ი. 1881 წლის 11 ნოემბრისათვის — ო. კ.) მზადღება თ. გ. შარვაშიძის პიესა „მომაკვდავნი“. თუმცა ეს პიესა ჭერ არ დაბეკღდიღლა, არც წარმოდგენიღლა, მაგრამ ბოღიშს მოვიხღდით ავტორის წინაშე და გაეუზიარებთ მკითხვეღს იმ შთაბეკღდიღებას, რომელიც ამ პიესამ მოახღდინა ჩვენზე, რადგან იმის დაღდგმა სცენაზე ღიდღს წინ წაღდგმულს ბიღს მოასწავებს“.

როგორც ვხეღდავთ, ლიტერატურული და თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჭერ კიღევ ხელნაწერში საკმაოღ მაღალ შეფასებას აძღლევღნენ გ. შარვაშიძის პიესას. მ. ბებუთოვი შემღდეგ ასე ავითარებს თავის აზრს:

„ღღემღდის ახალგაზრღდა დრამატული მწერლები ასეთნაირად ჩაუღრთავენ ხოღმე თავის პიესაში რომელსამე ტენღდენციას, აზრს, რომ მაყუღრებღღს სულს არ ამოათქმევიღნებენ, თავიღან ბოღომღდის ძაღღად აჩხირღბენ მაყუღრებღღს ტენში თავის პიესის უმთავრეს აზრს.“

ამიტომაც ყველა ამ გვარ პიესებს ერთნაირი ბეჭედი ასვია: უშველებელი მონოლოგები მოქმედი პირებისა, სისუსტე თვით მოქმედებისა და ინტრიგისა“.

სულ სხვანაირად უყურებს იგი გ. შარვაშიძის პიესას, რომელიც მას მაღალმხატვრულ ნაწარმოებად მიაჩნია. „თუმცა გ. შარვაშიძის პიესა ჩვენ ხელთ-ნაწერში წავიკითხეთ და იმის მხოლოდ ერთი რეპერტუია ვნახეთ, — წერს იგი, — მაგრამ ახლავე შეგვიძლია სიამოვნება ვუწინასწარმეტყველოთ იმის მომავალ მაყურებელს“.

პიესა, როგორც თვით გ. შარვაშიძე მიუთითებდა, გადმოკეთებული ყოფილა ფრანგული ენიდან, მაგრამ ისე შეუხამებია მთარგმნელს სიტუაციები ქართული სინამდვილისათვის, ისეთი კოლორიტული ეროვნული სახეები შეუქმნია, რომ „მხოლოდ სათაურს მიბაძვალ უნდა დავუჭეროთ, — ვკითხულობთ რეცენზიაში, — თორემ არც ერთი აქ გამოყვანილი პირი ჩვენ უცხო პირად არ გვეჩვენება, ყველა ჩვენი ტიპები არიან“.

რეცენზიის ავტორი დადებით შეფასებას აძლევს პიესას, როგორც ცხოვრების უარყოფითი მხარეების მამხილებელს, და გამოთქვამს სურვილს, რომ ქართული თეატრის რეპერტუარს „შემდგეში არ მოკლებოდეს ზემოხსენებული პიესის ნიჭიერი ავტორის შემწეობა“.

ეს იყო, ერთგვარი წინასწარი აზრი მომავალი სპექტაკლის შესახებ, ხოლო წარმოდგენაზე რეცენზია გამოქვეყნდა № 239 „დროებაში“. იგი ხელმოუწერელია. მასში როგორც პიესის, ისე თეატრალური ნაწარმოების — სპექტაკლის მაღალი შეფასებაა მოცემული.

„წარმოდგენამ დაამტკიცა სრული სიმართლე იმ შენიშვნისა, — ვკითხულობთ რეცენზიაში, — რომელიც კომედიის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი. კითხვის დროს თუ კომედია ხელოვნურად, სცენურად დაწერილი მოჩანდა, სცენაზე ეს ხელოვნება და სცენის ცოდნა ავტორისაგან ერთი ორად უფრო აშკარად და ცხადად გამოჩნდა“.⁷⁷

ასეთ შეფასებას აძლევს გაზეთი „დროება“ გ. შარვაშიძის ნაწარმოებსა და ქართული დასის სპექტაკლს. რეცენზიის ავტორი იწონებს გ. შარვაშიძის დრამატულ ხელოვნებას, სცენის სპეციფიკის თავისებურებათა ცოდნას, მხატვრული სახეებისა და ხასიათების გამოკვეთის უნარს.

ამასთან მითითებულია ზოგიერთ ნაკლზე. მაგალითად, პიესაში ერთმანეთთან ჰარმონიულად არ არისო შერწყმული დრამატული და „ოდევითური“ (ე. ი. კომიკური — ო. ჭ.) სცენები.

როგორც ცნობილია, საბოლოოდ ყოველი სპექტაკლის წარმატება დამოკიდებულია თვით მსახიობთა თამაშზე. ეს უკანასკნელი არის უმუშალო შემოქმედი სცენაზე, მასზეა დამოკიდებული თეატრალური ნაწარმოების ბედი. გ. შარვაშიძის პიესის წარმატება სცენაზე სწორედ მსახიობების კარგი შესრულებითაც ყოფილა განპირობებული. პიესაში თამაშობდნენ ქართული სცენის დიდოსტატები: ნ. გაბუნია-ცაგარელი, (მართა), ვ. აბაშიძე (ქონიაშვილი), კ. მესხი (გრიგოლ ბატონიშვილი), ლადო ალექსი-მესხიშვილი (ასლანთარელი).

რეცენზია ასეთი დასკვნით ბოლოვდება:

„საზოგადოდ ოთხშაბათის წარმოდგენა როგორც პიესის მხრით,

⁷⁷ „დროება“, № 236, 1881 წ.

აგრეთვე დადგინა და შესრულებისა, ისეთ წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს, რომლიდანაც ყველანი კმაყოფილნი რჩებიან“.⁷⁸

გ. შარვაშიძის ამ პიესას და ქართული თეატრის სპექტაკლს სრულიად საწინააღმდეგო შეფასება მისცა გ. თუმანიშვილმა. მან ჟურნ. „ივერიისში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „თეატრი (ახალი მოთაპაშენი)“, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან, პირველ ნაწილში ჰიპოთეზულია 1861 წლის თეატრალური სეზონის სპექტაკლები, გარჩეულია ცალკეული მსახიობის არტისტული ხელოვნების თავისებურება. მეორე ნაწილი კი ეხება როგორც გ. შარვაშიძის პიესას, ისე ამ ნაწარმოების სცენურ ხორმებს.⁷⁹

გ. თუმანიშვილი ამ პიესისა და სპექტაკლის შესახებ „დროების“ რეცენზენტების რადიკალურად საპირისპირო აზრს ავითარებს. მან ნაწარმოებში ვერ დაინახა ის ამოღებული მხატვრობა და დიდი პათოსი, რაზედაც ი. მეუნარგია და მ. ბებუთოვი მიუთითებდნენ.

„ივერიის“ მიმომხილველის რეცენზია ასე იწყება:

„თვით პიესაზე აქ ჩვენ ბევრს ვერას ვიტყვით, რადგან ის ახალს არ წარმოადგენს ქართულს რეპერტუარში. ეს არ არის ხასიათების დამცველი და ყოველმხრივ გამომხატავი კომედია (როგორც გვარწმუნებს „დროებაში“ რეცენზენტი „ემბე“). რადგან არამც თუ მეორე მოქმედი პირების, თვით უმთავრესი პირის გრიგოლ ბატონიშვილის ხასიათიც კი ვერ გავგივია და მას გარდა ვერც ის შევნიშნეთ, რა თვალთ უყურებს ავტორი ჩვენს ცხოვრებას“.

ის, რაც მაღალი ზნეობის ხასიათად მიაჩნდათ ი. მეუნარგიასა და მ. ბებუთოს (მაგ. გრიგოლ ბატონიშვილის სახე), გ. თუმანიშვილმა აღიარა მეტად სუსტ მოვლენად. „აქ ხასიათი კი არ არის, არამედ უხასიათობა“. — აღნიშნავდა იგი.

ეს პიესა, მისი აზრით, დაფუძნებულია სცენურ ეფექტებზე, ლექსიკურ კომბინაციებზე და არა გამოკვეთილ სახეებზე. ასეთი პიესები, წერს იგი, მსუბუქ კომედიურ ჟანრს მიეკუთვნება. მათი ერთხელ ნახვა შეიძლება, მაგრამ მეორედ და მესამედ არ მიგიზიდავსო. „მომაკვდავნი სურათნი“ მან შეაღარა აკ. წერეთლის „კინტოს“, ა. ცაგარლის „მათიკოს“, ვ. აბაშიძის „შეშლილას“.

რეცენზენტი უსაყვედურებს რეჟისორსა და მსახიობებს პიესისადმი თვითნებურ დამოკიდებულებას. მათ შეუკვეციათ ნაწარმოები, რასაც სპექტაკლისათვის ზიანი მოუტანია. „ჩვენმა მსახიობებმა „მომაკვდავებს“ დააკლეს მეორე მოქმედების ბოლო, ის ადგილი, საცა მართა გრიგოლს სალომესთან მიყვანის მაგივრად. თავის გოგოსთან მიყვანს. ამის გამო პიესა თითქმის გაუგებარი დარჩა“, — მიუთითებს რეცენზენტი.

საბოლოოდ სპექტაკლს რეცენზენტზე დადებითი შთაბეჭდილება დაუტოვებია.⁷⁹

სხვათა შორის, ამ პიესაზე თავისი აზრი გამოთქვა ცნობილმა მსახიობმა. მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ვ. გუნიამ. მან 1889 წელს თბილისში გამოსცა მეტად საყურადღებო წიგნი ქართული მუდმივი თეატრის დაარსების (1879 წ.) 10 წლისთავთან დაკავშირებით „ქართული თეატ-

⁷⁸ „დროება“, № 236. 1881 წ.

⁷⁹ „ივერია“, № 11, 1881 წ.

არის“ სახელწოდებით, რომელშიც განხილულია იმ პერიოდში ჩვენი თეატრალური კულტურისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა სისხლხორცეული საკითხი და მათ შორის ქართული დრამატურგიის მდგომარეობა, ცნობილ ქართველ დრამატურგებთან ერთად (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, რაფ. ერისთავი, ა. ცაგარელი, დ. ერისთავი და სხვ.) დასახელებულია გ. შარვაშიძეც და მოცემულია მისი კომედიის „მომაკვდავნი სურათნი“ შეფასებაც. ქართული თეატრის ეს დიდი ამაგდარი წერდა:

„ვეტორს (გ. შარვაშიძეს — ო. ჭ.) აშკარად ემჩნევა ცხოვრების დაკვირვება, სცენის ცოდნა და ნახულ-გაგონილის შემუშავება, ეს კარგი ღირსებაა მწერლისათვის.“⁸⁰ თანაც მიუთითა ნაკლოვანებებზე.

ასეთი კამათი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია თავის დროზე გ. შარვაშიძის კომედიამ „მომაკვდავნი სურათნი“.

ეს კომედია ცალკე წიგნად გამოვიდა 1882 წელს ქუთაისში. ამ საკითხთან დაკავშირებით „დროებაში“ არის ასეთი ინფორმაცია:

„ჩვენ მივიღეთ ქუთაისში გამოცემული ილ. ჭყონიასაგან თ-ის გიორგი შარვაშიძის კომედია „მომაკვდავნი სურათნი“, ესე სუფთად და ლაზათიანად გამოცემული წიგნი ძვირად გვინახავს ჩვენს მწიგნობრობაში და ვურჩევდით სხვა ჩვენს გამომცემელთაც ნიმუშად აიღონ ეს წიგნი.“⁸¹

თავის დროზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა გ. შარვაშიძის ერთმოქმედებიანი დრამა „კომლი უცეცხლოდ“, რომელიც აკად ს. ჯანაშიას მითითებით, პირველად დაიდგა ქუთაისში 1893 წლის 14 ნოემბერს კ. მესხის თეატრში. როგორც ს. ჯანაშიას, ისე ქართული მწერლობისა და თეატრალური კულტურის ბევრ მოღვაწეს ეს პიესა დაკარგულად მიაჩნდათ.⁸²

შემდგომმა კვლევა-ძიებამ უშედეგოდ არ ჩაიარა. მკვლევარ ს. ლეკიშვილის ცნობით,⁸³ გ. შარვაშიძის ამ პიესას პირველად მიაკვლია თეატრმკოდნე ს. გერსამიამ 1952 წელს, ხოლო აწ განსვენებულ მკვლევარს ს. ლეკიშვილისათვის 1967 წელს მიუთითებია პიესის ადგილსამყოფელიც. ამჟამად პიესა დაცულია საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში.

ს. ლეკიშვილმა აღნიშნულ ჟურნალში პირველად გამოაქვეყნა ს. გერსამიასა და შ. დადიანის მიმოწერა ამ პიესასთან დაკავშირებით. გაიოკვა, რომ „კომლი უცეცხლოდ“ ყოფილა არა იტალიურიდან ნათარგმნი პიესა, როგორც ეს ადრე ეგონათ, არამედ გ. შარვაშიძის ორიგინალური ნაწარმოები.

ავტორს პიესა დაუწერია რუსულ ენაზე, ხოლო ქართულად უთარგმნია გ. შარვაშიძის სიძეს, დის, ბაბოს, მეუღლეს ნიკოლოზ წულუკიძეს.

„ამგვარად, — წერს თავის წერილში შ. დადიანი ს. გერსამიას მისამართით, — ვიმეორებ, რუსულად დაწერილი პიესა „კომლი უცეცხლოდ“

⁸⁰ ვ. გუნია, ქართული თეატრი, თბ., 1889 წ., გვ. 87.

⁸¹ „დროება“, № 73, 1883 წ.

⁸² გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946 წ., გვ. 64.

⁸³ ს. ლეკიშვილი, გ. შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“. ჟურნ. „თეატრალური მატრიანე“, № 3, 1970 წ., გვ. 15-17.

ყოველ ექვს გარეშე ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს და ამ პიესის მთარგმნელი ნიკოლოზ (კოლია) წულუკიძეა „ნ. წ.“-ს ინიციალებს ამოფარებული.

მოსახსენებელია ისიც, რომ „კომლი უცეცხლოდ“ რამდენიმეჯერ გავიმეორეთ ქუთაისში, რაც იმ დროს იშვიათი იყო და დიდი გამარჯვების მაუწყებელი“.⁸⁴

ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ 1895 წლის ნოემბერში ქუთაისიდან თბილისში პირველად მიიწვია ეფემია მესხი რამდენიმე სპექტაკლში და მათ შორის პრემიერაში მონაწილეობის მისაღებად. თბილისელები ამზადდებდნენ გ. შარვაშიძის პიესას „კომლი უცეცხლოდ“, სადაც მთავარი როლი ეფ. მესხს უნდა ეთამაშა.

ამ პრემიერის თაობაზე სპეციალური განცხადება გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ (№ 254), სადაც მითითებული იყო, რომ ეფემია მესხის გარდა სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებდნენ მ. საფაროვა-აბაშიძე, ნ. ჩხეიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი და სხვ.

პრემიერა წარმოდგენილ იქნა 1895 წლის 26 ნოემბერს, ხოლო 28 ნოემბერს გამოქვეყნდა მანოელიძის (არტემ ახნაზაროვის) რეცენზია.

რეცენზენტი ჯერ გადმოსცემს პიესის მოკლე შინაარსს და შემდეგ ეხება ცალკეული მსახიობების თამაშს. პიესის ქარგა ასეთია:

გრაფ გასპარო ალფიერს (კ. მესხი) ჰყავს ლამაზი მეუღლე სეზარინა (ეფ. მესხი). ერთ დღეს ალფიერი თავს წაადგება თავის საყვარელ ცოლს, რომელსაც ცალი ფეხი შიშველი ჰქონდა და მის წინ კი მუხლმოყრილი იდგა ახალგაზრდა პაეი ჯაკომო (ნ. ჩხეიძე). უზომოდ შეყვარებულ ქმარს შეიპყრობს ეპეი და მახვილით მძიმედ დაჭრის პაეს, განშორდება ცოლს. იწყება სულიერი და ოჯახური ტრაგედია. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ალფიერის მეუღლეს ფეხი უტყენია და მასთან საშველად შინამოსამსახურებთან ერთად პაეიც მოსულა. ამ დროს ქმარიც შეესწრო ამ სურათს. პიესა მელოდრამაა, ამიტომ ჩვეულებრივ კეთილად ბოლოვდება. ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეურიგდება, ხოლო ახალგაზრდა პაეიც სიკვდილს გადარჩება.

ერთი სიტყვით, აურზაური წარმოშობილია არაფრის განო, ე. ი. ეკამლი გაჩნდა უსაფუძვლოდ, უცეცხლოდ.

რეცენზენტმა როგორც პიესას, ისე სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა. აი, რას მოგვითხრობს იგი:

„თვით პიესის შესახებ რა გვეთქმის იმის მეტი, რომ იგი შესაძლებლობის საფუძველს მოკლებული არ არის და რაკი შიგ მოთხრობილი ამბავი სინამდვილეს მეტად მიმსგავსებულია, ამიტომ ძლიერად მოქმედებს კიდევ მაყურებელზე... თვით გრაფის მიერ გულისწყრომით ნაამბობი ამბავი თავისი უბედურებისა ისე სწვდება და იპყრობს აღამიანის გულს მისის თანაგრძნობით. რომ ასე გეგონება, ყოველივე ეს მართალი ამბავიაო, ფორტოგრაფიულის სინამდვილით გადმოცემული ხელოვანი მხატვრისაგან... ამას ზედ დაურთეთ წმინდა ნამდვილი ქართული ენა, ლიტერატურული ღირსებით საესე“.⁸⁵

⁸⁴ ს. ლეიშვილის დასახელებული სტატია, გვ. 16-17. „კომლი უცეცხლოდ“ ღვთაურად აღზარდა ენაზე. იხ. ჟურნ. „ალაშარა“, № 12, 1971 წ.

⁸⁵ „ივერია“, № 257, 1895 წ.

მეტად მომხიბლავი ყოფილა ეფ. მესხი, რომელსაც მოუჩადოებია მაცურებელი. ასევე რეცენზენტის მოწონება დაუმსახურებიათ სხვა შემსრულებლებსაც.

ამ პიესამ და სპექტაკლმა, ისე როგორც გ. შარვაშიძის „მომავლადემა სურათებმა“, აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა გამოიწვია. მაგალითად, რუსულმა გაზეთმა „ნოვოე ობოზრენიემ“ მოათავსა პატარა, მაგრამ მეტად ტენდენციური და დამამცირებელი ინფორმაცია სპექტაკლის შესახებ. ეს, სხვათა შორის, სამწუხაროდ, სჩვეოდა ამ გაზეთის რედაქტორს გ. თუმანიშვილს. „ნოვოე ობოზრენიემ“ თავის მკითხველებს აი, რა აუწყა:

«Во второй пьесе (ე. ი. გ. შარვაშიძის „კომლი უცეცხლოდ“ — ო. ჯ.) выступила приглашенная на ряд спектаклей известная кутаисская актриса Е. С. Месхи. К сожалению, у даровитой актрисы роль оказалась очень безцветная, благодаря чему она не имела возможности показать свои артистические силы в полной мере»⁸⁶.

ასევე დამამცირებელი შეფასება მისცა ამ პიესას მეორე რუსულმა გაზეთმა „ტიფლისკი ლისტოკმა“ (რედაქტორ-გამომცემელი ხ. ხაჩატუროვი) ამ გაზეთში ინფორმატორი ამოუპარებელია ფსევდონიმს „И“. ინფორმაციაში ვკითხულობთ:

«В заключение была поставлена какая-то одноактная беллиберда, названная драматической картинкой «Дым без огня»⁸⁷.

ამ ორივე „შენიშვნას“ მეორე დღესვე, ე. ი. 29 ნოემბერს, გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“, რომელმაც ასე დაასათურა თავისი პასუხი: „ორი რეცენზენის გამო“. ხელოწერილია „X“ (ერთი ვარსკვლავი).

პასუხის ავტორს ჭერ მოაქვს ამ გაზეთების „რეცენზიების“ შინაარსი და შემდეგ მიუთითებს:

„გიორგი შარვაშიძის „კომლი უცეცხლოდ“, ჩემის აზრით, ისეთი ხელოვნურად და ლამაზად აკინძული შემთხვევა არის, რომელსაც თავიდან ბოლომდე ინტერესით უყურებთ, სიამოვნებით. „კომლი უცეცხლოდ“ უცხო სურნელოვან, ლამაზ ყვავილს მოგაგონებთ, რომელსაც ნაზი და ფაქიზი მოვლა უნდა, რომ უხვირო შეხებით ფოთლები არ გაუფუჭოთ.“⁸⁸

ამ სპექტაკლს გამოეხმაურა აკ. წერეთელიც და მას დადებითი შეფასება მისცა. იგი წერდა:

„კვირას წარმოადგინეს „კომლი უცეცხლოდ“, ერთმოქმედებიანი დრამა. ეს დრამატული ნაწყვეტი რიჯიანი და კარგია (ყურსივი ჩვენია — ო. ჯ.). მსწერიელი იყო გრაფის როლში კ. მესხი და მის დას, ე. მესხს კი, რომელიც გრაფის მეუღლეს ადგენდა, დაეტყო დიდი ხნის სცენაზე გამოუსვლელიობა: ჩქარობდა და სიტყვებს ყლაპავდა!.. თამაშით კი მშვენიერად ითამაშა!..“⁸⁹

სხვათა შორის, ვ. გუნია აღნიშნავდა: თუ პიესამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუ მან ხალხი აალაპარაკა. ის პიესა კარგიაო. ეს ჩვენ სწორ აზრად მიგვაჩნია. ასე მოუვიდა გ. შარვაშიძის პიესებსაც. მათ თავის

⁸⁶ «Новое обозрение», 1895 წლის 28 ნოემბრის ნომერი.

⁸⁷ «Тифлисский листок», 1895 წლის 28 ნოემბრის ნომერი.

⁸⁸ „ივერია“, № 258, 1895 წ.

⁸⁹ ა. წერეთელი, ქართული სცენა, „კვალი“, № 51, 1895 წ.

დროზე უთუოდ დადებითი როლი ითამაშეს ქართული თეატრის ღარიბი რეპერტუარის შევსების საქმეში.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გ. შარვაშიძეს ჰქონდა პიესა ასეთი სათაურით: „ბედისაგან დევნილი კაცი“. სამწუხაროდ, პიესამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. ისე როგორც გ. შარვაშიძის ცხოვრების ამსახავი ბევრი სხვა დოკუმენტი, ეს პიესაც დაკარგულად ითვლება. მაგრამ, გიორგის ასეთი პიესა რომ ჰქონდა, ამის შესახებ გაზეთ „დროებაში“ არის ცნობა: „ამბობენ, ვითომ თ. გიორგი შარვაშიძეს დაუწერია რუსული კომედია თუ დრამა სახელად — „Человек, преследуемый судьбою“ („ბედისაგან დევნილი კაცი“), რომელიც ავტორის წარუდგენია „მოსკოვის უწყებებისა“ და „რუსის მოამბის“ რედაქტორის უფ. კატკოვისათვის ამ უკანასკნელ ჟურნალში დასაბეჭდათ. უფ. კატკოვმა დასაბეჭდად ვერ მიიღო თურმე ეს თხზულება, რადგან ავტორს დრამატული თხზულებისა და სცენის მოთხოვნის ცოდნა აკლიაო, მაგრამ ამასთანავე ისიც ეთქვა, რომ უცქველია ამის დამწერი ძლიერ ნიჭიერი და ჰკვიანი კაცი უნდა იყოსო.“⁹⁰

ჩვენთვის საყურადღებოა თვით ფაქტი, რომ გ. შარვაშიძეს დაუწერია ასეთი სახელწოდების პიესა და არა კატკოვის „კომენტარები“. საუბედუროდ, არ ვიცით, თუ რა შინაარსისა იყო ეს პიესა, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება, რომ მასში ასახული უნდა ყოფილიყო გ. შარვაშიძის ახლო მეგობრისა და თანამოაზრის, ცნობილი ჟურნალისტისა და მოღვაწის დავით ჩქორტუას, მართლაც ბედისაგან დევნილი კაცის, თავდადასავალი.⁹¹

გ. შარვაშიძის ოთხმოქმედებიანი დრამატული ეტიუდი „გიორგი მესამე“ დაიბეჭდა 1915 წლის №№ 48, 50, 51, 53, 58, 59, 60 და 62 „სამშობლოში“. ქართულ სცენაზე პიესის წარმოდგენის უფლება ცენზურას დაურთავს 1909 წლის 20 ნოემბერს.

მაგრამ, როგორც მიუთითებს შ. დადიანი, „გიორგი მესამე“ დაუდგამთ ამ ნებართვამდე უფრო ადრე ქუთაისში 1908 წელს. შ. დადიანი ამ საკითხზე წერდა:

„მე ვიყავი მისი (გ. შარვაშიძის — ო. ჯ.) შესანიშნავი პიესის „გიორგი მესამის“ დამდგმელი და რეჟისორი ქუთაისის სცენაზე 1908 წელს. ამ პიესაში იყო გამოყვანილი რუსთაველი, თამარ მეფე, დემნა, (მემკვიდრე) დავით სოსლანი და სხვ. მასში იყო აღწერილი მეტად ნიჭიერად და გაბედულად სასახლის შიგნით ბრძოლა ტახტისათვის და ნაჩვენები შეთქმულება მემკვიდრის — დემნას სასარგებლოდ.

პიესა „გიორგი მესამე“ დაიდგა ქუთაისის თეატრში სამჯერ ზედინედ მთლიანი ანშლაგით, რაც იშვიათი სოველენაა მაშინდელს თეატრში.“⁹²

„გიორგი მესამემ“ მაყურებლისა და საზოგადოებრიობის აღიარება ჰპოვა. ეს, შ. დადიანის აზრით, პირველ რიგში, განპირობებული იყო თვით პიესის იდეური და მხატვრული თავისებურებებით. შ. დადიანი გ. შარვაშიძის ამ ქმნილებას ქართული დრამატული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებების გვერდით აყენებდა.

⁹⁰ „დროება“, № 187, 1878 წ.

⁹¹ დაწერილობით იხ. ჩვენს წიგნში „დავით ჩქორტუა“, სოხუმი, 1969 წ.

⁹² შ. დადიანის მოკრება მოტანილია მ. ლაკერბაის წიგნიდან „ფხვანური თეატრის ისტორიიდან“, თბ., 1957 წ. გვ. 32.

„ეს პიესა, — წერდა იგი, — ჩვენ მიგვაჩნია ერთ-ერთ შესამჩნევ საყურადღებო ნაწარმოებად ჩვენს ისტორიულ პიესებს შორის.

ჯერ ერთი, ეს პიესა არა ჰგავს წარსული დროის სხვა ისტორიულ პიესებს, რომელთა მასულდგმულებელიც, ეგრეთ წოდებული, „ურა-პატრიოტიზმი“ იყო. აქ სულ სხვა მიდგომაა ისტორიულ ფაქტებთან. აქ ავტორის უფრო დიდი ნებისყოფის ადამიანის, გიორგი მესამის ხასიათი აინტერესებს.⁹³

სოხუმის ლიტერატურულმა საზოგადოებამ 1946 წლის 20 დეკემბერს გადაიხადა გ. შარვაშიძის დაბადების 100 წლის იუბილე. მოხსენება გ. შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა კრიტიკოსმა გ. ქიქოძემ. იუბილეში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა ქართველმა და აფხაზმა მწერლებმა და მეცნიერებმა შ. დადიანმა, ბ. შინქუბამ, ა. გაწერელიამ, ხ. ბლაჯიამ, ზ. ანჩაბაძემ, ნ. ბასილაიამ, ხ. ბერულავამ და სხვ. საღამოზე წარმოდგენილ იქნა „გიორგი მესამის“ ბოლო მოქმედება. სპექტაკლი დადგა გ. ყურულმა, მხატვრულად გააფორმა ნ. ყაზბეგმა, მუსიკა დაწერა ა. პოზდნეევმა. გიორგი მესამის როლი ბრწყინვალედ შეასრულა სოხუმის თეატრის მსახიობმა მ. ჩუბინიძემ.

როგორც ვხედავთ, გ. შარვაშიძის პიესები საკმაოდ კარგი წარმატებებით იღვებოდა ქართულ სცენაზე. მათ თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეროვნული დრამატურგიის განვითარებაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გ. შარვაშიძე წერდა თეატრალურ რეცენზიებსაც, რომლებშიც გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო მოსაზრებები როგორც ქართული ეროვნული დრამატურგიისა და თეატრის, ისე მსახიობთა შესრულების, საერთოდ სცენის ოსტატის ხელოვნების შესახებ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის განკვეთება, რომ თავის რეცენზიებში გ. შარვაშიძე იძლევა სახელგანთქმული ქართველი მსახიობების ვ. აბაშიძის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ნ. გაბუნია-ცაგარლის, ე. ჩერქეზიშვილის, კ. ყიფიანის, ლ. ალექსი-მესხიშვილის, ვ. გუნიას, გ. აწყურელის, კ. მაქსიმოძის (მძინარაშვილის), ზარ. ავალიშვილის და სხვათა ნიქისა და არტისტული ხელოვნების შეფასებას.

გ. შარვაშიძის თეატრალური რეცენზიები გამოქვეყნებულია გაზეთ „ივერიაში“ 1890-იან წლებში და ხელმოწერილია „გარდახვეწილის“ ფსევდონიმით.

ჩვენ შევეცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ გ. შარვაშიძის რეცენზიები და გავაშუქოთ ის პრობლემატიკა, რომელსაც ავტორი ეხებოდა.

ქართული დრამატული თეატრის დასმა 1893 წლის 6 ოქტომბერს თბილისში უჩვენა პ. უშიკაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „დამარცხებული“ და კ. ყიფიანის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დატრიალდაჯარა“. სპექტაკლების შესახებ „ივერიაში“ (№ 215) რეცენზია გამოაქვეყნა გ. შარვაშიძემ.

რეცენზენტი კრიტიკულად იხილავს პ. უშიკაშვილის პიესას, რომელსაც, მისი აზრით, არ გააჩნია შინაგანი კოლიზიები და ხელშესახები ძარღვიანი მასალა მსახიობისათვის. „ეს პიესა, — ვკითხულობთ რეცენ-

⁹³ გ. შარვაშიძე. გიორგი მესამე (ისტ. დრამა 4 მოქ.), თბ., 1948 წ., შ. დადიანის ბოლოსიტყვაობა, გვ. 53-54.

ზიამი, — დრამა კი არა, უფრო კონაა პაწია სცენარებისა, რომლებიც ერთმანეთზე არის გადაბმული“. აღნიშნული ნაწილი თვითონვე შეუმჩნე-
ვია ავტორს და ამიტომ თავისი ნაწარმოები „ათას გვარის ფერუმარი-
ლით“ გაულამაზებიაო. რეცენზენტს პაესის ასეთ კომპონენტებად მიაჩ-
ნია „სიმღერა, ზურნა, მუსიკა, ქეიფი, ცეკვა-თამაში, სიტყვების წარმოთ-
ქმა და დასასრულს დამბაჩის დატრიალქბაც“.

ამიტომ ისეთმა გამოჩენილმა მსახიობებმაც კი, როგორც იყვნენ ბაო.
ავალიშვილისა და კ. ყიფიანი, სუსტად ითამაშეს თურქმე როლები. ვერც
ე. ჩერქეზიშვილს გამოსვლია მიმზიდველი სახე. ყოველივე ეს იმიტომ
მოხდა, განაგრძობს მემომხილველი, რომ „როლები ისე არ არის დახასი-
ათებული პიესაში, რომ თვით დიდად ნიჭიერი არტისტიც კი ვერაფერს
შეჰქმნის აქედან“.

როგორც ირკვევა, გ. შარვაშიძემ ყურადღება გაამახვილა სასცენო
ნაწარმოების მთავარ არსზე, რაც აკლია პ. უმიკაშვილის პიესას და რო-
მელიც იმაში მდგომარეობს, რომ თუ მწერლის მიერ დამაჯერებლად არ
არის გამოკვეთილი სახე, თუ მსახიობს არა აქვს ხელშესახები მასალა
საკუთარი თავის „გარდასახავად“, სპექტაკლი მიზანს ვერ აღწევს, ან
გამოდის სუსტი, უფერული და არამიმზიდველი.

სამაგიეროდ იმ საღამოს „სასოწარკვეთილ საზოგადოებას სახიდგან
ღრუბელი გადაჰყარა“ ვოდევილმა „დატრიალდა ჯარა“, სადაც მაყურებ-
ბელი მოუხიბლავთ კ. ყიფიანსა და ე. ჩერქეზიშვილს.

ქართულმა თეატრმა 1893 წლის 13 ოქტომბერს მაყურებელს უჩ-
ვენა გ. ბრანდესის ორმოქმედებიანი პიესა (ი. მაჭავარიანის მიერ თარ-
გმნილი) „სტუმარი“ და თ. სახოკიასა და ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული
კომედია „აირია მონასტერი“.

ამ სპექტაკლის შესახებ გ. შარვაშიძემ რეცენზია გამოაქვეყნა
„ივერიაში“ (№ 221), სადაც მალაღ შეფასებას აძლევს ბრანდესის პიესას,
განიხილავს მას იმდროინდელი ევროპული ლიტერატურის შუქზე. ამ
ბოლო დროს ევროპაში, წერს გ. შარვაშიძე, „ავტორები ცდილობენ პი-
ესაში ახსნან და გამოარკვეონ რომელიმე ძნელი საკითხი, რომელიც
ცხოვრების ჭირ-ბოროტს შეადგენს და რომლის გვერდის ახვევაც დიდად
ძნელია. მაგალითებია, რა არის შეცოდება დედაკაცისა ქმრის წინაშე, პა-
ტიოსნება ვის როგორ ესმის, მამა-შვილის დამოკიდებულება და სხვ.“.

რეცენზენტი იმდროინდელი ევროპული ლიტერატურის მთავარ არსს
სოციალურ პრობლემატიკაში ხედავს. სწორედ ამ პოზიციებიდან განი-
ხილავს იგი სარეცენზიო პიესას და კარგ შეფასებას აძლევს მას.

სპექტაკლში მთავარ როლებში დაკავებული ყოფილან ბაო. ავალიშ-
ვილისა და ვ. გუნია. მათმა არტისტულმა ხელოვნებამ რეცენზენტის მო-
წონება დიშმასხურა.

მეორე სპექტაკლს „აირია მონასტერი“ დიდი ზემოქმედება მოუხ-
დენია მაყურებელზე. მართალია, „ამ პიესის შინაარსი მაგდენი არაფე-
რია, — მიუთითებს სტატიის ავტორი, — მაგრამ იმდენი კომიზმია შიგ,
ნამდვილი კომიზმი, რომელიც თვითმოქმედთა მდგომარეობიდან მომდინა-
რეობს და არა არტისტთა ოხუნჯ ლაპარაკისაგან, — რომ არტისტებს ფარ-
თო მოედანი აქვთ თავისი უნარი გამოიჩინონ“.

რეცენზენტი განსაკუთრებით გამოყოფს ვ. აბაშიძის თამაშს იოთამის
როლში. ასევე კარგად შეუსრულებიათ როლები გედევანიშვილს (არში-

ყი მოხუცი), ვ. გუნიას (მწერალი), ე. ჩერქეზიშვილს, კანდელაკს, შათი-რიშვილს. კომედიას მეტად კარგად ჩაუვლია. სტატიის ავტორი იქვე დასძენს:

„ამით კვლავ დასაბუთდა ჩემ მიერ არაერთგზის გამოთქმული აზრი, რომ ჩვენს არტისტებს კომედიის თამაშობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე დრამებისა და ამის გამო საზოგადოებასაც პირველი უფრო მოსწონს“.

ასე მონდომებით, დაკვირვებით აღევნებდა თვალყურს გ. შარვაშიძე ქართული თეატრის რეპერტუარს, ქართული თეატრალური კულტურის განვითარებას და ცდილობდა მის თავისებურებათა, შინაგან კანონზომიერებათა გამოაშკარავებასა და გამოვლენას.

ქართულმა თეატრმა 1893 წლის 24 ოქტომბერს მაყურებელს უჩვენა ვ. გუნიას მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ველიჩკოს „აღლუმის“ და ერთმოქმედებიანი ვოდვეილი „ცოლქმრობის წინააღმდეგი“. ამ სპექტაკლებზე „ივერიაში“ (№ 230) აზრი გამოთქვა გ. შარვაშიძემ. იგი ფართოდ მსჯელობს დრამატული მწერლობის თავისებურებაზე, მის კანონზომიერებაზე, კერძოდ, კომედიის ქანრის ნიშან-თვისებებზე, თან ავლენს საკითხის ღრმა ცოდნასა და დიდ ერუდიციას.

მისი მართებული აზრით, პიესის სიტუაცია უნდა იყოს აგებული არა გარეგან, იაფფასიან ეფექტებზე, სიტუაცია ხელოვნურ შერჩევასზე, არამედ ეს სიტუაცია, კონფლიქტი „თვით საქმის ვითარებიდან უნდა მომდინარეობდეს“. რეცენზენტი სწორად მიუთითებს, რომ ზოგიერთ პიესაში ჩვენ გვხვდება „მოქმედთა უცნაური და უნიაგი ხასიათი“. ასეთი სასცენო ნაწარმოები განწირულიაო სასიკვდილოდ.

ამ პოზიციებიდან იხილავს იგი სპექტაკლს „აღლუმს“, რომელიც მართალია, წერს იგი, რუსულიდან არის გადმოთარგმნილი, შეიძლება ზოგიერთი კომიკური სიტუაცია უცხო იყოს ქართველ მაყურებელთათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაწარმოებს „სავსეს ათასი სასაცილო მდგომარეობით“ საუცხოო შთაბეჭდილება დაუტოვებია და სიამოვნებით მიუღია მაყურებელს.

„მარტივისა და საოხუნჯო შინაარსის გამო მისი ცქერა არა სწყინდება ადამიანს. მაყურებლის გულს ინადირებს და გულითგან კაემანს ჰყრის“. — წერს რეცენზენტი.

წარმატებასთან ერთად სპექტაკლს ჰქონია ნაკლიც. მას თურმე „ალაგ-ალაგ შალაშინი აკლდა“, რაც არღვევდა „სიმწყობრესა და პარმონიას“, მაგრამ ნიჭიერმა მსახიობებმა მაინც მოხიბლესო მაყურებელი. პირველ რიგში დასახელებული არიან მ. საფაროვა-აბაშიძე და ვ. აბაშიძე. აღნიშნულია მათ მიერ როლების ჩინებული ხორცმცხესმა.

რეცენზენტის აზრით, ნაკლებ ეფექტური შთაბეჭდილება დაუტოვებია ვოდვეილს „ცოლქმრობის წინააღმდეგი“, თუმცა მ. საფაროვა-აბაშიძეს აქაც მოუხიბლავს მაყურებელი როლის უზადო შესრულებით. გარდახვეწილი აღნიშნავს:

„საფაროვის ქალმა აქაც თავისი მაღლი დაატყო წარმოდგენას და თავისის ლამაზის სიმღერით ისეთს აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, რომ თაიგულით იქნა დაჯილდოებული“.

ერთ-ერთი როლის შემსრულებელი ყოფილა მსახიობი დ. აწყურელი, რომელსაც თავისი შესაძლებლობის მიხედვით ვერ გაუხსნია მხატვრული სახე, მაგრამ აქაც რეცენზენტი მეტად დიდ ადამიანობას იჩენს ხე-

ლოენის მიმართ. მის ერთგვარ „მარცხს“ მიაწერს იმ გარემოებას, რომ მსახიობი უკვე თურმე დიდი ხანია არ თამაშობდა სცენაზე და ამიტომ მოუვიდა ასე, თორემ მის ნიჭსა და შესაძლებლობაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა. მართალია, გ. შარვაშიძე, როდესაც აცხადებს: „სცენაზედ თამაშის ცოდნა და ხერხი ხშირად ხანგრძლივის არ თამაშობით ბლაგვდება და უნგდება, რაც აშკარად შეეცყო, სხვათა შორის, ამ უკანასკნელის წარმოდგენაზედ ორის წლის შემდეგ პირველად ნათამაშეს ბ-ნს აწყურელს“.

ბოლოს რეცენზენტი ერთგვარ წყრომას გამოთქვამს თეატრისადმი „გულგრილი საზოგადოების“ მიმართ, რომელიც „დიდს სიამოვნებას მოაქვდა“.

თბილისელმა მკითხველმა 1893 წლის 27 ოქტომბერს პირველად ნახა ი. ლაზარაშვილის მიერ გერმანულიდან თარგმნილი ტარნოვსკის 5 მოქმედებიანი პიესა „ლანდი“ ქართული დასის შესრულებით. 29 ოქტომბრის „ივერიაში“ (№ 232) მისი შეფასებით გამოვიდა გ. შარვაშიძე.

როგორც რეცენზიიდან ჩანს, პიესაში ერთმანეთს ყოფილა დაპირისპირებული მეცნიერება, სიკვდილი და სარწმუნოება, სადაც, მიუხედავად მეცნიერების ძლევამოსილებისა, ავტორი მაინც სარწმუნოებას ანიჭებს უპირატესობას.

ძლიერი ინტელექტის ექიმი გერნერი, რომელიც „პიესაში მთელის სამკურნალო მეცნიერების აღმნიშვნელია“ და ათეისტია, საბოლოოდ იძულებულია ღმერთს შესთხოვოს შველა და დახმარება. „მამაზეციერი“ მას ლობიერი თვალთ გადმოხედავს და „თავის მოწყალებას ანიჭებს სიკვდილის გაბრუნებით“. ეს ადგილი პიესისა რეცენზენტს მეტად მოსწონია.

საერთოდ პიესა დადებითად შეაფასა გ. შარვაშიძემ. „ეს ნაწარმოები ისე არის კარგად დაწერილი, — მიუთითებს იგი, — რომ სათეატრო გამგებებს შესაძლებლობა ეძლევა კარგად მოჰმართოს და მოაწყოს იგი და მართო გარეგნობითაც კი საშუალება მისცეს დიდს გავლენისა და ზემოქმედების მოხდენისა“.

მიუხედავად ამისა, ეს შესაძლებლობა ვერ გამოუყენებია დასს. სცენაზე „პიესა როგორღაც შეკუმშული, უფერული“ გამოსულა და „შესაძლებელთან შედარებით მეთაფი გავლენაც კი ვერ მოუხდენია“.

რეცენზენტი იძლევა ფრიად საყურადღებო შენიშვნებს, რომლებიც შეეხება როგორც მსახიობთა შესრულებას, ისე რეჟისურასა და მხატვრულ გაფორმებას. მაგალითად, იგი აღნიშნავს:

„არტისტები თუმცა ცდასა და მხნეობას არ აკლებდნენ, მაგრამ ვერც გარეგანი მოწყობილობა იყო პიესისა ვარჯისი და ვერც ტანთჩაცმულობა მოქმედთა. მაგალითებრ, შეძლებულ გრაფის შტელენბერგის შვილი ფრანცი (შათირიშვილი) უფრო მუშა კაცსა ჰგავდა, ვიდრე გრაფის შვილს. და მარგარიტაც ფრიად ლარიზად იყო ჩაცმული“.

მიმომხილველი შენიშვნას აძლევს მსახიობ ქალს ბარბარე ავალიშვილს, რომელიც სიკვდილი-ლანდის როლს ასრულებდა, უწუნებს მას ზედმეტ კეკლუცობას, მორთულობას, ასევე მეტყველების კილოს.

„ქ-ნ ავალიშვილის ლაპარაკსა და ხმის კილოს გრძნობა ერთგოდა. ხორციელ ადამიანის გულისმიერ ზედღაჩნეული“. ხოლო ამ როლის სწო-

რი განხნა, რეცენზენტის აზრით, მოითხოვს სულ სხვა სიტუაციას, სულ სხვაგვარ მიდგომას. „ლანდი“, — წერს იგი, — სულ ერთგვარად უნდა იყოს ჩაცმული, სახე დაბურული ჰქონდეს და ლაპარაკით უსიციოცხლოდ, უგრძობობოდ ლაპარაკობდეს... სიკვდილი განყენებული აზრია, უსულო, გრძობიერებას მოკლებული, მხოლოდ ავტორის ოცნების მიერ ხორც-შესხმული“.

ეს კეშმარიტი აზრია და უდავოდ სწორი შენიშვნა.

რეცენზენტი მალაღ შეფასებას აძლევს კ. ყიფიანისა (გრაფი შტელენბერგი) და ვ. გუნიას (ბარონ ეშენბახი) თამაშს. ბოლოს ისევე გამოთქმულია წუბანი იმის გამო, რომ მაყურებელი ნაყურები ჰყოლია თეატრს. განსაკუთრებით განკიცხულია არისტოკრატია თეატრისადმი უსულგულო დამოკიდებულების გამო. დღესაც გულში ჩამწვდომად ჟღერს ღისი სიტყვები:

„საზოგადოების შესახებ რა უნდა ვთქვათ ამის მეტი, რომ ქართველი საზოგადოება ამ ხელადაც ქართულს თეატრს მოშორებული იყო და თავისი არ ყოფნით კვლავ გამოიჩინა თავისი გულგრილობა ქართული სცენისა და დრამატული ხელოვნების მიმართ“.

ქართული თეატრის რეპერტუარს გასული საუკუნის 80-იან წლებში მშვენივალ შეემატა ვ. გუნიას ცნობილი დრამა „და-ძმა“, ამ ნაწარმოებმა დღის სინათლეზე გამოსვლისთანავე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ქართულმა დასმა იგი დადგა 1893 წლის 31 ოქტომბერს. პრემიერის შესამე დღეს, 2 ნოემბერს, „ივერიაში“ (№ 235) გამოქვეყნდა ვ. შარვაშიძის რეცენზია, რომელშიც მითითებულია, რომ „სეზონში გამართულ წარმოდგენათა შორის ერთ საუკეთესო წარმოდგენად „და-ძმა“ უნდა ჩაითვალოს“.

რეცენზიის ავტორი ჯერ იხილავს პიესას, მის დადებითსა და უარყოფითს მხარეებს, ღირსება-ნაკლოვანებებს. პირველი შენიშვნა შეეხება პიესის გადატვირთულობას ზედმეტი დეტალებითა და მონოლოგებით. ისეთი სიტუაციებით, რომლებიც ხშირად მხატვრულ სიმართლეს არიან მოკლებული. მაგალითად, მას ასეთად მიაჩნია შესამე მოქმედების ბოლო სცენა, სადაც „გაიოზ ფაღვა მეტად გრძელ მონოლოგს ამბობს, უშინა-არსოსა და ადგილისა და გარემოების შეუფერებელს“.

მეორე შენიშვნა უფრო საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. იგი შეეხება პიესაში მაჰმადიანური სარწმუნოების ძაგებას. ვ. შარვაშიძე აქ უეჭველად მართალია. მისი პოზიცია ჰუმანური საწყისებიდან გამომდინარეობს და ყოველგვარ ცხოვრებისეულ წერილმან, ვიწრო ნაკონალურ თავმოყვარეობაზე მალა დვას. იგი წერს:

„არაფრად სასიამოვნოა ავრთვე მეხუთე მოქმედების პირველს სურათში უწმაწურად ხსენება მაჰმადისა და მაჰმადიანთა სარწმუნოებისა. რადგან ყოველი სარწმუნოება პატივსაცემი უნდა იყოს და არაფრად მოსაწონია ამ მდაბიო ხალხის თავმოყვარეობის ღიტიანი სხვისი სარწმუნოების დამცირებით“.

რეცენზენტის სამართლიანი შენიშვნით. „საოხუნჯო ადგილები დრამაში დიდის სიფრთხილით უნდა იყოს შეტანილი და, რაც ნაკლები იქნება, მით უკეთესია“. ამიტომ მას ოტია ჭოლიას ხასიათში ბევრი რამ არა-დამაჯერებლად მიაჩნია.

სხვათა შორის, დრამაში კომიკურისა და დრამატულის მიმართების საკითხი მეტად მწვავედ იდგა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დრამატურგიასა და თეატრში. ამ გარემოებაზე არა ერთი და ორი თეატრალური მოღვაწე და მწერალი მიუთითებდა. მათ შორის გიორგი თუშანიშვილი გაზეთ „დროებაში“ (№ 227) 1880 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „წერილი რედაქციასთან“ აღნიშნავდა:

„შარშან ჩემ რევისორობის დროს ვცდილობდი, რომ თეატრი უბრალოდ დროს გასატარებელი, სასაცილო, სალანდანდარო არ ყოფილიყო, ვცდილობდი, რომ პუბლიკა, მოსული თეატრში, დაეფიქრებინა, აელელებინა, აესაუბრებინა წარმოადგენილ პიესას“.

ასე სალად და ობიექტურად მსჯელობდნენ XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები თეატრის როლისა და ადგილის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი იყო, რა თქმა უნდა, რეპერტუარი.

გ. შარვაშიძის ზემომოტანილი სიტყვები სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებენ. მასმასაღამე, გიორგი თეატრისა და დრამატურგიის საერთო სატიკეოსი შეეხოს და შეეცადა მოწინავე აზრის დონეზე გადაეჭრა იგი.

ვ. გუნისა „და-ძმას“ ხალხი ბლომად მიუზიდავს და მეტად დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია მაყურებელზე. ამ ფაქტს სიამოვნებით აღნიშნავს რეცენზენტი: „თეატრის დარბაზი უდაბნოს არ წარმოადგენდა და საზოგადოება საკმაოდ დაესწრო... წარმოდგენაზე დამსწრე საზოგადოება მადლობელი დარჩებოდა თავისი თავისა, რადგან თეატრში მიღებული სიამოვნება ღირდა იქ დასწრებად“.

მორიგი სპექტაკლი თეატრს ჰქონდა 3 ნომებერს. წარმოდგენიათ ა. ცაგარის „ციმბირელი“ და ა. ჩიხოვის „დათვი“, გადმოკეთებული გრ. ვოლსკის მიერ.

ამ სპექტაკლებზეც რეცენზია გ. შარვაშიძემ გამოაქვეყნა „ივერიაში“ (№ 239). წარმოდგენებმა კარგი შეფასება დაიმსახურეს. მსახიობთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გამხდარა ვ. აბაშიძე მახუთიანის როლში. რეცენზენტი მოხიბლულა მისი თამაშით. იგი წერს: „მსახიობი (ვ. აბაშიძე — ო. ჭ.) ამ როლში (მახუთიანის — ო. ჭ.) მართლა რომ შეუღარებელია. ყოველი მისი ნაბიჯი და მოძრაობა აწონილი იყო და ნათქვამის აზრის შესაფერი“. ასევე კარგად შეუხარულებით თავიანთი როლები კ. ყიფიანს (ივანე ტუსავე), გ. აწყურელს (პეტუა), შათირიშვილს. შედარებით სუსტად გამოიყურებოდა თურმე ვ. გუნია ნიკოლას როლში. რაც შეეხება ვოდევილს „დათვი“, აქ შეუღარებელი ყოფილა ისევე ვ. აბაშიძე.

ვერ ნახავთ გ. შარვაშიძის რეცენზიას თუ წერილს თეატრალურ საკითხზე, რომ მასში არ იყოს დასმული თეატრისა და მაყურებლის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, არ იყოს გამოხატული გულისწყრომა მაყურებლის. თეატრისადმი ერთგვარი უსულგულო მოპყრობის გამო. აი, როგორი მწარე განცდით წერს იგი:

„წარმოდგენაზე საზოგადოება ცოტა იყო, რაც უნდა ბრალად დაედოს ჩვენს არისტოკრატებს, რომელმაც ამ ბოლო დროს ძალიან აიცრუა გული ქართულს წარმოდგენებზედ. ქვა მიაგდო და ქართულს თეატრისაკენ აღარ მოუხედნია. მდამბო ხალხს, რომელიც უფრო თანაგრძნობით ეკიდება თეატრს. სამუშაო დღეებში არ შეუძლიან თეატრში სიარული,

მაგრამ ეს ჩვენი არისტოკრატია-ლა სადა ბრძანდება?.. ამ ათის, თორმეტის წლის წინად ლოყები იმათგან იყო ავსებული და ეხლა რას უნდა მიეწეროს იმათი ასეთი საერთოდ ხელის აღება ქართულს თეატრზედ, არ გვესმის...“

ასეთი გულსტიკვილით წერდა ქართული თეატრისა და მაყურებლის შესახებ გ. შარვაშიძე „ივერიის“ ფურცლებზე. სიმართლე უნდა ითქვას, ის ქართული თეატრის გულცივი შემყურე როდი იყო. მის რეცენზიებში იგრძნობა ავტორის დიდი სიმპათია და სიყვარული ქართველი ხალხის ეროვნული სულიერი კულტურის ამ დიდი კერისადმი, რომლის წარმატება ახარებს მას, ხოლო ხელმოცარეა ანადვლიანებს, გულს უკლავს.

ქართულმა თეატრმა ვასო აბაშიძის საბუნებისმეტყველოდ 1893 წლის 17 ნოემბერს წარმოადგინა ორი სპექტაკლი: სამმოქმედებიანი დრამა „შეშლილია“, ვასო აბაშიძის მიერ გადმოკეთებული რუსულიდან, და გ. სუნდუკიანის სამმოქმედებიანი კომედია „დაქცეული ოჯახი“.

დასახელებული სპექტაკლების შეფასებაც მოგვცა გ. შარვაშიძემ „ივერიაში“ (№ 251). ამ დღეს თეატრში, როგორც იტყვიან, ტევა არ ყოფილა. რეცენზენტიც გახარებული წერს: „მთელი თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით. სკამი კი არ ეძებდა ჩვეულებისამებრ ხალხს, ხალხი ეძებდა სკამებს და, რომ ვერსად ეპოვნა, იძულებული იყო ფეხდგომე-ლა ყოფილიყო“.

პირველს სპექტაკლში გ. შარვაშიძე (გარდახვეწილი) მაღალ შეფასებას აძლევს ლადო ალექსი-მესხიშვილის მსახიობურ ნიჭს. მან თურმე „საოცარის ხელოვნებით ჩაატარა ბერნარდ გარლეიგის როლი“. ასევე შეაქო სვიმონიძე (ეკიმი პარსონი), თუმცა ამ უკანასკნელ როლს ადრე ე. აბაშიძე უკეთესად ასრულებდაო.

რეცენზენტი ღრმად ჩაწვდა და მაღალი შეფასება მისცა გ. სუნდუკიანის პიესას „დაქცეული ოჯახი“, რომელშიც „საუცხოოდ არის დაწერილი ნამდვილი სურათი ჩვენი ცხოვრებისა და ავტორის ბევრი მოქმედი დიდი ნიჭითა და ხელოვნებით აქვს დახასიათებული“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეცენზენტის აზრით, პიესას გააჩნია ნაკლიც, რაც გამოიხატება იმაში, რომ „ცოტა გაჭიანურებული და დიდი ადგილი აქვს დათმობილი შიგ ჩაკერებულ სიტყვებს გიჟ-მოზესას, რომელიც პიესის ნასკვის შეკვრასა და გახსნას არაფრითა ჰშველის და არაფრით ეხმარებაო“.

მეზენეფისეს სპექტაკლში მთავარი როლი არ ჰქონია, მაგრამ მას „დიდი მოხერხებით“ ჩაუტარებია „დრამატიზმით სავსე როლი გულაბაანთ ოსეფასი“ და ამით „ნათლად დაამტკიცა, რომ ნიჭი ყოველსავე დაბრაკოლების გადამლაზავი ძალააო“. ასევე მომხიბვლელი ყოფილა დ. აწყურელი გიჟ-მოზეს როლში. სალომეს სახე „უნაკლოდ და ჩვეულებრივის ეშხით“ გამოუძერწავს ნ. გაბუნია-ცაგარელს. ოსეფას მამიდის როლს ღრმად ჩაწვდომია ე. ჰერკეზიშვილი.

დამსწრე საზოგადოება მეტად გულთბილად შეხვედრია როგორც მეზენეფისეს. ისე სხვა მსახიობებს. მაყურებელი — ყოველს მათგანს ხანგრძლივი ტაშის-ცემით მიეგება“.

ე. აბაშიძისათვის მიურთმევეიათ „ვერცხლის სათუთუნე, ნაკერი ბალიში და ერთი პაწია ტიკპორა ღვინით სავსე, ლამაზად მორთული და მოკაზმული ყლარუნებითა, ლენტებითა და შევერცხლილის ყანწებით“.

ასე გულთბილად შეხვდა მაყურებელი „ქართული სცენის საუკეთესო და ნიჭიერ არტისტს ვ. აბაშიძეს“.

სომხურმა დრამატულმა დასმა 1893 წლის 22 ნოემბერს საზაფხულო თეატრში სომეხი მსახიობი ქალის ვარდუის საბენეფისოდ წარმოადგინა ა. ცაგარლის „ხანუმა“, სომხურად თარგმნილი არაქსიანის მიერ. ამ სპექტაკლის შესახებაც „ივერიაში“ (254) სათანადო ინფორმაციით გამოვიდა გ. შარვაშიძე.

სპექტაკლს კარგ შეფასებას აძლევს სტატიის ავტორი. წარმოდგენაში მონაწილეობა ქართველებსაც მიუღიათ. კერძოდ, ე. ჩერქეზიშვილსა და გ. აწყურელს. მათ მეოთხე მოქმედებაში ზურანის აკომპანიმენტზე შეუსრულებიათ ლეკური ცეკვა, რომელიც მაყურებლის თხოვნით რამდენჯერმე გაუმეორებიათ. ბოლოს ლექსამაგიით გამოსულან სომეხი პოეტები და არტისტები.

წარმოდგენას დასწრებიან როგორც სომხები, ისე ქართველები. რეცენზიის ავტორი ასეთ სპექტაკლებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

1893 წლის 24 ნოემბერს მსახიობ სვიმონიძის საბენეფისოდ ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა ა. დენიერის „ორი ობოლი“ (დრამა-თელმოკეთებული ფრანგულიდან ა. ცაგარლის მიერ), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მაყურებელთა შორის.

ამ სპექტაკლზე გ. შარვაშიძის რეცენზია დაიბეჭდა „ივერიაში“ (№ 256) ასეთი სათაურით — „ორი ობოლი“, დრამა 5 მოქმედ. 7 სურათად“.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ, როგორც მიუთითებს რეცენზენტი, ნ. ვაბუნი-ცაგარლისა, მ. საფაროვა-აბაშიძისა, ბარ. ავალიშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი და თვით მებენეფისე სვიმონიძე. მაყურებელი განსაკუთრებით მოხიბლულა ნ. ვაბუნიას თამაშით, რაზედაც რეცენზენტი მიუთითებს:

„ვაბუნიას ასულმა ჩვეულებრივის ხელოვნებით ჩაატარა მამიდაფროშარის როლი ისეთის ხელოვნებით, რომ ძნელად თუ თვით პარიზის სცენაზედ უფრო ნიჭიერად შესაძლებელი იყოს მისი წარმოდგენა“.

ასევე რეცენზიაში მითითებულია მ. საფაროვა-აბაშიძის დიდ თეატრალურ ხელოვნებაზე, გარდასახვის იმ საოცარ და მომხიბვლელ უნარზე, რომელიც ამ ნათელმოსილ მსახიობს გააჩნდა: „საფაროვას ასული მშვენიერი აღმსრულებელია ლუიზას როლისა და სწორედ რომ დიდის ხელოვნებითაც თამაშობს ამ როლს“.

რეცენზენტი მალალ შეფასებას აძლევს ბარბარე ავალიშვილის არტისტულ ნიჭს. იგი აღნიშნავს: „ავალიშვილისა საუცხოოა განსაკუთრებით გრძნობიერს ადგილებში, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც გრძნობამიხილი გონს მოვა და თავის უსინათლო დას ლუიზას დაინახავს. აქ არტისტი ისეთ უტყუარ აღტაცებას იჩენს, ისეთი ძლიერს გრძნობას სინხარულისას, რომ მისი სინარულით დაბნეული მდუმარება ბევრს უჩუყებს გულს და წამოაყრემლინებს ხოლმე მაყურებელთა შორის“.

სპექტაკლის წარმატებაში დიდი წვლილი შეუტანია ლადო მესხიშვილს პიერის როლის ბრწყინვალე შესრულებით. ხოლო მებენეფისე სვიმონიძემ „იმდენად კარგად ჩაატარა და უტყუარად როლი, რომ არა

ერთხელ გამოიწვია სამართლიანი ტანის ცემა საზოგადოებისა“. — ვკითხულობთ რეცენზიაში.

წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დასწრებია. მეზენფისეს მისმა პატივისმცემელმა საზოგადოებამ მიაჩნა თურმე ძვირფასი საჩუქრები.

გ. შარვაშიძე მეტად მომთხოვნი იყო როგორც საკუთარი თავისადმი, ისე სხვების მიმართ. პირმოთხოვნა და მიკიბულ-მოკიბული საუბარი და წერა საერთოდ მისი ბუნებისათვის უცხო იყო. ასეთად იცნობდა მას ქართული ინტელიგენცია. ამ თავისებურებით გამოირჩევა მისი რეცენზიებიც. როდესაც არ მოეწონებოდა ნაწარმოები ან სპექტაკლი, მიუხედავად ავტორის ვინაობისა, იგი პირდაპირ, მოურიდებლად მიუთითებდა ნაკლსა და ხარვეზებზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ გ. შარვაშიძის რეცენზია ქართული თეატრის სპექტაკლზე „გამწარებული ცხოვრება“, რომელიც წარმოდგენილ იქნა 1894 წლის 28 იანვარს.

ამ სპექტაკლზე გ. შარვაშიძემ „ივერიაში“ (№ 23) გამანადგურებელი რეცენზია მოათავსა.

რეცენზია იწყება თვით პიესის განხილვით. „გამწარებული ცხოვრება“ მას მიაჩნია მეტად სუსტ ნაწარმოებად, რომელსაც აქვს პრიმიტიული შინაარსი და მოკლებულია მძაფრ კოლოზებს. მეორე მხრით, ნაწარმოებში გაზვიადებული დიალოგებია და ისინიც „გაცვეთილი სიტყვებისა და ფრაზების“ საშუალებითაა გადმოცემული. პიესა თარგმნილია რუსულიდან, მაგრამ თარგმანიც უუარგისიაო.

„თარგმანი? — წერს იგი, — ხშირად მოისმის სცენიდან ასეთი სიტყვები: „მცხამს“, ვითომ მცხელო, „მოუსვენებელს მოსვენებაშია“ და ისეთ ქართულს, რომელსაც ვერც ერთი რჯულის ადამიანი ვერ გაიგებს. არ ვიცი თმარგმნელის დაწერილია ასე, თუ მხოლოდ არტისტების მიერ თქმული“.

ამ ნაკლოვანებებს ზედ დაერთო თურმე „როლების უცოდინარობა, დუხჭირად თამაშობა, ულაგო-ალაგინად ხელების ქნევა, მწუხარების დროს გაღიმება და ღიმილის დროს მისი არ გამოუსახველობა და ცეცხლის ჩასაქრობად ნავთი დაახსნო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი საქმე დაემართა საბრალო პიესასაც“.

„ქმუნვის“ გამქარვებელი“ ერთადერთი მსახიობი ყოფილა ლადო მესხიშვილი, რომელსაც მაღალი ოსტატობით ჩაუტარებია როლი და საერთოდ აღფრთოვანება გამოუწვევია.

რეცენზიაში აღნიშნულია ვ. გუნიას, შათირიშვილის, ბარ. ავალიშვილის სუსტი თამაში. მაგალითად, ვ. გუნიას შესახებ ვკითხულობთ:

„ბ-ნი გუნია კი არ თამაშობდა, მხოლოდ ლაპარაკობდა, ულაგო-ალაგას იცინოდა და თავისი როლი თვითონაც ვერ გაეთვალისწინებინა, ვინ იყო და რა“. ასევე დაუწუნა მეტყველება, დაუწუნა იმიტომ, რომ „გლეხის კილოს აძლევდა და ისეთი სასაცილო ლაპარაკი მოსდიოდა, რომ თითონაც-კი ეცინებოდა თავის თავზე“.

ცნობილ მსახიობ ქალს ბარ. ავალიშვილს ვერ გაურთმევეია თავი როლისათვის. მან თურმე ტექსტი სულ არ იცოდა და „სიტყვები რომ ვეღარ მოენახა, ჩქარ-ჩქარა მიიტანდა ხოლმე ხელსახოცს პირთან, ვითომდა ისე მწუხარედა ვარ, რომ ლაპარაკი ვეღარ მომიხერხებიაო“.

წარმოდგენა სუსტად ჩატარებულა. რეცენზიის ავტორი აშკარად აცხადებს: „ჩვენს სცენაზედ ამ სეზონში ასეთი ცუდი წარმოდგენა ჯერ არ გვინახავსო“.

როგორც ვხედავთ, გ. შარვაშიძე არ მოერიდა ვ. გუნიასა და ბარ. ავალიშვილის არც ავტორიტეტს, არც მაღალ ნიქს, დამსახურებას თეატრალური კულტურის წინაშე. მან სპექტაკლი შეაფასა ობიექტურად. ყოველ მონაწილეს მიუხელო დამსახურების მიხედვით. თავისი ბუნება — პირდაპირობა. ქეშმარიტების ძიება აქაც გამოამჟღავნა გ. შარვაშიძემ და მეგობრულ ურთიერთობასა და პატივმოყვარეობაზე უფრო მაღლა დააყენა სიმართლისადმი ერთგულება. თეატრისადმი ასეთი მიდგომა, ასეთი დამოკიდებულება საქმიანათვის მეტად სასარგებლო იყო. ყოველი მსახიობი გრძნობდა, რომ მისი თაშაში, მისი ირტისტული ხელოვნება შეფასებული იქნებოდა მიუკერძოებლად. ეს კი ზრდიდა პასუხისმგებლობის გრძნობას, რომლის გარეშე არ არსებობს რაიმე წარმატება ადამიანის საქმიანობაში და განსაკუთრებით კი მსახიობის ხელოვნებაში.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ამ კეთილშობილი ადამიანის შესახებ, მაგრამ რაც აღინიშნა, ვფიქრობთ, ისიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა უანგაროდ ემსახურებოდა იგი მისთვის ამავე დროს მშობლიურ ქართულ ეროვნულ კულტურას.

გ. შარვაშიძემ თავის პიესებით, რეცენზიებით, სტატიებით, ზეპირი გამოსვლებით საგრძნობი წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

დავით ანჩაბაძე

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ პირველი აფხაზი საზოგადო მოღვაწე და სწავლული, რომელმაც განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში, კერძოდ, პეტერბურგის უნივერსიტეტში, მიიღო, იყო დავით ზურაბის ძე ჩქოტუა.⁹⁴ დავითი სწავლობდა ოდესის (1870-71 წწ.), ხოლო შემდეგ პეტერბურგის (1872-73 წწ.) უნივერსიტეტების ჯერ ბიოლოგიის, ხოლო შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტებზე. მაგრამ მას ქურსი არ დაუმთავრებია. იგი გავიდა მეორე ქურსიდან. ეს იყო 1873 წელს.⁹⁵

ამ ბოლო დროს აღმოჩნდა მეტად საყურადღებო დოკუმენტები (ზოგიერთ მათგანზე ჩვენ მიგვიითთა პროფ. ზ. ანჩაბაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ), რომლებიც ახალ შუქს ჰფენენ საკითხს, ვინ იყო ის პირველი აფხაზი ახალგაზრდა, რომელმაც გადალახა ტრადიციული ჩებირები, მიაშურა რუსეთის უნივერსიტეტს და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით მოველინა თავის ქვეყანას? ასეუ პიროვ-

⁹⁴ ხ. ჭანაშია, დავით ჩქოტუა და მისი ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, თ. ს. უ. შრომები, ტ. I, 1936 წ., გვ. 186; სოლ. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962 წ., გვ. 41; ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965 წ., გვ. 126.

⁹⁵ ი. ქურაღულია, დავით ჩქოტუა, სოხუმი, 1969 წ., გვ. 10.

ნებად გვევლინება დავით გრიგოლის ძე ანჩაბაძე. იგი არის პირველი აფხაზი იურისტი, პირველი აფხაზი ახალგაზრდა, რომელმაც ბრწყინვალედ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით 1871 წელს.

დავით ანჩაბაძის (ანბას) შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ძალზე მწირია. მაგრამ ის, რაც ცნობილია, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია. რამდენიმე საინტერესო მომენტი მისი ცხოვრებიდან ასახულია გავთუ „დროებაში“, ცოტა რამ დაცულია კავკასიელი ხალხების ისტორიისა და ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევრის ე. გ. ვეიდენბაუმის არქივში, ზოგიერთი ცნობა გვხვდება კრებულში „Убийство девицы Нины Эрастовны Андреевской“.

ე. ვეიდენბაუმთან კვითხულობთ:

«Анчабадзе, князь Давид Григорьевич, учился в гимназии и Московском университете; 1871 г. кончил юридический факультет с степенью кандидата; был помощником у Спасовича: в 1877 г. присяжный поверенный округа С. П. Б. Судебной палаты; ум. в С. П. Б. 6 июня 1888 г., погребен в родовом селении Дарчели (Зугдидского уезда), холост»⁹⁶.

ე. ვეიდენბაუმი, საერთოდ პუნქტუალური კაცი წყაროების დასახელებაში, აქ იჩენს სიძუნწეს. არ მიუთითებს, თუ საიდან აიღო ეს ცნობები.

მართალია, ე. ვეიდენბაუმის ცნობა მეტად ლაკონურია, მაგრამ ამავე დროს პიროვნების ვინაობის პირველი ცნობების დასადგენად ამომწურავი. აქედან ვგებულობთ, რომ დ. ანჩაბაძე ყოფილა სამურზაყანოელი თავადი (არის ანჩაბაძეების სხვა შტოც) სოფელ დარჩელიდან. მართალია, ეს სოფელი ენგურს გაღმაა, სამეგრელოშია, მაგრამ ენგურს გაღმაგამოღმა მიდამოებში ხშირად სახლებოდნენ აფხაზი და ქართველი (მეგრელი) თავადები და გლეხები. აქ გაურკვეველი არაფერია. ე. ვეიდენბაუმის ინფორმაციიდანვე ვგებულობთ, რომ დავითს დაუმთავრებია გიმნაზია, უნდა ვიკულისხმობთ, ქუთაისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ისიც კანდიდატის ხარისხით. ეს კი უთუოდ საყურადღებო ფაქტია. იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრება კანდიდატის ხარისხით რჩეულ, ნიჭიერ სტუდენტთა ხვედრი იყო.

ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც ე. ვეიდენბაუმი მიუთითებს, რომ დ. ანჩაბაძე, სრულიად ახალგაზრდა კაცი, მუშაობდაო ცნობილი რუსი იურისტის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. სპასოვიჩის თანაშემწედ. მასთან გაიარა დავითმა დიდი თეორიული და პრაქტიკული წვრთნა, რამაც შემდეგ მასაც გაუთქვა ძარჯი იურისტის სახელი.

ვ. დ. სპასოვიჩი იყო ნიჭიერი ლიტერატორიც. ი. ქავჭავაძის სტუდენტობის დროს იგი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი და, როდესაც 1861 წლის პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტების დემონსტრაცია მეფის მთავრობამ იარაღით ჩააქრო და უნივერსიტეტში ქანდაკების რეჟიმი დაამკვიდრა, მან პროტესტის ნიშ-

⁹⁶ სპ. მეუნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. ვეიდენბაუმის კარტოტეკა. ფურც. 287.

ნად დატოვა უმაღლესი სასწავლებელი და კერძო პრაქტიკას მიჰყო ხელი. ვ. სასოვიჩი იყო ბრწყინვალე ნიჭითა და მკვერმეტყველებით დაჯილდოებული ინტელიქტუალი და, ბუნებრივია, იგი სათანადო მომზადების არა მარტო სპეციალისტს თანაშემწედ არ აიყვანდა.

1876 წლიდან დ. ანჩაბაძე საქართველოშია. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი ძვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, ი. გოგებაშვილის, დ. ჩხოტუას, ბეს. ლოლობერიძის, ვ. პეტრიაშვილის, გ. შარვაშიძის წრის ღირსეული წევრია.

დ. ანჩაბაძის შესახებ მეტად საინტერესო ცნობები გვხვდება „დროების“ გვერდებზეც.

„საგლეხო რეფორმის“ საბოლოოდ გატარების შემდეგ საქართველოში კაპიტალისტურმა ურთიერთობამ დაჩქარებული ტემპებით დაიწყო განვითარება, რამაც ამოძრავა მანამდე მიძინებული საზოგადოებრივი ცხოვრება, სამოქმედო ასპარეზზე გამოიყვანა სხვადასხვა კლასის, წოდების, ფენის წარმომადგენლები, სამუდამოდ მოშალა, მოარყია კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის საფუძვლები. ცხოვრება დაიძრა ადგილიდან, ახალმა ვითარებამ ახალი ამოცანები დასახა გადასაქრელად.

ამ დროს საქართველოში ერთადერთი პროგრესული ქართული გაზეთია „დროება“, რომელსაც გაუქირდა ამ მიმღე ეპოქალური ტვირთის ზიდვა. სწორედ ამ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ი. ჭავჭავაძის აზრი „დროების“ გვერდით ახალი ორგანოს „ივერიის“ დაარსების შესახებ. ერის დიდი მოამაგე ნათლად გრძნობდა ამ საკიროებას და იმ დიდ პასუხისმგებლობასაც, რომელსაც ამ ნაბიჯის გადადგმა იოითხოვდა. ამიტომ იგი თადარიგს მისთვის ჩვეული მონდომებითა და გულისყურით შეუდგა, გაითვალისწინა ყველა მხარე, ყველა სიძნელე, რაც გაზეთის დაარსებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ბუნებრივია, პირველი პირობა მანაც მატერიალური სახსარი იყო. მაგრამ მარტო ნივთიერი მხარე ხომ ვერ გადაწყვეტდა საკითხს. საჭირო იყვნენ მომზადებული, განათლებული, კულტურული, განსწავლული, ცხოვრებას ღრმად ჩანედული თანამშრომლები. მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, უანგარო, პირუთვნელი მოღვაწეები. უკვე დგებოდა ის დრო, როდესაც, პროფ. ვ. პეტრიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჟურნალისტიკას და ლიტერატურას უნდა გაეწია მუამდგომლობა მეცნიერებასა და ცხოვრებას შორის.

და, აი. ერის დიდი მოამაგე შეუდგა საკითხის პრაქტიკულ გადაწყვეტას, განათლებული ახალგაზრდების შემოკრებას თავის გარშემო და კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას. ამ სამზადისს ი. ჭავჭავაძე ბეს. ლოლობერიძისთან ერთად შეუდგა 1876 წლიდან. მათ არა მარტო ქალაქში მცხოვრები, არამედ სამშობლოს გარეთაც მომუშავე ქართველი ინტელიგენცია, ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეებიც ჩააბეს საშვილიშვილო საქმიანობაში.

ი. ჭავჭავაძე და ბეს. ლოლობერიძეს 1876 წელს მოუწვევიათ ქართული მოღვაწეების სხდომები, სადაც დასმულა „დროების“ გააღვივების ან ახალი ორგანოს დაარსების საკითხი. ერთი ასეთი სხდომის შესახებ ს. მესხი ეკატ. მელიქიშვილს ატყობინებდა:

„ძალიან საინტერესო სხდომები იყო ამათი, განსაკუთრებით მეორე სხდომაზე. ლოლობერიძესთან. ამ სხდომაზე ყოფილან ი. ჭავჭავაძე, ბეს. ლოლობერიძე, ბეს. ჭადარიძე, გ. ყაზბეგი, გ. თუმაშიშვილი, პ. უშიკაშვილი, პეტრე (შენი ძმა) სტ. ზარაფოვი, ვლ. ჯანდიერი, ამის პატარა ძმა, ნიკო დადიანი, ნ. ლოლობერიძე, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, დ. ავალიშვილი, ალ. ჩოლოყაშვილი... სულ 18 კაცი“.⁹⁷

ხოლო გაზეთი „დროება“ 1876 წელს აცხადებდა:

„მომავალი წლიდან ახალი ქართული გაზეთი გამოვა ჩვენში (იგულისხმება „ივერია“ — ო. ჭ.). რედაქტორობა ამ გაზეთისა უკისრია ი. ჭავჭავაძეს. თანამშრომლებს ურიცხვს ამბობენ: პროფესორ ალ. ცაგარელს, ვ. პეტრიაშვილს, ბეს. ლოლობერიძეს, ნ. ქანანოვს, ი. გოგებაშვილს, დავით ჩქორტუას და კიდევ ბევრ სხვა ნაცნობ თუ უცნობ პირებს“.

გარკვეული და ცნობილი მიზეზების გამო ი. ჭავჭავაძის მიერ გადადგმული ეს მამულიშვილური ნაბიჯი „დროების“ გარშემო შემოკრებილი ინტელიგენციის ერთ ჯგუფს არ მოსწონებია და საქმოდ მკაცრი წინააღმდეგობაც გაუწევია. მათ შორის იყვნენ ნ. ნიკოლაძე, ალ. ჭყონია, ს. მესხიცი.

ს. მესხის ზემომოტანილ განცხადებაში ი. ჭავჭავაძის ახალი ორგანოს თანამშრომელთა სია სრული არ არის. ალ. ჭყონიას (მაჰახელაძის ფსევდონიმით მოღვაწე) სტატიიდან — „დასაბადებელ „დღეურას“ ვგებულვობთ, რომ ამ საკრებულოში ყოფილან აგრეთვე დ. ანჩაბაძე და პროფ. თარხნიშვილი.

ს. მესხი მაინც გულნატყენი იყო, რომ ამ სხდომებზე იგი არ იყო მიწვეული. ამიტომ იგი განაწყენებული წერდა თავის საცოლეს, ეკატ. შელიჩიშვილს: „ამ სხდომებზე ჩვენ, რასაკვირველია, მიწვეული არ ვყოფილვართ, ყველაფერს გვიმალავდნენ, მაგრამ ყველაფერი კი იმ წამსვე შევიტყვივით“.⁹⁸

„დროების“ თანამშრომლებმა ი. ჭავჭავაძის ჯგუფში პირველ რიგში დაინახეს მოპირდაპირე ბანაკი, ალ. ჭყონიას სიტყვით, „ახალი პარტია“. მაჰახელაძე (ალ. ჭყონია) სტატიაში „დასაბადებელ „დღეურას“ მიუთითებდა:

„ამ გაზეთის (ე. ი., ი. ჭავჭავაძის ორგანოს — ო. ჭ.) დაარსებით ჩვენში ორი პარტია სდგება, რომელთა წევრები დიდი ხანია იყვნენ ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ დღემდე ეგრედ რიგზედ არ დალაგებულან პარტიებად“.⁹⁹

„დროების“ მომხრეები ააღელვა იმ გარემოებამაც, რომ ახლად დაარსებული გაზეთის გარშემო თავს იყრიდნენ მქუხარე სახელების, მეცნიერული წოდებებისა და დიდი საზოგადოებრივი დაფასების მქონე პიროვნებანი. ამ საკითხთან დაკავშირებითაც მაჰახელაძე რალაცნაირი გულსიტყვილით აცხადებდა:

„ამ პირველ ნაბიჯზე იგინი სცდებიან თავიანთ თანამემამულეების გამორჩევას. ამ მხრით თითქო მათ უნდათ, რომ გვარიშვილობით და

⁹⁷ ს. მესხი, წერილები, ო. ბოცაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, სოხუმი, 1950 წ., გვ. 217.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ „დროება“, № 79, 1876 წ.

დიპლომებით გაგვავიროვოს; თითქოს ჰგონიათ, რომ „პროფესორობით“, „იურისტობით“, „ქიმიკოსობით“ და სხვ. წოდებების თანამშრომლების გამოჩენით მიიზიდონ მკითხველების გული“.¹⁰⁰

ნ. ნიკოლაძეც გამოეხმაურა ამ წამოწყებას, მაგრამ ღვარძლიანად. ი. ჭავჭავაძესა და ბეს. ლოლობერიძესთან უთანხმოების გარდა მის განწყვენებას ის საფუძველიც ჰქონდა, რომ, როდესაც 1876 წელს ი. ჭავჭავაძემ მოიწვია ეროვნული მოღვაწეების სხდომა „დროების“ მუშაობის განსახილველად და ახალი სარედაქციო კოლეგიის ასარჩევად, ნ. ნიკოლაძე ფარული კენჭის ყრის დროს გააშავეს. 18 კაციდან მან დაღებითი 6 ხმა მიიღო მხოლოდ.¹⁰¹

სხვა მეტი ვერაფრით აიხსნება ნ. ნიკოლაძის სასტიკი, ყოვლად გაუმართლებელი თავდასხმა ი. ჭავჭავაძის ამ წამოწყების წინააღმდეგ. გულის სიღრმეში განაწყენებული ნ. ნიკოლაძე სტატიის „პირველი ნაბიჯები ჩვენი ბანკირებისა“ წერდა:

„ამას წინეთ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების მმართველებმა უფ. ი. ჭავჭავაძემ და ბეს. ლოლობერიძემ შეკრიბეს თუთხმეტი თუ თექვსმეტი პირნი ჩვენი უბედური ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის ბედზე საზრუნველად...“

თითქოს პირველად, მას აქეთ, რაც ქვეყანა არსებობს, გვეღირსა ჩვენ იმ მაგალითის ნახვა, რომ სამსახურის კაცი გვერდით უჭდა მწერალს, მწერალი — მეომარს, მეომარი — ბანკირს, ბანკირი — მასწავლებელს, მასწავლებელი — ადვოკატს, ადვოკატი — ქიმიკოსს, ქიმიკოსი — ცენზორს, ცენზორი — მიწის მეურნეს და მიწის მეურნე — ნოტარიუსს. დიდ და პატარა, ჰკვიანი და გიჟი, სწავლული და უმეცარი — ყველანი ერთს მიზანს სდევნიდნენ, ერთს საქმეს ეკიდებოდნენ, ყველას ერთი განზრახვა ჰქონდა — „ჩვენი მწერლობის აღდგინება“.

როგორც მკითხველი დარწმუნდა, წერილს არ აკლია ირონია. მაგრამ მეორე მხარეცაა საყურადღებო, რომ სტატიის ავტორმა მინიშნებით წარმოგვიდგინა ყველა. ქიმიკოსი — ვასილ პეტრიაშვილი, მასწავლებელი — ი. გოგებაშვილი, ბანკირი — ნიკო დადიანი, მწერალი — ი. ჭავჭავაძე, ადვოკატი კი — დავით ანჩაბაძე.

ცოტა ქვემოთ კი ნ. ნიკოლაძე თვითონვე გახსნის ფრჩხილებს და უშუალოდ დაასახელებს გვარებს.

„ყრილობის გამჩაღებლებმა, — წერდა იგი, — ყრილობას კითხვა დაუსვეს: „სასურველია თუ არა, რომ ჩვენში ისეთი „სოლიდნი“ და „სერიოზული“ მიმართულების გაზეით გამოვიდეს, რომელსაც „მალა ეპიროს ლიტერატურის დროშა?“ უფ. ნ. ლოლობერიძემ, ნ. დადიანმა (ქუთაისის ბანკის დირექტორმა), პ. უმიკაშვილმა, დ. ანჩაბაძემ, ალ. ჩოლოყაშვილმა და ყველა სხვამ (ყველას ხომ ვერ ჩამოთვლის კაცი) პასუხად მოახსენეს: „რასაკვირველიაო“.¹⁰²

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქართველი მოღვაწეების ამ დიდებულ საკრებულოში, თერგდალეულთა შორის დასახელებულია იურისტი დავით ანჩაბაძე, როგორც ეროვნული მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის „ივე-

100 „დროება“, № 79, 1876 წ.

101 ნ. მესხი, წერილები, სოხუმი, 1950 წ., გვ. 218.

102 „დროება“, № 57, 1876 წ.

რიის“ დაარსებისათვის თავგამოდებული შებრძოლი. ეს უთუოდ დიდ-
ლირსებაა. დ. ანჩაბაძე მაშინ 25-26 წლის ახალგაზრდა თუ იქნებოდა.

ის გარემოებაც ყურადსაღებია, რომ მოპირდაპირე ბანაკიდან (მაგ.
ნ. ნიკოლაძე, ალ. ჭყონია) დ. ანჩაბაძეს სასტიკად უტყვევნ. მას თავს „ეს-
ნმიან“, მასში ძალას ხედავენ. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ნ. ნიკოლაძემ
ქართველ მოწინავე მოღვაწეთა შორის დ. ანჩაბაძეც დაიმოწმა.

„დროების“ ჩგუფიდან ყველაზე ღვარძლიანი აღმოჩნდა ალ. ჭყონია
(მაჰახელაძე), რომელმაც „იმ ბანაკის“ ზოგიერთი წარმომადგენელი,
მაგალითად, პროფ. ვ. პეტრიაშვილი, პროფ. ი. თარხნიშვილი, მაშინ
ახალგაზრდა მეცნიერი პ. მელიქიშვილი, ალ. ჩოლოყაშვილი და მათ
შორის დ. ანჩაბაძეც უდიერად მოიხსენია. მათთვის შეუფერებელი ეპი-
თეტებით შეამკო, რის გამო მაჰახელაძის ასეთ უპასუხისმგებლო გამოს-
ვლას ვ. პეტრიაშვილმა „უზრდევობა“ უწოდა,¹⁰³ ხოლო აკაკი წერე-
თელმა „მაქარივით აფუცხუნება“.¹⁰⁴

მაჰახელაძემ (ალ. ჭყონიამ) ამ სტატიაში დ. ანჩაბაძის შესახებ შემ-
დეგი თქვა:

„სსსუ! დასკეჟა!!! დაქუხა!!! გამოვიდა მეორე დამაარსებელი და-
ეგების თანამშრომელი. სახელი ჰქვიან უფ. დ. ანჩაბაძე. მაგრამ რომელია
კი არ ვიცი. განა ის უფალი ანჩაბაძეა, რომელსაც მოსკოვის პურმა მუ-
ცელი გაუძლო და პეტერბურგის ფულებმა ჩიბე გაუვსო?..

და „საქართველოში როდის წასვლის კითხვაზე“ — მოგახსენებდათ:
„რად უნდა წავიდე; აქ ხომ ძლიერ კარგად ვარო და პეტერბურგს შეჩ-
ვეული მხეცურ საქართველოში ვედარ ვავძლებო“. ის არის?!”

შემდეგ ავტორი გაზეთის დამაარსებლის მისამართით ასეთ კითხვას
სვამს:

„შეგძენთ რასმე იურისტობის სახელი, თუ მოგაკლებთ?!“¹⁰⁵

გასული საუკუნის პრესის ფურცლებზე პოლემიკის ასეთი ფორმები
დაშვებული იყო და, როგორც საქმეში ჩახედულმა მკითხველმა იცის, ხში-
რად უფრო მკაცრ და მიყვარებულ ხასიათს ატარებდა, ვიდრე საზოგა-
დოებრივს. აქაც ასე მოხდა.

ზემომოტანილ სიტყვებში ჩვენ გვეჩინა შემდეგი ფრაზა: „გამო-
ვიდა მეორე დამაარსებელი და ეგების თანამშრომელი (ამ სტატიაში
„პირველ თანადამაარსებლად“ დასახელებულია ალ. ჩოლოყაშვილი —
ო. კ.)“.

ირკვევა, რომ ალ. ჭყონიას აზრითაც (ჩვენ ზემოთ გავეცანით ნ. ნი-
კოლაძის აზრს), დ. ანჩაბაძე, ი. ჭავჭავაძის „ჩგუფის“ ერთ-ერთი აქტიუ-
რი წევრი ყოფილა, გაზეთის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მო-
მავალი თანამშრომელიც.

ეს უსათუოდ საყურადღებო ცნობაა, რომელიც გამოქვეყნდა ს. მეს-
ხის „დროებაში“ და ისიც ასეთი მკაცრი პოლემიკის დროს.

სხვათა შორის, მაჰახელაძის ამ თვითნებურ სტატიას გამოეხმაურა
აკ. წერეთელი. ერის სასიქადულო პოეტს არ ესიამოვნა სტატიის არც-
ტონი და, ბუნებრივია, არც ლანძღვა-გინება მოღვაწეებისა. ამიტომ სტა-
ტიის ავტორს ურჩია:

103 ვ. პეტრიაშვილი, წერილი რედაქტორთან „დროება“, № 90. 1876 წ.

104 აკაკი, მცირე შენიშვნა. „დროება“, № 101, 1876 წ.

105 მაჰახელაძე (ალ. ჭყონია), „დასაბადებელ „დღეურას...“ „დროება“, № 79. 1876 წ..

...აბა დღეის იქით ნუ აფუცხუნდებით მაქარივით, ჯერ მოიფიქრეთ აოლმე. შეიტყვეთ, რომ ყოველ სიტყვას არა ჰქვია ლაქლაქი და მაშინ ღარწმუნებული ვარ, სხვების ნამდვილ სიტყვებს აღარ დაუწყებთ ისეთ ვაობას, როგორც „დროების“ ფურცლებზედ გამოგიქიმავთ.

დასასრულს ვისურვებ თქვენთვის, რომ მოშორებით დაგვეჩიროსთ თავი იმ წრისაგან, რომელსაც თქვენ ხელს აფარებთ და თქვენი შეცდომა ოდესმე გაგესწორებოთ.¹⁰⁶

ჩვენი აზრით, დ. ანჩაბაძის მოხვედრა ქართველ მოღვაწეთა შორის შემთხვევით არ არის, რადგან ი. ჭავჭავაძე უქნარა და უნიკო, მცონარა და განათლებულ კაცს არ გაიკარებდა, ისიც მაშინ, როდესაც ახალი ორგანოს „ივერიის“ ბედ-იღბაის წყდებოდა. უტყუარია ის ფაქტიც, რომ აფხაზეთიდან ორ ახალგაზრდას დ. ჩქოტუასა და დ. ანჩაბაძეს ი. ჭავჭავაძემ მათი ნიჭისა და უნარის, ცოდნისა და მონდომების, მისწრაფებისა და განათლების მიხედვით მოუმართა ხელი, გვერდით ამოიყენა და ორივე (ბავშვობისა და ყრმობის მეგობრები)¹⁰⁷ ჩააბა დიდ საშვილიშვილო ეროვნულ საქმიანობაში.

ამრიგად, მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული განათლებული იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ანჩაბაძე მის თანამემამულეებთან — გ. შარვაშიძესთან და დ. ჩქოტუასთან ერთად გვევლინება XIX საუკუნის 70-იანი წლების მოწინავე ქართველი და აფხაზი ინტელიგენციის ერთ-ერთ წარმომადგენლად.

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე

აფხაზეთის მთავართა საგვარეულო შტოს ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, წლების მანძილზე თბილისის გუბერნიის გუბერნატორი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე (ჩაჩბა) მეტად დიდ როლს თამაშობდა XIX საუკუნის დასასრულის საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. მართალია, მას მეცნიერული შრომები და მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებები არ დაუტოვებია, მაგრამ წლების მანძილზე სახელმწიფოებრივი და საქველმოქმედო მოღვაწეობით იმდენი ეროვნულად სასარგებლო საქმე გაუკეთებია, რომ იმთავითვე ქართველი მოწინავე ინტელიგენციის დიდი სიმპათია და ხალხის მოკირანახულე მოამაგის სახელი მოუპოვებია. მის შესახებ 1897 წელს გაზეთი „კვალი“ წერდა:

„თ. გ. დ. შარვაშიძე ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწის, დასწრებისა მაშინდელი დროის კუმანტარული მიმართულების სტუდენტების ჰოძრაობას და იმ დროის კაცების იდეალური აზრებიც აქვს შეთვისებული.“

მის მოქმედებას ლუბერნატორობის დროს აჩნია დალი ამ კეთილშობილური იდეალური გატაცებისა. ის მხნეთ შეუდგა თავის ლუბერნი-

¹⁰⁶ აკაი, მცირე შენიშვნა, „დროება“, № 101, 1876 წ.

¹⁰⁷ იხ. „Убийство девицы Нины Эрастовны Андреевской“, Тбилиси, 1878 г.

ში გლეხობის კეთილმდგომარეობის წარმატებას და ამ აზრით დიწყო-
მაზრებში სასოფლო თანხების შეკრება და პურის ხაროების (ამბრების)
დაარსება“. გარდა ამისა, მას თავის გუბერნიაში ბევრი სასარგებლო ლო-
ნისძიება ჩაუტარებია, რითაც „ერთი ნაბიჯი წინ წაადგმევინა ჩვენ ვრს“.¹⁰⁸

სამწუხაროდ, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის ბიოგრაფია და მო-
ღვაწეობა სრულიად შეუსწავლელია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია,
ჯერ კიდევ არავის მოუკიდნია ხელი მისთვის და ამდენად წინამდებარე
ნარკვევი ამ ხარვეზის შევსების პირველ ცდას წარმოადგენს. ამ ბოლო
დრომდე აფხაზური ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზროვნება და
ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა იც-
ნობდა მხოლოდ ერთ აფხაზ გიორგი შარვაშიძეს, განთქმულ პოეტს. ახლა
ამ პლედას მიემატა მეორე გიორგი შარვაშიძე, მხოლოდ დიმიტრის ძე.
დიდი ქველმოქმედი და სახელმწიფო მოღვაწე, განათლებული და კულ-
ტურული მოქალაქე.

გიორგის მამა დიმიტრი ჰასანის ძე შარვაშიძე იყო სოხუმის საუფ-
ლისწულო მამულის მფლობელი. მსახურობდა მეფის არმიამში, ლეიბ-
გვარდიის კაზაკთა პოლკში, აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა ომერ-
ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში 1854 წელს, მეთაურობდა რიონის რაზმის
კავალერიას.¹⁰⁹

ენგურის ბრძოლებაში დიმიტრი შარვაშიძის საბრძოლო მოქმედებაზე
მოგვითხრობს კ. ბოროზდინი (კ. ივი მიუთითებს: „ამ ბრძოლაში ასევე
თავი ისახელა ცხენოსანი რაზმის უფროსმა პოლკოვნიკმა დიმიტრი შარ-
ვაშიძემ, რომელიც გაცხარებული ბრძოლის დროს თავის რაზმს თავში
უღდა“.¹¹⁰

ა. კოლუბიაკინას ცნობით. ომერ-ფაშას დიმიტრისათვის მიუმართავს
წინადადებით. გადასულიყო მის მხარეზე, მაგრამ დიმიტრი, როგორც
იტყვიან, ამ ანკესზე, არ წამოგებულა და უარუყვია წინადადება. პირიქით.
მის რაზმს ქართველებთან ერთად სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევია აგ-
რესორისათვის და სისხლის ფასად დაუცავს თავისი მრავალტანჯული სამ-
შობლო.¹¹¹

დიმიტრის მეუღლე იყო სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით
დადიანის და. მათ ჰყოლიათ ერთადერთი შვილი, სახელად გიორგი, შემ-
დეგში თბილისის გუბერნიის გუბერნატორი.

სამწუხაროდ, მისი ბავშვობის, ყრობის. ქაბუკობის შესახებ ჯერ-
ჯერობით არაფერი ვიცით გარდა ისტორიკოს ალ. ყიფშიძის იმ მეტად
მწირი ცნობებისა, რომლებიც დაცულია ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკა-
ში, სადაც მოკლედ მოთხრობილია გიორგის ცხოვრებისა და მოღვაწეო-
ბის შესახებ.

ალ. ყიფშიძე, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი
მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, აფხაზი ხალხის დიდი მეგობარი და მე-
ისტორიე, წერს:

¹⁰⁸ „კვალი“, № 31, 1897 წ.

¹⁰⁹ ხელნაწ. ინსტიტუტი, ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკა, განყ. „დ. შარვაშიძე“, გვ. 4.

¹¹⁰ კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სეანეთი, თბ., 1934 წ., გვ. 21.

¹¹¹ А. А. Коллѳубякинъ. Вспоминания, 1894 г., стр. 401—402.

«Шервашидзе, кн. Георгий Дмитриевич, бывший Тифлиссский губернатор, происходит из абхазских владетельных князей...

Во время происходивших между членами рода кн. Шервашидзе смут из-за обладания Абхазским княжеством, кн. Георгий Дмитриевич, потерявший родителей, был взят пятилетним ребенком на воспитание семьей тогдашнего Кутаисского генерал-губернатора Колюбякина и тогда же отвезен в Россию, где и протекала вся его молодость».

თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ გ. დ. შარვაშიძის აღმზრდელი უნდა ყოფილიყო მიხეილ პეტრეს ძე კოლუბიაკინი, რომელიც იმ დროს იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. ამას იმიტომ ვამბობთ ორქოფულად, რომ კოლუბიაკინები იყვნენ ძმები — ნიკოლოზი და მიხეილი, ორივე ქუთაისის გუბერნატორად წამყოფი. ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლუბიაკინი, რომლის მეუღლემაც დაწერა მოგონებები, 1858 წლამდე იყო ქუთაისის გუბერნატორად, ხოლო ამ წელს ის გადაიყვანეს ერევანში და მის ნაცვლად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს მისი ძმა მიხეილი.

გ. დ. შარვაშიძის შესახებ საყურადღებო ცნობები არის შემონახული ნ. ნიკოლაძის არქივში დაცულ საინტერესო დოკუმენტში, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: «Журнал заседания комиссии для окончания сословно-поземельного вопроса в частях Кавказского края Военно-народного управления. 12 мая 1884 г., № 33».

ამ კომისიის წევრები ყოფილან დიმიტრი ბაქრაძე (თავმჯდომარე), პოლკოვნიკები: სიმონოვი და გრებენშიკოვი. მათ განუხილავთ კაპიტან პროკოფი ლევანის ძე შარვაშიძის (ეს იყო ქელეშ-ბეის შვილის მაჰმუთბეის შვილიშვილი. იგი და გ. დ. შარვაშიძე ბიძაშვილები იყვნენ) საჩივარი იმის შესახებ, რომ შარვაშიძეთა საგვარეულო შტოს ამ ოჯახის წევრებს არ მიუღიათ რუსეთის მთავრობისაგან იმდენი მამული და პენსიები, რამდენიც მიიღო ჰასან-ბეის შთამომავლობამ, კერძოდ, მისმა ერთადერთმა შვილიშვილმა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძემ.

დოკუმენტი მეტად საყურადღებოა, მაგრამ მისი ანალიზი ამჟამად ჩვენი კვლევის ფარგალს სცილდება. განვიხილავთ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ გ. დ. შარვაშიძეს ეხება. აქ კი ნათქვამია შემდეგი:

«Камер-юнкер кн. Георгий Дмитриевич Шервашидзе, на которого указывает проситель (г. о. პროკოფი შარვაშიძე — ო. ჯ.) в своем заявлении, происходит от второго сына третьей жены Келеш-бея, имевшего сына Дмитрия, отца камер-юнкера; таким образом, к родоначальнику фамилии князь Георгий Дмитриевич находится в той же четвертой степени как и князья Прокопий и Самсон (სამსონი პროკოფის ღვიძლი ძმა იყო — ო. ჯ.), будучи между собой троюродными братьями. Во владении Хасан-бея Шервашидзе находился Сухумский удел, перешедший впоследствии к сыну его Дмитрию, а после смерти последнего к князю Георгию Дмитриевичу¹¹²...

¹¹² საქართველოს კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში დაცული ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 40-1624, ფ. 2.

ამ დოკუმენტიდან უკვე აშკარად ჩანს, რომ გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე არის აფხაზეთის შარვაშიძეთა საგვარეულო შტოს წარმომადგენელი. იგი პასან-ბეი შარვაშიძის შვილიშვილია და სოხუმის საუფლისწულოს მებატონე, მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი, დიდი მემამულე. მას ჰქონდა 6.000 დესეტინა მიწა და წლიური პენსია 6.000 მანეთი. ეს კი დიდი შემოსავალი იყო.

ალ. ყიფშიძის (ფრონელის) ცნობით, გ. შარვაშიძემ დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. შემდეგ იგი კავკასიაში მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში იწყებს მუშაობას სავანეებო დავალებათა მოხელედ.¹¹³ ამ დროს დაუახლოვდა იგი პოეტ ალ. ჭავჭავაძის სიძის — ბარონ ა. ნ. ნიკოლაის ოჯახს, გაეცნო სოფიო ჭავჭავაძისა და ბარონ ნიკოლაის ქალიშვილს მარიამს (მარიას) და იქორწინა მასზე.

თვით ბარონი ნიკოლაი წარმოშობით მეტად განათლებული და შეძლებული ოჯახიდან მომდინარეობდა. მამამისი რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი იყო დანიაში. მისი შორეული წინაპრებიც სახელგანთქმული ფრანგი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ.

ნათესაური კავშირები გ. შარვაშიძეს აახლოვდა ქართველ ინტელიგენციასთან, მოწინავე ადამიანებთან. აქვე უნდა გავაკეთოთ ერთი შენიშვნა. ჩვენ არ მიგვაჩნია სამართლიანად გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის ნათესავის ქალბატონ ბაბო დადიანი-მასხარაშვილის განცხადება, თითქოს გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეს არაფერი საერთო არ ჰქონდა მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან.¹¹⁴

გ. დ. შარვაშიძის XIX საუკუნის ბოლო წლებში დიდად საპასუხისმგებლო თანამდებობები ეჭირა: ჯერ იყო თბილისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორი (1883-1888), ხოლო შემდეგ კი წლების მანძილზე იმავე გუბერნიის გუბერნატორი (1889-1897). გუბერნატორი სხვა რა იყო, თუ არა მთავრობის პოლიტიკის გამტარებელი მხარეში. მას ევალეობდა კონტროლი გაეწია ინტელიგენციის საქმიანობისათვის, ყური მიეპყრო მათი პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური მოძრაობისათვის, პრესის მიმართულენისათვის. მაგრამ ეს თანამდებობა მას ბოროტად არ გამოუყენებია. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გ. დ. შარვაშიძე ქართველი ხალხის დიდი მეგობარი და მოკირანახულე ადამიანი იყო. იგი ეროვნულად სასარგებლო საქმიანობაში თვითონ იღებდა მონაწილეობას, არაიშვიათად იჩენდა ინიციატივას, თაოსნობდა საქველმოქმედო ღონისძიებებს. არის ცნობები, რომ გ. შარვაშიძე მფარველობდა ი. ჭავჭავაძეს, როდესაც ეს უკანასკნელი ჟანდარმერიის ფარულ დევნას განიცდიდა.

გ. დ. შარვაშიძე ბევრი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის მეგობარი იყო. მას განსაკუთრებული ანლო ურთიერთობა ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან და ნ. ნიკოლაძესთან. ეს დადასტურებულია ამ მწერლების ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, აგრეთვე, გ. შარვაშიძის წერილებში ი. ჭავჭავაძისადმი.

¹¹³ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. ვეილენაუშის კარტოთეკა. განყ. № დ. შარვაშიძე.

¹¹⁴ Бабо Даднани-Масхарашвили, Несколько страниц из жизни поэта. «Вечерний Тбилиси», № 89, 1971 г.

ი. ჭავჭავაძე 1873 წლის 23 თებერვალს თავის მეუღლეს სწერდა: „გიორგი შარვაშიძემ მოკიოხვა შემოგითვალა და თქვა: „უკნეი-ნოთო ბოლონდელს მასკარადს ლაზათი არა ჰქონდაო“.¹¹⁵

მეორე წერილში ამავე აღრესით ი. ჭავჭავაძე იტყობინებოდა:

„ერთხელ რევანს ანდრონიკაშვილთან ვიყავი და ერთხელ ლიზა მუხრანსკისას. ლიზასთან გიორგი შარვაშიძე ენახე და მთხოვა, რომ იმის მაგიერ მოკითხვა მოგწერო და მოგწერე კიდეც“.¹¹⁶

ეს წერილები თარიღდება 1873 წლით. ორივე ბარათი ეხება იმ პერიოდს, როდესაც გ. შარვაშიძე ჯერ კიდევ არ არის გუბერნატორი, ხოლო ი. ჭავჭავაძის მესამე წერილი მეუღლისადმი, რომელშიც გ. დ. შარვაშიძეა მოხსენებული, დათარიღებულია 1884 წლით. ამ დროს გ. შარვაშიძე უკვე თბილისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორია.

ი. ჭავჭავაძე მეუღლეს სწერს ვიღაც სოფიო ბაღდანოვის შვილის — მიშას თაობაზე, რომ იგი მე ენახე მისი დედის დავალებით, კარგი ბიჭი დამდგარა. დედას ჯავრი ნუ აქვსო. მერე დასძენს: „მანდ რომ მოვალ რაც შემეძლება, ვეცდები შარვაშიძისთან ქალაქში გადმოვაყვანინო“.¹¹⁷

ამ დეტალებში ჩანს ი. ჭავჭავაძისა და გ. დ. შარვაშიძის კეთილი და თბილი ურთიერთდამოკიდებულება.

ქართული და აფხაზი ხალხების შვილების მეგობრობაზე მიუთითებდა ი. მეუნარგიაც. ამ უკანასკნელის აზრით, გ. შარვაშიძეს ხშირი ოჯახური შეხვედრები ჰქონდა ი. ჭავჭავაძესთან.¹¹⁸

გარდა ზემოაღნიშნული მასალებისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ი. ჭავჭავაძის არქივში არის რამდენიმე დოკუმენტი — გ. დ. შარვაშიძის კერძო წერილები ი. ჭავჭავაძისადმი. გამოგზავნილი 1900-იან წლებში დანიიდან, კოპენჰაგენიდან. რომლებიც ნათელ შუქს ფენენ ი. ჭავჭავაძისა და გ. დ. შარვაშიძის ურთიერთობას. საყურადღებოა ის, რომ შარვაშიძის სამივე წერილი ლექსად არის დაწერილი. ეტყობა, გ. დ. შარვაშიძე პოეტური ბუნების კაცი ყოფილა.

1906 წლის 27 ოქტომბერს გ. შარვაშიძემ „Г.-Ш.“-ს ხელმოწერით კოპენჰაგენიდან ი. ჭავჭავაძეს ასეთი ლექსი გამოუგზავნა:

Прими, писатель именитый,
Надежда иверской земли,
Привет, плохим стихом подбитый
И чувства прежняя мои.

ეს ლექსი (მასზე მიგვიითთა მკვლევარმა სოლ. ლეკიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ) აღრე ჩვენ გვეგონა პოეტ გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის კუთვნილება და კიდევაც დავიმოწმეთ ი. ჭავჭავაძისა და პოეტ გიორგი შარვაშიძის მეგობრობის გამოხატულებად.¹¹⁹

115 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, თბ., 1961 წ., გვ. 265.

116 იქვე.

117 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, თბ., 1961 წ., გვ. 372.

118 ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. II, თბ., 1944 წ., გვ. 192.

119 იხ. 1970 წლის № 7 „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩვენი სტატია, „ი. ჭავჭავაძე და გ. შარვაშიძე“.

მაგრამ შემდგომმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ლექსი ეკუთვნის არა პოეტ გ. შარვაშიძეს, არამედ გუბერნატორად ნამყოფ გ. შარვაშიძეს. ამ დროს სწორედ გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე იმყოფებოდა დანიაში, კოპენჰაგენში, და არა პოეტი გ. შარვაშიძე. ასევე სხვა წერილებიც. იქიდან გამოგზავნილი, გიორგი დიმიტრის ძისაა. „I. III.“-ც მისი ხელმოწერაა.

როგორც დავინახეთ, გ. დ. შარვაშიძე უმაღლეს შეფასებას აძლევს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობასა და შემოქმედებას. აბა ამაზე უფრო დიდი და ღრმა შეფასება რაღა უნდა იყოს — „Идежда Иверской земли“ აქ ლაკონურად ყველაფერი არის თქმული. ხოლო მომდევნო სტრიქონებში ხაზგასმულია მათი ახლო მეგობრული ურთიერთობაც.

გ. შარვაშიძის მეორე ლექსი მსუბუქი ხასიათის ეპიგრამას წარმოადგენს, რომელშიც კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს მათი არა მარტო საქმიანი მეგობრული ურთიერთობა, არამედ შეხუმრებაც, ახლო შინაურული დამოკიდებულება. ეს ლექსი წარწერილია ღია ბარათზე, რომელზედაც გამოსახულია ახალგაზრდა სკანდინავიელი ქალი ეროვნულ სამოსში. ლექსი დაწერილია 1903 წელს, ხელმოწერილია ისევე „I. III.“ აი, ის ლექსიც:

Едет датская картинка
Не по небу, по земле:
Скандинавская блондинка
К черномазому Илье.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ეს ლექსი აშკარად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გ. შარვაშიძე და ი. ჭავჭავაძე ერთმანეთთან ძალიან „გაშინაურებულები“ ყოფილან.

საქმუხაროდ, არ ვიცით, თუ რა პასუხი გაუგზავნა ი. ჭავჭავაძემ თავის მეგობარს.

მესამე ღია ბარათზე გამოსახულია ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდობა და ქვემოთ კი ასეთი წარწერაა:

Вставал отшельник и покуда
Сам на молитве он стоял,
Тот луч молитвенник держал.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეს სიტყვები ამოღებულია ი. ჭავჭავაძის „განდეგილიდან“. ეს ბარათიც დანიიდან არის გამოგზავნილი 1903 წელს.

გ. შარვაშიძე ასევე მეგობრულ ურთიერთობაში იყო ნ. ნიკოლაძესთანაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თბილისის გუბერნიის ვიცე-გუბერნატორად და განსაკუთრებით გუბერნატორად ყოფნის პერიოდში გ. შარვაშიძემ ქართველი მშრომელი გლეხობის სასარგებლოდ ბევრი კარგი ღონისძიება განახორციელა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ქართველმა ინტელიგენციამ დაიწყო იმ გზებისა და საშუალებების ძებნა, რომლითაც შეძლებდა მშრომელი გლეხობისათვის ტანჯული ცხოვრების შემსუბუქებას.

ასეთ საშუალებად მას მიაჩნდა საზოგადოებრივ-სასურსათო მალაზიების ან მისი შემცველი სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის ფონდების, სავაჭრო-გამსაღებელ საზოგადოებისა და ფულის შემნახველ-გამსესხებელი აპხანავობების დაარსება.¹²⁰

ამ მიზნით, სოფლად აარსებდნენ „სასოფლო მალაზიებს“, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სოფლის მოსახლეობის შემოსავლის (პურეულის) ერთგვარი რეგულირება. ყოველი გლეხი ვალდებული იყო სოფლის საერთო მალაზიაში შეეტანა გარკვეული რაოდენობის პურეული და უფლებდა ჰქონდა საჭირო შემთხვევაში მალაზიიდან გაეტანა სურსათი, რაც ახალი მოსავლის აღებისთანავე უკანვე უნდა დაებრუნებინა.¹²¹

მართალია, მამასახლისეები ხშირად ითხოვდნენ ხელს სხვის ნაოფლარზე, მაგრამ მაინც ეს იყო გლეხის შრომისა და ცხოვრების რაციონალური ორგანიზაციის ცდა. ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში ასეთი ღონისძიებების გატარება მშრომელი გლეხობის უფლებების დაცვის მაშინ ყველაზე რეალური საშუალება იყო.

რეფორმის შემდეგდროინდელი სოფლის ასეთი რეორგანიზაცია განსაკუთრებით დაჩქარდა 80-90-იან წლებში. სოფლის ცხოვრების ამგვარად წარმართვით დაინტერესებული იყო მაშინდელი მოწინავე პრესა და მის გარშემო შემოკრებილი ინტელიგენცია. ი. ჰაეკვაძის „ივერია“ „სოფლის საზოგადოებებს“, „სოფლის მალაზიებს“ უწოდებდა „ფრიად ნაყოფიერ და დიდმნიშვნელოვან საქმეს“.¹²²

სხვათა შორის, ეს მოძრაობა გადაედო დასავლეთ საქართველოსაც, კერძოდ, აფხაზეთსაც. მაგალითად, 1897 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 150) გამოქვეყნებულ ერთ ხელმოუწერელ სტატიაში სათაურით „სამურზაყანოში სასოფლო ბანკების დაარსების გამო“ მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ აფხაზეთშიც აუცილებელია სასოფლო ბანკების დაარსება. გაზეთის აზრით, ბანკების საშუალებით სოფლის მშრომელი გლეხები „თავს დააღწევენ უსულმერთო მეევანშეებს, რომლებიც ჩვენს სოფლებს წურბელასავით მისევიან და მათს გადაამკიდე სოფლებს სი-ცოცხლე გამწარებით“.

ამ მიზნით სამურზაყანოელებს სათანადო თანხაც კი ჰქონიათ დაზოგილი. იმავე სტატიაში ვკითხულობთ:

„ამ ოცი წლის წინად განსვენებულმა თ. ჰაეკვაძემ სამურზაყანოელებს უანდერძა 25.000 მანეთი იმ მიზნით, რომ სასოფლო ბანკი დაიარსეთ, რადგანაც, საჭიროების დროს, ხელის მონაცვლეობა შეგემლოთო“.

დამიტრი ჰაეკვაძე იყო აფხაზეთის 1866 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გულდაუთის ნაწილის (მეფის მთავრობისათვის ყველაზე საშიში უბნის) უფროსი.¹²³ მან სწორედ ამ პერიოდში გადასცა სამურზაყანოელებს თავისი ქონებიდან 25.000 მანეთი საქველმოქმედო მიზნით. ამ

120 ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს სოფელი 1864-1917 წწ. სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1967 წ., გვ. 144 და შემდეგ.

121 იქვე.

122 „ივერია“, № 68, 1892 წ., მოწინავე სტატია (უსათაურო).

123 თ. ს. (თ. ხახოკია), აფხაზეთში სოხუმიდან გაგრამდე. „ცნობის ფურცელი“, № 2.356, 1903 წ.

კეთილშობილურ ნაბიჯზე ქართულ პრესაში არაერთგზის იყო მითითებული.

მშრომელი გლეხობის ყოფით დაინტერესებული იყო გ. დ. შარვაშიძეც. მან, როგორც კი მიიღო თბილისის გუბერნიის გუბერნატორის თანამდებობა, ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გახსახორციელებლად შემუშავა გარკვეული პროგრამა, რომელიც შემდეგ ფართო განხილვის საგანი გახდა. მაგალითად, გაზეთი „ივერია“ მიუთითებდა:

„ჩვენ, კარგა ხანია მას აქეთ, რაც ჩვენს მკითხველებს ვაუწყებთ, რომ ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა თ. შარვაშიძემ განკარგულებისათვის მისი დამი რწმუნებულ გუბერნიის გლეხ-კაცთა ცხოვრებისათვის ერთად ნაყოფიერი და ღირსშენელოვანი საქმე დაიწყო და გულის დაუძინებელის მხნეობით მიეცა ამ საქმის განხორციელებას“.

რა იყო ეს საქმე და რამ მიიყვანა ასეთ დასკვნამდე გუბერნატორი? ამის შესახებ „ივერიის“ იმავე სტატიაში აი, რა არის ნათქვამი:

„ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერიდან ვიცით, რომ ბ-ნს გუბერნატორს ჩვენებურ გლეხ-კაცობის უნუგემ-ყოფა დაუნახავს, დაჰკვირვებია ამ სამუშაოთა ამბავს და მისი მიზეზი სამართლიანად უცნია იმაში, რომ ჩვენებურს გლეხ-კაცობას, თუმცა ჰქუა უპრის და გულიც ერჩის, მაგრამ ცალ-ცალკე გარჯით ვერა უქნია-რა და ქონებრივ შეუძლებლობისაგან ვერ გამოსულა... ამიტომაც თუ რამ ეწამლება, სწორედ აქ უნდა ეწამლოსო“.¹²⁴

როგორც ვხედავთ, აქ გ. დ. შარვაშიძე დასახელებულია საკმაოდ ჰუმანურ მოღვაწედ, რომელსაც გლეხის „უნუგემ მდგომარეობა“ აღელვებდა და „გულიც ერჩოდა“ დასახმარებლად ამ სოციალური ტკივილების სამკურნალოდ. ნუ დაგვაიწყდება, რომ ამ დახასიათებას იძლევა ი. ჰავა-ჰავაძის „ივერია“ და ისიც მოწინავე წერილში, რომელიც, ბუნებრივია, ილიას განხილვის გარეშე გაზეთში არ დაიბეჭდებოდა. მამასადამე, ეს აზრი თვით ილია ჰავაძის აზრითაა, რაც თავისთავად ბევრის მეტყველია.

შემდეგ გაზეთში მოცემულია იმის კომენტარიც, თუ რას გულისხმობდა გუბერნატორი შარვაშიძის პროექტი და რა „წამლობა-მკურნალობას“ თავაზობდა იგი გლეხობას.

გაზეთი მიუთითებს: გლეხკაცის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად „საჭიროა მთელის გლეხკაცობის ერთიანი მოძრაობა, ერთიანი გარჯა, ერთი შეერთებული საზოგადოებრივი ღონეო, რადგან „გლეხკაცი როგორც ყველგან, ისევე ჩვენში ცალ-ცალკე უღონოა ამ დიდს ტკივილს თვითეულად ცალკე უწამლოს და უნუგემ-ყოფისაგან თავი დაიღწიოს“.

აქ სამეუღლად უნდა მოვიდესო სოფლის საზოგადოებები. ამიტომ იყო, რომ ი. ჰავაძის „ივერია“ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ზემოაღნიშნულ ფორმას უწოდებდა „ფრიად ნაყოფიერ საქმეს“.

„ივერიის“ აზრი ემთხვევა ქართველი ინტელიგენციის შეხედულებასა და თვით გ. შარვაშიძის მიერ შემუშავებულ პროექტს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შექმნას სათანადო სახსარი გლეხების გაჭირვებული მდგომარეობიდან დასახსნელად. ასეთი საშუალება არისო სო-

ფლის საერთო ქონება. როდესაც გლეხობას საერთო ქონება ექნება და იგი დაგროვდება სოფლის მუშაკის არც თუ დიდი მატერიალური ღირებულების საფუძველზე, ეს გლეხს სტიმულს მისცემს, ცხოვრებას უფრო ღრმად ჩაახედებს და ამ გზით „საზოგადო საქმეებისაკენ ნაცადი და გაწვრთნილი ჰქუა თვითონვე გაიკვლევს თავის გზას“. ამგვარად, განაგრძნობს „ივერია“, „მთელი თავისი კატემოყვარული აზრი ბ-ნმა გუბერნატორმა ააშენა გლეხ-კაცობის თვითმომქმედებაზე“.

გ. შარვაშიძის მიერ შემუშავებული პროექტი ბურჟუაზიული სოფლის ცნობილი იყო ქართველი ინტელიგენციისათვის და, უნდა ითქვას, იგი კიდევაც იზიარებდა მას. ამ საკითხთან დაკავშირებით „ივერია“ იტყობინებოდა:

„ჩვენ უკვე ვაუწყებ ჩვენს მკითხველებს, რომ თავ. გ. დ. შარვაშიძემ წარმოადგინა პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროში იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობა სურსათის მხრივ. ამჟამად სატახტო ქალაქის ყურნალ-გაზეთობას ამ პროექტზედ აქვს ბაასი და ამბობს, რომ ეს პროექტი შეეხება მთელს სახელმწიფოს და იმდენად საინტერესოა, რომ უეჭველად განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცესო“.¹²⁵

ეს პროექტი მასში გარკვეული ცვლილებების შეტანით დამტკიცდა მხოლოდ 1904 წლის 31 აგვისტოს და მთელი რუსეთის იმპერიაში კანონად იქცა. მაგრამ დამტკიცებამდე სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ახალი ფორმა თანდათან მკვიდრდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ მაზრებში.

ამ ღონისძიებას გამოეხმაურა ალ. ფრონელი (ყიფშიძე):

„ბ-მა ტფილისის გუბერნატორმა თ. გ. დ. შარვაშიძემ ერთი დიდი ფრიად სასარგებლო და საშვილიშვილო საქმე განიზრახა და სისრულეშიც მოჰყავს. ეს საქმე გახლავს — სოფლად შეიქმნას იმოდენა თანხა, წვრილწვრილად პურის მოგროვებით და მის ფულად ქცევით, რომ ამ ფულის სარგებლობით სოფელს შეეძლოს დააკმაყოფილოს ყველა თავისი საერთო, საზოგადო საქმიროებანი, როგორცაა, მაგალითებრ, მამულის შექმნა, საუკეთესო ჯიშის საქონლის გაჩენა, სასწავლებლის დაარსება, გზა-რუების გაკეთება, ხილების გამართვა და სხვა მრავალი ამგვარი...“

ამ იდეალის აღსრულება, — სიხარულით დასძენს ავტორი, — რათქმა უნდა, ჩვენს გალარიბებულ უნუგეშო და დაგრდომილ სოფელს სწორედ სამოთხედ გადააქცევს“.¹²⁶

გ. შარვაშიძის მიერ შედგენილი ინსტრუქცია-პროექტის თანახმად „გუბერნიის გლეხური მოსახლეობა ვალდებული იყო 12-60 წლის ასაკის მამრობითი სქესის ყოველ სულზე ფონდში შეეტანა 8 კილოგრამი პურეული. ორი წლის ნორმის ზევით დაგროვილი პურეული უნდა გაყიდულიყო და საფუძვლად დადებოდა ფულად ფონდს“.¹²⁷

ასეთი ღონისძიებები უთუოდ კარგ წამოწყებას წარმოადგენდა იმ პერიოდის სოფლისათვის. ეს იყო თავის დროზე დიდი პროგრესული მოვლენა — გლეხური ნატურალური მეურნეობის კაპიტალისტურ ლიანდა-

125 „ივერია“, № 131, 1894 წ.

126 „ივერია“, № 146, 1893 წ.

127 ალ. ბენდიანიშვილის დასახელებული შრომა, გვ. 146.

გზე დაყენება.¹²⁸ გ. შარვაშიძის მიერ შემუშავებულმა პროექტმა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში საკმაოდ დადებითი შედეგი გამოიღო.

ალ. ყიფშიძის (ფრონელის) მიერ იმ დროს პრესაში გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, სულ მთელს თბილისის გუბერნიაში 1893 წლისათვის სოფლად სათანადო მალაზიებში დაზოგილი ჰქონიათ ხორბლის ძველი თესლი 189.699 ფუთი, ხოლო ახალი თესლი — 66.913 ფუთი. ფულად ეს შეადგენდა თურმე თითქმის ნახევარ მილიონ მანეთს.¹²⁹

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ასეთი საშუალებით დანაზოგი სახსრებით გორის მაზრის სოფ. ერთაწმინდის გლეხებმა იყიდეს 70 დესეტინა მიწა, დუშეთის მაზრის სოფ. საკრაულას გლეხებმა — 33 დესეტინა მიწა და ა. შ.¹³⁰

ექვემოთხატულად შეიძლება ითქვას, რომ გ. შარვაშიძის ეს თაოსნობა, მის მიერ შემუშავებული პროექტი სოფლის მეურნეობის ახლებური ორგანიზაციისა, უთუოდ ჰუმანური იდეებითაც ხყო ნაქარნახევი. როგორც ვიცით, აფხაზეთში მისი მამულები გადაქიმული იყო მდინარე კოდორიდან მდინარე გუმისთამდე და იქ მოსახლე გლეხებსაც საკმაო მატერიალურ დახმარებას უწევდა. მაგალითად, გაზ. „ცნობის ფურცელში“ „ბაძლუს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან „საქებარი და მისაბაძი საქმე“ ვკითხულობთ, რომ გ. შარვაშიძემ თავის მამულში სოფ. ბაბუშარაში მოსახლე 200 კომლ გლეხს „დაუთმო უსასყიდლოდ სკოლისათვის ეზო და საბაღედ რვა ქვევა მიწა და საკუთარი ტყიდან ყოველივე მასალა სასწავლებლის შენობისათვის, რისთვისაც ხალხმა დიდი მადლობა შესწირა თავადს“.¹³¹

ასევე იმავე მამულში დასახლებული გლეხები არაერთგზის აცხადებდნენ:

„თავადის (გ. დ. შარვაშიძის — ო. ჰ.) საყვედურს ჩვენ ვერ ვიტყვით, ის მუდამ გულმტკიცეულობით გვეპყრობა. მისმა მოურავმა კი ძალიან შეგვაწუხა“.¹³²

ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკაში დაცულ მასალებში არის შეტად საინტერესო ცნობები გ. დ. შარვაშიძის შესახებ. ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ:

«Причем помощь материально ослабевшему крестьянству было главной задачей кн. Георгия Дмитриевича во все время управления им Тифлисской губернии»¹³³.

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ გ. შარვაშიძეს „პროექტის“ შემუშავების დროს ამოძრავებდა არა მარტო მემამულური მიზანსწრაფვა, არამედ ადამიანური გრძნობაც — რითიმე დახმარებოდა მშრომელ გლეხობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. შარვაშიძე ცნობილი იყო, რო-

128 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970 წ., გვ. 342.

129 „ივერია“, № 146, 1893 წ.

130 ალ. ბენდინიშვილის დასახელებული შრომა, გვ. 146.

131 გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 402, 1897 წ.

132 გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 2504, 1904 წ.

133 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ე. ვეიდენბაუმის კარტოთეკა, გ. დ. შარვაშიძე, გვ. 4.

გორც დიდი ქველმოქმედი და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც მუდამ მზად იყო შემწობის ხელი გაეწოდებინა გაქირვებულთათვის.¹³⁴

გ. შარვაშიძე იყო ბევრი საქველმოქმედო საზოგადოების წევრი, ზოგი მათგანის თავმჯდომარეც. მაგალითად, იგი იყო თბილისის გუბერნიის გლეხთა საკრებულოს თავმჯდომარე, ბავშვთა თავშესაფრების თბილისის საგუბერნიო მზრუნველობის თავმჯდომარე, კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების საბჭოს წევრი,¹³⁵ თბილისის გუბერნიის სამზრუნველო კომიტეტის წევრი.¹³⁶

ხედმატი არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, რომ გუბერნატორობის პერიოდში გ. შარვაშიძე იყო თბილისის ქალთა პირველი და მეორე გიმნაზიების სამზრუნველო საბჭოს თავმჯდომარე.¹³⁷

ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ 1897 წელს გ. შარვაშიძის სახელობის თითო სტიპენდიის დაარსება უნდოდათ თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში. რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს მკითხველს ამ საკითხზე, მოვიტანთ ამონაწერს გაზეთებიდან:

„რამდენიმე პირთ განუზრახავთ გამართონ ხელის მოწერა, რომელითც უნდა შესდგეს საკმაო თანხა, რომ ყოველ წლივ ქუთაისის და ტფილისის გიმნაზიებში თითო ყმაწვილი იზრდებოდეს და ამ ყმაწვილებს საშუალება მიეცეთ უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლის გაგრძელებისა. სტიპენდიები თბილისის გუბერნატორად ნამყოფ თ. გ. დ. შარვაშიძის სახელზედ იქნება.“¹³⁸

როდესაც ვეხებით გ. შარვაშიძის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან დეტალს მისი ცხოვრებიდან:

1892 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ საქართველოში იფეთქა ქოლერის ეპიდემიამ, რომელიც მუსრს ავლებდა მოსახლეობას, განსაკუთრებით მის დარბი ფენებს — მშრომელ გლეხობას, რომელსაც დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის გაწევა კი არა, ელემენტარული ჰიგიენური წესების დაცვაც აღარ შეეძლო. „სოფელი სრულიად უპატრონოა, — წერდა ი. ქავჭავაძის „ივერია“, მზრუნველი, დამრიგებელი, გზის მაჩვენებელი არაფერია ჰყავს. მრავალთაგან მრავალი წერილები, რომელიც ჩვენს გაზეთში იბეჭდება, აშკარად პლაღადებენ: მოლით, გვიშველეთ, დაგვეხმარეთ, გონება დაეკარგეთ და არ ვიცით, თავს როგორ ეუპატრონოთ“.¹³⁹

ეს ეპიდემია დაიწყო გ. შარვაშიძის გუბერნატორობის დროს. სამართლიანად მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ. შარვაშიძემ ითავა ამ საშინელი სენის წინააღმდეგ ბრძოლა, შემოიკრიბა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და დროის მოკლე მონაკვეთში გზა გადაულობეს მომავლდინებელ ეპიდემიას. ამის შესახებ „ივერია“ მიუთითებდა:

„ჩვენი მხნე და დაუღალავი გუბერნატორი თ. გ. დ. შარვაშიძე, რომელმაც ასეთი დიდი ღვაწლი დასდო ტფილისის ამ შავსა და ბნელს ღლე-

134 „ივერია“, № 78, 1898 წ.

135 Кавказский календарь, Тифлис, 1891 г., გვ. 51, 100, 314.

136 Кавказский календарь, Тифлис, 1894 г., გვ. 89.

137 საქართველოს კალენდარი, თბ., 1890 წ., გვ. 268.

138 „ცნობის ფურცელი“, № 310, 1897 წ.

139 „ივერია“, № 157, 1892 წ., მოწინავე სტატია.

ებში, მოუვიდა თუ არა სამწუხარო ამბები მაზრებიდან, დაუყოვნებლივ გაემგზავრა გორისაკენ, რათა ადგილობრივ თითონ ჰნახოს, რა უბედურებაც ეწვია მაზრას, გაამხნეოს ხალხი, დარიგება მისცეს მოხელეებს და ილონოს რამე ხოლერასთან საბრძოლველად¹⁴⁰.

იცოდა რა ი. ჭავჭავაძის დამსახურება ხალხის წინაშე და მისი დიდი ავტორიტეტის ძალა. საქმისადმი ერთგულება, გ. შარვაშიძემ, როგორც გუბერნატორმა და ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორმა. თხოვნით მიმართა ი. ჭავჭავაძეს, რომ თბილისისა და ღუშეთის მაზრებში ეპიდემიის აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებათა ჩატარების ხელმძღვანელობა ეთავა.¹⁴¹ ი. ჭავჭავაძემ ეს დავალება მიიღო და საქმის შესრულებას შეუდგა მისთვის ჩვეული ენერგიითა და გულმოდგინებით. დასახელებულ მაზრებში ი. ჭავჭავაძეს, ექიმ გედევანიშვილს და ფერშალ ალექსეევს დიდი სამუშაო ჩაუტარებიათ, რომ მშრომელი გლეხობა ეხსნათ საშინელი სენის ბრძკვალებისაგან.

ჩატარებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ ი. ჭავჭავაძემ 1892 წლის სექტემბერში მოხსენებითი ბარათი წარუდგინა გუბერნატორ გ. შარვაშიძეს, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ იყო ამ სენის მივინვარების შედეგები და რა ღონისძიებები ჩატარდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოხსენებით ბარათში კვითხულობთ:

«Не смея утверждать, что эти именно меры и распоряжения помогли делу, но факт тот, что эпидемия начавшаяся в моем районе 10 июля, заметно ослабла по числу заболевания к 28 июля и вовсе прекратилась к 17 августа и до сего времени ни в чем себя не обнаружила, так что ныне район мой является одним из благополучных мест губернии»¹⁴².

საქმის ცოდნით შედგენილ ამ ანგარიშზე გუბერნატორ გ. შარვაშიძეს ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული:

«Сердечно обрадован столь умелым выполнением князем Ильею Григорьевичем возложенных мною на него обязанностей по борьбе с эпидемией и за настоящий отчет, достойный всем известною дарования и добросовестности почетного автора.

Полагал бы весьма полезным напечатание в газете «Кавказ» извлечения из него.

кн. Шервашидзе».

როგორც მასალებიდან ჩანს, გ. შარვაშიძე ყოფილა კარგი მეურნეც. მას „იზაბელას“ ჯიშის ყურძნისაგან დაყენებული თავისი წარმოების ღვინო წარუდგენია „კავკასიის გამოფენაზე“ 1889 წ. ამ ღვინომ კომისიის მოწონება დაიმსახურა. ამის თაობაზე „ივერიამ“ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია შემდეგი:

„კავკასიის გამოფენაზე, ღვინის განყოფილებაში საყურადღებოა ორგვარი ღვინო, რომელიც ჯერ უცნობია ჩვენს ქვეყანაში: ღვინო ეგრეთ

140 „ივერია“, № 157, 1892 წ., მოწინავე სტატია.

141 ა. იოვიძე, ი. ჭავჭავაძე და ყოფა-ცხოვრების საკითხები. „სისტოლიო მოამბე“, № 21-22, 1967 წ., გვ. 493-500

142 ი. ჭავჭავაძის ეს მოხსენებითი ბარათი გამოქვეყნებული აქვს ა. იოვიძეს თავის ზეოლდასახელებულ ნაშრომში, გვ. 499.

წოდებულის იზაბელას ყურძნისა, რომელიც საჩვენებლად გამოუყენია ბ-ნ ტვილისის გუბერნატორს, თავადს შარვაშიძეს, და ღვინო დალესტინისა.

პირველი ღვინო იმდენად ხელოვნურად არის დაყენებული, რომ ქლიერ ცოტა-ღა შერჩენია ის განსაკუთრებული ცუდი სუნი და გემო, რომელიც სჩვევია იზაბელას ყურძენს. იზაბელას ღვინო თ. შარვაშიძისა ნაკმაოდ გემრიელია და ამიტომ, თუ ვიქონიებთ სახეში, რომ ეს ვაზი ნაკლებად იჩაგრება სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან, იზაბელას კაი მერ-პისი შოელის“.

„ივერიამ“ ერთგვარი რეკომენდაციაც კი მისცა „იზაბელას“ იმის გამო, რომ იგი ფილოქსერაგამძლეა და თან კარგი მსხმოიარეც.

ცნობილმა ქართველმა მწერალმა და ეთნოგრაფმა თ. სახოკიამ 1903 წ. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა მთელი სერია წერილებისა აფხაზეთის შესახებ, სადაც მან ყურადღება გაამახვილა გ. დ. შარვაშიძის პამპულის რაციონალურ და კულტურულ ორგანიზაციაზე.

„გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე ერთადერთი მემამულე გახლდათ აფხაზეთში, — წერდა თ. სახოკია, — რომელსაც კარგა მოზრდილი (6.000 დესეტინა სახნავ-სათესი) მამულის შეძენა და (თავი და თავი) შერჩენა და ასე თუ ისე მოვლა მოუხერხებია. უზარმაზარი ზვარი ევროპული და ადგილობრივი ჯიშის ვაზებისა, გამოცდილი მებაღის ხელმძღვანელობით სათანადოდ მოვლილი, მაყურებელს თვალს უხარებს“.¹⁴³

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტიც აღსანიშნავი გ. შარვაშიძის ცხოვრებიდან, რომელიც მოგვითხრო ცნობილმა მეცნიერმა და დამსახურებულმა ბიბლიოგრაფმა ქ-ნმა თამარ მაჭავარიანმა 1970 წლის 1 ნოემბერს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კაბინეტში (ამ ცნობისათვის მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ). ქალბატონმა თამარმა გვიამბო:

„შალვა ნუცუბიძისაგან მომისმენია (მხოლოდ ვერ გაიხსენა ზუსტად თარიღი. ეს ყოფილა რალაც საიუბიელო საღამო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში — თ. ჯ.) შემდეგი: „როდესაც 1917 წელს უკვე საბოლოოდ მომწიფდა საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა, მე მიმავლინეს პეტერბურგში, სადაც მოსავგარებელი მქონდა მთელი რიგი საკითხებისა, პათ შორის საქართველოში რკინიგზით უნდა გადმოემგზავნა ივანე ჯავახიშვილისა და იოსებ ყიფშიძის უმდიდრესი ბიბლიოთეკები, რომლებიც ამ კეთილშობილმა მოღვაწეებმა უსასყიდლოდ გადასცეს ჯერ კიდევ არ არსებულ თბილისის უნივერსიტეტს. პეტერბურგში დიდი არეულობა იყო, ერთნი ზეიმობდნენ ახალი სამშობლოს დაბადებას, ხოლო მეორენი ვარბოდნენ მისგან. ამ მღელვარე ქალაქში ვნახე თბილისში გუბერნატორად ნამყოფი გიორგი შარვაშიძე, ახოვანი, ლამაზი და მოსული ჭაღარა კაცი. მისალმების შემდეგ მას გავაცანი ჩემი პეტერბურგში ყოფნის მიზანი. მასზე დიდი ზემოქმედება იქონია ცნობამ იმის შესახებ, რომ თბილისში უნდა დაარსდეს უნივერსიტეტი. გულიც კი აუჩუყდა. შემდეგ ჩვენდა მოულოდნელად შემოგვთავაზა თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა: „ჩემგან უსასყიდლოდ მქონდეს თბილისის უნივერსიტეტს“.

ჩვენც, რასაკვირველია, მივიღეთ ეს ამანათი. სამივე წიგნსაცავი გამოვავაზვენი საქართველოში.

143 თ. სახოკია, მოგზაურობანი..., თბ., 1950 წ., გვ. 298.

სამწუხაროდ, მოხდა ის, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იმ არეულობის დროს, ის ვაგონი, რომელშიც ი. ჭავჭავაძის შვილის, ი. ყიფშიძისა და გ. შარვაშიძის წიგნები იყო, გზაში დაიკარგა, დაიწვა. ასე დიდი ღირებულების ეროვნული განძი“.

ეს ცნობა უტყუარია. ამის შემდეგ ქალბატონმა თამარმა ჩვენი თხოვნით მიმართა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მეუღლეს დახმარებისათვის; გადაესინჯა თავისი მეუღლის არქივის კარტოტეკა (შალვას მეუღლემ თვით მოიყვანა წესრიგში მეუღლის მდიდარი არქივი). ცდამ უშედეგოდ ჩაიარა, იქ არაფერი აღმოჩნდა.

ქ-ნი თ. მაჭავარიანის ნაამბობი დაგვიდასტურა მაშინ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ დოცენტმა ოთარ ქაჯაიამ. მან გვიამბო:

თუ მეხსიერება არ მალაატობს, ის, რაც ქ-მა თ. მაჭავარიანმა გვიამბოთ, მოხდა 1949 წელს თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ცნობილი ქართველი იურისტის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის იუბილეზე, სადაც მოგონებებით გამოვიდაო აკად. შ. ნუცუბიძე.

1968 წელს აფხაზურ გაზეთ „აფსნი ყაფში“ (№ 206) დოც. ბ. გურგულიამ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ცოდნის წყარო“, რომელიც ეხება თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეს. ახალგაზრდა აფხაზი სწავლულისა და მწერლის ბ. გურგულიას ცნობით, შ. ნუცუბიძეს ეს უთქვამს უნივერსიტეტში 1957 წელს (მაშინ ბ. გურგულია თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო). ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ გ. შარვაშიძეს თავისი ბიბლიოთეკა, აკად. შ. ნუცუბიძის გადმოცემით, უსასყიდლოდ გადაუცია თბილისის უნივერსიტეტისათვის.

ეს ფაქტი ბევრის მეტყველია. იგი წარმოადგენს ერთგვარ ლოგიკურ დასასრულს ყოველივე იმ საქველმოქმედო საქმისა, რაც გ. შარვაშიძეს თავის სამშობლოში — აფხაზეთსა და საქართველოში გაუკეთებია. სამწუხარო ის არის, რომ ამ მოამაგის არქივი და ბიბლიოთეკა ისევე დაიღუპა, როგორც მისი სახელოვანი ბიძაშვილის — პოეტ გ. შარვაშიძისა. უამთა სიამებ იმსხვერპლა ეროვნული განძი და მასთან ერთად ბევრი საინტერესო ცნობაც.

ამრიგად, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაჩინო წარმომადგენელია.

დიმიტრი გულია

აფხაზთა შორის დიმიტრი გულიას ხედა წილად დიდი ისტორიული მისიის შესრულება — ყოფილიყო მშობლიური სიტყვაკაზმული მწერლობისა და სალიტერატურო ენის ფუძემდებელი, აფხაზური მხატვრული ლიტერატურის პირველი წარმომადგენელი, გზის გამწვანებელი და მისი მე-ისტორიეც.

დ. გულიას სახელთან არის დაკავშირებული პირველი პრაქტიკული აფხაზური ანბანის შექმნა, აფხაზური თეატრის წარმოშობა. იგი იყო პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნის“ („აფხაზეთის“) პირველი რედაქტო-

რი, მისი სულისჩამდგმელი; ათეული წლების მანძილზე ეწეოდა დიდ-მეცნიერულ, შემოქმედებით, მთარგმნელობით და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას. სამართლიანად არის მითითებული, რომ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით დ. გულია წარმოგვიდგება ენციკლოპედისტად.¹⁴⁴

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დ. გულიას დამსახურება აფხაზი ხალხის მოძმე ხალხებთან ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში. აფხაზმა ხალხმა ამ პატრიოტი მწერლის მეშვეობით გაიცნო მშობლიურ ენაზე ქართული, რუსული, უკრაინული, ოსური და სხვ. ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებები: შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ი. ჭავჭავაძის და აკ. წერეთლის ნაწარმოებები, პუშკინის, ლერმონტოვის, შევჩენკოს, ხეთაგურაოვის ლექსები და პოემები, „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. არც ის არის გასაკვირი, რომ დ. გულიამ მშობლიური აფხაზურის შემდეგ ქართულად აიდგა ენა, ქართველმა აძიუბეღმა მღვდელმა, გვარად თოფურიძემ, ასწავლა წერა-კითხვა¹⁴⁵ და შემდეგ მისი სულიერი მოძღვარი სოხუმის მთიელთა სკოლაში იყო აფხაზეთში ცნობილი ქართველი მოღვაწე კ. მაკავარიანი, რომელმაც მამობრივი მზრუნველობა გაუწია ახალგაზრდა დიმიტრის და ნამდვილად მოაზნადა იგი ეროვნულ სარბიელზე გამოსასვლელად. მანვე შესთავაზა მას თანამშრომლობა აფხაზური ანბანის შესადგენად.¹⁴⁶

დ. გულია ადრე ეცნობა ქართულ კლასიკურ მწერლობას, ქართულ აზროვნებას. იგი ბავშვობიდანვე დაეწაფა „ვეფხისტყაოსანს“, ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსებს, რომლებმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს მასზე.¹⁴⁷

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ მშობლიური აფხაზური ხალხური სიტყვიერების შემდეგ მის შემოქმედებაზე დიდი ზემოქმედება მოუხდენია ქართულ მწერლობას. ამ საკითხთან დაკავშირებით ხ. ბლაჟბა და კ. ზელინსკი წერენ: «Другим литературным источником, питавшим поэтическое творчество Д. Гулиа, была грузинская поэзия, грузинская литература. Территориальная близость и общность исторических судеб абхазского и грузинского народов оказали глубокое влияние на развитие абхазской культуры»¹⁴⁸.

ასევე დ. გულიას შემოქმედების მკვლევარი მ. დელბა მიუთითებს: „დიმიტრი გულიას პირველი ლიტერატურული მასწავლებლები იყვნენ დიდი ქართველი კლასიკოსები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, რომელთა ნაციონალურ-გამათავისუფლებელმა იდეებმა განსაზღვრეს მისი ადრინდელი მსოფლმხედველობა და შემოქმედება. ყრმობის წლებიდან დიმიტრი გულია ეცნობა შესანიშნავ რუსულ ლიტერატურას, მუდამ სწავლობდა გენიალური რუსი კლასიკოსებისაგან“.¹⁴⁹

144 კ. ბობოხიძე, დიმიტრი გულია. ობ. დ. გულია, რჩეული, თბ., 1957 წ., გვ. 213.

145 მ. დელბა, დიმიტრი გულია, თბ., 1949 წ., გვ. 31-32.

146 Г. Гулиа, Дмитрий Гулиа, М., 1962 გვ. 31—32.

147 იქვე, გვ. 20.

148 Х. С. Бражба, К. Л. Зелинский. Дмитрий Гулиа, Сухуми, 1965, გვ. 21.

149 მ. დელბა, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

ანალოგიურ აზრს ანვითარებს ცნობილი აფხაზი ლიტერატურათმცოდნე შ. ინალ-იფა: «Другим источником, питавшим его творчество, явились сокровищницы классической грузинской и русской литературы»¹⁵⁰.

რასაკვირველია, როგორც დ. გულიას, ისე მისი მომდევნო აფხაზი მწერლების — ს. ჭანბას, ი. კოლონიას, ი. პაპასქირის, მ. ლაქერბაის და სხვ. მრწამსის ფორმირების საქმეში დიდი როლი ითამაშა, მათ შემოქმედებაზე ცხოველყოფელი ზემოქმედება მრავლდნა რუსულმა ლიტერატურამ და საზოგადოებრივმა აზროვნებამ. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტოლსტოი. გორკი, — აი, ის კორიფეები, რომლებმაც თაობები ასაზრდოეს მოწინავე საკაცობრიო იდეალებით.

დ. გულიას თავისუფლებისმოყვარე სული ყოველთვის ეძებდა გზებს სინათლისა და ბედნიერებისაკენ. მისთვის არ არსებობდა წინააღმდეგობა ამ მიმართულებით. პოეტი დიდებულ ლექსში „ირემი“ ამბობდა:

სჯობს მოკვდე თავისუფალი,
ვიდრე იცოცხლო ყურმოჭრილ მონად!..¹⁵¹
(თარგმ. თ. ჭანგულაშვილისა).

ეს სიტყვები როგორ მოგვაგონებს დიდი ქართველი პოეტის აკ. წყნარეთლის სტროფს:

სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

ასეთმა სულიერმა სიახლოვემ შემდეგაც არაერთგზის იჩინა თავი და სასურველი ნაყოფიც გამოიღო. მართლაც, როგორც ცნობილია, მთელი ცხოვრების მანძილზე დ. გულიამ თავისუფლების ეს გრძნობა მრავალჯერ გამოხატა პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მხატვრულ ნაწარმოებებში.

მეგობრობის ძალაში, ურთიერთპატივისცემასა და ყურადღებაში, თანამშრომლობასა და კეთილ მეზობლობაში ხედავდა იგი ხალხთა თავისუფალი ცხოვრების საფუძველს. ამიტომაც ომანხიანად გაიძახოდა პოეტი:

ერთადა ვართ ყველა ერი, ყველა ტომი,
ყველა რასა ჩვენი მეგობართა.
მშვიდობა გვსურს, ხალხთა რბევის არ ვართ მდომი,
რადგან გულში გაზაფხულის დარია!¹⁵²
(„საახალწლო სადღეგრძელო“, თარგმ.
ქ. ბობოხიძისა)

რთული და მძიმე იყო დ. გულიას ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. მან მშობლიური ერის ყველა სატიკიარი გამოსცადა საკუთარ თავზე. ჯერ კიდევ ბავშვობის უღარადელ წლებში იწვნია ლტოლვილის, მაპაჩირის მძიმე ხვედრი. ამავე პერიოდში იგემა დაუოკებელი სიხარული მშობლიურ მი-

¹⁵⁰ Ш. Инал-Ипа, Заметки о развитии абхазской литературы, Сухуми 1967 г., стр. 15.

¹⁵¹ დ. გულია, რჩეული, თბ., 1957 წ., გვ. 52.

¹⁵² იქვე, გვ. 27.

წაწყალზე დაბრუნებული ადამიანისა. შემდეგ ათეული წლების მანძილზე დარაჯად და განმანათლებლად ედგა მშობლიურ ხალხს. მცხოვანი პოეტი წერდა:

მე ვნახე ტანჯვაც...
ბავშვთა ტირილი
მკლავდა ქუჩიდან, ჩამწვარ ეზოდან;
მიწაც, სისხლიან მხეცების ტურფით
ცოცხალ კაცივით ხშირად კენესოდა.
მაშინ ეს გული ცრემლში ცურავდა,
გული ფხიანი,
მზის შუქთა დარი;
მაგრამ მოვესწარ და დავინახე
გალიმებული ხველეთის თვალი...

სამოცდათხუთმეტს წელიწადს მივსწვდი,
ეს არც ცოტაა, მგონი არც ბევრი.
სახეზე ნაოჭს ხშირად რომ ვითვლი —
გზებია ჩემგან გაღანარბენი.¹⁵³

(„სიტყვა ამხანაგს“. თარგმანი ზ. ლორთქიფანიძისა)

მსგავსად ერთ-ერთ უსათაურო ლექსში („ძველთაგან ხალხში ჩვეულება არის ასეთი“) პოეტი წარსულს ამგვარად იგონებდა:

მძიმე შრომაში გაუტარე
მე დღე ყოველი,
როგორც მომართულ წისქვილს,
მეც არ დამისვენია.
მე შრომის გარდა ქვეყანაზე
არას მოველი;
მე შრომის გარდა ქვეყანაზე
რა დამრჩენია?!¹⁵⁴

(თარგმ. გ. კალანდამისა)

ასე გადაენასკვა მშობლიური ხალხის სიხარული და ტკივილები პოეტის სულიერ ცხოვრებას.

დ. გულია დაიბადა 1874 წელს აფხაზეთის ულამაზეს სოფელ უარჩაში, რომელსაც ერთი მხრით ჩაუდის მდინარე კოდორი, ხოლო მეორე მხრით ელაციცება შავი ზღვის ტალღები. ამ თვალისმომკრეულ სანახაობას თავს წამოდგომია გაქათათებული კავკასიონი. აქ აიღვა ფეხი პატარა დიმიტრიმ.

მან პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფელ აძიუბეის მღვდელთან, ხოლო, როდესაც შეუსრულდა 12 წელი, მამამ რის ვაი-ვაგლახით მიაბარა სოხუმის მთიელთა სკოლაში,¹⁵⁵ რომელიც ჩინებული მაჩვენებლე-

¹⁵³ დ. გულია, რჩეული, თბ., 1957 წ., გვ. 67.

¹⁵⁴ იქვე, გვ. 109.

¹⁵⁵ დ. გულია, როგორ მიმაბარეს სასწავლებელში. რჩეული, თბ., 1957 წ., გვ. 147-

ბით დაამთავრა (10 საგნიდან რვაში ჰქონდა „ფრიადი“, ხოლო ორში — „კარგი“).¹⁵⁶

სოხუმის მთიელთა სკოლა 1863 წელს დაარსდა. მან დიდი როლი ითამაშა აფხაზ ხალხში წერა-კითხვის გავრცელებაში, აფხაზური ეროვნული კადრების აღზრდასა და მომზადებაში. სკოლა დაკომპლექტებული იყო კარგი პედაგოგებით. სასწავლებელს ჰქონდა სახელოსნო, მიწის დიდი ნაკვეთი, სადაც მოსწავლეები გადიოდნენ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას. აქვე იყო პანსიონატი აფხაზი ბავშვებისათვის. ეს სკოლა ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ფარგლებში საქამოდ კარგ განათლებას იძლეოდა.

ამ დროს მთიელთა სკოლის ზედამხედველი იყო კონსტანტინე მაჭავარიანი, რომელმაც დიდი ამაგი დასდო პატარა დიმიტრის, ალუძრა ცხოველი ინტერესი აფხაზური ენისა და ფოლკლორისადმი. კ. მაჭავარიანის ოჯახი დ. გულიასათვის მეორე მშობლიური კერა გახდა. აქ დაეწაფა ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერებას, კულტურას. სიცოცხლით აღსაყვამ დიმიტრი კონსტანტინემ და მისმა მეუღლემ ნინომ შეიყვარეს და, რადგან მათ ბავშვები არ ჰყავდათ, მოისურვეს მისი შვილად აყვანა, მაგრამ დიმიტრის მშობლებმა ეს წინადადება არ მიიღეს.¹⁵⁷

სოხუმის მთიელთა სკოლაში ჩაეყარა საფუძველი კ. მაჭავარიანისა და ახალგაზრდა დ. გულიას მეგობრობასა და მომავალ მეცნიერულ თანამშრომლობას (კონსტანტინე დიმიტრიზე უფროსი იყო 17 წლით), რისი შედეგი გახდა მათ მიერ შედგენილი ცნობილი აფხაზური ანბანი, გამოცემული 1892 წელს.

1889 წელს დ. გულია ამთავრებს სოხუმის მთიელთა სასწავლებელს და წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს გორის სამასწავლებლო სემინარიაში.

იმ დროს ამიერკავკასიის გორის საოსტატო სემინარია განთქმული იყო რევოლუციური და მოწინავე პედაგოგიური ტრადიციებით. გასული საუკუნის ბოლოს (სემინარია დაარსდა 1876 წელს) ის წარმოადგენდა რევოლუციური და ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ კერას საქართველოში. ამ სასწავლებელმა მრავალი თავდადებული და სახელმძღვანელო მოღვაწე და მწერალი აღუზარდა ამიერკავკასიის ხალხებს, მათ შორის ქართველებსა და აფხაზებს.

გასული საუკუნის დასასრულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის ბევრმა საზოგადო მოღვაწემ მიღო განათლება და იდეური წრთობა გორის სემინარიაში. მათ შორის უნდა დავასახელოთ თომა ეშბა, ნიკო ჯანაშია, ალექსი შარვაშიძე, ბესარიონ ემუხვარი, დიმიტრი გულია, ნიკოლოზ პატეიფა, ანდრია კოჭუა, სიმონ ბასარია.

დ. გულიას გორის სემინარიაში მოსწავლედ დახვდა თანასოფლელი, შემდეგ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ნიკო ჯანაშია. მას აფხაზი მეგობრისათვის ძმური დახმარება გაუწევია. აი, რას წერს ამის შესახებ დ. გულიას შვილი, ცნობილი საბჭოთა მწერალი გ. გულია:

«Николай был старше Дмитрия на несколько лет, уже учился в

¹⁵⁶ შ. დელბა, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

¹⁵⁷ ა. გულია, დასახ. ნაშრ., გვ. 28; პ. აძინა, დ. გულიას ცხოვრებისა და შემოქმედების სწავლება სკოლაში. ჟურნ. „ალაშარა“, № 6, 1970 წ., გვ. 74-75 (აფხაზ. ენაზე).

«семинарии и тотчас же, как мы выражаемся, взял над ним шефство. Молодой покровитель был человеком доброй души и верным товарищем»¹⁵⁸.

ასე ჩაეყარა საფუძველი მეგობრობას ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილებს შორის. ამ ურთიერთობას ხინჯი არასოდეს მისცემია. ისინი ერთმანეთის ერთგულნი დარჩნენ სიკვდილის კარამდე.

ეს ადამიანური სიბორობა და მეგობრული გრძობა შემდეგ მამიდან შვილზე გადავიდა. ნ. ჭანაშვიას შვილს — ცნობილ სწავლულს აკად. ს. ჭანაშვიას ასევე ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა როგორც ღიმიტრისთან, ისე მის ოჯახთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. გულია გორის სემინარიაში ჩაერთო 1889 წელს, მაგრამ ბედმა არ გაუმართლა. მალე ავად გახდა და დროებით გაანება თავი სასწავლებელს. განკურნების შემდეგ სემინარიის ხელმძღვანელობამ უარი უთხრა სწავლის განგრძობაზე. მაშინ ღიმიტრიმ მიმართა ხონის სამასწავლებლო სემინარიას, მაგრამ აქაც უარით გამოისტუმრეს. ასე დარჩა იგი სასწავლებლის გარეშე. ამ გარემოებათა გამო გულდაწყვეტილი პოეტი მიუთითებდა: „ამრიგად, სასწავლებელში ვისწავლე სულ ხუთი წელი. და ოთხი თვე დროგამოშვებით“.

მიუხედავად იმისა, რომ ღიმიტრიმ გორში სულ 4-5 თვე დაჰყო, ამ სემინარიამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. რაც არ უნდა იყო, ეს იყო ის კერა, რომელმაც გარკვეული გაგებით გააფართოვა მეოცნებე ახალგაზრდის ცნობიერების არეალი. როგორც ჩანს, გორის სემინარიაში გატარებული ხუთი თვე სამუდამოდ ჩარჩა პოეტის მესხიერებას. 1947 წელს 73 წლის დ. გულია გორზე წერდა:

„ამ კარგ ქალაქში მე ვსწავლობდი დიდი ხნის წინათ,
აქვე გამეხსნა სანუკვარი ცოდნის კარები;
ოქნებ აჰიტომ,
სიმღერების ცეცხლით რომ ბრწყინავს,
სიემს ჩემი გული ამ ქალაქში მეტ მგზნებარებით“.¹⁵⁹
(„გორი“, თარგმ. თ. ჭანგულაშვილისა)

დ. გულია იძულებული გახდა დაბრუნებულიყო მშობლიურ აფხაზეთში და ხელი მიეყო თვითგანვითარებისათვის. სამართლიანად მიუთითებენ მისი შემოქმედების მკვლევარები: „წარუმატებლობამ ვერ გატეხა დ. გულიას ნებისყოფა. თავისთავზე ენერგიული და დაძაბული მუშაობით მან დიდ წარმატებას მიაღწია ცოდნის დაუფლებასა და მშობლიური ენის შესწავლაში“.¹⁶⁰

დ. გულია აფხაზეთის სხვადასხვა სოფლებში მუშაობს დაწყებითი კლასების მასწავლებლად. მოსწრებულად თქვა მწერლის შვილმა: „დღისით ის ასწავლიდა ბავშვებს, ხოლო საღამოს თვითონ სწავლობდა“.¹⁶¹

158 გ. გულია, დასახ. ნაშრომი., გვ. 39.

159 დ. გულია, რჩეული. თბ., 1957 წ., გვ. 66.

160 მ. დელბა, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

161 გ. გულია, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

შემდეგ დ. გულია მასწავლებლობდა ქალთა გიმნაზიაში, სამასწავ-
ლებლო სემინარიაში, ტექნიკუმში. ყველგან გულმოდგინედ და დიდი სიყ-
ვარულით ასრულებდა პედაგოგის, აღმზრდელის საპატიო მოვალეობას.

დ. გულია 1911 წელს დაქორწინდა სოხუმელი მოქალაქის, ხელოსან
ანდრია ბეალავას ქალიშვილ ელენეზე. ანდრია ბეალავა იყო სენაკიდან
(ცხაკაია) სოფ. სორტიდან, ელენეს დედა კი სოხუმსა და მთელ აფხაზეთ-
ში სილაზაზით განთქმული ფოტინე ელიავა გახლდათ.¹⁶²

ელენე ბეალავამ ქეშმარიტად ერთგული მეგობრობა გაუწია თა-
ვის მეუღლეს. ვინც კი შეჰხებია დ. გულიას ბიოგრაფიას, ვინც კი ყო-
ფილა ახლოს აფხაზი პოეტის ოჯახთან, ყველა საგანგებოდ აღნიშნავს იმ
დიდ ამავს, რომელიც მიუძღვის ამ ქართველ მანდილოვანს არა მარტო
ოჯახურ საქმიანობაში, არამედ დ. გულიას ლიტერატურულ-საზოგადო-
ებრივ ცხოვრებაშიც. შეიძლება თამამად ითქვას: რაც იყო ოღლა გურა-
მიშვილი ილია ჭავჭავაძისათვის, იგივე იყო ელენე ბეალავა დიმიტრი გუ-
ლიასათვის.

გ. გულიას გადმოცემით, დ. გულიას ხშირად უყვარდა თქმა: „თუ
ლიტერატორმა ვერ შესძლო ისეთი ოჯახის შექმნა, რომელიც მას ყველა-
ფერში დაეხმარება, მაშინ ის ვერ გააკეთებს იმის შეათვისაც კი, რისი
გაკეთებაც შეეძლო... მეუღლე უნდა იყოს მისი უახლოესი თანამემწე და
მეგობარი“.¹⁶³

ასეთი იყო ელენე ბეალავა დიმიტრი გულიასათვის.

დ. გულიას მუდამ თან სდევდა ფიქრი მშობლიური ენისა და ლი-
ტერატურის შესახებ. ჯერ კიდევ 17 წლის ახალგაზრდა 1892 წელს კ.
მაჭავარიანთან თანაავტორობით სცემს პრაქტიკულად გამოსაყენებელ აფ-
ხაზურ ანბანს, აგროვებს ფოლკლორულ მასალებს, წერს მხატვრულ ნა-
წარმოებებს. 1912 წელს თბილისში გამოდის მისი ლექსების პირველი
კრებული. ამით დაედო სათავე აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას, აფ-
ხაზურ სიტყვაკაზმულ მწერლობას და მის სათავესთან უკვდავებად დგას
დიმიტრი გულია.

მართალია, 1912 წლიდან იწყება აფხაზური მხატვრული ლიტერა-
ტურის ისტორია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ აფხაზი ხალხის მო-
წინავე შეილები საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყვნენ მსოფლიო
ცივილიზაციის მონაპოვარს, არ ჰქონდათ საშუალება გამოეხატათ თავი-
ანთი აზრები და შეხედულებები წერილობით. სამართლიანად მიუთითე-
ბენ სწავლულები (აკად. ს. ჯანაშია, პროფ. ხ. ბლაჟბა): XIX საუკუნის
მეორე ნახევრამდე დამწერლობა აფხაზურ ენაზე არ არსებობდა, მაგ-
რამ, როგორც ჩანს აფხაზეთის დამწერლობითი ძეგლების ანალიზიდან,
აფხაზი ხალხი (უშუალოდ მშობლიური დამწერლობის უქონლობის გამო)
ლიტერატურულ ენად იყენებდა ბერძნულს (დაახლოებით IX საუკუნემ-
დე), ქართულს (IX-XIX სს.) და ხაწილობრივ თურქულს (XVIII ს.).¹⁶⁴

ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილი აფხაზი მეცნიერი, პროფესო-
რი ხუხუტ ბლაჟბა აღნიშნავს:

162 მწერლის ქალიშვილის ტ. გულიას ნაამბობი.

163 დ. გულია, თხზ., ტ. IV, სოხუმი, 1962 წ., გვ. 192 (აფხაზ. ენაზე); გ. გულია,
დასახ. ნაშრ., გვ. 232.

164 ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959 წ., გვ. 211.

«Анализ эпиграфического материала свидетельствует о том, что предкам абхазов, хотя они не имели своего письма на родном языке, начиная с первых веков нашей эры не была чужда письменная культура. Абхазский народ, находясь издавна в общении с культурными народами, пользовался греческим, латинским, турецким, русским, особенно грузинским письмом. Грузинской письменностью, как книжным языком абхазы пользовались в течение веков. Она имела распространение среди других народов Кавказа (осетин, адыгов и т. д.)¹⁶⁵.

და აი, 1892 წელს ქართველი საზოგადო მოღვაწე კ. მაჭავარიანი და ახალგაზრდა აფხაზი პოეტი დ. გულია აქვეყნებენ აფხაზურ ანბანს, აფხაზური კულტურისა და განათლების მყარ საფუძველს. მართებულად აღნიშნავს ხ. ბლაჟბა, რომ კ. მაჭავარიანისა და დ. გულიას ამ სახელმძღვანელომ დიდი ბიძგი მისცა აფხაზური დამწერლობის შემდგომ განვითარებას.¹⁶⁶

დ. გულიამ დიდი შრომა გასწია აფხაზური თეატრის დაარსებისათვის. ამ უბანზე მას მხარში ედგნენ ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პლატონ შაყრილი და ანტონ შაკიაი. 1917-18 წწ. მათი ინიციატივით აფხაზეთში ყალიბდება პირველი აფხაზური ლიტერატურულ-დრამატული წრეები, რომლებიც დგამენ წარმოდგენებსაც აფხაზეთის სოფლებში. დ. გულია აქაც წარმმართველი იყო საქმისა: „წვრთნიდა“ მსახიობებს. ამზადებდა სცენისათვის რეკვიზიტებს, წერდა ან თარგმნიდა პიესებს, დგანდა სპექტაკლებს.

აფხაზური თეატრის მკვლევარი და ცნობილი მწერალი მ. ლაკერბაი აღნიშნავდა, რომ ამ მოხალისეთა დასის მოძღვარი და სულიერი მამა იყოვო დ. გულია.¹⁶⁷

თვით დ. გულიამ ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ აფხაზური თეატრალური კულტურის პირველ ნაბიჯებს, ასე აგვიწერა: „რომ გავიგოთ ის სიძნელებები, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ეს უკეთილშობილესი და უაღრესად საჭირო საქმე, უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: აფხაზებს არასოდეს არ ჰქონიათ არც თავისი თეატრი, არც პიესები. არც აქტიორები და, რა თქმა უნდა, არც აქტიორი ქალები ჰყოლიათ“.¹⁶⁸

დ. გულიამ ა. შაკიათან ერთად სამასწავლებლო სემინარიის მოსწავლეთაგან შეადგინა მოხალისეთა დასი, მათთვის ქართულიდან თარგმნა დ. აწყურელის „ორი მშვიერი“ და ვ. ბალანჩივაძის „უბედური დღე“, მოამზადეს სპექტაკლი და კოდორის მაზრის (ოჩამჩირის რაიონი) სოფლებში უჩვენეს წარმოდგენები. ეს იყო 1919 წელს.¹⁶⁹

საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხალხურ კულტურას, თეატრს, ლიტერატურას, მეცნიერებას ფართო გასაქანი და საშუალება მიეცა. დ. გულია სათავეში ჩაუდგა თეატრალ-

165 X. Бгажба. Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967 г., гв. 34-35.

166 ხ. ბლაჟბა, აფხაზური ლიტერატურის შესახებ (კრიტიკული ნარკვევები) სოხუმი, 1960 წ., გვ. 16-17 (აფხაზ. ენაზე).

167 მ. ლაკერბაი, აფხაზური თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957 წ., გვ. 35.

168 დ. გულია, აფხაზური თეატრის დაბადება. იხ. კრებ. „აფხაზეთის მწერლობა“, სოხუმი, 1941 წ., გვ. 164.

169 მ. ლაკერბაი, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

ლურ ხელოვნებას 1921 წლიდან და დაიწყო სპექტაკლების ჩვენება ოჩაჩ-ჩირისა და გულაუთის რაიონების სოფლებში.¹⁷⁰ ასე გრძელდებოდა 1928 წლამდე, ვიდრე არ დაარსდა აფხაზეთში დრამატული თეატრი.

აფხაზი ხალხის ეროვნული აღორძინებისათვის ბრძოლაში დ. გული: მარტოდმარტო არ ყოფილა. მის მხარდამხარ შრომობდნენ და საერთო საქმეს უანგაროდ ემსახურებოდნენ აფხაზი და ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, უმთავრესად პედაგოგები. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია:

«Вместе с Дмитрием Гулиа, рука об руку с ним, до 1921 года активно работали над просвещением и развитием культуры абхазского народа также известные деятели Абхазии, как Ф. Х. Эшба, К. Д. Мачавариани, П. Чарая, А. М. Чочуа, С. М. Ашхацава, С. Я. Чанба, Н. С. Патеипа, А. И. Чукбар, Р. И. Какубава, Н. С. Джанашиа, Д. Т. Марганя, С. П. Басария, П. С. Шакрыл и др... И этот культурный круг сыграл положительную роль в многосторонней деятельности Дмитрия Гулиа»¹⁷¹.

დ. გულია თავისი მოღვაწეობის მანძილზე აფხაზი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების სამ ეტაპს აღნიშნავდა:

1. 1892 წელს აფხაზური ანბანის გამოქვეყნებას, რომელიც პრაქტიკულად იქნა გამოყენებული.

2. აფხაზური ლექსების პირველ პუბლიკაციას აფხაზურ ენაზე 1912 წელს, რითაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურას.

3. აფხაზური თეატრის ჩამოყალიბებას.¹⁷²

1924 წელს დ. გულია მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეში აფხაზური ენის კურსის წასაძიებლად. აქ იგი უფრო ახლოს ეცნობა ქართულ ლიტერატურას, ისტორიას, წყაროებს აფხაზურ-ქართული ურთიერთობის შესახებ, ღრმად ეუფლება ქართულ ენას, ყოველ მხრივ ამდიდრებს თავის ცოდნას. უახლოვდება ქართველ მეცნიერებს. ინტელიგენციას.¹⁷³ მას განსაკუთრებით ახლო მეგობრული და საქმიან ურთიერთობა ჰქონდა ივ. ჯავახიშვილთან. აფხაზი მწერალი დიდად აფასებდა ქართველი მეცნიერის კოლოსალურ განათლებას, ერუდიციას, ინტელიგენტობას, მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და პრინციპულობას.¹⁷⁴

თბილისში დ. გულია უახლოვდება ქართველ მწერლებს, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს: გ. ტაბიძეს, მიხ. ჯავახიშვილს, ივ. ჯავახიშვილს, შ. ნუცუბიძეს, აკ. შანიძეს, შ. დადიანს, ი. გრიშაშვილს, გ. ახილეიანს, კ. კეკელიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ს. ჯანაშიას, ს. შანშიაშვილს, გ. ლიონიძეს და სხვ.

დ. გულია ბევრს მუშაობდა. აგროვებდა მასალებს მშობლიური ქვეყნის წარსულის გასაშუქებლად. 1925 წელს გამოდის თბილისში მისი „აფხაზეთის ისტორია“ (ტ. I). ეს წიგნი პირველი ცდა იყო აფხაზი კაცი-საგან მშობლიური ისტორიის რთული საკითხების გარკვევისა.

170 დ. გულია, აფხაზური თეატრის დაბადება..., გვ. 165.

171 ხ. ს. ბლაჟუა, კ. ლ. ზელინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 10-11.

172 დ. გულია, აფხაზური თეატრის დაბადება..., გვ. 163-165.

173 მ. დელბა, დასახ. ნაშრ. გვ. 33.

174 გ. გულია, დასახ. ნაშრ., გვ. 158-179.

წიგნი დღესაც იწვევს ინტერესს. მასში წარმოდგენილია მდიდარი აქტობრივი მასალა სხვადასხვა წყაროებიდან.¹⁷⁵

„აფხაზეთის ისტორიას“ მოჰყვა „აფხაზური გრამატიკის მასალები“ (1927 წ.), „აფხაზური ენის ორთოგრაფია“ (1933 წ.), „ტერმინოლოგიუ-
ჩა ლექსიკონი“ (1939 წ.).

1912 წლიდან დ. გულია სერიოზულად მუშაობდა მშობლიური ენის ძეგნიერულად შესწავლისა და გაშუქებისათვის. მას უშუალო კონტაქტები ჰქონდა ნ. მართან და ამ დიდი მეცნიერის ხელმძღვანელობით ამუშა-
ვებდა აფხაზური ენის მთელ რიგ მანამდე გაუშუქებელ საკითხებს.¹⁷⁶

მეტად დიდად დ. გულიას ამაგი აფხაზური ენის, ისტორიის, ეთნოგ-
რაფიის, ფოლკლორის მეცნიერული შესწავლის საქმეში. მის მიერ გა-
წეული შრომისათვის 1929 წელს იგი აირჩიეს საქართველოს ისტორიულ-
ეთნოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრად. იმავე წელს ნ. მარის
ინიციატივით სოხუმში დაარსდა აფხაზური ენისა და ლიტერატურის აკა-
დემია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქნა დ. გულია. 1937 წელს კი
შრომების საფუძველზე მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდი-
დატის ხარისხი. 1937 წელსვე მიენიჭა აფხაზეთის სახალხო პოეტის წი-
ლება.

დ. გულია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, გულის უკანასკნელ
ფეთქამდე ერთგული იყო თავისი საქმისა. ეს ღვაწლმოსილი მამულიშ-
ვილი გარდაიცვალა ღრმად მოხუცი 1960 წელს 86 წლის ასაკში. მან
ღირსეულად მოიხნა ვალი მშობლიური ხალხის წინაშე და ნათელმოსი-
ლი წავიდა ამ ქვეყნიდან, დატოვა რა წარუშლელი კვალი აფხაზურ სი-
ტყვაკაზმულ მწერლობასა და კულტურაში.

დ. გულია, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედია, პოეტია, მწერალია,
ხალხის დიდი სულიერი კულტურის შემქმნელია. მან თავის მხატვრულ
შემოქმედებას იმთავითვე დაუდო საფუძველად ხალხური ზეპირსიტყვიერ-
ების ტრადიციები. მშობლიური ფოლკლორი მისთვის ყოველთვის იყო
შთაგონების წყარო. მას არა ერთი და არც ერთი ხალხური სიმღერა აქვს გა-
მოყენებული საკუთარი ლექსების საფუძველად და შემდეგ, როგორც მი-
უთითებდა აფხაზური ხალხური მუსიკალური კულტურის ცნობილი
მკვლევარი ნ. კორტუა, თვით გულიამ ხალხური სიმღერა გაამდიდრა.
„ბევრი მისი ლექსი ისე პოპულარული გახდა, რომ ხალხურ სიმღერებად
იქცა.“¹⁷⁷

ასევე ცნობილმა აფხაზმა პოეტმა და დ. გულიას შემოქმედების
მკვლევარმა გ. გუბლიამ საკანდიდატო დისერტაციაში „ლიმიტრი გუ-
ლიას შემოქმედებითი გზა“ მიუთითა, რომ „დ. გულიას ადრეული ნაწარ-
მოებებისა და აფხაზური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შედარებითი
ანალიზი გვიჩვენებს არა მარტო მათ თემატურ მსგავსებას, არამედ არა-
იშვიათად სიახლოვესაც, ზოგჯერ კი დ. გულიას პოეზიისა და ხალხური
შემოქმედების სახეთა სისტემის იდენტურობასაც.“

175 ხ. ს. ბლაუბა, კ. ლ. ზელინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.

176 Н. Я. Марр, О языке и истории Абхазов, М.-Л., 1938 г. გვ. 232.

177 И. Е. Кортуа, Абхазские народные песни и музыкальные инструменты, Сухуми, 1957 г., გვ. 58.

დ. გულიას პოეზია იმდენად ორგანულად და მყარად არის დაკავშირებული ფოლკლორთან, რომ ზოგიერთი მთქმელი მის ლექსებს თვლიდა ხალხურ სიმღერებად.¹⁷⁸

დ. გულია სამწერლო სარბიელზე გამოვიდა, როგორც მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი, მებრძოლი პოეტი. ცხოვრების მანკიერი მხარეების მამხილებელი შემოქმედი. დიდი პატრიოტი და მოქალაქე-იმთავითვე ჩანდა მისი ადრეული ლექსების ლირიკულ გმირად. ჯერ კიდევ 1907 წელს დაწერილ ლექსში „ძვირფასი ქმნილება“ ახალგაზრდა პოეტი კიცხავს უქნარა, ქარიხვეტია, იაფფასიანი ცხოვრების მოტრფი-ალე ახალგაზრდობას, რომელსაც:

სწულა არ უნდა, თაკილობს,
აღმერთებს სმას და ღერობას;
შრომა არ უნდა, აშართლებს
ქერღობას, ძალმომრეობას.

(თარგმ. გ. კალანდამისა)

ასეთი უსაქმურები ცხოვრების ხორცმეტებს წარმოადგენდნენ. ისინი იხელს უშლიდნენ საზოგადოების წინსვლას. მწერლის მართებული აზრით, ასეთი შეილის ყოლას, უყოლობა სჯობია. უბედურება ის არის, რომ უქნარა ახალგაზრდა „ენა-ტკბილია“, „ენა-მკვეერი“. მის არსებაში ერთმანეთს ერწყმის სიმხეცე და ფარისევლობა, ამიტომ „სჯობს, რომ სამარემ მიიღოს ეს დაწყევლილი ქმნილება“. ასეთია პოეტის განაჩენი.

ამ ლექსს მოჰყვა მეორე მომხიბვლელი ნაწარმოები „მოქეიფე“ (1909 წ.), რომელშიც ასევე დღის სინათლეზე გამოტანილია ლოთი-შფოთი, უქნარა, მცონარი, ტრაბანა ახალგაზრდის „საგმირო“ საქმიანობა.

1910 წელს დ. გულია წერს ჩინებულ სატირულ ლექსს „დიდი ხოჯანის“ („ხოჯან დუ“) სახელწოდებით, რომელიც შევიდა აფხაზური მწერლობის ოქროს ფონდში. პოეტი ამ ლექსით: „ასტიკად დაესხა თავს ჩარჩ-ვაკრებს, სოფლის ბობოლებს, მუქთახორებს, რომლებიც სხვისი ნაოფლარით ისქელებდნენ ჯიბეს და იძენდნენ სიმდიდრეს. „ხოჯან დუ“ აფხაზურ ენაში დ. გულიას ლექსის გამოქვეყნების შემდეგ იქცა საზოგადო სახელად. აფხაზები ქეაწურია, მომხვეპელ, მუქთახორა კაცს „ხოჯან დუს“ ეტყვიან.

ამ პერიოდში დაწერილი ბრწყინვალე ნაწარმოებებია: „აბრსკილი“ (1910 წ.), „ძველთაგან ხალხში ჩვეულება არის ასეთი“ (1911 წ.).

დ. გულიას როგორც პოეტისა და მოქალაქის, ოცნება, იდეალი, შემოქმედების ქეინტესენცია მისსავე შემდეგ სიტყვებში არის გამოხატული:

რომ ქვეყანაზე უბედობით
არაეინ სწუხდეს.
გვაყვებდეს შრომა იმედობით.
ცხოვრება დულდეს-

(„რომ შემძლებოდა რამე სიკეთე“.

თარგმ. კ. ბოზოხიძისა)

¹⁷⁸ Г. К. Губина, Творческий путь Д. И. Губина. Автореферат. Тб., 1970 г.,

ამ ლექსის კითხვის დროს დაკვირვებულ ადამიანს უდავოდ გაახსენდება ქართული მწერლობის სიამაყის ვაჟა-ფშაველას სიტყვები, მის მიერ არაერთგზის თქმული თავის „სიმღერებში“. კერძოდ, ერთ-ერთ საპროგრამო ლექსში „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ პოეტი წერდა:

კიდევაც ვნახავ ცა სქეძელს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყიერდღეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს,
ალარვინ იტანჯებოდეს
და აღარცვისა შვიოდეს;
სიმათლის გამარჯვენასა
მთაზე არწივი ყიოდეს;
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

იმ უკუღმართ დროს გულის ეს სატივიარი წილხვდომილი იყო ყველა პროგრესული შემოქმედისა. ამდენად რა გასაკვირია, თუ ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილებმა დაახლოებით ერთნაირად განიცადეს ქვეყნის ჭირ-ვარაძი.

დ. გულია თავის შემოქმედებით პრაქტიკაში სიტყვაკაზმული მწერლობის თითქმის ყველა ფორმას, ყველა ჟანრს მიმართავდა. წერდა ლექსებს, პოემებს, სიმღერებს, შაირებს, ბალაღებს, იგავ-არაკებს, მოთხრობებს, ნოველებს. შექმნა მშვენიერი რომანი „კამატიკი“. „ყველა ამ ფორმას იგი ერთნაირად კარგად ძლევს და ამასთან კლასიკურად ფლობს აფხაზური ენის უმდიდრეს შესაძლებლობათა გამოყენების ხელოვნებას“.¹⁷⁹

დ. გულია სამშობლოს ტკივილებს ყოველთვის ორგანულად განიცდიდა. როცა ქვეყანას უჭირდა, ის ყოველთვის მის გვერდით იყო, ცდილობდა მიესალბუნებინა მისთვის, სიმწრის ცრემლი მოეწმინდა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ისე როგორც მისი უფროსი თანამოქალაქეები ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი, მიმართავდა აზრის შეფარვით გამოთქმის საშუალებასაც — ეზოპეს ენასაც, რაც აფხაზი მკითხველისათვის სრულებით გასაგები და მისაწვდომი იყო. მაგალითად, მენშევიკების ბატონობა აფხაზეთში დ. გულიამ ასახა მთელ რიგ ლექსებში, რომელთა შორის აღსანიშნავია „სამშობლო“. აქ ნაწარმოებში პოეტი სამშობლოს ზედმეტად ძაძვებით მოსილს და მას კითხვით მიმართავს, აუწყოს, თუ რაში მდგომარეობს მწუხარების მიზეზი. ამ ალევგორიულ ლექსში ასეთი სტრიქონებია:

ნეტავ არ მოგეხურა
შენ ღრუბლების ჩადრი!
სთქვი, სამშობლოვ, რას ჰგოდებ?
გულს რად გაწევს დარდი?

როგორც მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, დ. გულიას ზოგიერთ პატრიოტულ ლექსს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ

¹⁷⁹ შ. დელბა, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

ატყვია ი. ჭავჭავაძის ლექსების ერთგვარი გავლენა. ვის არ ახსოვს ქართველი პოეტის სიტყვები:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზუნ მოგიწყენის,
აწყყო თუ არა გწყალობს, მოძაქალი შენია.

ეს გარემოება აიხსნება, ბუნებრივია, პოეტების სამშობლო ქვეყნის დღეპირი მდგომარეობის ასახვით. აქაც გულის დიდი სატკივარია გამოხატული. მენშევიკების აღვირახსნილ პარპაშს აფხაზეთში, ისე როგორც მთელ საქართველოში, არ შეეძლო არ გამოეწვია აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიდი პროტესტი.¹⁸⁰

მეორე აფხაზი პოეტი და მკვლევარი გ. გუბლია მიუთითებს: „დ. გულიას ლექსები „გაზაფხული“, „მთანი ყვავილობენ“, „ლოდინი“ და სხვ., რომლებიც თავისუფლების სულისკვეთებით არის გამსჭვალული, უთუოდ განიცდის გამოჩენილი ქართველი პოეტების ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის პოეზიის გავლენას“.¹⁸¹

დ. გულიას ბევრ ნაწარმოებში ასახულია საბჭოთა სინაძღვილე, ის დიადი გარდაქმნები და წარმატებები, რაც სოციალისტური წყობილების დამყარებამ მოიტანა მზიან აფხაზეთში. მწერლის ნაწარმოებებში ნათლად აისახა დიდი ლენინის, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკის შედეგად თუ როგორ აყვავდა აფხაზი ხალხის კულტურა და ეკონომიკა, მატერიალური და სულიერი ცხოვრება.

სალიტერატურო კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა რომან „კამპიქს“ (1940 წ.), რომელიც წლების მანძილზე ერთადერთი ნაწარმოები იყო აფხაზეთის რევოლუციამდელი სოფლისა და წარსულში აფხაზი ქალის უკუღმართი ცხოვრების შესახებ.¹⁸² აფხაზური ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა შ. ინალ-იფამ ამ რომანს უწოდა „რევოლუციამდელი აფხაზური სოფლის მხატვრული ენციკლოპედია“.¹⁸³

დ. გულიას შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და ურთიერთ კეთილი თანამშრომლობის თემატიკას. პოეტის სათქმელი ყოველთვის ნათელი და მიზანსწრაფულია. მზისა და ზღვის ქვეყნის მომღერალ შემოქმედს სწამდა მეგობრობის უძლეველი ძალა, მისი ცხოველმყოფელობა, დიდი ადამიანური სითბო, რომლის გარეშე პოეზიის ჰუმანური გავება არც არსებობს.

დ. გულიას მრავალფეროვანი, მდიდარი შემოქმედება მოჰმე ხალხებთან აფხაზი ხალხის მეგობრობის ხიდა. ქართველი, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ოსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, დაღესტნელი. შუა აზიელი, ბალტიისპირეთის ხალხების ცხოვრება, მათი დამოკიდებულება აფხაზ ხალხთან, აფხაზეთთან საკმაო სიცხადით აირეკლა დ. გულიას ნაწარმოებებში.

აფხაზმა პოეტმა ლირიკული სითბოთი აღსაცევ არა ერთი და ორი ნაწარმოებები უძღვნა საქართველოს, ქართველ ხალხს, მის გამრულ წარსულს, შრომასა და სულიერ მემარტებას.

180 შ. დელბა, დასახ. ნაშრ., გვ. 30-31.

181 გ. გუბლია, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

182 ხ. ს. ბლაჟბა, კ. ლ. ზელინსკა, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

183 Ш. Инал-Ипа. Заметки о развитии афх. лит., Сухуми, 1967 г., გვ. 61.

ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაღრმავებისა და შემდგომი განვითარების საქმეში დ. გულიას წვლილი იმაშიც გამოიხატა, რომ მან აფხაზ ხალხს მშობლიურ ენაზე გააცნო შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, დ. ჭონჭაძის, ე. ნინოშვილის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, გ. ლეონიძის, ს. შანშიაშვილის და სხვათა ნაწარმოებები, რითაც ძმობის ხილს, რომელსაც ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილები საუკუნეების მანძილზე აგებდნენ, ერთი კეთილი აგური შემატა.

დ. გულიას ბავშვობიდან იტაცებდა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები და ეს გრძნობა არასოდეს შენელებია მას. განსაკუთრებით დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული აფხაზი პოეტი შ. რუსთაველისა და ა. წერეთლის მხატვრული ქმნილებებისადმი. მან დიდო ენერჯია დახარჯა „ვეფხისტყაოსნის“ და „გამზრდელის“ თარგმანზე, დაძაბული შრომა მოუხდა ქართული მწერლობის ამ საუკეთესო ქმნილებების აფხაზურად ახშიანებას. რამდენი მონდომება და სათუთი გრძნობა უნდა ჩაეჭსოვა პოეტს ამ კეთილ საქმეში, რომ აფხაზ მკითხველს ისინი საკუთარი ეროვნული სულის ნაწილად მიეღო.

როგორც ცნობილია, დ. გულიამ შ. რუსთაველის პოემა აფხაზურად თარგმნა 1941 წელს. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის შესახებ იგი წერდა:

„არ მგონია საჭირო იყოს ლაპარაკი იმ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობაზე, რომელსაც მე განვიცდი მკითხველისა და საკუთარი შემოქმედებითი სინიღისის წინაშე, როდესაც აფხაზურ ენაზე პოემის თარგმანს მოვკიდებ ხელი. რუსთაველის პოემას ვიცნობ ჭერ კიდევ ბავშვობის წლებიდან, მაგრამ დიდად მომიხდა მისი შესწავლა, ბევრი რამ ახალი აღმოჩნდა ჩემთვის, სანამ საქმეს შევეუდგებოდი. მინდოდა აფხაზი მკითხველისათვის მიმეწოდებინა არა მარტო პოემის შინაარსი — ეს იქნებოდა სამუშაოს ნახევარი, — მე ვცდილობდი, რამდენადაც შესაძლებელი იყო, თარგმანისათვის შემენარჩუნებინა რუსთაველის შესანიშნავი ენა, სახეები, ხოლო მთავარი — მუსიკალობა.“¹⁸⁴

აფხაზურ ენაზე ბრწყინვალედ ატლერდა რუსთაველის გენიალური ქმნილება. „აფხაზებმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი მიიღეს როგორც სახალხო ზეიმი, როგორც თავიანთი სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების შესანიშნავი კულტურული მოვლენა.“¹⁸⁵

ამ თარგმანის გამო გ. გულია მიუთითებს:

«Когда поэма была полностью переведена, абхазцы, без преувеличения можно сказать, изумились. Язык, ритм, точность рифмовки были столь близки к оригиналу, и в то же время каждая строка звучала столь по-абхазски, что поэма в целом воспринималась как создание оригинальное. Это был вклад не только в литературу. Абхазский перевод содействовал дальнейшему, более тесному культурному общению с грузинским народом»¹⁸⁶.

¹⁸⁴ ამონაწერი მოტანილია ხ. ბლაჟას და კ. ზელინსკის ზემოთ დამოწმებული წიგნიდან, გვ. 22.

¹⁸⁵ შ. დელიბა, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

¹⁸⁶ გ. გულია, დასახ. ნაშრ., გვ. 198.

დ. გულიამ შ. რუსთაველს უძღვნა მშვენიერი ლექსიც, რომელიც დაკავშირებული იყო 1938 წელს სოხუმის სანაპიროზე, პარკში, შ. რუსთაველის ძეგლის გახსნასთან. მისი სათაურია „რუსთაველის ძეგლი სოხუმში“. აფხაზი პოეტი ჩაწვდა დიდი შოთას პოემის სიმბრძნეს, პოეტურ სინატიფეს, მხატვრულ-ემოციური ზემოქმედების თავისებურებას. პოემა შედარებულია აფხაზეთის მთების უმაღლესი მწვერვალის ერცახუს სიმშვენიერესთან. აფხაზი პოეტის შეხედულებით „ვეფხისტყაოსანი“ უკვდავი ქმნილებაა, რომელსაც ეამთა სვლა კიდევ უფრო მეტ ელვარებას მისცემს, ნათელი შარავანდელით შემოსავს:

თვალები რუსთაველისა — სიღრმით ქებული ზღვა არი,
ძალგულოვნება შოთასი — აღლვებული ზღვა არი,
სიმშვიდე რუსთაველისა — მზით მოვერცხილი ზღვა არი,
შოთას მშფოთვარე სიცოცხლე — ატალვებული ზღვა არი.

ამაყობს ჩვენი ერცახე ყინულის გეირგვინდადგმული,
იმაზე მაღლა ამაღლა რუსთაველის ლექსი განთქმული.
მთა მთას აბნელებს, წლებისგან ინგრევა კლდენი მაღალი,
მტკიცეა ლექსი შოთასი, ხალ კლდეზე უფრო მაგარი.

(თარგმ. თ. ჯანგულაშვილისა)

დ. გულია არანაკლები ინტერესით ეცნობოდა ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შემოქმედებას. ამ მწერლების პოეტური მეშვეიერობისა და მოღვაწეობის შესწავლამ აფხაზი პოეტი სულიერად დაანათესავა მათთან. აქ იჩინა თავი დ. გულიას, როგორც ეროვნული მოღვაწის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, თავისებურებამ.

პოეტის შვილი მწერალი გ. გულია ამ გარემოებასთან დაკავშირებით საგანგებოდ მიუთითებს, რომ, როდესაც ბავშვები ავად გავხდებოდით, მამა მოგვიჩვენებდა გვერდით და პუშკინის ნაწარმოებებთან ერთად გვიკითხავდა აკაკის ლექსებს. აი, მისი სიტყვები: «И декламирует стихи Церетели, которого отец нежно любил всю жизнь»¹⁸⁷.

დ. გულიამ თავის რევოლუციამდელ პირველ ლექსთა კრებულშივე შეიტანა ქართულიდან ნათარგმნი ლექსები, რითაც, ბუნებრივია, ხელი შეუწყო ამ ორი მოძმე ხალხის კულტურული ურთიერთობის გაღრმავება-განვითარებას.

როგორც ვიცით, 1918 წელს დ. გულიამ თარგმნა აკ. წერეთლის პოემა „გამზრდელი“. სპეციალისტთა აზრით, ეს თარგმანი შევიდა აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში.¹⁸⁸

სხვადასხვა ლიტერატურულიდან დ. გულიას მიერ შესრულებულმა თარგმანებმა თავის დროზე დიდი როლი ითამაშეს აფხაზი ხალხის სხვა ხალხებთან დაახლოების, აფხაზი ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. აი, რას წერენ აფხაზური ლიტერატურის სპეციალისტები:

187 გ. გულია, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

188 ხ. ს. ბლაუბა, კ. ლ. ზელინსკი, დასახ. წიგნი, გვ. 23.

«Переводы Д. Гулна из грузинской, украинской, русской и других литератур воспитывали в абхазских читателях чувство дружбы народов, интернационализма, раздвигали горизонты, что-бы было видно людям далеко, далеко, «во все страны света»¹⁸⁹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ლიტერატურის საუკეთესო ქარმომადგენლები ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ დ. გულიას უვაწლსა და ამაგს, მის მდიდარ შემოქმედებას არა მხოლოდ აფხაზური ლიტერატურის ფარგალში, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში. სამართლიანად მიუთითებდა ი. გრიშაშვილი, რომ დ. გულია არისო მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, ხოლო შ. დადიანმა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის შემოქმედება შეადარა იმ მთის მდინარეს, რომელმაც ვადმოლახა კლდეთა ორწოხები და ბარად ხალხს სიცოცხლე და ბედნიერება, სითბო და სინათლე მოუტანა.¹⁹⁰

დიდია დ. გულიას დამსახურება ხალხთა ძმური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საქმეში. ამ უბანზეც მან ყველაფერი ვაკეთა, რაც მის ძალ-ღონეს არ აღემატებოდა. სამშობლო და ხალხი იყო მისი ზრუნვის საგანი და, რაც ებადა რამ სანუკვარი, მათს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიიტანა. ამიტომ იყო, რომ იგი მთელი ცხოვრების მანქილზე ახალგაზრდებს უკიყინებდა:

არ იზომება სიცოცხლე წლებით,
მხოლოდ საქმეა საზომი მისი;
მიეც სამშობლოს რაც გაბაღია,
დაიწყებისგან მხოლოდ ის გიხსნის!
(„ახალგაზრდა მეგობრებს“.

თარგმ. ზ. ლორთქიფანიძისა)

დ. გულიამ დასაბამი მისცა მშობლიურ ლიტერატურას და მის ნაკვალევს მიჰყვნენ აფხაზი მწერლების ახალი თაობები, რომლებმაც სახელოვანი წინაპრის მიერ ანთებული კელაპტარი უფრო მაღლა ასწიეს და პეტი შუქი და ელვარება შეჰმატეს.

დ. გულია დაკრძალულია მშობლიურ ქალაქ სოხუმში. მის საფლავს ამშვენებს ქართველი მოქანდაკის გივი რუხაძის მაღლიანი ხელით გამოკვეთილი მწერლის ქანდაკება.

ბოლონიტავა

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, მუშათა კლასის გენიალური თეორეტიკოსისა და ბელადის ვ. ი. ლენინის ბრძნული მოძღვრების შუქით განათებულმა, საბჭოთა ხალხებს მოუტანა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება, დაფუძნებული ურღვევ მეგობრობასა და ურთიერთთანამშრომლობაზე.

¹⁸⁹ ბ. ს. ბლაჟა, კ. ლ. ზელინსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 188.

¹⁹⁰ Ш. Дадлиани. Орел абхазской поэзии, Газ. «Заря Востока». 22. II., 1959 г.

სოციალისტურმა წყობილებამ ჩვენს ქვეყანაში მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ეროვნული ჩაგვრა, ხალხებს შორის დაამყარა ძმური თანამშრომლობა, ურთიერთობა, პატივისცემა. თითოეულ ერს, დიდია იგი თუ პატარა, მიეცა თვითგამორკვევისა და თავისი სულიერი კულტურის განვითარების მტკიცე და რეალური საშუალება სხვა ერებთან ძმურ კავშირში.

კავკასიის ერებს, რომლებსაც ოქტომბრის რევოლუციამდე ტანჯავდა, სულს უხუთავდა სოციალური უთანასწორობა, ხან შინაფეოდალური შუღლი და მტრობა, ხან გაუთავებელი ომები, ხან რელიგიური ფანატიზმით გამოწვეული ურთიერთთავდასნმები, ხან ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინებანი, მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა წყობილების დამყარებამ მოუტანა თავისუფალი, მშვიდობიანი, ბედნიერი და შემოქმედების ხალისით აღსავსე ცხოვრება, გაუნათა გზა მომავლისაკენ, მისცა საშუალება ეროვნული სულიერი მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და ახალი — შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურის შექმნისა და განვითარებისათვის.

სოციალისტურმა სინამდვილემ აღზარდა ახალი ადამიანი თავისი სულიერი და ფსიქიკური თვისებებით, მსოფლმხედველობით, მხატვრული გემოვნებით, კულტურით. ამ ახალი მოქალაქის სახე ლ. ი. ბრეჟნევიმ თავის სიტყვაში სტუდენტთა სრულიად საკავშირო შეკრებაზე 1971 წლის 19 ოქტომბერს ასე განსაზღვრა:

„საბჭოთა სპეციალისტი დღეს — ეს არის ადამიანი, რომელიც კარგად დაეუფლა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძვლებს, ნათლად ხედავს პარტიისა და ქვეყნის პოლიტიკურ მიზნებს, აქვს ფართო მეცნიერული და პოლიტიკური მომზადება, ზედმიწევნით ფლობს თავის სპეციალობას.“¹⁹¹

ეს ახალი ადამიანი ოქტომბრის პირმშოა. იგი სოციალისტური საზოგადოების დაუღალავი ზრუნვისა და დიდი მეგობრობის საფუძველზე აღიზარდა. ის გამოაწრთო აგრეთვე მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ.

საბჭოთა პერიოდში კიდევ უფრო მყარი, საფუძვლიანი, შინაარსიანი გახდა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრული და ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა კ. გამსახურდიამ, ლ. ქიაჩელმა, გ. ტაბიძემ, გ. ლუონიძემ, ი. გრიშაშვილმა, ნ. ჩიქოვანმა, ა. მირცხულავამ, კ. კალაძემ, ხ. ბერულავამ და სხვ. შესანიშნავი ნაწარმოებები უძღვნეს აფხაზებს, აფხაზ ხალხს, მის სულიერ სილამაზეს, ქართველისა და აფხაზის უმწიკვლო მეგობრობას. რა დიდებულად უღერს კ. გამსახურდიას სიტყვები, თქმული სოხუმში ერთ-ერთ შეხვედრაზე: მე მიყვარს აფხაზი ხალხი, ეს პატარა ერი, რომელსაც ჩვენთან ერთად დიდი ჭირვარაში უნახავს თავისი არსებობის გზაზე. ამ სიყვარულმა ამაღებინა ხელში კალამი და დამაწერინაო „მთვარის მოტაცება“. რა დაავიწყებს ქართველ მკითხველს ლ. ქიაჩელის „მთისკაცს“,

¹⁹¹ ლ. ი. ბრეჟნევი, ლენინურად ვისწავლოთ, ვიშუაოთ და ვიბრძოლოთ, თბ., 1971 წ., გვ. 9.

დიდებულ ნოველას „ჰაკი აძბას“, გალაკტიონის მომხიბლავ ლექსებს, გ. ლეონიძის „აფხიარცას“.

ქართველი და აფხაზი კაცის გულითადი მეგობრობა და სიყვარული პოეტმა ასე გამოხატა:

სულ მესმოდა შენი თრთოლა,
შენი ვლერა, შენი ხმაცა,
ფანდურის ძმავ, ხმადამტბარო
აფხაზურო აფხიარცა.
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულსთქმაცა.

აფხაზურმა საბჭოთა ლიტერატურამ, წარმოადგენს რა იგი დიდი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ შენაკადს, უკვე განვლო განვითარების რამდენიმე საფეხური. მან გამოავლინა აფხაზი ხალხის როგორც შინაგანი შემოქმედებითი პოტენციის დიდი შესაძლებლობა, ისე გვიჩვენა ის ღრმა შინაარსის მომცველი სოციალური და კულტურული ძვრები, რაც ოქტომბრის რევოლუციას მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში.

აფხაზურ მწერლობას ჰყავს შემოქმედთა რამდენიმე თაობა და, თუ მათ ნაღვაწს გადავაგვლებთ თვალს, დავინახავთ, რომ პირველ რიგში, მათ თემატიკას და დაოსტატებას ატყვია დროის, ეპოქის კვალი, გამოძახილი.

ქართული საბჭოთა სიტყვაკაზმული მწერლობის ძვირფას ტრადიციებს თავისი სტუმართმოყვარე გული შეაგება აფხაზურმა საბჭოთა ლიტერატურამ. ქართველ ხალხთან მეგობრობის, საერთო ძმობის და სინარულის მხატვრული სიტყვით გამოხატვა იმთავითვე დააკისრეს თავიანთ კალამს აფხაზური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმა: დ. გულიამ, ს. ჭანბამ, ი. კოლონიამ. ი. პაპასქირმა, მ. ხაშბამ, ლ. ლაბახუამ, მ. ლაქერბაიმ, ქ. აგუშამ, ბ. შინქუბამ, ი. თარბამ, ა. ჯონუამ, ქ. ჯონუამ, ქ. ლომიამ, ა. ლასურიამ, ა. გოგუამ, გ. გუბლიამ, ნ. თარბამ, პ. ბებიამ, ბ. გურგულიამ, ჯ. ახუბამ, მ. ლასურიამ, ნ. კვიცინიამ და ახალგაზრდა პოეტების მთელმა პლეადამ. მათ ლექსებსა თუ ფართო მხატვრულ ტილოებზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობის მტკიცე ტრადიციებმა, რაც ასე მკაფიოდ არის გამოხატული პოეტ. ა. ჯონუას შემდეგ სიტყვებში:

რისი სტუმარი, ნუ მეტყვით სტუმარს,
მოვდივარ როგორც დედასთან შვილი,
მამოვიხედავ ირგვლივ და... უმალ
ამიცისკროვნებს სახეს ლომილი.

მკოცნის, მეხვევა და არ მეშვება
ეს თბილი ქარი, თბილისის ქარი;
ეგრძნობ, რომ სიამით შეაღურსება
ზვირთდალოცვილი ქალბა მტკვარიც...

როცა თბილხელს სოხუმში ვხედავ
და ხეივნები ხედებიან ტაშით, —

სტუმარიო, როგორ ვთქვა ნეტავ,
ვამბობ: ძმა შედის საკუთარ ბაღში!

მიყვარს თბილისი — ის დიდი დედა
ქართული მიწის, ქართულ ქალაქთა,
და ჩემი გულს მგზნებარე ფეთქვა
ამ სიყვარულით ალაპარაკდა.

(„აფხაზური სიმღერა თბილისზე“,
თარგმ. ხ. ბერულავასი)

ეს დიადი საგალობელი გაისმის კიდით-კიდემდე, როგორც ურღვევი
ვი ძმობის სადიდებელი!

О. Г. ЧУРГУЛИА

ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНО-АБХАЗСКИХ КУЛЬТУРНО-ЛИТЕРАТУРНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

РЕЗЮМЕ

ВВЕДЕНИЕ

Многовековая историческая жизнь связывает грузинский и абхазский народы. Тесные взаимоотношения двух братских народов проявляются в целом ряде специфических элементов материальной и духовной культуры.

Абхазская культура развивалась в тесной связи с грузинской культурой под ее благотворным воздействием.

В специальной научной литературе общезвестно, что на основе общности исторической жизни и прочных культурных взаимоотношений грузин и абхазов с IX века по XIX век для абхазов грузинский язык являлся языком государственного делопроизводства, литературы и церковного богослужения.

Историческая, политическая и социальная обстановка с начала XIX столетия связала судьбу грузинского и абхазского народов с Россией. С этого времени развитие культурных и литературных связей грузинского и абхазского народов пошло по новому пути.

В истории и культурной жизни абхазского народа огромны заслуги грузинских писателей и общественных деятелей — Г. Орбелиани, И. Чавчавадзе, А. Церетели, Я. Гогешвили, Г. Церетели, С. Месхи, Т. Сахокиа, П. Чарая, Н. Джанашиа и др.

Наряду с выдающимися грузинскими писателями и общественными деятелями XIX века заметную роль в культурной жизни страны играли и передовые сыны абхазского народа, к славной плеяде которых мы отнесим имена: Григория Шервашидзе, Константина Шервашидзе, Георгия Михайловича Шервашидзе, Давида Анчабадзе, Давида Чкотоуа, Георгия Дмитриевича Шервашидзе, Соломона Званба, Фомы Эшба и др.

Великую историческую миссию перед своим народом выполнил Дмитрий Гулиа. Вместе с известным грузинским общественным деятелем К. Мачавариани, он в 1892 году составил абхазский алфавит, ставший основой письменности на абхазском языке. Д. Гулиа перевел на родной язык лучшие образцы грузинской литературы и тем самым обогатил абхазскую духовную культуру и во многом способствовал дальнейшему развитию литературно-культурных взаимосвязей двух братских народов.

Многие грузинские педагоги, (М. Иоселиани, Д. Мачавариани, С. Нодна, И. Начкебиа, А. Топуридзе, С. Квачаптирадзе, Б. Гобечиа и др.), работавшие в Абхазии, основывали школы для абхазских детей и безвозмездно обучали их.

Большую роль сыграли в возникновении абхазского театрального искусства грузинский театр вообще, и, в частности, такие выдающиеся актеры, как В. Абашидзе, М. Сафарова-Абашидзе, Л. Месхишвили, К. Месхи, В. Гунна, Ш. Даднани и др.

Настоящая работа является первой попыткой изучения важного периода истории культурно-литературных взаимоотношений грузинского и абхазского народов (XIX в.).

Изучая названную проблему, мы опирались на труды известных грузинских, русских, абхазских литературоведов и историков, в том числе на исследования И. Джавахишвили, С. Джанашиа, Н. Бердзенишвили, С. Каухчишвили, Г. Чхата, Ш. Амиранашвили, А. Чикобава, В. Бардавелидзе, А. Барамидзе, Г. Джикладзе, И. Антелава, К. Ломтатидзе, Т. Каухчишвили, А. Урушадзе, М. Чиковани, Ш. Дзидзигури, Ш. Раднани, П. Кекелидзе, Д. Гамезардашвили, И. Боцвадзе, В. Жгенти, С. Чилая, О. Джапаридзе, М. Лордкипанидзе, О. Лордкипанидзе, А. Сургуладзе, Н. Ломоури, Б. Куфтиа, Е. Крупнова, Г. Чурсина, Д. Гулиа, Г. Дзидзария, З. Анчабадзе, Х. Бгажба, Ш. Пнал-ипа, М. Трапш и др.

В работе по новому освещается целый ряд вопросов из истории культурно-литературных взаимосвязей грузинского и абхазского народов, рассматриваются и критически анализируются неизвестные или малоизвестные архивные документы, а также материалы, опубликованные в периодической печати.

Глава I

ВЫДАЮЩИЕСЯ ГРУЗИНСКИЕ ПИСАТЕЛИ И ОБЩЕСТВЕННЫЕ ДЕЯТЕЛИ ПРОШЛОГО СТОЛЕТИЯ ОБ АБХАЗИИ

Блестящий представитель грузинской литературы прошлого столетия Григор Орбелиани с неизменным вниманием отпосился к жизни угнетенных народов, испытывал большую симпатию к кавказским горцам, в том числе и к абхазам, черкесам, кабардинцам. Грузинский поэт искренне сочувствовал их неравной борьбе за социальное и национальное освобождение. Это особенно хорошо видно из частных писем и художественных произведений Г. Орбелиани (например, «Мое путешествие из Тбилиси в Петербург»). Особо следует отметить отношение грузинского поэта к той трагедии горских народов, которая произошла с ними (особенно с абхазами) при насильственной высылке населения в Турцию в 1866 — 1878 гг.

Выдающуюся роль в развитии общественной и культурной жизни многих кавказских народов сыграл великий грузинский писатель, знаменосец национально-освободительного движения Илья Чавчавадзе. Воспитанный на передовых идеях русских революционных демократов, он с большим вниманием следил за жизнью угнетенных народов, особенно интересовался Абхазией, взаимоотношениями абхазского и грузинского народов, их прошлым и будущим. И. Чавчавадзе в 1877 году основал свой орган периодической печати — «Иверия». Га-

зета имела специальные рубрики: «Абхазия», «Сухуми», «Гудаута», «Очамчире», «Самурзакано», «Абжуа», «Абхазет—Самурзакано», «Окуми».

Прошлое и настоящее Абхазии, ее культура и народное просвещение, сельское хозяйство и развитие капитализма, колониальная политика самодержавия и национально-освободительное движение, благотворительные общества и грузино-абхазские отношения — таков был круг вопросов, которые освещались в абхазских материалах, опубликованных в «Иверии».

На протяжении ряда лет сотрудником «Иверии» являлся Г. Шервашидзе. В газете сотрудничали также известные преподаватели и общественные деятели Абхазии — Т. Сахokia, П. Чарая, Н. Джанашиа, И. Гегна, А. Гогохиа, Д. и К. Мачавариани. Активными корреспондентами газеты были также жители Абхазии — К. Гвасалиа, К. Гогитидзе, П. Габисонна, Г. Дадниаи, М. Хохиавили, Г. Ломтатидзе, С. Норакидзе, П. Асатиани, Н. Каландадзе и др., которые публиковали весьма важные информации, статьи, этнографические заметки и фольклорные материалы, посвященные Абхазии.

Большое внимание уделял И. Чавчавадзе распространению просвещения в Абхазии. Используя, с одной стороны, прессу, а с другой — общество по распространению грамотности среди грузин, он оказывал помощь тем лицам, которые служили этому благородному делу. В «Иверии» печатались соответствующие материалы, в которых содержался призыв к созданию школ и библиотек. Газета освещала заслуги перед народом таких общественных деятелей культуры, как К. Лолуа, Т. Гогитидзе, С. Элиава, Е. Жданович, Г. Кикодзе, К. Галкии, И. Гомелаури, П. Арбелашвили, Б. Чиковани, С. Нодия, И. Начкебия, А. Топуридзе, С. Квачацхирадзе (Гудаута); Агаты, Терезы и Александры Шервашидзе, П. Баркалая, Н. Церетели, Е. Церетели, Л. Авалишвили (Сухуми); Т. Чачава, А. Шервашидзе, К. Гвасалиа (Очамчире); И. Гегна, А. Гогохиа (Окуми) и др.

«Иверия» проявляла особое внимание к представителям молодой абхазской интеллигенции (Д. Марганя, Ф. Эшба и др.), всячески популяризировала их заслуги перед народом.

В борьбе против социальной и национальной несправедливости грузинские и абхазские деятели не были одиноки. Их поддерживали представители передовой русской общественности, многие из которых служили на Кавказе, занимая государственные должности. В их числе общественный деятель Старосельский, журналист И. Бондаренко, проф. Остроумов, врач Д. Димитриев, судья Ф. Устианович, провизор И. Кащинский, сотрудник морского агентства П. Зайцев, учитель И. Кугатов, известный художник В. Верещагин, журналист Н. Дурново и др.

Тесно был связан с Абхазией, с абхазским народом, с его лучшими представителями и Акакий Церетели. В своей поэме «Воспитатель» великий грузинский поэт воспел мужество абхазов, их нравственную чистоту и духовное величие. Можно смело утверждать, что эта поэма внесла значительный вклад в знакомство грузинского читателя с рыцарским духом абхазского народа. Д. Гулла настолько хорошо перевел поэму «Воспитатель», что абхазский читатель воспринял это произведение как жемчужину своей собственной духовной культуры¹.

¹ М. Делба, Дмитрий Гулла, Тб., 1939, ст. 57 (на грузинском языке).

Историческое братство грузинского и абхазского народов нашло яркое отражение во взаимоотношениях А. Церетели с Г. Шервашидзе. Грузинский поэт высоко ценил талант своего абхазского друга, его поэзию, драматические произведения и общественную деятельность. Г. Шервашидзе, в свою очередь, искренне любил автора «Воспитателя», посвятил ему целый ряд проникновенных произведений.

А. Церетели высоко ценил народное творчество вообще и был прекрасным знатоком, в частности, и абхазского фольклора. Он был одним из первых популяризаторов устной словесности абхазского народа среди грузинских читателей. Произведения абхазской устной народной словесности Церетели широко публиковал в своем журнале «Акакис Кребули» («Сборник Акакия»).

Страстным поборником дружбы народов был один из выдающихся деятелей национально-освободительного движения грузинского народа второй половины XIX века, классик грузинской педагогики, известный публицист и писатель Яков Гогобашвили. Он выступил как непримиримый борец с национальной чуждостью. В целом ряде своих произведений Я. Гогобашвили указывал на твердую основу дружественных отношений широких слоев трудящихся и передовой интеллигенции народов Кавказа. «Братство между грузинами и армянами, а также теснейшее единение с Россией, — писал он, — вот тройственный девиз, который слышится из глубины народной жизни, и твердая преданность которому, в условиях умственных, нравственных и материальных достижений, превратит наши окраины в единый благодатный уголок и создаст ему блестящее будущее»¹.

Я. Гогобашвили всегда искренне, с большим вниманием и уважением говорил о братском абхазском народе, сочувственно относился к его бедам и радостям. Выдающийся грузинский деятель остро переживал национальную трагедию абхазского народа — насильственную высылку абхазов в Турцию в 60—70 гг. прошлого столетия.

Педагогическое учение Я. Гогобашвили опиралось на принцип, согласно которому обучение детей в школе должно вестись на родном языке. Вторым родным языком для грузин Я. Гогобашвили считал русский язык. Потому он всячески пропагандировал его изучение на протяжении всей своей жизни.

Великий представитель грузинской педагогической мысли Я. Гогобашвили в 1907 году, т. е. в период столыпинской реакции, когда царское правительство сеяло ненависть и вражду между народами, боясь их революционного сближения и объединения, выступил в печати со статьей «Об абхазах», в которой писал: «Некоторые корреспонденты газет враждебно относятся к переводу богослужебных книг на абхазский язык. Это чрезмерно удивляет меня. Правда, на протяжении многих столетий Абхазия являлась частью политического организма Грузии, там, (в Абхазии) богослужение проводилось на грузинском языке и письменность была грузинская по желанию абхазов. Но ведь неоспоримый факт, что абхазский язык не является диалектом грузинского языка, а самостоятельным языком, хотя и родственным грузинскому. Как самостоя-

¹ Я. Гогобашвили, Сочинения, т. I, Тб., 1952, стр. 82—83 (на грузинском языке).

тельный язык, он, бесспорно, имеет право на свое богослужение, на свою письменность и на родную литературу...»¹.

В статье «Политиканство в Абхазии», которая была опубликована в том же 1907 году в грузинской газете «Цкаро» («Родник»), Я. Гогешавили писал: «Мы, грузины, восторженно желаем развития и обогащения нашего языка и нашей родной литературы. Мы обязаны то же самое пожелать другим народам и, в первую очередь, абхазам».

Я. Гогешавили видел перспективу светлого будущего двух братских народов только в дружбе, взаимопонимании, доверии и уважении.

Последовательным проповедником дружбы и братства народов, их взаимного сотрудничества был известный грузинский шестидесятник Георгий Церетели, воспитанный на русских революционно-демократических идеях и на великих традициях реалистической литературы.

Г. Церетели, как гражданин, мыслитель-демократ и патриот, страстно боролся против колониальной политики самодержавия.

В своих статьях он разоблачил «патриотизм» русской буржуазии, ее эгоистическое стремление растоптать национальные права малых народов, входивших в состав Российской империи (в том числе грузин и абхазов), превратить их край, орошенный потом и кровью предков, в объект колониальной эксплуатации.

В статьях «Гонец», «Помогите повороссийским грузинам», «Высылка», «Несколько мыслей о нашей жизни» и др., Г. Церетели беспощадно разоблачал черносотенцев и их воззрения, выступал как стойкий борец против самодержавия и защитник интересов угнетенных народов.

Полнокровное освещение жизни абхазского народа в 60—70 гг. прошлого столетия мы находим в статьях известного журналиста и публициста, сподвижника И. Чавчавадзе и А. Церетели, редактора прогрессивной грузинской газеты «Дрозба» («Времена») Сергея Месхи. С. Месхи выступал в печати со стройной программой, которая защищала интересы угнетенных народов Кавказа, обстоятельно освещал их жизнь, быт, культуру, состояние народного образования, анализировал причины бедности и угнетения этих народов, ходатайствовал перед правительством об оказании им помощи. Большое внимание уделял С. Месхи абхазским «махаджирам» и аджарским переселенцам.

В июне 1878 года в газете «Дрозба» была опубликована статья «О присоединении Батума», а в августе того же года С. Месхи публикует вторую статью под заглавием «Абхазы и Абхазия», в которых конкретно излагает свое отношение к Абхазии и абхазскому народу. Вторая статья начинается с описания чарующей природы Абхазии, на фоне которой резким контрастом выступают бедность и безотрадная жизнь народа, живущего среди такого природного богатства. С. Месхи писал: «Черкесы и абхазы, которые жили здесь, настолько пользовались богатством страны, чтобы с голоду не умереть». С. Месхи пытался объяснить исторические причины бедности абхазов и черкесов. В этой связи он прежде всего говорил об отсутствии образования, отсталости, нежелании заниматься торговлей. «Так сложились исторические судьбы этих народов, что у них не было времени думать об этом», — писал С. Месхи.

¹ Я. Гогешавили, Соч., т. 4, 1955, стр. 200—210 (на грузинском языке).

В статье давалась этническая характеристика абхазов и черкесов. «Абхазы и черкесы, — утверждал грузинский деятель, — люди, щедро одаренные природой, способные, обладающие замечательным характером. Они искренне любят родину и за нее не щадят своей жизни».

Вслед за этим автор знакомит читателей с теми событиями, которые произошли в Абхазии и Черкесии. Представители этих народов, так глубоко любящие свою родину, свой очаг, оставили родной край и эмигрировали с семьями в Турцию.

Фактически, С. Мехки выразил мнение всех передовых грузинских деятелей, о чем свидетельствуют многочисленные материалы, приведенные в работе.

Глава II

ВКЛАД ГРУЗИНСКИХ ПИСАТЕЛЕЙ И ОБЩЕСТВЕННЫХ ДЕЯТЕЛЕЙ, ЖИВШИХ В АБХАЗИИ, В РАЗВИТИЕ АБХАЗСКОЙ КУЛЬТУРЫ

Грузинские ученые, писатели, педагоги, общественные деятели и деятели культуры, жившие в Абхазии, внесли определенный вклад в развитие культуры и просвещения абхазского народа. К их числу относятся Т. Сахокиа, П. Чарая, Н. Джанашиа, Д. и К. Мачавариани, А. Джугели, М. Даднани-Анчабадзе и др. Все они тесно были связаны с выдающимися представителями грузинской литературы, с передовыми органами периодической печати. Вместе с лучшими сынами абхазского народа они неустанно трудились на общественном поприще, являлись активными пропагандистами просвещения и культуры. Названные выше грузинские деятели работали в школах, сотрудничали в грузинской и русской прессе, занимались литературным трудом, принимали участие в театральной жизни. Они поддерживали тесные связи с прогрессивными русскими общественными деятелями, общими силами выступали против социальной и национальной несправедливости, поддерживали национально-освободительное движение угнетенных народов.

Самым теснейшим образом был связан с Абхазией, с абхазским народом, с политической и культурной жизнью этого края Тедо Сахокиа, — замечательный писатель, педагог, этнограф, лексикограф и фольклорист. Его произведения в разное время публиковались на грузинском, русском, французском, итальянском и английском языках. Т. Сахокиа исходил пешком всю Абхазию, посещая ее селения, непосредственно знакомился с жизнью трудового народа, его культурными запросами, уровнем просвещения, этнографией, историей, трудовыми навыками. На основе своих впечатлений, он опубликовал целый ряд статей, в которых познакомил читателей с прошлым и настоящим абхазского народа. Работа Т. Сахокиа «Путешествия (Гурия, Аджария, Самурзакано, Абхазия)», стала настольной книгой для всех, кто интересуется историей, этнографией, фольклором Грузии и Абхазии.

Т. Сахокиа принадлежат большие заслуги в развитии культурной жизни города Сухуми. Он был одним из инициаторов основания в этом городе библиотеки и труппы любителей сцены, неустанно боролся за расширение школь-

ной сети в Абхазии и за обучение детей на родном и русском языках. Язык Пушкина и Лермонтова он считал вторым родным языком.

В своих острых публицистических статьях, опубликованных в грузинской и русской прессе, Т. Сахокиа смело защищал права трудящихся Абхазии. Он выносил на суд общественности социальные и политические вопросы, осуждал угнетение трудящихся, разнузданное своеволие царских чиновников и т. д. Одной из главных причин бедности и отсталости народа Т. Сахокиа считал низкий уровень сельскохозяйственного производства и образования. Поэтому он неизменно выступал как неустанный пропагандист народного просвещения.

Т. Сахокиа был известен и как переводчик. Среди его переводов следует особенно отметить переведенный с русского языка исторический роман Д. Мордовцева «Прометеево потомство», посвященный жизни Абхазии, который печатался в журнале «Моамбэ» («Вестник») в 1897—1898 гг. и познакомил грузинского читателя с одной из страниц истории абхазского народа.

Одним из блестящих представителей грузинской интеллигенции конца XIX и начала XX века был Петре Чарая. Велики его заслуги в развитии национальной культуры, в деле научного изучения грузинского и абхазского языков. Это был прекрасный педагог, вливавший своим воспитанникам, наряду со знаниями, светлые идеалы братства и дружбы народов. Кроме того, П. Чарая, являлся одним из первых деятелей, страстно проповедовавших в Абхазии общечеловеческое значение русской культуры, русского языка и литературы.

П. Чарая был первым грузинским этнографом, который собрал абхазские пословицы, изучил их, подыскал им грузинские соответствия и в 1888 г. опубликовал их в грузинской транскрипции на абхазском и грузинском языках¹.

Перу П. Чарая принадлежит огромное количество статей, очерков, корреспонденций, обзоров, рецензий, исследований, разрозненных на страницах грузинских и русских органов периодической печати конца XIX и начала XX вв., что до некоторой степени осложняет изучение и освещение его творчества.

Особо отмечал П. Чарая богатые традиции дружбы и взаимного сотрудничества грузинского и абхазского народов, формировавшиеся и утверждавшиеся на протяжении многих веков. Свои взгляды по этому вопросу он ясно изложил в обширной статье «Землевание в Абхазии»².

П. Чарая являлся одним из первых грузинских деятелей, заложивших основы научного изучения грузино-абхазских культурно-литературных и языковых взаимоотношений. Об этом убедительно свидетельствует его публицистическое и научное наследие, особенно такие труды, как «Абхазия и абхазы» (1888) и «Об отношении абхазского языка к яфетическим» (1912). В этих работах П. Чарая показал, что абхазский язык с генетической точки зрения находится в родственной связи с картвельскими языками. По мнению Н. Я. Марра, вышеупомянутые работы П. Чарая по сравнению с исследованиями известных кавказоведов Г. Розена и П. Услара представляют попытку нового, более внимательного изучения вопроса³.

В развитии грузино-абхазских культурных связей значительный вклад внес

1 «Иверия», 1888, №№ 198, 203, 206, 208.

2 «Квали» («След»), 1897, № 11, (на грузинском языке).

3 Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М. — Л., 1938, стр. 131.

известный педагог и общественный деятель Нико Джанашиа. Особенно ценны его заслуги в области изучения абхазского фольклора и этнографии. «Я не говорю уже здесь о личных работах Н. С. Джанашиа, — писал Н. Я. Марр, — лучшего знатока абхазской этнографии, имеющего крупные заслуги в собирании этнографических материалов особенно касательно абхазского культа и абхазских религиозных верований»¹.

Н. Джанашиа оставил богатое публицистическое и этнографическое наследие, которое могло бы составить несколько объемистых томов. Он сотрудничал во многих грузинских и русских журналах и газетах, освещал прошлую и современную жизнь, культуру абхазского и грузинского народов. Большую помощь в этом ему оказывало знание языков (грузинского, абхазского, русского, мегрельского, немецкого). Педагогическая деятельность Н. Джанашиа выходила далеко за рамки простого преподавания. Он неоднократно затрагивал вопросы народного образования в печати, отмечал низкий культурный уровень трудового населения Абхазии, указывал на причины этого явления, и в частности, на недостаточное количество школ.

Самостоятельной темой является вопрос об отношении Н. Джанашиа к абхазской этнографии и устной словесности. В этом направлении он проделал большую и полезную работу, опубликовав немало ценных этнографических и фольклорных материалов.

В свое время большой интерес научных кругов и читателей вызвало обширное исследование Н. Джанашиа «Абхазы (этнографические материалы)», опубликованные в журнале «Моамбе»².

Заслуживает внимания тот факт, что автор, наряду с абхазскими этнографическими материалами, приводил и соответствующий грузинский материал, что значительно повышало ценность публикации.

Среди грузинских деятелей, внесших заметный вклад в развитие абхазской культуры, следует назвать и Константина Мачавариани.

К. Мачавариани был общезвестным деятелем широкого диапазона, известным педагогом и журналистом. Он прекрасно понимал причины тяжелого социального и национального положения грузинского и абхазского народов, хорошо разбирался в сложных явлениях своего времени, самоотверженно боролся против всяческого проявления национализма, разоблачал хищническую природу капитализма, проповедовал идеи дружбы и братства народов, уважительное отношение к их национальному своеобразию, культуре, традициям, истории.

К. Мачавариани, как и большинство деятелей культуры той эпохи, видел спасение трудящихся масс в просвещении, в культурном прогрессе. «Только рост народного образования может дать нам силы врачевать наши многочисленные недуги». — писал он.

Среди грузин, живших и работавших во второй половине прошлого столетия в Абхазии, заслуженное место занимает преподаватель школы для горских детей в Сухуми, автор ряда интересных учебников и художественных произведений Антимоз Джугели.

¹ Н. Я. Марр, О языке и истории абхазов. М. — Л., 1938, стр. 131.

² «Моамбе», 1897, №№ 2, 5, 11; 1898, №№ 7, 11; 1899, № 4 (на грузинском языке).

Помимо педагогической работы, он занимался общественной и культурной деятельностью. А. Джугели был активным участником национально-освободительного движения, сотрудничал в грузинских журналах и газетах «Дрозба», «Иверия», «Шрома», («Труд»), «Мцкепси» («Пастух») и др., на страницах которых публиковал статьи, посвященные жизни абхазского народа, значению абхазо-грузинских взаимоотношений, являлся организатором группы любителей сцены, принимал непосредственное участие в спектаклях.

А. Джугели внес свой вклад и в развитие грузино-абхазских культурных взаимоотношений. Он глубоко изучал историю и культуру братского абхазского народа, его прошлое и настоящее, этнографию и народное творчество. В своих статьях А. Джугели систематически знакомил грузинских читателей с жизнью и духовным миром абхазского народа, призывал общественность уделять внимание этому краю, благоустройству его столицы — Сухуми.

Мариам (Машо) Даднани-Анчабадзе была неутомимой общественной деятельницей. С ее именем непосредственно связано проведение многих культурных мероприятий в Абхазии в конце XIX и начале XX вв. В работе освещается деятельность М. Даднани-Анчабадзе, ее вклад в дело культурного прогресса трудового населения Абхазии, дальнейшего укрепления дружбы и сотрудничества грузинского и абхазского народов, создания широкой сети народного просвещения и возрождения театральной жизни.

М. Даднани-Анчабадзе была достойной представительницей той грузинской интеллигенции, которая бескорыстно служила идеалам братства и дружбы народов, их культурного и литературного сотрудничества.

Глава III

ГРУЗИНСКИЙ ТЕАТР В АБХАЗИИ В КОНЦЕ XIX века

Важную роль в дальнейшем укреплении дружбы между грузинским и абхазским народами, в развитии их культурных и литературных взаимоотношений сыграл грузинский театр. Первые грузинские труппы любителей сцены появились в Сухуми, Очамчире, Гудауте и Окуми в 80-х годах XIX века. Они объединяли грузин, абхазов, русских и отчасти—греков и армян. Театральные представления происходили на грузинском и русском языках. Говоря словами А. Джугели, «одно из назначений представлений состояло в том, чтобы выявить истинную любовь к Родине»¹.

Блестящие представители грузинского профессионального театра, как Ладо Месхишвили, Валериан Гуния, Шалва Даднани, Наталья Габунья-Цагарели, Нуца Чхеидзе и другие неоднократно выступали со своими спектаклями в Абхазии, в частности, в Сухуми, что несомненно способствовало повышению культурного уровня народа. Особенно важны заслуги Ладо Месхишвили, который на протяжении ряда лет руководил сухумской труппой любителей сцены.

Важный вклад в развитие театрального искусства Абхазии внесли: в Сухуми — Гаянэ, Агата, Тереза и Александра Шервашидзе, Т. Сахокна, А. Джу-

¹ «Дрозба», 1879, № 424 (на грузинском языке).

тели, Е. Церетели, М. Даднаш-Анчабадзе и др.; в Гудаута — Нико и Елена Джанашина, Ольга и Виссарион Чиковани, Теофиле Гогитидзе, Екатерина Жданович, Е. Васильченко и др.; в Очамчире — К. Гвасалия, Н. Ладария, Котэ и Владимир Абашидзе, Т. и Г. Зухбая, П. Зайцев и др.; в Окуми — Иване и Текле Гегиа, А. Чхенкели и др.

Любители сцены не имели даже элементарных условий для работы. Не было ни здания театра, ни даже порядочных клубов, чтобы готовить спектакли и проводить вечера. Энтузиасты-любители использовали для этого частные квартиры. Их успеху в значительной степени способствовала помощь лиц, занимавшихся благотворительностью.

Театр посредством живого слова рассказывал народу о причинах его тяжелой жизни, выносил на суд общественные пороки, проповедовал идеи социальной и национальной свободы, дружбы и солидарности народов, интеллектуального, нравственного и эстетического воспитания.

«Сцена — та же школа, горящая уму и сердцу человека на языке живых картин, — писал выдающийся представитель грузинской литературы и общественной мысли И. Чавчавадзе, — этими своими качествами она гораздо сильнее воздействует на человеческое настроение, чем что-либо иное... В современном положении наш народ не имеет иного средства, кроме сцены, способствующего развитию его разума, чувств, языка»¹.

В работе говорится о том важном вкладе, который внес грузинский театр в дело формирования и развития абхазского театрального искусства. «Грузинский театр и его выдающиеся деятели, — справедливо подчеркивал известный абхазский писатель и театровед М. Лакербай, — издавна пытались помочь абхазцам взрастить их собственную театральную культуру, создать основу для абхазской драматургии и роста актерских кадров.»²

Глава IV

АБХАЗСКИЕ ОБЩЕСТВЕННЫЕ ДЕЯТЕЛИ И ПИСАТЕЛИ ПРОШЛОГО ВЕКА И ГРУЗИЯ

В XIX веке на широкое поприще общественной, литературной, педагогической, научной и государственной деятельности выступила абхазская интеллигенция. При бескорыстной поддержке грузинских и русских общественных деятелей она боролась за социальное и национальное освобождение родного народа, вела широкую пропаганду просвещения среди трудового населения, глубоко изучала родную культуру, язык, историю, этнографию, сотрудничала в грузинской и русской прессе, занималась педагогической деятельностью, основывала школы, закладывала основы национальной письменности.

¹ И. Чавчавадзе, Внутреннее обозрение. Соч., т. 5, Тб., 1955, стр. 369 (на грузинском языке).

² М. Лакербай, Очерки из истории абхазского театрального искусства, Сухуми, 1962, стр. 40.

Лучшими представителями этой интеллигенции были Г. А. Шервашидзе, К. М. Шервашидзе, Г. Д. Шервашидзе, Г. М. Шервашидзе, Д. З. Чкотуа, С. Званба, Д. Г. Анчабадзе, Д. Маргания, Д. И. Гулиа и деятели последующего поколения: А. Чочуа, Н. Патеипа, С. Басариа, И. Когониа, С. Чапба, И. Папаскири, М. Лакербай, и др.

Все они были тесно связаны с грузинской литературой и культурой, которые оказали на них большое влияние. Абхазские писатели и общественные деятели (Г. М. Шервашидзе, Д. З. Чкотуа, и др.) внесли определенный вклад в развитие грузинской общественной мысли и культуры. Почти каждый из них был активным членом Общества по распространению грамотности среди грузин, всемерно поддерживал мероприятия этого Общества, главной задачей которого было нести в народ просвещение, приобщать молодежь к знаниям, к общечеловеческой культуре. С этой целью они учреждали в Абхазии школы, пытались создать условия подрастающему поколению для повышения национального самосознания, усилить преподавание родного языка, защитить его от вырождения.

60-е годы прошлого столетия ознаменовались в духовной жизни абхазского народа важным событием: благодаря совместным усилиям передовых представителей русского, абхазского и грузинского народов был создан первый абхазский алфавит, положивший начало абхазской письменности. Это событие имело огромное историческое значение в жизни абхазского народа.

Главным инициатором создания абхазского алфавита было Кавказское отделение Российского географического общества, учрежденное в Тбилиси в 1851 году. В комиссию по составлению алфавита были включены И. Бартоломей, П. Услар, К. Г. Шервашидзе, П. Маргания, Д. Пурцеладзе, В. Триромов, И. Гегиа, Г. Курцикидзе и С. Эшба. Первый абхазский алфавит был напечатан в Тбилиси в 1865 году. Следует отметить, однако, что он не удовлетворял требованиям и был весьма неудобным для практического пользования. Поэтому в последующие годы известный грузинский общественный деятель, живший в Абхазии, Константин Мачавариани вместе с молодым писателем Дмитрием Гулиа составил новый алфавит абхазского языка, который был издан ими в 1892 году. Фактически это был первый абхазский практический учебник, с помощью которого, как указывал Д. Гулиа, абхазские дети обучались грамоте на родном языке¹.

На протяжении XIX века абхазские писатели и общественные деятели использовали в качестве литературного языка русский и, главным образом, грузинский языки. Они сотрудничали, в основном, в грузинских журналах и газетах, играли на грузинской сцене, создавали на грузинском языке стихи и пьесы, писали театральные рецензии, являлись активными участниками грузинского национально-освободительного движения.

Среди абхазских общественных деятелей прошлого столетия почетное место занимает Григорий Александрович Шервашидзе (Чачба), который получил военное образование и на протяжении длительной военной службы неоднократно прославился в борьбе против турецких захватчиков. «Заслуги его (Гр. Шер-

¹ Д. Гулиа, Рождение абхазского театра. Сборн. «Литературная Абхазия», Сухуми, 1941, стр. 163 (на грузинском языке).

вашидзе. — О. Ч.) были неощепимы для русского оружия», — писала газета «Кавказ»¹.

Гр. Шервашидзе был высокообразованным прогрессивным общественным деятелем. Он хорошо понимал боль родного народа, видел причины его отсталости, бедности. Поэтому Гр. Шервашидзе всячески стремился внести просвещение в Абхазию, основать школы, повышать культуру своих соотечественников. Возможности для этого у него были.

Гр. Шервашидзе владел абхазским, грузинским, русским, турецким, мегрельским языками, поддерживал тесные связи с выдающимися грузинскими писателями и общественными деятелями И. Чавчавадзе, Д. Кипиани, Н. Николадзе, Р. Эристави, Н. Дадияни, переписывался с ними на грузинском и русском языках. Грузинский язык был для него языком матери, вторым родным языком.

Гр. Шервашидзе внес определенную лепту в создание абхазского алфавита и в учреждение Абхазского отделения Общества по распространению грамотности среди грузин.

Младшим современником Гр. Шервашидзе был Константин Георгиевич Шервашидзе (Чачба), известный общественный деятель и отец прославленного художника — Александра Шервашидзе, внесшего значительный вклад в историю русского театрального искусства.

К. Шервашидзе был первым абхазцем, который в период учебы в Петербургском Пажеском корпусе (1827—1831 гг.) познакомился с идеями декабристов, а также с передовой русской и европейской культурой, сблизился с проживавшими в Петербурге и учившимися там грузинами. Вместе с ними он принял участие в известном Тбилиском заговоре 1832 года, направленном против самодержавного режима. После раскрытия заговора К. Шервашидзе вместе с другими его участниками подвергся наказанию.

В работе выявлены важные факты, свидетельствующие об органической связи К. Шервашидзе с руководителями Тбилиского заговора.

За последнее время в грузинской научной литературе высказаны соображения, согласно которым, заговор 1832 года являлся непосредственным выражением своеобразных особенностей первого этапа национально-освободительного движения грузинского народа в XIX веке². Поэтому К. Шервашидзе можно смело считать одним из выдающихся представителей национально-освободительного движения грузинского народа.

Большой вклад в дело развития абхазской общественной мысли и дальнейшего укрепления грузинско-абхазских культурно-литературных взаимосвязей внес известный поэт и общественный деятель Георгий Михайлович Шервашидзе (Чачба). Его мировоззрение формировалось под влиянием грузинской литературы и общественной мысли второй половины XIX века. Г. Шервашидзе «всем сво-

¹ «Кавказ», № 51, 1898.

² А. Сургуладзе, О понятии нации и об этапах национально-освободительного движения в дореволюционной Грузии, Тб., 1970, стр. 88 и далее (на грузинском языке).

ним существом был связан с грузинским культурным миром¹, с лучшими представителями литературы и общественной мысли прошлого столетия. Он был соратником и единомышленником И. Чавчавадзе и А. Церетели, С. Месхи, Д. Эристави, А. Пурцеладзе, И. Меунарпа, Т. Сахокиа и др.

Художественно-публицистическое творчество и общественная деятельность Г. Шервашидзе были одухотворены, в первую очередь, идеей дружбы и братства народов. Для него был совершенно непримлем узкий, ограниченный какими бы то ни было рамками патриотизм.

Г. Шервашидзе являлся одним из выдающихся представителей национально-освободительного движения. Своими смелыми публицистическими статьями и увлекательно написанными произведениями он последовательно боролся с рецидивами национализма и шовинизма. Особенно непримлем был Г. Шервашидзе в проявлении великодержавной политики. В частности, он дал суровую отповедь корреспонденту немецкой газеты «Берлинер Тагеблатт» некоему Лоренцу, который пренебрежительно отозвался о грузинском и абхазском народах.

Большой интерес вызывает художественное творчество Г. Шервашидзе. В его стихах, поэмах, пьесах, нашли отражение социальное и национальное положение грузинского и абхазского народов, их историческое прошлое и современная жизнь. Поэзия Г. Шервашидзе проникнута идеей дружбы и солидарности народов.

Давид Григорьевич Анчабадзе (Ачба) является весьма выдающейся фигурой в области грузинско-абхазских культурных связей. Это был образованный интеллигент, окончивший юридический факультет Московского университета. Д. Анчабадзе принимал активное участие в общественно-культурной жизни Грузии, был соратником И. Чавчавадзе, разделял идеи «тергдалеули».

Д. Анчабадзе поддерживал дружеские и творческие связи с И. Чавчавадзе, А. Церетели, Я. Гогобашвили, С. Месхи, Д. Чкотоуа и др.

В работе впервые представлены материалы, проливающие свет на биографию и общественную деятельность Д. Анчабадзе, выясняются его взаимоотношения с грузинским культурным миром.

Воспитанник юридического факультета Московского университета Георгий Дмитриевич Шервашидзе также внес большой вклад в развитие и упрочение грузинско-абхазских литературно-культурных взаимосвязей.

В конце прошлого века Г. Д. Шервашидзе занимал ответственные посты. Вначале он был вице-губернатором (1883 — 1888), а затем на протяжении ряда лет — губернатором Тифлисской губернии (1889 — 1897). Как явствует из многочисленных материалов, Г. Шервашидзе был большим другом и покровителем писателей и общественных деятелей. Он сам принимал активное участие в общественно-полезных мероприятиях и нередко проявлял ценную инициативу, возглавлял благотворительную деятельность. Имеются сведения о том, что Г. Д. Шервашидзе покровительствовал И. Чавчавадзе, когда великий грузинский писатель подвергся тайным преследованиям жандармерии. Более того, Г. Д. Шервашидзе сотрудничал с И. Чавчавадзе и Н. Николадзе, что подтверждается эпистолярным наследием как грузинских писателей, так и самого Г. Шервашидзе.

¹ С. Джанашиа, Георгий Шервашидзе. См. кн. Г. Шервашидзе. «Лирика, эпос, драма», Сухуми, 1946, стр. 18 (на грузинском языке).

Наконец, нельзя не отметить и того факта, что когда был основан Тбилисский государственный университет, Г. Д. Шервашидзе безвозмездно передал этому центру грузинской науки и культуры свою богатую личную библиотеку.

Бесценный вклад в историю абхазской литературы внес Дмитрий Иосифович Гулиа. С его именем связано возрождение и дальнейшее развитие абхазской национальной культуры, создание совместно с К. Мачавариани практически пригодного абхазского алфавита, ставшего основой письменности на абхазском языке, возникновение абхазской прессы и абхазского театра, публикация первых художественных произведений (сборника стихов) на абхазском языке и т. д. Он же приобщил абхазского читателя к лучшим образцам мировой литературы.

Творчество Д. Гулиа напоминает горную реку, которая вырвалась из своих каменных стен и принесла в долину народу жизнь и счастье, тепло и свет¹.

В работе особо подчеркивается та роль, которую сыграл Д. Гулиа в деле литературно-культурного сближения абхазского народа с другими братскими народами. В труде приведены конкретные материалы, литературные параллели, свидетельствующие о духовной близости Д. Гулиа к грузинской культуре и литературе.

В ЗАКЛЮЧЕНИИ отмечаются некоторые особенности грузино-абхазских литературно-культурных взаимосвязей после установления Советской власти в Грузии и Абхазии.

¹ Ш. Даднани, Орел абхазской поэзии, газ. «Заря Востока», 22, П. 1959 г.

Отар Григоря-ица Чургулиа
Ақыртцен аңсуан ыркультуратә-литературатә
ензыкәашья аҭоурых акынтә аочерккуа
I-тәи ашәку
(қыртшәала)

ОТАР ГРИГОРЬЕВИЧ ЧУРГУЛИА
Очерки из истории грузино-абхазских культурно-
литературных взаимоотношений
Книга I
(на грузинском яз.)

ҭамомц. рҭедақтҭори Ш. Шурҭиҭаҭа
შხატҭრული რҭедақтҭори პ. Цқვიტარია
რҭეқრҭедақтҭори ს. გორდҭეიანი
კორҭეқтҭори პ. ჭითანაҭა

ეი 00889. გადეუა ნარმოებას 30.VII. 1978 წ ხელმწერილია
დასაბუჯდაჲ 80 XII. 1974 წ. ნაბიჯდ თაჲ. რაოდ 17,75.
სააღრიცხეო-საგამონე. თაბახთა რაოდ. 20,48. სასტამბო
ქაღ. № 2 ზომა 60X80/14.

შეკვ. № 2651.. ტირაჲი 1000. ფასი 82 კაპ.

გამომცემლობა „აღმაჲა“, სოხუმი, ღენინის ქ. № 8.
საქართველოს სსრ შინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა
პოლიგრაფიისა და წიგნის ევტრობის საქმეთა
სახე.მწიფო კომიტეტის ღენინის სახელობის
ხოხუშის სტამბა № 7, სოხუმი, ღენინის ქ., № 8.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალა

3

თ ა ვ ა I

XIX ს. გამოჩენილი ქართველი მწერლები და
საზოგადო მოღვაწეები აფხაზეთის შესახებ

გრიგოლ ორბელიანი	. 8
ილია ჭავჭავაძე	. 19
აკაკი წერეთელი	53
იაკობ გოგებაშვილი	65
გიორგი წერეთელი	72
სერგეი მესხი	83

თ ა ვ ა II

აფხაზეთში მოღვაწე ქართველი მწერლებისა და პედაგოგების
წვლილი აფხაზეთის კულტურის განვითარებაში

თედო სახოკია	97
პეტრე ჭარაია	. 111
ნიკო ჭანაშია	. 120
კონსტანტინე მაკაეარაიანი	. 132
ანთიმოზ ჭულელი	143
მარიამ დადიანი-ანჩაბაძე	. 151

თ ა ვ ა III

ჭართული თეატრი აფხაზეთში XIX ს. მიწურულში	150
---	-----

თ ა ვ ა IV

XIX ს. აფხაზი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები
და საქართველო

გრიგოლ შარვაშიძე	. 178
კონსტანტინე შარვაშიძე	. 185
გიორგი შარვაშიძე	. 193
დავით ანჩაბაძე	230
გიორგი დიმიტრას ძე შარვაშიძე	. 235
დიმიტრი გულია	. 247
ბოლოიატყვა	. 254

Очерки из истории грузино-абхазских культурно-литературных взаимоотношений

Резюме . 268